საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ

И. М. ГИГИНЕЙШВИЛИ

ИССЛЕДОВАНИЯ ПО ВОПРОСАМ ЯЗЫКА И КРИТИКИ ТЕКСТА ПОЭМЫ ШОТА РУСТАВЕЛИ «ВЕПХИСТКАОСАНИ»

I

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1975

ივანე გიგინეიშვილი

გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ

I

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1975

8 Г 1
899.962.1.092 [რუსთაველი]
გ 474

წიგნში იბეჭდება ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის შესახებ. ნარკვევები პოემის ტექსტის დადგენის საჭირბოროტო საკითხებისადმია მიძღვნილი. ეს საკითხები გადაწყვეტილია, ერთი მხრით, კულტურულ-ისტორიული რეალიების ანალიზის მოშველიებით, ხოლო, მეორე მხრით, საკუთრივ ენობრივი ანალიზის საფუძველზე. მასალა დალაგებული და განხილულია თემატურად (ლექსიკის განხილვა, სამოხელეო ტერმინების ანალიზი, ხარისხის ფორმათა წარმოება, მრაელობითი რიცხვის თავისებურებანი, სიტყვაწარმოება, რთული წინადადების თავისებურება, სიტყვათა წყობის საკითხები და სხვ.). ბოლოს ერთეის პირთა, განხილულ სიტყვაფორმათა და სტროფთა საძიებლები.

გ 70103
M 607 (03)—75 88—75

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975

წინასიტყვაობა

1966 წელს, რუსთაველის საიუბილეო დღეებში, „ვეფხისტყაოსნის“ სამი გამოცემა გამოვიდა. ეს გამოცემები 1937 წლის საიუბილეო გამოცემისაგან სტროფული შედგენილობითაც განსხვავდება და წაკითხვების თვალსაზრისითაც. განსხვავდება იმითაც, რომ ამ გამოცემებში გათვალისწინებულია უკანასკნელი ხანების გამოკვლევები პოემის ტექსტის შესახებ და, ამდენად, ისინი ახალი, უფრო მაღალი საფეხურის ამსახველნი არიან რუსთველოლოგიაში. მაგრამ თითქმის ყველა ამ ნიშნის მიხედვით ეს გამოცემები განსხვავდებიან ერთმანეთისგანაც; მათი სტროფული შედგენილობა არაა ერთგვარი, ერთგვარი არც წაკითხვებია სხვადასხვა სტროფისა, ხოლო მკითხველი საზოგადოება, მეცნიერული წრეები არ იცნობენ ამ ცვლილებების საფუძველს, რამდენადაც ტექსტში შეტანილ ცვლილებათა დასაბუთება არც ერთ გამოცემაში არაა წარმოდგენილი, დაიბეჭდა მხოლოდ ტექსტი პოემისა.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხები კვლავ რჩება რუსთველოლოგიის ძირითად პრობლემად. ამის გამოა, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს პოემის ტექსტის აკადემიური მრავალტომიანი გამოცემის მომზადება.

ასეთ პირობებში ცალკეულ გამოკვლევათა გამოქვეყნება პოემის ტექსტის შესახებ საჭირო საქმეა და ხელს შეუწყობს მთავარ ამოცანას, პოემის კრიტიკული ტექსტის დადგენას.

ამ წიგნში შეტანილი ცალკეული გამოკვლევები უკანასკნელი წლების განმავლობაში იწერებოდა და მოხსენებებად წინასწარ წაკითხვის შემდეგ ქვეყნდებოდა ჩვენს სამეცნიერო გამოცემებსა თუ კრებულებში („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, „მაცნე“...). აქედან შევარჩიეთ გარკვეული მასალა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ნაშრომს მთლიანი ხასიათი ჰქონოდა. გამთლიანებისას ზოგი რამ დაზუსტდა და დაიხვეწა, მაგრამ ძირითადი ტექსტი უცვლელი დარჩა. დაემატა რამდენიმე გამოკვლევა, რომლებიც, მართალია, მოხსენებად იყო წაკითხული, მაგრამ ჯერ არ გამოქვეყნებულა.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ წიგნში დაბეჭდილ ყველა ნარკვევში ერთი თვალსაზრისია გატარებული პოემის ტექსტის დადგენის საკითხებზე. ეს თვალსაზრისი ჩამოყალიბებულია განსაკუთრებით პირველ გამოკვლევაში ერთი სტროფის ანალიზის საფუძველზე. ეს გამოკვლევა ამ წიგნის შესავალს წარმოადგენს; მასში ავტორის შეხედულებები ტექსტის ანალიზის პრინციპებზე კონკრეტული. მაგალითებითაა ილუსტრირებული.

ავტორს პირველ ყოვლისა „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები აინტერესებდა, მაგრამ იგი მალე დარწმუნდა, რომ, სანამ პოემის ტექსტის დადგენის საქმე მრგვარებული არაა, მანამ ენობრივი თვალსაზრისით პოემის სრულსა და ამომწურავ დახასიათებას მრავალი სიძნელე ეღობება წინ. მეორე მხრივ, იმისათვის, რომ პოემის ტექსტის მეცნიერულად დადგენა მოხერხდეს, სრულიად აუცილებელია „ვეფხისტყაოსნის“ ენის ყველა ნიუანსის გათვალისწინება. ავტორმა ის გამოსავალი ნახა, რომ კულტურულ-ისტორიული რეალიების გათვალისწინებით პოემის ენის ფილოლოგიურ ანალიზთან ერთად შეეცადა წინ წამოეწია ენათმეცნიერული საკითხები და პირველ მიზნად უშუალოდ თითოეული სტროფის ტექსტის გაგება დაისახა სხვა სტროფებთან ერთიანობაში. ამჯერად ენობრივი ანალიზი ერთგვარად მაინც დამხმარე საშუალებას წარმოადგენს ტექსტის გასაგებად და დასადგენად. წიგნში ავტორის თვალსაზრისით მხოლოდ ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშებია წარმოდგენილი. როცა ამგვარი ხასიათის მუშაობა კოლექტიურ ღონისძიებად შედეგად ყველა სტროფის მიმართ იქნება ჩატარებული, ამასთან, მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ყველა მასალა, რასაც ჩვენამდე მოღწეული წყაროები იძლევა, და პოემის ტექსტი იქნება დადგენილი თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, შემდგომ უფრო ადვილი გახდება „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლა საკუთრივ ენათმეცნიერული თვალსაზრისით და მისი ადგილის და მნიშვნელობის ზუსტად გათვალისწინება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში, საერთოდ, და ქართული მხატვრული ლიტერატურის ენის განვითარების თვალსაზრისით, კერძოდ.

წიგნის მოცულობის შეზღუდულობის გამო ავტორმა ვერ შეძლო სრულად გამოექვეყნებინა ის მასალა, რომლის გამოქვეყნებაც მას უნდოდა. ამიტომ ამჯერად მხოლოდ პირველი წიგნი იბეჭდება ნარკვევებისა.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი

(ერთი სტროფის ანალიზის მაგალითზე)

უკანასკნელ ხანებში ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებისადმი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მეტად გაცხოველდა. როგორც სამეცნიერო კრებულების, ისე ლიტერატურული ჟურნალების ფურცლებზე ქვეყნდება ცალკეული გამოკვლევები და წერილები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, იბეჭდება ცალკე წიგნებიც. „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებით დაინტერესდნენ მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, გამოქვეყნებული მასალა თანაბარი ღირებულებისა არაა და ერთნაირად არ უწყობს ხელს პოემის შესწავლის საქმეს, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებით დაინტერესება იმდენად დიდია, რომ რუსთველოლოგიის საგრძნობი აღმავლობა და წინსვლა გამოიწვია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა, აგრეთვე პოემის უმთავრეს გამოცემათა, ვარიანტები და ამით ფართო საზოგადოებისათვის ასე თუ ისე ცნობილი გახდა მრავალი ისეთი ფაქტი, რომლებიც აქამდე სპეციალისტთათვისაც კი ძნელად ხელმისაწვდომი იყო.

[1966 წელს, შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში, გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ სამი ახალი გამოცემა: პირველი — ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, მეორე — ი. აბაშიძისა და გ. წერეთლის რედაქციით, და მესამე — საიუბილეო მხატვრული გამოცემა (სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი). 1970 წელს გამოქვეყნდა პოემის ახალი გამოცემა პ. ინგოროყვას რედაქტორობით*].

---

* ქვემოთ პირველი გამოცემა აღნიშნულია s ლიტერით, მეორე — t ლიტერით, მესამე — u ლიტერით, ხოლო უკანასკნელი — y ლიტერით.

ეს ლიტერები „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარ რედაქციას ეკუთვნის.

„ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის მოსამზადებლად დაარსებულია სპეციალური კომისია, ხოლო კომისიასთან შექმნილია მთავარი რედაქცია. კომისია ფართო მოსამზადებელ მუშაობას ეწევა იმ მიზნით, რომ პოემის ტექსტის კრიტიკული გამოცემა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე იყოს დამყარებული.

მიუხედავად ამისა, პოემის ტექსტისა და ენის საკითხების შესწავლა ჯერ ისევ ჩამორჩება იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენი მეცნიერების წინაშე დგას, მაშინ როცა სწორედ პოემის ტექსტისა და ენობრივი საკითხების შესწავლა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას პოემის სხვა თვალსაზრისის თუ თვალსაზრისების მიხედვით კვლევისას. ცნობილია, რომ მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილი ტექსტის უქონლობა ხშირად მრავალ სირთულეს ქმნის და სამწუხარო გაუგებრობებს იწვევს.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისას მრავალი საკითხი დაისმის მეტ-ნაკლები სირთულისა. მათი ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამ ნარკვევის მიზანს წარმოადგენს განიხილოს მხოლოდ რამდენიმე საკითხი, რომლებიც პოემის ერთ-ერთი ნებისმიერი სტროფის ანალიზისას და ამ ანალიზთან დაკავშირებით წამოიჭრება, და წარმოადგინოს ავტორის მოსაზრებები ამ საკითხებზე.

საანალიზოდ აღებულია 708-ე სტროფი პოემისა (1957 წ. გამოცემის სათვალავის მიხედვით).

ტარიელთან შეხვედრისა და მისი თავგადასავალის გაგების შემდეგ ავთანდილი დაბრუნდა არაბეთში და მოიტანა უცხო ყმის ამბავი. ყველა გახარებულია. თინათინმა იხმო ავთანდილი და აამბობინა ტარიელის თავგადასავალი. ავთანდილმაც „წვრილად ჰკადრა, რა იცოდა, რა ნახული, რა ნასმენად“ და თანაც გამოუტყდა, რომ ისევ უნდა წავიდეს ტარიელთან, ამჯერად მის დასახმარებლად, ნესტანდარეჯანის საძებრად: „დრო დამიც ჩემგან მისლვისა, მითქვამს დადება თავისა“-ო. თინათინმა მოუწონა განზრახვა, უთხრა, რომ ავთანდილს „არ-გატეხა კარგი სჭირს ზენაარისა, ფიცისა“, რომ „ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა, ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს უუიცისა“, მაგრამ სევდიანად დასძინა: „ჩემი თქვი, რა ვქნა ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი, ცისა?“-ო.

ამას მოსდევს სევდითვე აღსავსე პასუხი ავთანდილისა, გამოწვეული მომავალი განშორებით. ესაა სწორედ ამჯერად ჩვენთვის საინტერესო 708-ე სტროფი, რომელიც პოემის 1957 წლის გამო-

ცემაში (ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით) ასეთი სახითაა დაბეჭდილი:

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვავს სამ ალი!
გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის საკრავად სამალი;
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი;
მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი!

აქ წარმოდგენილი ტექსტი 1951 წლის (ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით) და 1937 წლის (საიუბილეო) გამოცემებში დაბეჭდილისაგან მხოლოდ ერთი ფორმით განსხვავდება: მე-3 ტაეპში აქ გვაქვს **დღესითგან**, ხოლო ზემოდასახელებულ გამოცემებში დაბეჭდილი იყო **დღისითღა**. ეს გასწორება, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, ეკუთვნის ა. შანიძეს.

სხვა ძირითად გამოცემებში ამ სტროფში აქ წარმოდგენილისაგან შემდეგ განსხვავებას ვხვდებით:

I ტაეპში: ვა] ვაჲ[1]; გავიჭრა] გავიჭრე; სამ ალი] სამალი.
II ტაეპში: ძეს] ჰძეს; მესრვის] მესვრის (მესურის).
III ტაეპში: დღესითგან] დღისითღა; ჩანს] ჰსჩანს.
IV ტაეპში: მალვა] ფარვა; გარდახდა] გარდაჰხდა (გარდაჴდა).

როგორც ვხედავთ, განსხვავება უფრო ორთოგრაფიულია, ვიდრე ვარიანტული. ვარიანტული წყვილია მხოლოდ **მალვა-ფარვა**. გარდა ამისა, ყველგან დაბეჭდილია **დღისითღა**, როგორც აგრეთვე 1937 და 1951 წლების გამოცემებში იყო. ეს წაკითხვა მომდინარეობს ვახტანგ VI-ის 1712 წლის გამოცემიდან და იყო ყველგან, ვიდრე ა. შანიძემ არ შეცვალა იგი **დღესითგან**-წაკითხვით 1957 წლის გამოცემაში.

ძველ გამოცემებში წარმოდგენილი ვარიანტული და ორთოგრაფიული სხვაობები პოემის ხელნაწერებში არსებულ ვითარებას ასახავს.

---

1 სამწუხაროდ, „ვეფხისტყაოსნის" ძირითად გამოცემათა ვარიანტებში", რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა 1964 წელს, ასეთი განსხვავებები (ჲ, ჴ...) ნაჩვენები არაა, მაშინ როცა ამას, როგორც ქვემოთ დაურწმუნდებით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ეს შორისდებული ვაჲ-ს სახითაა დაბეჭდილი დ. ჩუბინაშვილის, დ. კარიჭაშვილის, ს. კაკაბაძის (1926 წ.) გამოცემებში, ხოლო ს. კაკაბაძის 1913 წ. გამოცემაში ვაი არის, „ვარიანტებში" კი საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ამ გამოცემებში ვჲ იკითხებოდეს.

ამ სტროფს შესწავლის საკმაოდ ვრცელი ისტორია აქვს.

ჯერ იყო და ვახტანგ VI-მ განმარტა II ტაეპის **სამალი**: „**სამალი** — ოზბეგურს მოკლე ისარს რკინის ღარით გააგდებენ, — ის არის“-ო[2].

შემდგომ თეიმურაზ ბაგრატიონმა დაწვრილებით განიხილა ეს სტროფი თავის „განმარტებაში“. იგი წერდა:

„ეს ლექსი მაჯამა არის, რომლისა რიფმანი არიან პირველს ტაეპშია.

1. **სადა გლახ დამწვავს სამალი** — გლახ ნიშნავს საწყლად, ანუ შესაბრალისად, **სამალი** — სამი შემწველი ალი, ანუ შემწველი ქარი ბაბილოვნისა და აფრიკისა კერძოთა ცხელთა მინდორთა შინა. იქროლებს, როდისაც მზისა შარავანდედი ფრიადსა ხორშაკსა გამოუტევებს და, რომელსაცა ცხოველსა მოხვდების იგი, მოჰკლავს მყისვე.

2. **სამალი** — სამსწრაფლო. ესე არს ღარი ვითარიმე რკინისა, სატყორცი ისრისა, რომელსა ექმნების ისარი მტკაველზედ მეტი. ესე არს ერთი იარაღთაგანი, ძველად მხედართა მანჭანაჲ ესე აქვნდათ ბრძოლისა სახმარად და ღარისა მისგან მანჭანისა ისარსა სტყორცდიან მებრძოლთა, გინა საგანსა. **საგანი** — ნიშანი რომ დასო, ისარი ანუ თოფი ესროლო, იგი არს.

3. **ნასამალი** — მესამედი, სამად გაყოფილი, დღისითღა ჩანს **ნასამალი** — ღამე ხომ არ გამოსჩნდება კაცის სახეზედ მწუხარების დაჩნევა და დღისით ამისთვის თქმულა.

4. **სამალი** — დასამალავს ნიშნავს, ანუ ჭირის და მწუხარების დამალვასა, გინა სხვისა რაჲსამე. **სამალი** დასამალავი ადგილიც არის. გული კაცისა არს მრავალთა სხვათა და სხვათა საქმეთა დასაფარავი ადგილი და ესე არს სამალი. **გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი** — ესე იგი ჟამი წარვიდა, იგი, რომელ აქანამდის მაქვნდა გულსა შინა მიჯნურობა თქვენიო — დაფარვით ავთანდილ ეტყვის თინათინს — და აწ ცხად მიყოფიეს წინაშე თქვენსაო“[3].

დ. კარიჭაშვილი წერდა: „ამ ტაეპში პირველი სტრიქონის უკანასკნელი ორი სიტყვა **სამ ალი** ნიშნავს **სადმე ალი**. მეორე სტრიქონში **სამალი** ნიშნავს ერთგვარ ისარს. მესამეში **ნასამალი** —

---

[2] ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფილისი 1937, გვ. ტლდ.

[3] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960, გვ. 87.

მესამედს და მეოთხეში **სამალი** — სამალავს, დასამალავს"-ო[4]. მასვე განმარტებული აქვს ამ ტაეპის **სამ** სადმედ[5].

„ვეფხისტყაოსნის" 1926 წლის გამოცემას დართულ ლექსიკონში იუსტ. აბულაძეს განმარტებული აქვს ამ სტროფის მე-2 და მე-4 ტაეპების **სამალი**. მისი ახსნით, პირველი „ისრის სასროლი რკინის ღარია, რომელშიც ჩასდებდნენ მტკაველზე მეტ ისარს და ისროდნენ"[6]; მეორე—„რისამე დასაფარავი გინა დასამალავი, მალვა. **ჟამი სამალი** — მალვის დრო"[7]. ეს განმარტებები განმეორებულია 1937 წლის (საიუბილეო) გამოცემას დართულ ლექსიკონშიც[8].

მასვე ამ სტროფის პირველ ტაეპზე მითითებით განმარტებული აქვს სიტყვა **სამ** ასე: ანუ-ო[7]. ეს შეცდომა მხოლოდ 1926 წლის გამოცემის ლექსიკონშია, საიუბილეო გამოცემის ლექსიკონში გასწორებულია. შეცდომის წყაროა დ. კარიჭაშვილის 1903 წლის გამოცემის ლექსიკონი, რომელშიაც ამ სიტყვის მართებული განმარტება ტექნიკურად გაუმართავად არის დაბეჭდილი.

ს. კაკაბაძე 1926 წლის გამოცემას დართულ ლექსიკონში ამ სტროფის აგრეთვე მე-2 და მე-4 ტაეპების **სამალს** განმარტავს. პირველ შემთხვევაში მას სულხან-საბა ორბელიანის განმარტება მოჰყავს: „არის ღარი სატყორცებელი და ისარი მტკაველზე მეტი, მის ღარით სასროლი", მეორე **სამალი** კი, ს. კაკაბაძის განმარტების თანახმად, არის „სამჯერ ქცეული". განმარტება ნათელი და გასაგები არაა[9].

კ. ჭიჭინაძემ, როგორც ცნობილია, ცალკე გამოყო და ახსნა „ვეფხისტყაოსნის" მაჯამები. მისი განმარტებით, ჩვენთვის საინტერესო სტროფის პირველი ტაეპის **სამ ალი** არის **სამი ალი**, მეორე ტაეპისა არის „სასწრაფო (ცხრის საკრავად)", მესამე ტაეპის **ნასამალი** მესამედია, ბოლოს, უკანასკნელი ტაეპის **სამალი** არის „დასამალავი (პატიჟთა)"[10]. ამავე გამოცემას დართულ ლექსიკონში განმარტებულია მეორე ტაეპის **სამალი** სულხან-საბა ორბელიანის

---

4 ვეფხისტყაოსანი, მეცხრამეტე გამოცემა დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, ტფილისი, 1903, გვ. 284.

5 იქვე, ლექსიკონში, გვ. 338.

6 ერთვის მითითება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე.

7 ვეფხის-ტყაოსანი, 26-ე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1926, გვ. 277.

8 იუსტ. აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი, დართული „ვეფხისტყაოსნის" 1937 და 1951 წლების გამოცემას, გვ. 375 და 379.

9 ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1926, გვ. 203.

10 ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლეევით და შენიშვნებით, „ფედერაცია", გვ. 312.

მიხედვით; ამ განმარტებას დამატებული აქვს მხოლოდ ერთი სიტყვა **სასწრაფო**(?)[11].

ა. შანიძემ 1957 წლის გამოცემას დართულ ლექსიკონში განმარტა **ნასამალი** მესამე ტაეპისა („მესამედი") და **სამალი** მეოთხე და მეორე ტაეპებისა. პირველი ამთგანი არის „სამალავი"[12], ხოლო მეორე „ერთგვარი მშვილდი, არბალეტი (ისრის დასადებად ღარი ჰქონდა შუაზე გაკეთებული)"[13].

მეორე ტაეპის **სამალის** აქ წარმოდგენილი ყველა განმარტება, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან მომდინარეობს. **ისარ**-სიტყვასთან საბა განმარტავს: „**სამალი** არს ღარი რკინისა სატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი მის ღარით სასროლი"-ო[14]. ეს განმარტება. როგორც დავინახეთ, აზრთა სხვაობას არ იწვევს. არც „**ნასამალის**" განმარტება იწვევს ეჭვს: **მესამედს** ნიშნავს. მეოთხე ტაეპის **სამალიც** ყველას ისე ესმის, როგორც თეიმურაზ ბაგრატიონს ესმოდა: **სამალავია**[15]. პირველი ტაეპის **სამ-ალი**-ს პირველი განმმარტებლის თეიმურაზ ბაგრატიონის აზრი პოემის გამომცემლებმა და ლექსიკონის შემდგენლებმა უყურადღებოდ დატოვეს, რადგანაც მათ ეს **სამ-ალი** ორ სიტყვად ჰქონდათ წარმოდგენილი: **სამ ალი**. ზოგს ამ სიტყვის პირველი ნაწილი არც განუმარტავს, განმარტეს დ. კარიჭაშვილმა და იუსტ. აბულაძემ[16].

მაგრამ დასახელებულ მკვლევართა (ტექსტის გამომცემელთა და ლექსიკონების შემდგენელთა) გარდა ამ სტროფს სხვებიც ეხებოდნენ. ჯერ კიდევ 1897 წელს თავის ნაკვლევში — „ვეფხისტყაოსნის" ყალბი ადგილები" ალ. სარაჯიშვილი ამ სტროფსაც შეეხო და ყალბად მიიჩნია **იგი. ალ. სარაჯიშვილი** საამისო საფუძველს სტროფის შინაარსში ხედავდა, სტროფის შინაარსი კი მას თავისებურად ესმოდა. იგი წერდა ამ სტროფის შესახებ:

---

11 ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით. გამოკვლევით და შენიშვნებით, „ფედერაცია", გვ. 664.

12 ვეფხისტყაოსანი, ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ლექსიკონი ა. შანიძისა, თბილისი, 1957, გვ. 376.

13 იქვე, გვ. 380.

14 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, „ქართული წიგნი", ტფილისი, 1928, გვ. 154.

15 ოღონდ ს. კაკაბაძის განმარტების — „სამჯერ ქცეულის" — საფუძველია გაუგებარი და წყარო — უცნობი.

16 ამის შესახებ იხ. ზემოთ.

„ავთანდილისა და თინათინის გაყრის სცენა იშვიათი პოეტური სურათია, რომ შიგ ეს ყალბი ხანა არ იყოს გაჩხირული. ეს ხანა განგებ აზვიადებს ავთანდილის ნაღველს წასვლის გამო. ავთანდილის ჩივილი ან მის სულმოკლეობას მოასწავებს, ან ამას ნიშნავს: ხედავ, რა პირში ვიგდებ თავს მეგობრისთვისო. თუ ასეა, რაღას მოძღვრობდა, რომ „ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის"-ო? ავთანდილმა იცის, რომ „ვარდსა ქაცვი მოაპოვებს", ე. ი. საძებარი შეჰირვებით მოიპოვებაო. მისი და თინათინის განშორება ვაების სცენა კი არაა, პირიქით, ისინი ერთმანეთს ამხნევებენ და ტირიან მხოლოდ მაშინ, როცა ერთმანეთს მოშორდებიან"[17].

ამის გამო, ა. სარაჯიშვილის აზრით, სტროფი ყალბია, ვიღაც მწიგნობრის ნახელავია. ავტორი წერს:

„ავთანდილი რომ ამბობს, ჩემის სიცოცხლის დრო დღისითღა ჩანს მესამედადო, აზრის დასასრულებლად უნებლიედ ვიკითხავთ: ნეტა ღამით რამდენად-ღა გამოჩნდება მისი სიცოცხლის დრო, ნაკლებად თუ მეტად? უნდა გამოვტყდე, რომ მწიგნობრის გამოცანას ვერ მიმხვდარვარ, მაგრამ ამ საკითხავს, ეტყობა, თეიმურაზ ბატონიშვილიც დაუფიქრიანებია და აი როგორ განმარტებს მწიგნობრის ლექსს: „ღამე ხომ არ გამოჩნდება კაცის სახეზედ მწუხარების დაჩნევა და დღისით ამისთვის თქმულა"-ო[18].

სტროფის ნაყალბევობის საკითხს რომ თავი დავანებოთ, ალ. სარაჯიშვილმა **დღისითღა**-წაკითხვის საკითხი აღძრა ისევ. ისევ-მეთქი, ვამბობთ, რადგანაც ეს საკითხი მართლაც რომ თეიმურაზ ბაგრატიონმა დასვა პირველად. **დღისითღა**-წაკითხვას თეიმურაზი ვერ ასწორებს თუ არ ასწორებს, მაგრამ ახსნას უძებნის იმიტომ, რომ ტაეპის შინაარსი არ ესმის კარგად და გული ეთანაღრება, რომ ყველაფერი შეიძლება რიგზე არ იყოს. წაკითხვაში ეჭვი არც ალ. სარაჯიშვილს შესდის, მაგრამ წინააღმდეგობებსა და უაზრობას ხედავს ტაეპში და ამას სტროფის ნაყალბევობის დასამტკიცებლად იყენებს.

შემდგომ ამ სტროფს იკვლევდა მ. ჯანაშვილი. მან აღნიშნა, რომ პირველი ტაეპის **სამ-ალ-ში სამ სამს** (რიცხვს) კი არ აღნიშნავს, არამედ შემოკლებული ფორმაა სიტყვის **სადმე**[19]. „მეორე ტა-

---

17 ა. სარაჯიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ყალბი ადგილები, „მოამბე", 1897, XII, გვ. 18—21.

18 „მოამბე", 1897, II, გვ. 27.

19 „იერია", 1899, 6. I.

ეპის **სამალი** (ძველ წიგნებში და დღეს სვანურადაც) უდიდესი სატანაა, რომელიც ებრძოდა ღმერთს ქვეყნის გაჩენის დროს და აგრეთვე შემდეგ იესოსაც. გარნა, თუ პირვანდელ დედანში ყოფილა **სამალი**, მაშინაც იგივე აზრი იქნებოდა: გული გამიხდა მიზნად ისრისა, რომელსაც სადმე მკრავს ალი"-ო[20].

მ. ჯანაშვილი იძლეოდა სტროფის ამგვარ წაკითხვას:

ვაჲ, თუ გავიჭრე, გაჭრილსა სადა, გლახ დამწვავს სამ ალი,
გული ძეს საგნად ისრისა, მესვრის საკრავად სამალი;
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისით-ღა სჩანს ნასამალი;
ფარავა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი.

ხოლო მთელ სტროფს იგი ასე განმარტავდა: „ვაჲ თუ წავიდე (გავიჭრე) და შორს (სადა) წასული სადმე დამწვას სიყვარულის (და არა ცეცხლის!) ალმა, გული გამიხდეს მიზნად (საგანი) ისრისა, რომელსაც მესვრის სატანა (სამალი). დრო ჩემის სიცოცხლისა ჰასაკით (დღისით-ღა) ნასამალია. მწადიან დავფარო დრო ჩემის შენთან გაყრისა, გარნა ჟამი პატიჟთა (წვევა) საჩქაროა (სამალი)"[21].

მ. ჯანაშვილის შეხედულებაში განსხვავებულია გაგება II ტაეპის **სამალისა** (ნიშნავს **სატანას**), პატიჟისა (ნიშნავს **წვევას**), მეოთხე ტაეპის **სამალისა** (ნიშნავს **საჩქაროს**) და პირველი ტაეპის რთული **სამ ალი**-სა (ეს არის **სადმე ალი სიყვარულისა**). პირველ სამ შემთხვევაში მკვლევარი ცდებოდა, მეოთხე შემთხვევაში მისი გაგება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ანგარიშგასაწევია.

ალ. სარაჯიშვილი გამოეკამათა მ. ჯანაშვილს და უარყო მისი მოსაზრება, თითქოს პირველი ტაეპის „**სამ ალის**" პირველი ნაწილი **სამ** იყოს შემოკლებული **სადმე**, და შენიშნა: ტაეპში **სადმეც** არის ნახმარი და ორი ერთნაირი „სადმე" ზმნიზედა რა საჭირო იყოო. იგი კვლავ ამტკიცებდა: „ამ ლექსში სიტყვა **სამ** სწორედ სამია და არა **სადმეო**"[22].

უკანასკნელ ხანებში ამ სტროფის გაგების საკითხი კვლავ აღძრა გ. იმედაშვილმა თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური ნაშრომების განხილვასთან დაკავშირებით ჯერ სპეციალურ წერილში—„თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური ცდანი"[23], ხოლო შემდეგ შესავალ წერილში, რომელიც დაურთო თეიმურაზის

20 „ივერია", 1899, 6. III.
21 „ივერია", 1899, 6. III.
22 „ივერია", 1899, № 34.
23 ლიტერატურული ძიებანი, V, თბილისი, 1949, გვ. 175—199.

„განმარტების“ გამოცემას[24]. გ. იმედაშვილი ერცლად მიმოიხილავს თეიმურაზისეულ განმარტებას ამ სტროფისას, იზიარებს ამ განმარტებას და დაასკვნის: „სიტყვობრივად პირველ ტაეპში სამალი ცეცხლებრ შემწველი ქარია, მეორეში სწრაფმსროლი (მალე), მესამეში — მესამედი (ნასამალი), მეოთხეში — დასამალავი“[25]. ამის შემდეგ გ. იმედაშვილს განხილული აქვს, თუ როგორაა ეს სტროფი თარგმნილი ბალმონტის, პეტრენკოს, ცაგარლის, ზაბოლოცკისა და შ. ნუცუბიძის მიერ, და წარმოადგენს ამ თარგმანთა შეფასებას. გ. იმედაშვილის სიტყვით, თარგმანთაგან „ამ მაჯამის ყველაზე მართებული გაგება მოგვეპოვება მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებულ სრულ ინგლისურ თარგმანში... აქ აცილებულია ის შეუსაბამობანი და თვითნებობანი, რომელნიც... მეტ-ნაკლებად ახასიათებენ რუსულ თარგმანებს. მასში არაა დაკარგული სტროფის არცერთი ტაეპის თემა, შესაძლებელი სიზუსტითაა ამოხსნილი მისი აზრი და დაშერილია საერთო განწყობა“[26]. ასეთი სიზუსტის ერთერთ მიზეზად გ. იმედაშვილს ის ფაქტი მიაჩნია, რომ „მარჯორი უორდროპი ვეფხისტყაოსნის ინგლისურ თარგმანზე მუშაობისას სარგებლობდა ილია ჭავჭავაძის კონსულტაციით... და საფიქრებელია ამ სტროფის გაგებაშიაც დავალებული იყოს მისგან“[27].

მარჯორი უორდროპის თარგმანი სავსებით ემთხვევა თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებას: პირველ სტროფში სამუშის (შემწველი ქარის) მიერ მგზავრის დაწვაზეა ლაპარაკი; მეორეში იმაზე, რომ გული საგანს (სამიზნეს) წარმოადგენს და მის გასაგმირავად უკვე ისარია ნასროლი; მესამეში იმაზე, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა დღეიდან ერთი სამადაა შემოკლებული; ხოლო მეოთხეში იმაზე, რომ ჭირისაგან თავის შეფარების დრო უკვე გასულია, თუმცა თავშესაფრის ძებნა უნდოდა (ავთანდილს).

თვითონ გ. იმედაშვილი ასე გადმოსცემს სტროფის შინაარსს:

„ვაი თუ მგზავრობისას შორეულ ქვეყნებში ხეტიალის დროს მე საბრალოს სადმე სამი ალი — დამწველი ქარი — სამუში წამომეწიოს და მისი ცეცხლით დავიწვა, უბედურად დავიღუპო.

---

[24] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბილისი, 1960, გვ. 018—022.

[25] დასახელებული ნაშრომი, გვ. 018.

[26] იქვე, გვ. 020.

[27] იქვე, გვ. 021.

სიყვარულით დადაგული ეს ჩემი გული თითქოს ისრის სასროლ საგნად არის გადაქცეული, რომელსაც სიყვარულის ისარი სჭრის და როგორც სწრაფსასროლით ნატყორცნ ისარს ვერ გადაურჩება ნიშანი, ისევე ჩემი გულიც ტანჯვა-მწუხარებას, რომელსაც შენი სიყვარულის ცეცხლი მომაყენებს.

დრო მიდის — მე ჩემი სიცოცხლის მხოლოდ მესამედი ხანი-ღა დამრჩა ამ ცხოვრებაში გასავლელი და ასე ტანჯვაში თავდება ჩემი დღე.

მე ჩემი ტანჯვების დამალვა მინდოდა, მაგრამ აღარ შემიძლია შენი სიყვარულით მოყენებული მწუხარების დამალვა, — მისი დამალვის ყოველი სურვილი, შესაძლებლობაცა და დროც უკვე წავიდა"[28].

ეს არსებითად იგივე განმარტებაა, რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონმა მოგვცა, ოღონდ ნებისმიერად გავრცობილი.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებამ, ერთი მხრივ, თეიმურაზ ბაგრატიონის კომენტარმა, მეორე მხრივ, მოახდინა უთუოდ გავლენა ნიკო ჩუბინაშვილსა და დავით ჩუბინაშვილზე. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში სამალის მხოლოდ ერთი მნიშვნელობაა წარმოდგენილი: „ისარია ერთრიგი (ნახე ისართან)"[29]. მითითებულია: შავთ. 24; ვეფხისტყაოსანი 698[30]. ხოლო ისარ-სტატიაში ნათქვამია: „სამალი მტკაველზედ მეტი რკინის ღარით სასროლი"[31]. ეს განმარტება სულხან-საბასაგან მომდინარეობს. სულხან-საბასგანვე მომდინარეობს დ. ჩუბინაშვილის განმარტება: „ისარია ერთგვარი; стрела შავთ. 24 და ვეფხ. 702[32]; ნ. „ისარი"[33], ხოლო ისარ-სტატიაში ნათქვამია: „სამალი მტკაველზედ მეტი რკინის ღარით სასროლი"[34].

მაგრამ დ. ჩუბინაშვილს სამალის სხვა მნიშვნელობაც აქვს მოცემული: „ცხელი ქარი აფრიკისა, სამუნი. Самум (в.тер). ვეფხ. 702; სამალი — სამალავი"[34].

---

28 თეიმურაზ ბაგრატიონი, „განმარტება...", გვ. 022.

29 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციით და გამოკვლევით, თბილისი, 1961, გვ. 345.

30 საანალიზო სტროფი ბროსეს გამოცემის სათვალავის მიხედვით.

31 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 240.

32 საანალიზო სტროფი დ. ჩუბინაშვილის გამოცემის სათვალავის მიხედვით.

33 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 1085.

34 იქვე, გვ. 583.

ეს განმარტება დ. ჩუბინაშვილისა თეიმურაზ ბაგრატიონისაგან უნდა მომდინარეობდეს. არ ჩანს, რას ემყარება თეიმურაზი, რა არის მისი წყარო. ეს კია, რომ სიტყვა **სამალი** ქართულში ამ მნიშვნელობით საერთოდ არ მოიპოვება, თუმცა მაინც არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ერთი შემთხვევა ამ სიტყვის ამ მნიშვნელობით ხმარებისა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში.

საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ (მოზრდილთათვის) 1914 წლის პირველ ნომერში მოთავსებული იყო ივ. როსტომაშვილის წერილი „ელექტრონის სასწაულები (წერილი მეორე)“. ეს წერილი რამდენიმე თავისაგან შედგება. ერთ-ერთი თავის სათაურია „**სამალი** და გუდანა (კუდიანი ქარი)“. ამ წერილში **სამალი** სათაურის გარდა 6-ჯერ არის ნახმარი და ყველგან **სამუმის** მნიშვნელობით. ივ. როსტომაშვილი ერთ ადგილას პირდაპირ წერს — ამ ქარს უდაბნოს მცხოვრებნი **სამალს** უძახიანო, თანაც შენიშნავს: არაბული სიტყვაა, მოშხამულს ნიშნავსო.

სამალის ისტორია არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ განსახილველი სტროფის გაგებისა და პოემის ტექსტის დადგენის თვალსაზრისითაა მნიშვნელობის მქონე, არამედ დამოუკიდებელი ინტერესის აღმძვრელიცაა. მის მაგალითზე ჩანს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს სიტყვის მნიშვნელობის ცვლა მცდარი გაგების შედეგად.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ არა ჩანს, რას ემყარება თეიმურაზ ბაგრატიონი, რა არის მისი წყარო, როცა **სამალ**-ის განმარტებას იძლევა და იგი შემწველი ალი, უდაბნოს შემწველი ქარი ჰგონიაო. როგორც ჩანს, თეიმურაზს არ მოეპოვებოდა და არც შეიძლება ჰქონოდა რაიმე წყარო ამ სიტყვის განმარტების დროს. მას ხელთ ჰქონოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი (ვახტანგის გამოცემა), რასაც განმარტებებს უწერდა. ჩვენს საანალიზო სტროფში მან თავისებურად შეძლო აეხსნა მაჯამური რითმები. პირველი ტაეპის („ვაი თუ გავიჭრე, გაჭრილსა სადა გლახ დამწვავს სამ ალი“) **სამ ალი** მან ერთ სიტყვად ჩათვალა, ფორმით არაბული წარმოშობის **სამუმ**-ს დაუკავშირა, სამუმად მიიჩნია და, ამასთანავე, **სამუმ-სამალის** მნიშვნელობაც ტაეპისათვის ასატანი, შესაფერი აღმოჩნდა (დამწვავს ცხელი ქარი, ხორშაკი ქარი).

დ. ჩუბინაშვილმა, თავის მხრივ, ლექსიკონის შედგენის დროს „ვეფხისტყაოსნის“ ეს სტროფი მიიჩნია წყაროდ, დაეყრდნო თეიმურაზის განმარტებას და, ამრიგად, ჩამოყალიბდა **სამალ**-სიტყვის კიდევ ერთი მნიშვნელობა, შესაბამისი არაბული წარმოშობის სიტ-

ყვის **სამუმის** მნიშვნელობისა: „**სამალი** — ცხელი ქარი აფრიკისა, სამუნი. Самум“ (ეს სიტყვა რუსულშიაც არის შესული).

ივ. როსტომაშვილი პოპულარული ხასიათის სამეცნიერო წერილებს წერდა ყმაწვილებისათვის საყმაწვილო ჟურნალში. იგი მაშინ ამ წერილებისათვის, რა თქმა უნდა, არაქართული (რუსული...) წყაროებით სარგებლობდა. უეჭველია, მისთვის ქართული ტერმინების საკითხი ძალიან მწვავედ იდგა. სამუმის ქართულად გადმოცემისას მას, ბუნებრივი იყო, ესარგებლა მაშინ არსებული ერთადერთი ლექსიკონით დ. ჩუბინაშვილისა. იქ უნდა ამოეკითხა მას, რომ **სამალი სამუმის** შესატყვისია, და, როგორც ზემოთ დავინახეთ, საკმაოდ ფართოდ ისარგებლა კიდეც ამ ცნობით.

ჩვენ არ ვიცით, გამოიყენა თუ არა ივ. როსტომაშვილის გარდა სხვა ვინმემ ჩვენში **სამალი** ამ მნიშვნელობით.

ივ. როსტომაშვილის შენიშვნა **სამალ**-ის შესახებ — არაბული სიტყვაა, ნიშნავს მოშხამულსო — შეიძლება არაბულში ამ სიტყვების ბგერითი მსგავსების ნიადაგზე მისი ავტორის მიერ მათი აღრევის შედეგი იყოს.

დასასრულ, განსახილველი სტროფის მესამე ტაეპში წარმოდგენილ **დღისითღა** ფორმას შეეხო ა. შანიძე და საეშვოდ მიიჩნია იგი. ა. შანიძე წერდა:

„დღისითღა ჩანს ამას ნიშნავს: მხოლოდ დღის სინათლეზე ჩანს (მაშასადამე, გამოდის, რომ ღამით არ ჩანს). აშკარა შეუსაბამობაა, რაც უმთავრესად ხმოვნის შეცვლისაგან არის წარმომდგარი, უ ნ დ ა: **დღესითგან**, რაც ნიშნავს: დღეიდან, ამას იქით. ტაეპი აღდგენილი სახით იქნება:

დრო სიცოცხლისა ჩემისა **დღესითგან** ჩანს ნასამალი, ე. ი. ჩემი სიცოცხლე დღეის შემდეგ გამესამედებულიაო.

მსგავსი აზრია გამოთქმული შემდეგ ადგილას:

ფრიდონს რა ესმა, ატირდა, ცრემლითა მოერწყო ველი.
მითხრა, თუ: ძმაო, **დღესითგან** ცუდ ჩემი ლხინი ყოველი!
(644,4)“[35].

---

35 ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები, II. პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის: ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი ა. შ ა ნ ი ძ ი ს ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1956, გვ. 028.

ეს შესწორება მოიწონა და გაიზიარა შ. ღლონტმა[36].

ამრიგად, სტროფის კვლევის შედეგად გამონაკვთულია ორი საკითხი. ერთია ამ სტროფის მაჯამების გაგების საკითხი, ხოლო მეორე სტროფის მესამე ტაეპში ერთ-ერთი ფორმის წაკითხვის საკითხი: **დღისითღა თუ დღესითგან**. პირველი საკითხი უფრო ზოგადია, მთელ პოემასაც ეხება იმდენად, რამდენადაც „ვეფხისტყაოსანში“ მაჯამურრითმიანი სტროფები სხვაცაა და მათი გაგების მხრივ მკვლევართა აზრი აგრეთვე ერთგვარი არაა; მეორე საკითხი კერძოობითია, ამ სტროფის ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ მაინც, როგორც დავინახავთ, ტიპობრივია პოემისათვის.

მაგრამ ამათ გარდა საანალიზო სტროფი სხვა საკითხებსაც აღძრავს. ზოგი კერძოობითიც ხასიათისაა, ამ სტროფის ფარგლებში შეიძლება გადაწყდეს, ზოგიც უფრო ზოგადია, მთელი პოემისათვის დამახასიათებელი. მაგრამ, სანამ ამ საკითხებს დავსვამდეთ, ჯერ ვნახოთ, როგორაა წარმოდგენილი ეს სტროფი პოემის ხელნაწერებში, რა ვარიანტული სხვაობები გვხვდება, რომელთაც შეუძლიათ შუქი მოფინონ ზოგ ბუნდოვან საკითხს.

გვაქვს ასეთი წაკითხვები.

I ტაეპში: ვა] ვაი, ვაჲ, ვი; ვა თუ] თუმცა; გავიჭრა] გავიჭრე; გაჭრილსა] მინდორად; სადა გლახ] სადა გულს, მე გლახ სად; დამწვავს] დამწვამს; სამ ალი] სამალი, სამალე, სად ალი.

II ტაეპში: გული] გულსა; ძეს] ძევს; საგნად ისრისა] საგნად ისრისად; მესრვის] მესვრის (მესურის), მესრის (1957 წლის გამოცემის **მესრვის**-ფორმა არც ერთ ხელნაწერში არაა); საკრავად] საკლად, საკუდავად, საკლავად; სამალი]სამალე.

III ტაეპში: დრო] დროდ; ჩემისა] ჩემისად; დღესითგან ჩანს ნასამალი] დღისითა ჩანსღა სამალი, დღისითღა ჩანსღა სამალი, დღისით ჩანს არ ნასამალე, დღისით ჩანს ნაასამალი, დღისიღა ჩანს ნასამალი, დღისაღა ჩანს ნასამალი, დღესითგან ჩანს ნასამალი.

IV ტაეპში: მალვა მწადს] ფარვა მწადს, მალვა სწადს, ვიშიშვი; მაგრა] მაგრამ; გარდახდა] გარდაჯდა, გარდამკდა, გადახდა; პატიჟთა] პატიჯთა; სამალი] სამალე.

---

36 შ. ღ ლ ო ნ ტ ი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 34.

ერთ ხელნაწერში გადასმულია მესამე და მეოთხე ტაეპები.

ხელნაწერების ჩვენებათაგან ზოგი სრულიად არაფერს იძლევა ტექსტის დადგენის თვალსაზრისით, ზოგი კი ძალიან საყურადღებოა არა მარტო ამ სტროფის გასაგებად, არამედ საერთოდ პოემის ტექსტის ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად. ასე, მაგალითად, რა თქმა უნდა, კალმის შეცდომაა, როცა ერთ-ერთ ხელნაწერში **სიტყვა ვაჲ ვი-ს** სახითაა წარმოდგენილი ან როცა მეორეში **საკლავად**-ფორმის ნაცვლად **საკლად** გვაქვს (მთელი მარცვალია გამოტოვებული) და ზოგი სხვა, დიალექტურია ფორმები: **დამწვამს, პატიჯთა** და ა. შ., მაგრამ ძალიან საყურადღებოა ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სხვაობები, რომლებსაც ქმნის წყვილები: **ვაი** და **ვაჲ, მესრის** და **მესვრის (მესურის), საგნად ისრისა** და **საგნად ისრისად** და სხვ., აგრეთვე ლექსიკური ვარიანტები — **მალვა** და **ფარვა** და მისთ. ხელნაწერები საყურადღებო ჩვენებებს იძლევა იმ საკითხთა გადასაწრელადაც, რომლებიც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სადავო იყო იმთავითვე და სადავოა ამჯერადაც.

კალმის შეცდომები და ზოგიერთი ორთოგრაფიული და დიალექტური ხასიათის განსხვავებები რომ მხედველობაში არ მივიღოთ, აქ ნაჩვენები ვარიანტული სხვაობები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს სვამს.

პირველი საკითხი ორთოგრაფიული ხასიათისაა. ესაა **ვაი** შორისდებულის დაწერილობის საკითხი: **ვა**, როგორც უკანასკნელ გამოცემებშია დაბეჭდილი, თუ **ვაი** (=**ვაჲ**) ან **ვაჲ**, როგორც ხელნაწერებშია წარმოდგენილი? საკითხი საანალიზო სტროფის ფარგლებს სცილდება, რამდენადაც, ჯერ ერთი, ეს შორისდებული პოემაში ძალიან ხშირად გვხვდება და, მეორე, ამასთან დაკავშირებით სხვა შორისდებულთა დაწერილობის საკითხიც ისმის.

ამავე რიგისაა საკითხი ძველ (ბგერაგადაუსმელ) და ახალ (ბგერაგადასმულ) ფორმათა ურთიერთობის შესახებ პოემაში: **მესრვის,** როგორც გამოცემებშია დაბეჭდილი, თუ **მესვრის** (მესურის) ან **მესრის,** როგორც ხელნაწერებშია წარმოდგენილი?

პოემის ბევრ სტროფს ეხება აგრეთვე ტაეპთა თანამიმდევრობის საკითხი. ამის შემთხვევაა საანალიზო სტროფშიც გვაქვს: ერთ-ერთ ხელნაწერში ამ სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპები გადასმულია. უნდა გაირკვეს: საჭიროა გადასმის დადასტურება, თუ უკუსაგდებია იგი?

ამათ მოსდევს მხოლოდ ამ სტროფის ფარგლებში გადასაწრელი საკითხი — ვარიანტთაგან არჩევა ერთ-ერთისა: **გაჭრილსა** თუ

მინდორად? მალვა თუ ფარვა? საკლავად თუ საკრავად? მალვა მწადს თუ ვიშიშვი?

ამათ ემატება სადავოდ გამხდარი ის საკითხები, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი: დღისითღა და დღესითგან და პირველი ტაეპის მაჯამის გაგების საკითხი: **სამ ალი, სად ალი,** თუ სხვა რამ?

ვაჲ შორისდებული „ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ ხშირად გვხვდება როგორც ცალკე, დამოუკიდებლად ხმარებული, ისე კავშირთან (ვაითუ) ან ნაცვალსახელთან (ვაიმე) ერთად. ამასთან, რამდენსამე შემთხვევაში იგი არსებითი სახელის მნიშვნელობითაა ნახმარი და გვხვდება სახელობით, მიცემით, მიმართულებით და ნათესაობით ბრუნვებში დასმული. გარდა ამისა, იგი ხან სტროფის დასაწყისში ან შუაშია, მაგრამ გვხვდება სტროფის ბოლოშიაც. ძველი ხელნაწერები ამ შორისდებულის დაწერილობაში თითქმის სრულიად ერთგვარ სურათს წარმოგვიდგენს. ყველგან წერია: **ვაი, ვაითუ, ვაიმე.** დაწერილობა ვა არის მხოლოდ მაშინ, როდესაც, ჯერ ერთი, ეს შორისდებული არსებითი სახელის ფუნქციითაა ნახმარი და, მეორე, სტროფის ბოლოსაა მოქცეული, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგი ხელნაწერი ამ შემთხვევაშიც ვაი, ვაიმე სახეობებს გვიჩვენებს.

საქმე ისაა, რომ ი ამ შემთხვევაში ხმოვანს, მარცვლის შემქმნელ ი-ს კი არ აღნიშნავს, არამედ უმარცვლო ი-ს, ჲ-ს. როგორც ცნობილია, მხედრულ დამწერლობას ზოგ სხვა ასოსთან ერთად იმთავითვე არც ჲ (უმარცვლო ი) ჰქონია იმის გამო, რომ ენას აღარ მოეპოვებოდა შესაბამისი ბგერები. ჱ, ჲ, ჳ, ჴ, ჵ ასოებისაგან „თავიდანვე მხედრულს მარტო ჴ დაჰყვა: მე-11 საუკუნეში, როდესაც პირველად ჩაისახა მხედრული ასოები, ანბანიდან ავტომატურად გამოვარდა ოთხი დანარჩენი (რადგანაც ენას აღარ გააჩნდა სათანადო ბგერები) დ მხოლოდ შემდეგ, მე-17 ს-ში — ერთი მხრივ, ასოთა რიცხობრივი მნიშვნელობის დასაცავად, და, მეორე მხრივ, ძველი წიგნების სისწორით გადმოწერის მიზნით, — მხედრულშიაც შეიქმნა სათანადო ნიშნები: ჱ, ჲ, ჳ, ჵ“[37].

„ვეფხისტყაოსანში“ უმარცვლო ი-ს (ჲ-ს) კვალი აღარ ჩანს სახელთა მორფოლოგიაში. იგი არსადაა არც სახელობით ბრუნვა-

---

37 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა). წიგნში: ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, მესამე გამოცემა, თბილისი, 1936, გვ. 270.

ში ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებიანი სახელებისა და არც ფუძეუკუცელთა ნათესაობით-მოქმედებით ბრუნვებში. მაგრამ, როგორც ჩანს, პოემას ჲ დაუცავს შორისდებულებში, კერძოდ ვაჲ შორისდებულში, ოღონდ ეს უმარცვლო ი (ჲ) ხელნაწერებში ი ნიშნითაა გადმოცემული[38]. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში ყველგან ჲ (უმარცვლო ი) იქნეს გამოყენებული ბეჭდვისას (ვაჲ) ან ისევ ი (ვაი)[39]. ძველს გამოცემებში დაწერილობა არეულია: ხან ვაი გვხვდება, ხან ვაჲ, ხანაც კიდევ სრულიად გაუმართლებელი ვა. უკანასკნელი გამოცემების[40] რედაქტორებმაც. რატომღაც სწორედ ეს უკანასკნელი დაწერილობა აირჩიეს. დასაბუთება არავის უცდია.

ერთადერთი შემთხვევაა, როცა ვაი არის დაბეჭდილი 1937, 1951, 1957 წლების გამოცემებში და პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ ტექსტში (1953 წ.). ესაა 711-ე სტროფში: „ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახი ოს ეყოს, ახი ოს?“ აქ ვაი ორმაცვლიანია, ი შაირის მარცვალთა სათვალავშია ჩათვლილი. მაგრამ ესეც შეცდომაა. უნდა იყოს: „ვაი მოყვარისა გაყრილსა“, ე. ი. ისე, როგორც ყველა

---

38 ისეთი სიტყვების სახელობითში, როგორიცაა: ყველაი, ყველაკაი, პაშტაი და მისთ., მარცვლიანი ი გვაქვს: მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი (52); თვალი ყველაი დათლილი, მარგალიტი და ლალები (1426): ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა (1299)...

არ შეიძლება დავეთანხმოთ ივ. ქავთარაძეს, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში წარმოდგენილ ვარიანტთაგან: ბუკსა ჰკრეს//ბუკსა იკრეს (მითითებულია „ვარიანტები“, ნაკვ. IV, გვ. 1087, სტროფი 1945,3) მეორეში „ი გამოთქმაში არის ჰ//ჲ და არა სათავისო ქცევის პრეფიქსის ფუნქციის მქონე“ (ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს, I, თბილისი, 1964, გვ. 53). ჯერ ერთი, მითითებულ სტროფში იკრეს ორმარცვლიანია, მაშასადამე ი მარცვლიანია („ბუკსა იკრეს და ავთანდილს, ფრიდონს სძღვნიან, მოდგეს თავნი“); მეორე. იკრეს (სასუბიექტო ქცევის ფორმა) ჩვეულებრივ გვხვდება ქართული მწერლობის ძეგლებში, არის „ვეფხისტყაოსანშიაც“ და ხელისუფლების გარკვეულ ნიშანს გამოხატავს (შდრ. 1414,4: „იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი“, განსაკუთრებით სტროფები 168 და 169: „მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს... თქვენცა იცით, გამიზრდია, ვითა ძმა და ვითა შვილი. ამას ასრე ჰმორჩილობდით, არს ეითამცა ავთანდილი, ბუკსა იკრას, აქმნევინეთ ყოვლი საქმე, ჩემგან ქმნილი...“).

39 ოღონდ ეს ი ლექსის მარცვალთა სათვალავში არ ჩაითვლება, ვაი ერთმარცვლიანად უნდა გამოითქვას ისე, როგორც ვაჲ.

40 იგულისხმება შემდეგი გამოცემები: 1937 წლისა (საიუბილეო), 1951 და 1957 წლებისა (რედაქტორები: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე) და 1953 წლისა პ. ინგოროყვას რედაქციით.

ძველ ხელნაწერშია წარმოდგენილი[41]. ვაი ამ შემთხვევაშიც ერთმარცვლიანია.

ეს შეცდომა ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარეობს. საქმე ისაა, რომ ეს გამოცემა ხელნაწერთა ტრადიციას მისდევს და მასში ეს შორისდებული თითქმის ყველგან ვაი-ს სახითაა დაბეჭდილი (ი უმარცვლოა, ჲ-ს ბადალი). ეს სტროფიც გამონაკლისს არ წარმოადგენს და აქაც ასევე დაიბეჭდა, მაგრამ გაიპარა კორექტურული შეცდომა მომდევნო სიტყვის დაწერილობაში: **მოყვარისა**-ფორმის ნაცვლად დაიბეჭდა **მოყვრისა**. შეცდომას ხელი იმ ფაქტმაც შეუწყო, რომ ორივე ფორმა შესაძლებელ ფორმას წარმოადგენდა და რომ ამასთან ვაი გაგებულ იქნა, როგორც ორმარცვლიანი სიტყვა: ამით მოხდა იმ მარცვლის კომპენსაცია, რომელიც **მოყვრისა**-ფორმის დაბეჭდვის შედეგად დააკლდა ტაეპს.

1712 წლის გამოცემისაგან მომდინარე შეცდომა გადმოვიდა პოემის ყველა ბეჭდვითს გამოცემაში გამოუკლებლივ. ეს კორექტურული შეცდომა არც ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მეორე, აღდგენილ გამოცემაში გასწორებულა 1937 წელს.

[ახალ გამოცემებში (tuy) ძველი მცდარი წაკითხვა დარჩა: **ვაი მოყვრისა გაყრილსა**... ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოსულ ტექსტში (s) ტექსტი გასწორებულია აქ წარმოდგენილი წაკითხვის თანახმად: **ვაჲ მოყუარისა გაყრილსა**...].

სიტყვამ მოიტანა და არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI-ის გამოცემისადმი უკრიტიკო დამოკიდებულებამ საქმაოდ შეაფერხა პოემის ტექსტის შესწავლის საქმე. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვახტანგის გამოცემის კორექტურული შეცდომები ეჭვმიუტანლად გადმოდიოდა შემდგომს გამოცემებში და ბევრ შემთხვევაში აშკარა შეცდომების გაანრიანებასაც კი ახდენდნენ და მათ დასაბუთებას ცდილობდნენ. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ერთი სტროფის მაგალითი.

ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი შეხვდნენ ზღვათა მეფეს და მცირე შესვენების შემდგომ აემზადნენ წამოსასვლელად.

ზღვათა მეფესა ეტყოდეს სამნივე, შუქთა მაფენი,
კბილნი ბროლნი და ბაგენი სადაფთა მოსადაფენი:

---

41 ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ხელნაწერი H-599, რომელშიც იკითხება: **ვაი მოყვრისა**.

„უთქვენოდ მყოფსა არ გვინდან ნიშაგნი, ნა-ჩანგ-დაფენი,
მაგრა გაგვიშვენ, წავიდეთ, ჟამია, ვართ მოსწრაფენი“
(1445).

ამ სტროფში სხვა ტაეპების ტექსტიც შეიძლება სადავო იყოს და ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს იწვევდეს, მაგრამ ჩვენი მიზნისათვის მესამე ტაეპია მნიშვნელოვანი: „უთქვენოდ მყოფსა არ გვინდან ნიშაგნი, ნა-ჩანგ-დაფენი“.

ვახტანგ VI-მ დაბეჭდა **ნიშაგნი ნაჩაგ დაფენი**; ეს წაკითხვა გაიმეორა დ. ჩუბინაშვილმა.

შემდგომ გამოცემებში ეს წაკითხვა ოდნავ შესწორდა: **ნიშაგნი, ნაჩაგ დაფენი**-ს ნაცვლად **ნიშაგნი, ნა-ჩანგ-დაფენი** იბეჭდებოდა ყველგან, მათ შორის 1937 წლის საიუბილეო, 1951 და 1957 წლების და 1953 წ. (პ. ინგოროყვას) გამოცემებში.

ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ს. კაკაბაძის გამოცემები. პირველ გამოცემაში ს. კაკაბაძემ დაბეჭდა **ნიშატნი საჩანგ დაფენი**, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ გამოთქმის მეორე ნაწილი რედაქტორისათვის არ იყო ნათელი და მეორე გამოცემაში **საჩანგ დაფენი** მანაც **ნა ჩანგ დაფენი-თ** შეცვალა, მაგრამ პირველი ნაწილი **ნიშატნი** მაინც უცვლელად დატოვა. შემდგომ ს. კაკაბაძე იყო მეორი იმ კომისიისა, რომელმაც 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში **ნიშაგნი ნაჩანგ-დაფენი** მიიჩნია მართებულ წაკითხვად. არსაიდან ჩანს, რომ მას თავისი გამოცემის წაკითხვა დაეცვას.

ამ გამოთქმის განმარტება თეიმურაზ ბაგრატიონმა მოგვცა: „**ნიშაგი** — გამოჩენილი ლხინი, გინა მეჯლიში, რომელიც საკრავებით და მუზიკით გარდიხდება, იმ ლხინსა ჰქვიან. **ნიშაგი, ნაჩაგ დაფენი** — ესე იგი მეჯლიში საკრავებით, ჩანგითა და თანავე ჩანგის დაფთა კვრითა გარდახდილი. **ნიშათ, ნიშაგ** არაბული ლექსი არის, მხიარულება, სადღესასწაულო სამხიარულოსა ნიშნავს“[42].

თეიმურაზისათვის **ნიშათი (ნიშატი)** და **ნიშაგი** ერთი და იგივეა. გარდა ამისა, იგი მთელი გამოთქმის შინაარსს გადმოსცემს მიახლოვებით, ხოლო დაწერილობის საკითხს არ განიხილავს.

ამას მოჰყვა განმარტებები: **დ. კარიჭაშვილისა (ნიშაგი** წვეულება, ლხინი); იუსტ. აბულაძისა (**ნიშაგი** სამუსიკო საკრავი, სპ.; **ნიშაგი** სამუსიკო საკრავი. მეტ. მხიარულება, ლხინი); კ. ჭიჭინაძისა (**ნიშაგი** მუსიკალური ინსტრუმენტი).

42 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება..., გვ. 263.

ნიშაგს ა. შანიძეც ასევე განმარტავს: წვეულება, ლხინიო; ოღონდ, როგორც ჩანს, აეშვებს ეს სიტყვა და კითხვის ნიშანს უსვამს. მასვე აქვს განმარტებული **დაფე** (**დაფი**-სტატიაში): **დაფე დაფი** (ხელოვნური ფორმააო).

ამრიგად, მთელი გამოთქმა — **ნიშაგნი, ნა-ჩანგ-დაფენი** გაგებულია როგორც სამუსიკო საკრავების — **ნიშაგის** (?). **ნას, ჩანგისა** და **დაფის** ჩამოთვლა, ამასთან, **დაფენი** მრავლობითი რიცხვის ფორმაა, ამოსავალია **დაფე**.

ზოგ მკვლევარს **ნა-ჩანგ-დაფენი** მრავლობითი რიცხვის ხელოვნურ ფორმად მიაჩნია, **-ებ** სუფიქსიანი და **-ნ** სუფიქსიანი მრავლობითების შერწყმად[43].

ასეთია ამ ტაეპის კვლევის შედეგი. მაგრამ ყველაფერი ეს, სამწუხაროდ, გაუგებრობა იყო. პოემის ხელნაწერთა შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ არ არსებობს წაკითხვა **ნიშაგნი, ნა-ჩანგ-დაფენი**, პოემის არც ერთ ხელნაწერში ეს წაკითხვა არ მოიპოვება, იგი ვახტანგისეული გამოცემის **ნიშაგნი ნაჩაგ დაფენისაგან** მომდინარეობს[44], **ეს უკანასკნელი კი ვახტანგის გამოცემაში კორექტურულ შეცდომას წარმოადგენს.**

ხელნაწერთა ერთ წყებაში გვაქვს წაკითხვა **ნიშატნი საჩანგდაფენი, ნიშატი საჩანგდაფენი** ან **ნიშათნი საჩანგდაფენი. ნიშატნი საჩანგდაფენი** არის ერთადერთი მართებული წაკითხვა. ყველა სხვა წაკითხვა, რომლებიც ხელნაწერებში გვხვდება, მის გადამახინჯებას წარმოადგენს (**ნიშანნი** (**ნიშანი**) **საჩანგდაფენი, ნიშთანი საჩანგდაფენი, ნიშტი** (**ნიშტნი**) **საჩანგედაფენი...**).

პირველი სიტყვა — **ნიშატი** ქართულში ნასესხები სიტყვაა და მხიარულებას, სიხარულს ნიშნავს. ეს სიტყვა რამდენჯერმე გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“.

---

[43] „კიდევ უფრო თავისუფალია პოეტის მიერ მრავლობითის რიცხვის ისეთის ფორმის ხმარება, როგორიცაა: „ნა-ჩანგ-დაფენი“..., რომელსაც თითქო შეუნარჩუნებია ერთსა და იმავე ფორმაში ვულგარულ და მწიგნობრულ ფორმათა სუფიქსები — „ებ“ და „ნ“-რის ერთ სუფიქსად შეერთების ღანდი“ (იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, პოემის ენის ხალხურობა: „ვეფხისტყაოსანი“, 26-ე გამოცემა იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქტორობით, ტფილისი, 1926, გვ. 336).

[44] ერთადერთი ხელნაწერი, რომელშიაც ვახტანგის გამოცემის მსგავსად **ნიშაგნი ნაჩაგ დაფენი** იკითხება, არის ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის (S) ხელნაწერი № 5006, მაგრამ ამ ხელნაწერის ეს ნაწილი ვახტანგის გამოცემიდანაა გადაწერილი. ამ ხელნაწერის ეს ჩვენება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტებში, რომელიც შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა, მოყვანილი არაა.

„მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა,
ქმნა გაუცუდდა ფარსადანს **ნიშატისა** და ნიშისა“ (334).
„რა მიეახლა, გარდახდა ყმა, თაყვანის-სცა მეფესა,
აკოცა როსტან, მიმხვდარმან **ნიშატთა** სიიეფესა“ (684).
„შენთა მჭვრეტელთა **ნიშატო**, ვერ-მჭვრეტთა სავაგლახეო“
(725).

ხშირად გვხვდება ეს სიტყვა „ვისრამიანში“.

„ჩემი **ნიშატი** ლომი არის ჯანგ-ოქრო, რომელი ჩემსა სულსა შეიპყრობს“ (143).

„რა მინახავ, მუნითგან არა გამომისუენებია წამსაცა ერთსა და არცა გულსა შიგან **ნიშატი** ჩამჭრია“ (190).

„სიხარულითა და **ნიშატითა** სავსე იყო სული ჩემი“ (191).

„ვისის რა მისგან სანდომი რამინ მოეშორა, სიხარული და **ნიშატი** მისგან აბეზარ იქმნა“ (302)[45].

ეს სიტყვა ცნობილია აგრეთვე ქართული მწერლობის მრავალი სხვა ძეგლიდან.

რაც შეეხება საანალიზო გამოთქმის მეორე ნაწილს, **საჩანგდაფენი** ასე დაიშლება: **სა-ჩანგდაფ-ე-ნ-ი**. იგი მრავლობითი რიცხვისა და სახელობითი ბრუნვის ფორმაა, შეთანხმებულია ბრუნვასა და რიცხვში სიტყვასთან **ნიშატნი**, რომლის მსაზღვრელიცაა. მხოლობითის ფორმა **სა-ჩანგდაფ-ე** რთული ფუძის **ჩანგ-დაფ**-ისაგან **სა**-პრეფიქსითა და **-ე** სუფიქსით ნაწარმოები სახელია და მნიშვნელობის მხრივ დანიშნულებას გამოხატავს. ასეთივე მნიშვნელობის სიტყვებს აწარმოებს **სა-** პრეფიქსი და **-ო** სუფიქსი.

ორივე წარმოების სიტყვები პოემაში მრავლადაა. ასეთებია: **საარაკე** (558), **საკურტაკე** (558), **სამუხთალე** (456), **საომარე** (91); **საჯო** (681), **საარმაღნო** (462), **საუგო** (785), **სადაფო** (148) და მრავალი სხვა.

მთელი ტაეპი — **„უთქვენოდ მყოფსა არ გვინდან ნიშატნი საჩანგდაფენი“** ნიშნავს: უთქვენოდ მყოფს **საჩანგდაფო** მხიარულება არ გვინდაო. ამას ეუბნებიან ქაჯეთის გმირები ზღვათა მეფეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც წასვლის ნებართვას სთხოვენ.

ეს გამოთქმა სავსებით ანალოგიურია იმისა, რაც პოემის 148-ე სტროფში გვაქვს: „მიხვდეს მყოფნი მას წინაშე **სიხარულსა სადაფოსა**“: **ნიშატნი საჩანგდაფენი** და **სიხარული სადაფო**.

---

45 ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, ტფილისი, 1938.

როგორც აღნიშნული იყო, 1712 წლის გამოცემაში ამ ტაეპში სამი კორექტურული შეცდომა გაიპარა:

ტ-ს ნაცვლად გ დაიბეჭდა პირველ სიტყვაში, ხოლო მეორეში ნ ს-მ შეცვალა და მეორე ნ გამოტოვებულ იქნა. მივიღეთ **ნიშაგნი ნაჩაგ დაფენი.** შემდგომს გამოცემებში ამ გამოთქმის გააზრიანებას აწარმოებდნენ. **ნაჩაგ დაფენ**-ში სამი ფუძის შეერთება დაინახეს (**ნა, ჩანგ, დაფ**), **ნა-ჩანგ-დაფენ**-ად შეცვალეს და **დაფენ**-ფორმის დასაბუთება წარმოადგინეს **დაფე=დაფი** ან **დაფენ** არის მრავლობითის ორი ფორმის შერწყმა), **ნიშაგი** ხან მხიარულებას აღნიშნავდა **ნიშატთან** მიმსგავსების შედეგად, ხანაც კიდევ საკრავად ცხადდებოდა, რაკი **ნა**-ს, **ჩანგ**-ისა და **დაფ**-ის გვერდით იყო ნახმარი, ხელნაწერთა ჩვენება კი გათვალისწინებული არ ყოფილა.

[ახალ გამოცემათაგან ეს შეცდომა აქ წარმოდგენილი წაკითხვის თანახმად გასწორდა s-ში; tu-შიც გასწორდა შეცდომა, მაგრამ ორთოგრაფიული თვალსაზრისით გაუგებარი დაწერილობა დაიბეჭდა: **ნიშატნი საჩანგ-დაფენი**; პ. ინგოროყვამ შეცდომა ნაწილობრივ გაასწორა — **ნიშატნი** დაბეჭდა, მაგრამ მეორე ნაწილი უცვლელად დატოვა: **ნა-ჩანგ-დაფენი** დაბეჭდა].

ვახტანგის გამოცემაში კორექტურული შეცდომები მრავლადაა. ეს შეცდომები გაასწორა 1937 წელს ამ გამოცემის აღდგენისას ა. შანიძემ. მაგრამ ზოგი შეცდომა მაინც დარჩა ან არასათანადოდ გასწორდა. მოვიყვანთ კიდევ ერთს მაგალითს.

1937, 1951 და 1957 წლის გამოცემებში 106-ე სტროფი პოემისა ასე იკითხება:

„თინათინ ადგა, მივიდა, მიჰყვა მამისა ნებასა,
უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა,
მამამან გვერდსა დაისვა, აკოცა ნება-ნებასა,
უბრძანა: „მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა?“

ამ სტროფის მეოთხე ტაეპში სავსებით მართებულად იკითხება **რად მელი მოყვანებასა**, ე. ი. ისე, როგორც თითქმის ყველა ხელნაწერშია წარმოდგენილი. ვახტანგის გამოცემაში იკითხება: უბრძანა: „მახლავ რად არა, **მელი მოყვანებასა?**“ ცხადია, აქ ერთი მარცვალი აკლია, რაღაც კორექტურული შეცდომაა დაშვებული. ა. შანიძემ ეს შეცდომა ვაასწორა ვახტანგისეული გამოცემის აღდგენი-

სას, დაბეჭდა **მოელი მოყვანებასა**, თუმცა ამ გასწორებას შენიშვნა დაურთო: „აჯობებდა: **მეელი**"-ო[46].

1953 წელს გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის" ახალი გამოცემა პ. ინგოროყვას რედაქციით. რედაქტორმა დაიწუნა წაკითხვა **რად მელი** (სტილისტიკურად გაუმართავიაო!), შეცვალა წაკითხვით **მოელი** და ჩვეულებისამებრ დაასაბუთა ასე: „ასეა ვახტ.", ე. ი. ასეა ვახტანგ VI-ის გამოცემაშიო[47]. ნამდვილად კი ვახტანგის გამოცემაში არაფერი ამის მსგავსი არ იკითხება, იქაა, როგორც აღვნიშნეთ, **მელი; მოელი** იკითხება ა. შანიძის მიერ 1937 წელს აღდგენილ ვახტანგისეულ გამოცემაში. ცხადია, პ. ინგოროყვამ 1937 წლის გამოცემით ისარგებლა და ისარგებლა ისე, რომ კორექტურული შეცდომების გასწორებისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

მაგრამ ა. შანიძის გასწორება ვახტანგის გამოცემაში დაშვებული შეცდომისა არ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. ვახტანგის გამოცემაში **მოელი** (ან, მით უმეტეს, **მეელი**) კი არ უნდა ყოფილიყო და ო ასო კი არ არის გამორჩენილი, არამედ უნდა ყოფილიყო **რად მელი**, ისე როგორც ხელნაწერებშია წარმოდგენილი, და გამორჩენილია მთელი სიტყვა **რად**. აქედან ცხადია, რომ პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილ შესწორებას საფუძველი არა აქვს[48], ვახტანგისეული გამოცემის აღდგენისასაც გამორჩენილი **რად** უნდა ჩამატებოდა ტექსტს.

როგორც 1937, 1951 და 1957 წლების გამოცემებში, ისე უახლეს (sic) გამოცემებშიც მართებული **რად მელი** არის დაბეჭდილი. პ. ინგოროყვამ თავისი ძველი წაკითხვა გაიმეორა 1970 წელს.

მაგრამ პირველსავე საკითხს დავუბრუნდეთ.

ვაი შორისდებულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ მეორე შორისდებული **ჰაი**. იგი რამდენიმე სტროფში გვხვდება (მოგვყავს 1957 წლის გამოცემის მიხედვით).

მითქვამს: „ჰაი, საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო!"
(309).

---

46 ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფილისს 1937, გვ. 352. ნათელი არაა, თუ რა უპირატესობა აქეს მეელი-ფორმას.

47 ვეფხისტყაოსანი, პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1953, გვ. 420.

48 სტილისტიკაც ალბათ რად მელი-წაკითხვას დაუჭერდა მხარს: მახლავ **რად არა, რად მელი მოყვანებასა**?

ვთქვი, თუ: „ჰაი, რაშიგან ვარ მე სიცოცხლე-გარდამხდარი!“ (358).

მითხრეს: „ჰაი, რასა ჰბრძანებ, ნუ მოასმენ ყურთა ჩვენთა“ (651).

მოთქვამს: „მოეკალ, ჰაი, ქმარი, ამოვწყვიდენ წვრილნი შვილნი“ (1103).

„აწ უმისოდ ვით ცოცხალ ვარ, ჰაი ჩემთვის, ვაგლახ მე, ვა!“ (1145).

„აღარ ვიშიშვი სიკვდილსა, ჰაი, ჩავიჭერ მე რასა!“ (1210).

„მზენო, თქვენ შუქი მიჰფინეთ, ჰაი, რა ავი დარია!“ (1595).

ქალმა დედასა შესტირნა: „ჰაი მე, რა ვქნა, დედაო!“ (1628).

ამათ უნდა დაემატოს ორი განსხვავებული მაგალითიც:

„ხამს თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს (28).

„გახსოვს, ოდეს „ჰაის“ ჰზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა ბანდეს,
მკურნალნი და დასტაქარნი წამალსა-ყე მოგიტანდეს?“ (526).

სხვა გამოცემებშიც ჰაი იკითხება უმეტეს წილად, მაგრამ მოიპოვება სხვა წაკითხვებიც: აჰი, აჰა, ჰაი ჰაი... ვახტანგ VI-ის გამოცემაში არის ჰაი, ჰაი ჰაი და აჰი აჰი-ც.

უკანასკნელ ორ მაგალითში ობიექტად გაგება ამ შორისდებულისა და მიცემით ბრუნვაში დასმა ა. შანიძის კონიექტურაა, 1957 წლის გამოცემაში შეტანილი. სხვა გამოცემები (აგრეთვე ხელნაწერები) ასეთ ფორმას არ იცნობს[49].

ჰაი-ს ობიექტად გაგება ამ სტროფებში თეიმურაზ ბაგრატიონისაგან მომდინარეობს[50]. თეიმურაზი წერდა:

„ჰაი ზმიდეს — ნანობდეს და წუხილით ჰაი ჰაის იტყოდეს“[51]. „ჰაის ზმიდი — ჰაი ჰაის ზმიდი. ჰააი ჰაი — მწუხარებაში ოხვრა. ზმიდი — ყოფდი, იქმოდი“[52].

ყველა ამ შემთხვევაში ჰაი-ს ი მარცვალს ქმნის, ტაეპის მარცვალთა სათვალავში შედის გამოცემების მიხედვით. ჰაი ჰაი და აჰი აჰი ყველგან ორმარცვლიანი ჰაი-ს მაგივრობას ასრულებს. თანმიმდევრულობა იქნებოდა დაცული, რომ ამ შემთხვევაშიაც ისე-

49 ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები, II; სიმფონია, გვ. 020.

50 გვხვდება აგრეთვე დავით რეჭტორის ნარედაქციევ ხელნაწერში.

51 თეიმურაზ ბაგრატიონი, „განმარტება“, გვ. 7.

52 იქვე, გვ. 61.

თიეე წესი გაეტარებინათ პოემის გამომცემელთ, როგორიც ვაი შორისდებულის მიმართ იქნა გამოყენებული: იქვე საბუთიანობით ი აქაც უნდა ჩამოეშორებინათ, რამდენადაც ეს ორი შემთხვევა ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებოდა გამოცემებში გატარებული თვალსაზრისით. მაგრამ აქ ი-ს ჩამოშორებას ხელი იმან შეუშალა, რომ ტაეპში მარცვალი აკლდებოდა, ხელნაწერებში გაბატონებული წაკითხვა ბაი-ბაი კი გათვალისწინებული არ ყოფილა.

მართლაც, ამ ბაი-ს ისტორია სხვაგვარი ჩანს.

ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში დაცულია წაკითხვა **ბაი ბაი**. არის, რა თქმა უნდა, განსხვავებული წაკითხვებიც: **აჰი აჰი, აჰი ბა, ბი ბი, აჰი, ბაი, ბაი ვაი, აჰა...**, მაგრამ წაკითხვა **ბაი ბაი** გაბატონებულია (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი წაკითხვა ვახტანგ VI-საც მოეპოვება). **ბაი ბაი** ყველგან ორმარცვლიანია და არა ოთხმარცვლიანი, ე. ი. ორივე ნაწილში ინები უმარცვლო ი-ს, ჲ-ს მაგიერია ისევე, როგორც **ვაი** შორისდებულის შემთხვევაში გვქონდა.

ეს **ბაი ბაი** უნდა მომდინარეობდეს სპარსული **ბაი-ბაი**-საგან, რაც ტირილს, მოთქმას ნიშნავს, მოთქმის, ტირილის გამომსახველი ხმაბაძვითი სიტყვაა. თვით გამოთქმებიც — „**ბაი ბაი ზმიდი**“ და „არ ბედითად **ბაი ბაი ზმიდეს**“ კალკი ჩანს. ამ ორ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსანში“ ამ სიტყვას ჯერ კიდევ შენახული აქვს პირვანდელი მნიშვნელობა, სხვა შემთხვევებში კი მეტწილად უკვე შორისდებულადაა ქცეული.

ამ გამოთქმებში **ბაი ბაი**-ს (**ბაი**-ს) ობიექტად გაგება გამართლებული არაა, რადგანაც ასეთ გაგებას მხარს არ უჭერს არც ერთი ხელნაწერი. ეს იქნებოდა ახალი (მე-19 საუკუნის და თანამედროვე) გაგების გამოყენება „ვეფხისტყაოსნის“ ენის მიმართ. პოემაში გამოთქმა **ბაი ბაი ზმიდი** ერთი მთლიანი ერთეული ჩანს და **მოთქვამდი, ტიროდი** ზმნების მნიშვნელობა აქვს (იგივე ფუძე, რომ გამოგვეყენებინა, ეს იქნებოდა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „**ბაიბაიობდი**“). მაშასადამე, „**არ ბედითად ბაი ბაი ზმიდეს**“ ნიშნავს: ბედითად (უხეიროდ, ტყუილუბრალოდ) არ მოთქვამდეს (არ ტიროდეს), ხოლო „**გახსოვს, ოდეს ბაი ბაი ზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა ბბანდეს?**“ ნიშნავს ამას: გახსოვს, როცა მოთქვამდი (ტიროდი) და შენი ცრემლები ველს ბანდა (ასველებდა, რწყავდა)? და არა ამას: „**ბაის იძახდი, ოხრავდი**“[53].

---

[53] ა. შ ა ნ ი ძ ე, ლექსიკონი, დართული პოემის 1957 წ. გამოცემას, გვ. 399.

სხვა შემთხვევებში „ვეფხისტყაოსანში“ **ჰაი-ჰაი** შორისდებულია. შემდგომ თანდათანობით ეს სიტყვა ქართულში, როგორც ჩანს, დანანებითი თუ დადასტურებითი შინაარსის მქონე შორისდებულად იქცა, მაინც და მაინც დასტურის გამომხატველ პასუხს უძღვის წინ, უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული და იქიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში გვხვდება.

— მერე ცოდო არ არის ამისთანა ბიჭი მოკედეს!... — წამოიძახა გულამოჯდომით არჩილმა და თავი ჩაჰკიდა დიდი მწუხარებით.

— **ჰაი, ჰაი,** რომ ცოდოა! — დაიღმუილა ვიღაცამ ტირილის ხმით (ილია ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“).

— მართალია, რასაც შენი მებატონე გიჩივის?

— **ჰაი, ჰაი,** მართალია.

— მაშ, შენ თანახმა ხარ მიართვა ეგ ფული?

— **ჰაი, ჰაი!** მაშ არა? მაგისთვის ჩემს სულს როგორ დავუმძიმებ...

— ...წადი, უშოვნე და ჩააბარე.

— **ჰაი, ჰაი,** ჩავაბარებ დღესვე. (ილია ჭავჭავაძე, „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“).

— მაშ, აქაც ლაპარაკობენ ჩერქეზულად?

— რად არა! **ჰაი, ჰაი,** რო ლაპარაკობენ.

— თავადაც ხომ გინდა ელგუჯას ნახვა?

— **ჰაი, ჰაი,** რომ მინდა! (ა. ყაზბეგი, „ელგუჯა“).

— ემას სუყველას კაცის ხელი ეჭირება, გაკეთება უნდა.

— **ჰაი, ჰაი,** რო ვაკეთება უნდა. მაშ, ისე ხომ არ გავუშვებთ. (ვაჟა-ფშაველა, „ფშაველი და მისი წუთისოფელი“).

— მარტო გლეხები ვერას გავხდებით.

— **ჰაი ჰაი,** რომ ვერას გავხდებით. — დაუმოწმა მარაბდელმა. (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“).

„ვეფხისტყაოსანში“ უნდა აღვადგინოთ დაწერილობა **ჰაჲ-ჰაჲ** ან **ჰაი-ჰაი** ისევე, როგორც **ვაჲ//ვაი** დაწერილობის აღდგენაა აუცილებელი. მეორე ვარიანტში (**ჰაი-ჰაი**) ინები უმარცვლო **ი**-ს (**ჲ**-ს აღმნიშვნელი იქნებოდა. დღევანდელი ქართულის შორისდებულში **ჰაი-ჰაი ი**-ნები მარცვლიანია.

[ახალ გამოცემებში შემდეგი სურათია: s-ში 1957 წლის გამოცემის **ჰაი** ყველგან შეცვლილია ასე: **ჰაჲ-ჰაჲ** (სტროფები: 309, 353, 651, 1103, 1145, 1210), დანარჩენ გამოცემებში (tuy) ყველა ამ შემთხვევაში ისევ ძველი გამოცემების **ჰაი** არის დატოვებული. აქ

მოყვანილ დანარჩენ სტროფთაგან 1595-ე და 1628-ე სტროფები არც ერთ ამ გამოცემაში აღარ შეუტანიათ.

28-ე და 526-ე სტროფებში **ჰაჲ-ჰაჲ** s-ში კვლავ ობიექტადაა გაგებული და ასეა დაბეჭდილი: **ჰაჲ-ჰაჲს ზმიდეს** და **ჰაჲ-ჰაჲს ზმიდი**. ობიექტადაა ისევ გაგებული tu-შიც, მაგრამ ამ გამოცემებში ისევ ძველი **ჰაის** იკითხება. პ. ინგოროყვამ 28-ე სტროფი ამოიღო პოემის ტექსტიდან, 526-ეში კი მანაც **ჰაის**- წაკითხვა დატოვა].

შემდგომი საკითხია პირველ ტაეპში არჩევა ორი ვარიანტისაგან ერთ-ერთისა: **გაჭრილსა** თუ **მინდორად**? ერთი მხრით, გვაქვს: „ვაჲ თუ გავიჭრა **გაჭრილსა**...“, ხოლო მეორე მხრით, — „ვაჲ თუ გავიჭრა **მინდორად**“. ამ უკანასკნელ წაკითხვას გვაძლევს S 2829 და Q 930 ხელნაწერები[54]. პირველ წაკითხვას **გაჭრილსა** მხარს უჭერს ხელნაწერთა უმრავლესობა და ტაეპში არსებობა სიტყვათა წყვილისა: **გავიჭრა — გაჭრილსა**, რაც რუსთველოლოგიაში დღეს უცილობელ ნიშნად ითვლება რუსთველურობისა. მაგრამ **მინდორად გაჭრა** ასევე დამახასიათებელი გამოთქმაა ჩვენი პოემისა და **ველად გაჭრის** სინონიმია. თუ, ერთი მხრით, გვაქვს: „მით **გავჭრილვარ ხელი ველად**“ (928), „ხელიღა ვრბოდე მე **ველად**“ (1101), „მიჰხდომია **ველთა რბენა**“ (10), „რა მიჯნური **ველად რბოდეს**, მარტო უნდა **გასაჭრელად**“ (162), „მისად რგებად **ველთა რბენა**“ (777), მეორე მხრივ სავსებით ამგვარადვეა გამოყენებული პოემაში **მინდორი**.

ისი **მინდორს აროწინებს** ტანსა მჭევრსა, მემაჯანსა (261);
სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი **მინდორს** თავსა **ვარებ**.
(279);
მედვა გული მხეცისაებრ, ათასჯერცა **მინდორს ვარო** (535);
აჰა, ძმაო, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა ვკვდები,
ხელი **მინდორს გავიჭრები**, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ ვბნდები
(656);
გული **მინდორს არ გაიჭრას**, არ იირმოს, არცა ითხოს (667);
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
.(876);
საწუთრო და სოფელს ყოფნა, კაცი უჩნსო, ვით ნადირსა,
ოდენ ხელი **მხეცთა თანა იარების მინდორს**, ტირსა (698);
თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი **მინდორთა მე რებად** (784).

---

[54] ამ უკანასკნელი ხელნაწერის ჩვენება „ვარიანტებში“ აღნიშნული არაა.

ასე რომ, წაკითხვა: **ვაჲ თუ გავიჭრა მინდორად** — სრულიად კანონზომიერია და შესაფერი პოემისათვის. **მინდორად** შეუკუმშველი ფორმითაა წარმოდგენილი იმიტომ, რომ ასეა საერთოდ მთელ პოემაში:

ვხოცეთ მხეცი უსაზომო **მინდორით** და მთით და ქედით (200);
მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან,
მერმე ვიბურთი მოედანს, **მინდორით** შემოქცეულმან (333).

ამასთან, ზმნისართი **სადა**, რომელიც ამ ტაეპში მიმართებითის ფუნქციითაა ნახმარი, მთავარ წინადადებაში მისამართ სიტყვად ადგილს ვარაუდობს და, ამდენად, **მინდორად** თითქოს უფრო შესაფერია. მაინც და მაინც ტექსტის დადგენისას მოსაზრებებს, რომლებიც მხარს უჭერს **მინდორად** წაკითხვას, სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს.

შემდგომი საკითხი ზოგადი საკითხია „ვეფხისტყაოსანში“ ძველი (ბგერაგადაუსმელი) და ახალი (ბგერაგადასმული) ფორმების ადგილის შესახებ.

პოემის უკანასკნელ გამოცემებში ეს საკითხი მარტივადაა გადაწყვეტილი. ყველგან გატარებულია ძველი (ბგერაგადაუსმელი) ფორმები. როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, ხელნაწერებში ძველი ფორმები არსად არაა წარმოდგენილი. ამ ფაქტს ადვილად ხსნიან: ხელნაწერები გვიანდელია და მათში XVII საუკუნის ენობრივი ნორმებია ასახულიო. მაგრამ, ჯერ ერთი, მიუხედავად ხელნაწერთა გვიანდელობისა, მათში რიგიანადაა დაცული XII საუკუნის ენობრივი ნორმები და ამას განსაკუთრებით ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ლექსის ენასთან გვაქვს საქმე. მეორე, შესაძლებელია დაიძებნოს ზოგიერთი ობიექტური საზომი, რომელიც იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ მაინც და მაინც ძველი ფორმების პარალელურად პოემაში ახალი ფორმებიც შეიძლებოდა გვქონოდა.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

1953 წელს პ. ინგოროყვამ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ და მრავალი ადგილი პოემისა გაასწორა. მისი გასწორება შეეხო, სხვათა შორის, პოემის 990-ე სტროფსაც, რომელიც ასე იკითხება 1951 წლის გამოცემაში (როგორც ცნობილია, პ. ინგოროყვას ამ გამოცემასთან შეფარდებით შეჰქონდა შესწორებები თავის გამოცემაში):

ცხენთა შესხდეს, გაემართნეს, ფრიდონისსა მიჰყენ სრასა.
დაიშალა ნადირობა, მოეშალნეს მხეცთა სრვასა,

ავთანდილის ჭვრეტად სპანი იქი-აქათ იქმენ ჯრასა,
თქვეს: „ასეთი ხორციელი შეუქმნია, ნეტარ, რასა!“

გასწორდა მეორე ტაეპის სარითმო სიტყვა **სრვასა**. გასწორდა ასე: **სრასა**. დასაბუთება ჩვეულებრივი იყო, სიტყვასიტყვით ასეთი: „სტროფი 990,2, რითმა „რ-ასა“. 1951 წ. გამოცემაში — „სრვასა“, გასწორდა რითმის შესაბამისად: „სრასა“[55].

ცოტა ქვემოთ პ. ინგოროყვა წერდა:

„თუ რაოდენად დეფექტურია ვეფხის-ტყაოსნის გამოცემები, ამის მაჩვენებელია კერძოდ ის გარემოება, რომ არსებულ გამოცემებში რუსთაველური რითმები მთელ რიგ შემთხვევებში დამახინჯებულად იბეჭდება, და ეს იმ დროს, როდესაც პირველ-დედნებში (ხელნაწერებში, ვახტანგისეულში) შემონახულა რუსთაველური რითმები სწორი სახით.

თუ რომელი წაკითხვაა სწორი დედნებში დაცულ სხვადასხვა ვარიანტებს შორის, და თუ რა სახით უნდა იქნეს აღდგენილი დაზიანებული სარითმო სიტყვა, ამის მტკიცე დასაყრდენი გვაქვს რუსთაველის პოეტიკაში. დოკუმენტალურ საკონტროლო ჩვენებას ამის შესახებ იძლევა რუსთაველური კატრენის — ოთხეული რითმის — წყობა“-ო[56].

ეს დაპირებები ამ შემთხვევაში მაინც და მაინც დაპირებად დარჩა და რედაქტორმა შემოგვთავაზა რითმის შესაბამისად გასწორებული ფორმა **სრასა**, რაც არც ხელნაწერებში და არც ვახტანგისეულ გამოცემაში არ არის დადასტურებული. რაც შეეხება ამ წაკითხვის დასაბუთებას, მისი წარმოდგენა გამომცემელს საჭიროდ არ დაუნახავს.

სხვათა შორის ამ გასწორებასაც მიაქცია ყურადღება ალ. ბარამიძემ თავის რეცენზიაში „ვეფხისტყაოსნის“ პ. ინგოროყვასეული გამოცემის შესახებ, გაილაშქრა ასეთი შესწორების წინააღმდეგ და დაიცვა 1951 წლის გამოცემის წაკითხვა **სრვასა**. იგი წერდა:

„მეორე ტაეპში ლაპარაკია ნადირობის, მხეცთა ხოცვის, მოსრვის შეწყვეტის თაობაზე. რუსთაველს მოხმობილი აქვს შესაფერისი ქართული სიტყვა სრვა (რომელიც პოემაში სხვაგანაც ხშირად გვხვდება). პ. ინგოროყვა რითმის გულისათვის მოითხოვს ამის შეცვლას უსწორო ფორმით სრა. სრა სულ სხვა მნიშვნელობის

---

55 ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1953, გვ. 411.

56 იქვე, გვ. 408.

სიტყვაა და ის პოეტს უკვე აქვს გამოყენებული პირველ ტაეპში. პ. ინგოროყვას შესწორების მიხედვით ისე გამოდის, თითქოს რუსთაველი იმ მიმართულებისაა, აზრი მსხვერპლად შესწიროს შიშველ, თვითმიზნურ ფორმას, თითქოს რუსთაველისათვის მთავარი იყოს ფორმა, ამასთან თითქოს რითმის ფორმალური სისწორის მისაღწევად პოეტი ამახინჯებდეს თვითონ ამ ფორმის ნორმალურ, წესიერ აგებულებას. ამავე დროს, როგორც ვთქვით, რუსთაველის ლექსში სრულიადაც არ არის სავალდებულო საყრდენი თანხმოვნის მონაწილეობა რითმაში"[57].

ცხადია, პ. ინგოროყვას შესწორება მიუღებელია, მაგრამ საკითხი უფრო მარტივად გადაწყდებოდა, არც აზრის შიშველი, თვითმიზნური ფორმისათვის მსხვერპლად შეწირვის წინააღმდეგ გალაშქრება გახდებოდა საჭირო, თუ გავითვალისწინებდით, რომ სწორედ რითმა მოითხოვს ამ შემთხვევაში ახალ ფორმას **სვრასა (სრახა, სვრახა, ჴრახა, რახა)** და ამასთან ერთად კიდევაც ასაბუთებს ამგვარი ფორმების უკვე არსებობას „ვეფხისტყაოსანში". **სრვახა** ფორმის დაცვით კი პ. ინგოროყვას შესწორების უმართებულობის დამტკიცება ძნელი გახდა.

ამ მაგალითიდან, გვგონია, ნათელია, რომ **მესვრის** ფორმა პოემისათვის ბუნებრივი შეიძლება იყოს. ყოველ შემთხვევაში ახალი ფორმების ადგილის საკითხი პოემაში გამოწვლილვით შესწავლას მოითხოვს.

მორფოლოგიურ-სინტაქსურ საკითხთაგან, რომლებიც საანალიზო სტროფში დაისმის, პირველ ყოვლისა აღსანიშნავია მსაზღვრელი სახელის შეწყობა საზღვრულთან მიმართულებით ბრუნვაში: გული ძეს **საგნად ისრისად** თუ **საგნად ისრისა?** პოემის უკანასკნელ გამოცემებში უპირატესობა პირველ (დონიან)ფორმებს აქვს მინიჭებული რედაქტორთა მიერ, თუმცა საანალიზო სტროფში **საგნად ისრისა** იკითხება ყველგან. ეს უკანასკნელი ძველი ქართულიდან მომდინარე ფორმაა, რომელსაც პოემის ხელნაწერთა უმრავლესობა უჭერს მხარს. ბუნებრივია, იგი უნდა დარჩეს საანალიზო სტროფში. რაც შეეხება მუსამე სტროფის გამოთქმის **დრო სიცოცხლისა ჩემისა** ვარიანტებს (**დროდ სიცოცხლისა ჩემისად**), ეს ვარიანტები გადამწერთა შეცდომის შედეგია.

საკლავად და **საკრავად** ვარიანტებს შორის შეიძლებოდა უპი-

---

57 ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა: „ლიტერატურული ძიებანი", IX, 1955, გვ. 470.

რატესობა პირველს მისცემოდა; ამას მხარს უჭერს ხელნაწერთა ერთი წყება და ამასთან მნიშვნელობის მხრივ მეტი შესაბამისობა ფრაზაში. რაც შეეხება ვარიანტებს **მალვა** და **ფარვა**, უპირატესობა სამართლიანად **მალვას** ეძლევა.

ლექსიკური ვარიანტების არჩევისას გადაჭრით რომელიმე მათგანის უპირატესობის დამტკიცება საერთოდ ძნელია, რამდენადაც ვარიანტები სინონიმური ხასიათისაა და მნიშვნელობის თვალსაზრისით თანაბრად ეგუებიან კონტექსტს.

ტრადიციულად მესამე ტაეპში ნათქვამი **„დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისითღა ჩანს ნასამალი“**, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არაერთხელ გახდა საერთოდ მთელი საანალიზო სტროფის კრიტიკის საბაბი: მოვიგონოთ შესედულებანი თეიმურაზ ბაგრატიონისა, დავით სარაჯიშვილისა და, ბოლოს, ა. შანიძისა. ა. შანიძემ შემოიტანა კონიექტურა **დღესითგან დღისითღას** ნაცვლად[58]. ეს წაკითხვა შეიტანა მან კიდევაც 1957 წლის გამოცემაში. და მაინც ვერც ეს წაკითხვა ფენს ნათელს ტაეპის შინაარსს. გამოთქმის — **დრო სიცოცხლისა ჩემისა „დღეიდან, ამას იქით“ მესამედი თუ გამესამედებული ჩანს** — შინაარსი ისევე იწვევს დაეჭვებას, როგორც აქამდე იწვევდა დაეჭვებას შინაარსი ამ სტროფის ძველი წაკითხვისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხს ნათელს ჰფენს ის ვარიანტები, რომლებიც წარმოდგენილია მზეხათუნისეულ (ოქსფორდულ) და H 461 ხელნაწერებში. პირველში იკითხება: „დროდ სიცოცხლისა ჩემისა დღისაღა ჩანს ნასამალი“, ხოლო მეორეში — „დროდ სიცოცხლისა ჩემისა დღისიღა ჩანს ნასამალი“.

ცნობილია, რომ დასახელებული ხელნაწერები წაკითხვათა თვალსაზრისით ხშირად ერთმანეთს იმეორებენ, მაინც და მაინც შეიძლება ერთი ნუსხიდან იყვნენ გადმოწერილი. ისიც ცნობილია, რომ H 461 ხელნაწერის თუ მისი წყაროს გადამნუსხავი რედაქტორული ხასიათის მუშაობას ეწევა და, ამდენად, ძნელია მას ნდობით მოვეპყრათ, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს პირი დაკვირვებული პირია და მშვენივრად ამჩნევს, თუ რომელი ადგილებია პოემაში დამახინჯებული. ასეა თუ ისე, რომელიმე ძველი წყაროდან მომდინარეობს ზემოთ მოყვანილი წაკითხვები, თუ ამ ხელნაწერთა გადამწერლების კონიექტურას წარმოადგენს, ეს წაკითხვები ერთადერთი შესაძლო წაკითხვები უნდა იყოს.

---

58 ეს წაკითხვა აღმოჩნდა ერთ გვიანდელ ხელნაწერში (H 412). როგორც ჩანს, წინათაც უფიქრიათ ამ სტროფზე და ანალოგიურადვე.

ამის მიხედვით გამოდის, რომ ავთანდილი ლიტოტურად ამბობს: დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისაღა (თუ დღისიღა) ჩანს ნასამალიო, ე. ი. დღის ერთი მესამედის ხანგრძლივობის სიცოცხლეღა დამრჩენიაო. ეს გამოთქმა თუ, ერთი მხრით, ლიტოტურია, მეორე მხრით, ასე თუ ისე საქმის ფაქტობრივ მხარესაც ასახავს: ავთანდილმა თინათინი უკანასკნელად ნახა წასვლის წინ, მეორე დღეს მეფისაგან ნებართვა უნდა აიღოს და გაემგზავროს, წასვლის შემდეგ კი მას თავისი სიცოცხლე გათავებულად მიაჩნია.

ორი ფორმისაგან — **დღისაღა** და **დღისიღა** — უპირატესობა შეიძლებოდა პირველს მისცემოდა, რამდენადაც ზოგად სახელებში **ის-ი** დაბოლოება პოემაში არ გვხვდება. მაგრამ ქართულისათვის ეს უკანასკნელი ფორმა უცხო არაა (ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ასეთი ფორმები ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე ქართული ენის მთის კილოებში). ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ხელნაწერთა უმრავლესობაში დადასტურებული **დღისითღა** ფორმის წყარო, უფრო მოსალოდნელია, **დღისიღა** ყოფილიყო.

ამრიგად, ტრადიციულად მესამე სტროფი ასე უნდა იკითხებოდეს: **დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისაღა (ან დღისიღა) ჩანს ნასამალი.**

[ყველა ახალ გამოცემაში (stuy) ა. შანიძის მოწოდებული **დღესითგან**-წაკითხვა დაიბეჭდა].

განსახილველი დაგვრჩა ძირითადი საკითხი — საკითხი საანალიზო სტროფის პირველი ტაეპის წაკითხვისა, კერძოდ, ამ ტაეპის სარითმო სიტყვის წაკითხვისა. როგორც დავინახავთ, რამდენიმე ხელნაწერში იკითხება **სად ალი**, რაც ერთსულოვნადაა უკუგდებული გამოცემებში, რამდენადაც არღვევს მაჯამურ რითმას და, ამასთან, განმეორებული გამოდის ტაეპში **სად**: **სადა — სად** ალი. სხვა წაკითხვებია: **სამალი, სამ ალი, სამალე**. უკანასკნელი სათვალავში არ ჩაიგდება. მ. ბროსეს და დ. ჩუბინაშვილს დაბეჭდილი აქვთ **სამალი**. სხვა გამომცემლები უპირატესობას აძლევენ წაკითხვას **სამ ალი** ასეთი გააზრიანების შედეგად: სადა... დამწვავს სამ (სამე) ალი. ტავტოლოგია ამ შემთხვევაშიც არაა აცილებული: **სამ (სამე)** ივივეა, რაც **სადმე**. თეიმურაზ ბაგრატიონს და, მასზე დაყრდნობით, გ. იმედაშვილს **სამ** ესმით როგორც **სამი**.

არც ერთი ეს წაკითხვა მისაღები არ ჩანს. აქ სულ სხვა სიტყვა უნდა გვქონდეს.

სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვა **ამალი** და განმარტებული აქვს ასე:„ანაზდად შიმშილით მობნედა“[59].

ეს სიტყვა გვხვდება „ქილილა და დამანაში“:

„ყურშა ბარდსა რასამე შინა დაემალა და ლომმა ვეღარა პოვა. შემოიქცა და ორნი ქურციკის ნუკრი ველთა მძოვარი ნახა, მათი დედა გარემოს უდარაჯებდა. ლომმა მათი შეპყრობა მოინება. ქურციკმა ტირილით ხმა უყო:

— ეჰა, ხელმწიფეო! ორისა ჩვილისა ნუკრისა მონადირებითა რაი გაძღომა მოგეცემა? ამათითა ჭამითა **ამალსაცა** ვერ მოიბრუნებო. ნუ მიზამ, თვალთა ჩემთა ჩემთა თვალის სინათლეთა ზედა ცრემლითა მტირალს ნუ შეიქო, გულსა ჩემსა ჩემისა ღვიძლისა ძლიერითა ცეცხლითა ნუ მოსთუთქაო“[60].

სულხან-საბას განმარტება და **ამალის** მნიშვნელობა ამ კონტექსტში ერთმანეთს სავსებით ემთხვევა.

სულხან-საბას განმარტება გაიმეორა ნ. ჩუბინაშვილმა („ამალი— ანაზდად შიმშილით მობნედა“), დ. ჩუბინაშვილმა („ამალი—ანაზდად შიმშილით მიბნედა пришедший в изнеможение от голода“). ორივემ მიუთითა „ვეფხისტყაოსნის“ 393-ე (ჩვენი ახალი სათვალავით 398-ე) სტროფზე. აი ეს სტროფი.

მე ვუთხარ: „დაო. შენგან ვეჰვე ამა გულისა წამალსა,
ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი ამ ალსა,
ჩემთანა წიგნსა ნუ გასწყვედ შენ ზედა-ზედა მავალსა,
თუ რას სცნობ ჩემთვის, არა ვეჰვე მე შენგან, არ, დანამალსა“.

ეს სიტყვა ყველა გამოცემაში ორ სიტყვადაა დაბეჭდილი **ამ ალსა** და გაგებულია, როგორც მიცემითი ბრუნვა მსაზღვრელ-საზღვრულისა — **ეს ალი**. მხოლოდ ვახტანგ VI-ის გამოცემაშია (სტროფი ტუგ) ერთ სიტყვად დაბეჭდილი: **ამალსა**. ა. შანიძემ ვახტანგის გამოცემის აღდგენის დროს, სხვა გამოცემებთან შედარებით და ზემოხსენებული გაგების გათვალისწინებით, რომელიც თეიმურაზისაგან მომდინარეობს („ამ ალსა—ალსა ამას, ცეცხლისა ალსა ამას გუ-

---

59 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, „ქართული წიგნი“, თბილისი, 1948.

60 ქილილა და დამანა, ა. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1949, გვ. 503.

ლისასა")[61] ეს ფაქტი კორექტურულ შეცდომად მიიჩნია და აღდგენილ გამოცემაში დაბეჭდა **ამ ალსა**[62].

ნ. ჩუბინაშვილსა და დ. ჩუბინაშვილს ამ სტროფის **ამალსა** იმავე სიტყვად მიუჩნევიათ, რაც სულხან-საბას ლექსიკონშია წარმოდგენილი. სხვა საკითხია, ასეც რომ იყოს (ხოლო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ასეა), გამოდგება თუ არა ეს სტროფი მათ ლექსიკონში წარმოდგენილი და საბასაგან მომდინარე განმარტების საილუსტრაციოდ.

ქართული ლიტერატურის ძეგლებში გვხვდება აგრეთვე **სამალი**.

ნოდარ ციციშვილის „შვიდ მთიებში" ვკითხულობთ:

ჰკადრეს: „ზმანებით უშრეტი გწვავს გულსა მზისა **სამალი**,
ვით გეაჯებით, ისმინე ჩვენგანვე ნააჯამალი:
იდუმალ, კაცთა ნამალად, ვძებნოთ სევდისა წამალი,
ბრძენთაგან თქმულა: მიჯნურთა სჯობს მიჯნურობა ნამალი"
(315).

თქვა: „მიჯნურობა კეკლუცთა არ არს კაცთაგან სამალი,
არვის ასმია მიჯნურთა კვლა მიჯნურობა ნამალი;
გაქვს მიჯნურობა მნათობთა, გწვავს გულს უშრეტად **სამალი**,
მიბრძანე, მომკალ მე შენთვის, კაცი არს კაცთა წამალი" (431).
კვლაცა უბრძანა გამზრდელსა: „შენ ხარ სევდისა წამალი,
უთუოდ მოგცე საუნჯე, რაცა მაქვს ნაათამალი;
მწადს თუმცა ხლება მის ყმისა, მასცა სწვავს მზისა **სამალი**,
არ დაიმალვის დაფარვით ეშყი, რაზომცა დამალი" (956).
ძიძასა ჰქონდა სავარდე, ტურფა, არ კაცთა ნამალი,
მუნ სავარდესა ვარდისა ბულბულსა სწვევდა **სამალი**;
მომინდის შეყრა მიჯნურთა, ვთქვი, ნუთუ მომხვდეს წამალი,
ვნახე, არ ჰქონდა გულს სევდა მათ ჩემი ნაათამალი. (1481)[63].

„შვიდი მთიების" ლექსიკონში **სამალ**-სიტყვის ასეთი განმარტებაა წარმოდგენილი მოყვანილ სტროფებზე მითითებით: 1) ისარი,

---

61 თეიმურაზ ბაგრატიონი, „განმარტება", გვ. 52.

62 ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წ., აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფილისს 1937, სტროფი ტყგ, აგრეთვე გვ. 354.

63 ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები, კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით, „ქართული წიგნი", თბილისი, 1930, გვ. 43, 56, 119, 179.

2)ცხელი ქარი, 3) სამალავი, 4) სხივი, შუქი[64]. აქ თავმოყრილია ყველა მნიშვნელობა, რაც კი სამალ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს: ისარი, სამალავი... დამახასიათებელია, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტების ცხელი ქარიც არაა დავიწყებული. რაც შეეხება უკანასკნელ მნიშვნელობას (სხივი, შუქი), ეს გაუგებრობაა, გამოწვეული იმით, რომ ზემოთ მოყვანილ სტროფებში ორ შემთხვევაში გვაქვს გამოთქმა **მზისა სამალი**. როგორც ეტყობა, **მზე** გაგებულია **მნათობად, ნავდვილ მზედ** მაშინ, როცა ტექსტში ლაპარაკია მიჯნურ ქალზე (შდრ. „ვეფხისტყაოსნის", ვთქვათ, ასეთი ადგილი: „ფატმანს უხსნია ჩემი **მზე**, სდედებია და სდებია").

ამრიგად, ძეგლებში გვხვდება გამოთქმები:

„...უშრეტი გწვავს გულსა მზისა სამალი".

„...გწვავს გულს უშრეტად სამალი".

„...მასცა სწვავს მზისა სამალი".

„...მუნ სავარდესა ვარდისა ბულბულსა სწვეედა სამალი".

ამალი გვაქვს აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" 398-ე სტროფში:

მე ვუთხარ: „დაო, შენგან ვეპვ ამა გულისა წამალსა,
ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი **ამალსა**".

სრულიად უდავოა, რომ „შვიდი მთიების" გამოთქმები პირდაპირი განმეორებაა „ვეფხისტყაოსნის" 708-ე და 398-ე სტროფების გამოთქმებისა: **სამალი წვავს, სამალი უშრეტად წვავს, სამალის დაშრეტას მოაჯეობენ**. „ვეფხისტყაოსანშიც" **ამალი** დაწვავს, **ამბით ამალის დაშრეტას** ევედრება ავთანდილი ასმათს. ამ ორი სიტყვის მნიშვნელობა საესებით ერთგვარია.

ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსანში" ორგანვე, დასახელებულ სტროფში, **ამალი** უნდა იკითხებოდეს. ეს **ამალი** იგივეა. რაც **სამალი** „შვიდი მთიებისა".

როგორიც უნდა იყოს ამალ-სიტყვის წარმოშობა. ამჯერად ჩვენთვის მთავარია ის, რომ ქართულში იგი უფრო სურვილ-ის მნიშვნელობითაა გავრცელებული, ოღონდ მნიშვნელობის მხრივ ორგვარი ნიუანსი მოეპოვება. ერთი მხრივ, იგი შიმშილით მოყმედას, შიმშილის სურვილს ნიშნავს. ეს მნიშვნელობაა ფიქსირებული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში და ეს მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას „ქილილა და დამანაში"[65]. მეორე მხრივ, **ამალი** სურ-

---

64 ნ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, შვიდი მთიები, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით, „ქართული წიგნი", თბილისი, 1930, გვ. 240.

65 ეგეთე ფუძე უნდა გვქონდეს ხევსურულ დაამლვა, დაამლულში: „ეგეთებ ძმობილები გვავთ, რო დაამლული მგელია" (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური

ვილსავე ნიშნავს სიყვარულის, ტრფობის გაგებით, ოღონდ სამალის სახით შემოუნახავს ქართული მწერლობის ძეგლებს.

სურვილი ტრფობის მნიშვნელობით ჩვეულებრივ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში"; „კლავს სურვილი და ვერ-ჰკვრეტა მისისა დამმარხველისა" (1000), „მოვუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა" (152).

სურვილი ამ მნიშვნელობით დღესაც იხმარება, განსაკუთრებით მთის კილოებში. გრ. აფშინაშვილის მიერ ფშაურში ჩაწერილ ხალხურ „ეთერიანში" ასეთი ლექსი გვხვდება:

„ქარგი ხარ, ხორცის ქადაო,
წვენ გიდგა წურვილივითა,
შაგჭამო, გულზედ მამებმი
ეთერის სურვილივითა"[66].
„სურვილი სადამ გავგზავნე,
შავკმაზე ქალებურადა:
ვის რა რა კარზე მიდგება,
შაჰყვირებს ხარებულადა,
ვის რა რა გადაეხვევა,
ატირებს ქალებურადა"[67].

„სურვილი, ანუ სიყვარული ქალურად მორთული დადის, ფშაველის წარმოდგენით, და ხარულად ყვირის"[68].

ზემომოყვანილ მაგალითთა უმეტესობაში ამალი//სამალი სურვილს, ტრფობას ნიშნავს. სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს ამალს „ვეფხისტყაოსანში".

რა ურთიერთობაა ამალ და სამალ სიტყვათა შორის?

სამალი უნდა მომდინარეობდეს ამალ-ისაგან. კერძოდ „შვიდი მთიების" სამალ-ის წყარო სწორედ „ვეფხისტყაოსნის" 708-ე

პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, გვ. 155). „საქონელს რომ ძალიან მოშიებდა, დაიამლა-ო, იტყვიან" (ა. ჭინჭარაული, ხევსურეთის თავისებურებანი. თბილისი, 1960, გვ. 233); „შიმშილისაგან დასუსტებულ პირუტყვს ხევსურები დაამლულ-ს (და-ამლ-ულ-ი) ეძახიან" (იქვე, გვ. 194).

66 ხალხური სიტყვიერება, IV, მეორე სერია, II, ეთერიანი მ. ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბილისი, 1954, გვ. 165.

67 ვაჟა-ფშაველა, ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით: თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, გვ. 96.

68 იქვე.

სტროფი უნდა იყოს. სტროფს მაჯამური რითმა აქვს — **სამალი**, მესამე და მეოთხე ტაეპების რითმის შემადგენელ სიტყვათა მნიშვნელობა ნათელია. პირველ ტაეპში **სამალი** უნდა შეედგინა **დამწვავს** ზმნის -ს სუფიქსის (სუბიექტის მესამე პირის ნიშნის) შეერთებას **ამალ-**თან: **დამწვავს ამალი**. თავდაპირველად პირველი ტაეპი სწორედ ასე უნდა ყოფილიყო გამართული პოემაში. შემდგომ საფეხურს წარმოგვიდგენს ის სურათი, რომელიც გვაქვს ხელნაწერთა ერთ ჯგუფში: **დამწვავს სამალი**: -ს სუფიქსი შეეხორცა მომდევნო სიტყვას -**ამალ**-ს, მაგრამ დარჩა, რა თქმა უნდა, ზმნაშიც. შემდგომი საფეხური **სამალ**-ის ახალი გააზრიანების ცდაა: ამ გააზრიანების შედეგად გადამახინჯებული სიტყვა იშლება ორ ნაწილად: **სამ ალი**. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ დაშლის შედეგად მიღებული ორივე ერთეული მართლაც სიტყვებია. შემდეგი საფეხურია კიდევ ახალი გააზრიანება: **სად ალი**, რომელიც მაჯამას არღვევს. ეს საფეხურიც წარმოდგენილია პოემის ხელნაწერებში.

დამწვავს სამალი არის დასაყრდენი ნოდარ ციციშვილისათვის; მისთვის **სამალი** უკვე ჩვეულებრივი სიტყვაა, უკვე დამკვიდრებულია ქართულში.

მაგრამ კითხვა ისმის: შეიძლება კი, რომ სუფიქსი ხმოვნით დაწყებულ მომდევნო სიტყვას შეეხორცოს და ახალი სახეობა მივიღოთ სიტყვისა? ამის შემთხვევები ქართულში გვაქვს.

ქართულში გვაქვს ზმნისართი **ანაბარა, ანაბარად ან ანაბარას**, რომელიც ნათესაობით ბრუნვაში შეიწყობს სახელს: **ღვთის ანაბარას, ბედის ანაბარა**[69]. ამ ზმნისართის დიალექტური სახესხვაობაა **ინაბარა, ინაბარად, ინაბარას**[70]. ამ უკანასკნელის ისევ დიალექტური სახეობაა **სინაბარა, სინაბარას**[71]. **სინაბარა, სინაბარას ინაბარა, ინაბარას** სახეობებისაგანაა მიღებული, მათი თავკიდური **ს** ამ ზმნისართთან შეწყობილი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტია, რომელიც ახლა შეხორცებულია ზმნისართთან. ასევე უხორცდება ბრუნვის ნიშნის ნაშთი **ა ამარა** ზმნისართს, -**ეულ** სუფიქსს, რომელიც შემდგომ დასავლურ დიალექტებში ოდნავი ფონეტიკური სახეცვლილებით დამოუკიდებელ სიტყვადაც იქცევა (**სოული, სოულობა**), -**ებრ** თანდებულს (შდრ. ხალხური ლექსი „**სებრო, სებრო...**“) და სხვ. ასე რომ, **ამალ**-ისაგან

---

69 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I.

70 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV.

71 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI.

ჯამალ-ის მიღების შესაძლებლობა სრულიად შეეფერება ქართული ენის ბუნებას და, როგორც ვნახეთ, დადასტურებულიცაა სალიტერატურო ქართულში.

„ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე სტროფია მაჯამურრითმიანი. რუსთველოლოგიაში ასეთი სტროფების ნამდვილობაში ეჭვი შეაქვთ: დასაბუთება ხდება ძნელი, თორემ ტენდენცია ისეთია, რომ ყველა ყალბად გამოცხადდებოდა. ამგვარ დამოკიდებულებას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ ყველა ასეთი რითმა ჯერ კიდევ ვერაა გასაგები და ამის გამო ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ საკმარისია მნიშვნელობები შემადგენელი სიტყვებისა გაირკვეს, რომ ხელოვნურობის კვალიც კი ქრება.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს არამაჯამური რითმების მიმართაც. ხშირად პოემაში სრულიად აშკარად დარღვეულია რითმა და, სამწუხაროდ, ხელნაწერებიც ვერაფერს გვშველის. მაგრამ მსგავსი რითმების შეჯერების გზით ზოგი რამის აღდგენა მაინც ხერხდება. მოვიყვანთ ორ მაგალითს.

პოემის 713-ე სტროფი პოემის უკანასკნელ, 1957 წლის, გამოცემაში ასე იკითხება:

ყმა წავიდა სევდიანი, მკერდსა იცემს, ამად ილებს,
რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და აგულჩვილებს;
რა ღრუბელი მიეფარვის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს,
მის შოყვრისა მოშორება კვლა აბინდებს, არ ადილებს.

XVII—XVIII საუკუნეების არც ერთ ხელნაწერში, არც მათგან მომდინარე XIX საუკუნის ხელნაწერებში ამ სტროფის მეორე ტაეპი ასე არ იკითხება. თითქმის ყველგანაა:

რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და გააფლიდებს.

აშკარაა, რომ ხელნაწერებში დადასტურებული გააფლიდებს ამ ტაეპში სრულიად უადგილოა. გააფლიდებს ფლიდ-სახელის ფუძისაგან ნაწარმოები ზმნაა; ფლიდ-ი ნასესხები სიტყვაა ქართულში. ქართულში მან მიიღო ის მნიშვნელობა, რაც სულხან-საბა ორბელიანს ასე ბრწყინვალედ აქვს ჩამოყალიბებული: „ფლიდი ესე არს, ვინც ოდენ ენოვანებითა მოიმადლოს კაცი და თჳსი ნება აქმნიოს, სიცრუით ამაონი, და არა შეირცხჳნოს[72].

---

72 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით.

„ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვაც გვხვდება და მისგან ნაწარმოები **ფლიდობს, გააფლიდებს, ფლიდობაც** და **გაფლიდებაც**. მნიშვნელობა ყველგან ერთგვარია და არ განსხვავდება ამ ძირითადი მნიშვნელობისაგან.

დაკარგულსა გიგონებდე, რა ვიქმნები აქა **ფლიდი?!** (782).
მოვიდეს და აწ მიამბოს, შემოვიდეს იგი **ფლიდი!** (819).
ვთქვი, თუ: „ეუთხრა, გამამეღავნებს, დარბაზს მიეა ისი ფლიდი“ (1150).
უხანობა და სიცრუვე, ვა, საწუთროსა **ფლიდისა!** (1006).
აჰა, მაქვსმცა უმისოსა ლხინი არმად, თავი **ფლიდად!** (703).
უმისყმისოდ სოფელსა და საწუთროსა მისთვის **ფლიდობს.** (754).
რა მჭვრეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა **გააფლიდონ** (988).
ორგულთა და შემცილეთა თქვენთა მე ვქმნა **გაფლიდება** (1548).
მის ყმისა ვერას ვერ მცნობი ეუხმობდი თავსა **ფლიდობით** (680).

რომ საანალიზო ტაეპში **გააფლიდებს** შეუძლებელია ყოფილიყო, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ შეეფერება მიჯნურობის იმ გაგებას და მიჯნურობისადმი იმ დამოკიდებულებას, რაც „ვეფხისტყაოსანშია“ წარმოდგენილი, ადრევე შეუნიშნავთ. კერძოდ, უკვე ნახსენები H 461 და მზეხათუნისეული (ოქსფორდული) ხელნაწერებისა თუ მათი წყაროს რედაქტორ-გადამწერთ უცდიათ ამ შეუსაბამობის გამოსწორება და ამ ტაეპის მეორე ნახევარი — **ატირებს და გააფლიდებს** ასე შეუცვლიათ: **არასოდეს დაატკბილებს**-ო. ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში პეტრე ლარაძის მიერ გადაწერილ ხელნაწერში (S 4732), რომელიც კითომდა არტანუჯული ხელნაწერიდანაა გადმოწერილი და „არტანუჯული ვარიანტის“ სახელითაა ცნობილი, აგრეთვე ამ ხელნაწერისაგან მომდინარე ზოგ სხვა ხელნაწერში, ტექსტთან შინაარსითაც და ფორმითაც უფრო შეგუებული წაკითხვა მოიპოვება: **ატირებს და აგულჩვილებს.**

მრავალმხრივ საყურადღებოა, რომ H 1079 ხელნაწერი, რომელიც „არტანუჯული ვარიანტის“ დედნად არის მიჩნეული[73], ხელნაწერთა ტრადიციას მისდევს და მასში **გააფლიდებს** იკითხება.

[73] ალ. სარაჯიშვილი, არტანუჯის ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“: ძველი საქართველო, ტ. IV, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1914—1915, გვ. 1—30.

პეტრე ლარაძის მიერ გადაწერილი ხელნაწერიდან წაკითხვა **აგულჩვილებს** ჯერ კომისიის მიერ მომზადებულ და გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემულ ტექსტში გადავიდა, ხოლო შემდგომ დ. კარიჭაშვილის გამოცემაში. ეგევე წაკითხვა გაიმეორა იუსტ. აბულაძემ თავის ორივე გამოცემაში და მერმე კ. ჭიჭინაძემაც. ბოლოს, ეს **აგულჩვილებს** 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში მოხვდა და განმეორებულ იქნა 1951 და 1957 წლების გამოცემებშიც, აგრეთვე პ. ინგოროყვას მიერ 1953 წელს.

ვახტანგ VI-ის გამოცემაშიც ხელნაწერთა ტრადიციაა დაცული: **გააფლიდებს** იკითხება. ეგევე წაკითხვაა დ. ჩუბინაშვილის გამოცემაშიც და ს. კაკაბაძის ორივე გამოცემაში, რომლებიც არსებითად უცვლელად იმეორებს ძველი ხელნაწერების ერთი ჯგუფის წაკითხვებს.

თეიმურაზ ბაგრატიონმა ეს **გააფლიდებს** რატომღაც ასე განმარტა: „უგულებელს ჰყოფს, შეურაცხს ჰყოფს"-ო[74].

სრულიად ნათელია, რომ **აგულჩვილებს** წაკითხვა თავისი დროისათვის საკმაოდ გონებამახვილური კონიექტურაა, მაგრამ ნებისმიერია და ობიექტური საფუძველი მას არა აქვს. სხვა არა იყოს რა, ამ ტაეპში მოსალოდნელია, რომ სიტყვა, რომელიც **ატირებს**-სიტყვას მოსდევს, მნიშვნელობით მისი მსგავსი, სინონიმური იყოს და, ამასთან, უფრო გაძლიერებულად წარმოგვიდგენდეს ამ მნიშვნელობას, ე. ი. სინონიმთა აღმავალი დალაგება გვქონდეს. ისიც სრულიად აშკარაა, რომ **გააფლიდებს** შეუსაბამოა მნიშვნელობითაც და ფორმითაც: ირღვევა რითმა, რითმის ამგვარი დარღვევა კი ამ სტროფში მოსალოდნელი არ არის.

მიუხედავად ამისა დასაყრდენი ჩვენთვის მაინც **გააფლიდებს**-სიტყვა უნდა იყოს. რამდენადაც იგი უნდა იყოს რომელიმე სხვა, მისი მსგავსი სიტყვის დამახინჯების შედეგად მიღებული.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსანში" ყოველთვის აუცილებელი იყოს რითმაში ე. წ. საყრდენ თანხმოვანთა დამთხვევაც, მაგრამ ამ სტროფში რომ **ილებს** რითმას წინ დ უნდა უძღოდეს, ჩვენთვის უდავო ჩანს. ერთადერთი სიტყვა, რომელიც ფორმის მხრივაც დააკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და მნიშვნელობითაც სავსებით შესაფერი იქნებოდა ტაეპში, ქართულში არის **გააფრდილებს.**

---

[74] თეიმურაზ ბაგრატიონი, „განმარტება", გვ. 90.

გააფრდილებს ფრდ-ილ-ი, განფრდილი მიმღეობის ფუძისაგან ნაწარმოები ზმნაა, მიმღეობის ფუძე კი დამყარებულია **ფარდ-** ფუძის რედუცირებულ ვარიანტზე. როგორც გამორკვეულია, **ფარდ-ფუძე** ირანულიდან მომდინარეობს ქართულში[75] და იმდენად გავრცელებულია, რომ მისგან მრავალი ფორმაა ნაწარმოები ადრიდანვე: ამ ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები ფართოდაა წარმოდგენილი ოთხთავისა და ბიბლიის ტექსტებში.

მარტო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია შეტანილი ამ ფუძისაგან ნაწარმოები რამდენიმე სიტყვა: **„განფრდა** — განსყიდა; **განფრდილი** — ნებსით თავი გაიყიდოს ჟამ-რაოდენ, გინა სრულიად გაიყიდოს; **მოფარდული** — მსყიდველი; **საფარდული** — სამოსასყიდლო; **ფრდილი** — სყიდული: **ფრდა** — სყიდვა; **გამოიფრდიდეთ**— ესე იგი არს, მოისყიდდით ჟამთა, რამეთუ დღენი მიელენან; **განმფრდელი** — გამსყიდელი; **ვერცხლისფრდილი**“. დ. ჩუბინიშვილს შეტანილი აქვს თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში და სათანადოდ განმარტებული **განფრდილი, განფრდილობა, ფარდული, მოფარდული, მოფარდულობა, მოფრდა, ფრდა, ფრდილი.** სათანადო მაგალითები ძველი ქართული ძეგლებიდან მოყვანილი აქვს დასახელებულ ნაშრომში მ. ანდრონიკაშვილს.

განფრდა ქართულში ნიშნავს **განსყიდა-ს, განვაჭრა-ს. განფრდა, განსყიდა, განვაჭრა** სინონიმებია. რამდენად ეგუება ეს მნიშვნელობა საანალიზო ტაეპს, შეიძლება თუ არა მასში ამ სიტყვის ჩასმა: რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და **გააფრდილებს** (=რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და გაყიდის)? ცხადია, პირდაპირი მნიშვნელობით (გაყიდის) ეს სიტყვა ამ ტაეპში შეუფერებელია. ამიტომ საძიებელია, ხომ არა აქვს ამ სიტყვას ძველ ქართულში მნიშვნელობის მხრივ ისეთი ნიუანსი, რომელიც შესაფერი იქნება მოცემული კონტექსტისათვის.

ილია აბულაძემ ყურადღება მიაქცია **უვაჭრელად**-სიტყვას „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ცნობილ სტროფში:

ყმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად:
რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად,
მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, **უვაჭრელად.**
კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“ (162).

---

[75] მ. ანდრონიკაშვილი, ფარდ- და გურინ-//ზრუნ-ფუძეთაგან ნაწარმოები სიტყვები ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 93, თბილისი, 1960, 199—207.

მან შენიშნა, რომ **განვაჭრა, განფრდა** სიტყვების სინონიმია ქართულში აგრეთვე **განწირვა** და რომ დასახელებულ სტროფში უკანასკნელად ნიშნავს ამას: **გაუტანჯველად, თავის განუწირველად.** ამ დასკვნამდე იგი მივიდა მცხეთური ბიბლიის ერთი ადგილის (ესთერ 7, 4) — **„განვიფრდენით** მე და ერი ჩემი წარწყმედულად“ — შეპირისპირების შედეგად ოშკურ ბიბლიასთან, რომელშიც ეს ადგილი ასე იკითხება: **„განვიწირენით** მე და ნათესავი ჩემი საკიცხელად“; აგრეთვე აბო ტფილელის მარტვილობის ერთი ადგილის ანალიზის შედეგად. აი ეს ადგილიც:

„ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყჳედ რომელიმე რეცა სიტყჳთა ლიქნისაჲთა: „შვილო, ნუ **განიწირავ** თავსა შენსა, ნუცა სიჩაბუკესა შენსა **განჰვაჭრი** ქრისტეანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა განეშორები, რაჲთა არა შეიმთხჯო ძჯრი თავსა შენსა და შეგუაწუხნე ჩუენ ყოველნი[76]. ილ. აბულაძე ადგენს **განვაჭრა**-ს შემდეგ მნიშვნელობებს: გამეტება, გაცემა, **განწირვა.**

აქედან ჩანს, რომ **განვაჭრა** და **განწირვა** სინონიმებია, ამ კონტექსტში **განვაჭრა**-ს შეესაბამება **გატანჯვაც, გაწვალებაც, გაწამებაც.**

თუ **განვაჭრა**-ს მნიშვნელობის ასეთი ნიუანსები შეიძლება ჰქონდეს, არ არის შეუძლებელი, რომ მნიშვნელობის ასეთივე ნიუანსები **განფრდა**-საც მოეპოვებოდეს. მართლაც ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში გვხვდება შემთხვევები, როცა მიმღეობა **განფრდილი** იხმარება მნიშვნელობის ამგვარი ცვლით.

„ბალავარიანში“ არის ასეთი ადგილი:

„ჰრქუა მას მზარდულმან მან: გულისჴმა-მიყოფიან ყოველნი სიტყუანი შენნი და მე კაცი ვარ **განფრდილი** ცოდვათა შინა და არღარა მნებავს ხილვად ჭურჭელი იგი, და ამას თანა იტყჳ, ვითარმედ არა მახჳლად მხედველ ვარ და არა მნებავს საწუთროსა ზედა ხილვაჲ მისი, და მე ვჰგონებ, ჭეშმარიტსა იტყჳ და არა სტყუვი“[77].

გიორგი მთაწმიდლის თხზულებაში „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“ ვკითხულობთ:

---

76 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, ილია აბულაძის რედაქციით, მარტკოფაჲ ჰაბო ტფილელისაჲ, თბილისი, 1964, გვ. 66.

77 ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1957, გვ. 29.

„ვილოცევდით და მაჯსენებდით, საყუარელნო შვილნო და ძმახო ჩემნო, მარადის, რაჲთა ყოს ღმერთმან წყალობაჲ საწყალობელისა და ცოდვათა შინა **განფრდილისა** სულისა ჩემისა თანა და შემინდვნეს ყოველნი ცოდვანი ჩემნი“[78].

სხვა მაგალითები:

„ჰგებდე ჩუჱნ თანა განუშორებელად, დედაო სანატრელო, დედა ეგე მოწყალე შჯლთა შენთა თანა ცოდუისა ბრალთაგან **განფრდილთა** და ვნებისაგან ეშმაკისა ტყუჱ-ქმნილთა და იღუაწე ჩუჱნ თანა განუშორებელად“[79].

„გიხაროდენ, საშინელებით მომავალისა მსაჯულისადმი მხურვალედ მეხვაიშნეო შუამდგომელო. გიხაროდენ, ჩუჱნ მრავალთა ცოდუათა მიერ **განფრდილთა**, მეოხებითა შენითა ღუთისადმი მოწყალისა გამაგებელო!“[80]

თუ ამ მაგალითებში **განფრდილი** ჯერ ისევ პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი (ნიშნავს **გაყიდულს**), ქვემომოყვანილ მაგალითებში ამ სიტყვის მნიშვნელობა საგრძნობლად ცვლილია.

XI საუკუნის ერთი ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ შემდეგს:

„აწცა ითარგმნა ესე ახლად ბერძნულისაგან მეტაფრასისა ყოვლად წადიერებითა და მჯურვალედ სურვილითა გაბრიელ სტეფანეს ხუცისა ჰულეველისაჲთა, რომელმან უმეტეს ზომისა აიძულა **პირუტყუთსახე** ესე გონებაჲ ჩემი ყოვლად მცირისა და უნარჩევესისა რაჲსმე თარგმანთაჲსა ეფრემისი და კადნიერ მყო სხუათა ვიეთთანა ამის დაცათარგმნად კადრებად. უკეთუ რაიმე კეთილ არს, იგი ღუთისა (ღ˙ჲ) და ზემოჴსენებულთა ამათ ლოცვისა და მადლისაჲ, ხოლო ნაკლულევანებაჲ ყოველი ჩემი არს და უღირსისა ამის ბრალთა მიერ **განფრდილისა** გონებისაჲ“[81].

განფრდილი აქ გონებას მიემართება, მისი მსაზღვრელია. ამავე ტექსტში, ცოტა ზემოთ კი იმავე გონების მსაზღვრელად გამოყენებული იყო **პირუტყუთსახე**. სრულიად ნათელია, რომ **განფრდილი** და **პირუტყუთსახე** მნიშვნელობის მხრივ ახლოს დგანან ერთმანეთთან, ერთისა და იმავე ნიშნის მიხედვით ახასიათებენ გონებას.

---

78 გიორგი მთაწმიდელი, „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბილისი, 1946, გვ. 27.

79 მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 162.

80 იქვე.

81 თ. ჟორდანია, ქრონიკები... ტ. I, ტფილისი, 1892, გვ. 221—222.

ერთი მაგალითიც.

ე. მეტრეველმა გადმოგვცა მის მიერ გადმოწერილი ანდერძი წიგნისა „ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ“ (აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცული ხელნაწერი P_3). ხელნაწერი თარიღიანია: გადაწერილია XI საუკუნეში, 1040 წელს. ანდერძში სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი:

„...აღვიძარცუეთ საბურველი იგი ბნელისაჲ თუალთაგან სულისა ჩუენისა და კნინსა ამას მწირობასა ცხორებისა ჩუენისასა დიდი გულსმოდგინებითა და წადიერებითა მოვიგეთ და აღვწერეთ თჳთ ცოდვილითა ჴელითა ჩუენითა წმიდაჲ ესე წიგნი, განმანათლებელი ყოველთა ქრისტეანეთაჲ, რომელსა ეწოდების გრიგოლ ღმრთისმეტყუელი თავით ცხორებაჲ და შემდგომად თქმულნი, და წმიდაჲ გრიგოლ ნოსელი, სწორადვე მისა დიდი და განმანათლებელი, პირველად სადიდებელად ღმრთისა და სალოცველად ფრიადთა ბრალთაგან **განფრდილთა** სულთა ჩუენთათჳს და სულთა მშობელთა, მოძღუართა, ძმათა და ყოველთა თჳსთა ჩუენთა, ცოცხალთა და მიცვალებულთათჳს“.

აქ **განფრდილი** სულის მსაზღვრელადაა გამოყენებული: **განფრდილი გონებაჲ, განფრდილი სული**. ორივე გამოთქმა არსებითად ერთისა და იმავე მნიშვნელობისაა. ამ შემთხვევაში **განფრდილი** მხოლოდ **განწირულს, გატანჯულს, გაწვალებულს, გაწამებულს** შეიძლება ნიშნავდეს.

საინტერესოა აგრეთვე ერთი მნიშვნელობა **განფრდილ**-ისა. გვხვდება იგი წმინდა გიორგის წამებაში, რომლის ავტორია სჳმეონ ლოღოთეტი, ხოლო მთარგმნელი — გიორგი მთაწმიდელი და რომელიც რამდენიმე ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული (H 1347, A 150, H 1760). წამების ტექსტში იკითხება: „ხოლო თქუენდა რომელი სასოებაჲ არს ცხორებისაჲ, რომელნი-ეგე უსულოთა კერპთა ჰმსახურებთ და სხუათა მიზეზ წარწყმედისა ექმნებით და არარათა მათ ღმერთად სახელისდებაჲ არა გრცხუჱნის, რომელი-ესე ღირს არს ყოვლისავე რისხვისა და მეხისტეხისა, რომელნი-იგი კაცნი იყვნეს მცირედ ცხორებულნი და **განფრდილნი** ყოველითა უსჯულოებითა და მთრვალობისა და ბილწებისა და კაცის კლვისა და სხჳსა ბევრეულისა ბოროტისა აღმასრულებელნი, ხოლო აწ ცეცხლსა მას შინა დაუშრეტელსა საუკუნოდ იტანჯებიან, რომელნი-იგი მიელის ყოველთა მსახურთა და მოსავთა მათთა“.

ამ კონტექსტში **განფრდილი** შეიძლება **გაშმაგებულს** ნიშნავდეს.

ეს მნიშვნელობები სავსებით ეგუება ჩვენს საანალიზო სტროფს.

ყმა წავიდა სევდიანი, მკერდსა იცემს, ამად ილებს,
რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და **გააფრდილებს.**

ეს კი შემდეგს ნიშნავს:

ყმა წავიდა დასევდიანებული, მკერდში იცემს (ხელს), ამის გამო ილებს, ილურჯებს (ცემით), რომ კაცს მიჯნურობა ატირებს და **განწირავს, გატანჯავს, გააწვალებს, გააწამებს** და შემდეგ **გაშმაგებს**[82].

განფრდა-განვაჰრა-განსყიდა-საგან ასეთი სემანტიკური გადახრები, როგორც დავინახეთ, სავსებით ბუნებრივია.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტება **განფრდილ**-ისა — „ნებსით თავი გაიყიდოს ჟამ-რაოდენ, გინა სრულიად გაიყიდოს“ — სრულიად გარკვეული ერთი კონტექსტიდან მომდინარე ჩანს.

როგორც აღვნიშნეთ, **გააფრდილებს** მიმღეობის ფუძისაგან (**ფრდილ**) ნაწარმოები ზმნაა. „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის დამახასიათებელია ფართო ხმარება ისეთი ნასახელარი ზმნებისა, რომელთათვის ამოსავალი მიმღეობური ფუძეა. ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ 956-ე სტროფი პოემისა:

თუ ერთისა მოშორვება მზისა ზამთრის გაგვამცივნებს,
მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს!
მაგრა კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ იმტკივნებს,
წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს ანუ გაამსივნებს.

გაგვამცივნებს-ზმნისათვის ამოსავალია **მცივან** მიმღეობური ფუძე, **იმტკივნებს**-ზმნისათვის — **მტკივან**-ფუძეა, ხოლო **გაამსივნებს**-ზმნისათვის — **მსივან**-ფუძე.

განხილულ სტროფთან ჩანს დაკავშირებული საკითხი პოემის 1054-ე სტროფისა, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ტაეპისა, სადაც სარითმო სიტყვად ისევ ფლიდ-ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვა გვაქვს

---

82 შდრ. სტროფი 915: მიჯნურობა საშიროა, მით სიკვდილსა მიგვაახლებს, გასწავლულსა **გააშმაგებს**, უსწავლელსა გაასწავლებს; 22: მიჯნური **შმაგსა** გვიქვიან არაბულითა ენითა.

ფლიდობა. ეს სტროფი ასე იკითხება უკანასკნელი დროის გამოცემებში:

ავთანდილს უსამ მოართვა ვაჭართა შემოთვლილობა:
„შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი ცვილობა;
რაცა გვაქვს, იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა,
რასაცა მოგვცემ, გვიბოძე, გვიქმნია აქა ყრილობა“.

ავთანდილმა მეკობრეები ამოწყვიტა და ვაჭართა ქარავანი დაღუპვას გადაარჩინა. ვაჭრებს სურთ, რითმე მიუზღონ სამაგიერო ავთანდილს და ქარავნის უხუცესი უსამი ამ სიტყვებით მიმართავს ავთანდილს.

ამ სტროფის მეორე ტაეპში სარითმო სიტყვა **ცვილობა** მერმინდელი კონიექტურაა. ძველ გამოცემებში, ვახტანგ VI-ის გამოცემით დაწყებული, ყველგან **ფლიდობა** იკითხება. ვახტანგის გამოცემა კიდევ თავის მხრივ ხელნაწერთა ტრადიციას მისდევს: თითქმის ყველა ხელნაწერში აგრეთვე **ფლიდობა** იკითხება, ხოლო ეს უკანასკნელი სიტყვა არც მნიშვნელობის მხრივ შეეფერება კონტექსტს და რითმასაც აფუჭებს: **შემოთვლილობა, ცილობა, ყრილობა და ფლიდობა**. არც ეს ფაქტი გამორჩენიათ H 461 და მზეხათუნისეული (ოქსფორდული) ხელნაწერის თუ მათი წყაროს გადამწერ-რედაქტორებს და ამ ტაეპის ბოლო ასე გადაუკეთებიათ: **„ჩვენცა გვაქვს ამის ზრდილობა“-ო** (მზეხათუნისეულშია — **ამის-დილობა**).

პეტრე ლარაძის გადაწერილი „არტანუჯული ვარიანტი“ ტრადიციულ წაკითხვას მისდევს (**ფლიდობა**), ხოლო H 1079 ხელნაწერი (დავით რექტორისა), რომელიც ამ „არტანუჯული ვარიანტის“ წყაროდ ითვლება, სულ სხვა წაკითხვას გვაწვდის: **„შენგან ვართ ხსნილნი სიკვდილით, ჩვენ ვიცით ჩვენი ქმნილობა“. ფლიდობა**-წაკითხვის შეუფერებლობა ამ შემთხვევაშიც შემჩნეულია.

ჩვენს დროში ამ ტაეპს სამართლიანად მიაქცია ყურადღება კ. ჭიჭინაძემ. მან შენიშნა რითმის დარღვევაც და შინაარსის მხრივ შეუფერებლობაც **ფლიდობა**-წაკითხვისა და წამოაყენა თავისი კონიექტურა — **ცვლილობა**: „რუსთაველს უდავოდ და ყოველი მიზეზის გარეშე ეს ადგილი ექნებოდა ასე: „შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი ცვლილობა“. რითმის გასწორების გარდა, პოეტის აზრი აქ უკვე სავსებით ნათელია, — ვაჭრები ეუბნებიან ავთანდილს: ჩვენ შენგნით ვართ გამაგრებულნი (ისინი ძალიან

შეაშინეს მეკობრეებმა) და ეს ცვლილება, რომელიც ჩვენში მოხდა, თვითვე ვიცითო“[83].

კ. ჭიჭინაძის მსჯელობა სავსებით მართებული იყო, როცა იგი **ფლიდობა**-წაკითხვის უსაფუძვლობას მიუთითებდა, მაგრამ მას არ მოუცია სერიოზული დასაბუთება თავისი კონიექტურისა **ცვლილობა**, მხოლოდ რითმა გამართა ამ კონიექტურით.

კ. ჭიჭინაძის კონიექტურა კატეგორიულად უკუაგდო კ. კეკელიძემ, თუმცა უარყო აგრეთვე ტრადიციული **ფლიდობაც**. მან საკუთარი კონიექტურა წარმოადგინა: შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი **ცვილობა**.

„რასაკვირველია, მცდარია წინანდელი წაკითხვა: „ჩვენ ვიცით ჩვენი ფლიდობა“, — წერდა კ. კეკელიძე, — მაგრამ არც ახლადშემოტანილი „ცვლილობა“ უნდა იყოს სწორი; მე ვფიქრობ, თავდაპირველს დედანში იყო „ცვილობა“ (სიტყვისაგან „ცვილი“). ამ წაკითხვით გამართლებულია რითმა და აზრიც სწორადაა მოცემული: ჩვენ ვიცით, რომ რბილი ვართ, როგორც ცვილი, მაგრამ ამ შემთხვევაში შენგან ვართ გამაგრებულიო“[84].

კ. კეკელიძის კონიექტურა დამაჯერებელი ჩანდა. მას მხარს უჭერდა პოემის სხვა ადგილებიც, სადაც **ცვილი** გამოყენებულია სირბილის აღსანიშნავად (749: „რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს გაცვილდეს, არ გატინდეს“), დაპირისპირებაც (შენგან ვართ **გამაგრებულნი**, ჩვენ ვიცით ჩვენი **ცვილობა**), რითმის გამართვაც... და მართლაც ეს კონიექტურა გაიზიარა 1937 წ. გამოცემის მომმზადებელმა კომისიამ, შევიდა საიუბილეო გამოცემაში და შემდგომ დამკვიდრდა ამ უკანასკნელისაგან მომდინარე გამოცემებშიც.

მაგრამ სრულიად არ ყოფილა გათვალისწინებული ხელნაწერთა წაკითხვები. ეს წაკითხვები კი ზოგ დაბრკოლებას უქმნის ამ კონიექტურას.

რამდენიმე ხელნაწერში **გამაგრებულნი**-ს ნაცვლად იკითხება **დაცოცხლებულნი** (S 2829, Q 261, S 4499, K 205, მზეხათუნისეული — ოქსფორდული, თარხანმოურავისეული — ოქსფორდული), **დაცოცხლებული** (H 461).

---

[83] ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, გვ. 282.

[84] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945, გვ. 163.

დაცოცხლებულნი ვერ დაუპირისპირდება ვერც **ფლიდობას** და ვერც **ცვილობას**. რას შეეძლო წარმოეშვა ეს წაკითხვა დასახელებულ ხელნაწერებში, თუ ვივარაუდებდით, რომ იგი მეორეულია? ბუნებრივია, რომ მეორე ნახევარში (სწორედ სარითმო სიტყვად) ისეთი მნიშვნელობის მქონე სიტყვა გვქონოდა, რომელიც ასეთი დაპირისპირების შესაძლებლობას შექმნიდა. ყოველივე ეს ეშვებ ბადებს: ხომ არაა ხელნაწერებში გაბატონებული წაკითხვა **ფლიდობა** ისეთივე აღრევის შედეგი, როგორიც 713-ე სტროფში გვქონდა (**გააფლიდებს — გააფრდილებს**) და ხომ არ იკითხებოდა ამ შემთხვევაშიც **ფრდილობა**? თუ ეს ასეა, **ფრდილობის** მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ისეთივე უნდა ყოფილიყო, რაც **გააფრდილებს**-სიტყვას ჰქონდა: **განწირულობა**. დაპირისპირება — შენგან ვართ **დაცოცხლებულნი**, ჩვენ ვიცით ჩვენი **ფრდილობა** (განწირულობა) სავსებით ბუნებრივი ჩანს: შენ დაგვაცოცხლე, ჩვენ ვიცით, რომ განწირულნი, დაღუპულნი ვიყავითო.

ფრდილობა განწირულობის მნიშვნელობით შეიძლებოდა მნიშვნელობის მხრივ **გამაგრებულნი**-სიტყვასაც შესამჭბოდა: შენ გაგვამაგრე, გაგვამხნევე, ჩვენ ვიცით, რომ განწირულნი, დაღუპულნი ვიყავითო. ამის გამოა, რომ ჩვენ ზემოთ არ გამოგვირიცხავს **დაცოცხლებულნი**-წაკითხვის მეორეულობა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ, პირიქით, პირველადი სწორედ **დაცოცხლებულნი** იყოს და მეორეული კი **გამაგრებულნი**.

ისიც უნდა ითქვას, რომ წაკითხვა **დაცოცხლებულნი** ისევ აღძრავს კ. ჭიჭინაძის მიერ მოწოდებული კონიექტურის — **ცვლილობის** საკითხს: **ცვლილობა** (||ცვალება) შეიძლება ხმარებული ყოფილიყო სიკვდილის, დაღუპვის გაგებით და ტაეპის გააზრიანება ასეცაა შესაძლებელი: შენგან ვართ **დაცოცხლებულნი**, ჩვენ ვიცით, რომ **დახოცილნი**, **დაღუპულნი** ვიყავითო. ასეთი ვარაუდი **დაცოცხლებულნი**-წაკითხვას დაუჭერდა მხარს.

ჩვენ აქ დავასახელეთ მხოლოდ შესაძლებელი გაგებები, შესაძლებლობა, როგორც ვხედავთ, რამდენიმეა. ამიტომაა, რომ გადაჭრით მხარის დაჭერა რომელიმე წაკითხვისათვის (კერძოდ **ფრდილობ**-ისათვის) ძნელია. ყველა შესაძლებლობა სათანადო ანგარიშის გაწევას მოითხოვს.

[ბოლოდროინდელ გამოცემებში 713-ე სტროფში ყველგან (stuy) **გააფრდილებს** დაიბეჭდა აქ წარმოდგენილი კონიექტურის თანახმად. 1054-ე სტროფში ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ **ფრდილობა** დაბეჭდეს; ასევე მოიქცა პ. ინგოროყვა, ი. აბაშიძისა და გ. წერეთ-

ლის გამოცემაში (t), აგრეთვე საიუბილეოში (u) ტაეპის მეორე ნახევარი ამ სახით დაიბეჭდა: **ჩვენცა გვაქვს ამის ზრდილობა.** ასეთი წაკითხვა მოიპოვება პოემის ორ ხელნაწერში (JT), (ოღონდ T-ში ფონეტიკურად სახეცვლილი სახით: **ამისდილობა**). J ხელნაწერის თავისებურება საკმაოდ ცნობილია რუსთველოლოგიაში!].

განვიხილავთ კიდევ ერთ შემთხვევას.

259-ე სტროფი პოემისა 1957 წლის გამოცემაში ასე იკითხება:

იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვების;
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიჯერების;
მოილოდინე, მოვიდეს, რაზომმცა დაგეყოვნების,
დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების.

სრულიად აშკარაა, რომ მეორე ტაეპის სარითმო სიტყვად **დაიჯერების** არ გამოდგება. ამას პირველად ყურადღება მიაქცია კ. ჭიჭინაძემ და ტაეპი ასე გადააკეთა: თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან არ იცნობების[85]. ამ შესწორებამ კ. კეკელიძის მკაცრი შენიშვნა გამოიწვია[86].

დაიჯერების სარითმო სიტყვის შეცვლა **არ იცნობების** გამოთქმით მართლაც არ იყო დასაბუთებული: არც მნიშვნელობით და არც ფორმით ეს სიტყვა არ ეხამება ტაეპს. ტაეპის გასწორება კი უდავოდ შესაძლებელია: ერთადერთი ქართული სიტყვა, რომელიც ფორმითაც და მნიშვნელობითაც სავსებით შეესაბამება სტროფს, არის **დაიხსოვნების (დაიკსოვნების)**. ტაეპი ასე უნდა იკითხებოდეს:

თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან **დაიხსოვნების.**

დაიხსოვნების შემოტანა სტროფში, აგრეთვე მესამე და მეოთხე ტაეპების სარითმო სიტყვების ფორმა **(დაგეყოვნების, ითოვნების)** პირველი ტაეპის სარითმო სიტყვის ფორმის საკითხსაც სვამს: **იპოვების** ნაცვლად იქ უნდა იკითხებოდეს **იპოვნების.** ამრიგად, მივიღეთ გამართული ოთხეული რითმისა: **იპოვნების, დაიხსოვნების, დაგეყოვნების, ითოვნების.** სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვნების;
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიხსოვნების;

---

[85] ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, „ფედერაცია“, გვ. 277.

[86] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“: „ეტიუდები“, II, გვ. 163.

მოილოდინე, მოვიდეს რაზომმცა დაგეყოვნების,
დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების[87].

რომ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეეფერება, ამას გვიდასტურებს სხვა სტროფები პოემისა. მაგალითად, 1614-ე სტროფში განმეორებულია 259-ე სტროფის I და III ტაეპების რითმები (რა თქმა უნდა, სხვა ფორმით). ერთი რითმა სხვაა, მაგრამ მეოთხე რითმა სწორედ **დაიხსოვნების** ფორმის შესაბამისია.

ბრძენთა ვინმე მოსწაელემან საკითხავი ესე **ჰპოვნე**:
„ესეაო მამაცისა მეტის-მეტი სიგულოვნე:
ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, **დაიყოვნე**;
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა **დაიხსოვნე**“.

გაცილებით მეტის მთქმელია 211-ე სტროფი, რომელშიაც სარითმო სიტყვებად მასდარებია იმ ზმნებისა, რომლებიც 259-ე სტროფში სარითმო სიტყვებადაა გამოყენებული.

აჰა მიჰხვდა ავთანდილსა ღაწვთა ცრემლით **არ-დათოვნა**,
რათგან ცუდად არ წაუხდა მას ეზომი გარეთ **ყოვნა**.
კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა **პოვნა**,
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა **ხსოვნა**.

თოვნა — ითოვნების, ყოვნა — დაგეყოვნების, პოვნა — იპოვნების, ხსოვნას შეეფარდება დაიხსოვნების.

იშვიათი და მრავლისმეტყველი მაგალითია!

[ახალ გამოცემათაგან s-მა გაიზიარა ეს კონიექტურა. tu გამოცემებში ისევ **დაიჯერების** არის დაბეჭდილი. პ. ინგოროყვამ 259-ე სტროფი სულ ამოიღო პოემის ტექსტიდან.]

დასასრულ, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ მოვლენას, რომელიც საანალიზო სტროფშიც გვხვდება და საერთოდ არაერთი სტროფისათვისაა დამახასიათებელი. ესაა ტაეპების გადასმა: ბევრ სტროფში ტაეპები გადაადგილებულია. ტაეპების გადასმის მიზეზი, ერთი მხრით, კალმისმიერი შეცდომა შეიძლება იყოს, მეორე მხრით კი გადამწერის განზრახული „გასწორება“. შეცვლილი ტექსტი შემდგომ გადადიოდა სხვა ხელნაწერებში და ვრცელდებოდა. მაგრამ ზოგ ხელნაწერს მაინც შემოუნახავს თავდაპირველი ვითარება.

---

87 ამ სტროფში სხვა ადგილიცაა გასასწორებელი, კერძოდ, **დაგეყოვნების** ნაცვლად **დაეყოვნების** უნდა იყოთხებოდეს, მაგრამ ამ საკითხს აქ არ ეეხებით.

დ. კარიჭაშვილმა და პ. ინგოროყვამ თავიანთ გამოცემებში გადასვეს კიდეც ტაეპი ორიოდე სტროფში, მაგრამ ხელნაწერების შესწავლა საშუალებას იძლევა ზოგ სხვა სტროფშიც ტაეპები ოფიციალური გამოცემებისაგან განსხვავებულად დავალაგოთ და მართალი ტექსტი აღვადგინოთ.

H 599 ხელნაწერში, რომელიც უძველესია თარიღიანთა შორის (გადაწერილია 1646 წელს), საანალიზო სტროფში მესამე და მეოთხე ტაეპები გადასმულია. აი, ეს დალაგება.

I. ვაჲ თუ გავიჭრა მინდორად, სადა, გლახ, დამწვავს აბალი!
II. გული ძეს საგნად ისრისა, მესვრის საკლავად საბალი:
III. მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი:
IV. დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისიღა ჩანს ნასამალი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ამ ხელნაწერს მართებული, ე. ი. თავდაპირველი დალაგება დაუცავს, რომელშიაც შინაარსი ლოგიკურად თანამიმდევრულად არის გადმოცემული. ამ დალაგების მიხედვით მეოთხე ტაეპი ბუნებრივი გაგრძელებაა მესამე ტაეპის შინაარსისა, მის ახსნას, განმარტებას წარმოადგენს, მასში განმარტებულია, თუ რატომ „გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი". ტრადიციულ ტექსტში ეს ლოგიკური თანმიმდევრობა დაცული არაა.

„ვეფხისტყაოსანში" არაერთი სტროფი გვაქვს ისეთი, რომელშიაც ტაეპები აგრეთვე გადასმულია და ამის შედეგად აზრი დამახინჯებული. მოვიყვანთ კიდევ ერთ ნიმუშს, რომელშიაც უფრო მკვეთრად ჩანს ტაეპთა გადაადგილების შედეგი.

ავთანდილი გულანშაროდან დაბრუნდა ტარიელთან ქვაბში და შეატყობინა ნესტანდარეჯანის ამბავი. ძმადნაფიცებმა გადაწყვიტეს ფრიდონთან წასვლა. „კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი", „აიღეს იგი აბჯარი თავისთავისა ქედითა, თვითო მათ, ერთი ფრიდონის საძღვნობლად შეკრეს ღუედითა" და გაემგზავრნენ მულღანზანზარს. ამას მოსდევს ეპიზოდი იმის შესახებ, თუ როგორ „ელაღობნეს" ფრიდონს და შემდეგ როგორ გაემართნენ ფრიდონის სასახლეში.

ფრიდონის სახლსა გარდახდეს ორნივე, ტურფად გებულსა.
ახლოს დაისვამს ავთანდილს, მისსა ძმად-შეფიცებულსა,
ტარიელ დაჯდა საჯდომსა, ოქსინო-გარდაგებულსა;
მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჰაბუკად ქებულსა (1383).

ეს სტროფი ამ სახითაა წარმოდგენილი პოემის ყველა გამოცემაში და ხელნაწერთა უმრავლესობაში.

სტროფის შინაარსი ასეთია: ორნივე, ე. ი. ტარიელი და ავთანდილი, გარდახდნენ ფრიდონის ტურფად ნაგებ სახლში, ტარიელი დაჯდა ოქსინოგადაფენილ საჯდომზე, ახლოს მოისვა თავისი ძმადსაფიცი ავთანდილი და მათ. ე. ი. ტარიელმა და ავთანდილმა, უძღვნეს ფრიდონს აბჯარი (ის აბჯარი, რომელიც ქვაბიდან წამოიღეს ტარიელმა და ავთანდილმა „ფრიდონის საძღვნობლად"). თუ ტაეპთა ისეთ თანამიმდევრობას დაეტოვებდით, როგორიც გამოცემებშია წარმოდგენილი, მაშინ გამოვიდოდა, რომ ტარიელმა ჯერ დაისვა ახლოს ავთანდილი და შემდეგ თვითონ დაჯდა ოქსინოგარდაგებულ საჯდომზე. იმის ვარაუდი, თითქოს ფრიდონი იყოს ის, ვინც „ახლოს დაისვამს ავთანდილს", რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

ყველაფერი ნათელი გახდება, თუ ამ სტროფში ტაეპები დალაგდება ასე:

ფრიდონის სახლსა გარდახდეს ორნივე, ტურფად გებულსა.
ტარიელ დაჯდა საჯდომსა, ოქსინოგარდაგებულსა.
ახლოს დაისვამს ავთანდილს, მისსა ძმადშეფიცებულსა.
მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჭაბუკად ქებულსა.

ტაეპები ამ სტროფში სწორედ ასეთი თანამიმდევრობითაა დალაგებული S 2829, A 363 და თარხანმოურავისეულ ხელნაწერებში.

ტაეპთა ის თანამიმდევრობა, რომელიც ძველ გამოცემებსა და მათ შორის 1937 (საიუბილეო), 1951 და 1957 წლებისა და პ. ინგოროყვას 1953 წ. გამოცემაში იყო წარმოდგენილი, აისახა თარგმანებში და ამ ფაქტმა აზრის დამახინჯება კიდევ უფრო ცხადყო. მაგალითად, შ. ნუცუბიძის თარგმანში, რომელიც, როგორც ცნობილია, დედანთან ობიექტურად ყველაზე ახლოს დგას, ეს სტროფი ასე იკითხება:

Всех гостей царя Придона красота дворца пленила.
Он собой сажает рядом побратима Автандила.
Знать на бархате прекрасном Тариэля усадила.
Вручены дары Придону, чья друзьям известна сила.

ხოლო ზაბოლოცკისაში ასე:

Дом его и мульгазанзаре отличался дивным видом.
Сел хозяин с Автандилом, побратимом именитым.
Царский трон для Тариэла был украшен аксамитом.
И оружие Придону побратимы поднесли там.

სხვა მომენტებს რომ თავი დავანებოთ, შ. ნუცუბიძის თარგმანის მიხედვით გამოდის, რომ ფრიდონმა დაისვა გვერდით ძმადნა-

ფიცი ავთანდილი, ხოლო დიდებულებმა დასვეს на бархате прекрасном ტარიელი. ბოლოს, ფრიდონს გადაეცა (გადამცემის დაუსახელებლად) ძღვენი.

ზაბოლოცკის თარგმანის მიხედვით, ფრიდონი ძმადნაფიც ავთანდილთან ერთად დაჯდა, სამეფო ტახტი ტარიელისათვის მოკაზმეს, ძმადნაფიცებმა ფრიდონს აბჯარი უძღვნეს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ უკანასკნელ ტაეპს, რომლის შინაარსი ზაბოლოცკის სწორად აქვს გადმოცემული, უნდა პირდაპირ ვთქვათ, რომ რუსთაველის სტროფში ეს არაა თქმული.

[ახალ გამოცემებში ასეთი სურათია: ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ ეს სტროფი ტაეპთა აქ წარმოდგენილი თანმიმდევრობით დაბეჭდეს; stu გამოცემებში ძველი თანმიმდევრობა დარჩა].

თუ გავითვალისწინებთ ყველაფერს, რაც ზემოთ ითქვა, საანალიზო სტროფი ასე უნდა იკითხებოდეს:

ვაჲ თუ გავიჭრა მინდორად, სადა, გლახ, დამწვავს ამალი!
გული ძეს საგნად ისრისა, მესვრის (ან: მესრვის) საკლავად სამალი!
მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი:
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისიღა (ან: დღისაღა) ჩანს ნასამალი.

ხოლო სტროფის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ:

ვაი თუ გავიჭრა მინდორში (ველად), სადაც, ვაგლახ, დამწვავს (დამდაგავს, მომკლავს) ამალი (სურვილი, ტრფობა).

გული (ჩემი) ძევს ისრის საგნად (სამიზნედ), სამალი (არბალეტი, მშვილდი) მესვრის ისარს მოსაკლავად. პატიჟთა (ტანჯვის) მალვა მსურს (მინდა, ჩემი ტანჯვა დავმალო), მაგრამ პატიჟთა (ტანჯვის) მალვის ჟამი (დრო) გარდახდა (გავიდა, გათავდა).

ჩემი სიცოცხლის დრო (ხანგრძლივობა) დღის მესამედიღა ჩანს (დარჩა, არის).

გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც საანალიზო სტროფის ტექსტის დადგენას ეხებოდა უშუალოდ, ჩვენ შევეცადეთ განგვეხილა არაერთი ისეთიც, რომლებიც ამათ უშუალოდვე უკავშირდებოდა, ამათი ანალოგიური იყო. მრავალი ასეთი საკითხი წამოიჭრება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკის დროს. ყოველი ნებისმიერი სტროფი აღძრავს საკითხთა წყებას. ამ მხრივ ჩვენი სტროფი ტიპობრივია. ჩვენი მიზანი იყო, ამ მაგალითზე გვეჩვენებინა ის სირთულეები, რომლებიც პოემის ტექსტის კვლევისას ჩნდება.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის საკითხები

წვერგამო

„ვეფხისტყაოსანში“ ყურადღებას იპყრობს **წვერგამო**, რომელიც 277-ე სტროფში გვხვდება.

ავთანდილმა მიაგნო უცხო მოყმის კვალს, დაედევნა ამ უცხო მოყმეს და კარგა ხნის შემდეგ მიადგნენ ქვაბს. აქ „ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახა დიდნი ხენია, მას ზედა ჭვრეტად გავიდა, ძირსა დააბა ცხენია, მუნით უჭვრეტდა“ და მოწამე გახდა ტარიელისა და ასმათის შეყრისა, რომლებიც ბევრი ტირილისა და მოთქმის შემდეგ „შინა შეევიდეს“ და „მას დღესა გარდახდა გამოსრულობა“. „გათენდა, ქალი გამოდგა“, ტარიელიც გამოვიდა ქვაბიდან ისევ წასასვლელად და აი

ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე მისივე კაცისა,
ულვაშ-აშლილი, **წვერ-გამო**, „ნუთუ მზეაო, — თქვა, — ცისა?“
ეყნოსა სული ალვისა, ქართაგან მონატაცისა,
ასრე უჩნს მოკლეა ლომისა, მართ ვითა ლომსა ვაცისა.

ეს „**ულვაშ-აშლილი, წვერ-გამო**“ კაცი ტარიელია.

ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ ბაგრატიონს ეს სიტყვა განმარტებული არა აქვთ. რაც მთავარია, ეს სიტყვა არ მოიპოვება არც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში; არ მოეპოვება ნ. ჩუბინაშვილსაც, მაგრამ შეტანილი აქვს დ. ჩუბინაშვილს თავის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“. აქ, წვერ-სტატიაში ვკითხულობთ: „**წვერგამო Без бороды**“, მითითებულია „ვეფხისტყაოსანზე“.

„ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელთაგან ეს სიტყვა არ განუმარტავს არც ს. კაკაბაძეს და არც კ. ჭიჭინაძეს. განმარტებული აქვთ დ. კარიჭაშვილს, იუსტ. აბულაძეს, ა. შანიძეს.

დ. კარიჭაშვილმა 1903 წელს თავისი რედაქციით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ დართულ ლექსიკონში **წვერგამო** განმარტა, როგორც **უწვერო**, როგორც ჩანს, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონზე დამყარებით. ეგეევე განმარტება გაიმეორა მან მეორე გამოცემაშიც 1921 წელს.

იუსტ. აბულაძის პირველი (1914 წ.) გამოცემის ლექსიკონში ეს სიტყვა შეტანილი არაა, მეორე (1926 წ.) გამოცემას დართულ ლექსიკონში კი ვკითხულობთ: „წვერგამო — უწვერული, პირტიტველა“. ასევე აქვს იუსტ. აბულაძეს ეს სიტყვა განმარტებული იმ ლექსიკონში, რომელიც 1937 წლის საიუბილეო გამოცემას დაერთო.

ბოლოს, ამგვარადვე განმარტავს ამ სიტყვას ა. შანიძეც 1957 წლის გამოცემის ლექსიკონში: **უწვერული-ო.**

წვერგამო უწვერულს არ ნიშნავს. ამ სიტყვის მნიშვნელობა იმავე რიგისაა, როგორისაცაა „ვეფხისტყაოსნის“ ამავე ტაეპში ნახმარი მეორე სიტყვის **ულვაშაშლილის** მნიშვნელობა. **ულვაშაშლილი** ისაა, ვისაც ეს-ესაა ახლა ამოსდის ულვაში, ახლად ამოსული ნაზი ბუსუსებით აქვს დაფარული ზედა ტუჩი, საულვაშე[1]. ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანშიც“ არის დადასტურებული და ამჟამადაც ცოცხალია ქართულში. XIX საუკუნის მწერალთაგან ეს სიტყვა უხმარიათ ილიას, ვაჟა-ფშაველას...

„ვერა ჰხედავთ, ახლად **ულვაშაშლილი** ვაჟკაცია, კაცილობსა ჰგავს? — უთხრა ყმაწვილებს გოსტაშაბიშვილმა“[2].

ზოგჯერ ავდარი დადგება,
ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია.
რა უყვათ, ბევრი უნახავ
ულვაშ-აშლილი მკვდარია![3]

ამ სიტყვის სინონიმებია: **ულვაშამწვანებული, ულვაშაყვავებული, ულვაშშეგინგლული...**[4] („გამახარე, ბიჭო, მოდი აქა! — დაუძახა სნეულმა თავის ვაჟს, ახლად **ულვაშამწვანებულ** ჭაბუკს“[5];

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VI, თბილისი, 1960.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, ტ. I, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, ტფილისი, 1926, გვ. 32.

[3] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბილისი, 1964, გვ. 62.

[4] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI.

[5] ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, გვ. 122.

„სალომეს ვაჟიშვილი 18—19 წლისა, ახლად **ულვაშამწვანებული**, ქუდმოხდილი დასდევდა დარაჯებს"[6]; „ბევრი თავმომწონე, ...**ულვაშშეგინგლული** ძაღლისხველი რჩება ხოლმე ჯვარდაუწერელი"[7]).

წვერგამოც ის უნდა იყოს, ვისაც ეს-ეს არის ახლა ამოსდის, გამოსდის წვერი. „ვეფხისტყაოსნის" საანალიზო ტაეპში **წვერგამო** იმავე რიგის ნიშნით ახასიათებს ტარიელს, რომლითაც **ულვაშშლილი**.

იმის აღსანიშნავად, ვისაც წვერი არა აქვს, პირტიტველაა, „ვეფხისტყაოსანში" მოიპოვება სიტყვა **უწვერული**:

ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა,
საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერთ **უწვერული**, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა... (40).
ორთა კაცთა **წვეროსანთა** ყმა მოჰყვანდა **უწვერული**,
თავსა იყო დაკოდილი, შეებნიდა სისხლსა გული... (197).

უწვერულს წვეროსანი უპირისპირდება: „ორთა კაცთა **წვეროსანთა** ყმა მოჰყვანდა **უწვერული**".

წვეროსანი ისაა, ვისაც წვერის ზრდა დასრულებული აქვს, ვისაც ზრდადასრულებული წვერი აქვს, ვისაც საკმაოდ გრძელი წვერი აქვს. წვერს იგლეჯენ ისევე, როგორც თმას („დგეს მონანი ნატირებნი, **დაეგლიჯა** თმა და **წვერი**": 828; „პირსა ხოკით, **წვერსა გლეჯით** გააკვირვნა მისნი მჭვრეტნი": 821; „გამოემართა ტარიელ, გამყრელნი ცრემლსა ღვრიდესა, თავსა იცემდეს, **იგლეჯდეს, თმა-წვერსა გაიყრიდესა**": 1447; „ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა, დარბაზს ხასთაგან ჯარია **ხელითა წვერთა ტაცისა, იგლეჯს** და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტკაცისა": 825). წვერზე ხელს მოიკიდებენ და მოიზიდავენ დამუქრების ნიშნად („გამკიცხე, ბოზო დიაცო, და დამდევ გასათრეველად, მაგრა სცნობ ხვალე პასუხსა მაგა საქმისა მზღვეველად: ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაჭმეველად, დავწალო, წვერთა ფუ მიყავ, ხელიღა ვრბოდე მე ველად! — ესე თქვა და კაცმან **წვერთა მოიზიდნა**, გაელნა კარნი": 1101 — 1102).

ამგვარად, გვაქვს სამი სიტყვა: **წვეროსანი, უწვერული** და **წვერგამო. წვეროსანისა** და **უწვერულის** მნიშვნელობა ნათელია. **წვერგამო** არც უწვერულია და არც **წვეროსანი**. ეს სიტყვა იმაზე ითქმის, ვისაც წვერი ეს-ეს არის ამოსდის, ე. ი. **ულვაშშლილი** და

---

6 ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, გვ. 89.

7 ს. მგალობლიშვილი, მოთხრობები, ტ. I, თბილისი, 1926, გვ. 39.

წვერგამო ერთგვარ მდგომარეობას აღნიშნავენ კაცისას, პირველი — ულვაშის ამოსვლის მხრივ, ხოლო მეორე — წვერის ამოსვლის მხრივ.

რომ ეს სწორედ ასეა, ამას სხვა საბუთებიც ამტკიცებს.

წვერგამო გვხვდება „ქილილა და დამანაში". აქ იგი მოიპოვება ასეთ კონტექსტში:

„მან ყმამან სლვა იწყო. მგზავრ ერთსა ჯაბუკსა შეხვდა, **ახალ წვერგამო, ბეწვსათსა**, ტურფად შვენიერსა, დია სუფთასა, დიდად კეკლუცსა, მისი შეყრა და მეგობრობა დიდად გაეხარა. რა თვალი შეადგა, მეტად გაჰკვირდა: სილამაზითა სრული, რომელსა ტანადობითა შემწვანებული კვიპაროზი დაეჩაგრა, მისის სახისა შვენიერებისა შურის ცეცხლსა მთვარისა გული დაეშანთა, მისი **ახალაშლილი წვერ-ულვაში საშროშნისა ბიბინსა ჰგვანდა**, მისი პირი — ვარდისა სუნელსა ფურცელსა და ამბარცხებულსა ყაყაჩოსა"[8].

აქ აღწერილი ყრმა **წვერგამოა, ახალ წვერგამო**, ამავე დროს **ბეწვსათი**, ე. ი. **სათისფერი, შავი ბეწვი, წვერი აქვს**. ამასთან, ამ ყრმაზე ნათქვამია, რომ მას **ახალაშლილი წვერ-ულვაში** აქვს: ეპითეტი **ახალაშლილი** ულვაშთან ერთად წვერსაც მიემართება. ეს **ახალაშლილი წვერ-ულვაში საშროშნის ბიბინსა ჰგავს**, ე. ი. **წვერი ბიბინებს ულვაშთან ერთად შროშნის ველივით, საშროშნესავით.**

ზემოთ მოყვანილ პროზაულ ტექსტს „ქილილა და დამანაში" ჩვეულებისამებრ გალექსილიც მოსდევს, შაირი:

ვარდთა, ჯინჭველაშეყრილთა, უგვანდა ღაწვთა არენი,
შროშანზედ ამბრის მარცვალი ეყარნეს მისაჯარენი,
რკინისა ჯაჭვთა შეპყრობით შუა შეეგდო მთვარენი,
განცვიფრდის მისი მჭვრეტელი, თუ ნახის მოცინარენი![9]

მაშასადამე, ამ ყრმას „ღაწვთა არენი" მიუგავს ვარდს, რომელსაც ჯინჭველა შეაყარეს (ვარდი პირია, ღაწვები; ზედ შეყრილი ჯინჭველა — ახალაშლილი წვერი). იგივე „ღაწვთა არენი" მას მიუგავს შროშანს, რომელზედაც დაყრილია ამბრის მარცვლები (შროშანი — პირი, ღაწვები; ზედ დაყრილი ამბრის მარცვალი — ისევ ახალაშლილი წვერი).

ცოტა ქვემოთ იმავე ყრმის შესახებ შემდეგია ნათქვამი:

---

[8] სულხან-საბა ორბელიანი, ტ. II, გვ. 282, ა. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1962.

[9] იქვე, გვ. 282.

სათსა და გიშერს გაეწნა ბროლ-ლალთა მიდამონია,
ვერცხლს გარე ხავსი მოჰკროდა, თვალთათვის საამონია[10].

(ბროლ-ლალთა მიდამო პირია, ღაწვები; სათი და გიშერი — წვერ-ულვაში; ვეცხლი — ისევ პირი, ღაწვები; ხავსი — წვერი და ულვაში).

ეს ყრმა წვერგამოა, ე. ი. ისეთი, რომელსაც ახალამოსული აქვს, უკეთ, ახლა ამოსდის წვერი.

იმავე „ქილილა და დამანაში“ სხვა ადგილას წვერგამო ყრმასთანაა შედარებული რუს პირას აბიბინებული ბალახი.

გულის გამღები, ცნობის წამღები გაშლილობანი ულხენდა სულსა.
ჰაერის მცემი, ღონის მომცემი, გონებას ხსნიდა, ჰკურნებდა წყლულსა,
რუს პირს მწვანენი, ამო არენი, წამს შეიქმოდა თვალმხიარულსა,
წვერგამო ყმასა ვამსგავსე მასა, შეუნიერებით ტურფა და სრულსა[11].

თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ „ქილილა და დამანას“ გალექსილი ადგილები სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის, ეს კიდევ უფრო სარწმუნოს გახდის წვერგამოს იმ მნიშვნელობას, რომელსაც ზემოთ მოყვანილი კონტექსტები წარმოგვიდგენს.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს სიტყვა გაცილებით ადრე ყოფილა დამკვიდრებული ქართულში და საკმაოდ გავრცელებულიც. იგი სალიტერატურო ქართულის ძველ ძეგლებში გვხვდება. მაგალითად, იგი რამდენჯერმე გვხვდება ისეთ ძეგლში, როგორიცაა „ზღაპრობანი ელინთანი“. მოვიყვანთ სათანადო ადგილებს.

„ლაკონიკელ უწოდეს ლაკედემონელთა, რომელთა რაჟამს ენებოს მოქალაქეთა და მჯედართა თჳსთა ახოვან ყოფად წყობათა შინა, ამისთჳს დღესასწაულნი შემოკრიბნიან და წინაშე ბომონთა ჭაბუკთა წუერგამოთა გამოსცდიდიან მრავალგზის მიმთხუევითა ჴოლტებისაჲთა და, რომელმანცა უფროჲსი დაითმინოს, უმრავლესი ნიჭი მიანიჭინ მას ვინაცა აწ მოძღუარი იტყჳს, ვითარმედ ესევითართა წესთა სრულ ჰყოფდეს დღესასწაულსა არ-

10 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 283, ა. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1962.

11 იქვე, გვ. 122.

ტემისსა, რომელსა აწ ღმრთად ქალწულად უწოდს, რამეთუ ამისთჳს შოლტითა იცემებოდიან წუერგამონი ჰაბუკნი ვიდრე სისხლთა დათხევამდე ბომონთა ზედა მისთა, ვითარცა ზეშთა ყოვლისა მოშიშებისა მჴნედ მოთმინენი, რომელნი სიჩუკნესა პატივსცემდეს ამით, რამეთუ საშმელ მრავალ ჰყოფდეს დღესასწაულსა მისსა და მათ მიერ შუებითა დაჲედლებოდეს...“[12]

„ნათესავნი ნომადთანი [სკკ]თთაჲ განვიდეს ავაზაკობად და დაუტევნეს მონანი და (...ნი) სახლთა შინა მათთა მოქმედებად ყოველისა. ხოლო ჩუეულებაჲ აქუნდა სკკთელთა, რამეთუ პირველად დააბრმიან მონანი თჳსნი და ესრეთ ჴელთ უდვიან შემყოფელ[ო]ბ[ა]სა [მათსა]. ვინაჲცა დაეყოენა რაჲ ავაზაკობად გან[ს]რ[ულ]თა [მათ] სკკთთა, ცოლნი მათნი თანაეყვნეს დამბრმალთ[ა] მ[ონათა] მათთა და შვილნი. ხოლო მო-რაჲიქცეს სკკთნი, იპოვნეს მონათაგანნი იგი ძენი ცოლთა მათთანი ჰაბუ[კად] წუერგამოდ და წინაგანმწყობად მათთა. და იქმნა [რაჲ] ბრძოლაჲ, იძლინეს და მეოტ იქმნნეს ავაზაკობით მოსრულნი იგი წინაშე პირსა მონათთესლთა მათ თჳსთასა, ვიდრემდის ერთმან სკკთთაგანმან ასწავა მათ ღონე, რაჲთა არა ჰბრძოდინ მათ საჭურველითა, ვითარცა სწორნი სწორთა, არამედ შოლტებითა, ვითარცა უფალნი მონათა. ხოლო ესე რაჲ ყვეს, მყის დაუმდაბლდეს იგინი, ვითარცა მონანი შეშინებულნი შოლტებისაგან უფალთა თჳსთაჲსა“[13].

მოყვანილი კონტექსტები ორი თვალსაზრისითაა საინტერესო. ჯერ ერთი, წვერგამო დადასტურებულია ძველ ძეგლში, მეორეცაა და, ეს კონტექსტები საყურადღებო ცნობებს გვაწვდის წვერგამოს მნიშვნელობის გასარკვევად.

ამ ორ ნაწყვეტში წვერგამო სამჯერაა გამოყენებული და სამსავე შემთხვევაში ჰაბუკ-სიტყვის მსაზღვრელად: ჰაბუკთა წუერგამოთა, წუერგამონი ჰაბუკნი და ჰაბუკად წუერგამოდ. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ წვერგამო არ შეიძლება უწვერულს ნიშნავდეს: ჰაბუკი ისეთი ასაკის ალმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა ქართულში, როცა ვაჟი უწვერული არ შეიძლება იყოს. ამ მხრივ

---

[12] „ზღაპრობანი ელინთანი“, ილ. აბულაძის გამოცემა: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X, გვ. 16. თბილისი, 1941.

[13] იქვე, გვ. 43.

მრავლის მთქმელია სულხან-საბა ორბელიანის სიტყვები: ოცის წლითგან ვიდრე ოცდაათამდე ვაქსა ჰაბუკი ეწოდებისო[14].

წვერგამოს მნიშვნელობის გასარკვევად ძალიან საყურადღებოა ერთი ადგილი „დავით და კოსტანტინეს მარტვილობიდან“. აქ ვკითხულობთ:

„ხოლო იყვნეს წმინდანი ესე ქალწულ ჯორცითა და მეცნიერ ძუელისა და ახლისა სჯულისა, ჰეშმარიტნი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა. რამეთუ იყო დავით უხუცეს დღითა, ჰაეროან და სპეტაკ ჯორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და კშირ წუერითა. ხოლო კოსტანტი შუენიერ გუამითა და მოწაბლე თმითა და წუერ გამო, და ორნივე სავსე სულითა წმიდითა“[15].

ამ კონტექსტში არსაიდან ჩანს, თითქოს წუერ გამო უწვერულს ნიშნავდეს და კოსტანტი უწვერული იყო. აქედან ჩანს, რომ დავითი იყო „უხუცეს დღითა“ (ე. ი. ის უფროსი იყო კოსტანტინეზე) და „კშირ წუერითა“ (ე. ი. მას უკვე ხშირი, ზრდადამთავრებული წვერი ჰქონდა). ხოლო კოსტანტი (კოსტანტინე) უმრწემესი ძმა იყო და შესაბამისად „წუერ გამო“ (ე. ი. ისეთი, რომელსაც წვერი ამოსდის, მაგრამ ზრდადამთავრებული წვერი არა აქვს, არ არის „კშირ წუერითა“)[16].

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში გვხვდება წვერგამო-ფუძისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი წუერგამოობა. ეფრემ მცირის თარგმანში „ზეცათა მღდელთმთავრობისათჳს“ ვკითხულობთ:

„ხოლო არს, ვითარ-ესე მგონიეს, თითოეულისა ამის ჯორციელისა მრავალნაწილობისა ჩუენისა გუარი შემსგავსებულ ხატპოვნილ ზეცისათა მათ ძალთა ესრეთ თქუმითა, რამეთუ სახედველთა ჩუენთა ძალისა საჩინოებად ცხად ჰყოფს მათთჳს საღმრთოჲსა

---

[14] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ს. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928, ჯაც-ბუდეში.

[15] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბილისი, 1946, გვ. 235.

[16] ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოქვეყნებული „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის“ I ტომს დართული აქვს საკმაოდ ვრცელი ლექსიკონი, შედგენილი მიხ. ჭაბაშვილის მიერ. მიხ. ჭაბაშვილს მოყვანილ კონტექსტზე დაყრდნობით განმარტებული აქვს წუერ გამო ტრადიციულად: უწვერულიო. მაგრამ იგი სავსებით სამართლიანად დაეჭვებულა ტრადიციული განმარტების სისწორეში და ამ განმარტებისათვის კითხვის ნიშანი დაურთავს.

ნათლისა მიმართ ბრწყინვალედ აღხილვასა და კუალად მისვე ჩჩკლსა და ნოტიასა და არა წინააღმდგომსა, არამედ მალიად მოძრავსა და წმიდასა და აღპყრობილსა უვნებელად შეწყნარებასა ღმერთმთავრობითთა გამობრწყინვებათასა...

ხოლო ჰაბუკ წუერ გამოობითა ჰასაკთაჲთა — მარადის აღორძინებულებასა ცხოველობითისა ძალისასა"[17].

ამ კონტექსტის მიხედვით წვერგამოს მნიშვნელობის დადგენა, რა თქმა უნდა, შესაძლებელი არაა, მაგრამ იგი იმითაა საყურადღებო, რომ უკვე ეფრემ მცირის დროს ეს სიტყვა იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ ახალი ფუძეების საწარმოებლადაც კი გამოუყენებიათ.

წვერგამოს მნიშვნელობას სავსებით ნათელყოფს მეორე შემთხვევა მისგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელის ხმარებისა, რაც გვხვდება გიორგი კაპადუკიელის ცხოვრების ერთ მეტაფრასულ რედაქციაში, რომელსაც ჩვენამდე XIII საუკუნის ხელნაწერით მოუღწევია.

„მაშინ უკუმ მკედართყმებისა თანა იყო საკჳრველიცა ქრისტეს მკედარი გეორგი, შთამომავალი უკუმ კაპადუკიელთა სოფლით, ნათესავით არა უჩინოჲ, ძე ქრისტეანეთა მშობელთაჲ და სიყრმითგან კეთილმსახურებასა განსწავლული, რომელი, არღა დამწყებელი წუმრგამოობისაჲ, ობოლ-იქმნა მამისაგან კეთილმსახურებისა ღუაწლთა შინა აღსრულებითა მამისათა, ხოლო დედითურთ აღდგომილი კაპადუკიით პალესტინედ დაემკვიდრა მიერ მყოფობისათჳს დედისა მისისა, ვინაჲ მრავალ იყუნეს მისსა მონაგებნი და სამკჳდრებელი დიდი აქუნდა"[18].

ამ კონტექსტიდან წვერგამოს მნიშვნელობა სავსებით ნათლად ჩანს. წვერგამო-ფუძისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი წუერგამოობა ახლავს მსაზღვრელად არღა დამწყებელს. ამის მიხედვით ამ ნაწყვეტში ნათქვამია: გიორგის წვერგამოობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული, როდესაც დაობლდა, მამა გარდაეცვალაო. წვერგამოობა რომ უწვერულობას ნიშნავდეს, ეს ფრაზა სრულიად უაზრო აღმოჩნდებოდა (უწვერულობის არღა დამწყებელი!). მაგრამ წვერგამოობა წვერის გამოსვლას ნიშნავს და, ამ-

---

17 პეტრე იბერიელი, შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბილისი, 1961, გვ. 145.

18 ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი, გელათის ფონდი, 7, გვ. 325 v.

დენად, ფრაზის შინაარსი ნათელიცაა და აზრიანიც: გიორგის წვერის გამოსვლა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული, როდესაც მამა გარდაეცვალაო, ე. ი. სრულიად ახალგაზრდა იყოო.

XVI—XVII საუკუნეების ძეგლებში **წვერგამოს** გარდა ამავე მნიშვნელობით გვხვდება სიტყვები: **წვერგამომავალი** და **წვერგაუთავებელი**. ამათგან **წვერგამომავალი წვერგამოს** სრული სახეობა ჩანს.

„რუსუდანიანში" ვკითხულობთ:

„მეორეს დღეს დაერჩივნენ, სანამ ხოსრო გამოვიდოდა, ბერი კაცნი, შეიმოსნენ თეთრითა, ყველასა წიგნები ეჭირა და იდგნენ ერთ თაბუნად. მხცეშერეული კაცი ერთ ყოშუმად იდგნენ. რომელი რომლისა სახელოსა უფროსი იყო, მისი ნიშანი ეჭირათ. მართლა დროს კაცნი, რომ არც ბერნი იყვნეს და არც ვაჟნი, ისინი იდგნენ და იმათ ყველას ფრინველი უსხდა. **ახალ წვერგამომავალი** ერთგან იდგნენ, ყველას ჩოგნები ეჭირათ"[19].

სხვა ადგილზე:

„ერთი კაცი მოვიდა, **ახალ წვერგამომავალი**, და ეგრე მითხრა: ვაი, რა ყმაწვილი ხარო, რომ აქ ფარაღათით სწევხარო!"[20]

თეიმურაზ II-ის მიერ ნათარგმნ „თიმსარიანში" ასეთი ადგილი გვხვდება:

„ჩემს თვალს იმისთანა ჯაბუკი კაცი არ უნახავს: **ჯერეთ წვერგაუთავებელი, ახალულვაშაშლილი**, მზის მსგავსი იყო, ბაგეიაგუნდი, ტანად ახალნორჩ ალვის ხეს გვანდა"[21].

„რუსუდანიანის" ნაწყვეტში ერთმანეთს არიან დაპირისპირებული **ბერი კაცნი, მხცეშერეულნი, მართლა დროს კაცნი** და **ახალ წვერგამომავალნი. ბერი კაცნი** მოხუცებულნი, ხანში შესულნი არიან; **მხცეშერეულნი** ისინი არიან, ვისაც თმა-წვერ-ულვაშში **ხცე, თეთრი** გამორევიათ; **მართლა დროს კაცი** ის არის, ვინც არც ბერია, არც ვაჟი, ზრდადამთავრებული ვაჟკაცია; ამათ უპირისპირდებიან **ახალ წვერგამომავალნი.**

„თიმსარიანის" ნაწყვეტში **წვერგაუთავებელი ახალ ულვაშაშლილის** გვერდით იხმარება ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის" სა-

---

19 რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 304.

20 იქვე, გვ. 446.

21 თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1939, გვ. 160.

ანალიზო სტროფში **ულვაშაშლილი** და **წვერგამო**, და იმასვე უნდა ნიშნავდეს, რასაც **წვერგამო**.

ისიც აღსანიშნავია, რომ წვერი და ულვაში ყოველთვის ერთად მოიხსენიება. ჯერ ულვაში ამოსდით და მერმე წვერი.

იმავე „თიმსარიანში“ ასეთი ადგილიც არის: „ზაულისტანის ქვეყანას ერთი ვაჟი კაცი იყო, რომე კაცის თვალით მის უკეთესი ყმა კაცი არ ინახოდა; ტანად გრძელსა საროსა ჰგვანდა, თვალნი შავს მელნის ტბას უგვანდა, წარბი — გოზაგაზიდულს არყის მშვილდსა, პირი — გავსილსა მთვარესა, **ახლის შავისა სუმბულისა ფერი წვერი ეხვეოდა, ულვაში ლამაზად იისფრად აშლოდა...**“[22].

„ქილილა და დამანაში“ ვკითხულობთ: „ხელმწიფესა ერთი შინამოსამსახურე ჰყვა, სახეშვენიერი, ახალი ჭაბუკი, ყმაკაცი, **ახლად წვერ-ულვაში ხავსისებრ მოხვეოდა**“[23].

კიდევ უფრო საყურადღებოა არჩილ მეფის მიერ გალექსილი „ვისრამიანის“ ერთი ადგილის ვარიანტი: „რამინ ასე მოიწიფა, **ვარდსა ია მოეხვივა, საულვაშე აუმწვანდა, ვითა აპრილმან ააღივა**“[24].

ვეფხისტყაოსნის ამ საანალიზო სტროფის გამოძახილს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნისავე“ ერთ-ერთი ჩანართი სტროფი, რომელშიც ავთანდილის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

საწოლს ზის პირმზე ავთანდილ, გავს ანდერძისა მწერებად,
თვალნი მელნისა წამწმითურთ, წარბი გიშრისა ფერებად,
ახლა აშლია ულვაში, ია ეხვევის წვერებად,
არაბეთს როსტევანისთვის მზე ლამის დანაწვერებად[25]

აქაც წვერი და ულვაში ერთადაა წარმოდგენილი. ეს კია, რომ **„ჯერთ უწვერული“** ავთანდილი ინტერპოლატორმა **წვერგამო** გახადა (**„ია ეხვევის წვერებად“**).

ნათქვამიდან ჩანს, რომ **„ულვაშაშლილი, უწვერული“** შეუძლებელი გამოთქმაა, მაშასადამე ასევე შეუძლებელი უნდა ყოფილიყო გამოთქმაც **„ულვაშაშლილი, წვერგამო“**, რომელიც პირვე-

---

22 თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობაიას რედაქციით, 1939, გვ. 192.

23 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 380.

24 არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, ტფილისი, 1936, გვ. 299.

25 ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი მეორე, გამოსაცემად მოამზადა ლ. კეკელიძემ, ა. ბარამიძის რედაქციით. თბილისი, 1961, სტროფი 959.

ლის იდენტური მნიშვნელობისა აღმოჩნდებოდა იმ შემთხვევაში, თუ **წვერგამოს უწვერულად** მივიჩნევდით.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე ის შეპირისპირება, რომელიც „ამირანდარეჯანიანის“ დამატებაში გვხვდება: „რა ესე ფალავანისა კაცი წარვიდა, კარავი კარავსა იყო მობმული. თორმეტი ათასი დარჩეული, ჯაჭვითა შეკაზმული არაბი ახლდენ. ოთხმოცი ოქროს ჯოხიანი კაცნი თავსა ადგნენ. სამნი მათნი უფროსნი კაცნი ოქროსა სელებითა დიდსა კარავსა შიგან სხდეს. ერთი შუა კაცად იყო, მეორე — **ახალწვერიანი** და მესამე — **უწვერო**. მათ უშვენიერესი არა ინახებოდა-რა. ჯაჭვები ტანსა ეცვათ და მუზარადები მუხლთ ზედან ეწყოთ“[26]. **ახალწვერიანი წვერგამოს** მომდევნო საფეხურის აღმნიშვნელი სიტყვა ჩანს, მაგრამ მასთან მნიშვნელობით ძალიან ახლოს მდგომი.

ქართული ენის თანამედროვე კილოთაგან ფშაურში ახლაც იხმარება ამავე მნიშვნელობისა და ამგვარივე წარმოების სიტყვები: **წვერშემომდინარი** და **წვერშამომავალი**.

ვაჟა-ფშაველას „მოხუცის ნათქვამში“ ასეთი სტრიქონები აქვს:

რა ვნახე მეფის ქაღალდი,
გულმა დამიწყო ფრიალი...
თვალთ მომეჩვენა ვაჟკაცთი
ომი, შუბ-ხმალთა ტრიალი.
ყმაწვილად ვიყავ მაშინა,
ახლად წვერშემომდინარი,
ომი ქორწილი მეგონა,
სისხლის რუ — წყაროს მდინარი[27].

ხოლო ბაჩანას პოემაში ვკითხულობთ:

დედის ერთაა იმედა,
ჭაბუკი გამომავალი,
მთიბელ-მომკალში პირველი,
ახლად წვერშამომავალი[28].

---

26 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, II, თბილისი, 1949, გვ. 125.

27 ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 9.

28 ბაჩანა, თხზულებანი ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 330.

დაახლოებით ამგვარი მნიშვნელობა აქვს **წვერდაწამებულსაც**, ოღონდ შეიძლება „წვერიანობის“ უფრო ადრეულ საფეხურს გამოხატავდეს:

„სკოლა თუ არ მოსწონს სოფელს, მასწავლებელი რადღა მოსწონს? იმიტომ, რომ ახალგაზრდა კაცია, **ახლად „წვერდაწამებული“**, ხათრიანობს, ხალხის სიყვარული აქვს, ყველას ძმობით ესაუბრება, ყველას თავმდაბლად ეპყრობა“[29].

ყმაწვილად ვიყავ ჯერ ისევ,
ახლად წვერდაწამებული...[30].

წვერშამამავალი, ახალწვერშამამავალი ხევსურულშიც გვხვდება:

გამომაყოლეს მოყმეი **ახალ-წვერ-შამამავალი**,
ვიდინეთ, ვერ დამეწივა მუჯლი ჩემ ჯობდა მავალი[31].

ამ ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი:

აგეთზე გამოუფრინდი, არ იყო ჩამოსავალი.
ქაჯთ მოყმე გამამიყენეს **ახალ-წვერშამამავალი**.
ვიდინეთ, ვერ დამეწივა, მუჯლით მე ვჯობდი მავალი[32]

სხვა ადგილას:

მოგიკლავთ ბეწიკუაი, ძმა იყო ძელიმ-ხნისაო,
ახალ-წვერ-შემომავალი, ვაჟა თექვსმეტი წლისაო[33].

ოღონდ, საქმე ისაა, რომ **წვერი** ხევსურულში ულვაშს აღნიშნავს[34], მაგალითად, ხევსურულშიეე გვაქვს სიტყვა **წვერუხვეველი**. **წვერუხვეველია** ახალგაზრდა, რომელსაც ჯერ არ ამოსვლია ულვაში. ამდენად, მნიშვნელობის მხრივ ეს სიტყვა სალიტერატურო ქართულის ულვაშაშლილთან დგას ახლოს ისევე, როგორც ხევსურულისავე **წვერშამამავალი** ან **ახალწვერშამამავალი**. რაც შეეხება

---

29 ვაჟა-ფშაველა, ტ. V, გვ. 256.

30 ვაჟა-ფშაველა, ტ. IV, გვ. 152.

31 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931, გვ. 114.

32 იქვე, გვ. 486.

33 იქვე, გვ. 247—248.

34 ა. შანიძე, ლექსიკონი ბეს. გაბუურის ხევსურული მასალებისა: ქართული საეროსამეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I—II, გვ. 318.

წარმოებას, ამ მხრივ სრული ანალოგია გვაქვს ძველ მწერლობაში დადასტურებულ ფორმებთან.

ძველი **წვერგამო, წვერგამომავალი, წვერგაუთავებელი** და მისთ. სინონიმებია, მათ შორის მნიშვნელობის მხრივ განსხვავება მხოლოდ ნიუანსური ხასიათისა შეიძლება იყოს.

საყურადღებოა, რომ ამ სიტყვებს ჩვეულებრივ ერთვის მსაზღვრელი **ახალი** ან ზმნისართი **ახლად**. რომ ამ სიტყვათა მნიშვნელობა **უწვეროს, უწვერულს** უდრიდეს, მათთან **ახალ, ახლად** სიტყვათა დაკავშირება მნიშვნელობის მხრივ შეუძლებელი იქნებოდა: **ახალ უწვერული** ან **ახლად უწვერული** მნიშვნელობის მხრივ შეუძლებელი შეხამებებია[35].

ამრიგად, **წვერგამო** რთული ფუძეა, რომელიც შედგება **წვერ**-ფუძისა და **გამო**-პრევერბისაგან. მისი სრული სახეობაა **წვერგამოშავალი**. პრევერბის დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევა სხვაც არის, თუნდაც იმავე „ვეფხისტყაოსანში“. „ქალსა შესწბა, გაუკვირდა ავთანდილის გვერდსა ჯდომა, ფერი ჰკრთა და გაუფიცხა შე და **გამო** გულმან კრთომა“ (1544). ეს **გამო** და **წვერგამოს გამო** ერთი და იგივე ოდენობებია.

პრევერბების დამოუკიდებლად ხმარება წიგნური ფაქტი არ უნდა იყოს, არც **წვერგამო** ჩანს ხელოვნურად ნაწარმოები სიტყვა. იგი, ჩანს, ხალხური მეტყველების დამახასიათებელი ყოფილა და იქიდან შესულა სალიტერატურო ენაში. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდართული სახეობები ზმნისართული მნიშვნელობით დადასტურებულია ძეგლებში, მაგალითად: „ვეფხისტყაოსანში“: „შეის ხასობს, **გაის** ქუშობს, ენა ასრე მოაყივნებს“ (761), „რუსუდანიანში“: „ებძანა: პირველ ჩემის მოწიფულობისა გამოჩენისა და ომის დაწყების ალაგი ეს არისო და აქ დავდგები, სანამდი ქერაგ მოვიდოდეს, მიისაც აქ შემომეყარაო და **მოისაც** აქ მოვიცდიო“[36].

„არჩილიანში“:

მისცეს ამათ საფიცარი, თქვეს, თუ: „ფიცად, მგონივ, კმარის,
ჩვენს მამულში არა ევნოს, მაგრა **მოის** გზა არ არის,
მოის ქსანზედ წამოვიდენ, შიში ნუ აქვთ აის დარის“[37].

---

35 მაგრამ შდრ. ზემოთ მოყვანილი მაგალითი „ამირანდარეჯანიანის“ დამატებიდან: **ახალწვერიანი**.

36 რუსუდანიანი, გვ. 232, იხ. აგრეთვე ლექსიკონი.

37 არჩილიანი, II, გვ. 77.

ასეთი ფორმები დღესაც ცოცხალია ქართული ენის კილოებში: ფშაურში, გურულში: „ვინცხა იყო, ძველი სიტყვებიო — კითხულობდენ. მე უთხარი: ახლა რო ვამბოფთ „აქეთობას“, წინათ ვიტყოდით „მოისობას“, — „იქითობას“, — „მიისობას — თქვა[38]. შდრ. აგრეთვე ანდაზა: [ვალი] მიის მიიციონდეს, მოის მოიტიროდესო.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1965 წლის 19 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ვ. წიკლაურის წერილი „შენიშვნები ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი ადგილის შესახებ“. ავტორი სამართლიანად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ **წვერგამო** ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც უწვერული, პირტიტველა. ავტორის სიტყვით, „ტარიელი იმ ასაკისა აღარ არის, რომ ჯერ წვერი არ ჰქონდეს ამოსული“, ამდენად, მისი აზრით, **„წვერ-გამო** ნიშნავს წვერგამოსულს, წვერმოშვებულს“. მაგრამ ვ. წიკლაურს, სავსებით სამართლიანად, შესაძლებლად მიაჩნია მეორე მოსაზრების დაშვებაც: „თუ ტარიელს უფრო ახალგაზრდად ჩავთვლით, მაშინ შეიძლება „წვერ-გამო“ მივიჩნიოთ შემოკლებულ ფორმად სიტყვისა წვერგამომდავალი, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ნიშნავს იმ ასაკის ჭაბუკს, როდესაც წვერი პირველად გამოსდის“.

ვ. წიკლაური სამართლიანადვე მიუთითებს, რომ „წვერ-გამოს გარკვევისათვის მნიშვნელობა აქვს ულვაშაშლილის სწორად გაგებასაც“, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ყოყმანობს: „თუ ულვაშ-აშლილი ნიშნავს მომეტებული გაზრდისაგან აშლილს, გაბურძგნულს, მაშინ დასაშვებია წვერ-გამოს გაგება, როგორც წვერგამოსული, წვერგაუპარსავი, ხოლო, თუ იგი ახალულვაშამოსულს ნიშნავს, მაშინ აზრობრივად ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია წვერ-გამოს გაგება წვერ-გამომავალის შემოკლებულ ფორმად“-ო.

როგორც დავინახეთ, ერთადერთი მნიშვნელობა **წვერგამოსი** მხოლოდ ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს.

სავსებით მართებულადაა განმარტებული **წვერგამო** აგრეთვე ე. მეტრეველის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რომელიც დართული აქვს „ქილილა და დამანას“ უკანასკნელ გამოცემას[39].

---

38 ლ. ლეჟავას მიერ 1959 წ. სოფ. სურებში ჩაწერილი მასალიდან.

39 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1962.

„ვეფხისტყაოსნის“ 798-ე სტროფი ამჟამინდელ გამოცემებში ასე იკითხება:

არ-დავიწყება მოყვრისა არდეს გვიზამს ზიანსა;
ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!
ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა.
რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასლვა-გვიანსა?!

ამ სტროფიდან ამჯერად ყურადღება გვინდა მივაქციოთ მეორე ტაეპს: „ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“, რომელშიაც გვხვდება სიტყვა **აუგიანსა**.

წაკითხვა — **ვჰგმობ კაცსა აუგიანსა** 1937 წლიდან დამკვიდრდა. იგი პირველად მიიღო საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენმა კომისიამ ზოგიერთი ხელნაწერის ჩვენებაზე დამყარებით; შემდეგ ეს წაკითხვა გაიმეორეს 1951 და 1957 წლების გამოცემებში, ამასთან, მოხვდა ა. შანიძის მიერ შედგენილ ლექსიკონშიც, რომელიც 1957 წლის გამოცემას დაერთო; ეგეთე წაკითხვა გაიმეორა პ. ინგოროყვამაც თავის 1953 წლის გამოცემაში; ეგეთე წაკითხვაა მ. წერეთლის 1961 წლის პარიზულ გამოცემაშიც.

მანამ პოემის ტექსტის ყველა გამოცემაში ერთი და იგივე წაკითხვა იყო, მომდინარე ვახტანგის 1712 წლის გამოცემისაგან (სტროფი ღპ): „ვგმობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატიანსა“. ასე იკითხებოდა ეს ტაეპი მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, 1888 წლის კომისიის (გ. ქართველიშვილის), დ. კარიჭაშვილის (ორივე), ს. კაკაბაძის (ორივე), იუსტ. აბულაძის (ორივე), კ. ჭიჭინაძის გამოცემებში. ამ გამომცემელთაგან სამი უკანასკნელი (ს. კაკაბაძე, იუსტ. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე) 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებიც იყვნენ და, როგორც ჩანს, მათ დათმეს ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე წაკითხვა.

როგორც აღვნიშნეთ, 1937 წლისა და შემდგომი გამოცემების წაკითხვა **აუგიანსა** „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებისაგან მომდინარეობს, ამ ხელნაწერთა შესწავლის შედეგია. მართლაც. ძველ ხელნაწერთაგან რამდენიმეში მოიპოვება ასეთი წაკითხვა, მაგრამ ხელნაწერების მეორე ჯგუფში **უაუგოსა** იკითხება.

ამრიგად, ხელნაწერებში სტროფი იკითხება ან ასე: „ვგმობ (ვჰგმობ) კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატიანსა“, ან ასე: „ვგმობ (ვჰგმობ) კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“. ვახტანგის გა-

მოცემა ხელნაწერთა პირველ წყებას ემყარება, ხოლო ზემოთ დასახელებული ძველი გამოცემები, თავის მხრივ, ვახტანგის გამოცემების წაკითხვას იმეორებდნენ. 1937 წლის გამოცემის კომისიამ, 1951 და 1957 წლების გამოცემათა რედაქტორებმა და პ. ინგოროყვამ აირჩიეს მეორე წაკითხვა და იგი დამკვიდრდა კიდეც.

ამჟამად ცნობილია კიდევ ერთი წაკითხვა, რომელიც Q 930 ხელნაწერს დაუცავს: „ვჰგმობ კაცსა ცრუსა, მუხთალსა და მერმე ღალატიანსა", მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ[1].

ტაეპი „ვჰგმობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატიანსა" მარტივ წინადადებას წარმოადგენს. ამ წინადადებაში გვაქვს ობიექტი (კაცსა), რომელსაც სამი მსაზღვრელი ახლავს: **უაუგოსა, ცრუსა, ღალატიანსა**. სრულიად ცხადია, რომ ეს მსაზღვრელები ერთგვარია და დაახლოებით ერთგვარი ნიშნის მიხედვით უნდა ახასიათებდეს საზღვრულ სახელს — კაცსა.

ცრუ-ს მნიშვნელობა ცნობილი იყო და არის; ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში" სხვაგანაც გვხვდება: „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჴრელად" (162); „ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მჭმნელია" (339); „ყოველი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს" (776); „ცრუ კაცი კარგად ვერა იქმს საქმესა გაძნელებულსა" (1344). გვხვდება პოემაში ამ ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვებიც: **სიცრუე||სიცრუვე** (118, 526, 789, 790, 1006, 1025, 1213), **უცრუო** (1412); ზმნური ფორმები: **ცრუობს** (776), **ვეცრუვები||ვეცრუები** (797, 852), **მეცრუა** (845), **ვეცრუვე** (845), **გეცრუო** (413).

ისიც აღსანიშნავია, რომ **ცრუ** მსაზღვრელად ერთ შემთხვევაში **მუხთალ**-სიტყვასთან ერთადაა გამოყენებული, ხოლო ორ შემთხვევაში ისევ **ღალატ**-ფუძისაგან ნაწარმოებ **მოღალატე**-სიტყვასთან ერთად.

რამდენჯერმე გვხვდება პოემაში აგრეთვე სიტყვა **ღალატი** (424, 440, 537, 1619) და მისგან ნაწარმოები **მოღალატე** (162, 468, 776), **სალალატო** (433); ზმნათა ფორმები: **გღალატობენ** (434), **მიღალატეს** (596), **გიღალატებს** (1081). საანალიზო ტაეპში ხმარებული **ღალატიანი** იმავე **მოღალატეს** ნიშნავს. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა, მაგალითად, „ვისრამიანში": „არ ყუელაისა

---

[1] Q 930 ხელნაწერის ეს წაკითხვა, გარკვეული მიზეზის გამო, არ მოხვდა „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა ვარიანტებში, რომელიც რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა.

გული შენებრ ღალატიანი არის და არ ყოველი კაცი შენებრ შეუპოვარი არისო“ (გვ. 108)[2].

ამავე რიგის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ცხადია, უაუგო-საც. აქვს კი?

როგორც უაუგო, ისე აუგიანი აუგ-ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვებია. აუგ-ფუძე ნასესხებია ქართულში საკმაოდ ადრევე[3], მაგრამ ფართოდაა ხმარებული XII—XIII საუკუნეების ძეგლებში. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება აუგი და მისგან ნაწარმოები ფუძეები აუგიანი, უაუგო, საუგო „ვისრამიანში“.

აუგს და მისგან ნაწარმოებ სიტყვებს ასე განმარტავენ.

სულხან-საბა ორბელიანი: აუგი — სარცხვნელი; ეაუგა — სარცხვნოდ აღუჩნდა; საუგო — აუგის ადგილი.

ნ. ჩუბინაშვილი: აუგი — სარცხვნელი, საკდემელი სიტყვა ან საქმე (ვეფხისტ.), срам, срамота, აუგიანი — საუგო, სასირცხვილო (მუნვე), срамный, зазорный; უაუგო — ურცხვ, უნამუსო (ვეფხისტ.)[4].

დ. ჩუბინაშვილი: აუგი — სარცხვინელი, საკდემელი სიტყვა ან საქმე, стыд, срам, срамота; აუგს დავსდებ срамить, хулить; აუგიანი — უშვერი, срамный; აუგიანობა — უშვერება срамота (ვეფ., ვისრ.). უაუგო — ურცხვი, უნამუსო: бесстыдный, бессовестный; უაუგობა — ურცხვობა, უნამუსობა, бесстыдство (ვეფხ., ქილ., ვისრ.)[5].

დ. კარიჭაშვილი: აუგი — სირცხვილი; საუგო — სათაკილო, საზრახავი; უაუგო — უსირცხვილო[6].

იუსტ. აბულაძე: აუგი — სირცხვილი; უაუგო — აუგის ვერ მგრძნობი, ურცხვი. ხელოვნური ფორმაა: საზოგადოდ, ჩვენი პოეტის თავისუფლებას პრეფიქსების ხმარებაში საზღვარი არა აქვს.

---

[2] ვისრამიანი, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, ტფილისი, 1938.

[3] სხვა რომ არა, საკმარისია დავასახელოთ „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“, რომელშიაც გვხვდება როგორც აუგი, ისე აუგიანი (Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, грузинский текст, издание, перевод Н. Марр, ТР VII, С.-Петербург, 1911, LXIII)

[4] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი.

[5] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი.

[6] „ვეფხისტყაოსანი“, მეცხრამეტე გამოცემა დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, ტფილისი, 1903; „ვეფხისტყაოსანი“ დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1920.

უაუგო როგორც opp. აუგიანი, უნდა ნიშნავდეს შეუბღალავს, უძრახს, აუგის არ მქონეს, შეად. აუგიანი[7].

აუგი — სირცხვილი, შერცხვენა; **უაუგო** — აუგის ვერ მგრძნობი, ურცხვი; უაუგო, როგორც opp. აუგიანი, უნდა ნიშნავდეს შეუბღალავს, უძრახს, აუგის არა მქონეს, შეად. აუგიანი[8].

აუგი — სირცხვილი; **საუგო** — სასირცხვო, გასაკიცხი, დასაძრახი; უაუგო — ურცხვი, აუგის ვერ მგრძნობი, როგორც opp. აუგიანი, იგი უნდა ჰნიშნავდეს, პირიქით, შეუბღალავს, უძრახს, აუგის არა მქონეს[9].

აუგი — სირცხვილი, საუგო — სამარცხვინო, გასაკიცხი, დასაძრახი[10].

აუგი — კადნიერება, ნაკლი, სირცხვილი, საკიცხი, საძრახავი; **აუგიანი** — შერცხვენილი, გაქილებული, მოყივნებული, გაბასრული, სირცხვილეული[11].

აუგი — სირცხვილი, საზრახავი, საკიცხავი, ნაკლი[12].

აუგი — ბიწი, ნაკლი, დანაშაული, ბრალი, ცილი ან ცილო. სირცხვილი. ძრახი; საძრახისი რამ. საძრახავი, სახელის გასატეხი ან მაყივნებელი სიტყვა ან საქმე. **აუგიანი** — სირცხვილეული, სახელგატეხილი, შერცხვენილი, გაბასრული, გათრეული, ყბადაღებული, მოყივნებული; **საუგო** — სამარცხვინო, სათაკილო, საძრახისი; **უაუგო** — ურცხვენელი, შეუგინებელი, მოუყივნებელი, სახელგაუტეხელი, აუგის არა მქონე, უმწიკვლო, უბიწო. უმანკო[13].

---

7 იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, XII საუკ. ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". „ძველი საქართველო". საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. I, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, ტფილისი. 1909, გვ. 117, 154.

8 ვეფხისტყაოსანი, იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქტორობით, ტფილისი, 1914, ლექსიკონი.

9 ვეფხისტყაოსანი. იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქტორობით, ტფილისი, 1926, ლექსიკონი.

10 იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე. ლექსიკონი, დართული „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო გამოცემას, თბილისი, 1937.

11 შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1916, ლექსიკონი.

12 შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, ტ. II, იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს, ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს, პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს და ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, ლექსიკონი იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს ა, ტფილისი, 1934.

13 ვისრამიანი, ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს, პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს და კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით, ლექსიკონი იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს ა, ტფილისი, 1938.

ს. ხუნდაძე: უაუგო — უსირცხვილო (აუგი — სირცხვილი)[14].

ს. კაკაბაძე: აუგი — სირცხვილი; საუგო — სათაკილო[15].

ა. შანიძე: აუგი — სირცხვილი, სასირცხო საქმე; აუგიანი; საუგო — სასირცხო[16].

ა. გვახარია და მ. თოდუა: აუგი — სარცხვინელი (საბა), ნაკლი, შეცოდება. აქედან: აუგიანი, უაუგო (იხ.); აუგიანი — შერცხვენილი, სახელგატეხილი. უაუგო — იხ. აუგი[17].

ჩვენ დავასახელეთ მხოლოდ ლექსიკონები „ვეფხისტყაოსნისა" და აგრეთვე „ვისრამიანისა" და „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიებისა. აუგი და მისგან ნაწარმოები სიტყვები სხვა ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ მნიშვნელობის მხრივ განსხვავება არ ჩანს, მით უმეტეს ცალკე ძეგლებს დართულ ლექსიკონებში არაა ასახული.

აუგის, აუგიანისა და საუგოს განმარტება, თუ ზოგიერთ მრავალსიტყვაობას არ მივიღებთ მხედველობაში, დაახლოებით ერთგვარია, უაუგოს განმარტება ერთმანეთის საწინააღმდეგოა.

აუგი — სირცხვილი, სამარცხვინო საქმეა, აუგიანი — შერცხვენილი, სახელგატეხილია, საუგო — სათაკილო, სამარცხვინო, თუმცა განსხვავებას აქაც ვხვდებით: საუგო, ხულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მაგალითად, აუგის ადგილია.

უაუგო, ერთი მხრით, განმარტებულია როგორც ურცხვი, აუგის ვერ მგრძნობი, ხოლო მეორე მხრით, როგორც ურცხვენელი, აუგის არა მქონე, სახელგაუტეხელი, უბიწო, უმანკო. ამ მხრივ დამახასიათებელია პოზიცია იუსტ. აბულაძისა, რომელიც ერთსა და იმავე ლექსიკონშიც კი ერთმანეთის გამომრიცხავ განმარტებებს წარმოადგენს.

ყველაფერს ამას თავისი საფუძველი ჰქონდა, რაც ნათელი გახდება, როცა გაირკვევა ამ სიტყვათა მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნისა" და „ვისრამიანის" მასალის მიხედვით პირველ ყოველისა, ხოლო შემდგომ მოშველიებული იქნება სხვა ძეგლთა ჩვენებები.

---

14 ს. ხუნდაძე, შოთა რუსთველი, ქუთაისი, 1921, გვ. 197.

15 ვეფხისტყაოსანი. ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბილისი, 1927, ლექსიკონი.

16 ა. შანიძე, ლექსიკონი, დართული „ვეფხისტყაოსნის" 1957 წ. გამოცემას.

17 ვისრამიანი, ა. გვახარიას და მ. თოდუას რედ., თბილისი, 1962, ლექსიკონი.

„ვეფხისტყაოსანში“ აუგი გვხვდება სამჯერ, ერთხელ გვხვდება ამ ფუძისაგან ნაწარმოები აუგიანი და ერთხელაც საუგო, მეექვსე სადავო შემთხვევაა, საანალიზო სტროფს ეხება. აი, სათანადო სტროფები:

თქვა: „დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა,
აუგი და მოყივნება არად შესწორს ყოლა კრულსა“ (1093).
ესე ღმერთსა მისაგვრელად მისად ჩვენთვის მოუგვრია,
მივუტანოთ არმაღანად, დაგვიმადლებს მეტად დია,
თუ დავმალავთ, დავმჭლავნდებით, მეფე ჩვენი ამაყია,
პირველ — მათი შეცოდება, მერმე დიდი აუგია (1233).

ავდეგ, მსხდომნი ნადიმობით აემზადნეს ასაყრელად;
შადი ეუთხარ, „ნუ ასდგებით, მოვალ ხანთა დაუზმელად“;
გამოვე და საწოლს შევე, მონა დადგა კარის მცველად.
გული მივეც თმობა-ქმნათა, აუგისა საკრძალველად (371).

თავს უთხრა: „მოკვე, გიჯობსო სიცოცხლეს აუგიანსა;
მიხვალ, დაგხვდების თინათინ, — ანათებს დღესა მზიანსა, —
გკითხოს მის ყმისა ამბავი, რა გმართებს ვაგლახიანსა?“ (191).

რა მოგშორდე, მახსენებდი, სიყვარული ჩემი გქონდეს;
არ ვეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს.
ხამს, მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს.
მძულს, რა კაცსა საუგო საქმე არა არ შესწონდეს (785).

მოგვყავს მაგალითები სხვა ძეგლებიდან.

ვინ მოისმინნეს ესე ამბავნი, ცნეს სოფლისა ამის აუგნი, უხანობა და მუხთლობა (ვისრ., 8).

რაზომცა უსწორო ტანისამოსი შეუკერო, სამოცსა ფერსა აუგსა დასდებს (ვისრ., 10).

ჩვენ მათგან აუგსა და მოყივნებასა შიგან ვართ (ვისრ., 19).

მას ომსა შიგან ეგეთი ჭაბუკები იყვნეს, რომელ სახელისა-თუის ტკბილნი სულნი გაეწირნეს და სიკუდილისაგან არ ეშინოდა, აუგსა და გაქცევას ეკრძალვოდეს (ვისრ., 23).

რაზომცა აუგი უთხრან მიჯნურსა მიჯნურისა, მიჯნურობასა მისისა გულისაგან ვერცა ეგრე აღმოიღებენ (ვისრ., 32).

ნახე, თუ საწუთრომან ვისსა ზედა რა ქმნა: გაზარდა ნებიერად, აუგსა აკრძალა სახელი მისი (ვისრ., 51).

თუცა იტყუიან მამაცისაგან ტირილსა აუგად, ჩემგან ამით საკამსოა, რომელ ესეთისა მოყურისა სიშორესა ვიგონებო (ვისრ., 133).

აწე სირცხუილი და ღმრთისა შიში მოიგონე და ნუ ხარ მავნებელ შიგან, რომელ აუგითა აგუავსნე (ვისრ., 90).

აუგისაგან პირი ასრე გამშავებია, რომელ ხუთასისა ზღუისა წყალი ვერ დამბანს (ვისრ., 131).

მონანო და აზნაურნო, ამ დღისათვის თქვენ ქებულნო, ომს სიზანტე აუგია, სიმხნეზედა დადებულნო (არჩ., 1, 163).

ეგ სახე და სიმშვლე სახლიდამ გარ გაგიტანია! ესეთი აუგია, ბოლომდე საგმობელად დარჩებისო (ქილ. დამ., 20).

ხელცარიელი მონადირისაგან შინ მისვლა აუგიაო (ქილ. დამ., 278).

ეს ჩვენთვის დიდი აუგი იქნების, რომე მათ ვერას მივეხმარნეთ (რუს., 121).

ტახტ-გვირგვინისა აუგო, რად არა შეგრცხვენდებიან? (შაჰ., 4354).

ჩემი სახელმწიფო ყოვლისა ავის აუგისა საქმისაგან განწმედილი დამიგდია, სამართლით სავსე და მტერთაგან მოურეველი (თეიმ. II, 222).

სიყუარულსა გულად აღარავისსა ჩაუშვებ და არცაღა ესეთსა საქმესა უკანაუდგები, რომელ უკუნისამდის აუგიანი დავრჩეთ (ვისრ., 172).

მე, რომლისა ძმისაგან აუგიანი ვარ, მისსა სიცოცხლესა სიკუდილი მირჩევნია (ვისრ., 98).

შენ თუით იცი, თუ ჩუენ ორთა შუა რომელი უფრო აუგიანი ვართ (ვისრ., 205).

დიდისა ჯელმწიფისა ცოლი მომაცთუნვე, თავისა გუარი და ნატამალნი აუგიან ჰქმნენ (ვისრ., 205).

ყველა პატიოსანი აუგიანი გიქმნია და ყოვლისა კაცისა სახელი გაგიტეხია. შენებრითა უსირცხუილობითა არავინ მინახავს და არცავინ ჩემებრ შეუჯერებელი. შენისა აგეთისა სიყუარულითა სირცხუილი წამსლვია (ვისრ., 164).

გვიჯობს სიკვდილი ქებული, თავის გაწირვა ნებითა, სიცოცხლე მოყივნებულსა, აუგიანსა ვნებითა (ქილ. დამ., 287).

აუგიანს სიცოცხლესა სჯობს სიკვდილი, ცხონდეს სული (შაჰ., 159).

ნუთუმცა ამით დავეკვსენ ამა **აუგიანობასა**, რომელსა შიგან ვარ (ვისრ., 288).

სხვას კაცსა ნუმცა უქმნია ესეთი **სიაუგენი** (ქილ. დამ., 392).

ვირეცა ქუეყანასა შიგან კაცი იპოების, მუნამდინცა დაიდების ესე სირცხუილად ჩემი ამბავი: **საუგოდ** და საარაკოდ ქმნილვარ (ვისრ., 162).

თუმცა თავისა მიმყოლი არ იყო და ჩემისა სიკუდილისაგანცა უფროსსა **საუგოსა** და უსამართლოსა არ მიზმიდა, ჯელმწიფობისა ჩემისაგან დიდსა ნაყოფსა ჰპოებს (ვისრ., 155).

ღმერთმან იცის, არა **საუგო** სიძე ვარ, სასახელო ვარ და ესრე ჩემგან რად აბეზარ იქმნები, ჩემთა მტერთა რად მიერთვი? (ვისრ., 34).

ჩემსა თავსა, ტანსა და პირსა ზედა რა არის **საუგო** და არკარგი? (ვისრ., 281).

ვიზედაც ჰირი მენახა, ხელმწიფე და ხელმწიფიშვილი — ყველა დამეხოცა, მე დავრჩი ასე თემისაგან **საუგოდ** გამხდარიო (რუს., 244).

იქაურობის მორთულობისა ისრე სხვა არა იყო რა საკვირველი, რომ სიწმინდე: არას ალაგს ვერა ვნახე **საუგო** (რუს., 212).

შენსა ხელმწიფესა **საუგო** საქმე აქმნევინე და პირი და პაემანი გაატეხინე და ქვეყანასა ზედა მოაყივნე და ესეთი სირცხვილი თემთა გაჰფინე (ქილ. დამ., 138).

შენ თავისა **აუგსა** ვერა ჰხედავ და მოყუარესა **უაუგოსა** ეძებ (ვისრ., 284).

უაუგო, სრული და კეკლუცი იყოს და, ვინცა ნახოს, ყუელასა მოეწონოს (ვისრ., 12).

რა ესე ბრძანება ესმა ვისსა, შეენებით **უაუგოსა**, მოაბადის სიტყუისაგან მეტისმეტად გამხიარულდა (ვისრ., 94).

დიაცის ენა მახია კაცისა **უაუგოსა** (ქილ. დამ., 378).

აჰა, აწ მოსრულა ჟამი შეირცხუინო, ძმისაგან პატიჲი სძებნო და ლაშქართაგან **უაუგობა** (ვისრ., 172).

არა მგამა, თუ თოვლსა შიგან მოვკუდე, არც არად **მეაუგების** შენთუის სიკუდილი (ვისრ., 267).

[მოაბადს] გაქცევა **ეაუგებოდა** და გურგანით ამულს მიჰმართა (ვისრ., 316).

რომელიცა თქვენთვის **გეაუგებოდესთ**, ნურც თქვენ სხვათ უზამთ (თეიმ., II, 201).

თუ ესეთისა ყოფნისაგან ეტიროდი, ნუ გიკუირს, ნუვინ მიაუგებთ (ვისრ., 209)[18].

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ **აუგი**, ერთი მხრით, **სირცხვილის სინონიმია**, ამასთან **სამარცხვინო საქმეა**; ამისგან ნაწარმოები აუგიან-ი **შერცხვენილია**, იმას ალნიშნავს, ვინც **შეარცხვინეს**, ვისაც **აუგი დამართეს**, **საძრახისი საქმე დამართეს**, **სირცხვილი აჭამეს** ან ვინც **შერცხვა**, ვისაც **აუგი დაემართა**, **საძრახისი საქმე დაემართა**, ვინც **სირცხვილი ჭამა**, **აუგით აივსო**.

აუგიანი შეიძლება გახდეს ისიც, ვინც ბუნებით პატიოსანია, ვისაც **აუგი** არ ახასიათებს. **აუგიან-ფუძისაგან** ნაწარმოებია აბსტრაქტული სახელი **აუგიან-ობა**.

აუგ-ფუძისაგანაა ნაწარმოები **სა-აუგ-ო**, რაც **სამარცხვინოს**, **სათაკილოს** ნიშნავს, და აგრეთვე თავისებურად ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი **სი-აუგ-ე**.

ბოლოს, **აუგ-ფუძისაგან** არის ნაწარმოები **უქონლობის** მნიშვნელობის **უ-აუგ-ო**, ხოლო ამ უკანასკნელისაგან აბსტრაქტული **უაუგობა**.

აქ მოყვანილი მაგალითების მიხედვით **უაუგო** ისაა, ვისაც **აუგი არ დამართია**, **არ შერცხვენილა**, **დასაძრახი საქმე არ შეხვედრია**; გარდა ამისა, **ის**, **ვისაც ნაკლი არა აქვს**, **უნაკლოა**. „ვისრამიანში“, მაგალითად, ეს სიტყვა მხოლოდ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი, ხოლო გვხვდება ხშირად.

ამრიგად, გვაქვს **აუგიანი**, რაც თითქმის ყველგან **აუგის მქონეს**, **აუგშეხვედრილს** ნიშნავს, და **უაუგო**, რაც **აუგის უქონელს** ალნიშნავს. აი, ეს ორი სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვა ენაცვლება ერთმანეთს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში საანალიზო სტროფში.

---

[18] ვისრამიანი, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით. ტფილისი, 1938. „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები, ტ. I, I, ტფილისი, 1936: ტ. II, ტფილისი, 1937. „რუსუდანიანი“, იღ. აბულაძის ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1934. არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, ტფილისი, 1936; ტ. II, ტფილისი, 1937. „რუსუდანიანი“, იღ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1939. „ქილილა და დამანა“, ა. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949.

ამასთან ერთად, რაკი **აუგიან**-სიტყვა გარკვეულ ხელნაწერებში ნახმარია **ცრუ** და **ღალატიანის** გვერდით, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში იგი ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობით აღარაა ნახმარი. ამ შემთხვევაში **აუგიანი ცრუსა** და **ღალატიანის** მსგავსი მნიშვნელობითაა გამოყენებული და აღნიშნავს იმას, ვინც **ბუნებით აუგის მჭონეა, შერცხვენილია, ვისაც აუგი ახასიათებს.**

ცრუსა და **ღალატიანის** გვერდით **უაუგო** შეუფერებელი ჩანდა და, ბუნებრივი იყო, იგი შეეცვალათ **აუგიანით.** ამ ოპერაციის შედეგად გაიმართა ტაეპი: სინონიმურ **ცრუსა** და **ღალატიანს** გვერდით ამოუდგა იმავე მნიშვნელობის **აუგიანი.** ასე წარმოგვიდგება საქმის ვითარება, თუ ვივარაუდებთ, რომ პოემაში პირველადია **უაუგო,** ხოლო **აუგიანი** მეორეულია, ე. ი. თუ ვივარაუდებთ, რომ გადამწერლები 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მომმზადებელი კომისიის მდგომარეობაში იყვნენ: მანამ ყველა გამოცემაში **უაუგო** იკითხებოდა და, ჩანს, კომისიამ დაახლოებით ამგვარი მსჯელობის შედეგად შეცვალა იგი **აუგიანით.**

მაგრამ, თუ ვივარაუდებდით, რომ პირველადია **აუგიანი** და იგი შემდგომ **უაუგოთი** შეცვალეს, ასეთი შეცვლა გაუგებარი იქნებოდა: თუ **უაუგოს** ზემომოყვანილი მნიშვნელობა იქნებოდა ამოსავალი, ასეთი შეცვლა უაზრო აღმოჩნდებოდა.

ეს უხერხულობა ძველადაც უგრძნიათ. ცნობილი Q 930 ხელნაწერი, როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, ამ ტაეპს მთლიანად გადაკეთებული სახით წარმოგვიდგენს: **„ვჰგმობ კაცსა ცრუსა, მუხთალსა და მერმე ღალატიანსა“.** XIX საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის გადამწერელს **უაუგო** კაცის გმობა უხერხულად მიუჩნევია და **ვჰგმობ ვძმობ**-სიტყვით შეუცვლია — **„ვძმობ კაცსა უაუგოსა...“,** ხოლო ანგარიში ვეღარ გაუწევია იმისათვის, რომ **უაუგოსა**-სიტყვას შემდეგ **ცრუსა** და **ღალატიანსა** მოსდევს.

ვახტანგ VI ამ ტაეპის სრულიად თავისებურ განმარტებას იძლევა: — „...ამას ისწავლება, ასეთს კაცს ვგმობო, ყოლის სიკეთით სრული იყოსო და ცრუ და ღალატიანი იყოს, იმის უფრო რა იქნებაო“[19]. ვახტანგისათვის **უაუგო „ყოლის სიკეთით სრულია“** და ასეთი კაცი რომ **ცრუ** და **ღალატიანი** იყოს, იმის უარესი რაღა იქნება. ამრიგად შეძლო ვახტანგმა შეეგუებინა **უაუგოს** მნიშვნელო-

[19] ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფილისი, 1937, გვ. ტლთ.

ბასთან „საწინააღმდეგო“ მნიშვნელობები **ცრუს** და **ღალატიანისა.**

უაუგოსა და **ცრუს** და **ღალატიანის** მნიშვნელობათა ერთმანეთთან შეგუებას ცდილობს თეიმურაზ ბაგრატიონიც. „ასე რომ იყოს ნასწავლი, რომ ყოველი სწავლა და მეცნიერება იცოდეს, იგი თუმცა უაუგოდ შეირაცხება, ესე იგი წუნი სწავლულებაში არ ედება, მაგრამ, თუ ესევითარს კაცსა სიცრუე და მოღალატეობა კი ეპირება, ამისთანა კაცი საგმობელი იქნება და არა საქებელი“ — ვკითხულობთ მის „განმარტებაში“[20].

ამრიგად, პოემის იმ ხელნაწერთა გადამწერლები, რომელთაც საანალიზო ტაეპში **უაუგო აუგიანით** შეცვალეს, ვახტანგ VI, თეიმურაზ ბაგრატიონი და 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისია **უაუგო** სიტყვის მნიშვნელობის გაგებისას ერთსა და იმავე პოზიციაზე დგანან.

მაგრამ 1937 წლამდე პოემის ყველა გამოცემაში ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე **უაუგოსა** იკითხებოდა **ცრუსა და ღალატიანის** გვერდით. ეს კი ამ სიტყვების მნიშვნელობათა სიახლოვის მაჩვენებელი ჩანდა და **უაუგოს** სხვაგვარ მნიშვნელობას გვავარაუდებინებდა. ეს აისახა კიდეც ლექსიკონებში. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნ. ჩუბინაშვილმა **უაუგო** „ვეფხისტყაოსნის“ ამ საანალიზო სტროფზე მითითებით განმარტა, როგორც **ურცხვი, უნამუსო.** ასევე განმარტა ეს სიტყვა დ. ჩუბინაშვილმა, ოღონდ გარდა „ვეფხისტყაოსნისა“ მიუთითა „ქილილა და დამანასა“ და „ვისრამიანზე“. დ. ჩუბინაშვილის განმარტებაც „ვეფხისტყაოსნის“ ამ საანალიზო სტროფს ემყარება, რამდენადაც არც „ქილილა და დამანაში“ და არც „ვისრამიანში“ **უაუგო** ასეთი მნიშვნელობით ნახმარი არ არის. ამ მხრივ დამახასიათებელია იუსტ. აბულაძის განმარტებები. „ვისრამიანის“ ლექსიკონში **უაუგო** მან განმარტა, როგორც **აუგის არ მქონე, სახელგაუტეხელი, უმწიკვლო...** ეს განმარტება ზუსტი იყო, „ვისრამიანში“ ეს სიტყვა მხოლოდ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი. სამაგიეროდ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში მან მეტად დამახასიათებელი განმარტება წარმოადგინა ამავე სიტყვისა: **„ურცხვი, აუგის ვერ მგრძნობი“** — ერთი მხრივ, მაგრამ, მეორე მხრივ, დაუმატა: როგორც აუგიანის საპირისპირო, „იგი უნდა ნიშნავდეს, პირიქით, **შეუბღალავს, უძრახს, აუგის არ მქონესო**“. ამ

---

[20] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 113.

განმარტების მეორე ნაწილი **უაუგოს** მნიშვნელობის გავრცელებული გაგების უკუფენაა, ხოლო პირველი ნაწილი ისევე, როგორც განმარტებები ნ. ჩუბინაშვილისა და დ. ჩუბინაშვილისა, „ვეფხისტყაოსნის“ კონტექსტს ეყრდნობა.

იმის გამო, რომ 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის მომმზადებელმა კომისიამ **უაუგო აუგიანით** შეცვალა საანალიზო ტაეპში, **უაუგო** სიტყვა ამოვარდა ამ გამოცემას დართული ლექსიკონიდან, რომელიც იუსტ. აბულაძის მიერვეა შედგენილი.

რომ **უაუგოს** გაგება, როგორც **აუგის არ მქონისა, სახელგაუტეხელისა, უმწიკვლოსი**, ძალიან გავრცელებული და შეიძლება ერთადერთიც ყოფილა, ამას ერთი ფაქტიც ადასტურებს. სულხან-საბა ორბელიანს, მართალია, **უაუგო** არა აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში ცალკე ერთეულად, მაგრამ მას სცოდნია ეს სიტყვა და, უნდა ვიფიქროთ, მხოლოდ ამ მნიშვნელობით. სულხან-საბას **პირისწყალი** განმარტებული აქვს, როგორც **„უაუგო ქცევა“**. აქ **უაუგო** მხოლოდ **აუგის უქონელს** შეიძლება ნიშნავდეს.

და მაინც: ის განმარტებები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ გარკვეულ კონტექსტს ეყრდნობა, მართებულად გადმოსცემს **უაუგოს** მეორე მნიშვნელობას.

◆ მართლაც უაუგო ქართულში იმასაც აღნიშნავს, ვისაც **აუგი არ ახასიათებს, ვინც აუგის არმქონეა**, და იმასაც, ვისაც **საერთოდ აუგის გრძნობა არა აქვს**, ვისაც, რუსთაველისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „აუგი და მოყივნება არად შესწონს ყოლა კრულსა“.

ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ქვემომოყვანილ კონტექსტებში „არჩილიანიდან“.

„კაცისა და სოფლის გაბაასებაში“ კაცი ასე მიმართავს სოფელს:

პატივითა უპატიოდ, აბა, გავხდი, მითხარ, რისგან?
ედემს ვიჯექ მოსვენებით, აწ განვარდი დიდებისგან.
შრომით უნდა ვიმუშავო, თორ რით დავრჩე, მაშა რისგან?
შენითა მჭირს ესეები, **უაუგოვ**, სხვათ არვისგან (ტ. I, გვ. 21).

მამაჩვენმა შენით პოვა ეგზომ დიდი შეჩვენება,
შენვე გვყვედრი, შენვე გვკიცხავ, შენვე გვმძლავრობ, ვით ეგება?!
ხე ხილისგან, ხილი ხისგან, ნათქვამია, იცნობება.
შეხეთ მაცთურს, **უაუგოს**, კიდევ რასმე გვეუბნება! (ტ. I, გვ. 29).

გუშინ ვინმე განამდიდრა, ადიდა და გაახარა,
დღეს დასცა და დაამდაბლა, საბრალო დააგლახარა,
შემოსძახა: „ისომ დაგეც, ფერხზედ რადღა მიდგახარა?“
ასე მქცევს და უაუგოს ვით არ უთხრან „ვაგლახარა!“ (ტ. I, გვ. 57).

არჩილის მიერ გალექსილ „ვისრამიანში“ ასეთი მაგალითები გვხვდება:

მუნითგან გული მას დიაცს რამინისაკენ მოექცა;
რა ფარდა მან სირცხვილისა დაიპო, აღარ გაექცა;
მას საუბარი მუნითგან კუშტი აწ ტკბილად გარდექცა.
უაუგოსა, როსკიპსა, მითქვამს, თავს სახლი დაექცა! (ტ. I, გვ. 194).

ქალს რა ესმა საუბარი ბედითი და საუგო,
განჰკრთა თქმასა, გულსა უთხრა: „რას მიამბობს **უაუგო**?“ (ტ. I, გვ. 198).

„გაბაასებაში“ კი ასეთი:

გუზან განუდგა, პატრონი შავშეთის, სულა კლარჯისა,
კვლავ სპასალარი სამცხისა ბოცო, არ გიკვირს, რა რჯისა?
სხვა მათი მოკიდულობა ყვარყვარე ციხის ჯვარისა.
მათ **უაუგოთ**, ორგულთა, ჯვარი ცხოველი გარჯისა.

უაუგო ამ მაგალითებში იხმარება **მაცთურის, როსკიპის, ორგულის** გვერდით. ეს სიტყვები **უაუგოსთან** ერთად არ ჰყოფნის კაცს სოფლის შესამკობად. იგი ასეთი ეპითეტებითაც ამკობს სოფელს: „**მუხთალო, ცრუო, მტყუანო, ერთ წამსაც დაუდგრომელო, დაუნდობარო, მძრახველო, სრულ იქი-აქა მძრომელო, ბრძენთ საძულარო, ყოველთა უცებთა მწვე სანდომელო!**“ (I, გვ. 23); „**შეუკდომლად მუხანათო!**“ (I, გვ. 25); „**მრუდო, ...მუდამცა ხარ გაბასრული**“ (I, გვ. 25); „**სიცრუვის ორღანოვ!**“ (I, გვ. 26). ყველაფერი ეს კარგად აჩენს **უაუგოს** მნიშვნელობას: **უაუგო ნიშნავს აუგის გრძნობის უქონელს, საუგო თვისებების მქონეს, უსირცხვილოს.**

ამრიგად, აუგ-ფუძისაგან ნაწარმოებ აუგ-იან და უ-აუგ-ო ფუძეებს ორგვარი მნიშვნელობა აქვს. **აუგიანი** არის, ერთი მხრით, ის, ვისაც **აუგი შეახვედრეს**, ვინც **აუგი განიცადა სხვა პირისაგან, სირცხვილნაჭამია** (ასეთი კაცი ბუნებით შეიძლება დადებითი თვისე-

ბების მქონე იყოს), მეორე მხრით, **აუგიანი** არის ის, ვისთვისაც **აუგი დამახასიათებელია ბუნებით. უაუგო**, ერთი მხრით, არის ის, ვისაც **აუგი არ შეხვედრია, აუგი არ განუცდია ან აუგი ბუნებით არ ახასიათებს, უნაკლოა, უმწიკვლოა**, მეორე მხრით, **უაუგო** არის ის, ვინც **აუგის გრძნობას მოკლებულია, უსირცხვილოა, სირცხვილდაკარგულია.**

ანალოგიურ მიმართებაშია ურთიერთთან **სირცხვილ-ფუძისაგან** ნაწარმოები **სირცხვილ-იან** და **უ-სირცხვილო-ო//უ-რცხვ-ფუძეები.**

სირცხვილიანი არის, ერთი მხრით, ის, ვინც **სირცხვილი იცის, სირცხვილნამუსიანია** („მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, **სირცხვილიანად**“: 847), მეორე მხრით, **სირცხვილიანი** არის ის, ვინც **სირცხვილი ჭამა**, ვინც **სამარცხვინო საქმე ჩაიდინა** („არ გნახოთ მე და სიაოშ სამოთხეს **სირცხვილიანი**“: შაჰნ., 5022). **სირცხვილიანის** გვერდით გვხვდება **სირცხვილეულიც** („შაჰროსებრი დედა და ჩემებრი ძმა შენითა სიავითა **აუგიანნი** და **სირცხუილეულნი** არ ეგებით“: ვისრ., 90).

უსირცხვილო//ურცხვი ისიც შეიძლება იყოს, ვინც **სირცხვილი არ იცის**, ვინც **სირცხვილდაკარგულია**, და ისიც, ვინც შეურცხვენელია, ვისაც **სირცხვილი არ უჭამია.**

პირველი მნიშვნელობა წარმოდგენილია მაგალითებში:

„ჰაი, ჰაი! რა შეუწონელი და **უსირცხვილო ვარ**, როცელ ნებიერად დარბაზთა შიგან დაჯდომილვარ და ნაზუქი ტანი მისი თოვლთა და ბუქთა შიგან მიმყოფებია“ (ვისრ., 256).

„იგი ჯადოა, ავისა მქმნელი, ავისა მთქუმელი, **უსირცხვილო**, თავისა უფალი. ნუმცა ვინ ღმერთმან მისისა ძიძისებრ ყოს მხიბლავი, გრძნეულთა წინამძღუარი, ბოზი და მაჭანკალი!“ (ვისრ., 189).

„ხელმწიფეო, დედათ ბუნებისა მოცდომა და ნაკლულად დაბადება პირველად დადებულია. ჩემმან **უსირცხვილობამან** ყველას **უსირცხვილოს** აჯობა“ (თეიმ. II, 217).

მეორე მნიშვნელობა — მაგალითებში:

„აწე ჩუენცა ღთისაგან ესე ვითხოვეთ და ესე ვიაჯეთ, რომე ამდენი ჭკუა და გონება, სწავლა და გულისყური მიბოძე და ამდენი ძალი და გაძლება მამეც-მეთქი, რომე ესე ორი წიგნი ერთად

შემოვჰკრიბო და ორთავე თავი ერთად შემოუყარო და ნებისაებრივ ვითარგმანო და მართლად და **ურცხვად** გარდმოვიღო-მეთქი"[21].

„საქმეები **ურცხვად** და მართლად გარდმოვთქუა და გარდმოვათარგმანო და ნებისაებრივ გავათავო"[22].

ორი, ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს **მსგავს** — ფუძისაგან ნაწარმოებ **უ-მსგავს-ო-ფუძესაც**. ერთი მხრით გვაქვს:

განაღა თქვას ერთი-ორი, **უმსგავსო** და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო", უცილობლობს ვითა ჯორი (15).

უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია (1090).

ხოლო მეორე მხრით:

საჲე **უმსგავსო**, უებრო, ჰქონდა ჰასაკთა სრულობა,
პირად მზეს ჰგვანდა, თვალ-წარბი, შავი თმით მოგრუზულობა,
წვერ-ამბრის ფერით, ულვაშით — ზომისებრ გაზიდულობა...

ნათელია, რომ მართებულ წაკითხვას გვაწვდის „ვეფხისტყაოსნის" ის ხელნაწერები, რომლებშიც საანალიზო ტაეპი ასეა წარმოდგენილი: **„ვჰგმობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატიანსა"**. ამ ტაეპში **უაუგო** სწორედ იმას აღნიშნავს, ვისაც **აუგის გრძნობა არა აქვს, უსირცხვილო, სირცხვილდაკარგულია. აუგიანით** მისი შეცვლა იმან გამოიწვია, რომ **უაუგოს მეორე** მნიშვნელობაც ჰქონდა, **აუგის უქონელსაც აღნიშნავდა, დადებითი თვისების გამოსახატავადაც იხმარებოდა. პირველი მნიშვნელობა დაიჩრდილა, მეორე მნიშვნელობა ამ სიტყვისა კი შეუფერებელი აღმოჩნდა ც რ უ ს ა და ღ ა ლ ა ტ ი ა ნ ი ს გვერდით.** ეს წაკითხვა, რომელსაც აგრეთვე ჰხარს უჭერს ვახტანგ VI-ის გამოცემა 1712 წლისა და მასზე დამყარებული ყველა გამოცემა 1937 წლის საიუბილეო გამოცემამდე, ბუნებრივია, უნდა აღდგენილ იქნეს „ვეფხისტყაოსანში".

ხეზი

ტარიელის საძებნელად წასულმა ავთანდილმა ბოლოს მიაგნო მის კვალს: ნახა, რომ „ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა მოჰყვანდა უწვერული", რომელიც „თავსა იყო დაკოდილი, შეებნიდა სისხლსა გული". ძმები მოუყვნენ ავთანდილს უცხო რაინდთან შეხვედრისა

---

21 იადიგარ დაუდი, ლ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბილისი, 1938, გვ. 96.

22 იქვე, გვ. 97.

და შებმის ამბავს. „აჰა მიხვდა ავთანდილსა ღაწვთა ცრემლით არ-დათოვნა“, „მიჰხვდა საწადელი“. ავთანდილმა მადლი გადაუხადა ძმებს, უსურვა დაჭრილი ძმის გამრთელება და უჩვენა თავისი სადგომი: „მიდითო ნება-ნებასა, ჩრდილსა გარდასვით მაშვრალი, მიეცით მოსვენებასა“...

ამას მოსდევს 214-ე სტროფი, რომელიც მოგვყავს 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაქუსლა დეზითა,
ვითა გავაზი გაფრინდა, არ-გაშვებული ხეზითა,
ან მთვარე მზისა შემყრელი, მზე სინათლითა ზეზითა.
დაივსო ცეცხლი შემწეული მისითა შან მიზეზითა.

ამ სტროფში ჩვენს ყურადღებას იპყრობს მეორე ტაეპი, რომელშიც დადასტურებულია სიტყვა **ხეზი**: ვითა გავაზი გაფრინდა არ-გაშვებული **ხეზითა**. ეს ტაეპი ყველა ხელნაწერში ამ სახითაა წარმოდგენილი (R ხელნაწერშია მხოლოდ ტაეპის პირველ ნახევარში სიტყვები გადასმული: გაფრინდა ვითა გავაზი). ამავე სახითაა წარმოდგენილი აგრეთვე ეს ტაეპი პოემის ყველა გამოცემაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორთოგრაფიულ ნიშანს (არ გაშვებული//არ გაშუებული//არ-გაშვებული). ოღონდ მ. წერეთელმა წარმოადგინა ტაეპის მეორე ნაწილის თავისებური კონიექტურა: **რა გაშვებული ხეზით ა.**

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ტაეპის შინაარსი არაა ნათელი და ვერც ეს კონიექტურა შველის საქმეს.

რომ საქმის ვითარება ნათელი გახდეს, პირველ რიგში უნდა გაირკვეს სიტყვა **ხეზ**-ის მნიშვნელობა.

ხეზი შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში სულხან-საბა ორბელიანს. სახელოვანი ლექსიკოგრაფი მიუთითებს: „საბელთან ნახე“-ო. **საბელის** განმარტებაში ვკითხულობთ: „ზოგადი სახელი არს ყოელთა შეგრეხილთა; მკედის უსხოთა და გრძელთა ეწოდების **ხეზი**; ხეზისა უსხოსა — ბაწარი, ხოლო ლარო ხეზისა მსგავსი არს...“ აქედან ჩანს, რომ **ხეზი** ერთგვარი წვრილი **ბაწარია** ან მსხვილი **მკედი**. **მკედი** სულხან-საბას განმარტებითვე „მოსხო ძაფი“ ან „მსხვილი ძაფი“ არის. **„ძაფი** არს წურილად დართული აბრეშუმი, ყაჭი, სელი და მისთანანი; ხოლო **მკედი** მისთანა[თა]ვე ხოშორად დასთული“. **ხოშორი** კიდევ „წვრილისა და სხვილის საშუალია“ (იხ. აგრეთვე: **საშუალო**—სტადიაში: **„ხოშორი** საშუალ სხვილისა და წვრილისა“).

რაც შეეხება ლარო-ს, იგი „ხეზისა მსგავსი არს“ და „გალატოზის ბაწარი“ არისო — განმარტავს ლექსიკოგრაფი[1].

ნ. ჩუბინაშვილი ამ სიტყვების განმარტებისას სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს ემყარება: „**ხეზი** წურილი და გრძელი ბაწარი (ნახე საბელთან)“; **საბელი** მსხვილად შეგრეხილი მკედი დასაბმელად ანუ შესაკრავად რისამე (ფსალ. 15,5 და 118,61; ჭებ. 4,3; ვეფხის-ტ. 255) уже, вервь, веревка. ესე არს ზოგადი სახელი, ხოლო მკედის უმსხოსსა ეწოდების ხეზი, მისსა უმსხოსსა — ბაწარი და მათზედ მომსხოსა—თოკი და შტანაგი“...[2]

ხეზი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც მოიპოვება. ლექსიკოგრაფი ამ სიტყვას ასე განმარტავს: „წვრილი და გრძელი ბაწარი, бечевка“. მითითებულია „ვეფხისტყაოსნის“ 213-ე სტროფზე (დ. ჩუბინაშვილის გამოცემის სათვალავით), ე. ი. ჩვენს 214-ე სტროფზე. **საბელ**-სიტყვის განმარტებისას კიდევ ნათქვამი აქვს: „მსხვილი თოკი. მკედის უმსხოსი ზეზია (sic); ზეზის (sic) უმსხოსი ბაწარია; ბაწარზედ უმსხვილესი თოკია და შტაგანი (sic)“...[3]

ხეზის განმარტებას გვაძლევს აგრეთვე თეიმურაზ ბაგრატიონი ამ სტროფის კომენტარში: „ხეზი — წვრილი თოკი ანუ შეგრეხილი იონღარი, ანუ ქაფი[4], რომელსაც ჯერეთ გაუწვრთნელს ქორს და მიმინოს მოაბმენ, წვრთნაში რომელი ჯერეთ დაუჩვეველნი იქნებიან, რომ არ გაუფრინდესთ და არ დაკარგონ. ხეზი ქართული სახელია“[5].

„ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფის გარდა ეს სიტყვა სხვა ძეგლებშიც გვხვდება. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ დანართში (ხვარაზმელთა ამბავში) ასეთი სტროფია (1949-ე: „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“, ნაკვეთი მეოთხე, თბილისი, 1963):

წავიდა კაცი საცნობლად ვით შავარდენი **ხეზითა**,

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, ლექსიკონი ქართული, ილია აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1965-1966 წწ.

2 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციით და გამოკვლევით, თბილისი, 1961.

3 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887.

ორგანვე კორექტურული შეცდომა ჩანს. თითქოს ორგანვე უნდა იყოს **ხეზი**, რამდენადაც განმეორებულია ნ. ჩუბინაშვილის განმარტება, ამ უკანასკნელის ლექსიკონში კი **ხეზი** იკითხება.

4 „ქაფი არს აბჯართა შემოსაჭირებელნი (ზორნები) ჯაჭვთა სამჭარიღლიენი“ (საბა).

5 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 35.

აცრობა ხვარაზმთ მეფესა, მორჭმულსა ღმრთითა ზეზითა:
„არიან ორნი მნათობნი, ჰგვანან—მოსრულან მზე მზითა,
ქვეყანა სრულად დაუწვავს, რისხვა მათით მიზეზით ა".

ეს სტროფი ჩვენი საანალიზო 214-ე სტროფის გადაკეთებას წარმოადგენს და სწორედ ამითაა საინტერესო.

ხეზი გვხვდება „ქილილა და დამანაში"; „რა მეველემა თვისი ნანადირევი ორმოსა ჩავარდნილი ნახა, ზედ წაადგა და ცნა, მისი საწადლის **ხეზი** მას შინა არ ჩასწვდებოდა და სულის დალევაზე მიწურვილი ტრედი მას გაუძლებელს საპყრობილეში დაუტევა, გაბრუნდა და წავიდა"[6]. ამ შემთხვევაში **ხეზი** ფიგურალურადაა ნახმარი.

ეგეთე სიტყვა **ხიზა**-ს სახით და მნიშვნელობის ერთგვარი ნიუანსებით თანამედროვე ქართულ დიალექტებშიც არის დაცული. რაჭაში **ხიზა** „მდინარეზე გაბმული თოკი" ყოფილა[7]. მოსე გიგინეიშვილის მიერ რევოლუციის წინა წლებში გურიაში ტელემაკ გურიელის თქმით ჩაწერილ ერთ ლექსში, რომელიც თუმცა ხალხურია, მაგრამ აშკარად მწიგნობრული იერი აქვს და რომელშიც თევზების სახელებია ზმურად გამოყვანილი, ვკითხულობთ:

ულვაშკოკობა ვაქკაცსა გვერდს რომ ვუჯდე, გავსცემ ხმასა,
ფაშა მაიამ შეირთო, არვის უგავს საქმე სხვასა,
ჭორის **ხიზა** ლალას ტყეში დამეკარგა, ვეძებ მასა,
და დამწერი ამას ამბობს: „კიდევე ვიტყვი სხვადასხვასა".

სიტყვა **ხიზა** გვხვდება ბაჩანას პოემაში „წაწლობა":

ერთხელ ინდა მთაშია
ცელით ბალახსა ჰთიბავდა...
შაბათ-კვირაში იქიდამ
ჩამოიარა ბარშია,
გორი-გორ ჩამომავალი
ჯავარას შეჰხვდა გზაშია.

---

[6] ქილილა და დამანა, აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 15.

[7] ვეკ. ბერიძე. სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა: Материалы по яфетическому языкознанию, VI, С.-Петербург, 1912.

შავარდენს ფრენა მოჰწყურდა,
გაჰწია, ხიზა გაჰწყვიტა[8],
ქალს მოეხვია მხურვალედ,
პირიდამ ვარდი მაჰწყვიტა[9].

ხიზა-სიტყვას ახლავს ავტორის განმარტება: „**ხარძლა**, რომელიც დახელისავებულ შავარდენს ება ხოლმე“-ო[10].

როგორც „ვეფხისტყაოსნის“ 214-ე სტროფში, ისე დანართ 1949-ე სტროფში, ამ ზმალექსშიც და ბაჩანას პოემაშიც **ხეზი-ხიზა** სანადირო ფრინველების სახელებთან დაკავშირებით არის ნახმარი: პირველ შემთხვევაში **გავაზია** დასახელებული, მეორე შემთხვევაში — **შევარდენი**. მესამეში — **ქორი**, მეოთხეში — ისევ **შევარდენი**. თეიმურაზ ბაგრატიონი **ქორსა** და **მიმინოს** ასახელებს.

ხეზი, მაშასადამე. წერილი საბელია ან მსხვილი ბაწარი (ძაფი). ესაა **ხეზის** ზოგადი ფართო მნიშვნელობა. თეიმურაზ ბაგრატიონი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობას გვაწვდის: „ჯერეთ გაუწვრთნელ ქორსა და მიმინოს მოაბმენ, წვრთნაში რომელი ჯერეთ დაუჩვეველნი იქნებიან, რომ არ გაუფრინდესთ და არ დაკარგონ“-ო. 214-ე სტროფში **ხეზით** (ე. ი. ხეზიდან) „არ-გაშვებული“ გავაზის შესახებ რომაა ლაპარაკი, **ხეზი** ასევე ვიწრო მნიშვნელობითაა ნახმარი; ამავე მნიშვნელობითაა ნახმარი ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ დანართ 1949-ე სტროფშიც: „ვით შავარდენი **ხეზითა**“. ასეთივეა მისი ვარიანტის **ხიზას** მნიშვნელობა გურულ ზმალექსშიც: „**ქორის ხიზა**“.

ხიზა თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც არის შემონახული და დაცული. ალექსი რობაქიძეს თავის წერილში — „ვი-

---

[8] გამოცემაშია: მაჰწყვიტა.

[9] ბაჩანა, ლექსები და პოემები, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 389.

[10] **დახელისავებული** — ხელზე შეჩვეული, მოშინაურებული, გაწვრთნილი; **ხარძლა**-სიტყვას ჩვენ არ ვიცნობთ. ნიკო რაზიკაშვილის (ბაჩანას) ქალიშვილის, ნინო რაზიკაშვილის, ცნობით, სიტყვა **ხარძლა** არ არსებობს ფშაურში, არსებობს ღარძლა, რაც კანაფისაგან შეგრეხილი წერილი ბაწარი ყოფილა. ეს მნიშვნელობა კარგად ეგუება აქ მოყვანილ კონტექსტს. რაც შეეხება **ხარძლა**-ფორმას, იგი შესაძლოა ღარძლას ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენდეს და შესაძლებელია ამ ვარიანტს იცნობდა ბაჩანა; ან შესაძლოა ბაჩანას მოსვლოდეს შეცდომა და უნებურად ღარძლა **ხარძლად** შეეცვალოს: ან კიდევ შესაძლოა შეცდომა ბაჩანას თხზულებათა გამოცემისაგან მომდინარეობდეს. შდრ. აგრეთვე **ხარლა** (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, 1964; ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი შედგენილი ა. ჯინჯარაულის მიერ, 1969).

მინოთი ნადირობა გურიაში"[11] ვრცელი მიმოხილვა და ანალიზი აქვს წარმოდგენილი გურიაში მიმინოს დაჭერის, მოშინაურება-გაწვრთნისა და მიმინოთი ფრინველის (მწყრის) ნადირობის წესებისა. ამ მასალიდან ჩვენი მიზნისათვისაც ბევრი რამაა მნიშვნელოვანი და საყურადღებო.

მიმინოს დაჭერის შემდეგ ბაზიერის პირველ ამოცანას მიმინოს მოშინაურება და გაწვრთნა, ჰმევას შეჩვევა და ფრინველის დაჭერის სწავლება შეადგენს: „მიმინოს გამარჯვას პირველივე ღამიდან შეუდგებიან". მიმინოს დაძინების საშუალებას არ აძლევენ, აჩვევენ ადამიანსა და მის გარემოს. ასწავლიან ადამიანის ხელზე ჯდომას[12]. გათენებამდე, ადრე, ეზოში გაჰყიყვანენ და ხელზე დამჯდარს ატარებენ. გათენებისას მიმინო ეჩვევა „ქათმების ფრთხიალს, ძაღლის სირბილს, ხალხის მიმოსვლას". როცა გათენდება, „წინა დღიდან ნაშიმშილარ მიმინოს საჭმლის ჰმევას შეაჩვევენ". „პირველი საუზმის შემდეგ მიმინოს, რომელსაც უკვე **ხიზა** აქვს შებმული, ქანდარაზე შეაგდებენ და **ხიზით** დააბამენ". „არც მეორე ღამეს დააძინებენ მიმინოს... ძილს უტეხენ, ღლიან და იმორჩილებენ. მეორე დილით ეზოში გაჰყვანილ მიმინოს წინა დღესთან შედარებით მეტს შეაჭმევენ, ისევ ქანდარაზე შესვამენ და **ხიზით** დააბამენ"[13].

„როდესაც მიმინო კარგად შეითვისებს ბაზიერის ნიშანზე მარცხენა ხელიდან მარჯვენა ხელზე გადასვლას. მიმინოს ქანდარაზე შესვამენ, **ხიზის** ბოლოს მარცხენა ხელში დაიჭერენ და... შეასწავლიან ბაზიერის ნიშანზე ქანდარიდან მარცხენა ხელზე გადმოსვლას. ამის შემდეგ **ხიზას** თანდათან აგრძელებენ, მიიყვანენ მას 50—60 მეტრის სიგრძემდე. მიმინო რომ შეითვისებს ასეთი შორი მანძილიდან საქნიერზე მოსვლას, იგი სანდოა და უკვე შესაძლებელია **ხიზის** შეხსნა"[14].

---

11 „მიმომხილველი", საქართველოს მეცნ. აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კრებული. I. თბილისი, 1949, გვ. 157-189.

12 იქვე, გვ. 164.

13 იქვე, გვ. 165.

14 „მიმომხილველი", საქართველოს მეცნ. აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კრებული, I, თბილისი, 1949, გვ. 166.

საქნიერზე მოსვლა — ბაზიერის მოხმობაზე მონადირე ფრინველი რომ მოფრინდება და ხელზე დაუჯდება, — იმას ჰქვია. ბაზიერს ხელში საქნიერი (ხორცის ნაჭერი) უჭირავს, მას აქნევს და წრუწუნით უხმობს ფრინველს.

„**ბავლის**[15] **გაგდება** მიმინოს გამართვის უკანასკნელი საფეხურია. ბავლის გასაგდებად მწყერისფერ წიწილს არჩევენ. მწყერისფერ წიწილს **ხიზას** თავისუფალ ბოლოს მოაბამენ და ზურგს უკან დაიჭერენ, რომ მიმინომ წიწილა არ დაინახოს“[16].

„მიმინოს ჩაპურება გურიაში პირველ მწყერობაზე იცოდნენ. ბავლის გაგდების შემდეგ მიმინო უკვე გამართულია და მისი სანადიროდ წაყვანა მეორე დღიდანვე შეიძლება. მაგრამ ნადირობის პირველ დღეს **ხიზაშეხსნილს** და ექვანშებმულ მიმინოს მხოლოდ ერთ მწყერს დააჭერინებენ“[17].

„მწყერობა გურიაში სექტემბრის მეორე ნახევრიდან იწყება. მწყერზე ნადირობენ უფრო დაბლობში. სანადიროდ გაყვანილ მიმინოს **ხიზა უკვე შეხსნილი აქვს**“[18].

„თურქმენი მონადირეები მიმინოს მოსათვინიერებლად მას ჯერ ხელზე ატარებენ, ფეხებზე მიმინოს სახამლავს[19] უკეთებენ ზედ მობმული **ხიზით**. ორი-სამი კვირის შემდეგ მიმინოს საქნიერზე მოსვლას ასწავლიან **ხიზას** თანდათანობით დაგრძელების საშუალებით, შემდეგ **ხიზას ხსნიან** და ფრინველზე **ხიზაშეხსნილი მიმინოთი ნადირობენ**“[20].

აქედან ნათლად ჩანს, რომ **ხიზას (ხეზს)** მიმინოს მოშინაურება-გაწრთვნის პერიოდში შეაბამენ. როცა მიმინო გაიწვრთნება და შესაძლებელი ხდება, რომ მას ნადირობა დააწყებინონ, **ხიზას შეხსნიან. ხიზანშეხსნილი მიმინო** გაწვრთნილი მიმინოა, რომელიც შეიძლება თამამად მიუტიონ ფრინველს; იგი საქნიერზე ადვილად მოდის, ე. ი. ხორცის ჩვენებისას (ქნევისას) და დაძახებისას ბაზიერთან ადვილად ბრუნდება. ამდენად, აღარ არის იმის საფრთხე, რომ იგი გაუფრინდებათ და **ხიზაც (ხეზიც)** აღარაა მისთვის საჭირო.

---

15 „ბავლი არს, რა ახალს ქორს და მისთანათა პირველად ფრინველი შეაბაყრობინო განსამართავად“ (სიბა).

16 იქვე.

17 იქვე.

18 იქვე, გვ. 168.

19 სახამლავი (ქამლისაგან). „ქამლი ბაზთ პაიჭი“ (სიბა). რბილი ტყავის თასმები, რასაც მონადირე ფრინველს ფეხზე უკეთებენ. ამაზეა მობმული ხიზა. თურქმენეთში მიმინოთი ნადირობის წესების შესახებ თხრობისას ა. რობაჭიძის წერილში გურიაში დადასტურებული ტერმინებია გამოყენებული.

20 იქვე, გვ. 175. დამოწმებულია Н. В у ч е т и ч. Из кочевой жизни туркменов. „Кавказ“, №№84 — 87, 1846. აქაც და ზემოთმოყვანილ ამონაწერებში ხაზი ყველგან ჩვენ მიერაა გასმული.

ყველაფერი ეს სავსებით ეგუება თეიმურაზ ბაგრატიონის სიტყვებს: „(ხეზს) ჯერეთ გაუწვრთნელ ქორსა და მიმინოს მოაბმენ, წვრთნაში რომელი ჯერეთ დაუჩვეველნი იქმნებიან, რომ არ ვაუფრინდესთ და არ დაკარგონ“-ო.

მაგრამ ყველაფერს ამას არ ეგუება 214-ე სტროფის მეორე ტაეპი: **„ვითა გავაზი გაფრინდა არ-გაშვებული ხეზითა“.**

ამ სტროფში შემდეგი ამბავია მოთხრობილი. ავთანდილმა მიაგნო უცხო მოყმის კვალს. იგი აღტაცებულია და იჩქარის. ამიტომ სასწრაფოდ მიასწავლა ხატაელ ძმებს თავისი ნაბინავარი და დაარიგა, თუ როგორ უნდა მოევლოთ დაჭრილი უმცროსი ძმისათვის. თვითონ კი ცხენი გაქუსლა და დიდი სისწრაფით წავიდა: ვითა გავაზი, ისე გაფრინდა, გავაზი — არ-გაშვებული (გაუშვებელი, დაბმული) **ხეზითა**, ე. ი. **ხეზიდან** (დაწუებითი ბრუნვის ფორმა); ან კიდევ, გაფრინდა ისე, როგორც მზისა შემყრელი მთვარე; ან კიდევ ისე, როგორც მზე სინათლითა ზეზითა (თუ ზესითა?).

სამივე შედარება, უკეთ, ეს სამსაფეხურიანი შედარება იმისთვისაა მოხმობილი, რომ ავთანდილის უსწრაფესად წასვლა (გაფრენა) ჰიპერბოლურად გადმოსცეს. ამ კონტექსტში ამ შედარების პირველი საფეხური გაუგებრობას ქმნის მხოლოდ: რაღა სისწრაფეა, თუ ისე გაფრინდა, როგორც **ხეზით (=ხეზიდან) არ-გაშვებული** (გაუშვებელი, **ხეზით დაბმული, ხეზშეუხსნელი**) გავაზი?

ხეზშეუხსნელ გავაზს (მიმინოს, შევარდენს, ქორს) აფრენა, რა თქმა უნდა, შეუძლია. ზემოთ მოყვანილი იყო ცნობები იმის შესახებ, რომ წვრთნის დროს მიმინოს ხუზს დაუგრძელებენ (50—60 მეტრამდე); კიდევ მეტი, ა. რობაქიძეს ისიც აქვს აღნიშნული, რომ მიმინოთი ნადირობის სხვა წესსაც იცნობენ გურიაში, თუმცა არ იყენებენ კიო. ამ წესს „თათრულაი“ ჰქმევია. ამ წესის ერთ-ერთი ხი'შანთაგანი ის არის, რომ „მწყერზე ნადირობისას მიმინოს ხიზას არ ხსნიან. „თათრულაით“ ნადირობის დროს სახამლავზე მობმული ხიზის მეორე ბოლო მარცხენა ხელის მაჯაზეა დამაგრებული, ხოლო საკმაოდ გრძელი ხიზა, ფართოდ დახვეული, მარცხენა ხელისავე ნეკით უჭირავთ. ნადირობის დროს მიმინო ხელში ჰყავთ დაჭერილი და მიტევებისას მწყერზე მიაგდებენ ხოლმე“. ასეთი წესი იმერეთსა და სამეგრელოშიც სცოდნიათ, როგორც ეს აღნიშნული ჰქონია ი. ევლახოვს (შრომაში «Заметки на пути в Мингрелию (Хони—Мартвили)», «Кавказ», № 4, 1847)[21].

---

[21] ა. რობაქიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 171.

ა. რობაქიძის დასკვნით, ნადირობის ასეთი წესი „მწყერზე ნადირობის გამარტივებული ან განუვითარებელი ფორმაა"[22].

ასეთი განუვითარებელი ფორმა ნადირობისა იმ სოციალურ გარემოში, რომელიც ასახულია „ვეფხისტყაოსანში", სადაც ჩვეულებრივია „სიმრავლე ძაღლისა, შავარდნისა და ქორისა" (477), სადაც „შავარდნითა სავსე იყო სრულად არე დარბაზისა" (474), სადაც „მზესა ქორნი აბნელებდეს" (721), სადაც გნოლის ჯოგზე მიტევებულ ქორთან შედარება ჰიპერბოლადაა გამოყენებული („შიგან ასრე გაეერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი", 447), — მოსაღლოდნელი არ არის. მწყრის ნადირობა თუ კიდევ შესაძლებელია სადმე პრიმიტიული წესით, ხეზშეუხსნელი მიმინოთი, გნოლის ჯოგს ხეზშეუხსნელი („არ-გაშვებული ხეზითა") ქორი ვერ მიეტევებოდა და ვერც ასეთი ქორები დააბნელებდნენ მზეს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყოვლად წარმოუდგენელია ჩვენს საანალიზო ტაეპში ასეთი შედარება ყოფილიყო გამოყენებული: გაფრინდა ავთანდილი, როგორც ხეზიდან არგაშვებული (გაუშვებელი), ხეზით დაბმული გავაზი. ასეთი შედარება „ვეფხისტყაოსანში" დაუჯერებელია, რაგინდ გრძელიც ყოფილიყო ის ხეზი, რომელიც მონადირე ფრინველს ჰქონდა მობმული. სრულიად აშკარაა, რომ საანალიზო სტროფში შედარება ჰიპერბოლური ხასიათისაა, ხოლო **არ-გაშვებული ხეზითა** ამ ჰიპერბოლას სრულიად აღარ შეეფერება.

ამის გამო წაკითხვა **არ-გაშვებული ხეზითა** შეუძლებელი ჩანს. ამ აზრს განსაკუთრებით ამაგრებს ზემოთ მოყვანილი სტროფი ხვარაზმელთა ამბიდან, კერძოდ, ამ სტროფის პირველი ტაეპი. როგორც აღვნიშნეთ, ეს სტროფი 214-ე სტროფის მიბაძვითაა დაწერილი და, ბუნებრივია, ყოველმხრივ იმეორებდეს თავის წყაროს. აქ კი ვკითხულობთ: **„წავიდა კაცი საცნობლად, ვით შევარდენი ხეზითა"**, რაც ნიშნავს: კაცი წავიდა ამბის საცნობებლად, შესატყობინებლად (ისე სწრაფად), როგორც შევარდენი ხეზიდან (=ხეზიდან გაშვებული, განთავისუფლებული). აქ ყველაფერი რიგზეა. ასეთივე რამ უნდა ყოფილიყო 214-ე სტროფშიც.

გამომცემელთაგან ამ ტაეპისათვის ყურადღება მიუქცევია მ. წერეთელს. როგორც ჩანს, მას უგრძნია ეს უხერხულობა და ტაეპის გამართვა უცდია. ამის შედეგად მან შემოიტანა კონიექტურა:

[22] ა. რობაქიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 172.

ვითა გავაზი გაფრინდა, რა გაშვებული ხეზით ა, ე. ი. მკვლევარს ხელნაწერების არ რა-ს დამახინჯებად მიუჩნევია, ხოლო ბოლო სიტყვა აზრის მიხედვით ასე თუ ისე შეუხამებია ამისათვის.

მაგრამ ეს კონიექტურა ხელოვნურია და არც აზრის მიხედვითაა შესაფერი კონტექსტისათვის.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ შეიძლებოდა 214-ე სტროფში ასეთი გაუგებრობა გადაწერისას გრაფიკულ ნიადაგზე დაშვებული შეცდომით აგვეხსნა და შესაძლებლად მიგვაჩნდა ხელნაწერთა წაკითხვის შეცვლა ასეთი კონიექტურით: **ვითა გავაზი გაფრინდა აწ გაშვებული ხეზითა** (არ მიღებულია აწ-ისაგან გრაფიკულ ნიადაგზე). ასეთი კონიექტურა სტროფის შინაარსს სავსებით გამართულად წარმოგვიდგენდა და სავსებით შეესაბამება საქმის ვითარებას.

მაგრამ მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოს დავით რექტორის მიერ გადაწერილი ერთი ხელნაწერის გადათვალიერებისას იქ წავაწყდით ასეთ წაკითხვას: **„ვითა გავაზი გაფრინდა, მართ გაშვებული ხეზითა“**. როგორ შევაფასებთ ჩვენ ამ ხელნაწერის წაკითხვას, მივიჩნევთ მას რომელიმე უძველესი ჩვენამდე მოუღწეველი ხელნაწერიდან მომდინარედ (ასეთი ვარაუდი სავსებით შესაძლებელია!), რაიმე ზეპირი ტრადიციის ანარეკლად, თუ, ბოლოს, გადამწერის — დავით რექტორის — კონიექტურად, იგი ამ გაუგებარ ტაეპს სავსებით მართავს და გასაგებს ხდის როგორც შინაარსობრივად, ისე ენობრივად. ვიღებთ რუსთაველის ენისათვის დამახასიათებელ ტაეპს—**ვითა გავაზი გაფრინდა მართ გაშვებული ხეზითა**, რაც ნიშნავს ამას: გაფრინდა როგორც გავაზი, გაშვებული ხეზიდან; გაფრინდა როგორც ხეზშეხსნილი გავაზი.

ხელნაწერების არ გრაფიკულ ნიადაგზე შეიძლება იყოს მიღებული **მართ** ნაწილაკისაგან, თუმცა შეიძლება გადამწერთა მიერ ამ ნაწილაკთა შეგნებულ შენაცვლებასთანაც გვქონდეს საქმე. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში **მართ** და **არ** ნაწილაკების ცვლის შემთხვევები სხვაც მოიპოვება. მაგალითად, 706-ე სტროფის მესამე ტაეპის მეორე ნახევარი IKOT ხელნაწერებში ასე იკითხება: **ცოდნა ხამს მართ უვიცისა**, ხოლო F ხელნაწერში ასე: **ცოდნა ხამს არ უუვიცისა** (sic); 158-ე სტროფის პირველი ტაეპის მეორე ნაწილი — **არ საქმე სასურველია** — jT ხელნაწერებში იკითხება, როგორც **მართ საქმე საგლოველია**...

გაანალიზებულ სტროფში გადმოცემულია სავსებით ლოგიკური დანასკვი იმ სიტუაციისა, რომელიც პოემის ამ ნაწილშია წარმოდგენილი: ავთანდილი თავისი მეფე-მიჯნურის — თინათინის — დავალებით უცხო მოყმის საძებნელადაა გადახვეწილი. იგი „უცხო უცხოთა ადგილთა საძებრად იარებოდა“, „უჩნდა ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად“. „ყოველი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა“, „მაგრა იგი ამ ამბავისა მსმენელსაცა“ ვერ მიჰხვდა და ამასობაში დათქმული ვადაც მოახლოვდა: „წელიწადი სამი სამ თვედ მოიყარა“.

ამის შემდეგ კიდევ „მიჰხვდა რასმე ქვეყანასა უგემურსა, მეტად მქისსა“, „საგონებელი შეექმნა“: „გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია“. ავთანდილს ხელ-ფეხი შეკრული აქვს, გამოსავალი გზა ვერ გამოუნახავს. ასეთ გასაჭირში მყოფს მას შეხვდნენ ძმანი, რომელთაც უამბეს უცხო მოყმესთან თავიანთი შეხვედრის ამბავი და „შორს უჩვენებდეს“ კიდევაც მას: „აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მთვარებლად“. მართლაც, „ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი მის მზისა მარებლად“.

ავთანდილმა ერთბაშად დაივიწყა გამოვლილი ჭირი: „კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა, მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა“. იგი ხომ „იმა ყმისა საძებრად მოშორდა საგაზრდილოსა“. ავთანდილს ხელ-ფეხი გაეხსნა, განთავისუფლდა მძიმე ტვირთისაგან და გახარებული გაემართა უცხო მოყმისაკენ: „ვითა გავაზი გაფრინდა, მართ გაშვებული ხეზითა“.

ანალოგიური ვითარებაა ცოტა ქვემოთ.

ავთანდილი მიჰყვა უცხო მოყმეს ქვაბამდე. ნახა უცხო მოყმისა და ქალის შეხვედრის სცენა. ვაჟის წასვლაც ნახა დილით. ქალს (ასმათს) შეხვდა, კიდევაც წაიჩხუბნენ და კიდევაც შერიგდნენ ის და ასმათი, ავთანდილმა ასმათი თავის მხარეზე გადმოიბირა და მისი და ტარიელის სახელიც შეიტყო.

ტარიელი ბრუნდება ქვაბში და კვლავ მეორდება მისი და ასმათის შეხვედრის ჩვეულებრივი სცენა. „იგი ყმა ცხენსა გარდახდა, შვენოდა კაპარჭ-ხრმალითა“, „დიდხან იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან, შეჰხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა“ ასმათმა ქვაბში. ყველაფერს ამას მოსდევს ტარიელისა და ასმათის ცნობილი საუბარი, როცა ასმათი ცდილობს მშვიდობით შეახვედროს ავთანდილი ტარიელს და დააძმობილოს იგინი.

ავთანდილი ყველაფერს ამას „სარკმლით უქვრეტდა, ტყვე

საკნით ნააზატები", ე. ი. ავთანდილი, საკნიდან განთავისუფლებული ტყვე, უცქერდა ტარიელისა და ასმათის საუბარს.

როდესაც ავთანდილმა მიაგნო ტარიელის კვალს და ცხენი გაქუსლა, რათა მას დასწეოდა, იგი შედარებული იყო ხეზიდან გაშვებულ (განთავისუფლებულ) გავაზს. როცა ავთანდილმა ახლოს ნახა ტარიელი და მას უშვერტს, იგი შედარებულია საკნიდან ნააზატებ (განთავისუფლებულ) ტყვესთან.

ავთანდილი ხელფეხშეკრული, დაბმული იყო მის გარშემო შექმნილი გამოუვალი მდგომარეობის გამო და განთავისუფლდა და გაფრინდა, როგორც ხეზიდან გაშვებული გავაზი; ავთანდილი დატყვევებული იყო იმავე გარემოების მიზეზით და ახლა თავისუფალია, როგორც საკნიდან განთავისუფლებული ტყვე.

ორგანვე ერთი და იგივე სიტუაციაა და ერთგვარი ხასიათის შედარება, შესაფერი ამ სიტუაციისა. ანალოგია სრულია!

ვუალნეთ

საკითხი ეხება პოემის 206-ე სტროფს.

უცხო მოყმის საძებნელად მიმავალმა ავთანდილმა დაინახა, რომ „ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა მოჰყვანდა უწვერული", რომელიც „თავსა იყო დაკოდილი". ესენი აღმოჩნდებიან ძმები, რომლებიც ამავე უცხო მოყმეს შეხვედრიან და მისი შეპყრობაც კი მოუწადინებიათ. ამ ამბავს უყვება ავთანდილს უხუცესი ძმა.

მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დავსთხოვე ქენებით;
ჩემმან შემდეგმან ტაიჭი მისი მით აქო ხსენებით;
ამან მართ ოდენ მორევნა გვითხრა, ვუალეთ ჩვენებით,
მივჰმართეთ, იგი აგრევე წყნარად მივა და შევენებით.

ამ სტროფში ჩვენი ანალიზის საგანია სიტყვა-ფორმა ვუალეთ. მაგრამ, რადგანაც მთელი სტროფი საკმაოდ ბუნდოვანია, საჭირო გახდება სხვა სიტყვა-ფორმათა შესახებაც ითქვას ზოგი რამ, რამდენადაც უამისოდ შეუძლებელი იქნება საანალიზო სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის გარკვევა.

საანალიზო სტროფი ამ სახითვეა წარმოდგენილი 1937 წლისა და 1951 წლის გამოცემებშიც; ამაზე ადრინდელ გამოცემებში საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს.

ვახტანგის გამოცემა ამასთან შედარებით შემდეგ სხვაობებს გვიჩვენებს:

პირველ ტაეპში უმცროსთა ფორმის ნაცვლად ვახტანგის გამოცემაშია **უმცროსა;**

მეორე ტაეპში **შემდეგმან** ფორმის ნაცვლად ვახტანგის გამოცემაშია **შედეგმან;**

მესამეში **გვითხრა** სიტყვის ნაცვლად ვახტანგის გამოცემაშია **გვთხოვა.**

ბოლოს, მეოთხე ტაეპში ვუალეთ ფორმის ნაცვლად ვახტანგის გამოცემაშია **უალეთ** ფორმა. განსხვავება ოდენ ორთოგრაფიულია: ვახტანგის გამოცემაში პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ- არაა უ-ს წინ, ხოლო 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტში და აგრეთვე მისგან მომდინარე გამოცემათა ტექსტში პრეფიქსი ვ- უ-ს წინ ყველგან მოიპოვება, ე. ი. ახალი ორთოგრაფიაა გატარებული.

ვახტანგის გამოცემის წაკითხვა **უმცროსა,** რაც ამოსავლად ზედსართავი სახელის შედარებით-აღმატებითი ხარისხის ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველ ფორმას **(უმცრო)** გულისხმობს, ბროსეს, ჩუბინაშვილის, ქართველიშვილის, კარიჭაშვილის (პირველ) გამოცემებში შეიცვალა ფორმით **უმცროსსა,** ხოლო შემდგომს გამოცემებში უკვე მრავლობითი რიცხვის ფორმა **უმცროსთა** დამკვიდრდა. ვახტანგისეული გამოცემის მართებული ფორმა **შედეგმან** მხოლოდ ს. კაკაბაძისა და იუსტ. აბულაძის გამოცემებში დარჩა, დანარჩენებში კი ყველგან მცდარად გააზრიანებული **შემდეგმან** დამკვიდრდა[23]. ვახტანგისეული გამოცემის **გვთხოვა** განმეორდა ბროსეს, ჩუბინაშვილის, ქართველიშვილის, კარიჭაშვილის (პირველ), აბულაძის (ორივე), ჭიჭინაძის გამოცემებში, ხოლო დანარჩენებში (კაკაბაძის გამოცემიდან მოყოლებული) **გვითხრათი** შეიცვალა[24]. **უალეთ** განმეორდა ბროსეს, ჩუბინაშვილის, კაკა-

---

23 **შედეგმან** აღდგინა შემდგომ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენმა კომისიამ, რომელიც 1959—1962 წლებში მუშაობდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან. იგივე წაკითხვა გატარდა პოემის იმ გამოცემებში, რომლებიც 1966 წელს დაიბეჭდა, საიუბილეო დღეებში.

1 ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები აკ. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით; 2. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი მოამზადეს გამოსაცემად გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა, გ. კარტოზიამ, რედაქტორები: გ. წერეთელი, ი. აბაშიძე; 3. ვეფხისტყაოსანი, სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი.

24 უკანასკნელად, **გვთხოვა** აღდგინა თავის გამოცემაში მ. წერეთელმა.

ბაძის (ორივე), აბულაძის (ორივე) გამოცემებში, ხოლო ქართველიშვილის, კარიჭაშვილის და ჭიჭინაძის გამოცემებში **ვუვალეთ** დაიბეჭდა. 1937 წლის კომისია ისევ ვახტანგის წაკითხვას დაუბრუნდა, ოღონდ თანამედროვე ორთოგრაფიით **(ვუალეთ)**. ეს წაკითხვა განმეორებულ იქნა 1951 წლის გამოცემაშიც და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1957 წლის გამოცემაშიც.

ვახტანგის წაკითხვის **ჩვენებით** ნაცვლად ქართველიშვილის, კარიჭაშვილის (ორივე), კაკაბაძის (ორივე), აბულაძის (ორივე), ჭიჭინაძის გამოცემებში მართებული **ჩვენ ნებით** დაიბეჭდა. 1937 წლის კომისიამ უმართებულო **ჩვენებით** აღადგინა. ასევე დაიბეჭდა ეს ადგილი 1951 და 1957 წლების გამოცემებშიც.

1953 წ. პ. ინგოროყვამ განაცხადა 1951 წლის გამოცემის **ვუალეთ ჩვენებით** წაკითხვის შესახებ — გაუგებარი ტექსტიაო[25], აღადგინა **ჩვენ ნებით**, მაგრამ დატოვა ისევ ძველი გაუგებარივე **ვუვალეთ** ქართველიშვილის, კარიჭაშვილის და ჭიჭინაძის გამოცემებისა. პ. ინგოროყვამ წაკითხვათა დასაბუთებას და, საერთოდ, მსჯელობას ამ წაკითხვათა შესახებ თავი აარიდა და იმით დაკმაყოფილდა, რომ ზოგადად აღნიშნა მხოლოდ — ხელნაწერებში ასე იკითხებაო.

ამ გამოცემებში ხელნაწერთა სურათია ასახული. ხელნაწერებშიც სიჩქარეა, ხოლო ზოგი გამოცემა ერთ ხელნაწერს ეყრდნობა, ზოგი სხვას თუ სხვებს. ხელნაწერებშიც არის **უმცროსა** (HRVZ), **უმცროსსა** (CLO), **უმცროსმა** (U), **უმცროსთა** (დანარჩენებში); **შემდგომმან** (CL) **შემდეგმან//შემდეგმა** (ORV), **შედეგმან** (დანარჩენებში); **გვითხრა** (EFGIKTYZ), **გვთხოვა** (დანარჩენებში); **უალეთ** (FIKOTVZ), **უვალეთ** (G); არ არის **ვუვალეთ**, მაგრამ გვხვდება სხვა ფორმები: **უთვალეთ** (E), **ულალეთ** (L), **ულალეს** (R), **უვალნეთ** (U), **უალალებთ** (X), **უალნეთ** (HjV), **უალლეთ** (დანარჩენებში);; **ჩვენ ნებით** (FIKY), **ჩვენებით** (დანარჩენებში).

აღარას ვამბობთ ორთოგრაფიული ხასიათის ზოგიერთ განსხვავებაზე, რომლებიც აგრეთვე გვხვდება.

ზოგიერთ კომენტატორს და გამომცემელს თავისებური დასაბუთებაც აქვს მოცემული.

ვახტანგ VI თავის „თარგმანში“ ამ სტროფის შესახებ მოკ-

---

25 ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1953, გვ. 423.

ლედ წერს: „ქენება ხვეწნა არის, შედეგი — —იმას უკანდელი"-ო და სხვა ტაეპებს სულ არ ეხება[26].

თეიმურაზ ბაგრატიონი განმარტავს ოალეთ ფორმას: „ვითარცა ალი ცეცხლისა, ეგრე შევქმენით"-ო[27]. რა თქმა უნდა, აქაც ვახტანგისეული უალეთ ფორმა ივარაუდება, მხოლოდ უ ბგერაა გრაფიკულად ო ნიშნით გადმოცემული. მაშასადამე, თეიმურაზ ბაგრატიონი უალეთ ფორმას ეტიმოლოგიურად ალ-ს უკავშირებს.

იუსტ. აბულაძეს „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონში ეს სიტყვა არ შეუტანია, მაგრამ ვარიანტების ჩვენებისას შემდეგს წერდა თავის I გამოცემაში: „უალეთ ჩვენ ნებით, ე. ი. მოვახმარეთ, მივაშველეთ ნები, ე. ი. ჩვენც მივეშველენით. ზოგიერთ ხელნაწერში — ჩვენებით — აშკარა „შეცდომაა"-ო[28]. ამასვე იმეორებდა იგი პოემის II გამოცემაშიც[29].

„ვეფხისტყაოსნის" მეორე გამოცემას დართულ ლექსიკონში ს. კაკაბაძემ უალეთ ფორმისაგან აწარმოვა მასდარი ალება და განაცხადა, რომ იგი მიღებულია სპარსული ალა შორისდებულისაგან „ეი შენ" მნიშვნელობით. „უალეთ" — ალა (ეი შენ) შევსძახეთ"-ო[30].

ა. შანიძემ 1957 წლის გამოცემას დართულ ლექსიკონში აგრეთვე ალება შეიტანა და განმარტა გამოთქმა ვუალეთ ჩვენებით: „ნება დავჰრთეთ ნიშნის მიცემით (თვალით ან თითით)"[31].

ბოლოს, 1966 წელს ა. შანიძე წერდა: „ამჟამად (12.II—1966) ამ სიტყვას ორი ლასით ვწერთ: ალლება, ვუალლეთ (ალალ-ისაგან")-ო[32]. ეს არის მითითება იმ ფაქტზე, რომ ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოსულ ტექსტში პოემის ამ ადგილას იკი-

---

26 ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა. აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფილისი, 1937, გვ. ტი[0].

27 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 34.

28 ვეფხისტყაოსანი, იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1914, გვ. 259.

29 ვეფხისტყაოსანი, იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1926, გვ. 202.

30 ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბილისი, 1926, გვ. 191.

31 ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1957, გვ. 348.

32 ა. შანიძე, თხზულებანი, II, „ვეფხისტყაოსნის" საკითხები, I, თბილისი, 1966, გვ. 133, სქოლიო.

თხება **ვუალლეთ**. ასევე იკითხება 1966 წლის ყველა სხვა გამოცემაში.

რა შეიძლება ითქვას აქ დასახელებულ ფორმათა შესახებ?

ზოგი ხელნაწერისა და ვახტანგის გამოცემისაგან მოშდინარე წაკითხვა **უმცროსა** სავსებით შესაძლებელი ფორმაა ჩვენი პოემისათვის[33] ისევე, როგორც სავსებით შესაძლებელი წაკითხვებია **უმცროსსა** და **უმცროსთა**. ამ უკანასკნელთაგან რომელიმეს არჩევა იმის მიხედვით შეიძლება მხოლოდ გადაწყდეს, თუ როგორ გავიგებდით ტაეპის შინაარსს: უხუცესმა ხვეწნით კაცი დასთხოვა უმცროსთ (ორივე უმცროსს, შუათანას — შედეგს და სულ უმცროსს), თუ მხოლოდ უმცროსს, შედეგს, შუათანას კი არა.

როგორც უკვე აღინიშნა, **შემდგომმან, შემდეგმან** და **შედეგმან** ფორმათაგან ერთადერთი მართებული მხოლოდ უკანასკნელია, რომელიც არაერთ ხელნაწერს აქვს დაცული, ვახტანგის გამოცემაშიც მოიპოვება და სხვა გამოცემებშიც გვაქვს და უკანასკნელ (1966 წლის) გამოცემებშიცაა მიღებული. „**შედეგი** — ჩამო გინა მაზედ ნაკლები"-ო განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი და ეს სიტყვა მართლაც ამ მნიშვნელობითაა ხმარებული ქართული ლიტერატურის ძეგლებში.

მაგალითად, ჟამთა აღმწერლის თხზულებაში ვკითხულობთ:

„და დაიპყრეს სამცხე სამთავე ძეთა მისთა: უხუცესმან სარგის, და **შედეგმან** ყუარყუარე, და უმრწამესმან (ასეა!) შალვა". შედეგი მომდევნოს (შვილს, ძმას) ნიშნავს[34].

ასევე სამართლიანადაა აღდგენილი უკანასკნელად პოემის ტექსტში ხელნაწერთაგან მომდინარე მართებული წაკითხვა **ჩვენ ნებით**, რომლის შეცვლა **ჩვენებით** წაკითხვით დიდი გაუგებრობის ნაყოფი იყო.

ეს უკანასკნელი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს ძირითად

---

33 ივ. გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ზოგი ადგილის წაკითხვისათვის ქართულში ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებებთან დაკავშირებით; იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XV, გვ. 39—62, თბ., 1966. იხ. აგრეთვე აქვე, გვ. 167—206.

34 ჟამთააღმწერელი: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 323; იხ. აგრეთვე, ლექსიკონი ს. ყაუხჩიშვილისა: „შედეგი („შემდეგი", „მომდევნო", „მეორე").

ამ სიტყვის შესახებ სპეციალური წერილი გამოაქვეყნა ა. ჭინჭარაულმა: „ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან — „მაცნე", № 1, 1965, გვ. 244—248.

მიზანთან — მის წინა ვუალეთ-სიტყვის წაკითხვის დადგენასთან და მნიშვნელობის გარკვევასთან.

ის ფაქტი, რომ ამ სიტყვას მრავალი ვარიანტი მოეპოვება პოემის ხელნაწერებში, იმის შედეგია, რომ, როგორც ჩანს, გაუგებარი იყო მნიშვნელობა მთელი გამოთქმისა და ამიტომ ამ სიტყვასაც ნებისმიერად ცვლიდნენ გადამწერები. ეგევე საფუძველი მოეპოვება იმ ფაქტსაც, რომ გამომცემლებიც ასევე ნებისმიერად ირჩევდნენ ხელნაწერის ამა თუ იმ წაკითხვას და არსებითი ხასიათის ანალიზი არავის უწარმოებია: **უალეთ, ვუვალეთ თუ ვუალეთ** ფორმები თანაბრად გაუგებარია, ამდენად, რომელიმე მათგანის არჩევას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

საბედნიეროდ, ხელნაწერები ამათ გარდა სხვა, უკეთეს წაკითხვებს გვაწვდიან. ეს წაკითხვებია: **უალეთ** (თანამედროვე ორთოგრაფიით **ვუალლეთ**) და **უალნეთ** (თანამედროვე ორთოგრაფიით **ვუალნეთ**).

უალლეთ (ვუალლეთ) ალალ-ფუძისაგან ნაწარმოები ზმნა ჩანს. **ალალ-ფუძე** ნასესხები ფუძეა ქართულში და საკმაოდ გავრცელებულიცაა. ქართულში მას აქვს **მართალის, უცოდველის, პატიოსანის** და შემდეგ **ღვიძლის, საკუთარის, მკვიდრის** მნიშვნელობა (შდრ. გამოთქმები: **ალალი ლუკმა, ალალი კაცი, ალალი სიტყვა, ალალი ძმა...**)[35]. ჩვეულებრივი გამოთქმებია: **ალალია! ალალი იყოს!** (=ეკუთვნის, ერგება, შეერგოს!). უპირისპირდება თავისი მნიშვნელობით მეორე აგრეთვე ნასესხებ სიტყვას — **არამ-ს**.

მოგვყავს ამ სიტყვის ხმარების ორიოდე მაგალითი.

„თუ კაცი მეტისმეტს ჭამასა და სმას გაჰყვება, ვეღარ შეიტყობს, **ალალი** რომელი არის და **არამი** რომელი. აგრეთვე, რა მეტსა ბოზობასა გაჰყვება კაცი, ვეღარ შეიტყობს, **ალალი** რომელი არის და **არამი** რომელი“[36].

დავ. გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“-ში ასეთი სტრიქონები გვაქვს:

ვაჭარი უნდა სარფისა, სამთვრალოს არა სვემდესა,
ყომარბაზობას ერიდოს, სიწმინდით თავსა სცევდესა,

---

35 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ. არნ. ჩიქობავას რედაქციით, ტ. I.

36 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, II, გვ. 250 („მეფეთა სალარო“).

მეტად უზომოდ **არამსა ალალში** არა რევდესა...[37]
XIX ს. ქართული ლიტერატურიდან.

„არა ვარ ღირსი არც იმ პურისა, რომელსაც მომაწვდენს... ვინც ლუკმას მომიშვერს, ის ლუკმა **ალალი** იქნების და მე კი **არამი**“ (**ალ. ყაზბ.**, „მოძღვარი“).

„დაიჯერა ჩემი **ალალი** სიტყვა. ის **ალალი** ადამიანი, როგორც მალე ავს დაიჯერებდა, ისე მალე კარგსაც მიენდობოდა“ (**ილია**, „გლახის ნაამბობი“).

„გაბრიელი კაი **ალალი** ბიჭია, კაი, ხელღონიერი, ჯანიანი ბიჭია“ (იქვე).

„პეპია ამ საქმეში ღმერთსავით **ალალია** და უცოდველი“ (იქვე).

„აი ძმობილო, ეს-ღა გერგება. **ალალი** იყოს შენზედ და მე ჩემს პახლში კი ვეღარ დაგაყენებ“ (**ილია**, „ოთარაანთ ქვრივი“).

„ეგ სათიბი ამიღია და დანარჩენი კი... **ღმერთმა ალალი ჭნას შენზედ** ისე, როგორც შენი დედის ძუძუ“ (**ალ. ყაზბ.**, „ელგუჯა“).

„ღმერთმა მოახმაროს და შეარგოს ი ხოდაბუნები, როგორც თავის დედის **ალალი ძუძუ**“ (**სოფრ. მგალ.**).

განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ეს სიტყვა ვაჟა-ფშაველას ნაწერებში.

მადლისთვის მადლობას გიხდის
შენი მშობელი მხარეო,
ალალი არის შენზედა,
იშვებდი, გაიხარეო! („ვლ. მესხიშვილის საიუბილეოდ“).
ალალი იყოს თქვენთვისა! („ნადირთა პატრონი“).

უფრო დამახასიათებელი ისაა, რომ ეს ფუძე საერთოდ რედუცირებული სახით (**ალლ**) არა გვხვდება. ჩვეულებრივია მხოლოდ სრულხმოვნიანი ფუძე (**ალალ**), ვაჟასთან კი რედუცირებული სახეობაც გვაქვს.

ალლად შეარგოს უფალმა
მხოლოდ მას ძუძუ დედისა („კოტე ყიფიანის საიუბილეოდ“).

ვინც ჩემს იარაღს იხმარებს
ერთგულად, დაუმცდარადა,
ცოცხალიც ვამბობ, მკვდარიცა:

[37] დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი, 1955, გვ. 33.

ღმერთმა ახმაროს **ალლადა** („სიკვდილი გმირისა"):
თან შაეხვეწა ბატონსა [ქეთელაური]:
„ნუ შამიცოდებ შვილსაო,
ალლადა ჰქონდეს მუცალსა
მაგ მოუნათლავ გმირსაო" („ალუდა ქეთელაური").

შდრ. ცნობილი ადგილი ხალხური „ამირანიანიდან":

ვინც რომ ბაყბაყ-დევსა მოკლამს,
ჩემი ხმალი **ალალ მისი!**
ვინც რომ დედაჩემს დამარხავს,
ჩემი შუბი **ალალ-მისი!**
ვინც რომ ჩემს დიაცს იტვირთებს,
ჩემი რაში **ალალ მისი!**[38]

ამრიგად, თითქოს **ვუალლეთ (უალლეთ)** ფორმა მოცემულ კონტექსტს კარგად ეგუება: ამან (მესამე ძმამ, უმცროსმა) მართ ოდენ მორევა გეთხოვა (გეთხოვა, რომ ნება მიგეცა — მხოლოდ თვითონ მორეოდა), ჩვენ კი ნებით ალალი ვუთხარით, ვუთხარით — ალალი იყოს შენთვისო, ჩვენი ნებით დავეთანხმეთ, ნება დავრთეთო.

დაახლოებით ამგვარს საფუძველს უნდა ემყარებოდეს ზემომოყვანილი შენიშვნა ა. შანიძისა და ის ფაქტიც, რომ ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოცემულ ტექსტში (აგრეთვე 1966 წლის სხვა გამოცემებში) **ვუალლეთ** წაკითხვაა წარმოდგენილი.

და მაინც ასეთ წაკითხვას ზოგი დაბრკოლება ახლავს: ძველ ძეგლებში **ალალ** სახელური ფუძისაგან ზმნის ორგანულ ფორმათა წარმოების შემთხვევები არა გვხვდება, არც **ალალ**-ფუძის რედუცირებული ფორმა (**ალლ**) მოიპოვება, ე. ი. არ გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებიც შესაძლებელია დღეს მთის ზოგიერთ კილოში (მაგ., ფშაურში), და დადასტურებულია ვაჟა-ფშაველას ნაწერებშიც.

საკითხის გარკვევაში სინათლის შეტანა შეუძლია ხელნაწერთა უკანასკნელ ვარიანტს — **უალნეთ (ვუალნეთ)**. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა ვარიანტთაგან, რომლებიც ხელნაწერებშია დადასტურებული, სწორედ ეს ვარიანტი უნდა იქნეს არჩეული, როგორც

---

[38] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, თბ., 1964, გვ. 19.

ერთადერთი შესაძლებელი ფორმა ამ ტაეპში. ქართული მწერლობის ძეგლებში ეს ფორმა დასტურდება სხვადასხვა ვარიაციით და ზუსტად იმგვარი მნიშვნელობით, რომელიც სავსებით ეგუება საანალიზო ტაეპის შინაარსს.

მოგვყავს რამდენიმე ნიმუში.

„მართებს მამისთვალსა ზაქარიასა ხაჯუბერაძესა 20 თეთრი, 21 კოკა ღვინო, 11 გოდორი ღომი. კიდევ დავსდევით, **შეგიალნა** ბატონმა მუშაობა, მისთუის კოდი პური, თითო კოდი ქერი, ორი ქათამი, თითო ძღუენი და ქათამი“[39].

„აწე ვისცა ამა წიგნითა და ამა წამლებითა უაქიმოთ და ძალითა და შეწევნითა ღ‘თისათა ამა წამლებისა მიზეზითა იგი კაცი მორჩეს და ელხინოს, მე ცოდვილსა და უღირსსა დაუთხანს ნუ დაგვივიწყებთ. ვინც შენდობა მიბძანოთ, ღ‘თნ თქუენცა შეგინდვნეს თქუენი ცოდვანი და ამა უხანოსა სოფელსაცა უჭირველად გამყოფოს და გადღეგრძელოს და შეგარგოს და თქუენზედა **ალნად ჭნას** სარჯელნი და ჭირნახულნი ჩემნი“[40].

თითქმის ეგევე მეორდება სიტყვასიტყვით იმავე ძეგლში მეორე ადგილას:

„აწე ვისცა ამა წიგნითა და წამლებითა ელხინოს და მორჩეს, საბრალოსა და უღირსსა დაუთხანს შენდობას მიბრძანებდეთ და კეთილისა საუბრისაგან ნუ დაგვივიწყებთ და, ვინც შენდობა გვიბრძანოთ, ღ‘თმან თქუენცა შეგინდვნეს თქუენნი ცოდვანი და ამა უხანოსა სოფელსაცა უჭირველად გამყოფოს და გადღეგრძელოს, **ალნად ჭნას** და შეგარგოს სარჯელნი და ჭირნახულნი ჩემნი“[41].

„მეფეთა სალაროს“ ქართული ჯეჯილის ერთ-ერთ თავში, რომლის სათაურია „უხობისა და გამცემობისათვის“, მოთხრობილია ცნობილი ჰათამის შესახებ, რომელიც ისეთი უხვი იყო, რომ ყველას აცვიფრებდა. აი, სხვათა შორის, რას ვკითხულობთ იქ:

„დღესა ერთსა ჰკითხეს ჰათამს, ვითარ: შენგან უფრო უხვი კაცი გინახავსო? უბრძანა მათ ჰათამ, ვითარ:

დღესა ერთსა ბაღდადის ხალიფა გამიწყრა და სასიკუდილოდ გამომიმეტა. გაუშვი სახლი და მამული და შვიდს წელიწადს ჩო-

---

39 გელათის წმიდის გიორგის დაკვთარი 1545 წლისა: ს. ყაყაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, თბილისი, 1914, გვ. 69.

40 იადიგარ დაუდი, ლ. ქოტეტიშვილის გამოცემა, თბილისი, 1938, გვ. 98.

41 იქვე, გვ. 143.

ქით დავიარებოდი. უბრძანა ჭელმწიფემან ყოვლის თემის კაცსა: რომელიც ჰათამს დამიჭერს და მომგვრისო, ნახევარს ჩემს საჭელმწიფოს მივსცემო. ამესია ყოველი კაცი და განეშორე შენობასა. ვითარცა ნადირი, მინდორსა შინა ვიარებოდი. ერთხელ, შვიდს დღეს პური ვერ ვიშოვე, რომ მეჭამა, და შორს, ჩოლში, აქლემის ჯოგი დავინახე და ვთქუი გულსა შინა, ვითარ: აქლემის ჯოგსა მეჯოგე ეახლების, ეგების პური ჰქონდეს. მივმართე მას და, რა მიველ, ვნახე, რომ ერთი რამ დიდი კაცი დასდევს იმა აქლემის ჯოგსა. წავდგი ფეკი წინა და, ვითარცა მთხოვარი, შევეხვეწე და პური ვსთხოვე. წამოდგა იგი მეჯოგე და ერთი ქერის პური მომცა, დამიჯდა გვერდით და მკითხა: სადაური ხარო ანუ ვისის გვარისა, რომე შვენიერობამან შენმან გამაკუირვა? უთხარ მას, ვითარ: მე ერთი ღარიბი გლახაკი ვარ, მომშივდა. შორის გზით მომავალმან დავინახე ჯოგი აქლემისა და მოვმართე. აწ ღმერთმან დაგიმადლოს, შენ აღმიპყარ ჯელი და პური მაჭამე. მან მითხრა, ვითარ: შენ ჰათამ ხარ, ჭელმწიფის მტერი და ღმერთმან შემიბრალა ჩემის ღარიბობისათვის და მომცა თავი შენი, რომე წარგიყვანო ჭელმწიფეს წინაშე და მოვირჩვა და მოვივლინო შენის მიყუანითა. ჯელი შემიკრა და მე ერთობ შევწუხდი და უღონოდ გავჭე. მკლავზედ ცხრა ლალი მება, თვითო თვითოს ქუეყნის ფასი იყო. შემოვიხსენ და მივეც და უთხარ: ჩემს სიკუდილს ვერას გამორჩები და არც ჭელმწიფე ამათს ფასს მოგცემს. მოიხსენე ეს ცხრა ლალი, **ჩემი ერთი კოვზი სისხლი მაალნე** და მააზატე!

გამომართვა მეჯოგემა იგი ცხრა ლალი და დახედნა მას, მითხრა: ეჰა, ჰათამ, შენს ჟამში შენის საქონლის ნახევარი გაგიცემია თუ არაო? მე უთხარ: არაოდეს არ გამიცემია. მან თქუა, ვითარ: მაგ ერთის ქერის პურის მეტი არცა-რა შინა მაქუს და არცა-რა გარეთ. შენ იცი, რომე, თუ შენ ჭელმწიფეს წინაშე მიმეყუანე, ამდენს მომცემდა, რომე ჩემს ჟამში მეყოფოდა. და ეს ლალები თვითო ქვეყნის ფასი არის; ესეც მომირთმევია და ჭელმწიფის წყალობაც დამითმია და **შენი სისხლიც მიალნებიაო**. წადი და, სადაც შენი სიუხვის ამბავი ითქუას, ეს ჩემი ამბავიც თქვიო. აწ მას აქათ ვარ მისი მაქებარი და მადიდებელი და, თუმცა კაცი მჯობს სიუხვით, ისი მჯობსო"[42].

---

[42] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1949, გვ. 269—270.

ეს ფუძე მოიპოვება „შაჰნამეს“ ქართულ თარგმანშიაც: მოაკვლინა: „ტახტ-გვირგვინის შესაფერო კელმწიფეო! **ერთი პეშვი სისხლი მისი მიბოძე და მიალნეო“** (4011)[43].

დასასრულ, ეს ფუძე დღესაც მოიპოვება ფშაურ კილოში და დადასტურებულია ვაჟასთან. ვაჟა ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ წერილში შემდეგს წერს:

„რაც კი უბედურება შაემთხვევა, ფეხიც რომ გადაუბრუნდება, ფშაველი აწერს ხატის „მიზეზს“. მიდის მკითხავთან საკითხვინებლად; მკითხავი უპოვის, რომელიც თვითონ მკითხავს უნდა, იმ ხატის მიზეზს, შეაწერს ცხვარს ან კურატს და გაისტუმრებს გულდამშვიდებულს შინ გონებაგაყინულს სტუმარს. ფშაველი ხშირად კიდეც დაემდურება ხატს, თუ იმან არ შეიწირა მისი შესაწირავი და არ აუსრულა თხოვნა: რა ვიცი, ღმერთმა იცის, **სიალნის** (სიმართლის) მეტი ქვეყანასთან არა მიმიძღვის, მაგრამ ბედენა ვერაი ვქენ, ხატისად არ დამიკლავ, ცოცხლისად, მკვდრისადა... ვინც გულმრუდია, ის უფრო ჩემზე კარგა ჰცხოვრობს“[44].

ეს სიტყვა ვაჟას სხვა მოთხრობაშიც გვხდება: „პაპაზე ნაკლებად არც თამარი, პაპას მეუღლე იყო განოქმული **„სიალნით“** — სიმართლით, პატიოსნებით“[45].

ამრიგად, გვაქვს სახელის მიმართულებითი ბრუნვის ფორმა **„ალნად“**, რაც ზმნისართული მნიშვნელობით არის გამოყენებული გამოთქმაში **ალნად ქნას**, და მოიპოვება ამავე ფუძისაგან ნაწარმოები ორგანული ფორმები ზმნისა **„შე-გ-ი-ალნ-ა“** („შეგიალნა ბატონმა მუშაობა“), **„მა-ა-ალნ-ე“** („მოიხსენე ეს ცხრა ღალი, ჩემი ერთი კოვზი სისხლი მაალნე და მააზატე“), **„მ-ი-ალნ-ებ-ი-ა“** („ესეც მომირთმევია და კელმწიფის წყალობაც დამითმია და შენი სისხლიც **მიალნებიაო**“), **„მ-ი-ალნ-ე“** („ერთი პეშვი სისხლი მისი მიბოძე და **მიალნეო**“); ვაჟა-ფშაველასთან კიდევ ამ ფუძისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელია დადასტურებული—**„სი-ალნ-ე“**. ყველა ფორმაში ალნ-ფუძეა ამოსავალი, რომელიც რედუცირებუ-

---

43 შაჰნამე, ქართული ვერსიები, ტ. II, იუსტ. აბულაძის, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით. ტფილისი, 1934, გვ. 146.

44 ვაჟა-ფშაველა, „ფშაველები (მათი სხვადასხვა ჩვეულება, ცრუმორწმუნეობა და ხატები)“, თხზულებანი 10 ტომად, ტ. IX, გვ. 12.

45 ვაჟა-ფშაველა, „შთაბეჭდილებანი“, თხზულებანი 10 ტომად, ტ. V, გვ. 27.

ლი ჩანს, თუმცა სრულხმოვნიანი **ალან** სახეობა არ მოგვეპოვება.

ამ სიტყვას იცნობს სულხან-საბა ორბელიანი: **შეალნება** — მსოფლიოდ მიტევება"-ო — განმარტავს იგი.

ეს სიტყვა შეტანილია აგრეთვე ნ. ჩუბინაშვილისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში.

პირველში ვკითხულობთ: „**შეალნება** — მსოფლიურად მიტევება. დათმობა, შელევა, уступать". ამავე ლექსიკონში ამ ზმნის უპრეველრბო ფორმაცაა შეტანილი — **ალნება**, ოღონდ **შეალნება**-ზეა მითითება: „ნახე შეალნებაო".

დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონშიც ასევე იკითხება: „**შეალნება** — მსოფლიურად მიტოვება, დათმობა, შელევა, уступать"...

უპრეველრბო ფორმაცაა შეტანილი და განმარტებულიც: „**ალნება** — თვისება, დათმობა; усвоить,отдать. შვილისთვის ალნება გვიქნია мы отдали это сыну".

ორივე ლექსიკოგრაფისათვის წყაროა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. პრეველრბიანი ფორმის განმარტება ორივეგან ერთგვარია, ოღონდ უპრეველრბო ფორმას თუ ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში მხოლოდ მითითება ახლავს, დ. ჩუბინაშვილისაში იგი განმარტებულია და საილუსტრაციო ფრაზაც ახლავს; როგორც განმარტება, ისე რუსული თარგმანი ორივე ლექსიკონში მიახლოებითია.

იუსტ. აბულაძეს „შაჰნამეს" II ტომისათვის შედგენილ ლექსიკონში შეტანილი აქვს **ალნება** და ასე განმარტავს: „მომადლება. ღირსყოფა, **მიალნეო** — მაღირსეო"[46].

ივ. ქავთარაძე, რომელმაც ლექსიკონი შეუდგინა ს. ყუბანეიშვილის „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის" II ტომს, სადაც დაბეჭდილია „მეფეთა სალაროს" ქართული ვერსია, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან მხოლოდ პირველ ფორმას („**მაალნე**") იმოწმებს და ასეთ განმარტებას წარმოგვიდგენს: „**აალნებს**. მ ა ა ლ ნ ე — გამათავისუფლე, მაპატიე". განმარტება კონტექსტს ეყრდნობა. ტექსტში იკითხება: „ჩემი ერთი კოზი სისხლი **მაალნე** და **მააზატე**". განმარტების „**გამათავისუფლე**" უნდა მომდინარეობდეს „**მააზატე**"-სგან, რომელიც, როგორც ჩანს, „**მაალნე**"-ს სინონიმადაა გაგებული.

---

46 შაჰნამე. ტ. II, გვ. 566.

„იადიგარ-დაუდის“ ლექსიკონში იუსტ. აბულაძე **ალნად** ფორმას ასე განმარტავს: „ალალად, ალალი იყოს“.

ამრიგად, ამ ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნათა და აგრეთვე გამოთქმათა მნიშვნელობა დაახლოებით ისეთივეა, როგორიც გამოთქმისა „ალალი იყოს“, „ალალი მიყავ“ და მისთ. ესაა — ეკუთვნის, ერგება, შეერგოს... სიალნე — ალალმართლობას, უეშმაკობას, გულმართლობას აღნიშნავს; მაალნე არის ჩემთვის ალალი ქმენ, მიალნებია — შენთვის ალალი მიქნია, დამითმია, მიპატიებია. ცალკე მყარი გამოთქმაა, როგორც ჩანს, „ერთი პეშვი სისხლი მაალნე (მიალნე)“.

ეს მნიშვნელობა სავსებით ეგუება „ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო ტაეპში წარმოდგენილ კონტექსტს.

ა. შანიძე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დაცულ „შეალნება“-ს თითქოს ალალ-ფუძეს უკავშირდება. სულხან-საბას ლექსიკონის 1928 წლის გამოცემაში[47] მას ცალკე აქვს გამოტანილი ალალ-ფუძე და მითითებული „შეალნება“-ზე. ე. ი. შეალნება სალექსიკონო ერთეულზე დაყრდნობით აქვს წარმოდგენილი ალალ სალექსიკონო ერთეული, თუმცა სულხან-საბას ალალ-სიტყვა „არამ“-ის საწინააღმდეგო მნიშვნელობისა თავის ლექსიკონში არ მოეპოვება.

ამ ფუძეთა ერთმანეთთან დაკავშირებას აქვს გარკვეული საფუძველი: მნიშვნელობა დაახლოებით ერთგვარი ჩანს. ამასთან, დაკავშირების შემთხვევაში საფუძვლიანი ჩანს ვარაუდი, რომ **ალნ** ალალ-ისაგან შეიძლება იყოს მიღებული: **ალალ—ალლ—ალნ**, ე. ი. ალალ-ფუძეში ა ხმოვნის რედუქციის შედეგად ორმა ლ-მ მოიყარა თავი, რომელთაგან მეორე დისიმილაციის შედეგად ნ-მ შეცვალა. ეს იყო შეუძლებელი ლლ ჯგუფის დაძლევის ერთ-ერთი გზა. მეორე შესაძლებლობაც არსებობდა: შეიძლებოდა ერთი ლ დაკარგულიყო.

მაგრამ ლ-ს დისიმილაციის აუცილებელ პირობას რატომ უნდა წარმოადგენდეს მაინც და მაინც ორი ლ-ს თავმოყრა შეკუმშულ ფუძეებში? რატომ არა გვაქვს დისიმილაცია იმ ფორმებში, რომლებშიც ხმოვნის რედუქცია არ ხდება? რატომ არა გვაქვს, მაშასადამე, **ალან**-ფუძე და გვაქვს მხოლოდ **ალალ**-ფუძე? რატომაა, რომ **ალალ**- და **ალნ**- ფუძეები ერთსა და იმავე ძეგლებში

---

47 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.

გვხვდება[48] და ეგევე ფუძეები დღეს პარალელურად იხმარება, მაგალითად, ფშაურში? გარდა ამისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვაჟა-ფშაველას ნაწერებში შეკუმშულ ალლ ფუძეცაა დადასტურებული, რაც ძველ ტექსტებში არა გვხვდება.

მაინც დამაფიქრებელია სულხან-საბა ორბელიანის შენიშვნა: **შეალნება მსოფლიოდ მიტევებაო**". ამ შენიშვნას იმეორებენ ნ. და დ. ჩუბინაშვილები: **მსოფლიურადო**. ხომ არა ნიშნავს ეს „**მსოფლიოდ**" იმას, რომ ხალხური, დიალექტური ნ-არიანი ფორმა უპირისპირდება ლიტერატურულ, სრულხმოვნიან ალალ-ს? მაგრამ ეს უკანასკნელი ფორმა რომ არ მოეპოვება სულხან-საბას, ესეც დამაფიქრებელია.

როგორიც უნდა იყოს ურთიერთობა ამ ფორმათა შორის, ერთი რამ სრულიად ცხადია, საშუალო საუკუნეთა ქართულ სალიტერატურო ენაში, და „ვეფხისტყაოსნის" ენაშიც, გავრცელებული და გაბატონებული ფორმებია **უალნეთ** და მისთ. ფორმები, **უალლეთ**-ტიპის წარმოების კი არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს და ეს სავსებით ბუნებრივიცაა: შეწყვილებული **ლ(ლლ)** ფუძეში ქართულისათვის აუტანელია, ამის გამო ან ერთი მათგანი უნდა დაკარგულიყო, ან და ერთ-ერთ მათგანს დისიმილაცია უნდა მოსვლოდა. სწორედ ასეთი სურათია წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერებში. ამდენად, **უალლეთ** ფორმა, რომელიც პოემის მე-17 საუკუნის ხელნაწერებში გვხვდება, ხელოვნური ჩანს და გადამწერელთა მიერ ტექსტის მცდარად გააზრიანების შედეგია.

ზემოთ წარმოდგენილ მტკიცებას მხარს უჭერს და განამტკიცებს ის ფაქტები, რომლებიც დღევანდელ იმერულ კილოშია დადასტურებული, კერძოდ ზემოიმერულ და ოკრიბულ კილოკავებში.

ქვემოთ მოგვყავს სათანადო მასალა. მასალა ამოკრებილია ქეთევან ძოწენიძის ნაშრომიდან — „ზემოიმერული ლექსიკონი" („განათლების" გამოცემა, თბილისი, 1974). იხ. აგრეთვე პ. ჯაჯანიძის „მასალები იმერული ლექსიკონისათვის" (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1949).

იმერულში დადასტურებულია ჩვენთვის ნაცნობი ფორმა მიმართულებითი ბრუნვისა ზმნისართული მნიშვნელობით — **ალნათ.**

---

[48] მაგალითად, იმ ვრცელ ამონაწერში „მეფეთა სალაროს" ქართული ვერსიიდან, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი და რომელშიც „**მიალნე**" და „**მიალნებია**" ფორმებია დადასტურებული, ალალ-სიტყვაც მოიპოვება, ხოლო არსაიდან ჩანს, რომ მთარგმნელს ამ ფუძეთა მნიშვნელობა ერთგვარად ესმოდეს.

მისი მნიშვნელობაა: „ალალად, პატიოსნად, სიმართლით“. საილუსტრაციოდ მოყვანილია ფრაზა: „ის ერთი სვეტი იყო ალ ნათ ნაკეთებიო (პერევი)“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იმერულში დადასტურებულია შეუკუმშავი **ალან-ფუძე**, რომლის დაუდასტურებლობაზე ძველ ქართულ ძეგლებში ზემოთ იყო ბაასი: „**ალანი** ალალი. ალანი იქნება იმაზე, რაც იმან იწვალა (**ზედა საქარა**); პაპიაჩემი ალანი კაცი იყო (**პერევი**); რაც ალანი იყო, ქე დარჩა (**ზარანი**)“. დადასტურებულია აგრეთვე კომპოზიტები, რომლებშიც **ალან-ფუძე** შედის: „**ალან-მართალი** ალალმართალი. ალან-მართალი ხალხი ვართ (**ხევი**)“. „**ალანხვთიური** ღვთისწინერი, მართალი. ეს ქალი ალანხვთიურიაო, — იმას უთხრა, — შენე ტყუანი ხარო (**წაქვა**); ალანხვთიური ქალია, რას ერჩი ამ ქალსა?! (**ხევი**)“.

„ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო ადგილის („ამან მართ ოდენ მორევნა გვითხრა, ვუალნეთ ჩვენ ნებით“) სავსებით შესაფერი, მეტიც, იდენტური მნიშვნელობა აქვს მასდარულ ფორმას, რომელიც ოკრიბულშია დადასტურებული (იხ. „იმერული ლექსიკონის“ დანართი — „მასალები ოკრიბული ლექსიკონისათვის“): „**ალნება** ნებართვა. ქმარმა ალნება მომცა და მოვდივარ (**გურნა**); თავმჯდომარემ ალნება მომცა და დავხსნავ ამ მიწასაც (**გურნა**)“.

ყოველივე ამის გამო არ არის დასაბუთებული და, მაშასადამე, გამართლებული არჩევანი პირველ რიგში ა. შანიძისა და ა. ბარამიძისა, რომელთაც 1966 წლის თავიანთ გამოცემაში **ვუალლეთ** წაკითხვა შეიტანეს. როგორც ცნობილია, შემდგომ ეს წაკითხვა დაკანონდა 1966 წლის ყველა სხვა გამოცემაშიც.

ერთადერთი მართებული წაკითხვა. როგორც ეს უნდა ჩანდეს ზემოთ ჩატარებული ანალიზის შედეგად, არის **ვუალნეთ** (ახალი ორთოგრაფიით)// უალნეთ (ძველი ორთოგრაფიით) და, მაშასადამე, ტაეპი უნდა იკითხებოდეს ასე:

ამან მართ ოდენ მორევნა გვითხრა, ვუალნეთ ჩვენ ნებით...

P. S. ამ ტაეპის შესახებ არსებობს ძალიან თავისებური აზრი ნ. ნათაძისა. ნ. ნათაძე წერდა: „სიტყვა „ვუალეთ“ გაუგებარია (ა. შანიძის ლექსიკონში იგი გამოტანილია, მაგრამ ახსნილი არაა)[49]. სიტყვის გაგების გასაღებს იძლევა C ხელნაწერის წაკითხვა „ვუალლეთ“. ეს უნდა ნიშნავდეს „ალლაჰი ვუფიცეთ“ ან „ალლაჰი

---

49 ა. შანიძის ლექსიკონში შეტანილია ალება და ახსნილიცაა თავისებურად, ამის შესახებ იხ. ზემოთ.

ვიფიცეთ", რაც კონტექსტს საუცხოოდ ეთანხმება: „მშვენიერი შოყმის დაჭერის მიზნით მას მოსატყუებლად, მოჩვენებით („ჩვენებით") ალლაჰი ვუფიცეთო". სხვაგვარი ახსნა ორმაგი თანხმოვნის („ალლ") ხმარებისა, რაც ქართულისათვის აბსოლუტურად უცხოა, ვერ ხერხდება. არაბულ დამწერლობასა და წარმოთქმაში, როგორც ცნობილია, „ალლაჰ" სიტყვას ორი „ლ" აქვს"-ო[50].

ადვილია დარწმუნება იმაში, რომ ასეთი მნიშვნელობა კონტექსტს არათუ „საუცხოოდ", არამედ სრულიად არ ეგუება. გარდა ამისა, სიტყვა **ალლაჰ**-ისაგან ქართულში ამგვარი გზით ზმნას ვერ მიეიღებდით და აკი არც მიგვიღია კიდეც! ამდენად, მთელი ეს მსჯელობა ნებისმიერია და დასკვნა — საფუძველს მოკლებული.

ჩხნდე

ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსნის" არც ერთ გამოცემაში არ მოიპოვება. არის მხოლოდ ზოგიერთ ხელნაწერში. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება საჭირო დასაბუთება ამ სიტყვის ტექსტში აღდგენისა და, მაშასადამე, პოემის გარკვეული სტროფის ტრადიციული წაკითხვის შეცვლის საჭიროების დასამტკიცებლად.

საკითხი ეხება პოემის 1261-ე სტროფს.

ფატმანი მოუყვა ავთანდილს ნესტანდარეჯანის ამბავს. ავთანდილი გადაწყვეტს, გაუმჟღავნოს ფატმანს თავისი ვინაობა: „ავთანდილ თქვა: საქმე ჩემი გავაცხადო ამა დღესა", „მას დღე ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა" და ეწვია ფატმანს. „პური ჭამეს, გაიყარნეს", საღამოს ისევ შეიყარნენ და აი ავთანდილი იწყებს ბაასს.

ავთანდილ ბრძანა: „ჰე ფატმან, ვიცი ეს საქმე შენია,
დაჰკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა გველნაკბენია,
მაგრამ აქამდის მართალი შენ ჩემი არა გსმენია,
ჩემნი მომკვლელნი წამწამნი შავნი გიშრისა ხენია".

ამას მოსდევს გამჟღავნება იმისა, რომ ავთანდილი არის „სპასპეტი მაღლისა მეფისა როსტევანისა", რომ „როსტევანს უვის ერთი ასული", რომ იგია ავთანდილის „დამწველი და... დამადნობელი"

---

50 ნ. ნათაძე, ვეფხისტყაოსნის სამი ადგილის გაგებისათვის. შოთა რუსთაველი (საიუბილეო კრებული), გამომც. „მეცნიერება", თბილისი, 1966, გვ. 317.

და რომ იმან გამოგზავნა „ძებნად მისვე ქალისად“, რომელიც ფატმანს ჰყოლია და ა. შ.

საანალიზო სტროფის ბოლო ტაეპი — „ჩემნი მომკვლელნი წამწამნი შავნი გიშრისა ხენია“ — ამ ქალს — თინათინს ეხება.

ეს ტაეპი ყველა გამოცემაში ასე იყო და ასე არის წარმოდგენილი, გარდა პ. ინგოროყვას გამოცემისა (1953 წ.). პ. ინგოროყვამ ეჭვი შეიტანა ამ წაკითხვის სისწორეში: „სახე — ხე, წამწამთა აღსანიშნავად, შეუფერებელია“-ო, განაცხადა მან და, როგორც ჩანს, დაეყრდნო პოემის ერთ ხელნაწერს (G), რომელშიაც იკითხება: **„ჩემი მომკვლელი წამწამნი შავნი გიშრისა სხენია“**; ამ ხელნაწერში დადასტურებული სხენია როგორც ჩანს, მან მიიჩნია ორპირიან ფორმად პირველი თურმეობითისა; ასეთი ფორმა ორი პირის შეწყობას მოითხოვდა, მათ შორის მორფოლოგიური ობიექტისას მიცემით ბრუნვაში. ამის გამო პ. ინგოროყვამ შემოიტანა კონიექტურა: **ჩემნი მომკლველნი (ჩემი მომკლველი)** გადაიყვანა მიცემით ბრუნვაში — **ჩემსა მომკლველსა** — და, ამრიგად. შეუხამა **სხენია** ფორმას. მიიღო: **„ჩემსა მომკლველსა წამწამნი შავნი გიშრისა სხენია“**. იმას, თუ რამდენად შესაძლებელია ასეთი ფორმა, ან რამდენად შეეფერება იგი კონტექსტს, ანგარიში არ გასწევია[51].

პ. ინგოროყვას ეს გასწორება სავსებით სამართლიანად არ იქნა გაზიარებული 1957 წლის გამოცემის რედაქტორთა მიერ. ამ გამოცემაში ეს ტაეპი ძველი სახით დაიბეჭდა. ასევე ძველი სახით დაიბეჭდა ეს ტაეპი 1966 წლის სამსავე გამოცემაში.

მაგრამ თუ დაუსაბუთებელი და შეუფერებელი იყო პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი კონიექტურა, უთუოდ დამაფიქრებელი იყო მისი შენიშვნა: „სახე — ხე, წამწამთა აღსანიშნავად, შეუფერებელია“-ო.

მართლაც პოემაში **ხე** ან ცალკე, ან **ალვასთან** ერთად (**ხე ალვა**), ჩვეულებრივ, ტანის აღმნიშვნელია. მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს.

---

[51] ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1953, გვ. 481. ასევე აქვს პ. ინგოროყვას ეს ტაეპი დაბეჭდილი 1970 წლის გამოცემაშიც.

აქ ჩვენ ვმსჯელობთ იმის მიხედვით, თუ ჩვენ როგორ გვესმის პ. ინგოროყვას მიერ შეტანილი შესწორების საფუძველი. თვით პ. ინგოროყვას არავითარი საბუთიანობა არა აქვს წარმოდგენილი. იგი ჩვეულებისამებრ კმაყოფილდება ლაკონიური ფორმულით („სხენია“ — ხელნ.; „ჩემსა მომკლველსა“ — კონიექტურა).

ავთანდილის შემხედველთა: „ჰკავსო **ალვას, ედემის ხეს**“ (77).
ქმარი არ მინდა უშენო, მომხვდეს **ხისაცა რგულისა** (153).
მოგშორდი **ედემს ნაზარდო, ტანო ლერწამო და ხეო** (725).
ვინ **მოგკვეთა**, არა ვიცი, **ხეო, ედემს დანერგულო** (309).
იტყოდა: „მომკლავს უცილოდ **ტანი ალვისა, მო, ხისა!**“ (1260).
ტარიელსცა უსალამეს, მას **ალვისა მორჩსა ვით ხეს** (1424).
ვპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყალთა რწყულისა (696).
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, **ხე ალვა, ედემს ხებული** (522).
ვჰკითხე, თუ: „ნეტარ, მისულა **მორჩი ალვისა ხე მისად!** (491).

რაც შეეხება **წამწამს**, მისი ეპითეტია **შავი** (ჰშვენოდეს **შავნი წამწამნი**, გულისა გასაგმირონი — 123; გული ვერ გასძლებს ნიადაგ **შავთა წამწამთა** სობასა: — 1087), ხოლო მეტაფორად მისთვის **გიშერი** არის გამოყენებული (ბროლ-ბადახში გააღაწვეს და **გიშერი აწამწამეს** — 1541; მოახსენა ყმამან: „მზეო, ვინ **გიშერი აწამწამე**, სხვა პასუხი რამცა გკადრე ანუ რამცა შევიწამე?“ — 134; თვალთა **გიშერი** აშვენებს, სათმან რად მომკლა, სათმანო! — 835; ვინ **გიშერი დააჭოგა და წამწმისა არემა-რე** — 1532).

უფრო მნიშვნელოვანია სხვა რიგის შემთხვევები: **წამწამის** (ან სახის რომელიმე სხვა ნაწილის) მეტაფორად გამოყენებულია რაიმე საგნის აღმნიშვნელი სიტყვა (**შუბი, საყე, დანა, სატი, სარი, ღარი, ტევრი...**), **სიშვე** კი იმითაა გადმოცემული, რომ სიტყვებს მსაზღვრელად უძღვის **გიშრისა**.

საყე: ბროლისა ველსა სტურფობდეს **გიშრისა მუნ საყენია** (193).
შუბი: შიგან მელნისა მორევსა ეყარის **გიშრის შუბები** (1146).
სატ-ებ-ი: სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა **გიშრისა სატები** (267)[52].
სარ-ი: კბილთაგან შუქი შეადგა ზედან **გიშრისა სარებსა** (1228).

---

52 ა. შანიძე. 1957 წლის გამოცემას დართულ ლექსიკონში სატ-ს ამ ადგილზე მითითებით ასე განმარტავს: „გიშრის სატებად იგულისხმება უთუოდ წამწამები, მაგრამ ნათელი არ არის, თუ რა არის სიტყვის დასაწყისი: **სატი** თუ **სატე** (ე. ი. სალტე)“ (გვ. 381). ამ სიტყვის განმარტება მოეპოვება სულხან-საბა ორბელიანს: „სატები — საჩრდილობლები“. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ განმარტების გარდა ლექსიკონის ზოგ ხელნაწერში ასეთი მითითებაც ყოფილა „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ., შიგან გიშრისა სატები“ (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ილია აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1966. ამ განმარტებას სქოლიოში ერთვის გამომცემლის შენიშვნა: „შდრ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 267).

სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ **გიშრისა სარითა**,
მას მოვეშორვე, წამოვე სიჩქარით, არ სიწყნარითა (889).
წნელ-ი: ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი **გიშრისა წნელითა** (1280).
დანა: დადუმდეს, ცრემლი მოჰკვეთნა შავმან **გიშრისა დანამან** (266).
ჰერ-ი: მელნისა ტბათა მიჯარვით ბურავს **გიშრისა ჰერითა** (1009).
ტალა: სულნი გაიქცნეს, მოდრიკა თავი **გიშრისა ტალამან** (1340).
ღარ-ი: ბროლ-ლალსა ღვარი ნარგისთათ მოსდის **გიშრისა ღარითა** (1140).
ნავ-ი: ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად
შიგან მელნისა მორევსა, ცურავს **გიშრისა ნავი** სად (1253).
ტევრ-ი: მუნ ცრემლნი მისგან ნადენნი, ქვათაცა დასალბონია,
გიშრისა ტევრი აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია (1254).
სისხლისა ღვარმან შეღება წითლად **გიშრისა ტევრები** (1336).

როგორ ხედავთ, **ხე** არ შემოდის საგანთა იმ წყებაში, რომლებიც მეტაფორებადაა გამოყენებული ამ მნიშვნელობით.

ხელნაწერთა ჩვენებებიდან, როგორც აღინიშნა, ყურადღება ექცეოდა წაკითხვას **სხენია**, რომელიც ერთადერთ G ხელნაწერშია დადასტურებული. ერთ-ერთი გვიანდელ ხელნაწერში (I′) მოიპოვება აგრეთვე წაკითხვა **სახენია**, რომელიც ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოცემულ ტექსტს დართულ ვარიანტებში **სხენია**-ს შეცვლილ სახეობად არის მიჩნეული, მაგრამ ასე არ უნდა იყოს. **სახენია** უნდა იყოს **სახე**-სიტყვის მრავლობითის ფორმა პლუს **არის** მეშველზმნისეული **ა** ელემენტი, ე. ი. **სახენია** შედგენილ შემასმენელს უნდა წარმოადგენდეს. ეს ფორმა ასე თუ ისე კონტექსტის შესაფერია და გადამწერს თავისუფლად შეეძლო ასე გაეაზრებინა ტაეპი: **ჩემი მომკვლელნი წამწამნი შავნი გიშრის სახენია**, ე. ი. შავი გიშრის სახისანი, მისი მსგავსნი არიანო. ასეთი გააზრება გაცილებით მაღლა დგას იმასთან შედარებით, რასაც პ. ინგოროყვას კონიექტურა იძლევა.

ყველა სხვა გამოცემებში ყურადღება ექცეოდა მხოლოდ ხელნაწერთა უმრავლესობაში წარმოდგენილ წაკითხვას **გიშრისა ხენია**, ხოლო ამ წაკითხვისათვის არავის შეუხედავს კრიტიკული თვალით.

სამწუხაროდ, ყურადღების გარეშე დარჩა ერთი სხვა წაკითხვაც, რომელიც IKOV ხელნაწერებში მოიპოვება. ესაა: **შავნი გიშრისა ჩხნდენია.** ამ წაკითხვის დამახინჯებას უნდა წარმოადგენდეს Y ხელნაწერის **ჩხენია** და აგრეთვე ერთ გვიანდელ ხელნაწერში (R′) დადასტურებული **ჩხნენია**[53]. ამრიგად, ეს წაკითხვა დასტურდება პოემის ხუთ ძველ და ერთ (თუ ორ) მოგვიანო ხანის ხელნაწერში.

როგორც მნიშვნელობის, ისე პოემის პოეტური მეტყველების თავისებურებათა თვალსაზრისით ეს ერთადერთი წაკითხვა ჩანს, რომელიც სავსებით შეეფერება კონტექსტს.

ჩხნდე მოეპოვება სულხან-საბა ორბელიანს. ლექსიკოგრაფი ამ სიტყვას ასე განმარტავს: „მორევში შეყრილი შეშა"-ო (ერთ ხელნაწერში წერებულა: „მორევში შეყრილი ხენი"); ხოლო **ონჯარ-** სიტყვის განმარტებისათვის ამ სიტყვას იყენებს: **„წყალში ჩხნდე"-ო**[54].

ჩხნდე მოეპოვება ნ. ჩუბინაშვილსაც და დ. ჩუბინაშვილსაც. პირველის ლექსიკონში **ჩხნდე** ასეა განმარტებული: „კაშხალი, ონჯარი, მორევში ჩახერგილი ხეები"; დ. ჩუბინაშვილი იმეორებს ამ განმარტებას და უმატებს: „ჩხნდარი каршевник (ასეა!)". ორივე განმარტება სულხან-საბასაგან მომდინარეობს. რა იყო დ. ჩუბინაშვილის წყარო, როცა თავის ლექსიკონში შეჰქონდა ახალი, თითქოს **ჩხნდე**-ფუძისაგან ნაწარმოები ერთეული **ჩხნდარ**-ი, არ ვიცით[55].

ეს სიტყვა ორჯერ გვხვდება „შვიდ მთიებში". პირველ შემთხვევაში სიტყვის მნიშვნელობა ძალიან ახლოსაა სულხან-საბას განმარტებასთან.

ვიცი, დაგწვავს ვითა ცეცხლი, ძმანო, ჩემი მოშორება,
ნუთუ ღმერთმან კვლა გაღირსოს მხიარულად ჩემი ხლება.

---

53 „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების" III ნაკეთში, რომელიც გამოსაცემად მოამზადა მერი გუგუშვილმა, ნაჩვენებია ამ რიგის კიდევ ერთი წაკითხვა **ჩხდენია** (G_1). ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოსულ ტექსტს დართულ ვარიანტებში ეს წაკითხვა არ ჩანს.

54 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ილია აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1965—1966.

55 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი.

გლახ, მე დამწვა ცეცხლმან ჩემმან, თქვენცა ჩემებრ მოგეგზება,
ვითა როხი, რომე დასწვავს **ჩხნდესა**, თვითცა დაიწვება (382)[56].

მეორე ადგილი ასეთია:

მის ჯარისა სიმრავლითა მიწა დადრკა, დაიწია,
თრთოდა ზურგი ზღვა და ქმელთა, თქვეს: „განკითხვა მოიწია“;
ქნა დავარდნა ქვეყნად ცამან, **ჩხნდე** შუბისა შეეწია,
მედგრად დახვდა, არ გაუშვა, კვლა ამაღლდა, აიწია (1120)[57].

პირველ სტროფში გამიჯნურებული ჰაბუკი (ჰომაინი) ასე სწერს თავის მხლებლებს, როცა ველად გაჭრას აპირებს: მე ცეცხლმა დამწვა ისე, როგორც როხი, რომელიც **ჩხნდეს** დაწვავს და თვითონაც დაიწვება ამ ცეცხლშიო. აქ შესადარებლად გამოყენებულია ძველეგვიპტური მითოლოგიიდან ცნობილი ფრინველი ფენიქსი (როხი, რუხი), რომელიც, სიკვდილის მოახლოებას როცა იგრძნობდა, თავს ცეცხლში დაიწვავდა, დაიფერფლავდა და შემდეგ ამ ფერფლისაგან ისევ აღდგებოდა განახლებული და აღორძინებული (**როხი** — „ზღაპრული ფრინველი, ფენიქსი“: „შვიდი მთიები“, გვ. 239, ლექსიკონი კორნ. კეკელიძისა).

მეორე სტროფში ჰიპერბოლურადაა აღწერილი ლაშქრის სიმრავლე. ჯარი ისე მრავალრიცხოვანი იყო, რომ მისი სიმრავლით მიწა დადრკა, მიწამ ძირს დაიწია; ზღვისა და ხმელეთის ზურგი ირყეოდა, ეგონათ, განკითხვის დღე დადგაო. ცა დედამიწას დაეცა, მაგრამ ისევ ამაღლდა, ისევ ზევით აიწია, რადგანაც „შეეწია“ **ჩხნდე შუბისა** (შუბებისა), რომელიც მედგრად დახვდა და არ მისცა საშუალება ცას, დედამიწას დასცემოდა.

ჩხნდე შუბისა (შუბებისა) ერთად თავმოყრილი შუბების სიმრავლეს აღნიშნავს, ერთად შეყრილი უამრავი ლაშქრის ხელთ ნაჭერი შუბების შეჯგუფებას, გროვას.

შუბის ჩხნდე გვხვდება აგრეთვე არჩილ მეფის მიერ გალექსილ „ვისრამიანში“. აქაც ლაშქრის სიმრავლეა აღწერილი ჰიპერბოლურად.

ლაშქარნი მტვერში ასე ჩნდეს, ვით თხელს ღრუბელზედ ვარსკვლავნი,
შუბის ჩხნდესა და მუზარადს ხშირად ჰკრთებოდეს ელვანი.

---

56 შვიდი მთიები, კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით, თბილისი, 1930, გვ. 51.

57 იქვე, გვ. 137.

მთანი გავაკდეს მათ ფერხთ ქვეშ, დაყუდნეს ზღვისა ღელვანი, ბოლოს გამმარჯვე ღმერთია, ვის მიხვდეს, ვნახოთ, ძლევანი[58].

აქ ორი ლაშქარი ებრძვის ერთმანეთს. ორივე ეს ლაშქარი ისე შრავალრიცხოვანია, რომ მათ ფეხქვეშ მთები ვაკედ იქცნენ, ზღვის ღელვა დამშვიდდა, ჰაერში მტვერია ავარდნილი და ამ მტვერში მათი სიმრავლე ისე გამოჩანს, როგორც თხელი ღრუბლიდან ვარსკვლავები. **შუბის** (=შუბების) **ჩხნდესა** და მუზარადთა სიმრავლეს ელვა ჰკრთება. **შუბის ჩხნდე** აქაც ერთად თავმოყრილი შუბების სიმრავლეს, ერთად შეყრილი უამრავი ლაშქრის ხელთ ნაჭერი შუბების სიმრავლეს აღნიშნავს. ამ შუბების წვერები (აგრეთვე მეომართა მუზარადები) ელვას გამოსცემენ, ელავენ (მზის სხივებზე).

არც ერთი აქ გამოვლენილი მნიშვნელობა პრინციპულად არ განსხვავდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში წარმოდგენილი მნიშვნელობისაგან. სულხან-საბას მიერ წარმოდგენილ განმარტებაში, მართალია, თითქოს ყურადღება იმაზეა გამახვილებული, რომ **ჩხნდე** „შეშაა". მაგრამ, ამასთან, იგი „მორევში შეყრილი", შეჯგუფებული შეშაა. აქაც სიმრავლეა, ამ შემთხვევაში „შეშისა". აქ ალბათ უნდა ვიგულისხმოთ მდინარის მიერ მოტანილი და შემდგომ მორევში ნელი დინების გამო თავმოყრილი, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ხეები. მართლაც, თუ გავიხსენებთ იმ სურათს, რაც იქმნება სატივე ხეების მდინარეზე დაცურებისას, როცა ეს ხეები მორევში თავს მოიყრიან, ერთად მიჯრით დაეწყობიან და დალაგდებიან, მაშინ სრულიად ნათელი გახდება რუსთაველის ამ შედარების რეალურობაც და მაღალმხატვრულობაც.

მეორე მხრივ, ძველ ქართულში ამ სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობაც დასტურდება. „საბა პალესტინელის ცხოვრებაში" ასეთი ადგილი მოიპოვება:

„ესე წმიდაჲ მღდელი მივიდოდა ადგილით რუბაჲთ სალერწმესა იორდანისა კიდისასა და შეემთხჳა მას ლომი ფრიად დიდი და მკელობელი. და შეუვრდა მას და უჩუენა ფერჴი იგი, რომლითა კელობდა, და თუალთა წამისყოფითა ევედრებოდა მას, რაჲთამცა ულხინა. ხოლო მამამან ჩუენმა საბა გულის-ხმა ყო მჴეცისაჲ მის ტკივილი და აღუპყრა ფერჴი მისი და **ჩხნდ** აღსობილი გამოჰკდა

58 არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, გვ. 162, თბილისი, 1936.

შას. და მუნთქუესვე დაუცხრა სალმობაჲ იგი ლოჳსა მას და ვიდოდა იგი მშჳდობით“[59].

ჩნდე სხვა ძეგლებშიც გვხვდება. მაგალითად, ერთ სინურ ხელნაწერში იკითხება: „ლომი კელობდა ფერჯითა, რამეთუ აღესვა მას **ჩნდჱ** და შეუდგა წალა“... „განაპო ადგილი, სადა აღსობილ იყო **ჩნდჱ**“ (Sin 8, 367 v). გელათურ ბიბლიაში ასეთი ადგილი მოიპოვება: „იყოს... **ჩნდე** თუალთა თქუენთა და სატყორც გუერდთა თქუენთა იყვნენ“ (რიცხვთა, 33_{55}). ნიშანდობლივია, რომ ბიბლიის საბასეულ რედაქციაში ეს სიტყვა გაუგებარი გამხდარა და, რომ ტექსტი გასაგები გამხდარიყო, თავისებურად გაუაზრებიათ: „და იყვნენ რომელნი იგი დაუტევნეთ მათგანნი ჩნდენ (sic) თუალთა თქუენთა და ისარ გუერდთა თქუენთა“[60].

ეჭვი არაა, რომ ეს ჩნდჱ (—ჩნდე-ჲ) იგივე **ჩხნდეა. ჩნდჱ (ჩნდე)** მოყვანილ მაგალითებში **ჩხირის, ეკლის** მნიშვნელობითაა ნახმარი; კრებითობის მნიშვნელობა მასთან დაკავშირებული არ ჩანს.

ორივე მნიშვნელობა ამ სიტყვისა, სავსებით შესაძლებელია, ერთი მეორისაგან გამომდინარე იყოს; **ეკალი — ეკლის. ჩხნდე** ან **ეკლის ჩხნდე — ეკალი; ხეების ჩხნდე,** გადატანით, **შუბის. (შუბების) ჩხნდე.** ყველგან ამოსავალია დაახლოებით ერთგვარი, სწორი და გრძელი ერთეულების ერთმანეთზე მიჯრით მიწყობის მნიშვნელობა.

სიტყვა **ჩხნდე** ცოცხალი და დღესაც ხმარებული სიტყვა ყოფილა გარეკახურში და აქედან მხატვრული ლიტერატურის ენაშიც შემოვიდა. ჩვენს ცნობილ მწერალს რევაზ ინანიშვილს ერთ-ერთ მოთხრობაში ეს სიტყვა გამოყენებულიც აქვს: „ხევში ერთი ნაკადულის ოდენა მღვრიე წყალი მოდიოდა, ქვებში, **ჩხნდეებში,** ღორღებში“[61].

რ. ინანიშვილის ცნობით, გარეკახურში (ს. ხაშმის მეტყველებაში) **ჩხნდე** არის „წყალში ჩაკიდებული (ჩაყრილი), ჩაწოლილი ხის წვრილი ტოტები და ფესვები, უმთავრესად ხმელი“. „გამორი-

---

59 ცხოვრება საბა პალესტინელისა: ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, ტ. II, გამოსცა კორნ. კეკელიძემ. თბილისი, 1946, გვ. 178.

60 ამ უკანასკნელ აბზაცში წარმოდგენილი მაგალითები მოგვაწოდა ც. ქურციკიძემ.

61 რ. ინანიშვილი, ჩვენი ფურდედო მაისა, „ცისკარი“, 1970, № 3, გვ. 30.

ყული ხე ან შეშა არ შეიძლება **ჩხნდე** იყოს, ის **ნარიყია, ჩხნდეს** წარმოქმნის ხის წვრილი ტოტები და ფესვები". მისივე ცნობით, იხმარება აგრეთვე **ჩხნდე**-ფუძის შემცველი ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა **აჩხდევებული**. ასე ეძახიან თურმე „ჭაობში ან ნამდინარევზე ერთმანეთზე მიჯრით მდგომ ან მიყრილ ხმელ წვრილ ტოტებს".

ჩვენი თხოვნით ელენე კოშორიძემ შეკრიბა სოფ. ხაშმის მცხოვრებთაგან ცნობები **ჩხნდე**-სიტყვის მნიშვნელობის შესახებ. სხვადასხვა პირთა მიერ მოწოდებული განმარტებები მეტ-ნაკლებად ამგვარია.

„მდინარეს რომ მოაქვს შეშები, ფიჩხები და მცენარეების ფესვები, ესენი რაღაცას მოედებიან: ან ხე დახვდებათ, ან ამობურცული ადგილი, ერთი მეორეს გააჩერებს. აი, ამ დაჯგუფებულ ხის ტოტებს, შეშებს და ფესვებს ეწოდება **ჩხნდე**" (ალ. კოშორიძე).

„მდინარეს რომ მოაქვს ხის ტოტები, ე. ი. ფიჩხები, ესენი გაჩერდებიან ჯგუფად სადმე მოხერხებულ ადგილას და გაჩნდება **ჩხნდე**" (გ. კოშორიძე).

„მდინარეს რომ მოაქვს მოგლეჯილი ფესვებიანი ხეები, ფიჩხის ტოტები, სადღაც მინაშავს, ზოგჯერ შიგ წყალშიცაა დაფარული და არც ჩანს. ამას ეწოდება **ჩხნდე**" (ვ. ქარუმიძე).

„მდინარეში დაჯგუფებულ ხის ტოტებს, ფესვებს და ნატეხ შეშებს, რომელიც მიმალულია წყალში, ეწოდება **ჩხნდე**" (პ. ლაღიძე).

„მე ეს ვიცი, რომ ადიდებულ მდინარეს მოაქვს ბევრი ტოტები, შეშები და ნარიყი, რომელიც სადღაც დაიდებს ადგილს და შეგროვდება ერთად. ეს არის **ჩხნდე**" (ფ. ქარუმიძე).

„**ჩხნდე** წარმოიშობა მდინარის მიერ მოტანილი ტოტების, ხეების და ფესვებისაგან; ჩემს პატარა ბიჭობაში თევზაობის დროს ხშირად ვიტყოდით ხოლმე: ჩანგალი **ჩხნდეს** წამოედოო" (მ. ქარუმიძე).

„მდინარე ხის ტოტებს და ფესვიან ხეებს რომ წალამავს წყალში, ამას ეწოდება **ჩხნდე**" (დ. ხაბაზიშვილი).

„მდინარის წამოღებულ ხის ტოტებს, ხეებს, მირიყულს ერთ ადგილას, ეწოდება **ჩხნდე**" (ს. ნაჩხატაშვილი).

„წყალსა რომ მოაქ, ქვეყნის ღედეღუდე, აი ის გაიხლართ-გამოიხლართება ერთმანეთში, სადღაც წამოედება და დადგება. ამას ვეძახით **ჩხნდეს**" (კ. მამუჩიშვილი).

გარეკახურში დადასტურებული მნიშვნელობა **ჩხნდე**-სიტყვისა ნშვენივრად უპერს მხარს, ერთი მხრით, ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, ხოლო, მეორე მხრით, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში წარმოდგენილ მნიშვნელობას ამ სიტყვისას.

ეგევე ფუძე ჩანს ამჟამად ქიზიყურ კილოში დადასტურებულ **ჩხნდო**-სიტყვაში[62], ხოლო ეს უკანასკნელი კი არის „ჯაგანივით, კონასავით ერთად შეკრული რამე. ერთი **ჩხნდო** აკიდოები მაიტანა; ერთი **ჩხნდო** ფეკსამოსი მაიტანა, რო არა მრცხვენოდეა, ათი წყვილი იქნებოდა“[63].

აქაც **ჩხნდო** გარკვეულ სიმრავლეს, ერთად შეგროვილ, ასხშულ რასმე აღნიშნავს.

ჩხნდე- სიტყვის ეს მნიშვნელობა, რაც ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის შედეგად გაირკვა, მშვენივრად ეხამება კონტექსტს პოემის საანალიზო სტროფში. **შავი გიშრის ჩხნდე** არის წამწამები, ზომკვლელნი ავთანდილისა, თინათინის წამწამები.

ყველაფერი ამის გამო პოემაში უნდა აღდგეს ამ ტაეპის ასეთი წაკითხვა:

ჩემნი მომკვლელნი წამწამნი შავნი გიშრისა ჩხნდენია.

ამით:

დაცულია სტროფის რითმა (**შენია, გველნაკბენია, გსმენია, ჩხნდენია**);

უარყოფილია „ვეფხისტყაოსნისათვის“ სრულიად შეუფერებელი მეტაფორა წამწამისა — **„გიშრის ხე“**;

აღდგენილია „ვეფხისტყაოსნისათვის“ სავსებით ბუნებრივი მეტაფორა წამწამისა — **„გიშრის ჩხნდე“**.

ამრიგად, პოემის ცნობილ გამოთქმებს — **გიშრის საყენი, გიშრის შუბები, გიშრის სატები, გიშრის სარი (სარები), გიშრის წნელი, გიშრის ჭერი, გიშრის დანა, გიშრის ღარი, გიშრის ტევრი (ტევრები)**—,რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, ემატება კიდევ ერთი ანალოგიური გამოთქმა — **გიშრის ჩხნდე (გიშრისა ჩხნდენი)**.

---

62 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1964.

63 სტეფ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1943.

„გიშრისა ჩხნდენია“-სგანაა მიღებული ხელნაწერთა უმრავლესობაში დაცული წაკითხვა — **შავნი გიშრისა ხენია**. ეს არის ერთი ნიმუშთაგანი „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერთა მიერ მათთვის გაუგებარის შეცვლისა მათთვის გასაგებით. პირუკუ გზა შეუძლებელია.

ზოგი სამოხელეო ტერმინისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (პოემის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით)

1. წინამდგომელი (წინაშემდგომელი), წინამწოლი

სარიდანის გარდაცვალების გამო ტარიელი „წელიწდამდის ბნელსა ჯდა საწუთროგაცუდებული“, მამას იგლოვდა წესისამებრ და „დღისით და ღამით ვაებდა, ვერვისგან სულდაღებული“. „გაყვანად ხასნი მოვიდეს“ და გადასცეს მეფის ნაბრძანები: „ნუ ხარ შავითა ღებულიო!“ ინდოეთის მბრძანებელს „ასი ებოძა საჭურჭლე“ და „ებრძანა ახდა შავისა“, ებრძანა მამისეულის სრულის საკარგავის ბოძებაც: „შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისაო“.

რაც ყველაფერს ამას მოჰყვა შედეგად, ამას ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს 337-ე და 338-ე სტროფებში, რომლებიც ასეა დაბეჭდილი 1957 წლის გამოცემაში:

ავენთი, დამწვეს მამისა სახმილთა დაუშრტობელთა,
უკუნით გამომიყვანეს ხასთა მათ წინა მდგომელთა,
გამოსლვისათვის ზეიმი შექმნეს ინდოეთს მფლობელთა,
შორს მომეგებნეს, მაკოცეს პატივით ვითა მშობელთა.

მათ საჯდომთა ახლოს დამსვეს, პატივს მცემდეს ძისა დარად,
მის ხელისა საურავი მათ ორთავე მითხრეს წუნარად;
ურჩ ვექმენ და მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა ზარად,
არ მომეშვნეს, დავჰმორჩილდი, თაყვანის-ვეც ამირბარად.

ამჟამად ჩვენი ანალიზის საგანს პირველი, 337-ე, სტროფი წარმოადგენს. აქ ეს სტროფი წარმოვადგინეთ ისე, როგორც 1957 წლის გამოცემაშია დაბეჭდილი. როგორც ცნობილია, ეს გამოცემა,

გამოცემები 1951 წლისა და 1937 წლისა (საიუბილეო), აგრეთვე პ. ინგოროყვასი 1953 წლისა, ერთი ხასიათისაა და არსებითად 1937 (საიუბილეო) გამოცემის ტიპს იმეორებენ. განსხვავებული წაკითხვები არის და საკმაოდ მრავლადაც. საანალიზო სტროფშიც მოიპოვება განსხვავებული წაკითხვა: მაშინ, როცა ამ დასახელებულ გამოცემებში ხტროფის მეორე ტაეპი ერთგვარად იყო წარმოდგენილი — „უკუნით გამომიყვანეს ხასთა მათ წინამდგომელთა“, ა. შანიძემ 1957 წლის გამოცემაში უკანასკნელი სიტყვა **წინამდგომელთა** ორად გაყო, ორ სიტყვად წარმოადგინა: **წინა მდგომელთა.** მკვლევარისათვის ეს საკითხი არ ყოფილა უბრალო ორთოგრაფიული საკითხი, საკითხს მისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და ამის გამო მან ამისი საკმაოდ ვრცელი დასაბუთებაც დაბეჭდა. ა. შანიძე წერდა:

„337,2. უკუნით გამომიყვანეს **ხასთა მათ წინამდგომელთა.** ტაეპი ისეა დაბეჭდილი[1], რომ **მათ** უნდა გავიგოთ ნაწევრად (ხასთა მათ), მაგრამ ამ შემთხვევაში ხასებზე ცოტა ზემოთ უნდა ყოფილიყო საუბარი. ესეთი კი არ არის. „წინა“ აქ გაგებულია „მდგომელის“ ნაწილად (წინამდგომელთა), მაგრამ ის თანდებულის ფუნქციით ნახმარი ზმნიზედაა, რომელიც „მათ“ სიტყვას ახლავს (მათ წინა). შესწორების შემდეგ ტაეპი ასეთ სახეს მიიღებს:

უკუნით გამომიყვანეს ხასთა, მათ წინა მდგომელთა.

ე. ი. სიბნელიდან გამომიყვანა ხასებმა, რომლებიც იმათ წინ იდგნენო“[2].

ა. შანიძის ამ განცხადებამ კვლავ აღძრა საერთოდ ამ სტროფის და კერძოდ ამ ტაეპის დაწერილობის საკითხი, რისთვისაც არაერთხელ მიუქცევიათ ყურადღება პოემის გამომცემლებს, აგრეთვე პოემის მრავალრიცხოვან გადამწერთ. მათი მოსაზრებებისა თუ წაკითხვების გათვალისწინება სრულიად აუცილებელია საკითხის მართებულად გადაჭრისათვის. ამიტომ წარმოვადგენთ იმ სურათს, რომელიც, ერთი მხრით, ძველ გამოცემებში, ხოლო, მეორე მხრით, პოემის ხელნაწერებში გვაქვს საანალიზო სტროფის წაკითხვის მხრივ.

---

1 იგულისხმება 1951 წლის გამოცემა.

2 ა. შ ა ნ ი ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები, II, „პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“: „მნათობი“, 1956, № 7; „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, შედგენილი ა. შ ა ნ ი ძ ი ს ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, 1956, გვ. 023.

ისევ საანალიზო სიტყვის (წინამდგომელთა) დაწერილობის საკითხს რომ დავუბრუნდეთ, ეს სიტყვა ვახტანგის გამოცემაში ორად გაყოფილად დაიბეჭდა (წინა მდგომელთა); შემდგომ სხვა გამოცემებში იგი ან ერთად იბეჭდებოდა (წინამდგომელთა), ან კიდევ დეფისით (წინა-მდგომელთა); ძველ გამოცემათაგან ვახტანგის დაწერილობა გაიმეორა მხოლოდ ს. კაკაბაძემ (1926 წელს).

ძველს გამოცემებში სხვა ტაეპებიც საგრძნობი განსხვავებით იყო დაბეჭდილი.

პირველ ტაეპში ახლანდელ დაუშრტობელთა-ს ნაცვლად დაუშრეტელთა იკითხებოდა ვახტანგის გამოცემაში და შემდგომ მასზე დამყარებით მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, დ. კარიჭაშვილის (ორივე), იუსტ. აბულაძის (ორივე) გამოცემებში. ს. კაკაბაძემ ორივე გამოცემაში დაუშრობელთა დაბეჭდა, ხოლო კ. ჭიჭინაძემ დაუქრობელთა კონიექტურა შემოიტანა: „ამ ტაეპის პირველი სტრიქონის ბოლო ნაწილი „სახმილთა დაუშრეტელთა“ არღვევს რითმას (ო ბ ე ლ თ ა); უნდა იყოს: „სახმილთა დაუქრობელთა“ (და არა „სახმილთა დაუშრობელთა“, როგორც ს. კაკაბაძის გამოცემაშია, რომელი წაკითხვაც, მართალია ასწორებს რითმას, მაგრამ უადგილოდ ხმარობს სიტყვას, რადგან სახმილის შეიძლება დაქრობა, ან დაშრეტა, და არა დაშრობა)“-ო[3].

კ. ჭიჭინაძისათვის მთავარ ამოცანას რითმის გასწორება შეადგენდა, თუმცა ის ფაქტი მაინც ვერ გაითვალისწინა, რომ პირველი ტაეპის რითმის გასწორების შემდეგაც სტროფში ისევ რჩებოდა განსხვავებული რითმა მეორე ტაეპისა (წინა-მდგომელთა). ამასთან, წარმოდგენილი კონიექტურის წყაროს მისთვის მხოლოდ ახალი ქართულის ლექსიკა და ფორმები წარმოადგენდა და არც ხელნაწერთა ჩვენებები ჰქონია გათვალისწინებული.

ბოლოს, მაშინ, როცა 1937 წლიდან (საიუბილეო გამოცემიდან) მოკიდებული აღდგენილ იქნა (როგორც ჩანს, H 461 ხელნაწერის ჩვენებაზე დამყარებით)[4] მართებული წაკითხვა დაუშრტობელთა და როდესაც ამ წაკითხვამ საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი ყველა

---

[3] ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გვ. 278 (ხაზი და დაყოფა ავტორისაა).

[4] ეგევე წაკითხვა მოიპოვება აგრეთვე T(მზეხათუნისეულ) ხელნაწერში, მაგრამ ამ ხელნაწერის არსებობა 1937 წლის გამოცემის მომზადების პერიოდში საერთოდ არ იყო ცნობილი. ეს ხელნაწერი მხოლოდ 1957 წლიდან გახდა ხელმისაწვდომი.

მომდევნო გამოცემაში, მ. წერეთლის 1961 წ. პარიზულ გამოცემაში კვლავ ახალი კონიექტურა გაჩნდა: **დაუშრტომელთა.** ეს არის ცდა პირველი ტაეპის რითმის გასწორებისა მეორე ტაეპის რითმის შესაბამისად, ხოლო ანგარიში არა აქვს გაწეული იმ ფაქტს, რომ ამის შედეგად პირველი ტაეპის რითმა დაშორდა მესამე და მეოთხე ტაეპებისას.

ავენთის ნაცვლად **ავტირდი** იყო დაბეჭდილი დ. კარიჭაშვილის მეორე და ს. კაკაბაძის ორივე გამოცემაში.

მეორე ტაეპში ვახტანგ VI-ის გამოცემიდან მომდინარე **უკუნის** წაკითხვა იყო გაბატონებული, გამონაკლისს წარმოადგენდა ს. კაკაბაძის გამოცემები, რომლებშიც ხელნაწერთაგან მომდინარე **უკანის** დაიბეჭდა. მართებული **უკუნით** ყოველ შემთხვევაში დ. კარიჭაშვილის მეორე გამოცემიდან მკვიდრდება.

ვახტანგის გამოცემაში მეორე ტაეპში ზმნა მხოლოობითი რიცხვის ფორმითაა დაბეჭდილი: **გამომიყუანა.**

სხვა განსხვავებები ორთოგრაფიული ხასიათისაა.

გამოცემებში ძირთადად ხელნაწერთა წაკითხვასხვაობებია მეტ-ნაკლები ნებისმიერობით გადმოტანილი. ხელნაწერებში გვხვდება იგივე **ავენთი** და **ავტირდი, დაუშრეტელთა, დაუშრომელთა, დაუშრობელთა** და **დაუშრტობელთა, უკუნით უკანის** და **უკუნის, გამომიყვანეს** და **გამოიყვანეს** და აგრეთვე მრავალი ორთოგრაფიული ხასიათის სხვაობა, რასაც ჩვენი მიზნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ჩვენი ანალიზის საგანს მეორე ტაეპი, მისი გაგებისა და მისი დაწერილობის საკითხები შეადგენს. ყველა დანარჩენი ტაეპების დაწერილობასთან დაკავშირებული ვარიანტები მოვიყვანეთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას მეორე ტაეპთან ჰქონდა კავშირი ან როგორმე უკავშირდებოდნენ. ამიტომ ისევ ამ ტაეპის დაწერილობისა და გაგების საკითხს დავუბრუნდეთ.

ა. შანიძის შეხედულება მეორე ტაეპის შესახებ, მაშასადამე, ასეთია:

თუ ტაეპში — „უკუნით გამომიყვანეს ხასთა მათ წინამდგომელთა“ — **წინამდგომელთას** ერთ სიტყვად ჩავთვლით, მაშინ **მათ** უნდა გავიგოთ ნაწევრად, რომელიც დაკავშირებულია სიტყვასთან **ხასთა (ხასთა მათ).** თუ ეს ასეა, მაშინ ხასების შესახებ ზემოთ უნდა ყოფილიყო საუბარი, სადმე ზემოთ ეს ხასები დასახელებული უნდა ყოფილიყვნენ (განმსაზღვრელი ნაწევრის გამოყენება გულისხმობს, რომ ეს ხასები ცნობილი არიან). ეს კი ასე არ არის. **წინას-**

გაგება **მდგომელის** ნაწილად არ შეიძლება, რადგანაც **წინა** თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართია და ახლავს სიტყვას **მათ: მათ წინა.** ტაეპი ასე უნდა გასწორდეს: უკუნით გამომიყვანეს **ხასთა, მათ წინა** მდგომელთა. ეს კი ნიშნავს: უკუნიდან, სიბნელიდან გამომიყვანეს ხასებმა, რომლებიც იმათ წინ იდგნენო. ალბათ ივარაუდება, რომ ეს **იმათ** მეფე-დედოფლის შესახებ არის ნათქვამი.

ა. შანიძეს გამოეკამათა კ. ჭიჭინაძე, მან მიუთითა, რომ ხასები დასახელებული არიან სტროფში[5] და, ამდენად, ა. შანიძის საბუთიანობა სწორი არ არის. **წინა**-ს მოკვეთა მთლიანი სიტყვისათვის **წინამდგომელთა** და მისი მიკუთვნება **მათ**-სიტყვისათვის არ შეიძლება[6].

თავის საპასუხო წერილში ა. შანიძე დაეთანხმა კ. ჭიჭინაძეს, რომ ხასები მართლაც ყოფილან დასახელებული წინ, 335-ე სტროფში, მაგრამ მაინც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კ. ჭიჭინაძემ შეცდომა დაუშვა: „წინა მდგომელთა ორი სიტყვაა (როგორც მე ვასწორებ), მან კი გააერთიანა (როგორც 1951 წლის გამოცემაშია შეცდომით)"[7]-ო.

ამრიგად, ა. შანიძის აზრი ამ ტაეპის შესახებ საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: **მათ**-სიტყვა **წინა**-სიტყვასთანაა დაკავშირებული, ხოლო ეს უკანასკნელი თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართია, **„მდგომელთა"**-ელემენტთან მას კავშირი არა აქვს, **წინა** და **მდგომელთა** ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სიტყვებია.

როგორც აღინიშნა, ამ გაგებამ გამოხატულება პოვა პოემის უკანასკნელ, 1957 წლის, გამოცემაშიც: თუ 1937 და 1951 წლების გამოცემებში **წინამდგომელთა** ერთად, ერთ სიტყვად იყო დაბეჭდილი, „შეცდომა გასწორდა". ამ გამოცემაში ეს სიტყვა ორადაა გაყოფილი: **წინა მდგომელთა.**

ამ გაგებას უპირისპირდება გაგება კ. ჭიჭინაძისა. მისი აზრით, **მათ** მსაზღვრელია სიტყვისა **ხასთა**, ხოლო **წინამდგომელთა ხასთა**-სიტყვასთანაა დაკავშირებული და ნიშნავს **წინაშე წამომდგარს**, ტა-

---

5 სტროფი 335: გაყვანდა ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული.

6 კ. ჭიჭინაძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია: „ლიტერატურული საქართველო", 1957, № 47; რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 254—255.

7 ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები, V, „კვლავ „მკლავსუგრძესი" და სხვა", „მნათობი", 1957, № 2.

რიელის წინაშე წამომდგარმა იმ ხასებმა („ხასთა მათ") [მოგვითხრობსო ტარიელი] გამომიყვანეს მე ბნელეთიდან"-ო—წერდა კ. ჭიჭინაძე[8].

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში ტაეპის ანალიზი მეტად გამარტივებული, გაუბრალოებული სახითაა წარმოდგენილი: კამათი წარმოებს იმის შესახებ, **თუ ვის წინაშე დგანან ხასები, რომლებიც ფარსადანმა გაგზავნა ტარიელთან**, მაშინ როცა საქმის ვითარება სხვაგვარია, გაცილებით რთული და ტაეპი არსებითი ხასიათის ანალიზს მოითხოვს.

წინამდგომელი საყოველთაოდ ცნობილი სამოხელეო ტერმინია, რომელიც სხვა სახითაც გვხვდება ძეგლებში. ეს სახეობებია: **წინამდგომი და წინაშემდგომელი**. ძირითადი, ყველაზე გავრცელებული სახეობაა **წინაშემდგომელი**.

წინაშემდგომელი:

„ესე ყოველი ვითარცა გულის-ხმა ყო კეთილად-მსახურმან კურაპალატმან აშოტ, მსწრაფლ ხოლო დაწერა ებისტოლჱ კელითა თჳსითა და კაცი ერთი კეთილი **წინაშე მდგომელთაგანი** და ერთი გაბრიელის მსახურთაგანი მსწრაფლ წარმოავლინა მამისა გრიგოლის წინაშე"[9].

„ხოლო ვითარცა იხილა გიორგი მორწმუნემან, იყო რაჲ მდევარ ნადირთა, განკჳრდა ფრიად და ჰრქუა **წინაშემდგომელთა**: „ვინაჲ არს ადგილსა მას სიჴშოჲ კუამლისაჲ ანუ თუ ვის რად უკმს ცეცხლი"[10].

„არა გიხილავსა აქა, რამეთუ არნ ოდესმე სავედრებელი წიგნი მეფისა, და არა შემოიღიან **წინაშე მდგომელთა**, არამედ ორასითა გინა სამასითა დრაჰკნითა? და მრავალგზის მათგანნი მრავალნი წარვიდიან ცუდნი, რამეთუ არა შეიწყნარის მეფემან ვედრებაჲ

---

[8] კ. ჭიჭინაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 254.

[9] Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Введение, издание, перевод Н. Марра, С.-Петербург, 1911, გვ. 03. შდრ. ნ. მარის რუსული თარგმანი: «Узнав все это, благочестивый куропалат Ашот немедленно написал послание собственноручно и тотчас же отправил к отцу Григорию одного прекрасного человека из приближенных и одного из слуг Гавриила» (იქვე, გ. 95).

[10] ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 89.

მისი, და მონაგებიცა იგი ცუდად წარჯდის, რამეთუ არღარავინ უკუნსცის მათ იგი"[11].

„ამის გუანცას დედოფლობა მძიმე უჩნდა მესტუმრესა ჯიქურს, რამეთუ მტერ იყვნეს. ამისთჳს განზრახვითა სუმბატ ორბელისათა შესმენილ იქმნა, ვითარმედ ჯიქურ წარავლენს კაცთა არღუნს წინაშე, რათა აუწყოს ყაენს ულოს სიმდიდრე მეფისა, და ეგულების განდგომა. ხოლო ვინათგან დავით მეფე უმანკო იყო, რომლისათჳს უმანკოსა ყოველი რწამნ, წარავლინნა მსწრაფლ წინაშე-მდგომელნი და ბრძანა წინაშე მოყვანება მისი და სახლისა მისისა იავარ ყოფად და ვითარ აღასრულეს მსახურთა მეფისათა, და წარადგინეს წინაშე მეფისა ჯიქური, ღამით, რამეთუ მეფე ჯდა ისანთა, მხედველი მტკურისა, და არა სიტყუა ყო მის თანა, არამედ განუკითხავად ბრძანა შთაგდება მტკუარსა"[12].

„მაშინ უმეტესითა გულის-წყრომითა აღივსო მეფე იგი უსჯულოჲ და უბრძანა წინაშე მდგომელთა, რათა სცენ პირსა მისსა ძლიერად. და სცემდეს უწყალოდ ესეოდენ, ვიდრე კბილთა სრულიად შემუსრვამდე"[13].

წინაშემდგომელი ნახსენები აქვს სულხან-საბა ორბელიანსაც თავის ლექსიკონში. ამ სიტყვით მას განმარტებული აქვს ტერმინი პასენაჭი[14].

წინამდგომი:

„სუფრის ბოლოს მერემეთუხუცესი და ფარეშთუხუცესი სხედან, და მათ ქვემოთ მეჯინიბენი. მაგრამ სუფრაზედ ჭაშნაგირი ზედ დგას ოჭსინოსა ზედა ცალკესა, და იგი წინამდგომი ტახტსა ზედა დგანან"[15].

ჩვენ მოვიყვანეთ რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა ძეგლიდან. ამ ძეგლების გამოცემებში სხვადასხვაგვარი ორთოგრაფიაა გატარე-

---

11 იოვანე ოქროპირი, მოწყალებისათჳს: მამათა სწავლანი, იღ. აბულაძის გამოცემა. თბილისი, 1955, გვ. 89.

12 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, გვ. 238: ჟამთააღმწერელი, თბილისი, 1959.

13 მარტვილობაჲ რაჟდენ პირველმოწმისაჲ: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 244.

14 შდრ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, გვ. 99, აგრეთვე ლექსიკონი, გვ. 449.

15 კელმწიფის კარის გარიგება, ექვთ. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1920, გვ. 18.

ბული და წინაშემდგომელი||წინამდგომი ასევე სხვადასხვაგვარი ორთოგრაფიითაა დაბეჭდილი. მიუხედავად ამისა, სრულიად უეჭველია, რომ ამ მაგალითებში დასახელებული წინაშემდგომელი, წინამდგომი და „ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო (397-ე) სტროფის წინამდგომელი ერთისა და იმავე ტერმინის ვარიანტებია.

ვის ეწოდებოდა წინაშემდგომელი, წინამდგომი თუ წინამდგომელი?

ძველი საქართველოს საზოგადოებრივი და წოდებრივი დანაწილების სურათი მოცემული აქვს ივ. ჯავახიშვილს. მან გაარკვია, რომ ჯერ კიდევ ძველ საუკუნეებში ქართლის მოსახლეობა ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა — აზნაურებად და უაზნოებად. მანვე მოგვცა დახასიათება აზნაურთა სხვადასხვა ჯგუფისა. ამასთან, მასვე გამორკვეული აქვს, რომ „ცალკე წოდებრივ ჯგუფს შეადგენდნენ „მსახურნი“, მაგრამ აზნაურებივით ისინიც ერთგვარსა და თანასწორუფლებიან გუნდს არ წარმოადგენდნენ. „მსახური“ ისეთ პირს ეწოდებოდა, რომელიც სხვასთან იყო რომელიმე საქმის ან მინდობილობის გასაკეთებლად და სასყიდლითა ან სხვაგვარის გასამრჯელოთი მას ემსახურებოდა. ამიტომ მსახურნი მეფესაც ჰყავდა, მთავრებსაც და აზნაურებსაც. თვითოეულს მსახურთაგანს და მსახურთა ჯგუფს შეიძლებოდა საგანგებო საქმე ჰქონოდა ჩაბარებული“[16].

„მსახურთა-უხუცესის ქვეშეთ მოხელეებად „მსახურნი“, „მსახურნი მეფისანი“ უნდა ყოფილიყვნენ“[17].

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით „უეჭველია მსახურთავე ჯგუფს, მხოლოდ უმაღლესს, ეკუთვნოდენ მთავრის „წინაშემდგომელნი“ და „ტაძრულნი“[18].

მაშასადამე, წინაშემდგომელები უფრო მაღალი რანგის მსახურთა ჯგუფს შეადგენდნენ, წინაშემდგომელები მეფესა ჰყავდა, მთავრებსაც და აზნაურებსაც და მათ საგანგებო საქმე ჰქონდათ ჩაბარებული. მაგრამ წინაშემდგომელები აზნაურები არ იყვნენ[19], თუმცა საკმაოდ გავლენიანი პირები კი უნდა ყოფილიყვნენ. მშვენივრადაა დახასიათებული წინაშემდგომელების მოურიდებელი ქცევა იოვანე ოქროპირის თხზულების ქართულ თარგმანში: „არა გი-

[16] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, ტფილისი, 1928, გვ. 35. დაყოფა აქაც და ქვემოთაც ავტორისაა.

[17] იქვე, გვ. 182.

[18] იქვე, გვ. 35.

[19] იქვე.

ხილავსა აქა, რამეთუ არნ ოდესმე საეფრებელი წიგნი მეფისა და არა შემოიღიან **წინაშემდგომელთა**, არამედ ორასითა გინა სამასითა დრაჰკნითა?"

აი ეს **წინაშემდგომელები** და „ვეფხისტყაოსნის" ამ საანალიზო სტროფის **წინამდგომელები** ერთი და იგივე პირები არიან.

ნათქვამის თანახმად ცხადია, რომ საანალიზო სტროფის **წინამდგომელთა**-სიტყვის ორად გაყოფა, ორ სიტყვად მიჩნევა არ შეიძლება, იგი ერთი, რთული ფუძის შემცველი, სიტყვაა, კომპოზიტია. ამდენად, **წინა** ელემენტი, რა თქმა უნდა, **მათ** — სიტყვას არ უკავშირდება და თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართი არ შეიძლება იყოს.

მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს დასკვნა, თითქოს მართებული იყოს ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგო შეხედულება, რომელიც კ. ჭიჭინაძემ გამოთქვა: **მათ ხასთა**-სიტყვის მსაზღვრელი ნაცვალსახელია, ნაწევარია. ა. შანიძის მიერ მითითებული დაბრკოლება, რაც თითქოს ასეთ გაგებას ეღობებოდა წინ და რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ამ შემთხვევაში ხასები დასახელებული უნდა ყოფილიყვნენ წინა სტროფში, სინამდვილეში არ არსებობს. ხასები დასახელებული არიან, მაგრამ არა წინა, 336-ე სტროფში, არამედ ამ უკანასკნელის წინა, 335-ე სტროფშიო.

ეს ყველაფერი ფაქტია და სადავო არ შეიძლება გახდეს. მაგრამ საკითხი დგება სხვა მხრივ. თუ ტაეპში „უკუნით გამომიყვანეს **ხასთა მათ წინამდგომელთა**" **მათ** არის მსაზღვრელი სიტყვისა **ხასთა**, იმავე **ხასთა**-სიტყვის მსაზღვრელი უნდა იყოს აგრეთვე მერე სიტყვაც — **წინამდგომელთა**. მაგრამ შეიძლება კი, რომ საანალიზო ტაეპში **წინამდგომელთა ხასთა**-სიტყვის მსაზღვრელად მივიჩნიოთ, ე. ი. შესიტყვება — **ხასთა მათ წინამდგომელთა** ამას ნიშნავდეს: **იმ წინამდგომელმა ხასებმა?** არ შეიძლება და აი რატომ.

ხასი და ამის ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები „ვეფხისტყაოსანში" საკმაოდ ხშირად გვხვდება. ეს ადგილები პოემისა შემდეგია:

წიგნსა მოგცემ, გმორჩილებდენ, ვინცა იყოს ჩემი **ხასი** (164);
ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი (1205);
ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს **ხასითა** ოდენ სამითა (507);
შერმადინ ერთგან შეყარნა **ხასნი** და დიდებულები (175);
მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი **ხასია** (471);
ათი ათასი ჭაბუკი დგას, ყველაკაი **ხასები** (1243);
მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი განმრავლდა **ხასისა** (44);

შეიქმნა გასლვა შიგანთა, ჯარია მუნ **ხასებისა** (552);
დარბაზს **ხასთაგან** ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა (825);
ტარიელს უძღვნა გვირგვინი, ვერ-დანადები ფასისა,
იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად **ხასისა** (1438);
შეის **ხასობს**, გაის ქუშობს, ენა ასრე მოაყივნებს (761);
მადლი რა გკადრო, არ ვიცი, **გავხასდი** მე მაშა ვითა (763);
ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი **გაგვიხასდენ** (540).

ამ მაგალითებში ჩვენ გვაქვს, ერთი მხრით, **ხასი**, ხოლო, მეორე მხრით, **ხას**-ფუძისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნები (**ხასობს, გაგვიხასდენ, გავხასდი**). **ხასი** ერთ შემთხვევებში არსებითი სახელის მნიშვნელობითაა ხმარებული, მეორე შემთხვევებში კი ზედსართავი სახელისა. პოემის ყველა მკვლევარი და ლექსიკონის შემდგენელი (თეიმურაზ ბაგრატიონი, დ. კარიჭაშვილი, იუსტ. აბულაძე, ა. შანიძე, ა. ბარამიძე და სხვები) ერთსულოვნად მიუთითებენ ორივე მნიშვნელობას და ერთგვარადვე, მხოლოდ მეტ-ნაკლები რედაქციული სხვაობით, განმარტავენ, რომ პირველ შემთხვევაში **ხასი** ნიშნავს **მეფესთან დაახლოებულ პირს, დიდებულს, წარჩინებულს**, ხოლო მეორე შემთხვევაში **რჩეულს, საუკეთესოს**.

საანალიზო ტაეპში **ხასთა**-ს მიჩნევა ზედსართავ სახელად, ე. ი. **წინამდგომელ**-სიტყვის მსაზღვრელად (პრეპოზიციული წყობით: სახელობითი: ხასნი იგი წინამდგომელნი — მოთხრობითი: ხასთა მათ წინამდგომელთა) შეუძლებელია[20]. **ამ შემთხვევაში უნდა დასახელებული ყოფილიყვნენ წინა სტროფებში წინამდგომელნი!** ამასთან, ასეთი გაგება არ ეგუება კონტექსტს. სრულიად უდავოა, რომ საანალიზო ტაეპში **ხასთა** არსებითი სახელია, ამ ტაეპში დასახელებული **ხასები ის ხასები არიან**, რომლებიც **„გაყვანად მოვიდეს“**.

სრულიად უდავო ჩანს აგრეთვე, რომ ისეთი კონტექსტების მიხედვით, როგორიცაა: „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს **ხასითა** ოდენ სამითა“, „შერმადინ ერთგან შეყარნა **ხასნი** და დიდებულები“ და მისთ. **ხასები** სახელმწიფოებრივ-წოდებრივი იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგომი პირები ჩანან. ისინი მეფესთან დაახლოებული

---

20 ე. ი. აქ არ არის ისეთი შემთხვევა, როგორიც გვაქვს, ვთქვათ, ასეთ მაგალითში: „წინა სხდეს **ხასნი** მუტრიბნი“ („ვისრამიანი“, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 167).

პირები არიან. შეიძლება დარბაზის წევრები იყვნენ, ამასთან დიდად გავლენიანი წევრებიც[21].

წინაშემდგომელი (წინამდგომელი) ხასი არ არის. **წინაშემდგომელები (წინამდგომელები)** თუმცა შეიძლება საკმაოდ გავლენიანი პირები ყოფილიყვნენ, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილს აქვს გამორკვეული, სოციალური იერარქიის გაცილებით დაბალ საფეხურზე მდგომ თანამდებობის პირთ ერქვათ. რომ შესაძლებელი იყოს გამოთქმა **წინაშემდგომელი ხასი** (ზედსართავი სახელი+არსებითი სახელი), მაშინ **წინაშემდგომელები (წინამდგომელები)** ხასთა წრიდან გამოსულად უნდა გვეევარაუდა. ეს კი ასე არაა: **ხასი** მაღალი **წრის** აღმნიშვნელი ტერმინია, **წინაშემდგომელები (წინამდგომელები)** კი არ ყოფილან მაღალი წრის წარმომადგენლები.

ამრიგად, საანალიზო ტაეპის — **„უკუნით გამომიყვანეს ხასთა მათ წინამდგომელთა“** — იმ ორი ერთმანეთის დიამეტრულად საწინააღმდეგო გაგებისაგან, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული, არც ერთი არაა მისაღები. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საანალიზო ტაეპის ტრადიციული წაკითხვა, რომელიც თითქმის ყველა ხელნაწერშია წარმოდგენილი, დამახინჯებულია.

საკითხს ნათელს ჰფენს თარხანმოურავისეული ხელნაწერი (Z), რომელიც აგრეთვე მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა ხელმისაწვდომი მკვლევართათვის. ამ ხელნაწერში საანალიზო ტაეპი ასე იკითხება:

უკუნით გამომიყვანეს ხასთა **და** წინამდგომელთა.

აქ აღარსადაა **მათ**-ნაცვალსახელი, რომელსაც ხან **ხასთა**-სიტყვას აკუთვნებდნენ, ხანაც კიდევ **წინამდგომელთა**-სიტყვას და რომლის გამო **წინამდგომელთა**-ტერმინს ორ ნაწილად ყოფდნენ. აღარაა საჭირო მსჯელობა იმის შესახებ, **ხასთა**-სიტყვაა **წინამდგომელთა**-სიტყვის მსაზღვრელი, თუ პირიქით. **ხასთა** და **წინამდგომელთა** ორი თანაბარღირებულებიანი სინტაქსური ერთეულია, რეალური სუბიექტებია ერთი წინადადებისა. იფანტება ყოველგვარი გაუგებრობა და ყველაფერი ნათელი ხდება: ტარიელი „ბნელსა ჯდა“. მასთან „გაუვანად ხასნი მოვიდეს“, მეფის წყალობა და ნაბრძანები გადასცეს („ებრძანა ახდა შავისა“). ტარიელი დამორჩილდა და იგი უკუნით, ე. ი. ბნელიდან („მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე“) გამოიყ-

[21] იმ თათბირზე, სადაც ხვარაზმშას ძის ნესტანდარეჯანის ქმრად შოყვანის საკითხი გადაწყდა, ესწრებოდნენ ტარიელი, ამირბარი და ამირსპასალარი, ინდოეთის უპირველესი ვაზირი, და სამი ხასი („ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს **ხასითა** ოდენ სამითა“). ეს სამი ხასი ვაზირის რანგის პირები არიან.

ვანეს **ხასებმა** და **წინამდგომელებმა** (**წინაშემდგომელებმა**). ეს **ხასები** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფისაგან მოგზავნილი **ხასებია** (**ხასები მეფისა არიან**), **წინამდგომელები** კი ტარიელის **წინამდგომელები არიან** (**წინამდგომელები**, ანუ **წინაშემდგომელები**, მეფესაც ჰყავდა, მთავრებსაც და აზნაურებსაც!).

ჩვენთვის უდავოა, რომ პოემის 337-ე სტროფის მეორე ტაეპი ასე უნდა იკითხებოდეს:

უკუნით გამომიყვანეს ხასთა და წინამდგომელთა[22].

---

22 საანალიზო ტაეპი უკანასკნელად განიხილა ივ. ლოლაშვილმა წერილში „თარგმანება „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთი ტაეპისა" („მაცნე", 1965, № 3. გვ. 155—167). მიუხედავად იმისა, რომ ივ. ლოლაშვილი იზიარებს ხახიხ მნიშვნელობის გაერცელებულ გაგებას და **წინამდგომელთა**-ც სამოხელეო ტერმინად ესმის, მას შესაძლებლად მიაჩნია ასეთი დასკვნა გააკეთოს: „დამოწმებული მასალები გვაძლევენ შესაძლებლობას, რომ გამოთქმა „ხასთა მათ წინა-მდგომელთა" მივიჩნიოთ სწორ წაკითხვად. „წინა მდგომელი ხასი" არის ლაიბდინერი, მეფესთან დაახლოებული პირი, რომელსაც სამეფო კარზე უკავია წინა-მდგომელის თანამდებობა. მაშასადამე, ტარიელ უკუნიდან გამოუყვანია იმ ხასებს, რომლებიც მსახურებად იყვნენ ფარსადან მეფესთან"-ო.

ივ. ლოლაშვილს მოჰყავს სამი შემთხვევა პოემაში „წინაშემდგომელის" თითქოს გამოყენებისა, ამას უმატებს საანალიზო ტაეპს და დაასკვნის: „ვეფხისტყაოსანში" ეს ტერმინი ოთხ ადგილას გვხვდება და ოთხივეგან მსახურის (კამერდინერის ან ლაიბდინერის) აღმნიშვნელია"-ო.

. ეს ადგილებია:

მეფე გაკვირდა, გა-ცა-წყრა, გული უც მისთვის მწყრომარე,
გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,
უბრძანა... (91);

ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქვენსა მდგომელი (636)

(ამას ფრიდონი ეუბნება ტარიელს პირველი შეხვედრის დროს).

მოვიხმენ ოთხნი მონანი, ჩემსა წინაშე მდგომელნი,
ვუჩვენე: „ჰხედავთ, ინდოთა ტყვედ ჰყვანან შუქნი რომელნი?
ჩაეპარენით, ჩაედით, ჩქარად ნუ მიხვალთ მხლტომელნი,
მოგყიდონ, ფასი მიეცით, რისაცა იყვნენ მდომელნი" (1133).

მოყვანილ კონტექსტებში ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არა გვაქვს რთული ფუძის შემცველი ტერმინი **წინაშემდგომელი**. პირველ მაგალითში (სტროფი 91-ე) ლაპარაკია ფარსადანის ცნობილი თორმეტი მონის შესახებ, რომლებიც ნადირობის დროს სწორედ რომ მეფის „წინაშე მდგომარე" იყვნენ; ამასთან **წინაშე მდგომარე** არც ფორმით ემთხვევა ცნობილ სამოხელეო ტერმინს და არც კომპოზიტია, არამედ ორი ცალკე სიტყვაა. მეორე მაგალითის (სტროფი 636-ე) შინაარსი გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ფრიდონი ტარიელს ეუბნებოდეს: მე შენი **წინაშემდგომელი** (ე. ი. გარკვეული მოვალეობის შემსრულებელი მოხელე) ვარო. ფრიდონი ეუბნება ტარიელს მდაბლად: მე ერთი მონა ვარ თქვენს წინაშე მდგომელი მონებად, მონობისათვის, სამონაღდ, იმისათვის, რომ გემონო, მონად გაგიხდეო.

უკანასკნელ გამოცემებში ყველგან... **ხასთა მათ წინამდგომელთა** იკითხება.

ფუძის აგებულების მიხედვით **წინაშემდგომელი** — **წინამდგომელის** ტიპის ტერმინია აგრეთვე **ზედამდგომელი**, რომელიც გვხვდება „ჯელმწიფის კარის გარიგებაში“:

„ჭყონდიდელსა **ზედამდგომელი** მეჭურჭლე მართებს და ეჯიბი, სხვა დარბაზით მართებს“[23].

„საწოლის მწიგნობარსა **ზედამდგომელი** მეჭურჭლე მართებს“[24].

„საღამოს რეკამდის **ზედამდგომელი** ამირეჯიბს მართებს“[25].

„**ზედამდგომელი** მესაწოლეთ-უხუცესსაც მართებს“[26].

აგრეთვე **შუამდგომელი**:

„თქუენ არც უცხონი ხართ და არცა უმეცარნი ერთმანერთისანი. არცა სძალსა შეკაზმა უნდა — თუით ღმერთსა შეუკაზმავს, არცა ზითევი უნდა. თქუენ ორნი ერთნი ხართ, არცა ვინ მოწამე გინ-

---

ის ფაქტი, რომ **წინაშე** და **მდგომელ** სიტყვათა შორის თქვენსა არის ჩასმული, გამორიცხავს **წინაშე მდგომელ**-ის კომპოზიტობას და, მაშასადამე, ტერმინობასაც. **წინაშე** აქ დამოკიდებული სიტყვაა, თანდებულია, რომელიც მასთან დაკავშირებულ სიტყვას თქვენსა მიცემით ბრუნვაში მოითხოვს. სავსებით ასეთივე მდგომარეობაა მესამე მაგალითშიც, სადაც **წინაშე** ასევე მიცემით ბრუნვაში მოითხოვს მასთან დაკავშირებულ სიტყვას **ჩემსა**.

ამრიგად, განხილული მაგალითები არ გამოდგება იმის დასადასტურებლად, რომ თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ ტერმინი **წინაშემდგომელი** იხმარებოდეს თავისი ისტორიული მნიშვნელობით.

ეს შეხედულება მრავალ წინააღმდეგობას შეიცავს. სხვა არა იყოს რა, ხასხის გაგება, როგორც დიდებულისა და ამ ხასხის **წინაშემდგომელთან** გაიგივება ერთმანეთთან შეუთავსებელია. არც ის ჩანს საიდანმე, თითქოს **წინაშემდგომელი** კამერდინერი თუ ლაიბდინერი იყოს. რაც შეეხება საანალიზო ტაეპის გარდა **წინაშემდგომელის**, როგორც ტერმინის, თითქოს ხმარების კიდევ სამ შემთხვევას პოემაში, ამის შესახებ უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, რომ არც ერთ დასახელებულ სტროფში ტერმინი **წინაშემდგომელი**, როგორც გარკვეული თანამდებობის პირის სახელწოდება, არ იგულისხმება.

23 ჯელწიფის კარის გარიგება, ეკვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, ტფილისი, 1920, გვ. 4.

24 იქვე.

25 იქვე, გვ. 5.

26 იქვე, გვ. 6.

და, არცა **შუამდგომელი**, — ღმერთი კმა თქუენად მოწმად და ანგელოზნი მისნი"[27].

მსგავსადვე ნაწარმოებია აგრეთვე ერთი სამოხელეო ტერმინი. ესაა **წინამწოლი. წინამწოლისა** და მისი უფლება-მოვალეობების შესახებ საკმაოდ დაწვრილებითაა მოთხრობილი „ჴელმწიფის კარის გარიგებაში":

„საღამოს მეღვინე ფინჯას მომცროს მიიღებს მყინვარიანითა ჭურჭლითა ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარსა დაჰკრის და ჴელოა მაჴდილი აქვს ბაღდადუისა, და თუ მეფესა ღამით მოეწყუროს, ბძანოს, რომელიცა უნდა. რაც დარჩეს, **წინა-მწოლნი** და **კარის დარაჯა** და საწოლის მეკრე[28] წაიღებენ"[29].

„საწოლის მეკრე დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდების, ითვალვენ და საწოლსა წავა და წინმწოლსაცა მიუა სათვალავი და მუნ სჭამენ"[30].

„საწოლისა ღმრთისმშობელი თჳთ საწოლსა სვენებია და მის წინაშე მისთა მვედრებელთაგან ენთების სანიადაგო სანთელი და კანდელი. მცველი მისი მესაწოლე არის, იგივე, რომელი **წინამწოლი** არის მეფისა"[31].

აი, ეს **წინამწოლია**, რომელიც გვხვდება „ვეფხისტყაოსნის" 558-ე სტროფში.

„კარვის კალთა ჩახლათული ჩავჴერ, ჩავაკარაბაკე,
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე.
წინა მწოლთა დაიზახეს, გლოვა მიჰხვდა საარაკე;
ცხენსა შევჯე, წამო-ცა-ვე, ჯაჭვი მეცვა საკურტაკე".

მეტად დამახასიათებელი ფაქტია, რომ ტერმინი **წინამწოლი** არაა შეტანილი და ახსნილი „ვეფხისტყაოსნის" არც ერთი გამოცემის ლექსიკონში. არა აქვს ეს ტერმინი განმარტებული არც ვახტანგ VI-ს და არც თეიმურაზ ბაგრატიონს. პოემის ყველა გამოცემაში **წინამწოლთა** ორ სიტყვადაა დაბეჭდილი — **წინა მწოლთა**, მხოლოდ იუსტ. აბულაძის გამოცემებში გვაქვს დეფისიანი დაწერილობა — **წინა-მწოლთა**. ეს ფაქტები დამახასიათებელია იმ მხრივ,

---

27 ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით", ტფილისი, 1936, გვ. 13.

28 **საწოლის მეკრის** შესახებ იხ. აქვე ქვემოთ.

29 ჴელმწიფის კარის გარიგება, გვ. 7.

30 იქვე, გვ. 12.

31 იქვე, გვ. 20.

რომ **წინამწოლთა**, როგორც ჩანს, არავის მიაჩნდა ერთ რთულ სიტყვად, ერთ ტერმინად. იგი ესმოდათ ორ სიტყვად: **წინა მწოლთა** (წინ მწოლთა; მათ, ვინც წინ იწვა) და ამას შეესაბამებოდა მართლწერაც.

რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს ორივე სიმფონია პოემისა: პირველი, შედგენილი კ. ჭიჭინაძის მიერ და დართული მის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს", და, მეორე, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით და გამოქვეყნებული 1956 წელს.

კ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილ სიმფონიაში, როგორც ცნობილია, სიტყვები შეტანილია იმ ფორმით, როგორითაც პოემაში გვხვდება. იქ **მწოლთა** შეტანილია თავის ადგილას ანბანის რიგზე, **წინა** კიდევ თავის ადგილას. ზუსტად ასევეა ა. შანიძის ხელმძღვანელობით შედგენილ და გამოქვეყნებულ სიმფონიაში: იქაც **მწოლიც** ცალკეა მოთავსებული და **წინა** კიდევ ცალკე ანბანის რიგის მიხედვით.

წინამწოლი რთული ფუძის შემცველი სიტყვაა, კომპოზიტია და ერთ სიტყვად უნდა იბეჭდებოდეს (**წინამწოლთა**). პოემის გამოცემებში გაბატონებული დაწერილობა (**წინა მწოლთა**) შესაბამისია ამ სიტყვის მნიშვნელობის მცდარი გაგებისა (წინა მწოლნი=ისინი, ვინც წინ იწვნენ), რომელიც პოემის სიმფონიებში აისახა, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, იმაში გამოიხატა, რომ პოემის ლექსიკონებში ამ ტერმინმა თავისი ადგილი ვერ პოვა[32].

საწოლის მეკრე

საკითხი ეხება პოემის 358-ე სტროფს, რომელიც ასეა წარმოდგენილი 1957 წლის გამოცემაში:

---

32 **წინამწოლი** არც სულხან-საბა ორბელიანს აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში. მაგრამ სულხან-საბას მოპოვება სავსებით ამგვარივე შედგენილობის სიტყვა **წინამბრძოლი**, რომელიც ძალიან გავრცელებული სიტყვა იყო ქართულში და ლაშქრის ავანგარდს ან ავანგარდის მებრძოლს აღნიშნავდა (სულხან-საბას განმარტებით — „პირველ შემბმელი"); „ესრეთ ნებიერად მდგომარე იყუნეს, და არა უდგა დარაჯნი სულტანსა. მუნ დაწუეს რაზმი ქართველთა და მუნ **წინამბრძოლად** იყო ზაქარია მკარგრძელი ამირსპასალარი, და ახალციხელნი შალვა და ივანე, და სხუანი თორელნი, და ერთ-კერძო აფხაზნი და იმერნი, და ერთ-კერძო ამერნი და ჰერ-კახნი" („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი"; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 137).

ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,
გული უფრორე დამიჭრა ათიათასმან დანამან.
საწოლს მეკარე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან;
ვთქვი, თუ: „რა იცის ამბავი, ნეტარ, ან იმან, ან ამან?“

ეს ის ადგილია პოემისა, სადაც ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს, თუ როგორ მომჯობინდა დაბნედის შემდეგ, როგორ წავიდა დარბაზიდან თავის სამყოფელში და შინ მისელის შემდეგ როგორ მოიცვა ისევ სევდამ.

ამ სტროფში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამჟამად მეორე ტაეპი; საწოლს მეკარე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან. ეს ტაეპი ორ სამოხელეო ტერმინს შეიცავს: ერთია **მეკარე**, მეორე — **მოლარე**. ამავე ტაეპშივე გვაქვს **საწოლი**. **საწოლი**, როგორც ცნობილია, სასახლის სრულიად გარკვეულ ნაწილს წარმოადგენდა ძველ საქართველოში და მსახურთუხუცესს ებარა[33]; ეს **საწოლი** უშუალოდაა ამ შემთხვევაში დაკავშირებული **მეკარე**-ტერმინთან და დაეჭვებას იწვევს წაკითხვის — **საწოლს მეკარე** — საკითხი.

ვახტანგ VI-ის გამოცემაში გვაქვს **საწოლის მეკრე შემოდგა**. სხვა გამოცემათაგან ასეთივე წაკითხვა მოიპოვება მხოლოდ ს. კაკაბაძის გამოცემებში[34]. ყველა დანარჩენ გამოცემაში, ძველშიც და ახალშიც, ისეთივე წაკითხვაა, როგორიც უკანასკნელ, 1957 წლის გამოცემაში — **საწოლს მეკარე შემოდგა**.

საწოლის მეკრე შემოდგა გაბატონებული წაკითხვაა ხელნაწერებში, მეორე წაკითხვა — **საწოლს მეკარე შემოდგა** მხოლოდ ერთ (Q 261) ხელნაწერში მოიპოვება. თარხანმოურავისეულ ხელნაწერში გვაქვს **საწოლსა მეკრე შემოდგა**, რაც ამ ორი წაკითხვის ერთგვარ შერწყმას წარმოადგენს.

ამ ორი წაკითხვისაგან მართებულია **საწოლის მეკრე შემოდგა**.

ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფორმა: სრულხმოვნიანი მეკარე და რედუცირებული მეკრე. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში თუ სხვა თხზულებებში ჩვეულებრივია რედუცირებული სახეობა **მეკრე**.

---

33 „...მსახურთ-უხუცესს მეორე დაწესებულებაც „საწოლი“-ც ებარა, რა იყო საწოლი? „საწოლი“... რასაკვირველია, ჯერ ერთი რომ მეფის დასაძინებელი და დასაწოლი ოთახი იყო, მაგრამ ამასთანავე მის მახლობლად დასაწოლის სამსახურებელი-სათვის საჭირო ოთახებიც“: ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. I, ტფილისი, 1928, გვ. 130. დაყოფა ავტორისაა.

34 ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

„ვისრამიანში“ ვკითხულობთ:

„ესე არ იცი, არ თურე თქუენისა გუარისა ვარ, თქუენსა კარსა ზედა ჩემი **მეკრედ** დგომა ღმრთის წყალობაა ჩემთუის“[35].

„თუ არ შემინდობ, კარსა ზედა **მეკრედ** დავდგები და მუნამდის მოვიჭირვებ სამსახურისათუის, ვიდრე თავსა არ მოვიკლავ“[36].

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობილ შრომაში „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ აგრეთვე გვხვდება ტერმინი **მეკრე**.

„მანდატურთუხუცესის კელისა იყო: მანდატურნი, ბოქოულთუხუცესნი, ბოქოულნი, მანდატურნი, მებჭენი, **მეკრენი**, ქონდაქარნი, სარანგნი და ნადირობის წესი, და წინძღოლა მეფისა, მოხსენება ნადიმსა და ამკვედრებულისა ამის მიერ იყო მეფისა“[37].

„ხოლო როსტომ კელისუფალთა უწოდა: მსახურთუხუცესს — ყორჩიბაში, მონათუხუცესსა — ყულარაღასი, სპასპეტსა — სარდარი... კვალად **მეკრესა** ყაფიჩი და ასისთავსა — უზბაში“[38].

მეკრე ტერმინი გვხვდება „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებში:

ფაიქმა საამ იკითხა, უამბეს: — „ბაღსა მჯდომია“.
მივიდა, **მეკრე** შეგზავნა, თვითან კარზედა მდგომია (470)[39].
მეკრემან ფარდას ასწივა, შეელეს ბაღისა კარია,
დასხდეს სავარდეს ტახტზედა, და იდგა კარგი დარია (250)[40].

„ქილილა და დამანაში“:

„ერთის მონადირისაგან ორი ზორაყი იყიდა; ბალხურის ენითა ერთს დაასწავლა: „ბექა **მეკრესთან** მწოლი ვნახეო“, და მეორეს ასწავლა: „მე არარას ვიტყვიო“[41].

„**მეკრეთა** მეფის მიწოდებული ეგონათ და ცხენი და სამოსელი — მეფისეული, და კარი არა დაუხშეს“[42].

---

35 ვისრამიანი, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, ტფილისი, 1938, გვ. 216.

36 იქვე, გვ. 252.

37 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 16.

38 იქვე, გვ. 24-25.

39 შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, თბილისი, 1916, გვ. 76.

40 იქვე, გვ. 140.

41 ქილილა და დამანა, ა. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1944, გვ. 220.

42 იქვე, გვ. 491.

„რა მეკრემა ნახა ყოველნი მწუხარედ მტირალნი და მგლოიარენი და იგი ყმა უცრემლო და მოუწყინრად მჯდომელი, ესრე თქვა: ჰაბუკი იგი ნუთუ მსტოვარი იყოსო?... მეკრე მოვიდა. მოარული რა ნახა, ეჰვი გაუმრავლდა... მაშინ მეკრე წადგა და მოახსენა"[43].

მეკრე განმარტებული აქვს სულხან-საბა ორბელიანს: „კარის მცუელიო". მასვე აგრეთვე მეკარე აქვს შეტანილი ლექსიკონში და ასე ახსნილი: „მეკრე".

აქედან ჩანს, რომ რედუცირებული ფორმა მეკრე გავრცელებული და, შეიძლება ითქვას, გაბატონებული, ამასთან, უფრო ძველი, ფორმაა. იგი შემდგომ ახალმა მეკარე-მ შეცვალა. მე-კრ-ე ისევეა ნაწარმოები, როგორც მე-ზვრ-ე, მე-ხრ-ე და მისთ.

მეკრე უფრო ზოგადი ტერმინია. ამის გვერდით იხმარებოდა უფრო ვიწრო მნიშვნელობის მქონე ტერმინიც — **საწოლის მეკრე**, ისევე როგორც ზოგად ტერმინთან — მწიგნობარ-თან ერთად იყო დავიწროებული მნიშვნელობის ტერმინი **საწოლის მწიგნობარი** ან **ზარდახნის მწიგნობარი**.

თუ ვინ იყო **საწოლის მეკრე** და რა უფლება-მოვალეობები ჰქონდა მას, ეს კარგადაა გადმოცემული „ქელმწიფის კარის გარიგებაში".

„საღამოს მეღვინე ფინჯას მომცროს მიიღებს მყინვარიანითა ჰურჭლითა ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარს დაჰყრის და ჭელთა მანდილი აქვს ბაღდადუისა, და თუ მეფესა ღამით მოეწყურო[ს], ბრძანოს, რომელიცა უნდა. რაც დარჩეს, წინა-მწოლნი და კარის დარაჯა და **საწოლის მეკრე** წაიღებენ"[44].

„**საწოლის მეკრე** დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდების, ითვალვენ და საწოლსა წავა და წინმწოლსაცა მიუა სათვალავი და მუნ სჭამენ"[45].

„**საწოლის მეკრე** გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კარით ან გამოუხშავს, ჭელთა არგანი აქვს, ქვე ზის და, ვისცა უბრძანებენ, შემოიყვანს"[46].

იმავე „ქელმწიფის კარის გარიგებაში" მოიპოვება **მწიგნობარიც** და **საწოლის მწიგნობარიც, ზარდახნის მწიგნობარიც.**

---

43 ქილილა და დამანა, ა. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1944, გვ. 613—614.

44 ქელმწიფის კარის გარიგება, ექვთ. თაყაიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1920, გვ. 7.

45 იქვე, გვ. 12.

46 იქვე, გვ. 20.

„აღსებისა საკითხავი — ჯვარის მტკრთველისა და ხუცესთ-უხუცესისს[ა], მწიგნობართა — ვინცა კარგი მკითხველი იყოს სხვა-ნი. ჭყონდიდელი — მეფესა და **საწოლის მწიგნობარი ზარდახნის მწიგნობარსა**“[47].

„ჭყოინდელი ორშაბათს დღეს საჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრიეთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკი-თხავს. და ყოველი **საწოლის მწიგნობარი** გვერდს უზის და **ზარდა-ხანის მწიგნობარს** გაგზავნის და მისის პირით მოახსენებს, რაც ვის რა სჭირს“[48].

აი, ეს **საწოლის მეკრე** არის დასახელებული საანალიზო სტროფში. საყურადღებოა, რომ „ჯელმწიფის კარის გარიგებაში“ ნახსენები სამოხელეო ტერმინებისაგან რამდენიმე „ვეფხისტყაო-სანშიც“ გვხვდება. ესენია: **წინამწოლი, დარაჯა, სპასპეტი, ამირა-ხორი, ამირსპასალარი, ეჯიბი, ვაზირი, მოლარე, წინამდგომელი, ჭაშნაგირი.** იმ რიგისაა ტერმინი **საწოლის მეკრეც**[49].

ამის მიხედვით საანალიზო ტაეპი ასე უნდა იკითხებოდეს პო-ემაში:

„საწოლის მეკრე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან“.

ასეც იკითხება ყველა უკანასკნელ გამოცემაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის წაკითხვისათვის ძარ-თულში ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხა-რისხის ფორმათა წარმოების თავისებურებებთან დაკავშირებით

ქართულ სალიტერატურო ენაში უძველესი დროიდანვე ზედ-სართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ორგვარი სახე-

47 ჯელმწიფის კარის გარიგება, ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, ტფი-ლისი, 1920, გვ. 3.

48 იქვე.

49 ს. კაკაბაძის მეორე გამოცემას დართულ ლექსიკონში შეტანილია და გან-მარტებული სიტყვა მეკრე („მეკარე, კარის მცველი“). საწოლის მეკრე ლექსი-კონში არაა წარმოდგენილი.

პ. ინგოროყვას „რუსთველიანას ეპილოგში“ ძველი ქართული სავაზიროს დახასიათებისას ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „საწოლის მეკრე“ (კარის მცველი) იხ. ვეფხისტყაოსანში, სტროფი 358 (გამოცემებში შეცდომით იბეჭდე-ბა „საწოლს მეკარე...“), შეადარეთ სტროფი 391 („კარის მცველი“)“; პ. ი ნ-გ ო რ ო ყ ვ ა, თხზულებათა კრებული, ტ. I, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 572, თბილისი, 1963.

ობა გვხვდება. ერთ სახეობას ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი დაერთვის, მეორეს კი — არა. საწარმოებელი აფიქსები ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივეა: უ- პრეფიქსი და -ე სუფიქსი ან, იშვიათ შემთხვევაში, უ- პრეფიქსი და -ო სუფიქსი (უ-დიდ-ებს-ი—უ-დიდ-ე-ას-ი, უ-ტკბ-ო-ას-ი... უ-დიდ-ე, უ-ტკბ-ო). პირველი, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდართული, სახეობა თვით ძველს ქართულშივე ძალიან ხშირად გამარტივებული სახით იყო წარმოდგენილი: **უდიდებს—უდიდეას—უფროას** ფორმათა ნაცვლად **უდიდეს—უფროს** ფორმები გვხვდებოდა, ე. ი. ის ფორმები, რომლებიც შემდგომ გაბატონდა ქართულში.

საილუსტრაციოდ, საკმარისია, მივმართოთ ოთხთავის ტექსტებს.

უპირადებს-ი: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო, რამეთუ **უპირადებს** ჩემსა არს. ი 1,30 (D-შია: **უპირადეს**).

უმეტებს-ი: ხ^პეტრე **უმეტებს-ღა** უფროას იტყოდა, მრ 14,31 DE.

უწინარებს-ი: რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? რამეთუ მოხუედ აქა **უწინარებს** ჟამისა ტანჯვად ჩუენდა. მ 8,29 DE.

უძლიერეს-ი: აჰა ესერა მოვალს **უძლიერესი** ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განჴსნად საბელთა ჯამლთა მისთა. მრ 1,7 DE; ხოლო რომელი -იგი ჩემსა შემდგომად მოვალს, უძლიერეს არს ჩემსა, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ჯამლთა მისთა ტკრთვად. მ 3,11 DE.

უტკბილეს-ი: და არავინ სუამნ ძუელსა ღჳნოსა და მეყსეულად ჰნებავნ ახალი, რამეთუ თქუს, ვითარმედ: ძუელი **უტკბილეს** არს. ლ 5,39 CDE.

უადვილეს-ი: მერმე გეტყჳ თქუენ: **უადვილესა** ზომთ საბლისაჲ ჯურელსა ნემსისასა განსლვაჲ, ვიდრე მდიდრისაჲ შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. მ 19,24 C.

უმცირებს-ი, უმცირეს-ი: რამეთუ **უმცირებს** არს იგი ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძინდის, უფროას არნ იგი ყოველთა მხალთა. მ 13,32 (C-შია: **უმცირეს**); უკუეთუ არცაღა **უმცირესსა** შემძლებელ ხართ, რაჲსა-ღა სხუასა მას ჰზრუნავთ? ლ 12,26 DE.

უშორეს-ი: და მიეახლნეს დაბასა მას, ვიდრეცა მივიდოდეს. ხოლო თავადმან მიზეზ-ყო **უშორესად-რე** წარსლვად. ლ 24,28 DE.

უჴერეს-ი: ყოველმან კაცმან კეთილი ღჳნოჲ პირველად წარმოდგის და, ოდეს დაითრჳნიან, მაშინ **უჴერესიცა,** ხოლო შენ დაჰმარხე კეთილი ღჳნოჲ აქამომდე. ი 2,10DE.

უძკრწს-ი: და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის **უძკრწს** პირველისა მის. ⁘ 12,45 E (CD-შია **უძკრეს**).

უმეტწს-ი: ჰეშმარიტად გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკმან **უმეტწს** ყოველთასა შეწირა. ლ 21,3E (CD-შია: **უმეტეს**); არამედ იყავნ სიტყუაი თქუენი: ჰე, ჰე და არა, არა. და **უმეტწსი** ამათსა უკეთურისაგან არს. ⁘ 4,37 E (CD-შია: **უმეტესი**).

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდართულ ამ ფორმათა გვერდით ოთხთავის ტექსტში გვხდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი ფორმებიც.

უმჯობე: უკუეთუ თუალი შენი მარჯუენჱ გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე და განაგდე იგი შენგან, რამეთუ **უმჯობე** არს შენდა, რაჲთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და ნუ ყოველი გუამი შენი ჲთავარდებინ გეჰენიასა. ⁘ 5,29 (D-შია: **უმჯობეს**, E-ში—**უმჯობწს**); ხოლო რომელმან აცთუნოს ამათ მცირეთაგანი ერთი, რომელთა ვჰრწამ მე, **უმჯობე** არს მისა დამო-თუმცა-ეკიდა მას ფქვლი ვირით საფქველი ყელსა მისსა და შთა-მცა-ვარდა უფსკრულთა ზღუასთა. ⁘ 18,6 C (DE-შია: **უმჯობეს**); უკუეთუ ჴელი შენი გინა ფერჴი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე და განაგდე იგ[ი] შენგან: **უმჯობე** არს შენდა შესლვად ცხოვრებასა მკელ[ო]ბელისაჲ ანუ უჴელოჲსაჲ, ვიდრე არა ორთა ჴელთა ანუ ორთა ფერჴთა დგმასა და შთავრდომაჲ ცეცხლსა საუკუნესა. ⁘ 18,8 C (DE-შია: **უმჯობეს**); არამედ ჰეშმარიტებასა გეტყჳ თქუენ: **უმჯობე** არს თქუენდა, მე თუ მივიდე; უკუეთუ მე არა მივიდე, ნუგეშინისმცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა; უკუეთუ მივიდე, მოგივლინო იგი თქუენდა. ⁘ 16,7 C (DE-შია: **უმჯობეს**); ესე იგი კაჲაფა იყო, რომელმან აზრახა ჰურიათა, ვითარმედ: **უმჯობე** არს ერთისა კაცისა სიკუდილი ერსა ამას ზედა, ⁘ 18,14 C (DE-შია: **უმჯობეს**).

უმოლხინე: ჰკითხვიდა მათ, ვ[ი]დ: რ[ა]ლსა ჟამსა **უმოლხინე** იქმნა იგი? ⁘ 4,50 DE; გეტყჳ თქუენ: სოდომელთა **უმოლხინე** იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქალაქისა მის. ლ 10,12 DE (C-შია: **უმოლხინეს**); ხ[ა] ტჳროსსა და სიდონსა **უმოლხინე** იყოს საშჯელსა მას, ვიდრე თქუენ. ლ 10,14 C (DE-შია: **უმოლხინეს**).

უადვილე: რაჲ **უადვილე** არს თქუმად: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუმად: აღდეგ და ვიდოდე. ⁘ 9,5 C (DE-შია: **უადვილეს**).

უფრო: ცოფნო და ბრმანო, რაჲ **უფრო** არს: შესაწირავი იგი ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა მას? ⁘

23,19 C (DE-შია: **უფროჲს**); რამეთუ სული უფრო არს საზრდელისა და კორცნი სამოსლისა. ლ 12,23 C[1].

ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ეს უკანასკნელი სახეობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით გავრცელდა იგი ქართულ სალიტერატურო ენაში XI-XII საუკუნიდან მოკიდებული და გვხვდებოდა საერო მწერლობის ძეგლებში ვიდრე XIX საუკუნემდე, როცა მისი ხმარება თითქმის ერთბაშად შეწყდა.

აღსანიშნავია, რომ ფართოდ გამოყენება ამ ფორმებისა პირველ ყოვლისა იოანე პეტრიწის თხზულებებში დასტურდება:

უმრავლე: რაჲზომცა **უმრავლე** იყვნენ საშუალნი, ეგზომცა უფროჲს და უძლიერეს მიზეზნი. I, 11, 27.

უმსწრაფლე: რამეთუ „ნკნი“, აწი, ჟამისათა შორის, და „სტომი“ წენტილი სხეულისათა შორის ყოველთა **უმსწრაფლე** და უჟამო არიან. I, 114, 23.

უცხადე: აწ მოვიჯსენოთ ერთი და ანუ ორი სიტყუაჲ, რაჲთა **უცხადე** ვყოთ. II, 221, 19.

უმრუმე: და თჳთ არსებაჲცა წმიდა და უძლიერს და უერთისგუარეს, ხოლო განზიდულთა შორის **უმრუმე** და ბინდისგუარ. II, 55, 13.

უდარე: უფროჲსღა იყომცა უდარესთა შორის განუყოფელი და განუთჯებელი თანშერწყმაჲ, რამეთუ **უდარე** არიან მებრ წესითა. I, 206, 2; აწ იხილე, რამეთუ მიზეზსა **უდარეა** მიზეზთანი, ხოლო თანმიზეზსა ორღანებრივსა ზედა ძეს. II, 91, 3; რომელიმე ვითარ ზესთად ცხოვლობისაჲ, ხოლო რომელიმე ვითარ **უდარე** ცხოვლობისა. II, 151, 28.

უმარტივე: ყოველი მიზეზი ზესთა ძეს ყოვლისა მიზეზოანისგან, რამეთუ **უმარტივე** არს მიზეზი მიზეზოანსა. II, 80, 33.

უსაღმრთოე: მოქმედებაჲ აღმყვანებელობითისა მიზეზისაჲ უმჯობესთა მიმართ უკუნმქცეველობით დაისახვის ვითარ ზენად და **უსაღმრთოესადმი** აღიყვანებს უკუნქცეულთა. I, 190, 24.

უპირველო: ვინაჲცა ერქუმის მას უზიარებელი, ვითარმედ **უპირველო**. II, 66, 3; ხოლო ერთნი პირველნი ერთისაგან **უპირველოჲსა** და თჳთ ყოველთა პირველისა. II, 30, 24.

---

[1] გამოცემაში დაბეჭდილია უფროჲს, ხელნაწერის **უფრო** ვარიანტებშია მოქცეული. ასევე, E-ში ყოფილა უფროჲ, რაც აგრეთვე ვარიანტებშია შეტანილი, ტექსტში კი დაბეჭდილია **უფროჲს**.

უუქმოა: რამეთუ ენებად ყოველ **უუქმოა** და უდარესი თჳსისა მეზესთისგან. II, 41, 21.

უსაყოველთაო: ყოველი ღმერთებრიჲი **უსაყოველთაო** და უდასაბამიერეს არს. I, 78, 2.

უმცრო, უფრო: ხოლო უზენაესნი რაჲზომობითა სიმრავლისაჲთა **უფრო.** ხოლო დაზესთაებითა ძალთაჲთა **უფრო.** II, 190, 24.

საყურადღებოა, რომ მეხოტბეების ენაში შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმები იშვიათად გვხვდება. „აბდულმესიანში“ მხოლოდ ხუთიოდე შემთხვევაა ზედსართავი სახელის შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმის გამოყენებისა და ამათგან ორი ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი ფორმაა:

მებრძოლთა გუნდნი
ყოვლად ყვნის ცუდნი:
ჴმა როსტომითა
უმჯნე ძალთათჳს. 31,4.
ედემს დარგული
სამოთხის გული,
ციერთ უმაღლე,
ქვეყნის მპყრობელი. 45, 3.

რაც შეეხება „თამარიანს“, რომელიც, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზედშესრულით იწყება და ზედშესრულით თავდება“, მასში ერთადერთი შემთხვევა გვაქვს შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმის ხმარებისა და ისიც არსებითი სახელის ფუძისაგანაა ნაწარმოები:

გჳმობ თამარ მზესა,
უმზესად ზესა
მით, რომელ უცხო
ხარ სახილველი. VII, I.

ფართოდაა წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო ფორმები „ვისრამიანში“;

უკეკლუცე: სხუასა მეპურპლესა შეჰვედრენ, რომელი შენსა სადედოსა შიგან ჩემსა **უკეკლუცე** იყოს და უერთგულესი (96); რათგან მისი ნანადირები ქუეყანასა ზედა ცისა მზისაგან **უკეკლუცე** იყო, ჯამდა მისთუის დიდის ჭირის ნახვა (36); ყველა ერთმანერთისაგან **უკეკლუცე** იყო, მათი ქება არავისგან მიიწთომის,

პირად და ტანად ყოვლითურთ სრულნი და უკლებნი იყვნეს და ყუელა სხდა შაჰი მოაბადის წინაშე (6).

უსუბუქე: დავლა და ბედი, ლარი და საჭურჭლე მათი მთისაგან უმძიმესი იყო და შეჯირვება ბზისაგან **უსუბუქე** (6).

უმრავლე: დელამი და არაბი ცხენოსანი ეგზომი შეიყარა მისსა, რომელ ქუიშისაგანცა **უმრავლე** იყვნეს (21).

უარე: ნეტარ თუ სიცოცხლესა ჩემსა ყუელა მადლი ვქმნა, **უარესა** სიძვასა? (71); აწ იგი არაკი გამართლებულა, თუ: უმეცარი მოყუარე მესისხლესა **უარეაო** (276).

უძნელე: კულა ავად გაჯდა, პირველ გამიჯნურებისა აწ **უძნელე** იყო (96); ვითა ცეცხლსა ზედა ცეცხლი მოემატა, აგრე **უძნელე** იყო ყოვლისა ჟამისასა (301).

უმალე: წაედ ციხესა და ქარისაგანცა **უმალე** მიდი ორასის კაცითა (156).

უამე: მოიგონე, სამოთხე ღმრთისა **უამეა** (90); ამას რა **უამეა**, რომელ სულნი მედგნენ და შენებრი სულიცა მეახლოს? (180); მაგა სიცოცხლესა სიკუდილიცა **უამეა** (194); თუცა სიხარული კარგი არის, ათასისა სიხარულისაგან ერთი მოყუარე **უამეა** (235).

უმკუეთუ: რა გავწყრი, ლომნიცა იშიშვოდიან ჩემგან და, რა გავფიცხდი, ჯრმლისაგან **უმკუეთე** ვიყავ (191).

უსაბრალოე: მრავლისა თუალი ტიროდა მისთუის და მრავლისა გული იწოდა მისისა მოშორებისათუის, მაგრა ყოველთაგან რამინ განაღამცა **უსაბრალოე** იყო (96).

უფრო: თუ რამინ სიგრძითა ნაძუსა ჰგავს და ჭაბუკობითა როსტომს **უფროა**, მე არად მომინდების, რაზომცა კეკლუცია (65).

ანალოგიური სურათია სხვა ძეგლებშიც.

ა) **„ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში**:

უგმირე: ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველისა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს. ესე ხუთნივე იყვნეს გმირნი, არამედ მცხეთოს **უგმირე** იყო სხუათა მათ (ლ მრ. 8); ხოლო მცხეთოს, რომელი **უგმირე** იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელსა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქჳან არმაზი (ლ. მრ. 9).

უმცირე, უდაბლე: რამეთუ დაღათუ წერილმან ფრთოვანსა ვეფხსა მიამსგავსა მაკედონელი იგი სიფიცხითა მიმმართველობისათჳს, და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანათა შინა, და ჭრელად მრავალფერობისათჳს ქცევათა და განზრახვათა მისთჳსა, არამედ ჩუ-

ენი ესე გკრგკნოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამითა შემდგომი, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმჯნითა **უმცირე**, და თჳთ მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა **უდაბლე**, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე (დავ. აღმაშ. ისტორ. 337-338).

უბრძნე: ესრე **უბრძნე** იქმნა ბრძენისა მის, რომელ ესეოდენ შეიყუარა ღმერთი იგი და უცხო ექმნა საცთურსა სოფლისათა (ისტორიანი და აზმანი, 79).

უწინარე: მაშინ მომსმენართა მისთა უკმეს ერთი მკუდრთაგანი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელ. მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა წარმოიყვანა და მოიყვანა **უწინარე** პაემნითა მოყმე სახეკეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭურეტთაგან საჩენი გუარისშვილად (ისტორიანი და აზმანი, 37).

უმართლე: ვეღარც მეფემან გიორგი უსაყვედურა საქმე ესე დავითს ამისთჳს, რომე **უმართლე** იყო (ბერი ეგნატაშვ., ახ. ქ. ც. 382).

უმტკიცე: ვითარცა თქმულ არს: „ჩვეულება სჯულსა **უმტკიცე** არსო“; და არ[ს]ცა ჩვეულება მათი სჯულსა **უმტკიცე** (ბერი ეგნატაშ., ახ. ქ. ც., 416).

უგრძე: არჩილ იყო უხუცესი. ესე იყო კისკას, შუენიერ, მობურთალი, მოისარი. ყოველის კაცის ისარზედ ერთი კელის დადება ისარი **უგრძე** ჰქონდა (ბერი ეგნატაშვ., ახ. ქ. ც., 435).

ბ) გიორგი ბრწყინვალის სამართალში:

უმართლე: და როდისაც მივიდეს საქონლის პატრონი და სთხოოს, იგი **უმართლე** არის, და მისცენ იმ ზემოთის განაჩენითა, კარგად გარდაუჯადოს (გვ. 118, § 44).

გ) განსაკუთრებით ხშირია ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი ფორმები ზედსართავი სახელის შედარებით-აღმატებითი ხარისხისა „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებში:

უამე: თქუენი სიტყუა გაგუაგონეს, სხუას რას ვისმენთ **უამესა**? (I, 1072).

უსაწყულე: შენ **უსაწყულე** ხარ სიაოშს, მოჰკვედ თავისა ყმისაგან (I, 3404).

უმაღლე: ტანი მისი **უმაღლე** იყო დიდსა მთასა (II, გვ. 435).

უმალე: ისრის **უმალე** წავიდა (II, 430).

უბერე: ექვსასი წლისა კაცი ვარ, ჩემსა **უბერე** არისა (1, 1098).

უსრულე: სიდიდითა და ძალ-გულად გმირს საამს **უსრულე** არის (I, 1265).

უგრძე: რჭა ება მეტად მახვილი, კაცთაგან საკრძალავია, შუბისა ტარსა **უგრძეა**, ამად არ სამალავია (I, 655).

უფიცხე: ხვადსა ლომსა **უფიცხეა**, მას დაუდგამს პილო ძნელად (I, 2052).

უნათლე: ტახტად სამარე იშოვნეთ, თქვენ, **უნათლენო** მზისანო! (I, 596).

უმოკლე: ერთი გზა არის **უმოკლე**, თორმეტის დღისა სავალი (I, 2202).

უმაგრე: თაბაზს მოადგა ყალასა ნარიმან ფალავანია, არვის უნახავს **უმაგრე** ციხე და გალავანია (I, 116).

უსხო: უბრძანა, თუ: „მგელნი სხედან სამნი, **უსხო** კამეჩისა“ (I, 5096).

უფრო, უტურფე: დიდსა საამსაც **უფროა**, უმაღლე, ბეჭბრტყელიანი, პირი გავსილსა მთვარესა **უტურფე**, ღაწვლალიანი (I, 1342).

დ) თეიმურაზ I-ის ნაწერებში:

უმაგრე: ვით გასძლებს ჭირსა ეგზომსა გული **უმაგრე** ქვისაგან? (გვ. 22).

უთეთრე: თეთრი ვარ, ბროლის **უთეთრე**, ყირმიზი ლალისგვარადო (გვ. 11).

უნათლე: ფიცვენ: „მზისა **უნათლეა**, მგონი, კმარა რძლად და ქალად“ (გვ. 32).

უმაღლე: კვიპაროზისგან **უმაღლე** თავს ხედავს ამა ყოფითა (გვ. 127).

უტურფე: ჩვენ წავიდეთ, ქალი ვსთხოვოთ ამა ყმისა შესართავად, ვინ მნათობთა **უტურფეა**, უკაზმავი, მოურთავად (გვ. 31).

უტკბო: მე არ მომხვდა, შენ ვით მოგცე სულთაგანცა **უტკბო** სული? (გვ. 82).

ე) „არჩილიანში“:

უმწუხარე: გული დაუბამს ურვასა, ნაღვლის სმას **უმწუხარესა** (II, 113).

უმწარე: ენას აქვს გესლი ბოროტი, **უმწარე** ასპიტისაგან (II, 83).

უცრუე: რასთვის მგონია სოფლისგან კაცი **უცრუე**, აწ ვიტყვი (I, 58).

უმართლე: აწ მე ვიტყვი მათ საქმესა, თქვენ შეიტყობთ **უმართლესა** (I, 19).

უმკვეთე: თქუთ, რაც ორპირი მახვილი იმისგან იყოს **უმკვეთე** (I, 93).

უნათლე: სადა არს თხემის დალალა, ბეჭთ საშუალთა კოწოლნი? ყელი მთიებთა **უნათლე**, ბედაურთ მკლავთა წამწოლნი? (I,58).

უმჯობე: ეს დაიჯერე, ამ სახლით ვეღარსად გახვალ სხვაგანა, კვიროს **უმჯობე** საშენქმრო არ იშოება სხვა განა? (I, 200).

უტურფე: იყო ქორწილი ასეთი, **უტურფე** აღარ ინახვის (I, 159).

უტკბო: შაქრის **უტკბოთ** ენით შენით საუბარი ამოიწყე (I, 181).

ვ) „რუსუდანიანში":

უდიდე, უტურფე, უმრავლე: როგორც ხელმწიფე **უდიდე** იყო მოქალაქეთა და მისი რიგი მათსა სჯობდა, ისე უდიდებულესი და უმჯობესი წესი და რიგი ხელმწიფისა შეყრასა უკან შეიქნა (559); მის ახლის ხელმწიფისა სუფრისაგან მისი სუფრა უფროსი და უდიდესი იყო, სუფრის იარაღი — **უმრავლე** და უმჯობესი (140); იყო მიჯლიში ყოველთა მიჯლიშთა **უდიდე** და ყოვლისთანა რიგი და წესი **უტურფე** და **უმრავლე** (143).

უფიცხლე: **უფიცხლედ** და **უფიცხლედ** იბრძოდიან მეფენი (130).

უფიცხე: ცხენმან ფიცხელი გაიზიდა, ასე რომე ველარ დავიმაგრე, გავარდა ხელძალიანის ისრისაგან **უფიცხე** და, რა მას დევს მოშორდა, დადგა (545); ხვადსა ლომსა **უფიცხეა** და პილოსა მისისა ნაკრავისა გაძლება არ შეუძლიაო (270).

უშვენიერე: პირი გავსილსა მთვარესა უგვანდა, თვალნი — მელნითა სავსესა ტბასა, ბაგე და კბილი ძოწ-მარგალიტსა **უშვენიერე** იყო (264).

უნათლე: როგორაც დღე ღამეს **უნათლეა**, ისე ის სადედოფლო ტანისამოსი და მაზედ მსხდომი თვალ-მარგალიტი სახელმწიფოსა სამოსსა სჯობდა (454).

უსქე: ასრე ლამაზგვარად შეხამებით და უცხოდ ნახჩად გამოთახჩული იყო, რომ კაის წმიდას მაჯარსა კიდევ **უსქე** ხეები ექნება (451).

უძნელე: ასეთი სული დადგა, ჯოჯოხეთსაც **უძნელე** იყო (185).

უბნელე: ჯოჯოხეთისგანც **უბნელე** იყო იგი სახლი (538).

უკისკასე: ვეფხისაგან **უკისკასედ** ახლტა და ზავსა ყელთა მოეხვია და, ვითა საყვარელი ძმა, შეიტკბო (41).

უმხნე: ფრიდონ **უმხნეა** ჩვენსა, უფრო ახალი მომწიფული და ახალი ფალავანი არის (19).

უამე, უტკბო: ხმა ესეთი ისმოდა, რომელ კაცის ყური მის **უამეს** და ვერც **უტკბოს** ვერას გაიგონებდა (338).

უფრო, უმცრო: ხოსრო კვლავ შეუთვალა: მამაჩემს თუ არა **უფრო** ხარ, **უმცრო** არა ხარო (283).

ზ) გალექსილ ამირანდარეჯანიანში:

უდიდე, უმჯობე: აქ მოიყვანა მან კაცმან **უმჯობე** კაცთა სხვისაგან, — მხეცი მოკლაო, რომელი **უდიდე** იყო მთისაგან (1827).

უმალე: რქვა ამბრიმ: „მღვთითა **უმალე** მოგკლაო ლახვრის დარითა“ (552).

უმაგრე: დავეასკვნეს მტკიცედ წასვლა, გული ჰქონდა ქვის **უმაგრე** (1981).

უსაყვარლე: მათად მსგავსად სხვა სულდგმული **უსაყვარლეთ** ვერ ისმენდეს (1875).

უტურფე: მივედით, ვნახეთ, ქვეყანა **უტურფე** იყო სხვათასა (1796).

უფიცხე: თავმან თქვენმან, კვლა **უფიცხე** შეცაიბნენ გასაჩვენა (1595).

უნათლე: იგი მთვარისა **უნათლე,** მზის მაბნელები ხომ ისა! (1924).

უმრავლე: ცისკარს დაესხნენ, მათ ხოცეს **უმრავლე** კაცი ქვიშისა (571).

თ) თეიმურაზ II-ის ნაწერებში:

უმართლე: ჩვენ, აბა, რა უნდა ვსთქვათ და ან რა უნდა უპასუხოთ? თუ დაგვხოცოს, **უმართლე** იქნების (157).

უძნელე: ოდესაც ბრძანება ღვთისა მოსულიყო, მაშინცა ჯოჯოხეთისაგანცა **უძნელე** იყო თქვენისა ბედნიერისა პირისა უჭვრეტელობა (222).

უშვენიერე: აღმძრა თავისა საქებლად **უმშვენიერემ** მზისაგან (117).

უხუცე: ესავ ტირს: „მამავ, მაკურთხე **უხუცე** შენი შვილია!“ (16).

ი) სიბრძნე-სიცრუის წიგნში:

უდიდე: მე ვითაც ველოდი მტერთაგან ჩემსა წახდენასა და

შესმენასა წინაშე მეფობისა თქვენისა, აწ ამით **უდიდე** შემცოდე ვიპოვები (23).

უმართლე: მათი რომელი **უმართლე** იყო, ყველაყამ იცოდენ, მაგრამ ერთმანერთს აბრალებდენ (20).

უმჯობე: არაკად თქმულა: ცუდად ჯდომას ცუდად შრომა **უმჯობეო** (41).

უახოვნე: ჩვენ თორმეტნი ამხანაგნი შევიყარენით, ყველა ჩემსა **უახოვნე** იყო (105).

უფრო: არის ინდოეთს მფრინველი ერთი, რომელსა თათვალს უხმობენ, მიმინოს **უფროა** და მფრინველს ნადირობს, თუცა მოუხდა (123).

კ) ევროპაში მოგზაურობაში:

უდიდე: რაც წმიდათ მოწამეთ დარანი გვენახა, **უდიდე** და უმრავლესი იყო (199).

უმაღლე: ოთხპირად მგრგვლად ორმოც-ორმოცი ქვის სვეტია ამართული, თვითო ექვს აღლს **უმაღლეა** (182).

უსხო: ამის სახლში ერთი თევზის წიბო ვნახე: ოთხი აღლი სიგრძე მეტი იყო, მკლავს **უსხო**, ბატონის სალაროში ღორის კბილსაეით რომ კბილია, ორი მისთანა, მაგრამ იმტოლი ვერ იყო (174).

ლ) ქილილა და დამანაში:

უჩქარე: აშიკის ცრემლებ უწყვეტლად ზედაზედ მალ მიმდენარე, ტაიჩი, ყველას **უჩქარე**, გვანდა მიფრინავს ზენარე (420).

უსაწადლე: მისი პირი — ტრფიალთ ჭირი, ანთრაკთაგან **უსაწადლე** (473).

უხერხე: თაგვი მელისა **უხერხე:** მან გაადვილის ბნელია (408).

უშავე: ღამე ზანგისა **უშავე**, ეთიოპისა მსგავსია (587).

უნამეტნავე: კეთილი გინდეს, კარგი ქმენ, იყავ უფლისა მინდობით, თვარა, რასაც იქმ, მოგხვდება **უნამეტნავე** დიდობით (596).

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანდაურთველი სახეობა ზედსართავი სახელის შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმებისა „ვეფხისტყაოსანშიც“ პროდუქტიული ჩანს. პოემაში გვხვდება:

უკეთე: აწ ვინცა ვიცით **უკეთე** შეტყორცა საგდებელისა, მან ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლისა გრძელისა (1395).

უმართლე: უსენ იტყვის: „ბევრ-ათასნი ჭირნი ამან ამიხოცნეს, ესე ღაწვნი მზისად ხმანან, კაცთაგანმცა ვით იკოცნეს!

უმართლეა, ვერ-მჭვრეტელმან თუ პატიჟნი იასოცნეს,

მე თუ შვილნი მირჩევნიან, ღმერთმან იგი დამიხოცნეს!“ (1161).

მან უბრძანა: „რაცა გითქვამს, **უმართლე ხარ** მეტის-მეტად: საბრალოა ასმათ მისად მგონებლად და ჩემად მჭვრეტად“ (900).

ყმამან უთხრა „**უმართლე ხარ**, არ მამართლო მდურვად მისად“ (855).

„შენ უმართლე ხარ, ემდურვი, შენ გაეყარე ძმობილსა“ (849).

უნათლე: მისგან კიდე ინატრიდა ჰვრეტასამცა სხვადღა ვისსა, ვინ მზესაცა **უნათლეა**, ასრე ვითა ბროლი ფისსა! (1421).

პირი მისი **უნათლეა** სინათლესა ზესთა-ზესა (685).

უარე: რა უარეა მამაცსა, სულ-დიდსა, წასლვა-გვიანსა? (798).

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჳელსა? (799).

თუცა ჰმართებს დედაკაცსა მამაცისა დიდი კრძალვა, მაგრამ მეტი **უარეა** არა-თქმა და ჰირთა მალვა (412).

უამე: რა **უამეა** პირისპირ საყვარელისა ჰვრეტასა! (484).

უთამამო: იგი მით აკრთობს ელვასა, მზისაცა **უთამამოსა** (682).

აღარ მოგვყავს ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმათა ისეთი მაგალითები, როდესაც მაწარმოებელ აფიქსს ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი დაერთვის. ასეთი ფორმები ჩვეულებრივია ძველ ქართულში XII საუკუნემდე, ჩვეულებრივია XII საუკუნის სალიტერატურო ენაშიც და შემდგომი ხანის სალიტერატურო ენაშიც. მაგრამ ამასთანავე ფაქტია, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი ფორმების გავრცელებისა და გამოყენების არეც საკმაოდ ფართოა.

სავარაუდებელია, რომ **უდიდე-ტიპის** წარმოება დამახასიათებელი იყო ერთ-ერთი კილოსათვის, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა როგორც ძველი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში XII საუკუნემდე, ისე ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბება-განვითარებაში ამ საუკუნის შემდეგ; ეს კილო ორივე ამ სალიტერატურო ენის ერთ-ერთ მკვებავ დიალექტთაგანს წარმოადგენდა. **უდიდე-ტიპის** წარმოება ცოცხალი ჩანს აღნიშნულ საუკუნეთა განმავლობაში.

ამასთან ერთად ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც მწერლობის გარკვეული დარგების ენაში დაეკისრა ზედსართავ სახელებს XI საუკუნის მეორე ნახევრიდან. ფილოსოფიური მწერლობის განვითარებამ, რაც უმთავრესად იოანე პეტრიწის სახელთანაა დაკავშირებული, ფართო მთარ-

გმნელობითი მუშაობის გაჩაღებამ მწვავედ დასვა საჭირო ტერმინოლოგიის შექმნის საკითხი და ამ ასპექტში ზედსართავი სახელებისა და მათი შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმათა ბრძირი გამოყენების აუცილებლობა ცხადი გახადა. პეტრიწონული სტილის გაბატონებამ, რომლისთვისაც ელინოფილური მიმართულების შესაბამისად ნაკლებ დამახასიათებელია ზმნური კონსტრუქციები და მეტად დამახასიათებელია სახელის შემცველი, კერძოდ, ზედსართაული და უფრო მეტად კიდევ მიმღეობური კონსტრუქციები, გამოიწვია ზედსართავი სახელებისა და მიმღეობების, განსაკუთრებით შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმათა ხვედრითი წონის საგრძნობი გაზრდა მწერლობის ამ დარგთა ენაში. ელინოფილური მიმართულების გავლენა მწერლობის სხვა დარგებმაც განიცადა, კერძოდ საისტორიო მწერლობამ. საკმარისია დასახელებულ იქნეს ამ მხრივ ცნობილი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". ეგევე გავლენა მხატვრულ მწერლობასაც მისწვდა; ამ მხრივ მეტად დამახასიათებელი ფაქტები მოიპოვება ჩვენს სახოტბო მწერლობაში — „აბდულმესიანსა" და „თამარიანში".

პეტრიწის ენისათვის დამახასიათებელია ფართო გამოყენება ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმებისა, ამასთან, ზედსართავთა გარდა ასეთი ფორმები მიმღეობებისაგანაც იწარმოება.

უსაყოველთაოესი: ხოლო უფროსთა მიზეზთა უფროსი ძალი აქუს და **უსაყოველთაოესი.** I, 40, 17.

უმპყრობელესი: რომლისათჳსცა იყოს **უმპყრობელეს** გაგონებასა და გასაგონოს შორის ერთი. I, 102, 24.

უთჳსიერესი: რომელიმე ყოველთა მიზეზისადმი **უთჳსიერეს.** I, 21, 27.

უერთებრივესი: რამეთუ არცა ყოველი გონებაჲ ეხების ღმერთსა, არამედ უმწუერვალესი და **უერთებრივესი** გონებაჲ. I, 68, 33.

უშემდგომესი: ერთი მეორესა არცა უპირველეს, არცა **უშემდგომეს** იყოს. I, 6, 15.

უდასაბამიერესი, უგარეშემცველესი: რამეთუ სამარადისოდ ღმრთებრივნი (უძლიერეს), **უდასაბამიერეს** და **უგარეშემცველეს** მათ მიერ წარმოქმნილთაჲ არიან. I, 87, 27.

უგანნაწილებულესი: ხოლო უმრავლესთა მიერ წარმოყენებულნი უმცროჲს, რამეთუ **უგანნაწილებულეს** ძალი მათ შორის. I, 107, 8.

უგანშორებულესი: ხოლო **უგანშორებულესნი** უფრო უმსგავსო, II, 56, 14.

უმოქმედიერესი: რამეთუ ესე ყოველნი უპირველესცა და **უმოქმედიერეს** ყოველთა მათ და წინამდებარეთასა. II, 41, 20.

უსაეროესი, უმრავალჯერესი: სახელი ესე იგავთა, რომელ არს პარკმიე, **უსაეროესთა** ზედა გარეშეთა მიერ დაწესებულ არს სიტყუათა და გზათა ზედა ზრახულთა, ვითარ **უმრავლჯერეს.** II, 227, 3.

უსაღმრთოესი: რამეთუ ნამდჳლ მყოფსა შორის წარმოელეებულნი ერთნი **უსაღმრთოეს.** II, 184, 7.

უზესთბრძნესი: სამ არიან **უზესთბრძნესისა** სოლომონის მოფარდულობანი. II, 226, 29.

უპირმშოესი: უზომოებასა დამისახვენ ჩუენ არსთა და ერთთაცა **უპირმშოესისა** სიტყჳსასა, II, 78, 14.

უღრმთივესი: ხოლო ოდეს პირველად სხეულთად გესხოდის ცაჲ, ესე მიზეზი და **უღრმთივესი** ყოველთა სხეულთაჲ იგულისხუმიე. II, 155, 18.

უდამტეესი: და კუალად ეზიარა მიზეზიანი და **უდამტეესი** თჳსსა მიზეზსა და მეზესთაესსა თჳსსა, II, 12, 33.

ეს მიდრეკილება გამომჟღავნდა შემდგომ მეტ-ნაკლებად მწერლობის სხვა დარგებშიაც. კერძოდ, საისტორიო მწერლობაში. ამ რიგისაა ასეთი ფორმები:

უგუარიანესი: მაშინ შეკრბნეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულებოდა მთავარყოფა მათ ზედა ეგარსლანისი, არა მათგან **უგუარიანესისა** კაცისა (ჟამთააღმწ., 217).

უალმატებულესი: და ვითარ მიიწინეს წინაშე ბათოსა, რომელი იყო მას ჟამსა უმთავრესი ყაენთა და უზეშთაესი და **უალმატებულესი** შუენიერებითა... (ჟამთააღმწ., 197).

უშინაგანესი: აღივსნეს მუნცა ოქროთა და ვერცხლითა, ცოლთა მათთა სამკაულითა და **უშინაგანესისა** რომ-გურისა მიმართ მიიწივნეს, რომელ არს ხორასანი (ისტორიანი და აზმანი, 107).

უსასწრაფოესი: განიცადეთლა ჩემდად, რომელ ესევითარსა საქმესა შინა და ესეოდენ უცალოსა წიგნივე აქუნდეს **უსასწრაფოესად** საქმედ (დავით აღმაშ. ისტორ., 350).

ამ ტენდენციის გავლენის შედეგი იყო, რომ მხატვრული მწერლობის ენაში გაჩნდა ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმები, რომელთათვის ამოსავლად არსებითი სახელის ფუძეა გამოყენებული. „თამარიანიდან“ ზემოთ უკვე

შოყვანილ ფორმას („უმზესად") აქ შეიძლება დავუმატოთ „დესი" „ვეფხისტყაოსნისა" („აწ მოყვარე გიპოვნივარ დისაგანცა უფრო დესი" — 552), აგრეთვე „უცხენმალეს" იქიდანვე („ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს" — 173)[2].

მსგავსი ფაქტები გვიანდელ ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ ეს უკვე „ვეფხისტყაოსნის" გავლენის შედეგია. მაგალითად, „არჩილიანში" ვკითხულობთ: „... თუ გამოექცეს, რა გიკვირს, თხისგან უთხია (II, 108), ხოლო „ქილილა და დამანაში" ასეთი ლექსი გვხვდება: „რა კბილთა გამოიჩენდა მრისხანებისა წესითა, ვით გრდემლსა სცემდეს უროსა საქმითა უმჭედლესითა" (498)[3].

პეტრიწსავე აქვს ნახმარი ხელოვნური ორუნიანი ფორმა ზედსართავი სახელის შედარებით-აღმატებითი ხარისხისა: უუმიზეზესი: „მოაკლდენ რაჲ იგი მოქმედებისგან, კუალად იგი მოქმედებს სხუათა უუმიზეზესი" (I, 45, 27); „ხოლო თუ უუმიზეზესნი და პირველნი პირველ იმოქმედებენ თჳსთა შემდგომთასა ზესთ მდებარეობისათჳს მათშორისთა ძალთაჲსა და კუალად დასასრულისა მიმართ, რომელთა აქუნდეს უსრული ძალი წარმოუდგებიან და დაუბრწყინდებიან მათ" (I, 46, 23).

სათანადო წყაროებიდან ასეთი ფორმები მოხვდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც: „უუპატიოსნეს უფროსად პატიო-

---

2 ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი სახეობის ხშირ ხმარებას იოანე პეტრიწის ენაში პირველად ყურადღება მიაქცია პეტრიწის თხზულებათა გამომცემელმა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა და ეს ფორმები ხალხური წარმოშობისად მიიჩნია. მანვე დაუკავშირა ეს ფორმები „ვეფხისტყაოსნის" ანალოგიურ ფორმებს (იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, შესავალი, გვ. LX).

არ არის გასაზიარებელი ს. ყაუხჩიშვილის აზრი, თითქოს „უფროობითი ხარისხის წარმოება არა მარტო ზედსართავი სახელისაგან, არამედ არსებითი სახელისაგანაც" („ქართლის ცხოვრების" „უგმირე", „უპალაკე" და მათი ანალოგიური „დესი" „ვეფხისტყაოსნისა") იყოს ისეთი ფორმები, რომლებიც ძველი ქართულის დამახასიათებელია" („ქართლის ცხოვრება", ტექსტი, დადგენილი უველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, შესავალი, გვ. 046).

3 „ვეფხისტყაოსნის" გავლენა აღორძინების ეპოქის მწერლობის ძეგლებზე ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, ცალკეულ ფორმათა, რითმისა თუ სხვა თვალსაზრისით იმდენად დიდია, რომ ამ ფაქტს შეუძლია საგრძნობი სამსახური გაუწიოს პოემის ტექსტის დადგენის საქმეს: ბევრ შემთხვევაში განმეორებულია მთელი ტაეპი და რითმათა ოთხეულები „ვეფხისტყაოსნისა", ხოლო ფორმები ზოგჯერ წარმოდგენილია უფრო სწორად, ვიდრე პოემის ხელნაწერებშია დაცული. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „შაჰნამეს" იმ ნაწილს, რომელიც სერაპიონ სოკრატის ძე სამაშვილის მიერაა ნათარგმნი.

სანი; **უუსრულეს** უფროსად სრული; **უუცსადოესი** უფროსად ცხადი".

სხვა საფუძველი აქვს ასეთი ფორმების ხმარებას „არჩილიანში": ლექსის საჭიროებით ჩანს გამოწვეული.

ერთ დღე რა ქარი აქროლდა, ვნახე ქაჯს უკეკლუცესი,
სამოთხისებრი სანდომი, მისგანცა **უუტურფესი,**
სიხელის ზღვასა შემაგდო, აჰა, მე, ბრძენთ-უხუცესი.
არც ცოცხალი ვარ, არც მკვდარი, ვარ ხელთა **უუბუცესი** (I, 190).

სოფელო, ერთი ესე გჭირს ყოველისგან **უუარესი,**
გულს დასაკლისი საწყენი, ნაღვლისგან **უუმწარესი** (I, 48).
ამას ქვეითაც ვიტყოდი ასევ თუ **უუკეთესა.**
აქამდის ვერვის მოემკო, თუმც ძველად ვისმე ეთესა.
მე ჰირნი ჩემნი ვამსგავსე მახვილსა **უუმკვეთესა** (I, 220).
აქ აქვს დადიანს მეფეზედ ძალი მწვე **უუმეტესი** (II, 118).
შენ გითქვამს და აწ მეც ვიტყვი, ვინ გამოვჩნდეთ **უუმართლე?!** (II, 113).
უგუნურო, რასათვის ხარ ავზედ **უუმოსწრაფესი?** (I, 31).

ამგვარ წარმოებასთან ხდება ზოგჯერ აღრევა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ისეთი ფორმებისა, რომლებიც **უ** თავკიდურიანი ზედსართავის ფუძისაგან იწარმოება. ეს თავკიდური **უ** მეტწილად უარყოფითობის პრეფიქსია. ჩვენი საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამგვარი წარმოების ფორმათა გათვალისწინებას.

უუსაზღვრესი (ამოსავალი ფუძეა **უსაზღვრო-**): ყოველი ძალი ერთებრივ მყოფი გამრავლებულისასა **უუსაზღვრეს** არს (პეტრ. I, 58, 26).

უუძლურესი (ამოსავალი ფუძეა **უძლურ-**): და კუალად უკეთუ მრგუალივ მოვლიან მიზეზნი, იგივე იყვნენ პირველცა და შემდგომ ერთმანერთისადმი, და უძლიერეს და **უუძლურეს** (პეტრ. I, 11, 22).

უუკუანაცკნელესი (ამოსავალი ფუძეა **უკუანაცკნელ-**): ხოლო სხუაჲ იგი ერთი, რომელსა ნივთად და კპოვათრად და პკთმენად უწოდა ხედვამან, უდარეს და **უუკუანაცკნელეს** (პეტრ. II, 126, 127).

უუსახურესი (ამოსავალი ფუძეა **უსახურ-**): ხოლო ნაწილებითნი ვითარ **უუსახურეს,** ესთავე და შორსცა (პეტრ. II, 120, 8).

უუნდოესი (ამოსავალი ფუძეა უნდო-): და უჩუენა უდარესი და **უუნდოესი** (ისტორიანი და აზმანი, 80); ღირს ვიქმენ მე **უუნდოესი** ყოველთა დაბადებულთა შენთაჲ მდაბალი მონაზონი არსენი ბერძულისაგან ქართულად თარგმანებასა წ'ისა ამის წიგნისა (ქრონიკები, I, 237—238).

უუწესოესი (ამოსავალი ფუძეა **უწესო-**): რომლისასა რაჲმცა იყო სჩუაჲ **უუწესოესი** და უსაცინელესი (ძეგლისწერა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებისა. ქრონიკები, II, 66).

უუმეცრე (ამოსავალი ფუძეა **უმეცარ-**): მე ადრითგან მით **უუმეცრე** ვარ, რომელ მოყუარეთა და ნატამალთა ჩემთა კიდეგანობა არ მიმძიმდეს (ვისრ. 235).

უურიცხვე (ამოსავალი ფუძეა **ურიცხვ-**): მასვე გზასა წამოვედით, კვლავ გვძღვნობდიან **უურიცხვეს** (არჩ. II, 111).

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი ფორმები ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხისა ბოლოკიდურ ე-ს მოიკვეცენ:

უმრავლე, მოქმ. **უმრავლითა**: შევიდა ყაენის კაცი იგი ურდოსა ყაენის წინაშე და მოაჯსენა: „არა არს ჟამი მეტყუელებად, რამეთუ შეიძრა ულუსი დიდი დიდისა ყაენის ბათოსი და შვილი მისი, ყაენი დიდი ბერქაი, მოვალს გზასა დარუბანდისასა **უმრავლითა**, დიდად დიდითა ლაშქრითა“ (ჟამთააღმწერელი, 248).

უმწვერვალე, ნათ. **უმწვერვალისა**: ერთია იაკობისა, ქრისტეს ძმად წოდებულისა. ორი პეტრესი თხემისა, მოციქულთ **უმწვერვალისა** (არჩ. II, 22).

როგორც ცნობილია, ქართულს არ მოეპოვება ორი ფორმა ზედსართავ სახელთა ხარისხისა — ცალკე ფორმა შედარებითი ხარისხისა და ცალკე ფორმა აღმატებითისა. ამოსავალ (ე. წ. დადებით) ფორმას ზედსართავისას უპირისპირდება ერთი ფორმა, რომელსაც შეიძლება შედარებითი ხარისხის შინაარსი ჰქონდეს და შეიძლება აღმატებითი ხარისხისა. ხარისხის ფორმათა წარმოებისას შესადარებელი სახელი ზოგჯერ გვაქვს და ზოგჯერ არა. ქართულში რომ ხარისხის ფორმა რაღაცასთან შედარებით მეტს კი არ აღნიშნავს ყოველთვის, რომ ამ ფორმას შედარებითის შინაარსი კი არა აქვს ყოველთვის, არამედ აღმატებითისაც შეიძლება ჰქონდეს, ეს აისახა სულხან-საბა ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. სულხან-საბა ორბელიანი წერს: „**უმყვირტესი** — გარდარჩეულად გარდამეტებულიო“. დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ

ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „უკეთესი რჩეული“: „უძნელე — ძალიან ძნელი, უძნელესი — самый трудный“.

ამ ფაქტს ყურადღებას აქცევდნენ ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, თ. ზურაბიშვილი.

ივ. ჯავახიშვილი ძველ საქართველოში ქალაქების ნაგებობათა დახასიათებისას წერდა: „ერთი განსხვავება ციხეთა შორის მდებარეობაზე იყო დამყარებული, — იყო შიგნითა და გარეთა კოშკები, შემდეგ მეორე განსხვავება ღირსებაზე იყო დამოკიდებული, არსებობდა უკეთესი და ჩვეულებრივი კოშკები. უკეთესი ჩვენ ეხლა შედარებითი ხარისხის გამომხატველად გვესმის, ძველად-კი ქართულში უკეთესი ნიშნავდა საუკეთესოს. მაგალითად, ერთი უკეთესი ცხენი იმას-კი არ გულისხმობდა, რომ ცუდთან შედარებით უკეთესი იყო, არამედ საუკეთესო ცხენს ნიშნავდა“[4].

ა. შანიძე „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში უმართლე-სიტყვის განმარტებისას შენიშნავს: „უმართლე ფორმით „უფრო მართალს“ ნიშნავს, მაგრამ მნიშვნელობა „მართლის“ აქვს“-ო[5]. ხარისხის ფორმათა ამგვარი შინაარსის შესახებ ვრცელი მსჯელობაა წარმოდგენილი თ. ზურაბიშვილის შრომაში „ხარისხი ქართველურ ენებში“[6].

ზედსართავი სახელის შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმა აღმატებითის შინაარსით ქართული ლიტერატურის ძეგლებში ხშირად გვხვდება.

და ოთხად განყო სპა თჳსი: უკეთესი და უწარჩინებულესი სპა მან დაიჭირა და მეფე ვახტანგ (ქამთააღმწერელი, 318).

რაც რომში თავი და უკეთესი მგალობელი იყო, სულ იქ შეყრილიყო (მოგზ. ევროპაში, 175).

ცხენთა უკეთესთა, რაგუარნიცა გწადდეს, არავინ გიპატიმრებდა და თუითოფერსა აკაზმულობასა (ვისრ., 228).

ჴმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა, სადა ძელი ცხოვრებისა ასვენია, მართ ერთითა ტერფითა უკანარე დგას. რა

---

4 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 45—46. ხაზი და დაყოფა ყველგან ავტორისაა.

5 ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1957, ლექსიკონი ა. შანიძისა.

6 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 67, თბილისი, 1957, გვ. 129—130.

მისისა დაჯდომისა ჟამი მოვიდეს, ჯმალი კარგს მეაბჯრეს მისცეს და იგი მჯარს ჩამოიკიდებს. და ერთსა სეფესა ჯაჭვი აცვია **უთეთრესი**, ზურგით დგანან (ქელმწ. კარის გარიგება, 20).

„თქვენც გასმიათ, აქ გამოვა **უკეთესი** მარგალიტი,
ვეღარ ვპოვეთ, სადაფისა პირნი ვნახეთ დანაკლიტი“ (თეიმ. I, 46).

„ვეფხისტყაოსანში“:

ინდოეთს მისრით მოსრულთა გვივლია გზა **უგრძესია** (1580).
შევე ფიცხლად საჯინიბოს, ავხსენ ცხენი უკეთესი (1201).
მე სოფელმან მომაშორვა **უკეთესსა** ჩემსა მზესა (810).
უტურფესთა სეფედ დასხმენ, ფასსა მუნვე დაუთვლიან (1069).
უმართლეა, ვერ-მშვრეტელმან თუ პატიჟნი იასოცნეს (1161).

წარმოდგენილ კონტექსტებში ამ ფორმებს ყველგან აღმატებითის შინაარსი აქვს.

როგორც უკვე ნაჩვენები იყო, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი ფორმები ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხისა გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის როგორც „სიბრძნე სიცრუისაში“, ისე „ევროპაში მოგზაურობაში“, აგრეთვე სულხან-საბას მიერ „გაჩალხულ“ „ქილილა და დამანაში“, განსაკუთრებით ლექსებში. თავის „სიტყვის კონაში“ სულხან-საბა ორბელიანს შეტანილი აქვს ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის რამდენიმე ათეული ფორმა, მაგრამ ნათესაობითი ბრუნვის ფორმატდართულნი. და მაინც სულხან-საბას ლექსიკონში გვხვდება ორიოდე შემთხვევა **უდიდე-ტიპის** ფორმათა ხმარებისა: სალექსიკონო ერთეულად შეტანილია **უსახეესნი**, მაგრამ ფრჩხილებში მიწერილი აქვს **უსახეენი**; შეტანილია **უსხო** და განმარტებულია ასე: **უზრჩელე**; შეტანილია **უფრო** და განმარტებულია ასე: **უდიდესავით**; ხოლო **ბოგირი** ასეა განმარტებული: „ბოგას **უდიდე** მცირე ჯიდი“.

უფრო მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი **უდიდე-ტიპის** ფორმები დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში: **უავე, უამე, უამპარტავნე, უარე, უმალე, უმართლე, უმძვინვარე, უმჯობო, (უპირველე) უპირველობა, უშორე, უძნელე.**

XIX საუკუნის მწერლობაში, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მსგავსი ფორმები აღარ გვხვდება[7].

[7] გ. ლეონიძის ლექსში „თუშაია“, რომელიც გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ 1965 წ. დეკემბრის ნომერში (52) დაიბეჭდა, ასეთი აღგილი მოიპოვება:

რაც შეეხება დიალექტებს, ა. შანიძემ აღნიშნა ასეთი ფორმების არსებობა ზემოიმერულში, კერძოდ სოფ. ხრეითის მეტყველებაში, და დაასახელა სათანადო მაგალითებიც: **უმაღლე, უხნე**[8]. შემდგომ ასეთ ფორმებს განიხილავდა ქ. ძოწენიძე სპეციალურ ნაშრომში ზემოიმერული კილოკავის შესახებ[9]. დასახელებულ მაგალითებს აქ დაემატა **უგენრიელე (←უგემრიელე)**. ამ შრომებზე დამყარებით ზემოიმერულში ასეთი ფორმების არსებობას აღნიშნავდნენ შემდგომ თ. ზურაბიშვილი და გ. მაჭავარიანი. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული ამ საკმაოდ ძუნწი ცნობებიდან ჩანს, ზემოიმერულში ამ ფორმათა ხვედრითი წონა ისეთივე არ უნდა იყოს, როგორიც სალიტერატურო ქართულში იყო ისტორიულად.

ბეს. გაბურის მასალაზე დაყრდნობით ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი წარმოების არსებობას აღნიშნავენ ხევსურულშიც (თ. ზურაბიშვილი, გ. მაჭავარიანი) და ასახელებენ **უკეთე** ფორმას[10]. ა. ჩინჭარაული, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ხევსურულ კილოს, იცნობს ბ. გაბურის სათანადო მასალას. მაგრამ ამგვარი კვალიფიკაციისაგან თავს იკავებს. მართლაც, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი წარმოება შედარებით ხარისხის ფორმებისა ამჟამად მოქმედი წარმოება არ ჩანს ხევსურულში. ბეს. გაბურის მასალებში დადასტურებული ერთადერთი ფორმა **უკეთე** შემორჩენილი ჩანს გარკვეული შინაარსის ტექსტში.

ალვა ალვანს ამოსული,
სპეროზას მზე თუშაია,
პირი სხივით უკამკამებს,
თმა გიშერზე უშავია.

ეს „უშავე“, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ორდინარულ ფაქტად; იგი ამ არქაული ფორმის გამოყენების თუ ერთადერთი არა ერთ-ერთი უიშვიათესი შემთხვევათაგანია თანამედროვე ქართული პოეზიის ენაში.

[8] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 145, II გამოცემა, გვ. 143—144, თბილისი, 1973.

[9] ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, გვ. 85. იხ. აგრეთვე მისი „ზემოიმერული ლექსიკონი“, თბილისი, 1974.

[10] თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 141; გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 76, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 1959, გვ. 119.

„გაიგა, რო თავის ამხანიგები ას, მეეგება და დაუწყეს ერთუცს მალოცვა: ჯიკვის თავ კლოვ **უკეთე** მოგცასთ ღმერთმა! სრუ მუდამ გამარჯვებივასთ მტერზე და ნადირზე“[11].

„მეეგება სოფლის ვაჟები და ულოცავენ მენადირეებს: „გამარჯვება ვაჟებო! ნადირ კლო **უკეთე** მოგცასთ ღმერთმ! სრუ მუდამ გამარჯვებივასთ მტერზე და ნადირზე“[12].

მე ლუდოვეთით გამავედ, აქ უფრო ბევრი მდგარაო;
უკეთ-უკეთე სტუმარი ყველა თქვენ სკამზე მსხდარაო;
გცოდნივათ კაი ნამუსი, ხალხი აიმით მთვრალაო[13].
მაშინ სად იყავ, ოქაო, როსაც არ ვიყავ ქმრიანი?
ახლა სხვა მამწონებივა, შენს **უკეთია** ქმიანი,
ხუთთა სცემს, ხუთთა უფარებს უჯაჭვო, პერანგიანი.
შენ ერთსაც ვერ დაუხვდები ჯაჭვიან-პერანგიანი[14].

საყურადღებოა, რომ ასეთი ფორმები გვხვდება ვაჟა-ფშაველას ძმის ბაჩანას ნაწერებში. ერთი ასეთი მაგალითია უადრე, რომელიც ბაჩანას საილუსტრაციო ფრაზით მოხვდა „ქართული ენის ვანმარტებითი ლექსიკონის“ VI ტომშიც.

მანამ ვარ, ასე მამყოფა,
ამავ ჯანზედ და გულზედა
და თუნდა უადრეც მოკვედე
ღმრთისაგან განგებულზედა.
მიყვარს, ვაჟკაცის სიკვდილი
ჯერ რომ არ იყო დროული,
სუყველას დაენანება
უდროოდ გამორჩეული[15].

შორე მაგალითია **უმშვენიარე**.

ერთ ადგილს მიველ საკვირველს,
რა დიდი ხანი ვიარე,

---

11 ბ. გაბური, კევსურული მასალები პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით: ქართული საეთნოლოგიო საზოგადოების წელიწდეული, ტფილისი, 1923-1924, გვ. 195.

12 იქვე, გვ. 196.

13 იქვე, გვ. 247.

14 იქვე, გვ. 249.

15 ბაჩანა, ლექსები და პოემები ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, გვ. 144, თბილისი, 1938.

აღარ იქნება სამოთხეც
ღმისი უმშვენიარე[16].

ასეთია აღნიშნულ ფორმათა ისტორია სალიტერატურო ქართულში. ზემო მოყვანილი ფაქტების გათვალისწინება, ვათვალისწინება ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი ფორმების თავისებურებებისა საშუალებას გვაძლევს მართებულად გამოვიყენოთ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჩვენებები და აღვაღგინოთ პოემის ორი ადგილის სწორი წაკითხვა. ეს ადგილები წარმოდგენილია 706-ე და 523-ე სტროფებში.

ავთანდილმა მოძებნა ტარიელი და მოისმინა მისი თავგადასავალი. მან შეჰფიცა ტარიელს, რომ, როგორც კი ნახავდა თინათინს და მოახსენებდა ყველაფერს, რაც გაეგო, დაბრუნდებოდა და დაეხმარებოდა ნესტანის ძებნაში. დააიმედა კიდეც: „ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის ეგრე არ გატირო“-ო. არაბეთში დაბრუნებულ ავთანდილს დიდი სიხარულით შეხვდნენ. მან მოუთხრო როსტევანს და თინათინს ტარიელის ამბავი. თინათინის კითხვაზე — „რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისაო“, ავთანდილი გამოუტყდება მას: „დრო დამიც ჩემგან მისლვისა, მითქვამს დადება თავისა, მზე შემიფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახედავისა“-ო.

თინათინი მოუწონებს საქციელს ავთანდილს და ასე უპასუხებს მას:

შენ არ-გატეხა კარგი გჳირს ზენაარისა, ფიცისა.
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს მართ უიცისა.
ჩემი თქვი, რა ვქმნა ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი-
ცისა? (706).

მეორე: ნესტანდარეჯანი გაიგებს, რომ ტარიელი „ჯდომილა სავაზროდ“, როცა გადაწყდა ნესტანისთვის „ხვარაზმშაისი საქმროდ მოყვანება“ და იბარებს ტარიელს. ასმათს მიჰყავს ტარიელი ნესტანთან შესახვედრად. ნესტანი „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული... მერმე წამოჯდა წარბშერჭმით, გამწყრალი, გარისხებული“ და ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს:

---

16 ბ ა ჩ ა ნ ა, ლექსები და პოემები, გვ. 183.

მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა,
გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა?!
მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მიგცემსო ზენა, მი, ცისა!“
ვჰკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უიცისა?“ (523).
ვთქვი: „პასუხსა ვერას გკადრებ, თუ არა ვსცნობ მე მართალსა:
რა შეგცოდე, რა მიქმნია უცნობისა, ფერ-ნამკრთალსა?“ (524).

ამ სახითაა დაბეჭდილი ეს სტროფები 1951 და 1957 წლების გამოცემებში, ნაწილობრივ 1937 წლის საიუბილეო (კომისიის) და 1953 წლის პ. ინგოროყვას გამოცემაში. განსხვავება ისაა, რომ პ. ინგოროყვას ორსავე სტროფში უიცისა-ს ნაცვლად უვიცისა აქვს დაბეჭდილი, ხოლო 1937 წლის გამოცემაში 523-ე სტროფის მესამე ტაეპი ასე იკითხება:

„მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მოგცემსო ზენამცა ცისა“[17].

ინტერესს აღძრავს სიტყვა **უიცი**, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი 706-ე სტროფის მესამე ტაეპში და 523-ე სტროფის მეოთხე ტაეპში, და, საერთოდ, ამ ტაეპის მეორე ნახევრები, რამდენადაც პირველი ნახევრები სავსებით ნათელია და სავსებით ერთგვაროვანია წარმოდგენილი პოემის როგორც ხელნაწერებში, ისე სხვადასხვა გამოცემაში.

ჯერ განვიხილოთ, რა ვითარებაა გამოცემებში.

სხვადასხვა გამოცემაში 706-ე სტროფის მესამე ტაეპის მეორე ნახევარი ასეა დაბეჭდილი:

ცოდნა ჯამს უიიცისა — ვახტ.
ცოდნა ჰხამს უიიცისა — ბრ., ჩუბ., ქართ.
ცოდნა ჰხამს, უი იცისა — კარ. I.
ცოდნა ხამს არ უვიცისა — კარ. II.
და ცოდნა ჯამს უვიცისა — აბ. I.
ცოდნა ჯამს უუიცისა — აბ. II.
ცოდნა ჯამს მართ უვიცისა — კაკ. I, კაკ. II.
ცოდნა ხამს მართ უვიცისა — ჭიჭ., ინგ.
ცოდნა ხამს მის უვიცისა — წერ.

---

[17] „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ქამოცემათა ვარიანტებში, რომელიც რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა 1964 წ., სამწუხაროდ, ნაჩვენები არაა არც 1937 წლის (საიუბილეო) გამოცემის და არც 1951 წლის გამოცემის განსხვავებული წაკითხვები. ეს გამოცემები საერთოდ არაა გათვალისწინებული (!).

ხოლო 523-ე სტროფის მეოთხე ტაეპის მეორე ნახევარი ასე:

მის ჩემგან მე უიცისა — ვახტ., ბრ., ჩუბ., აბ. II.
მის ჩემგან უვიცისა — აბ. I, კარ. II, კაკ. I, კაკ. II, ჭიჭ., წერ.
მის ჩემგან მართ უვიცისა — ქართ., კარ. I, ინგ.

ახლა ვნახოთ, როგორაა ეს ტაეპები წარმოდგენილი პოემის ხელნაწერებში.

მეორე ნახევარი 706-ე სტროფის მესამე ტაეპისა:

და ცოდნა ხამს უვიცისა — H 1839.
და ცოდნა ჯამს უვიცისა — H 2074, H 757, H 54, A 363.
და ცოდნა ჯამ უვიცისა — Q 930.
და ცნობა ჯამს უვიცისა — S 3077.
ცოდნა ჯამს მართ უვიცისა — S 4499, H 461, K 205, W 17[18].

ცოდნა ჯამს ვინცა იცისა — S 4988, H 2610.
ცოდნა ჯამს უიცისა — Q 261, W 27[19].
ცოდნა ჯამს უიცისა H 599, Q 1089[20].
ცოდნა ჯამს უუვიცისა — S 2829[21], S 5006, H 3061.

მეორე ნახევარი 528-ე სტროფის მეოთხე ტაეპისაა:

მის ჩემგან მე უვიცისა — H 2074, H 599, H 757, H 54, S 2829, S 4499, S 5006, A 363, H 2610, W 27, H 3061, Q 930.

მის ჩემგან მართ უვიცისა S 4988, H 461, W 17.
მის ჩემგან მე უიცისა — Q 1082.
მის ჩემგან უიცისა — Q 261[22].

---

18 ოქსფორდული მზეხათუნისეული.

19 ოქსფორდული თარხანმოურავისეული.

20 ზაზასეული.

21 ამ ხელნაწერში თითქოს მართლაც არ უუვიცისა იკითხება, როგორც ეს აღნიშნულიაა „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ მეორე ნაკვეთში, რომელიც რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა 1961 წ. (გვ. 453), მაგრამ არ შემდგომაა ჩამატებული სხვა ხელით.

22 გარდა ამისა, როგორც ეს აღნიშნულია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ მეორე ნაკვეთში (გვ. 347), მოიპოვება კიდევ ერთი წაკითხვა. იგი თარხანმოურავისეული ხელნაწერშია (W[27]) წარმოდგენილი: „საქმისა მე უვიცისა“. მაგრამ ეს არაა თარხანმოურავისეული ხელნაწერის პირვანდელი წაკითხვა. ტაეპის მეორე ნახევარი ხელნაწერში ამოფხეკილია, გადარჩენილია მხოლოდ ბოლო — „უცისა“. ამაშიც უნისა და ცანის შორის შემდგომ ინი ჩაუმატებიათ და უიცისა მიუღიათ, მაგრამ შემდგომ ყველაფერი ასე გადაუსწორებიათ: „საქმისა მე უვიცისა“.

თუ სხვადასხვა გამოცემის წაკითხვებს ხელნაწერებისას შევუდარებთ, ვნახავთ, რომ ზოგ შემთხვევაში ეს წაკითხვები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ზოგჯერ საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. უშუალოდ ხელნაწერებისაგან მომდინარეობს 706-ე სტროფის წაკითხვები: „და ცოდნა ხამს (ⅱჯამს) უვიცისა“ და „ცოდნა ხამს (ⅱჯამს) მართ უვიცისა“, აგრეთვე ვახტანგის გამოცემის წაკითხვა უიიცისა: ეს უკანასკნელი ზაზასეულ ხელნაწერს (Q 1089) უნდა ემყარებოდეს. არც ერთ გამოცემაში არაა გამოყენებული ზოგი ხელნაწერის წაკითხვა „ცოდნა ჯამს ვინცა იცისა“, სამაგიეროდ არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება წაკითხვები: „ცოდნა ხამს არ უვიცისა“ (კარ. II) ან „ცოდნა ხამს მის უვიცისა“ (წერ.). ეს წაკითხვები გამომცემელთა კონიექტურები ჩანს, რომელთაც, სამწუხაროდ, დასაბუთება არ ახლავს. ერთი შეხედვით ხელნაწერთა ჩვენების თავისებური ინტერპრეტაციის შედეგი ჩანს წაკითხვა **„უი იცისა“** (კარ. I) და **„უუიცისა“** (აბ. II), მაგრამ, როგორც ქვევით დავინახავთ, ვახტანგ VI-ის გამოცემისაგან მომდინარე ფორმებია, სრულიად ნებისმიერად და თავისებურად გააზრებული. ვახტანგ VI-ის გამოცემისაგანვე მომდინარეობს „უიიცისა“ ბროსეს, ჩუბინაშვილის და ქართველიშვილის გამოცემათა.

523-ე სტროფში ყველა გამოცემის წაკითხვა ხელნაწერთაგან მომდინარეობს.

ძველთაგან ვახტანგ VI-ს არაფერი უთქვამს ამ ტაეპების შესახებ. ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონმა ორივე ადგილის ახსნა წარმოადგინა. იგი წერდა:

„ცოდნა ჯამს უიიცისა — ცოდნა სათანადო არს — ერთი რომელიმე საქმე რომ არ იცოდეს კაცმან იმისი. **ჯამს** — ჯერ არს, სათანადო არს. **უიიცისა** — საქმისა ვითარისამე უმეცრებასა დანიშნავს. **უიიცი** — პირი საქმისა ვითარისამე უცოდინარი“[23].

„**უიიცი** — შეუტყობელი. უმეცრება საქმისა“[24].

თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებებიდან ჩვენთვის საყურადღებოა ფორმა „უიიცი“. 706-ე სტროფის განმარტებაში ეს ფორმა ვახტანგ VI-ის გამოცემისაგან მომდინარეობს: ვახტანგმა დაბეჭდა, როგორც ჩანს, ზაზასეულ ხელნაწერზე დამყარებით. ასეთი წა-

---

23 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით. თბილისი, 1960, გვ. 85.

24 იქვე, გვ. 61.

კითხვა. 523-ე სტროფში კი ვახტანგს ასეთი ფორმა აღარ აქვს, ერთინიანი უიცისა აქვს დაბეჭდილი. მიუხედავად ამისა, თეიმურაზთან აქაც უიიცი იკითხება.

შემდგომ გამომცემელთაგან მხოლოდ ორმა სცადა დაესაბუთებინა თავისი წაკითხვა: დ. კარიჭაშვილმა თავის პირველ გამოცემაში — „უი იცისა“ და იუსტ. აბულაძემ თავის მეორე გამოცემაში წაკითხვა — „უუიცისა“.

დ. კარიჭაშვილი წერდა: „ცოდნა ჰხამს, უი იცისა. სხვა გამოცემებში[25] უკანასკნელი ორი სიტყვა ერთს სიტყვად არის დაბეჭდილი — უიიცისა. ჩუბინაშვილიც და თეიმურაზიც სიტყვას უიიცი აძლევენ უვიცის მნიშვნელობას. ჩუბინაშვილის განმარტებით მოხსენებული ფრაზა ნიშნავს: „ცოდნა უნდა ჰქონდეს უმეცარსაო“. თეიმურაზი კი ამ ფრაზას ასე ჰმარტავს: „ცოდნა სათანადო არს ერთი რომელიმე საქმე, რომ არ იცოდეს კაცმან იმისი“. ე. ი. კაცმა ისეთი რამ უნდა იცოდეს, რაც სხვამ არ იცოდესო. როგორც ერთი ისე მეორე განმარტება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ ხსენებული ფრაზა უკეთესი იქნება ასე ავხსნათ: წინა სტრიქონში არის ნათქვამი, რომ საჭიროა მოყვრის მტკიცე სიყვარულის გასრულება ანუ შენახვა და ძებნა მის წამლისაო. ამ აზრის თქმის შემდეგ მთქმელი გაკვრით ჩაურთავს ამას, ე. ი. სიყვარულის შენახვას და წამლის ძებნას ცოდნა უნდა (ცოდნა ხამს) და მწუხარებაც მოსდევსო (უი იცისო). რადგან ეს აზრი გაკვრით არის თქმული, იმიტომაც ხაზებს შუა მოვაქციეთ“[26].

უფრო დამახასიათებელია იუსტ. აბულაძის მსჯელობა ამ ტაეპის შესახებ. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ეს ტაეპი ვახტანგის გამოცემაში ასე იკითხება: „ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ჯამს უიიცისა“. ვახტანგის გამოცემის ეს ადგილი მან დაზიანებულად მიიჩნია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად, რამდენადაც აღგვადგენინებს თავდაპირველ წაკითხვას: გადამწერს, როგორც ჩანს, გამორჩენია ერთი მარცვალი, ამის შედეგად რითმაც დაკოჭლებულა და შემდეგ ტაეპის გასამართავად მეორე ინი ჩაუმატებიათო. კერძოდ, უიიცისა უნდა წარმომდგარი იყოს „ორ-უნიანი

---

25 როგორც ჩანს, ივარაუდება გამოცემები ვახტანგ VI-ისა, ბროსესი, ჩუბინაშვილისა, ქართველიშვილისა.

26 ვეფხისტყაოსანი, მეცხრამეტე გამოცემა დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, ტფილისი, 1903. საანალიზო ტაეპი ტექსტში ასეა დაბეჭდილი: ძებნა წამლისა მისისა — ცოდნა ჰხამს, უი იცისა — .

ფორმის უუიცისა-ს წარყვნისაგან რადგან ეს სალხური ფორმა, რომელიც ჩვეულებრივი იქნებოდა პოეტისათვის, შემდეგში დავიწყდა ისევე, როგორც ბევრი სხვაც ძველად ხმარებული და ახალი ენისათვის უჩვეულო ფორმები. ფორმა უუიცი კი უნდა ჰნიშნავდეს მეცნიერს, გაგებულს, ბრძენს, არა ხელს... ამ... შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უარყოფითის ნაწილაკის უ-ნის მაგალითი"[27]. იუსტ. აბულაძის დასკვნით, ეს ტაეპი ამგვარად უნდა იქნეს წაკითხული: „ძებნა წამლისა მისისა ცოდნა ჯამს უუიცისა", ეს კი ნიშნავს შემდეგს: „მისი წამლის ძებნა და ცოდნა ჰმართებს მეცნიერს, ბრძენს, ანუ არა ხელს"-ო[28].

ამრიგად, იუსტ. აბულაძის აზრით, უიცი ნიშნავს უცოდინარს, არამცოდნეს. თუ ამ ფუძეს დავურთავთ პრეფიქს უ-ს, რომელიც უარყოფითობას გამოხატავს, მივიღებთ საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვას უუიცი. ეს უკანასკნელი ნიშნავს მცოდნეს, ბრძენს.

დასახელებულ გამოცემას დართულ ლექსიკონში იუსტ. აბულაძეს შეტანილი აქვს როგორც უიცი (დამოწმებულია ორივე საანალიზო სტროფი), ისე უუიცი-ც (დამოწმებულია მხოლოდ 706-ე სტროფი). უიცი განმარტებულია, როგორც უმეცარი, უცოდინარი. ხოლო უუიცი, როგორც მეცნიერი, გაგებული, მცოდნე[29].

ამავე გამოცემის 347-ე გვერდზე გამომცემლის მიერ აღდგენილ სიტყვებს შორის უუიცი-ც გვხვდება 706-ე სტროფზე მითითებით. განმარტებულია ამგვარადვე: „მეცნიერი, გაგებული ადამიანი".

1937 წლის (საიუბილეო) და 1951 წლის გამოცემებს დართულ ლექსიკონში, რომელიც იუსტ. აბულაძეს ეკუთვნის, უუიცი ფორმა აღარაა წარმოდგენილი, რამდენადაც ამ გამოცემებში [illegible] წაკითხვა აღარ გვხვდება. შეტანილია უიცი ორივე [illegible] სტროფზე მითითებით და განმარტებულია, როგორც უმეცარი, უცოდინარი.

523-ე სტროფის უიცისა ფორმა იუსტ. აბულაძეს სპეციალურად არ განუხილავს.

---

27 ვეფხისტყაოსანი, 26-ე გამოცემა იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1926, გვ. 346.

28 იქვე.

29 იქვე, გვ. 282, 283. სამწუხაროდ არ ჩანს, თუ რატომაა შესაძლებელი 706-ე სტროფში ერთდროულად უიც-ც გვჭონდეს და უუიც-ც, რომელთაც, მკვლევრის თქმით, სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობები აქვთ.

სავსებით ანალოგიურია იუსტ. აბულაძის მსჯელობა **უმაგარდა** ფორმის შესახებ, რომელიც პოემის 87-ე სტროფში გვხვდება: „ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა, დიდხან უპვრეტს გაკვირვებით, თუცა გული **უმაგარდა**“.

„მაგარი — უმაგარი (უარყოფითი), აქედგან უმაგარდა. უმაგარი იგივეა, რაც უმაგრო, იხ. არ ციხე უმაგრონია... ზემორე დასახელებული ფორმა „უმაგარდა“—ჰნიშნავს მაგრად არა ჰქონდა, ე. ი. გული საგულეს არა ჰქონდა; ხოლო ფორმა „უსუბუქდა“, რომელიც სწორედ ისევე არის წარმოებული ზედშესრულისაგან „სუბუქი“, როგორც „უმაგარდა“ ზედშესრულისაგან „მაგარი“ — პირიქით, — აღნიშნავს იმასვე, რასაც „შეუსუბუქდა“ (შეუმცირდა ჭირნი) და, მაშასადამე, პირველ შემთხვევაში პრეფიქსი უ-ნი ხმარებულია უარყოფითი ნაწილაკის აზრით, ხოლო მეორეში — მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის მნიშვნელობით[30].

უკანასკნელ ხანებში პოემის ამ სტროფებმა შ. ნუცუბიძის ყურადღება მიიქცია. თავის წერილში „სიბრძნის ცნება სულხან-საბა ორბელიანის ნააზრევში“ შ. ნუცუბიძე წერდა:

„ქართული კულტურისათვის იმდენად ორგანიული იყო არეოპაგისტული ნააზრევი, რომ სხვა დებულებათა გარდა, ჩანს, აზრი სიბრძნის ანუ ცოდნის არცოდნის ცოდნასთან დამოკიდებულებაში დანახვის შესახებ ბუნებრივად უნდა იყოს ჩაქსოვილი რუსთველის ფილოსოფიურ პოეზიაში. ცხადია, პოეტურ ათვისებასა და რეპროდუქციაში ფილოსოფიური დებულება შეიძლება ზუსტად არ დაემთხვას ერთი-მეორეს, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო სტროფში უნდა იყოს არცოდნის ცოდნის ერთგვარი მიმართება, სახელდობრ, მის მესამე პწკარში: „...ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს მართ უიცისა“. მართალია, ეს ადგილი არაა ნათელ კავშირში მთელ სტროფთან, მაგრამ მას შინა კავშირი აქვს სავსებით გამართლებული, და საჭირო არ იყო მისი გარე კავშირის გამართვაც. რუსთაველს ის განმსაზღვრელი „მართ“ აქვს აქ ნახმარი, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ცოდნა მხოლოდ არცოდნისაგან იწარმოება. არც ერთი შემთხვევა სიტყვა „უიცის“ ორჯერ ხმარებისა „ვეფხისტყაოსანში“ არ

---

30 იქვე, გვ. 339, შდრ აგრეთვე იქვე სქოლიოში მსჯელობა **უჭი**-ფორმის შესახებ.

ნიშნავს არცოდნის სუბიექტს, იგი ნიშნავს თვითონ არცოდნას, როგორც ობიექტურ მოვლენას"[31].

როგორც ვხედავთ, აქ შემჩნეულია, რომ „ეს ადგილი **არაა ნათელ კავშირში მთელ სტროფთან**", მაგრამ ეს ფაქტი ახსნილია იმით, რომ **„მას შინა კავშირი აქვს სავსებით გამართლებული და საჭირო არ იყო მისი გარეკავშირის გამართვაც"**. ამით მიღებულია არსებული წაკითხვა.

ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ 706-ე სტროფის მესამე ტაეპის ის ორი სხვადასხვაგვარი გაგება, რომლებიც დ. კარიჭაშვილმა და იუსტ. აბულაძემ წარმოადგინეს, კრიტიკას ვერ უძლებს[32]. უ-პრეფიქსის ის ფუნქცია, რომელიც იუსტ. აბულაძეს აქვს აღნიშნული, ხელოვნურადაა შეთხზული. არაფერი ამის მსგავსი ქართულში არ შეინიშნება.

მიუხედავად იმისა, რომ იუსტ. აბულაძის მიერ წარმოდგენილი წაკითხვა **უუიცი** ვახტანგის გამოცემის წაკითხვის **უიიცის** წარმოშობის თავისებურებად გააზრიანების შედეგადაა მიღებული, ხოლო ამ სიტყვას სრულიად შეუძლებელი და წარმოუდგენელია ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რომელსაც მკვლევარი ვარაუდობდა, თვით წაკითხვა **უუიცისა** სწორია, კიდევ მეტი — ეგევე წაკითხვა უნდა იყოს 523-ე სტროფშიც, ოღონდ საწყისი ფორმა **უუიცი** ვერ იქნება.

იუსტ. აბულაძემ სიტყვის არარეალური საწყისი ფორმა **უუიცი** მიიღო მცდარი გზით, მცდარივე მნიშვნელობა მიაწერა ამ სიტყვას და, საერთოდ, მცდარია მის მიერ მოცემული ანალიზი 706-ე სტროფის ამ ტაეპისა. ამასთან, ამ სიტყვას ვერ დაუკავშირა ამნაირივე ფორმა, რომელიც 523-ე სტროფში გვაქვს. მიუხედავად ამისა, მის მიერ არასწორი ანალიზის შედეგად მიღებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმა **უუიცისა** ემთხვევა სხვა რეალურად არსებული და სავსებით გარკვეული მნიშვნელობის მქონე სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. ეს სიტყვაა **უუიცე**, რომლის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია წარმოდგენილი ორივე საანალიზო სტროფში.

თუ დავაკვირდებით ხელნაწერთა ჩვენებებს, ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს წაკითხვა **„ცოდნა ჯამს უუვიცისა"**, რაც სამ ხელ-

---

31 „მნათობი", № 11, 1959, გვ. 155; წერილი შემდგომ დაიბეჭდა ავტორის წიგნში „კრიტიკული ნარკვევები, ფილოსოფია და კულტურა", თბილისი, 1965, გვ. 318—334.

32 სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დ. კარიჭაშვილმა მეორე (1920 წ.) გამოცემაში ამ ტაეპის წაკითხვა შეცვალა.

ხაწერშია დადასტურებული (S 2829, S 5006, H 3061). ეს არის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა **უვიც-ზედსართავის** ფუძისაგან ნაწარმოები შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმისა **უ-უვიც-ე-უუვიცისა**-ფორმის კანონზომიერი ვარიანტი იქნებოდა **უუიცისა**, ხოლო ამ უკანასკნელის სახელობითი ბრუნვის ფორმა — **უ-უიც-ე**. ამ სიტყვის დანარჩენი ვარიანტები 706-ე და 523-ე სტროფებში **უუიცისაგან** მომდინარეობს.

განსაკუთრებით დამახასიათებელია 706-ე სტროფში ვარიანტი **„ცოდნა ჯამს უიცისა“** (Q 261, W 27), ხოლო 523-ეში **„მის ჩემგან უიცისა“** (Q 261), რომლებიც ერთი უნის დაკარგვის შედეგადაა მიღებული და ტაეპის დამახინჯების პირველ საფეხურს წარმოგვიდგენს: ტაეპს ერთი მარცვალი აკლია.

ამის შემდგომ ორივე სტროფში ხდება ამ დაკარგული მარცვლის აღდგენა სხვადასხვა გზით.

1. 706-ე სტროფში ტაეპის ნახევარს დასაწყისში ემატება **და** კავშირი (მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ **უიცისა უვიცისა**-დ შეიძლება შეიცვალოს; ეს შემდგომაც შეიძლება მომხდარიყო). ასეა ხელნაწერებში: H 1839, H 2074, H 54, H 757, A 363, Q 930, S 3077.

2. ორივე სტროფში უკანასკნელი სიტყვის წინ ისმის ნაწილაკი მართ — 706-ე სტროფი ასეა წარმოდგენილი ხელნაწერებში: S 4499, H 461, K 205, W 17, ხოლო 523-ე სტროფი — ხელნაწერებში: S 4988, H 461, W 17.

3. 706-ე სტროფში **უიცისა** ფორმას მარცვალდაკარგულ ტაეპში ემატება **ი** და ვიღებთ ხელოვნურ ფორმას **უიიცისა**. ასეა ხელნაწერებში: H 599, Q 1089 (ამ უკანასკნელთაგან ასეთი ფორმა მოხვედრილა ვახტანგ VI-ის გამოცემაში).

4. 523-ე სტროფში უკანასკნელი სიტყვის წინ ისმის ნაცვალსახელი **მე** — ასეთი წაკითხვებია ხელნაწერებში: H 2074, H 599, H 757, H 54, S 2829, S 4499, S 5006, A 363, H 2610, W 27, H 3061, Q 930, W 27, Q 1082.

5. უკანასკნელი სიტყვა 706-ე სტროფის მესამე ტაეპში იცვლება მთლიანად: **„ვინცა იცისა“**. ასეა ხელნაწერებში: S 4988, H 2610.

უკანასკნელ შემთხვევაში ფრაზა უაზრო გამოდის; ასევე უაზრო გამოდის ფრაზა მეორე და მეოთხე შემთხვევაში, როცა ორივე სტროფში ტაეპში **მართ** ნაწილაკია ჩამატებული, ან და როცა 523-ე სტროფის ტაეპში **მე** ნაცვალსახელი ემატება: ცოდნა ხამს მართ

უვიცისა, მის ჩემგან მართ უვიცისა, მის ჩემგან მე უიცისა. მესამე შემთხვევაში ხომ არარსებული ფორმაა მიღებული — **უიიცისა**. სავსებით გასაგები მიზეზისა გამო ფრაზის აზრს უფრო ნაკლებ ამახინჯებს **და** კავშირის დამატება ტაეპის მეორე ნახევრის თავში, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ეს შემთხვევა არ შეიძლება პირველადი იყოს, გადამწერისათვის გაუგებარი ფრაზის ასე თუ ისე გასაგებად ქცევის ცდის შედეგია.

დამახასიათებელია, რომ ყოველგვარი სიტყვის ჩართვა მაინც არ ხდება. მაგალითად, საერთოდ თითქმის არ გვხვდება შემთხვევები არსებითი სახელის ჩართვისა, სამაგიეროდ ხშირია ნაწილაკებისა და ნაცვალსახელების ჩართვა, რაც საანალიზო სტროფებშიც გვაქვს. ეს გასაგებია: კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვის ჩართვა ერთბაშად აშკარას ხდის აზრობრივ შეუსაბამობას, მაშინ როცა ნეიტრალური, ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვის ჩართვის შედეგად ფრაზის მნიშვნელობის ცვლა უფრო ძნელი შესამჩნევია.

ერთადერთი მართებული წაკითხვა 706-ე სტროფის მესამე ტაეპისა არის „ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს **უუიცისა**“[33]. **უუიცისა** ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა **უუიცე** ზედსართავი სახელისა. ეს უკანასკნელი კი **უიც-ზედსართავის** ფუძისაგან **უ-** პრეფიქსით და **-ე** სუფიქსით ნაწარმოები შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმაა, ზუსტად ისეთივე, როგორიც ზემოთ განხილულ მრავალ მაგალითში გვქონდა. მნიშვნელობა მას აღმატებითი ხარისხისა აქვს: **უუიცე** სავსებით უცნობს, არცოდნილს (უცნაურს)[34] ნიშნავს. სრულიად ბუნებრივია, რომ ნათესაობით ბრუნვაში ბოლოკიდური **ე** მოკვეცილია: როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, შედარებით-აღმატებითი ხარისხის ამგვარი ფორმები ფუძის ბოლოკიდურ **ე**-ს სათანადო შემთხვევებში მოიკვეცენ.

„ცოდნა ხამს უუიცისა“ ნიშნავს: ცოდნა ხამს (საჭიროა, ჯერარს) სავსებით, სრულიად უცნობისა, არცოდნილისა. ეს სავსებით ეგუება მთელი სტროფის შინაარსს. თინათინი ეუბნება ავთანდილს: „ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა, ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს უუიცისა“-ო[35].

ეგვეე **უუიცე** გვაქვს, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი, 523-ე სტროფშიც: „ვჰაკდრე: რა გკადრო პასუხი მის

---

33 ხელნაწერებში დადასტურებული უუვიცისა უფრო გვიანდელი ჩანს.

34 იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, შდრ. აგრეთვე პოემის „უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“ (809).

ჩემგან უუიცისა?“ ეს ამას ნიშნავს: ვჰკადრე (გავუბედე): რა პასუხი გკადრო (რა პასუხი გაგიბედო) მის, ჩემგან სრულიად უცოდინარისა, არცოდნილისა (რა პასუხი გაგიბედო იმისა, რაც მე სრულიად არ ვიცი). ამ შემთხვევაშიც ტაეპი სავსებით გამართულია როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ.

იმის საფუძველზე, რაც ამ ორ სტროფში აღდგენილი **უუიცისას** შესახებ ითქვა, ვფიქრობთ, გასაგები ხდება პოემის 87-ე სტროფში დადასტურებული **გაუუმეცარდა** ზმნის მნიშვნელობაც.

ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა,
დიდხანს უჭვრეტს გაკვირვებით, თუცა გული უმაგარდა;
მოახსენა: „გიბრძანებსო“, ახლოს მიდგა, დაუწყნარდა.
იგი ტირს და არა ესმის მისგან, გაუუმეცარდა.

ამ სტროფის უკანასკნელ ტაეპს ყურადღება მიაქცია ა. შანიძემ. იგი წერდა: „იგი ტირს და არა ესმის, მისგან გაუუმეცარდა. გაუუმეცარდა იგი **მას** და არა **მისგან**. ამიტომ მძიმე უნდა გადაისვას და „მისგან“ ესმის ზმნას დაუკავშირდეს: არა ესმის მისგან, გაუუმეცარდა (ამას ივანე იმნაიშვილმა მიაქცია ყურადღება[36]“-ო) მაშასადამე, **გაუუმეცარდა** გაგებულია, როგორც საობიექტო ქცევის ფორმა ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნისა. „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წ. გამოცემას დართულ ლექსიკონშიც ა. შანიძეს ამ ზმნის ამნაირივე გაგება აქვს წარმოდგენილი: „**გაუუმეცარდა** — მათი უცნობი შეიქნა“.

ამგვარადვე ესმოდა ეს ფორმა იუსტ. აბულაძესაც. მის მეორე (1926) გამოცემას დართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „**გაუუმეცარება** — ვისთვისმე (მე-III-მე პირისათვის) უმეცრად გახდომა. **გაუუმეცარდა** — მისთვის უმეცარი შეიქმნა“; თუმცა 1937 წლის საიუბილეო გამოცემას დართულ ლექსიკონში თითქოს განსხვავებული გაგებაა წარმოდგენილი: „**გაუუმეცარება გაუუმეცარდა** გაშტერდა“.

გაუუმეცარდა-ს გაგებას საობიექტო ქცევის ფორმად დაბრკოლებები ეღობება; ტაეპის აზრი ნათელი არაა და საქმეს ვერც მძიმის გადასმა შველის. ტაეპის აზრი ნათელი გახდებოდა, თუ **გაუუმეცარდა**-ს გავიგებდით არა როგორც **უმეცარ**-ფუძისაგან ნაწარმოებ ორპირიან ვნებითი გვარის ზმნას, არამედ როგორც ერთპი-

---

[36] ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები, II, პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის, გვ. 020: ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956. ხაზი და დაყოფა ავტორისაა.

რიან ვნებითი გვარის ზმნას, ნაწარმოებს **უმეცარ**-ზედსართავი სახელის შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმისაგან **უ-უმეცარ-ე. გა-უუმეცარ-დ-ა — უუმეცარე**, სრულიად უმეცარი, უცნობი გახდა.

ამგვარიეე წარმოება გვაქვს პოემის ერთ-ერთ დანართ სტროფში:

დღენი მათნი წაიარნეს, დაბერდეს და დაუძლურდეს;
ტარიელის ლომნი მკლავნი მეტად **გაუუსუსურდეს**[37].

გაუუსუსურდეს ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნაა **უუსუსურე**-ფუძისაგან ნაწარმოები, ეს უკანასკნელი კი ზედსართავი სახელის **უსუსურ**-ფუძისაგან ნაწარმოები ფორმაა შედარებით-აღმატებითი ხარისხისა.

1966 წლის გამოცემებში 1957 წლის გამოცემასთან შედარებით 523-ე სტროფის წაკითხვაში მცირეოდენი განსხვავებაა მხოლოდ: ერთი მხრით, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის, ხოლო მეორე მხრით, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედაქციით დაბეჭდილ ტექსტში აღდგენილია წაკითხვა **და ცოდნა ხამს უიცისა**. ეგევე წაკითხვა განმეორებულია საიუბილეო გამოცემაშიც.

რაც შეეხება 706-ე სტროფს, აქ სამსავე დასახელებულ გამოცემაში დარჩა ძველი წაკითხვა **მის ჩემგან მე უიცისა**.

პ. ინგოროყვამ 1970 წლის გამოცემაში ორსავე შემთხვევაში თავისი 1953 წლის გამოცემის წაკითხვები დატოვა — **მართ უვიცისა**.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის წაკითხვისა და გაგებისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი უკეთეს დიალოგთაგანია ავთანდილასმათის ცნობილი დიალოგი. მოვიგონოთ ამბის განვითარების თანმიმდევრობა.

ავთანდილმა ქვაბამდე მისდია უცხო ყმას. „მან ყმამან ქვაბსა მიჰმართა, გავლნა წყალნი და კლდენია, ავთანდილ ცხენსა გარდახ-

---

[37] „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“, ნაკვეთი IV, თბილისი, 1963, სტროფი 2067.

და, მონახნა დიდნი ხენია, მას ზედა ჰვრეტად გავიდა...“ „ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი...“, „იგი ყმა ცხენსა გარდახდა, ყელსა მოეჭდო მკლავითა“, „იზახდიან, მოთქმიდიან“. შემდეგ „სული დაიღო მან ქალმან“, „ქვაბს შეიყვანა ტაიჭი“, „მას ყმასა შეჰხსნა, შეიღო აბჯრისა წელმორტყმულობა“, „შინა შევიდეს“.

„გათენდა, ქალი გამოდგა“, „შავსა აუდვა ლაგამი“, „შეკაზმა, მოაქვს აბჯარი“, ყმა და ის ქალი „ერთმანერთსა მოეხვივნეს“ და ვაჟი „მასვე გზასა წამოვიდა, რომე გუშინ შეეარა, შამბი გავლო, გაეშორა, თავი მინდორს გააგარა“.

ავთანდილმა გადაწყვიტა, შეეპყრო ქალი და მისგან გაეგო „მის ყმისა ამბავი“; ჩამოვიდა ხიდან, „ცხენი ახსნა“, „ზედა შეჯდა“ და ქვაბისკენ გაემართა. ქვაბიდან „ქალი გამოიჭრა“, „ეგონა, თუ: დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბაკმული“, მაგრამ „ვერ იცნა, სახე არ ჰგვანდა მისი მის ყმისა სახესა“, ამიტომ „გაიქცა, მიჰმართა ზახილით კლდესა და ხესა“. ავთანდილი ცხენიდან „გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა“.

ქალი იბრძვის და საშველად „ტარიელს ვისმე“ უძახის. ავთანდილი მუხლმოყრილი ეხვეწება, დამშვიდდეს და უამბოს, თუ ვინ არის ის „ტანსარო, პირბაკმიანი“. ქალი უარზეა; ავთანდილი ისევ ეხვეწება. ბოლოს, როცა ვეღარაფერი ათქმევინა, „თმითა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბრჯინა“. ავთანდილის მიერ გადადგმულმა ამ უკიდურესმა ნაბიჯმა სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. ქალმა უპასუხა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი; თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი. რად რა ვითხრა. სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახავი? კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედან თავი“. „ჩალად მიჩნს ყოველი სოფელი, მისთვისვე შემიწონია, ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყვანი მისანდონია?“ — არის ქალის მტკიცე პასუხი.

ავთანდილი დარწმუნდა, რომ „არ ეგების აწ ამისი ამრე თქმევა“, ქალი „გაუშვა და ცალკე დაჯდა, ტირს, დაუწყო ცრემლთა ფრქვევა“, „კვლა იქით ქალი ატირდა, მისთვის გულნალმობარია“.

ავთანდილმა დაინახა, რომ ქალმა „გონებანი ჩქარნი მისთვის დააწყნარნა“, „მუხლნი მიუყარნა“ და პატიება და მიჯნურის შებრალება სთხოვა. მიჯნურის ხსენებაზე ქალმა „გულამოხვინჩვით დაიწყო ასკეცად ცრემლთა დინება“. ავთანდილი მიხვდა, რომ „ამა სიტყვითა ქალს ფერი შეეცვალების“ და გამოუტყდა, რომ არის „მიჯნური ხელი ვინმე“ და რომ „მისმან მზემან გამოგზავნა საძებნელად იმა ყმისად“. ამან გადაწყვიტა საქმე ავთანდილის სასარგებ-

ლოდ. ქალი მოლბა და ასე მიმართა ავთანდილს: „წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა ჩამოსთესი“, მაგრამ „აწ მოყვარე გიპოვნივარ დისაგანცა უფრო დესი“ და, „რათგან მიჯნურობა შენად ღონედ მოიგონე, არ ეგების, ამას იქით თუმცა თავი არ გამონე,“-ო.

ქალმა ასეთი პირობა დაუდო ავთანდილს:
„აწ რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამმორჩილდები,
რასაცა ეძებ, მიპოვნები, უცილოდ არ ასცილდები;

თუ არ მომისმენ, ვერ ჰპოვებ, რაზომცა ცრემლსა ჰმილდები,
მოგზვდების მდურვა სოფლისა, მოჰკვდები, გა-ცა-სწბილდები“.

ავთანდილი ამის პასუხად ნაღვლიანი ირონიით სავსე ცნობილ არაკს შეაგებებს ქალს ჭაში ჩავარდნილის შესახებ:

ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა:
ორნი კაცნი მოვიდოდეს სადაურნი სადმე გზასა.
უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა,
ზედ წაადგა, ჩაჰყიოდა, ტირს, იძახის ვაგლახ-ვასა.
ეგრე უთხრა: «ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე,
წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე».
მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუკვირდა მეტად კიდე,
შემოჰყივლა: «არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?»
ეს არაკი მოთხრობილია პოემის 255-ე და 256-ე სტროფებში.

ამას მოსდევს 257-ე სტროფი, რომელშიაც ავთანდილი უკვე თავისი სიტყვებით იმასვე ეუბნება ქალს, რაც არაკის საშუალებით უკვე უთხრა. მოგვყავს ეს სტროფი 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

„აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა,
სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა;
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,
თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკრვა თავისა მრთელისა-“

ამ სტროფის შინაარსი, როგორც ჩანს, ზოგადად და მეტნაკლებად მაინც ერთგვარად ესმოდათ მკვლევრებს. ავთანდილი ეუბნება ქალს: დაო, ახლა ჩემი ყელის საბელი შენს ხელშია [გინდ წამიჭერ ყელში საბელს, გინდ მომიფონებ, შემხსნი, ე. ი. გინდა არაფერს მიშველი და, მაშასადამე, მომკლავ, გინდა მიშველი და, მაშასადამე, ცოცხალს დამარჩენ]. რასაც მიზამ, შენ იცი, შენ ხარ ხელის (გახელებულის, გიჟის, შმაგის) წამალი (ხელის, შმაგის შვე-

ლა შენ შეგიძლია), ჩემი ხელის აპყრობა (ხელის მომართვა, ხელის შეწყობა, შველა) უშენოდ შეუძლებელია, თორემ ვის უქნია, რომ გორლით (გვარლით, ბალახისაგან შეგრეხილი თოკით) მრთელი (ჯან-მრთელი, საღი, აუტკივარი, გაუტეხელი) თავი შეეკრა, შეეხვიაო.

მართლაც, თუ დავაკვირდებით ამ სტროფის ტაეპებს ცალ-ცალკე, დავრწმუნდებით, რომ სრულიად ნათელია შინაარსი პირვე-ლი და მესამე ტაეპებისა — **აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა და რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა.** და-ეჭვებას იწვევდა მეოთხე ტაეპის შინაარსი მხოლოდ ერთი მხრით: აქ ნათქვამია, რომ მრთელი, ე. ი. საღი, აუტკივარი, გაუტეხელი თა-ვი გვარლით (გორლით) ვის შეუკრავსო. მაშასადამე, არამრთელ, ე. ი. გატეხილ თუ გაჭრილ თავს გვარლით (გორლით) იკრავენ (იხ-ვევენ). გვარლი (გორლი) კი ბალახისაგან შეგრეხილი თოკია, ამ-დენად, ამგვარი სახვევი მასალით თავის შეკვრა სახამუშო ჩანდა.

მეორე ტაეპის აგებულებაც არ ჩანდა მაინცდამაინც დამაკმა-ყოფილებელი. ამან ტექსტის მკვლევართა და გამომცემელთა ყუ-რადღება მიიქცია. ასე, მაგალითად, ა. შანიძე წერდა: „ჩემი აპყ-რობა ხელისა“ ნიშნავს: მე რომ ხელი მოგიმართო, ან: მე რომ ხე-ლი მოვუმართო. პირველი გაგება გამორიცხულია, რადგან ასმათს არ ჰჭირდება ავთანდილის დახმარება; მეორე გაგებაც შეუძლებე-ლია, რადგან ჯერ ტარიელის შესახებ არაფერი უამბნია ასმათს. ამიტომ **ჩემგან** ფორმა უნდა შესწორდეს: სხვად უღონოა უშენოდ ჩემდა აღპყრობა ხელისა“. „ჩემდა“ იგივეა, რაც „ჩემთვის“, მაშა-სადამე, ტაეპის აზრი ასეთია: სხვაფრივ უშენოდ მე ხელს ვერავინ შემიწყობსო“[1].

ამრიგად, ა. შანიძემ შემოიტანა კონიექტურა **ჩემდა ჩემგან**-ის ნაცვლად და მას ამ ტაეპის აზრი ასე ესმის: სხვაფრივ უშენოდ მე ხელს ვერვინ შემიწყობსო; სხვაგვარად: სხვაფრივ შეუძლებელია უშენოდ ჩემთვის ხელის შეწყობაო (**სხვად** — სხვაფრივ, **ჩემდა** — ჩემთვის...).

ტაეპის აზრი მართლაც ბუნდოვანია. **სხვად** ფორმის მნიშვნე-ლობა მართლაც შეიძლება მხოლოდ **სხვაფრივ** იყოს. **უღონო უძ-ძლურს** ნიშნავს, **ხელის აღპყრობა** — **შველას, დახმარების გაწევას,**

---

[1] ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები, II. პოემის ტექსტის მეც-ნიერული გამოცემისათვის: ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი ა. შანი-ძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1956, გვ. 022; აგრეთვე: „მნათობი“, 1956, № 7 და ა. შანიძე, ვეფხისტყაოს-ნის საკითხები, I, გვ. 95, თბილისი, 1966.

ხელის შეწყობას. სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა ამის მიხედვით შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ამას: ჩემგან (ჩემ მიერ) შველა (ხელის შეწყობა, დახმარების გაწევა) უშენოდ სხვაფრივ უღონოა (უძლურია). · აქ კი უკვე ყველაფერი ერთმანეთშია არეული. ჯერ ერთი, ავთანდილი მართლაც ვერ იტყოდა: **ჩემგან აღპყრობა ხელისაო**, ე. ი. ჩემ მიერ შველაო, რადგან ის კი არ შველის სხვას, არამედ თვითონ მას სჭირდება შველა; მეორეცაა და, ამ წინადადებაში შემასმენელია **უღონოა**, ხოლო რეალურ სუბიექტად მასთან გამოდის **აღპყრობა ხელისა. უღონოა**-ს და **აღპყრობა**-ს ერთ სინტაგმად შეკავშირება შინაარსობრივად შეუფერებელია. ამ მხრივ, ამგვარი გაგების კრიტიკა, წარმოდგენილი ა. შანიძის მიერ, სამართლიანი ჩანს ისევე, როგორც მის მიერვე **ჩემგან** ფორმის შეცვლა **ჩემდა** ფორმით. როგორც ქვევით დავინახავთ, წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ამ ტაეპის მართებულად გაგებაში[2]. მაგრამ ეს ცვლილება საკმარისი არ არის. ამ კონიექტურის შემოტანის შემდეგაც ტაეპი გაუგებარი რჩება; კერძოდ, არასგზით არ შეიძლება მას ის შინაარსი ჰქონდეს, რა შინაარსსაც ა. შანიძე დებს ამ ტაეპში: სხვაფრივ უშენოდ მე ხელს ვერავინ შემიწყობსო. ტაეპში ყველაფერია მოცემული: არის **სხვაფრივ** (სხვად), არის **უშენოდ**, თითქოს მე-ც (ჩემდა), **ხელის შეწყობაც** (აპყრობა ხელისა). მაგრამ არსად არის **ვერავინ** (რეალური სუბიექტი) და ზედმეტია **უღონოა**. ამასთან, **უშენოდ მე ხელს ვერავინ შემიწყობს** შეიძლება მხოლოდ ამას ნიშნავდეს: **შენს დაუხმარებლად ხელს ვერავინ შემიწყობს**. აქ კი სრულიად გაუგებარია, ვის უნდა დაეხმაროს ასმათი ავთანდილისათვის ხელის შეწყობაში.

მეოთხე ტაეპის შინაარსის შესახებაც არაერთი შეხედულებაა გამოთქმული, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ჯერ ვნახოთ, როგორაა წარმოდგენილი საანალიზო სტროფი გამოცემებსა და ხელნაწერებში.

პირველი ტაეპის დაწერილობაში გამოცემები მცირეოდენ განსხვავებას გვიჩვენებენ. ი. აბულაძის ორივე, დ. კარიჭაშვილის მეორე, ს. კაკაბაძის პირველ, კ. ჭიჭინაძის, პ. ინგოროყვას და 1937, 1951, 1957 წლების გამოცემებში იკითხება **შენთა ხელთაა**, დანარჩენებში (ვახტანგ VI-ის, მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართვე-

---

2 ოღონდ, როგორც ქვემოთვე იქნება ნაჩვენები, „ვეფხისტყაოსნის“ ენას უფრო **ჩემად** ფორმა შეეფერება, ვიდრე **ჩემდა** ფორმა.

ლიშვილის, დ. კარიჭაშვილის პირველ და ს. კაკაბაძის მეორე გამოცემებში) — **შენსა ხელსაა.**

შესაბამისად ხელნაწერებში ვკითხულობთ: **შენსა ხელთაა** UV, **შენსა ხელთ არის** GH, **შენსა ხელს არის** N, **შენთა ხელთაა** FIZ, შენთა ხელთ არის JKOT. **ჩემი საბელი** J-ში გადასმულია: **საბელი ჩემი.**

მეორე ტაეპი ყველა ძველ გამოცემაში ერთგვარადაა წარმოდგენილი. ხელნაწერებშიც მცირე სხვაობაა: **უღონოა] უღონო ვარ** L; **ჩემგან] ჩემი** EGITZ.

ერთ-ერთ გვიანდელ ხელნაწერში (I') **სხვად** ფორმის ნაცვლად მოიპოვება ფორმა **სხვა.**

აღსანიშნავია ერთი ორთოგრაფიული ხასიათის ფაქტი: ხელნაწერებში იკითხება **აპყრობა** ან **აბყრობა** და არ გვხვდება **აღ-** პრევერბიანი ფორმა **აღპყრობა. აპყრობა** იკითხება ვახტანგ VI-ის, დ. კარიჭაშვილის პირველ და ს. კაკაბაძის ორივე გამოცემაში. არქაულ **აღპყრობა**-ს მ. ბროსეს გამოცემა იწყებს და შემდგომი გამოცემები, განსაკუთრებით 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარეები, ამკვიდრებენ.

მესამე ტაეპის დაწერილობა გამოცემებში სავსებით ერთგვარადაა წარმოდგენილი. ხელნაწერებში გვაქვს ვარიანტი **ლხენისა ხელისა**-ს ნაცვლად. ეს ტაეპის შინაარსის თავისებურად გააზრიანების შედეგს წარმოადგენს. **ლხენისა** იკითხება FGHITUVXZ ხელნაწერებში.

მეოთხე ტაეპის დაწერილობაში სხვაობები გვხვდება როგორც გამოცემებში, ისე ხელნაწერებშიც. ვახტანგის გამოცემაში, ყველა დანარჩენ გამოცემებში და FGHITUVXZ ხელნაწერებშია **თვარ ვისმცა,** დანარჩენ ხელნაწერებში — **თვარა ვისმც** (E-ში იკითხება მხოლოდ **თუ არცა ვისმცა**). ვახტანგ VI-ის, მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, დ. კარიჭაშვილის (ორივე), ს. კაკაბაძის (ორივე), კ. ჭიჭინაძის, პ. ინგოროყვას და 1937, 1951, 1957 წლების გამოცემებშია **გორლითა,** ასევეა CFIR ხელნაწერებში. ი. აბულაძე ბეჭდავდა ფორმას **გვარლითა.** მ. წერეთლის გამოცემაშია **გორგლითა**[3]. სხვა ხელნაწერებშია: **გორილთა** L, **გურალით**

[3] იხ. „ვეფხისტყაოსანი", ტექსტი და ვარიანტები, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსნის" ძირითად გამოცემათა ვარიანტებში ნაჩვენებია, თითქოს ამ გამოცემაში **გვარლითა** იკითხებოდეს.

Z, გირგვლითა T, გვარგლითა I, გურგალვით KO, მმრგვალისა H, მგვრგვალისა N, მგრვალისა G; დანარჩენებში გვარლითა იკითხება. J-ში ტაეპის პირველი ნაწილი ასე იკითხება: თვარ ვისმცა ეჭნას სიმგრგვლითა.

თავისა-ს ნაცვლად თივასა იკითხება ვახტანგ VI-ის გამოცემაში.

აქ წარმოდგენილი სურათი ხელნაწერთა და გამოცემათა ჩვენებებისა ცხადყოფს, რომ სტროფის პირველი და მესამე ტაეპების წაკითხვა მართლაც არ იწვევს რაიმე ეჭვს. მაგრამ ამავე ჩვენებებიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ საერთო ჰარმონიას არღვევს პირველ რიგში მეორე ტაეპი — სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა.

ამ ტაეპში პირველ ყოვლისა გასარკვევია უშენოდ ფორმის რაობა. ამის გამო აუცილებელი გახდება ერთგვარად გადავუხვიოთ ძირითად კითხვას, მით უმეტეს, რომ ამასთანაა დაკავშირებული პოემის ზოგი სხვა სტროფის წაკითხვის საკითხიც.

„ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ ხშირად გვხვდება უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ფორმათა ჩვეულებრივი წარმოება არსებით სახელთა ფუძეებისაგან უ- პრეფიქსითა და- ო- სუფიქსით. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

უ-ასაკ-ო, უ-სულ-ო

სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი,
უასაკო და უსულო, არსიტყვიერი, ცნობილი (898):
რათგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უასაკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო? (879).

უ-ეკლ-ო.

არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან? (877).

უ-კაპარჭ-ო

ცხენსა შემსვა უკაპარჭო, წელთა არა არ შემაბა (367).

უ-ღრუბლ-ო

გამოეგება ტარიელ, ჰმართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად (281).

უ-ქვიტკირ-ო

ქალაქი ჰქონდა მაგარი, საზაროდ სანაპიროსა,
გარე კლდე იყო, გიამბობ ზღუდესა უქვიტკიროსა (149).

უ-ცრემლ-ო

თავსა იცემდეს, არ იყო გული უცრემლო, ულები (175).

უ-წამლ-ო

რად არა იცი, **უწამლო** არს ლები ესე ლებული (303).

უ-ხორც-ო

ქაჯნი ყველა **უხორცოა**, რამან შექმნა ხორციელად? (1245).

მაგრამ ქაჯნი **უხორცონი** რას აქნევენ, მიქვირს, ჭალსა?! (1246).

ყველა ამ შემთხვევაში საწარმოებლად არსებითი სახელის ფუძეა აღებული და, როგორც ითქვა, სავსებით ჩვეულებრივი წარმოება გვაქვს.

მაგრამ პოემაში ასეთი ჩვეულებრივი წარმოების გვერდით თავისებური წარმოების მაგალითებიც გვხვდება: საწარმოებელ ფუძედ **უ- — -ო** აფიქსებიანი წარმოებისას სედსართავი სახელის ფუძეა აღებული, რაც ჩვეულებრივი და დამახასიათებელი არ არის.

უ-შმაგ-ო

მას **უშმაგო** ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჟღავნოს? (29).

შენ თუ **უშმაგო** მგონიხარ, ვარმცა ურია მე ლევი (816).

სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი **უშმაგო**, ცნობილი? (919).

დია დიდთა დამაჯნება **უშმაგომან** ვით გააგო? (1604).

უ-ბოროტ-ო

უბოროტო ვის ასმია, რაცა საქმე საეშმაკო (879).

უ-დიდ-ო

ვნადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი არ **უდიდოდა**. (603).

უ-მაგრ-ო (ციხეუმაგრო)

არცა თუ ჩვენ ვართ ჯაბანი, არც **ციხეუმაგრონია** (400).

უ-ხშირ-ო (არუხშირო).

მას თეთრსა ყელსა ეკიდნეს გრძლად თმანი **არუხშირონი** (123).

ამათ გვერდით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **უ- — -ო** აფიქსებიანი წარმოების ისეთი შემთხვევები, როცა ამოსავლად პირის ნაცვალსახელია გამოყენებული, უკეთ, პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ან ის ფუძე, რომელიც პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით გამოყენებისას გვხვდება: **მის-, ჩემ-, შენ-, თქვენ-**, ამ გზით მიღებულია ფორმები: **უ-მის-ო, უ-შენ-ო, უ-თქვენ-ო, უ-ჩემ-ო. უ-ჩვენ-ო** და **უ-მათ-ო** პოემაში არ გვხვდება.

ეს სიტყვები გამოცემებში, მაგალითად, 1957 წლის გამოცემაში, სხვადასხვა ბრუნვაშია წარმოდგენილი. **უშენო** — მოთხრობითში, მიცემითში, მიმართულებითსა და ნათესაობითში, **უმისო** — მიცემითში, მიმართულებითსა და ნათესაობითში, **უჩემო** — მიცე-

მითსა და მიმართულებითში, **უთქვენო** — მიმართულებითში. ყველაზე ხშირად **უშენო** იხმარება სხვადასხვა ბრუნვაში.

უშენო მოთხრობითში:

მოახსენა: **უშენომან** გულმან რამცა გაიხარა! (160).

მიუწერა: კმარის, რაც **უშენომან** ცრემლი ვღვარე (1096).

ნეტარ, რა ქმნას **უშენომან** გულმან, შენგან დალახვრულმან! (1295).

უშენო მიცემითში:

უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ იქმს კარგა? (163).

უშენოსა საჯდომი და ტახტი მისი ვისმცა მისცა? (176).

უშენოსა ნუმცა ვნახავთ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა! (652).

შენმან მზემან, თავი ჩემი არვის ჰმართებს **უშენოსა** (494).

სოფელს მყოფსა **უშენოსა** კაცსა ვისმცა შევეპოვე! (505)

შენმან მზემან, **უშენოსა** არვის მიჰხვდეს მთვარე შენი! (1303).

უშენო მიმართულებითში:

არამ სიცოცხლე **უშენოდ**, ვარ აქამდისცა ნანითა (1302).

მუნ მისად ნახვად გავიდენ **უშენოდ** სპანი სხვანია (551).

უშენოდ მომხვდეს, რაღა ვქმნა, არ დია დღეთა გრძელობა! (940).

იტყვის: ჩემო, ვით ვეგები მე **უშენოდ** სულთა მდგმელი? (920).

ოხერ სიცოცხლე **უშენოდ**, სოფელი გამარმებია! (1008).

უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია! (1294).

მზე **უშენოდ** ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი (1305).

უშენო ნათესაობითში:

ვისი გინდა **უშენოსა** პირი მემზოს, ტანი მეხოს? (532).

უშენოსა მოწონება ვისიცაო გულსა მიცა,

ღმერთი მომკლავს!... (417).

უჩემო მიცემითში:

ვუთხარ: „მომკალ **უჩემოსა** ენახამცა ვისცა ის ხე!" (629).

უჩემო მიმართულებითში:

აწ დადეგ, იქი ნუ მიხვალ, იქმცა **უჩემოდ** ხალვასა (2512).

უთქვენო მიმართულებითში:

არ გათნევთ, იცის მეფობა, **უთქვენოდ** გვითქვამს კვლა დია (39).

მან უთხრა: დაო, **უთქვენოდ** სხვა რამცა მეგონებოდა! (670).

უთქვენოდ მყოფთა არ გვინდან ნიშატნი საჩანგდაფენი (1445).

უმისო მიცემითში:

აჰა მაქვსმცა **უმისოსა** ლხინი არმად, თავი ფლიდად (703).

უმისო მიმართულებითში:

უმისოდმცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გარე, ნუცა შინა! (775).
სამ წლამდის მითხრა დადენა **უმისოდ** ცრემლთა მილისა (290).
უმისოდ მყოფსა სწორად მიჩნს ჩემთვის დარბაზი და ხული (677).
უმისოდ მყოფი ვერ გავძლებ ჯდომასა, ვერცა წოლასა (768).
მე **უმისოდ** სოფელს ყოფა რათგან ჩირად არ მიღირდა... (846).
უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად! (1253).

უმისო ნათესაობითში:

თუ გინახავს, **უმისოსა** ჩემი ლხინი ვით ამტკიცი? (746).
მაგრა ლხინი **უმისოსა** ჩემგან ძნელად გაიძლების (646).

აქ წარმოდგენილი ნიმუშები, როგორც ითქვა 1957 წლის გამოცემის ვითარებას წარმოგვიდგენს. ეს სურათი ასახულია ა. შანიძის ხელმძღვანელობით შედგენილ და გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში"[4]. ხელნაწერებში ხშირად ერთმანეთშია აღრეული სხვადასხვა ბრუნვის ფორმები. დამახასიათებელია, რომ არც ერთი სიტყვა დასახელებულ გამოცემაში სახელობითის ფორმით არ გვხვდება, ხელნაწერებში კი სახელობითის ფორმაც გვაქვს — **უშენო**. სათანადო შემთხვევები გამოცემაში მიმართულებითის ფორმითაა წარმოდგენილი — **უშენოდ**. ზოგჯერ აღრეულია სხვადასხვა ფუძეც: ხელნაწერებში ერთმანეთს ცვლის **უთქვენოდ** და **უშენოდ**, ისევე როგორც ხელნაწერებსა და გამოცემებშიც **თქვენ** და **შენ** ნაცვალსახელების ხმარებაა აღრეული. ამ ნიადაგზე ტექსტის აზრი ზოგჯერ არსებითად შეცვლილი და დამახინჯებულია.

ასეთ ფაქტთა მართებული დაფასებისათვის აუცილებელია ამ ფორმათა მნიშვნელობის გათვალისწინება. საქმე ის არის, რომ მიმართულებითი ბრუნვის ფორმათა მნიშვნელობა ზმნისართულია და, მაშასადამე, განსხვავებული განსაკუთრებით სახელობით ბრუნვაში დასმული ამავე სახელების მნიშვნელობისაგან. **უშენოდ** ნიშნავს **შენს გარეშე, შენი მონაწილეობის გარეშე, უჩემოდ — ჩემს გარეშე, ჩემი მონაწილეობის გარეშე, უმისოდ — მის გარეშე, მისი**

[4] ოღონდ სიმფონიაში სამიოდე შემთხვევაში ნათესაობითის ფორმები მიცემითშია შერეული.

მონაწილეობის გარეშე და ა. შ.,[5] ხოლო უშენო არის შენს გარდა სხვა, შენს ნაცვლად სხვა, შენს მეტი სხვა ან შენ რომ არ ჰყავხარ, ის. შესაბამისია მნიშვნელობა ფორმებისა უჩემო, უმისო და სხვ.

ამის მიხედვით, პოემის სათანადო ტაეპების მნიშვნელობა, მაგალითად, ასეთია: „უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ იქმს კარგა?“ (163). ეს ნიშნავს ამას: შენს გარდა სხვას ვის მივანდო პატრონობაო. „უშენოსა ნუმცა ვნახავთ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა!“ (652) ნიშნავს ამას: შენს გარდა სხვა ნუ გვენახოს პატრონი და ბატონიო. „შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი!“ (1303) ნიშნავს ამას: შენს მზეს ვფიცავ, შენს გარდა სხვას არვის ერგება შენი მთვარეო. „ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მეხოს“ (532) ნიშნავს ამას: ...უშენოისა, ე. ი. შენს გარდა სხვისი პირი მზედ გამიხდეს, ტანი ხედ მექცესო. „თუ გინახავს, უმისოსა ჩემი ლხინი ვით ამტკიცი?“ (746) ნიშნავსა ამას: თუ გინახავს [სხვა მოყვრობა და ფიცი], უმისოისა (ე. ი. ჩემი, ვისაც ის არა მყავს) ლხინი (მხიარულება) როგორ ამტკიცეო და ა. შ.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ზოგიერთი სტროფი პოემისა. საინტერესოა, მაგალითად, 781-ე სტროფის მესამე ტაეპის ისტორია. ტაეპი ასე იკითხება 1957 წლის გამოცემაში: „მაგრა რა ვქნა, უშენოსა დამეცემის გულსა ბინდი“. მაგრამ ვახტანგ VI-ის გამოცემაში უშენოსა-ს ნაცვლად იკითხება უშენომან. ეს წაკითხვა განმეორებულია მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის გამოცემებში, აგრეთვე დ. კარიჭაშვილის და იუსტ. აბულაძის პირველ გამოცემებში. დ. კარიჭაშვილის მეორე, იუსტ. აბულაძის მეორე, ს. კაკაბაძის ორივე, კ. ჭიჭინაძის, 1937, 1951 და 1957 წლების გამოცემებში, აგრეთვე პ. ინგოროყვას გამოცემაში უშენოსა დაიბეჭდა. 1966 წელს ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოცემულ ტექსტში უშენომან დაიბეჭდა, ხოლო გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედაქციით გამოცემულში — უშენოსა გამოცემებში ხელნაწერებში დაცული ვითარებაა ასახული: DEFGHIJKOQTUVYZ ხელნაწერებში უშენოსა იკითხება, სხვებში — უშენომან.

ასეთი ნაირგვარობა იმითაა გამოწვეული, რომ შინაარსის მიხედვით შეუძლებელი არც ერთი წაკითხვა არაა. ყველაფერი

---

[5] შდრ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, შესაბამისი სტატიები.

იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განაწილდებოდა სტროფი ორად. ასე: მაგრა რა ვქნა უშნომან, დამეცემის გულსა ბინდი —, თუ ასე: მაგრა რა ვქნა, უშენოსა დამეცემის გულსა ბინდი. ძველადვე გადამწერელთა ერთ ნაწილს პირველი გაგებისათვის მიუცია უპირატესობა და **უშენომან ვქმნა**- ზმნისათვის შეუხამებია ბრუნვაში, ხოლო მეორე ნაწილს — მეორე გაგებისათვის და **უშენოსა დამეცემის**-ზმნისათვის შეუწყვია. სავსებით ასევე მოიქცნენ პოემის გამომცემლებიც.

პოემის ენის თვალსაზრისით არც ერთი კონსტრუქცია არაა შეუძლებელი და, ამდენად, რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება მართლაც ძნელია. შეიძლებოდა მხოლოდ დაგვესახელებინა ანალოგიური შემთხვევა, როცა უპირატესობა აშკარად პირველ ტიპს ენიჭება. 706-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ასე იკითხება: „ჩემი თქვი, რა ვქნა ბნელქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი, ცისა?“ ასეა ყველა ხელნაწერში და ყველა გამოცემაში. განხილული სტროფის მსგავსად არ იყო შეუძლებელი აქაც გვქონოდა სხვანაირი კონსტრუქცია: „ჩემი თქვი, რა ვქმნა, ბნელქმნილსა მზე მიმეფაროს, მი, ცისა?“—, მაგრამ არაა!

ზემოაღწერილ ფორმებში სხვადასხვა ფუძის აღრევის მაგალითად შეიძლება 629-ე სტროფის მეოთხე ტაეპი იქნეს დასახელებული.

როდესაც ტარიელმა მოისმინა ფრიდონისაგან, თუ როგორ ნახა ამ უკანასკნელმა ნესტანი, რომელიც ორ მონას მიჰყავდა კიდობანით, მას „მოემატა ცეცხლთა სიცხე, ცხენისაგან გარდაიჭრა, თავი სრულად გაიკიცხა“ და ეს უთხრა ფრიდონს: „მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ის ხე!“. ამ ტაეპში ყველა გამოცემაში **უჩემოსა** იკითხება. ხელნაწერთა უმრავლესობაც ამ წაკითხვას გვაწვდის, მხოლოდ IZ ხელნაწერებში **უშენოსა** იკითხება. ეს წაკითხვა უთუოდ საყურადღებოა. საქმე ისაა, რომ გავრცელებულ წაკითხვას დიდი ნაკლოვანება მოეპოვება. მართლაც, „უჩემოსა ენახამცა ვისცა ის ხე“-ო, რომ ამბობს ტარიელი, რა არის ამით ნათქვამი? ტარიელის გარდა ან უტარიელოდ არავის უნახავს ნესტანი? მაგრამ, როცა ივი ფრიდონს ეკითხება: უშენოსა ვისცა (ე. ი. შენ გარდა ხვა ვისმე) ენახამცა ისც ხეო — ამით გამოხატულია ის იმედი, რომელიც ტარიელს გაუჩნდა ამ ამბის მოსმენის შედეგად: ნესტანის კვალი გამოჩნდა, იგი ფრიდონს უნახავს, მაშასადამე, შეიძლება სხვასაც ენახოს. მართლაც, ფრიდონმა „კაცნი უხვნა

მასვე წამსა“ და უბრძანა: „ნავებითა წადით, ზღვა-ზღვა მოიცურ-ვეთ, მოგვინახეთ“-ო.

ბრუნვის ფორმათა აღრევის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა პოემის 153-ე სტროფი, რომლის მესამე ტაეპის გაბატონებული წაკითხვა სრულს გაუგებრობაზე იყო დამყარებული და აზრს ტლანქად ამახინჯებდა. 1957 წლის გამოცემაში ეს სტროფი ასე იკითხება:

მიბრძანა: „მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,
მოხვიდე, სრულ-ვქმნა მაშინღა შენი წადილი გულისა,
ქმარი არ მინდა **უშენოდ**, მომხვდეს ხისაცა რგულისა!“
მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა.

უშენოდ წაკითხვა არის ს. კაკაბაძის, პ. ინგოროყვას და 1937, 1951 და 1957 წლების გამოცემებში და EFKOY ხელნაწერებში. დანარჩენ ხელნაწერებში და ვახტანგ VI-ის, მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძის და კ. ჭიჭინაძის გამოცემებში **უშენო** იკითხება. ეს უკანასკნელი წაკითხვა ერთად-ერთი მართებული წაკითხვაა. თინათინი ეუბნება ავთანდილს: ქმარი არ მინდა **უშენო**..., ე. ი. **შენს გარდა** სხვა, ტანაყრილი, აზრდილი ხის მსგავსიც რომ შემხვდეს, მერგოსო. **უშენოდ** წაკითხვა კურიოზულ შინაარსს აძლევს ფრაზას. უარყოფითი შინაარსის ფრაზაში **უშენოდ** ფორმის ჩართვა ნიშნავს სხვას არაფერს, თუ არა ამას: ქმარი არ მინდა ისე, თუ არ შენთან ერთადო.

ამ ტაეპის ისე წაკითხვის შეუსაბამობას, როგორც 1957 წლის გამოცემაში იყო წარმოდგენილი, ჯერ კიდევ 1961 წელს მიექცა ყურადღება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში. უნდა აღინიშნოს, როგორც სასიამოვნო ფაქტი, რომ 1966 წლის ორივე გამოცემაში ტექსტი გასწორებულია: **უშენო** იკითხება.

აი, სწორედ ეს **უშენო** ფორმა უნდა იყოს 257-ე სტროფშიც.

ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ერთ გვიანდელ ხელნაწერში (I′) საანალიზო ტაეპში **სხვად** ფორმის ნაცვლად **სხვა** იკითხება[6]. სწორედ ეს წაკითხვა ჩანს მართებული და იგი გვასწორებინებს უმართებულო წაკითხვას — **უშენოდ**. უნდა იყოს **უშენო**, ერთად: **სხვა უღონოა უშენო**, რაც ნიშნავს: **სხვა შენსა გარდა, სხვა**

[6] ამ ხელნაწერში სხვა მართებული წაკითხვებიც მოიპოვება, ისეთი, როგორიც სხვა (ძველ) ხელნაწერებში არაა, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მას ძველი, საყურადღებო დედანი უძევს საფუძვლად.

შენს მეტი უღონოა. შედგენილ შეპასმენელს **უღონოა** ამ შემთხვევაში რეალურ სუბიექტად **სხვა** სავსებით შეეფერება (სრულიად შეუფერებელი იყო რეალურ სუბიექტად როგორღაც ნავარუდევი **აღპყრობა**). ტაეპის პირველი ნაწილის ასე აღდგენა სავსებით ეგუება და ნათელს ხდის მთელი სტროფის შინაარსს. ამასთან, ეს აღდგენა სავსებით რეალურ საფუძველს ემყარება: წაკითხვა **სხვა** დადასტურებულია ხელნაწერში, ხოლო **უშენო** ფორმის **უშენოდ** ფორმით შეცვლა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩვეულებრივია პოემის ხელნაწერებსა და გამოცემებში.

ტაეპის პირველი ნაწილის აღდგენა შესაძლებლობას გვაძლევს ადვილად აღვადგინოთ ტაეპის მეორე ნაწილის მართებული წაკითხვაც.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სინამდვილესთან მიახლოვებული ჩანს ა. შანიძის კონიექტურა **ჩემდა ჩემგან**-წაკითხვის ნაცვლად. მაგრამ, როგორც აგრეთვე აღნიშნული იყო, მოსალოდნელია არა **ჩემდა** ფორმა, არამედ **ჩემად**: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში სწორედ ეს და ამგვარი ფორმები იხმარება მაშინაც კი, როცა ასეთი ფორმები მნიშვნელობით **თვის** თანდებულიანის ბადალია, ე. ი. როცა პირის ნაცვალსახელის ფორმა გვაქვს, აქ კი მსაზღვრელია: **ჩემად აღმპყრობად.** რაც შეეხება **ჩემდა** და მისთ. ფორმებს, ასეთი ფორმები პოემაში იშვიათია. (შდრ. ვარ მუცლითგანვე დედისა **თქვენად** სამონოდ შობილი (1476); ესე ღმერთსა მისაგვრელად **მისად** ჩვენთვის მოუგვრია (1233); იგი საძღვნოდ **მისად** დავსხენ, ვისი შუქი მანათობდა (462); თუცა შენ **ჩემად** არა გცალს, სიცოცხლე მომძულებია (1008); გული თქვენი მიპოვნია მისი **შენად,** შენი **მისად** (250); თორმეტი **ჩემად** ისრისა მომრთმეველად, მოსახმარებლად (70)...).

ჩემდა წაკითხვა ა. შანიძეს აგულვებინა მომდევნო გამოთქმამ **აღპყრობა ხელისა** (უკეთ: **აპყრობა ხელისა**). **აპყრობა ხელისა** შეიძლება ვისთვისმე, მოცემული შემთხვევაში მოუბარი ავთანდილისათვის, პირველი პირისთვის — **ჩემთვის,** ანუ **ჩემდა, ჩემად.** მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ა. შანიძე ამას იქით არ წასულა და ტაეპი ბოლომდე არ გაუანალიზებია. ამის გამო საბოლოოდ მაინც გაუმართავი დარჩა.

ტაეპში **ჩემად** აღდგენილი სიტყვის მომდევნო სიტყვაც გადამახინჯებული ჩანს. უნდა იყოს არა **აპყრობა** (მით უფრო **აღპყრობა**), არამედ აქტიური მიმღეობის ფორმა მიმართულებითს ბრუნვაში — **ამპყრობად.** ერთად ტაეპის მეორე ნახევარი ასე იქნება:

ჩემად ამპყრობად ხელისა, ხოლო მთელი ტაეპი ასე: **სხვა უღონოა უშენო ჩემად ამპყრობად ხელისა,** რაც ნიშნავს შემდეგს: სხვა შენს შეტი, სხვა შენს გარდა უღონოა, უძლურია ჩემად, ჩემთვის ხელის ამპყრობად, ხელის ამპყრობელად, ჩემთვის შემწედ, ჩემს დამხმარედო. სხვანაირად: შენს გარდა სხვას ჩემთვის დახმარების გაწევა, ჩემი შველა არ შეუძლიაო, შენს გარდა სხვა უძლურია, რომ მე მიშველოს, დახმარება გამიწიოსო.

უკანასკნელ გამოცემებში ეს ტაეპი ასეა წარმოდგენილი: ა. შანიძისა და ა. ბარამიძისაში: **სხვად უღონოა უშენოდ ჩემდა აპყრობა ხელისა** (ე. ი 1957 წლის გამოცემასთან შედარებით გატარებულია ა. შანიძის ზემოდასახელებული კონიექტურა), გ. წერეთლისა და ი. აბაშიძისაში: **სხვად უღონოა უშენოდ ჩემი აპყრობა ხელისა** (ე. ი. აღებულია EGITZ ხელნაწერებში დადასტურებული ვარიანტი, რომელიც თავის მხრივ ტაეპის შინაარსის თავისებური გააზრიანების შედეგია).

ჯელის აპყრობა ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქართულში. ერთ შემთხვევაში ის ჩვეულებრივ ატრიბუტულ სინტაგმას წარმოადგენს და ხელის (ხელების) ზეცისაკენ, მაღლა ამართვას ნიშნავს ლოცვის, ვედრების ნიშნად. მეორე შემთხვევაში **ჯელის აპყრობა** იდიომატურ გამოთქმადაა ქცეული და შველას, შემწეობას, დახმარების გაწევას ნიშნავს. ეს მნიშვნელობები კარგადაა ასახული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში: „ესე არს ზეცად მიმართ ჯელის განმარტვა სავედრებელად; ჯელის აპყრობად ითქმის უღონოთა და დავრდომილთა შეწევნა“.

„ვეფხისტყაოსანშიც“ ორივე ეს მნიშვნელობაა წარმოდგენილი. ორ შემთხვევაში გვხვდება პირველი მნიშვნელობით ზმნისართულად **ხელაპყრობით:** „რა ავთანდილს გაუსრულდა საქმე მისი სასურვალი, **ხელაპყრობით** ღმერთსა ჰმადლობს ცნობა-სრული, არა მთვრალი“ (1311); „ფრიდონ ღმერთსა **ხელ-აპყრობით** უსაზომო მადლი მისცა“ (1381). შდრ. **ხელ-განპყრობით:** „ინდოთ მეფე მხიარული **ხელ-განპყრობით** ამას ხმობდა“ (1363); **ხელ-განპყრობილი: „ხელ-განპყრობილი** გულითა არს ღმრთისა საესავითა“ (1327).

მეორე მნიშვნელობა პოემაში წარმოდგენილია უარყოფითი მიმღეობის შემცველ კომპოზიტში: **ხელ-აღუპყრობელი.**

ნესტანდარეჯანი სწერს ქაჯეთის ციხიდან ტარიელს: „წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა, მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით **ხელ-აღუპყრობელსა“** (1307). **ხელაღუპყრობე-**

ლი უპირისპირდება **ხელაღპყრობილ**-ს და ნიშნავს იმას, ვისაც შემწეობა, დახმარება არ ან ვერ აღმოუჩინეს შესაბამისად, **ხელ-აპყრობილი ისაა**, ვისაც დაეხმარნენ, უშველეს, შეწეობა აღმოუჩინეს. ასევე აქვს განმარტებული ეს სიტყვა ამ კონტექსტში ა. შანიძეს: „ხელაღუპყრობელსა 1307,2 ხელ-მოუმართავს, უმწეოს“[7].

მეორე შემთხვევაში **ხელ-აღუპყრობელად** გვხვდება 94-ე სტროფში: „მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად, მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად: ჰკრა ერთმანერთსა, დახოცნა თავსა **ხელ-აღუპყრობელად**, ზოგსა გადაჰკრის მათრახი მკერდამდის გასაპობელად“.

ეს **ხელ-აღუპყრობელად** განმარტებული აქვთ იუსტ. აბულაძეს და ა. შანიძეს. ა. შანიძის განმარტება ასეთია „ხელ-აუშვერლად“[8], იუსტ. აბულაძის განმარტება კი ასეთი: „სხვების მიუმართავად, სხვისი დახმარების უთხოვნელად“[9].

„**დახოცნა თავსა ხელ-აღუპრობელად**“, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ნიშნავდეს ამას: დახოცა ისინი ხელ-აუშვერლად-ო, ან ამას: დახოცა ისე, რომ სხვებს დახმარება ვერ სთხოვესო. ეს ნიშნავს: დახოცა ისე, რომ თავს ვერაფერი უშველეს, თავს ვერაფრით მოეხმარნენ, თავი ვერაფრით იხსნესო. აქაც, მაშასადამე, ისეთივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას, როგორიც 1307-ე სტროფში.

ხელის მომართვის, შემწეობის, შველის, დახმარების მნიშვნელობით ეს გამოთქმა სხვადასხვა ვარიაციით (უმნური, მასდარული, მიმღეობური ფორმით) ძალიან ხშირად გვხვდება ქართული მწერლობის ძეგლებში. მოგვყავს რამდენიმე ნიმუში.

„ესე ნეტარი და ყოვლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა, რომელნი შრომით და ქუეყნის მოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ჰზრდიდეს გლახაკთა, და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა **ჴელის აპყრობასა**, და სიმშუდით და სიმდაბლით იყოფვოდეს“[10].

---

[7] „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, დართული 1957 წლის გამოცემას, შედგენილი ა. შანიძის მიერ.

[8] იქვე.

[9] ლექსიკონი, დართული 1937 წლის გამოცემას, შედგენილი იუსტ. აბულაძის მიერ.

[10] ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 321.

„ნუვინ უღებ იქმნებინ, ნუცა ეშინინ, არამედ ძლიერი იგი უძლურსა მას **ჯელსა აუპყრობდინ**, და გულს-მოღგინეს იგი სულ-მოკლესა მას ნუგეშინის-სცემდინ...“[11].

„...დაიპრნეს საკრველნი იგი, და დაშთა წმიდაჲ იგი უვნებელად, რამეთუ ქრისტემან **ჯელი** აღუპყრა მას“[12].

„...რამეთუ იყავ ყოველთა კაცთა მოწყალე და შენ იყავ ნავთსაყუდელ მყუდრო, რომელნი მოივლტოდიან შენდა, და ჰირველთა შემწე და განწირულთა **ჯელის-ამპყრობელ** და ბოროტთა სულთა განმდევნელ“[13].

„და კუალად დედოფალმან და პარაკიმანოსმან ჰრქუეს, ვითარმედ: „შენ ოდენ ამათ ობოლთა **ჯელი** აღუპყარ და, რაჲცა ბრალი იყოს, ღმერთმან ჩუენგან იძიენ“[14].

„და კუალად მუნ აღგჳდგინნის ღმერთმან მოურნენი და გუზრდიდიან, ვითარ-იგი ქრისტეს-მოყუარენი ძმანი ჩორჩანელი და ფარსმან, რომელთა-იგი დიდად **აღგჳპყრეს ჯელი** წყალობისაჲ, — ათას წილად მიაგენ უფალმან“[15].

„არამედ განაცრუეა ღმერთმან ზრახვაჲ მათი და ამაო ყო აღძრვაჲ მათი, რამეთუ კუალადცა **ჯელი** წყალობისა **აღგჳპყრა** ღმერთმან და არა განგუთხინა წმიდამან ღმრთისმშობელმან ტაძრისაგან თჳსისა“[16].

„ვინაჲთგან მწყალობელი ვინმე და **ჯელის ამპყრობელი** და განმგებელი საკმარ არს, რა ვყო გლახაკმან ამან და უნდომან“...[17]

„მაშინ არა-მაღირსმან სიძრბისმან უბრძანეს იმედი შუელისა და **ჯელის-აპყრობისა**“[18].

---

11 ეფრემ ასური. სინანულისათჳს: ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბილისი, 1963, გვ. 17.

12 წამებაჲ წმინდისა პანტელეიმონისი: ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბილისი, 1963, გვ. 62.

13 იქვე, გვ. 65.

14 ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. თბილისი, 1946, გვ. 19.

15 იქვე, გვ. 52.

16 იქვე, გვ. 53.

17 იქვე, გვ. 26.

18 ისტორიანი და აზმანი შარაჳანდედთანი: ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1951, გვ. 64.

„[შანავაზი იყო] ქურივთა და ობოლთა მოწყალე, მართლმსაჯულ და **ქელის-ამპყრობელ**...“[19].

„შენ რასაცა ჩემთუის იქმ, მას ღმერთსა ზედა იქმ; მას ემტერები, არა მე. ღმერთია ყოველთა დაღონებულთა ღონე და **ქელის-ამპყრობელი**“[20].

„შემოქმედო ცისა და ქვეყნისაო, რომელსა ყოველნი გიძრწიან და ყოველთა ხელმწიფე ხარ ტკბილად მხედველი, უღონოთა **ხელის ამპყრობელო**, შენ მომეც ძლევა მას მძლავრსა ეშმაკსა ზედა და იხსენ იმდენი სული მისის სიბილწისაგან!“...[21].

[„ხელმწიფე იყო].

თავმდაბალი და მლოცავი, თვით ღვთისა მადიდებელი,
ჭკვიანი, სამართლიანი, გლახაკთა **ქელთ-ამპყრობელი**“[22].
„ვის უნდა მიჯნურობისა სურვილის ბადით შეპყრობა,
მაგრამ ანაზდად შეიპყრობს, ძნელია **ხელის აპყრობა**“[23].

ყველა ამ მაგალითში ეს გამოთქმები სავსებით იმგვარი მნიშვნელობითაა გამოყენებული, რაც მას „ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო სტროფში აქვს.

რჩება IV ტაეპი სტროფისა: თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკვრა თავისა მრთელისა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ ტაეპის დაწერილობის მხრივ გამოცემებში ზოგიერთ სხვაობას ვხვდებით. ვახტანგ VI-ის გამოცემიდან მოკიდებული დამკვიდრდა წაკითხვა **გორლითა**, მხოლოდ იუსტ. აბულაძე ბეჭდავდა **გვარლითა** ფორმას.

ხელნაწერებში აღმოგვაჩნდა, ერთი მხრით, **გორლითა**, ხოლო მეორე მხრით, **გვარლითა**. შეგვხვდა ამ ფორმათა დამახინჯებული სახესხვაობები და სხვაგვარი ვარიანტებიც: **გორლითა, მგვრვალისა, მგრგვალისა, გურგალვით, გირგვლითა, გურალით, მგვრგვალისა, გვარგლითა.**

---

19 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება: იქვე, გვ. 440.

20 ვისრამიანი, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, ტფილისი, 1938, გვ. 166.

21 რუსუდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 54.

22 შვიდი მთიები, კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1930, სტროფი 18.

23 არჩილიანი, ტ. I, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 128.

ყველა ხელნაწერი ერთხმად მხარს უჭერს წაკითხვას თავისა. გამოცემათაგან ვახტანგ VI-ის გამოცემაში თივასა იკითხება. ვახტანგის წაკითხვა გაასწორეს მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა და თივისა დაბეჭდეს. მაგრამ ეს წაკითხვაც გასწორდა გ. ქართველიშვილის გამოცემაში და შეიცვალა თავისა წაკითხვით (როგორც ჩანს, იმიტომ, რომ დაეყრდნენ ხელნაწერებს, ხოლო ყველა ხელნაწერებში თავისა იკითხებოდა). აქედან მოკიდებული დამკვიდრდა ეს უკანასკნელი წაკითხვა და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ტაეპის შინაარსი ყველას ერთგვარად ესმოდა: თორემ ვის შეუკრავს გორლით მთელი (აუტკივარი, საღი, გაუტეხელი) თავიო.

მაგრამ რას ნიშნავს გორლითა თუ გვარლითა?

სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში აქვს გორალი და განმარტავს: გვარლი-ო, შეტანილი აქვს აგრეთვე გვარლი „ვეფხისტყაოსანზე“ მითითებით და განმარტებულიც — თივის თოკი-ო, ხოლო საბელ-ბუდე-ში უწერია, გვარლი არს საბელი თივათაგან შეგრეხილი-ო[25].

ვახტანგ VI თავის „თარგმანში“ წერს: გვარლი თივის თოკსა ჰქჳან-ო[26].

თეიმურაზ ბაგრატიონი განმარტავს: გორლა — ბალახისა გინა თივისა თოკი, დიახ სუსტი-ო[27].

დ. კარიჭაშვილის მიხედვით გორლი არის „თივისაგან დაგრეხილი საბელი, შესაკრავი“[28].

იუსტ. აბულაძის სიტყვით გორლი არის „სათივე თოკი, თივის შესაკრავი საბელი, ღვლეჭი[29]; „საბელი თივის ზვინის შესაკრავად, თოკი“[30]; „ბაწარი ან თივის საბელი თივის ზვინის შესაკრავად“[31].

---

25 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, იღ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1965.

26 „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფილისი, 1937, გვ. ტკ.

27 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა. გ. იმედაშვილის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 38.

28 „ვეფხისტყაოსანი“, დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1920, გვ. 275.

29 იუსტ. აბულაძე, მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“: „ძველი საქართველო“ ტ. I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 122.

30 „ვეფხისტყაოსანი“, იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1926, გვ. 250.

31 იუსტ. აბულაძე, ლექსიკონი, დართული „ვეფხისტყაოსნის“ 1937 და 1951 წლების გამოცემებს.

ს. კაკაბაძე განმარტავს: **გორლი** — თივის თოკი-ო[32].

ა. შანიძემ აღადგინა საწყისი ფორმა **გორალი (გვარალი)** და განმარტა: „ულო, ერთმანეთზე შეგრეხილი მაღალი ბალახებისა თუ პურის ღეროებისაგან გაკეთებული შესაკრავი ძნისა, თივისა. თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკვრა თავისა მრთელისა 257,4 — თორემ ვის უქნია მრთელი თავის შეკვრა სახვეველით“[33].

გვარლის მნიშვნელობა სპეციალურად განიხილა მ. ალავიძემ. მან დაადასტურა, რომ ლეჩხუმურ კილოში **გვარალი** იმასვე ნიშნავს, რასაც ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში **ულო**: მაღალი ბალახისაგან თუ პურეულის ჩალის ღეროებისაგან შეგრეხილი თოკი, რომლითაც ძნებს კრავენ[34]. გვარალის ეს მნიშვნელობაა მოცემული მ. ალავიძის ლეჩხუმური კილოს სალექსიკონო მასალაზე მითითებით „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“[35].

ამრიგად, **გვარლის** განმარტებაში მკვლევართა შორის ერთსულოვნება სუფევს. სულხან-საბა ორბელიანისაგან მომდინარე განმარტება საეჭვოდ არავის მიაჩნია: „გვარალი არს საბელი თივათაგან შეგრეხილი“. მაგრამ ასეთი მნიშვნელობის მქონე სიტყვა კონტექსტს არ შეესაბამება. მკვლევართა უმრავლესობას თითქოს არც იმაში შესდის ეჭვი, რომ 257-ე სტროფის IV ტაეპის **„თავისა მრთელისა“** საღ, არაავადმყოფ, დაუზიანებელ, გაუტეხელ თავს ნიშნავს, ხოლო **გვარლი** დაჭრილ-დაზიანებული თუ ავადმყოფი თავის შესაკრავად ანუ შესახვევად არ გამოიყენება. ყოველ შემთხვევაში რუსთაველის ეპოქის საქართველოში ჭრილობის შეხვევის ასეთი წესი წყაროების მიხედვით არ დასტურდება.

მართლაც, „ვეფხისტყაოსანში“ ჭრილობის შესახვევის აღსანიშნავად მოიპოვება ტერმინი **სახვეველი**.

ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს: ხატაელებთან ბრძოლაში „ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა, არნაღებად“. ომიდან დაბრუნებულს მომეგება „ჩემი გამზრდელი ტკბილია“ (ე. ი. ფარსადან მეფე) და „ხელი გამიხსნა, შემომკრა მან **სახვეველი** ლბილია“ (სტროფი 465). მეორე ადგილას იგივე ტარიელი ამბობს:

---

32 „ვეფხისტყაოსანი“, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს რედაქტორობით, თბილისი, 1926, გვ. 195.

33 ა. შ ა ნ ი ძ ე, ლექსიკონი, დართული „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წ. გამოცემას, გვ. 355.

34 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, რუსთაველური „გვარალი“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბილისი, 1964, გვ. 187—189.

35 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბილისი, 1951.

„ნაომარსა, დაკოდილსა ხელი ყელსა ჩამომებაო“ (სტროფი 431). სხვა ადგილას ისევ წყლულის შეხვევაზეა ლაპარაკი, თუმცა არ ჩანს, თუ რით უხვევენ:

„ერთი პირი დასტაქარი მყვა და წყლულნი შეეხვივნა,
ისრის პირნი ამოუხვნა, დაკოდილნი არ ატკივნა“ (593).

ჰაშასადამე, სათანადო შემთხვევებში წყლულს უხვევენ **ხახვევლით, ისიც ლბილი ხახვევლით,** თანაც ისე, რომ **დაკოდილი ადგილი არ ატკინონ.** აგვილი წარმოსადგენია, რა შედეგი იქნებოდა, რომ დაკოდილი **გვარლით, ე. ი. თივისაგან (ბალახისაგან) შეგრეხილი თოკით,** შეეხვიათ. ანდა წარმოვიდგინოთ ტარიელი, რომლის „ჰშვენოდეს ენიანნი კაბანი“, თვითონაც „ფერმიხდილგვარად შევნოდა“, როგორც „ვარდი. ცრემლითა ნაბანი“, და, „ვინცა უჰვრეტდის, ბნდებოდის“, ტარიელი, რომელსაც „ჩიდენი რომე ეშოვნეს ქალაქსა ხატაელთასა, იგი ეხვივნეს, ჰშვენოდეს“, ტარიელი, მჯდომარე „ადგილსა, ნუნ, სადა ეამებოდა“; მას პირისპირ უზის „ივი მზე, გული ვინთვისცა კვდებოდა“; იგი მალვით უჰვრეტს ნესტანს, ნესტანიც მალვით უჰვრეტს მას; თვალს მოსწყვეტს ნესტანს და ტარიელს სიცოცხლე ეარმება; არის „სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა“, „ჯამი და ჰიქა ყველაი ფეროზისა და ლალისა“... ამ ტარიელს **„ნაომარსა, დაკოდილსა ხელი ყელსა“ ჩამობმული აქვს გვარლით, თივისაგან შეგრეხილი თოკით!**

ეს შეუსაბამობა ძველთაგანვე უგრძნიათ, დაუნახავთ. ეს დანახვა იმაში გამოიხატა, რომ ხელნაწერთა ერთი ნაწილის გადამწერლები ცდილობენ, როგორმე აიცილონ **გვარლისა//გორლისა** წაკითხვა და ამ შეუსაბამობას ბოლო მოუღონ. მათ **გვარლისა//გორლისა** ტექსტის დამახინჯებად მიუჩნევიათ და ბგერითი შედგენილობის მხრივაც და სემანტიკურადაც მსგავსი, ამასთან კონტექსტის შესაფერი სიტყვის ძებნა დაუწყიათ. ამის შედეგია, რომ G ხელნაწერში იკითხება **მგრვალისა,** H-ში — **მგრგვალისა,** N-ში — **მგვრგვალისა,** KO-ში — **გურგალვით,** I-ში **სიმგრგვლითა** და ა. შ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ვახტანგ VI-ის გამოცემაში ამ ტაეპში **თავისა**-ს ნაცვლად იკითხება **თივასა: შეკურა თივასა მრთელისა.** როდესაც იუსტ. აბულაძე საანალიზო სტროფს განიხილავდა, მან მეტად თავისებური ანალიზი წარმოგვიდგინა ამ სტროფისა. ანალიზისას ვახტანგის გამოცემის წაკითხვას მიაქცია ყურადღე-

ბა და შემოიტანა იგი მსჯელობის არეში. იუსტ. აბულაძე შემდეგს წერდა ამ ტაეპის შესახებ:

„ეს ადგილი ძნელი გასაგებია: თუ ისე წავიკითხავთ, როგორც ვახტანგის გამოცემაშია, მაშინ **გორლი**, ან **გვარლი** უნდა ნიშნავდეს თივის თოკს, თივის საბელს (იხ. საბა), თუ წავიკითხავთ „თავისა“-ს და არა „თივისა“-ს, მაშინ გვარლი უნდა ნიშნავდეს მტკვანის თავის შესაკრავს, ან შესახვევს, შეად. 814,4[36]; შესაძლებელია, აქ „თავი მრთელი“ ნიშნავდეს „ჰკუა-საღს“, „არა შეშლილს“, „არა გადარეულს“, რადგან მხოლოდ გადარეული საჭიროებს ბაწრით შეკვრას, ან დაბმას. შეიძლება, აქ პირველს, ე. ი. ვახტ. ვარიანტსაც მიეცეს უპირატესობა და ეს ადგილი განიმარტოს ასე: „თივის მრთელ ზვინს რად უნდა კიდევ თოკიო?! ვის უქნია ესო?![37]

იუსტ. აბულაძის ეს მსჯელობა არსებითად განსხვავდება სხვა მკვლევართა შეხედულებებისაგან, ჯერ ერთი, იმით, რომ აქ განხილვის საგნადაა ქცეული ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე წაკითხვა **თივისა**. ამასთან, **თივა** გაგებულია **ზვინის** მნიშვნელობით, თუმცა გაუგებარია ამაზე დამყარებული განმარტება: „თივის მრთელ ზვინს რად უნდა კიდევ თოკიო“. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ მთელ მსჯელობაში ერთმანეთშია არეული სხვადასხვა სტროფის შინაარსი და სხვადასხვაგვარი შესაძლო გაგება ამ სტროფისა (კერძოდ, გამოთქმა „თავსა მრთელსა რად შეიკრავ“ მკვლევარს ასე ესმის: „ჰკუა-საღ“, „არა შეშლილ“, „არა გადარეულ“ თავს რად შეიკრავ თოკით, რად დაიბამო“); **NB**: „მხოლოდ გადარეული საჭიროებს ბაწრით შეკვრას ან დაბმას“, ე. ი. **თავი** გაგებულია არა არსებით სახელად, არამედ ნაცვალსახელად. საბოლოოდ, მკვლევარის გარკვეული აზრი, გარკვეული დასკვნა არსად ჩანს.

1916(?)—1918 წლებში ნ. მარს გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის მიზნით. მას არც პოემის ხელნაწერები ჰქონია ხელთ და არც ვახტანგ VI-ის გამოცემა. მას ხელთ ჰქონია დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძის და ს. კაკაბაძის გამოცემები პოემისა. ნ. მარის ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო სტროფიცაა განხილული. უკანასკნელ, მეოთხე, ტაეპში

---

36 აქ ალბათ უნებლიე შეცდომა მოსვლია მკვლევარს და, როგორც ჩანს, უნდა იგულისხმებოდეს 876-ე სტროფი (იუსტ. აბულაძის გამოცემის 757): **ბრძენი ხარ და გამორჩევა...**

37 „ვეფხისტყაოსანი“, იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1926, გვ. 204.

ნ. მარს წარმოდგენილი აქვს კონიექტურა **ზვინისა თავისა** წაკითხვის ნაცვლად, ხოლო კარიშაშვილ-აბულაძე-ყაყაბაძის გამოცემათა წაკითხვა **თავისა** ვარიანტად აქვს გამოტანილი. ამ ვარიანტს ერთვის ნ. მარის შენიშვნა: „თივისა? в Раче—ზვინი“. იქვე წარმოდგენილია გვარლის განმარტებაც: „გორლი=გვარლი „соломенная веревка“ (I)[38].

აქედან ჩანს, რომ ნ. მარს გვარლი ესმოდა ჩვეულებრივი, გავრცელებული მნიშვნელობით, ხოლო ამასთან მიაჩნდა, რომ ამ მნიშვნელობის შეგუება კონტექსტთან ძნელია.

როდესაც ამ ტაეპის გავრცელებულ წაკითხვას — **თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკრვა თავისა მრთელისა** — ასე ააზრიანებდნენ: „თორემ ვის უქნია მრთელი თავის შეკვრა სახვევლითო“[39], რატომღაც არ მიჰქცევია ყურადღება იმას, რომ ასეთი გაგება არათუ ნათელს არ ხდიდა მთელი სტროფის შინაარსს, არამედ, პირიქით, აბნელებდა მას, რამდენადაც სრულიად არ შეეფერებოდა კონტექსტს.

მართლაც, სტროფის პირველ ტაეპში აი რას ეუბნება ავთანდილი ასმათს: „ახლა, დაო, შენს ხელშია ჩემი ყელის საბელი (გინდა, მომკლავ, ყელში წამიჭერ, დამახრჩობ, გინდა — ცოცხალს დამარჩენ); შენს გარდა სხვა ვინმე უღონოა, უძლურია ჩემს შემწედ, ჩემს დამხმარედ; რასაც მიზამ, შენზეა დამოკიდებული, ხელის წამალი შენ ხარ“-ო. ამას სრულიად აღარ შეეფერება მეოთხე ტაეპში წარმოდგენილი დასკვნა: „თორემ ვის უქნია მრთელი თავის შეკვრა სახვევლით“-ო.

სამაგიეროდ, ზემომოყვანილ კონტექსტს შესანიშნავად შეეფერება დასკვნად უკანასკნელი ტაეპის ასეთი წაკითხვა: **„თვარ ვისმცა ექმნა გვარლითა შეკრვა თივისა მრთელისა“**, სადაც გვარლი სწორედ **თივისაგან შეგრეხილ საბელს, თოკს**, ულოს ნიშნავს, ხოლო **თივა — თივის ზვინს**. მთელი ტაეპი კი ამას აღნიშნავს: **„თორემ მთელი ზვინის გვარლით (თივისაგანვე, ბალახისაგანვე შეგრეხილი მცირე, „დიახ სუსტი“ თოკით) შეკვრა ვის გაუგია“**-ო.

ავთანდილისათვის ერთადერთი იმედი ასმათიღაა, მხოლოდ მისგან შეუძლია ავთანდილს ტარიელის ამბის გაგება, ასმათის სა-

---

[38] ნიკო მარი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს მერი გუგუშვილმა და ალი ძოწენიძემ, თბილისი, 1965, გვ. 96.

[39] ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, დართული 1957 წლის გამოცემას, გვ. 355.

შუალებით უნდა მიაღწიოს მან თავის დიდ მიზანს, მხოლოდ ასმათის დახმარებით შეუძლია მას მეფე-მიჯნურის დავალების შესრულება („წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს თუნდა შორად!“). სხვა გზა ავთანდილს აღარა აქვს, სხვა საშუალება მიზნის მისაღწევად მას აღარ მოეპოვება, თორემ თავისთავად ასმათი **„მცირე გვარლია“** და ამ **„მცირე გვარლით“ მთელი თივის, თივის მთელი ზვინის შეკვრა** (ე. ი. ავთანდილის დიდი მიზნის შესრულება) **როგორ შეიძლება!**

ასმათი აქ შედარებულია გვარლთან, ხოლო ავთანდილის დიდი მიზანი — ტარიელის ამბის შეტყობა და, მაშასადამე, თინათინის დავალების შესრულება — მთელ თივასთან, თივის მთელ ზვინთან.

თივას სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „მოთიბული ქმელი ბალახი“-ო. თანამედროვე ქართული ენის მთის კილოებში ამჟამადაც დაცულია ეს სიტყვა მოცელილი და გამხმარი ბალახის გარკვეული ზომის ბულულის, ზვინის მნიშვნელობით.

ხევსურეთში **„თივას საწვირთოებად** (ბულულებად) აგებენ... დიდი ბულული **ჯოლნაბო** იქნება, უფრო დიდი — **ზვინი**... ერთი კაცის ტვირთ თივას (შატილურ **საწვირთო**-ს) არხოტელები **ჯოლ**-ს ეძახიან, უფრო მოზრდილს კი (ორ ტვირთ თივას) — **საჯარე**-ს... საწვირთოს **ორხალა**-თი კონავენ. ოღონდ აქ ტვირთების ჯაჭვს **თივანი** ეწოდება (და არა ორხალანი, როგორც ძნის ტვირთების ჯაჭვს ერქვა). საწვირთოსაც თივა-ს ეძახიან ხოლმე: იტყვიან „ათ თივა მამავალ სათიბეი“-ო, ე. ი. სათიბე, რომელზედაც ათი თივა, ათი საწვირთო ითიბება“[40].

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ „ტვირთების ჯაჭვს **თივანი** ეწოდება“, რომ „საწვირთოსაც თივა-ს ეძახიან“, რომ თივა გამოყენებულია სათვალავ ერთეულადაც, მოსათიბ ადგილს იმის მიხედვით შეაფასებენ, თუ რამდენი თივა გამოვა მოთიბვის შემდეგ.

ასევე სათვალავადაა გამოყენებული თივა ხევსურულ ხალხურ ლექსში:

ხუთშაბათ გათენებასა ურემ წავიდა მთისაო,
საგათენებოდ შამაჯდა თხორუს თავ წვერის ძირაო,

---

40 ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თაისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 226.

დავკონენ თორმეტნ თივანი ნაბაკურაის პირაო.

ზე ფიცხი, ძირში ყინული, სათრელი ეშმაკისაო[41].

ასეთივე ვითარებაა ფშაურშიც:

„წავიდი, ავხვეტოდი და თივა ავაგოდი“[42].

„დიყელის იქით, დასწვრივ, იფნიანაია. იფნიანაი ტყიან-ველიანი დიდი გორია, მეედანი ლამაზი, სამთო და საზამთრო ბოსლები ზენა სოფლებისა, ეხლა კი სათიბად არის გაშვებული, შელებისა და ირმების საიალაღეა: ზაფხულის დანავარდობენ, ზამთრის კი თივებს უღუპვენ კოლექტივსა“[43].

ეგევე ვითარება მშვენივრად აქვს აღწერილი ვაჟა-ფშაველას.

„მინამ თოვლი არ მოვიდოდა, თივის მოტანა სახლში ყოვლად შეუძლებელი იყო. თოვლში უნდა ჩამოთრილიყო დაბლა, ჭალაში და იქიდან ხარით და მარტუღლით უნდა თითო თივა, კავით და საბლით მაგრა შაკონილი, გამოებათ ერთი ხარისათვის და ისე მოეთრეინათ სახლში“[44].

აქაც თივა გარკვეული სათვალავი, საზომი ერთეულია.

პროფ. ვანო შადურის ცნობით, სავსებით ამგვარივე მნიშვნელობითაა გამოყენებული ტერმინი თივა და ამგვარადვე სათვალავ ერთეულს წარმოადგენს ის მოხეურშიც: მოხეურში ჩვეულებრივი ყოფილა გამოთქმა ნახევართივაც.

აგებულ თივის ზვინს „გადააკრავენ ხოლმე დაგრეხილი ბალახის „თოკს“. ამ „თოკს“ ალერდი ეწოდება“[45]. ამას იმიტომ შვრებიან, რომ ქარმა თივა ვერ მიფანტ-მოფანტოს. „სახელწოდება „ალერდი“ მოდის ამავე სახელწოდების ბალახიდან, რომელიც მაგარია და კარგად იგრიხება“[46].

ფშავისა და ხევსურეთის შესანიშნავი მცოდნის ალექსი ოჩიაურის სიტყვით „ალერდი“ სამგვარია: პირველია წნელის ალერდი. წნელს წვერებით ერთმანეთზე გააბამენ, ძირებს გაუმწვეტებენ,

---

41 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931, გვ. 203.

42 ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბილისი, 1961, გვ. 127. იქვე, ფშაური ლექსიკონი, გვ. 591.

43 თამარ ხელაშვილის მიერ დაწერილი ტექსტიდან.

44 ვაჟა-ფშაველა, ფშაველი და მისი წუთისოფელი: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VII, თბილისი, 1964, გვ. 133.

45 ა. ჭინჭარაული, დასახელებული ნაშრომი, გვ. 226.

46 იქვე.

გადაუჭირებენ თივას და თივის ორივე მხარეს მიწაში დაარჭობენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთ მხარეზე ამოაძრობენ ალერდს მიწიდან, რამდენადაც საჭიროა, მოსჭრიან, ჩაამწვეტებენ და ისევ მიწაში ჩაარჭობენ, რომ მაგრად გადაეჭიროს თივას. ეს იმიტომ, რომ თივა რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწევს და ალერდი მაღლა რჩება. ალერდი თუ მაგრა არა აქვს გადაკრული, თივას ქარი დაშლის. მეორეა თივის ალერდი. ნედლ სუფთა ბალახს დაგრეხენ, თივას ორივე მხარეს გამოცხვირავენ და ალერდს გადაახვევენ თივაზე და ორივე მხარეს მოანასკვებენ. მესამეგვარი ალერდი გადაეკიდება დიდ თივის ზვინზე და ორივე მხარეს გრძელ ქვებს შეაბამენ. თივა რომ დაიწევს, ქვებიც თან-თან ჩაცოცდება ქვევით და ალერდიც მაგრა უჭერს".

ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ მთაში აგებული თივა ქარმა არ დაშალოს. მაგრამ, როცა თივის შეკვრა არის საჭირო იმისათვის, რომ მთიდან ჭალაში ჩამოიტანონ, იმავე ალ. ოჩიაურის თქმით, ხალს იყენებენ. ხალი ჯოხია, რომელიც „ძირში თივას ედება, როცა მთიდან უნდა წამოიღონ. თოკს მოაბამენ თავშიაც, ბოლოშიაც, კავსაც შეაბამენ და გადაუჭირებენ. ხევსურეთში ორხალიც იციან: ორ ჯოხს წვერებით ერთიმეორეზე გადააბამენ, თავებზე თოკს შეაბამენ და გადაუჭერენ"[47].

ვ. შადურის გადმოცემით, დაახლოებით ამგვარადვე იქცევიან თივის მთიდან ვაკეში ჩამოტანისას ხევში.

წარმოდგენილი მასალა მრავალმხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი, ყველგან დადასტურებულია ტერმინი თივა გარკვეული ზომის ბულულის, ზვინის მნიშვნელობით, ამასთან, თივა სათვალავ ერთეულადაც კია გამოყენებული, ე. ი. გარკვეული ზომის ზვინია. ეს კი სავსებით ეგუება ამ სიტყვის მნიშვნელობას, წარმოდგენილს საანალიზო ტაეპში. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე გარემოება. სიტყვა გვარალი//გვარლი ამჟამად მხოლოდ ლეჩხუმურ კილოში მოიპოვება. მთის კილოებში ბალახისაგან შეგრეხილი თოკის მნიშვნელობით ალერდი გვხვდება. ამრიგად, ალერდის მნიშვნელობა ემთხვევა გვარლის მნიშვნელობას, თანაც ალერდს იმავე მიზნით იყენებენ, რა მიზნითაც გვარლს, ან რა მიზნითაც გვარლის გამოყენებაა სავარაუდებელი. ხოლო ალერდით თივას არ კრავენ, არ კონავენ. ალერდს მხოლოდ გადაახვევენ თივას იმისათვის, რომ ქარმა არ გაფანტოს, მაგრამ, როცა თივის შეკვრა სურთ (მთიდან ჩამო-

---

47 შდრ. ა. ჭინჭარაული, დასახელებული ნაშრომი, გვ. 203.

სათრელად), მაშინ ალერდის გამოყენება შეუძლებელია, რამდენადაც ჭალამდე თუ ვაკემდე არც ალერდი ჩამოჰყვებათ და არც თივა. თივას ხალ-ორხალით, კავით და საბელ-თოკით კრავენ, კონავენ. ასეა ფშავსა და ხევსურეთში, ასეა ხევში, ამას ადასტურებს ვაჟა-ფშაველა თავის „ფშაველსა და მის წუთისოფელში“ („თითო **თივა კავითა და საბლით მაგრა შაკონილი...**“).

აშკარაა, რომ ჩვენს საანალიზო ტაეპს კავშირი აქვს პოემის 878-ე სტროფთან, რომლის შესახებ გაკვრით ზემოთაც გვქონდა ბაასი. ავთანდილი ასწავლის ტარიელს:

„ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულება,
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის ჰკვდები ,ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ,
თავსა მრთელსა რად შეიკრავ? წყლულსა ახლად რად იწყლულებ?“

როგორც ვხედავთ, აქაც **მრთელი თავის შეკვრის** უმიზნობაზეა ლაპარაკი. ბუნებრივი იქნებოდა გვევარაუდა, რომ ამ და 257-ე სტროფში ერთი და იგივე აზრი იყოს გატარებული,. თვით სიტყვები და გამოთქმებიც კი მეორდებოდეს: **თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკვრა თავისა მრთელისა** და **თავსა მრთელსა რად შეიკრავ.** მაგრამ ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთი გაგება ტაეპისა არ აღმოჩნდა კონტექსტის შესაფერისი. მერმე, თუ გვარლი მართლა ისაა, რაც მკვლევართ ჰგონიათ და რაც ჰეშმარიტებად მიგვაჩნია, მაშინ ეს სიტყვა **მრთელ თავს** აღარ შეეფერება.

მიუხედავად ამისა, დასახელებულ სტროფებს შორის კავშირი მაინც უდავო ჩანს. 257-ე სტროფის საანალიზო ტაეპში რომ ხელნაწერები **თავისა** წაკითხვას წარმოგვიდგენენ, ამ წაკითხვის საფუძველი 878-ე სტროფია, სწორედ ამ სტროფის მიხედვით უნდა გადაკეთებულიყო **თივისა თავისა**-დ. ამისათვის იმ ფაქტსაც უნდა შეეწყო ხელი, რომ მსაზღვრელად გამოყენებული სიტყვა **მრთელისა** მრავალმნიშვნელობიანი იყო, ყოველ შემთხვევაში ორი ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა: **მრთელი** — მთლიანი, ერთიანი, დაუნაწევრებელი და **მრთელი** — ჯანმრთელი, საღი, დაუზიანებელი, გაუტეხელი.

ეს ორგვარი მნიშვნელობა ამ სიტყვისა თვით „ვეფხისტყაოსანშივე“ კარგად ჩანს. პოემაში მოიპოვება **მრთელი**, მისი -ა სუფიქსიანი ვარიანტი **მრთელა** და **მრთელ**-ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვა

მრთელობა, მრთელ-სახელის ფუძისაგან ნაწარმოები ზმნა ვნებითი გვარისა **გამიმრთელდა** და მიმღეობის ფორმა **მამრთელებელი.**

მთლიანის, ერთიანის, დაუნაწევრებელის მნიშვნელობითაა ნახმარი **მრთელი** ქვემომოყვანილ სტროფებში:

ტარიელს უძღვნა გვირგვინი, ვერ-დანადები ფასისა,
იაგუნდისა **მრთელისა,** ყვითლისა, მეტად ხასისა (1438).
კვლა უძღვნა თვითო ფარღული, გარდასაყრელი ყელისა,
მრგვლად დათლილისა თვალისა, იაგუნდისა **მრთელისა**
(1466).

ასეთივე მნიშვნელობა აქვს **მრთელისა** მსაზღვრელს საანალიზო ტაეპში: **თივისა მრთელისა — მთელი თივისა, მთლიანი თივისა, მთელი ზვინისა.**

ხოლო ამ სტროფებში **მრთელს ჯანმრთელის, საღის, ჯანსაღის, დაუზიანებელის** მნიშვნელობა აქვს:

ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი:
თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, **მრთელი** ვარ და მოუკლავი“
(240).

იქით და აქათ მომისხდეს, მახვრიტეს სახვრეტელია,
მე მოვახსენე: „პატრონო, გული აწ უფრო **მრთელია**“ (356).
„თავსა **მრთელსა** რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულებ?“ (876).
ჩემი რა ცნიან, სცევდიან თავებსა მათსა **მრთელსა** (560).
მე მიკვირს ჩემი სიცოცხლე, ასრე დარჩომა **მრთელისა** (501).
ტყვეთა **მრთელთაცა** არ აკლდა კვნესა, მართ ვითა სნეულთა
(452).
თქვენ ჭირად გიყო შიგანთა პოვნა კაცისა **მრთელისა** (1395).
მე ვით ღირს ვარ ამას, რომე თვალნი ჩემნი გჳვრეტდენ
მრთელსა! (674).
გამიმრთელდა გული წყლული, ახლა დავჯე ცეცხლთა შრეტად
(1119).
შენ გაქვს წამალი ჩემისა **მამრთელებელი** წყლულისა (1025).

შემდგომ ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში **მრთელ-**ფუძე გამარტივდა რ-ს ამოღებით და **მთელ-**ფუძე მივიღეთ, ამასთან **მრთელ-**ფუძეც შემორჩა სალიტერატურო ენას. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებშიც გვხვდება **მრთელის** პარალელურად ვარიანტი **მთელი.** დამახასიათებელია, რომ მთელ-ვარიანტი სისტემებრ გვხვდება GHJT, ზოგჯერ აგრეთვე KNO ხელნაწერებში.

ამრიგად, სალიტერატურო ენაში გაჩნდა ერთისა და იმავე მნიშვნელობის მქონე ორი ვარიანტი ერთისა და იმავე ფუძისა. ამან შემდგომ მნიშვნელობათა დიფერენციაცია გამოიწვია: **მრთელ-**ფუძეს შერჩა **ჯანმრთელის, ჯანსაღის, სალის** მნიშვნელობა, ხოლო **მთლიანის, ერთიანის, დაუნაწევრებელის** მნიშვნელობა **მთელ-**ფუძეს დაუკავშირდა.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ძველი გადამწერლები, როგორც ჩანს, გრძნობდნენ, **გვარლით** თავის შეხვევას რომ უხერხულობა ახლდა, და ცდილობდნენ შეეცვალათ ეს სიტყვა უფრო შესაფერით, რამდენადაც ასეთი წაკითხვა აეშვებდა მათ. ერთგვარი დაეშვება გამოსჭვივის თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებიდანაც: „ბალახისა გინა თივისა თოკი, დიახ სუსტი"-ო — წერს იგი. იმის გახაზვას, რომ **გვარლი დიახ სუსტია,** მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ჰქონოდა მნიშვნელობა, თუ ამ ტაეპში წინ **თივისა** წაკითხვა იქნებოდა. ასევე დაეშვება გამოსჭვივის იუსტ. აბულაძის მსჯელობიდანაც, როცა მკვლევარი ამბობს, რომ **„თავი მრთელი"** შეიძლება აღნიშნავდეს „ჭკუა-სალს", „არა შეშლილს", „არა გადარეულს", რადგანაც მხოლოდ გადარეული საჭიროებს ბაწრით შეკვრას ან დაბმასო.

უცხო ენებზე პოემის თარგმნისას თარგმანს საფუძვლად ჩვეულებრივ გავრცელებული გაგება ედებოდა, მაგრამ ზოგ მთარგმნელს შეუმჩნევია აქედან გამომდინარე ის უხერხულობა, რომელზედაც ზემოთ იყო მსჯელობა. მარჯორი უორდროპი საანალიზო ტაეპს ასე თარგმნის: „Otherwise who would bind his sound head with hay-ropes?", ე. ი. სიტყვასიტყვით: სხვაგვარად ვინ შეიხვევს ჯანსაღ თავს თივის თოკით? მაგრამ ყველაფერს ამას მთარგმნელი უმატებს: „(?Like a madman)" — (გიჟივით?).

შ. ნუცუბიძეც არსებითად ამავე გზას ადგას, ოღონდ ეს სიგიჟესთან დაკავშირება მან ნათარგმნ ტაეპშივე წარმოადგინა: «Повязать главу без раны сумасшествием мне мнится».

ბოლოს, ტაეპთა თანამიმდევრობის შესახებ საანალიზო სტროფში.

FGIRTZ ხელნაწერებში გამოცემებიდან ცნობილ თანამიმდევრობასთან შედარებით განსხვავებული თანმიმდევრობა გვხვდება ტაეპებისა: გადასმულია მეორე და მესამე ტაეპები. ჩვენთვის უდავოა, რომ სტროფში ტაეპების ბუნებრივი თანამიმდევრობა სწორედ ამ ხელნაწერებშია წარმოდგენილი.

თუ ამ ფაქტს და ყოველსავე ზემოთქმულსაც გავითვალისწინებდით, მაშინ საანალიზო სტროფი ასეთ სახეს მიიღებდა:

„აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა:
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა.
სხვა უღონოა უშენო ჩემად ამპყრობად ხელისა,
თვარ ვისმცა ექმნა გვარლითა შეკრვა თივისა მრთელისა!"

ეს კი ნიშნავს შემდეგს:

ახლა [იმის შემდეგ, რაც ყველაფერს მოგიყევი, ყველაფერი გაცნობე], დაო, შენს ხელთაა ჩემი ყელის საბელი (თოკი). რასაც მიზამ, შენ იცი [ამ საბელს, გინდა — მომიფონებ, მომხსნი, გინდა — წამიყვერ ყელში], შენ ხარ წამალი შეშლილისა, გახელებულისა [მიჯნურობისაგან, უცხო მოყმის ძებნისაგან]. შენს გარდა სხვა, შენს მეტი სხვა, უძლურია, უღონოა იმისათვის, რომ მე ხელი შემიწყოს, რომ მე მიშველოს, თორემ ვის შეუკრავს მთელი (მთლიანი) თივა, თივის მთელი ზვინი გვარლით, თივისაგან (ბალახისაგან) შეგრეხილი „დიახ სუსტი" თოკით?! [შენ, სუსტ ქალს, როგორ შეგიძლია მე მიშველო!].

ვახტანგ VI-ის გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა" დიდი მოვლენა იყო რუსთაველის გენიალური პოემის შესწავლის ისტორიაში. დიდია მისი მნიშვნელობა პოემის შესწავლისათვის ამჟამადაც. მაგრამ, მეორე მხრით, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ გამოცემისადმი უკრიტიკო დამოკიდებულებამ, რაც ჩვენში გარკვეულ ხანებ'ში გაბატონებული იყო, დიდად შეაფერხა პოემის ტექსტის შესწავლის საქმე: ვახტანგის გამოცემის წაკითხვები, ბევრჯერ კორექტურული შეცდომებიც კი, პირდაპირ, უცვლელად გადმოდიოდა შემდგომს გამოცემებში, მათი დასაბუთებაც ხდებოდა და, ამდენად, მცდარი ფორმები მკვიდრდებოდა.

1937 წელს აკ. შანიძემ აღადგინა ვახტანგ VI-ის გამოცემა და დაურთო გამოკვლევები და მეცნიერული აპარატი. ამ გამოცემით გაირკვა ერთი ძირითადი საკითხი რუსთველოლოგიისა — ვახტანგის გამოცემის რაობის საკითხი. ამ ახალ გამოცემაში გასწორდა მრავალი კორექტურული შეცდომა 1712 წლის გამოცემისა. მიუხედავად ამისა, რუსთაველის პოემის შემდგომს გამოცემებში მაინც დარჩა არაერთი გაუგებრობა, რომელთა წყაროს სწორედ ვახტანგის გამოცემა წარმოადგენს. ერთ-ერთი ასეთი გაუგებრობის შედეგი იყო ის კურიოზული გარემოება, რომელიც პოემის 1445-ე სტროფის გარშემო შეიქმნა რუსთველოლოგიაში: ამ სტროფის მესამე

ტაეპი — **უთქვენოდ მყოფსა არ გვინდან ნიშაგნი, ნა-ჩანგ-დაფენი** ამ სახით იბეჭდებოდა პოემის ყველა გამოცემაში და ნებისმიერი ინტერპრეტაციების საგნად იყო ქცეული, სანამ არ გაირკვა, რომ ამ ტაეპის ამგვარი წაკითხვა მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის გამოცემის კორექტურულ შეცდომას წარმოადგენს, ხოლო პოემის ხელნაწერებში ეს ტაეპი საკუთრივ ნათლადაა წარმოდგენილი ამ სახით: **უთქვენოდ მყოფთა არ გვინდან ნიშატნი საჩანგდაფენი**[48].

ყოველივე ამის გამო, ერთი შეხედვით კაცს შეიძლებოდა ეფიქრა: წაკითხვა **თივასა — თივისა** ვახტანგის გამოცემაში ამავე რიგის ფაქტი, ე. ი. კორექტურული შეცდომა ხომ არაა. **თივასა** მართლაც კორექტურული შეცდომაა, მაგრამ იგი წარმოადგენს არა **თავისა** წაკითხვის გადამახინჯებას, არამედ **თივისა** წაკითხვისას, როგორც ეს პოემის 257-ე სტროფის აქ წარმოდგენილი ანალიზიდან, ვფიქრობთ, ჩანს. **თივასა** აღგვადგენინებს **თივისა** წაკითხვას, ეს კი ერთი იმ იშვიათ შემთხვევათაგანია, როცა ვახტანგის გამოცემაში მოიპოვება ისეთი წაკითხვა, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ძველ ხელნაწერში არაა დადასტურებული. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ან ვახტანგს ხელთ ჰქონდა ისეთი ხელნაწერი, რომელშიაც ასეთი წაკითხვა იყო და რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, და ვახტანგი ამ ხელნაწერის წაკითხვას დაემყარა; ან კიდევ, შეიძლება, ვახტანგს ასეთი ხელნაწერი არ ჰქონდა, მაგრამ ტექსტის ანალიზის თუ, შეიძლება, გარკვეულ ტრადიციაზე დამყარების შედეგად ეს წაკითხვა თვითონ მან შეიტანა ტექსტში. ორივე შემთხვევაში ეს ფაქტი ვახტანგ VI-ის რედაქტორული მუშაობის მაჩვენებელია.

მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში

„ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პოემაში უკვე დარღვეულია ის შეფარდება, რომელიც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში არსებობდა გავრცელების თვალსაზ-

[48] ამის შესახებ იხ. ივ. გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი (ერთი სტროფის ანალიზის მაგალითზე): „მაცნე“, 1966, № 3, გვ. 209—213. იხ. აგრეთვე აქვე, გვ. 7—58.

რისით ერთი მხრით, -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი და, მეორე მხრით, -ებ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმათა შორის: **-ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები პოემის ენაში ძველ ქართულთან შედარებით გაცილებით ხშირად გვხვდება.

შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა **გუბები,**
შიგან სისხლისა მორევსა ეყარის გიშრის **შუბები,**
მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა **რუბები,**
შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი **ტყუბები** (1446).
სამთავე სამად გაიყვეს თვითომან თვითო **კარები;**
თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა **დარები.**
მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები,
გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავისთავ ჰქონდა **ფარები**
(1412).

„ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რაზომმცა დია ირები:
შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა **პირები,**
ნუთუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგიადვილოს **ჭირები,**
მაგრა, თუ მოკვდე, გაზრდილო, ვისგანღა დავიტირები?"
(824).

შეიძლებოდა მოგვეყვანა მრავალი ანალოგიური მაგალითი.

ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ პოემის ენაში ძველი ქართულისაგან არსებითად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე როგორც **-ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმათა სიხშირის, ისე მათი გამოყენების ხასიათის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსნის" ენაში მაინც **-ნ** და **-თ(ა)** სუფიქსებიანი მრავლობითის ფორმებია გაბატონებული. **-ნ — -თ(ა)** სუფიქსებიანმა მრავლობითმა დიდხანს გაძლო ქართულ სალიტერატურო ენაში, გაძლო თითქმის თანამედროვე საფეხურამდე ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა. მაინც განსაკუთრებით გავრცელებული იყო ეს ფორმები პოეზიაში, ლექსის ენაში. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლექსში **-ნ — -თ(ა)** სუფიქსებიანი ფორმები ბატონობს; ძალიან ხშირია ასეთი ფორმები XIX საუკუნის II ნახევრის ლექსის ენაში და გვხვდება თანამედროვე ლექსშიც. ამდენად, „ვეფხისტყაოსანში" რომ ეს ფორმებია გაბატონებული, უჩვეულო არაფერია.

-ნ — -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითს პოემაში ისეთივე სინტაქსური თვისებები აქვს, როგორიც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ჰქონდა: ამგვარ მრავლობითში დასმული საზღვრული მრავლობით რიცხვში შეიწყობს მსაზღვრელს, ზმნაში აღინიშნება

მრავლობითობა ამგვარი მრავლობითის სახელობით ბრუნვაში დასმული სუბიექტისაც და ობიექტისაც და სხვ. მაგრამ პოემაში მაინც შეინიშნება, რომ ზოგიერთი ძველი ნორმის რღვევა უკვე დაწყებულა, კერძოდ, არის ნიშნები იმისა, რომ სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში უკვე შეიძლება არ აღინიშნებოდეს.

ამ თვალსაზრისით ანალიზი პოემის ენისა გართულებულია იმის გამო, რომ, ერთი მხრით, პოემის ძველ რედაქტორ-გადამწერთ, ხოლო მეორე მხრით, პოემის ტექსტის გამომცემელთ არაერთი ადგილი პოემისა გადაუსწორ-გადაუკეთებიათ და საკმაოდ ძნელია იმის გარკვევა, თუ რა მომდინარეობს უშუალოდ ავტორისაგან და რა არის გადამწერთა და გამომცემელთა შენატანი პოემაში.

სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობის ზმნაში აღნიშვნის საკითხთანაა დაკავშირებული -ენ/-ნ სუფიქსის გამოვლენა ო- და ე- პრეფიქსებიან ვნებითების მრავლობით რიცხვში დრო-კილოთა მეორე ჯგუფში. ამ მხრივ პოემაში მყარი ვითარება ჩანს: სუფიქსიანი ფორმები კარგადაა დაცული, მიუხედავად ამისა, პოემაში ახალი ფორმებიც შეინიშნება და არცთუ იშვიათად. მაინც ამ შემთხვევაში უფროა შემონახული ძველი ფორმები, ვიდრე სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის თვალსაზრისით.

„ვეფხისტყაოსანში“ დაცული ვითარება სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი ჩანს. სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა ქართულ სალიტერატურო ენას კარგა ხანს, თითქმის XVIII საუკუნის გასულამდე, შემორჩა, XIX საუკუნეში კი უკვე გაქრა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებშიღაა დაცული. რაც შეეხება პრეფიქსებიან ვნებითებში -ენ/ -ნ სუფიქსს დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმებში, იგი XIX საუკუნის სალიტერატურო ენაშიც არ იყო მთლიანად გამქრალი, ხოლო ამჟამად დაცული აქვს არა მარტო მთის კილოებს, არამედ ქართული ენის ძირითად დიალექტებს — ქართლურსა და კახურს.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში ამ მხრივ ჭრელი სურათია წარმოდგენილი. ამიტომ მათ ჩვენებაზე დამყარება ყოველთვის შეუძლებელი არაა.

მაგალითად ავიღოთ 458-ე სტროფი პოემისა.

მივეც ერთი დიდებული, თანა სპანი წავატანენ,
ციხოვანნი ერთობილნი ჩემს წინაშე მოვიყვანენ,

ხელთა მომცნეს სიმაგრენი, ომნი ასრე შევანანენ,
საპურპლენი სიმრავლითა რასამცა ვით დავაგვანენ!

ოციოდე ძველი ხელნაწერიდან, რომლებშიაც დაცულია ეს სტროფი, **წავატანენ, მოვიყვანენ, შევანანენ, დავაგვანენ** ფორმები თითო-ოროლაში გვხვდება მხოლოდ, დიდ უმრავლესობაში **წავატანე, მოვიყვანე, შევანანე, დავაგვანე** ფორმები იკითხება. რაც შეეხება **მომცნეს** ფორმას, იგი არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება, ყველგან **მომცეს** იკითხება. **მომცნეს** ა. შანიძის კონიექტურაა.

ამ შემთხვევაში ხელნაწერების ჩვენება ობიექტის მრავლობითობის ზმნაში გამოხატვას მხარს არ უჭერს.

ახლა მაგალითად ავიღოთ 758-ე სტროფი პოემისა.

ხამსა, კაცმან პატრონისა საწყინარსა არ დახედნეს,
ოდენ სიტყვა უმეცრული უალაგოდ დაიყბედნეს?
მე მაგისად მოსმენამდის რად არ ყურნი შემეჭედნეს!
შენ თუ მოგკლა, სისხლნი შენნი შენმან ქედმან მიიქედნეს![1]

ამ შემთხვევაში ყველა ხელნაწერის ჩვენება თითქმის ერთგვარია: ობიექტის მრავლობითობა ზმნაში ყველგან აღნიშნულია.

ამრიგად, ხელნაწერებში ამ ხელნაწერთა გადაწერის დროინდელი ვითარებაა მეტ-ნაკლებად ასახული: სადაც კი უმტკივნეულოდ იყო შესაძლებელი მრავლობითობის სუფიქსის ამოღება, ამოიღეს; რა თქმა უნდა, ბევრგან სუფიქსი შერჩა. ამასთან ერთად ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ სხვადასხვა გადამწერი სხვადასხვაგვარი თვალსაზრისით უცქეროდა საკითხს.

ამდენად, ხელნაწერთა ჩვენებები ამ საკითხში ყოველთვის სარწმუნო არაა.

თუ ხელნაწერთა ჩვენებები სარწმუნო არ ჩანს, სამაგიეროდ

---

[1] თითქმის ყველა გამოცემაში **ჩემმან ქედმან მიიქედნეს** იკითხება, მათ შორის s-ში (ა. შანიძისა და ა. ბარამიძისაში, 1966), t-ში („ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისაში, 1966. რედაქტორები — ი. აბაშიძე და გ. წერეთელი) და u-ში (1966 წლის საიუბილეო გამოცემაში). უნდა იყოს კი **სისხლნი შენნი შენმან ქედმან მიიქედნეს**, როგორც დაბეჭდა ს. კაკაბაძემ თავის პირველ (1913 წ.) გამოცემაში და შემდგომ პ. ინგოროყვამ 1953 და 1970 წწ. გამოცემებში. შდრ. 861: მოვკვდე, თავი არ მეწყალვის, **სისხლნი ჩემნი ჩემსა ქედსა!**

ლიტერები s, t, u „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისაა.

დამარწმუნებელი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს სარითმო სიტყვა-ფორმათა ანალიზი.

მაგალითად ავიღოთ 760-ე სტროფი პოემისა.

დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეალეწნა;
დააცთუნნა, მაგრამ მისთვის აალმასნა, არ აძეწნა:
„ვით მიამბე წასლვა მისი, ვინ ალვისა მორჩი ხე წნა!“
ვაზირისა ცრემლმან ცხელმან ღაწვნი თეთრნი აახეწნა.

ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის შემთხვევები ზმნაში ამ სტროფში ტაეპების შიგნითაცაა (**შემოსტყორცნა, ჰკრნა, დააცთუნნა, აალმასნა**) და სარითმო სიტყვებში (**შეალეწნა, აახეწნა**). პირველ შემთხვევაში ხელნაწერებში ისეთივე პრელი სურათი გვაქვს, როგორიც ზემოთ განხილულ შემთხვევაში გვქონდა: იკითხება **შემოსტყორცნა**-ც და **შემოსტყორცა**-ც, **ჰკრნა**-ც და **ჰკრა**-ც, **დააცთუნნა**-ც და **დააცთუნა**-ც, **აალმასნა**-ც და **აალმასა**-ც; სარითმო სიტყვებში კი ორივე შემთხვევაში ყველგან **-ნ** სუფიქსიანი ფორმებია ხელნაწერებში: **შეალეწნა** და **აახეწნა**, სხვაგვარი ფორმები არც შეიძლებოდა ყოფილიყო; დანარჩენ ორ სარითმო სიტყვაში (**აძეწნა** და **ხე წნა**) ნარები ორივეგან ფუძის კუთვნილებაა და მათი საკითხი არ დაისმის. რამდენადაც რითმა ამას ადასტურებს, არც **შეალეწნა** და **აახეწნა** ფორმებში დაისმის **-ნ** სუფიქსის საკითხი. ნარიანი ფორმები მოქმედი ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ენაში.

მაგრამ ხელნაწერების ჩვენებათაგან ამ საკითხში ყველაფერი ახალი, გვიანდელი მაინც არ ჩანს. ზმნის რიცხვში შეთანხმების დარღვევის შემთხვევები პოემის ტექსტში იმთავითვე უნდა ყოფილიყო და არცთუ იშვიათად, მაგრამ სრულიად გარკვეულ ვითარებაში.

მართლაც, როდესაც **-ნ** სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის რღვევა უნდა დაწყებულიყო ზმნაში, პირველ ყოვლისა ეს იმ შემთხვევებში უნდა გამხდარიყო შესაძლებელი, როცა ობიექტი პირველი პირისა იყო. **გვ-** პრეფიქსს რომ ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა დაეკისრა, ზმნაში ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ორი აფიქსი აღმოჩნდა: **გვ-** პრეფიქსი და **-ენ/ნ** სუფიქსი[2]. რაკი სუფიქსით ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა ისედაც

[2] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1946.

ქრობას იწყებდა სალიტერატურო ენაში, ამ შემთხვევაში ეს პროცესი უნდა დაჩქარებულიყო. „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება უტყუარი მაგალითი იმისა, რომ პირველი პირის ობიექტის მრავლობითობა სუფიქსით აღარაა აღნიშნული ზმნაში:

მიბრძანეს, თუ: „ღმერთმან ასრე დაგვაბერნა, **და-ცა-გვლია**:
ჟამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია;
ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია,
ყმისა არ-სმა არა გვაგვა, ამათ ზედან წაგვითვლია“ (508).

და-ცა-გვლია, რა თქმა უნდა, ერთადერთი წაკითხვაა პოემის ყველა ხელნაწერში და ეს წაკითხვა დავას არ იწვევს. ეს წაკითხვა „გადარჩა“ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში მხოლოდ იმის გამო, რომ სარითმო სიტყვას წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ, ობიექტის მრავლობითობა ამ ფორმაში აღნიშნული არ არის. იგი რომ შეგვეცვალა ისეთი ფორმით, რომელშიც ობიექტის მრავლობითობა აღნიშნული იქნებოდა, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში იქნა ამ რიგის ფორმები შეცვლილი, ეს გამოიწვევდა გადაულახავ სირთულეებს: საჭირო გახდებოდა ყველა ტაეპის სარითმო სიტყვაფორმების გადაკეთება ამის შესაბამისად, რაც, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი აღმოჩნდებოდა.

მეორე მხრივ, მესამე პირში მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი **-ნ** ადვილად იკარგებოდა იმ შემთხვევაში, როცა მას ზმნის ფუძისეული **ნ** თანხმოვანი უსწრებდა წინ. ამის მაგალითს გვაძლევს 516-ე სტროფის პირველი ტაეპი — „კვლა გაგზავნნეს სხვანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად“. ყველა ძველ ხელნაწერში **გაგზავნეს იკითხება** და არა **გაგზავნნეს**, როგორც ეს გამოცემებშია. ამ და ამ რიგის სხვა შემთხვევებში ხელნაწერებში შეიძლება სწორედ თავდაპირველი ვითარება იყოს შემორჩენილი.

გამოცემებში, განსაკუთრებით 1951 წლის გამოცემიდან მოკიდებული, ამ მხრივ გატარებულ იქნა სრულიად გარკვეული წესი: პოემის ტექსტი გასწორდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით; გასწორდა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევებში, როცა ასეთი გასწორების შედეგად არ ირღვეოდა ლექსის მეტრი და რითმა. მაგრამ სადაც ასეთი გასწორება უმტკივნეულოდ არ იყო შესაძლებელი, იქ დარჩა ძველი ვითარება. ამის ერთი მაგალითი ზემოთ იყო დასახელებული. ეს და ამგვარი სხვა შემთხვევები უნდა გამხდარიყო სწორედ იმის მანიშნებელი, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმა პოემის ენაში უკვე ირღვევა

და შეუძლებელია მისი აღდგენა, მაგრამ ძველი ქართულის ნორმების გატარებისადმი მისწრაფება იმდენად ძლიერი იყო, რომ გასწორებული ზოგი სხვა რიგის ფორმაც კი აღმოჩნდა.

ასე მაგალითად, 1030-ე სტროფში ასეთი ადგილია:

უსამ იყო ქარავნისა უხუცესი, კაცი ბრძენი.
მოახსენა ხოტბა სრული, დალოცა და უქნა ზნენი
(ავთანდილს).

უსამმა ავთანდილს **ზნე უქო, ზნენი — უქნა.**

ამ **უქნა**-ს ნაცვლად მ. ბროსეს გამოცემაში **უქმნა** დაიბეჭდა. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს იყო კორექტურული შეცდომა, რამდენადაც არც ერთ ხელნაწერს ასეთი წაკითხვა არ მოეპოვება და ვახტანგ VI-ის გამოცემაშიც **უქნა** იკითხება. **უქმნა** წაკითხვა გაიმეორა დ. ჩუბინაშვილმა, მურმე განმეორდა ეს წაკითხვა ნ. ქართველიშვილის გამოცემაში და გაიმეორეს დ. კარიჭაშვილმა და იუსტ. აბულაძემ თავიანთ პირველ გამოცემებში. შემდგომს გამოცემებში ტაეპი გასწორდა და **უქნა** წაკითხვა აღდგა ყველგან, მაგრამ... კვლავ დაისვა საკითხი ამ წაკითხვის შეცვლისა: „...დალოცა და **უქნა** ზნენი. უნდა: **უქმნნა ზნენი**“[3]

ასეთი წაკითხვა ტაეპისა და აქედან გამომდინარე გაგება მისი შინაარსისა არ გაიზიარა ალ. ბარამიძემ. ყველაფერს ამას მან დაუპირისპირა ტაეპის საკუთარი გაგება („ქარავანთა უხუცესმა ავთანდილს ხოტბა მოახსენა და ზნე შეუქო“-ო) და ეს ტაეპი ფრაზეოლოგიური პარალელიზმის ნიმუშად მიიჩნია[4].

როგორც ჩანს, ეს გარემოება იყო საფუძველი იმისა, რომ ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით გამოსულ „ვეფხისტყაოსანში“ (s) ასეთი ცვლილება ტექსტისა აღარ ასახულა.

სხვა მაგალითი:

1033-ე სტროფის პირველი ტაეპის — „თქვა: ქარავანი ეგვიპტით გამოვემართეთ ერითა“ — გასწორების საკითხი დაისვა შემდეგი მოსაზრებისა გამო:

„გამოვემართეთ ვნებითი გვარის ფორმაა და XII-XIII ს-ის სალიტერატურო ენაში შეუძლებელია; უ ნ დ ა: «გამოვემართენით». მაგრამ ეს მეტია ერთი მარცვლით და არ გამოდგება. «გამოვჰმარ-

---

3 ა. შ ა ნ ი ძ ე, „ვეფხის-ტყაოსნის“ ენის საკითხები, II: „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, თბ., 1956, გვ. 032.

4 ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1958, გვ. 270; აგრეთვე: ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 340.

თეთ» კი ერთი მარცვლით ნაკლებია და არც ეს გამოდგება. ამიტომ ერთადერთი შესაძლებელი შესწორება თითქო ეს იქნება:

თქვა: **ჭარავანი** ეგვიპტით **გამოვემართენთ** ერითა.

«გამოვემართენთ» ძველისძველი ფორმაა. ვნახოთ, რას გვეტყვის ხელნაწერები".

ყველა ხელნაწერმა, უგამონაკლისოდ, **გამოვემართეთ** ახალ ფორმას დაუჭირა მხარი და თანაც ისეთ კონტექსტში, რომ ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ამით ისიც დადასტურდა, რომ „ვეფხისტყაოსანში" მრავალი ახალი ფორმა მოიპოვება, რა თქმა უნდა, ძველთან ერთად, ხოლო პოემაში ძველისძველი ფორმების ძიება დაუშვებელია.

ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოსულ „ვეფხისტყაოსანში (s) არც ეს ცვლილება ასახულა.

მეტად დამახასიათებელია **იარა — გაიარა** ზმნასთან დაკავშირებული ზოგი გარემოება.

როდესაც 812-ე სტროფში იკითხება — „რა ილოცა, ცხენსა შეჯდა, მალვით კარნი **გაიარნა**", ხოლო 1330-ე სტროფში — „ტარიელისკენ **იარნა** მან გზანი საწყინარენი" — ამ ზმნათა ფორმებში **-ნ** სუფიქსის წარმოჩენა საკმაებით კანონზომიერია: ერთ შემთხვევაში **კარნი**, ხოლო მეორე შემთხვევაში — **გზანი -ნ** სუფიქსიანი მრავლობითის სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტებია.

მაგრამ პოემის ტექსტში გვხვდება ასეთი სტრიქონები:

წინა-უკანა **იარნეს** ორნი დღენი და ღამენი (218).

იარნეს დღენი მრავალნი ლაღთა, ბრძნად მოუბარეთა (1495).

ერთგან ფრიდონ და ავთანდილ **იარნეს** დღენი მცირენი (1661).

ხელნაწერთა უმრავლესობაში შესაფერ ადგილებში ყველგან **იარეს** იკითხება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ენაში ახალი ვითარების შექმნის მაჩვენებელი და, მაშასადამე, ხელნაწერთა გადამწერლების შენატანი ტექსტში. ამ შემთხვევებში **იარეს** ფორმა იმთავითვე უნდა ყოფილიყო პოემის ტექსტში სათანადო ადგილებში ყველგან. საქმე ისაა, რომ **დღენი, დღენი და ღამენი** ამ მაგალითებში ობიექტები არაა, ამიტომ არც ზმნაში მათი მრავლობითობის აღნიშვნის საკითხი შეიძლება დადგეს. **დღენი, დღენი და ღამენი** ამ შემთხვევებში გარემოებითი სიტყვებია, დროის აღმნიშვნელი, და ისეთსავე ფუნქციას ასრულებენ, როგორც მათი ტოლფასი მხოლობითი რიცხვის ფორმები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

გამოემართა ავთანდილ, მოყმე მხნე, ლაღად მავალი,
ოც დღე იარა... (147).

სამ დღე ვიარე, მემთხვია სხვა კაცი მისვე ხანისა (428).
ნახევარ დღე სხვა ვიარე, ჰირსა თავი არ ვაკრძალე (438).

ამიტომ, არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად, როცა უკანასკნელ გამოცემებშიც (s, t, u, y) **-ნ** სუფიქსიანი ფორმებია დატოვებული ამ ტაეპში.

მრავლობითობის გამოხატვის თვალსაზრისით სხვა მსგავსი ფაქტების დასახელებაც შეიძლებოდა. მაგალითად, არ შეიძლება არ დაგვაეჭვოს იმ ფაქტმა, რომ 1191-ე სტროფის მე-4 ტაეპში, რომელიც უკანასკნელ გამოცემებში ასეა წარმოდგენილი — „რა მისჰირდეს, მაშინ **უნდან** გონებანი გონიერსა“ — არც ერთ ხელნაწერში **-ნ** სუფიქსიანი ფორმა არ მოიპოვება.

ამგვარი მაგალითების გამრავლება ადვილია. აქ განხილული რამდენიმე მაგალითიდანაც საკმაოდ ნათლად უნდა ჩანდეს, რომ ძველი ქართულის ნორმების უყოყმანოდ გავრცელება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე არ შეიძლება, რომ პოემის ენაში უკვე დაწყებულია ამ ნორმების რღვევა ობიექტის (და სუბიექტის) მრავლობითობის ზმნაში აღნიშვნის თვალსაზრისით.

ახლა საკუთრივ **-ნ — -თ** სუფიქსებიან მრავლობითში დასმული სახელების თავისებურებათა შესახებ „ვეფხისტყაოსანში“. პირველ რიგში განვიხილავთ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ამგვარი მრავლობითის ფორმით გვევლინებიან, თუმცა მრავლობითის შინაარსი არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ.

მოგვყავს რიცხვითი სახელის **-ნ — -თ** სუფიქსებიან მრავლობითში დასმის რამდენიმე შემთხვევა.

რა ერთსა გცემდენ **ათასნი**, ეგრეცა მოგერევიან (435).
თქვა: „უცილოდ გაიპარა, ვინ მარტომან **ასთა** ავნის“ (818).
ჰკითხე **ასთა**, ქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გივაზიროს (883).

არც ერთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, რეალური მრავლობითის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება.

ქვემოთმოყვანილ მაგალითებში კი მრავლობით რიცხვში დასმული რიცხვითი სახელი არსებით სახელთან მრავლობითში შეთანხმებულ ფორმას წარმოადგენს:

მომართვნეს **ასნი კლიტენი** ჰსთავე საჭურჭლეთანი (487).
მოასხნა **ოთხნი მონანი**, მისანდობელნი გულითა (2019).
მოვიხმენ **ოთხნი მონანი** ჩემსა წინაშე მდგომელი (1133).
მე **ორნი შავნი მონანი** მყვანან სავსენი გრძნებითა (1238).

და მრავალი სხვა.

ერთი მაგალითი მოიპოვება რიცხვითი სახელის დასმისა -ებ სუფიქსიან მრავლობითში, ოღონდ ამ შემთხვევაში რეალური მრავლობითის გამომხატველი ფორმა გვაქვს, ერთზე მეტი სამი ათასის შესახებაა ლაპარაკი.

გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირნასები,
ათი ათასი ჭაბუკი დგას, ყველაკაი ხასები,
ქალაქის კართა სამთავე — **სამათას-სამათასები** (1243).

მეორე მხრივ, -ნ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი პოემაში კნინობითობის -ა სუფიქსიანი ნაწარმოები ფუძეები.

თუ არ დავბრუნდე, საძებრად დავყვნე სხვანიცა **ხანანი**... (187).
ამოძვრეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა **ფისანი** (626).
ტირილი მიჩნდის ლხინად და მდინდიან ცრემლთა **ფონანი** (590).
დავჰვედრე: „სადა მე მევლოს, ვლენით იგივე **ველანი**“ (427).
დღეს რომე მესმნეს ამბავნი უკვდავებისა **სწორანი**... (1268).
უბრძანა: „ქაჯეთს გაგგზავნი, წა, გზანი გისხენ **შორანი**“ (1268)
მუნ ვარდსა შუა შვენოდეს ძოწ-მარგალიტნი **ტყუბანი** (480).
მათ ლაშქართაგან სამასნი კარგი მოყმენი **ქველანი**... (427).
„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია, ჩვენებრვე **ხორციელანი**“.
ავთანდილ მადლი უბრძანა: „ცეცხლნი დამიყვნეს **ცხელანი**,
დიდად მეამნეს ამბავნი, სიტყვანი **აწინდელანი**“ (1249).
მივიდეს, ჰკადრნეს მეფესა **საქმენი დასაგვანანი** (187).
ჩემნი გულისა მდებელნი და ჩემნი **შემაგონანი** (590).
სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ მართ **მეოტანი** (1387).
ქვაბი ჩავლეს და წავიდეს ზახილით ცრემლთა **მდენანი** (944).

რიცხვითი სახელი

თვენი ესხნეს **ორანიღა**, ამად სულთქვამს, ამად იშობს (185).

მასდარი -ნ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმით

ცნობანი, ნადიმობანი, გმობანი

პირველ გაჭრისა პირება, მერმე დაწყნარდეს **ცნობანი**;
ჩემთა სწორთაგან იყვნიან ჩემს წინა **ნადიმობანი**;
მაგრა დამშლიდეს ლხინთაგან სურვილთა დიადობანი,
ზოგჯერ შემცვიან სევდათა, ვთქვნი საწუთროსა **გმობანი** (390).

თმენანი

ვაჲ, ჰირნი ჩემნი ეზომნი, ვაჲ სიცოცხლისა **თმენანი**! (944).

თქმანი

დადგა, თვალნი გაურეტდეს, დაავიწყდეს სიტყვის **თქმანი** (983).

ღვრანი, წვანი

მოეხვივნეს ერთმანერთსა, გაამრავლნეს ცრემლთა **ღვრანი,**
აკოცეს და განუახლდეს მათ ორთავე მათნი **წვანი** (1024).

შველანი

ახლოს მომდევდით, მიშველდით, გიხმობ, თუ მინდენ **შველანი** (427).

ხლებანი, დებანი, თნებანი

...მაშინღა მივალ არაბეთს, მომხვდენ მის მზისა **ხლებანი;**
ოდესცა სწადდეს, დამივსნეს ამა ცეცხლისა **დებანი,**
სხვა თქვენგან არა არ მინდა, მძულან ცუდნიღა **თნებანი** (1479).

სრბანი, სალმობანი, წყალობანი

მაშინღა იცნეს ტარიელ, მათგან მი და მო **სრბანია,**
სრულად ნათლითა აივსო ზღუდე და ბანისბანია.
ხმამაღლად ხმობდეს, იზახდეს: „მოგვმორდეს **სალმობანია,**
აქამდის რისხვამაღალმან აწ მოგვცნა **წყალობანია**“ (1621).

გონებანი

შენთვის ხელნი **გონებანი** არა ცუდად არიანო (1537).

დალრეჯანი

თქვენნი აგრე **დალრეჯანი** მნათობთაცა დაამხობდეს (107).

დიდებანი

ერთსა მიჰხვდეს საზიანოდ, **დიდებანი** იასოცნეს (1455).
ზედა დასხდეს ხელმწიფურად, **დიდებანი** უდიადნეს (1639).

რისხვანი

მართალ ხართ, თუმცა **რისხვანი** ჩემთვის იანაზდენითა (755).

წყალობანი

კარგა ჰჭმენო, დაუმადლა, **წყალობანი** უიმედნა (61).

ცნობანი

აკოცეს და ა-ცა-ტირდეს, კვლა **ცნობანი** ააჩქარნეს (916).

შებმანი

...მაგრა ტარიას **შებმანი** არვისგან მოსანდომნია (1411).

ჰამა-სმანი

მოიუბნეს; ვაზირმან ქმნნა **ჰამა-სმანი** პათნი ფერნი (770).

გაურანი

თამაშობდიან, არ იყვნეს ყოლა **გაურანი** სმისანი (1560).

ქებანი

ვთქვენი **ქებანი** ვისნი მე არ ავად გამორჩეული (4).
პირველ ზნენი და საქმენი, **ქებანი** მათ მეფეთანი (1667).

სი- — -ე აფიქსებით ნაწარმოები სახელები

გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი **სიამაყენია** (193).
მივუწერე: „მზეო, შუქი შენი, შენგან მონაფენი,
გულსა მეცა, გამიცუდდეს **სიჩაუქე-სიალფენი;**
ხელმან შენნი გავიცადენ **სინატიფე-სიტურფენი...**“ (503).
მე გავეკვირვე ჰვრეტასა მის ყმისა **სინაზეთასა** (597).
შუნ ბადახშსა აშვენებდეს **სინატიფე-სინაზენი** (1493).
მასთანა მჯდომსა ტარიელს ჰშვენიან **სინაზენია** (1549).
თვით ამანვე მოგაწონნეს **სახედნობა-სიფიცხენი** (647)[5].

-ობა სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელიცაა წარმოდგენილი **-ნ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმით.

მაგრა დამშლიდეს ლხინთაგან სურვილთა **დიადობანი** (390).

მოვიყვანთ მრავლობითის ფორმათა თვალსაზრისით კიდევ ერთ დამახასიათებელ სტროფს.

იტყვის: „ღმერთო, **სამართალნი** შენნი ჩემთვის რად ამრუდენ?
მე ეზომნი **სიარულნი** კიდე რად, გლახ, გამიცუდენ,
გულით ჩემით **სიხარულნი** აღჰფხვრენ, ჰირნი დააბუდენ“ (189).

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ის შემთხვევები, როდესაც **-ნ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი ისეთი არსებითი სახელები, რომელთაც მოცემულ კონტექსტებში არ შეიძლება რეალურად მრავლობითის შინაარსი ჰქონდეთ.

თინათინს „გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს **ყარყუმნი უსაპირონი**“ (123); ნესტანს მონებმა „ზღვითკე გაარნეს **სარკმელნი**, მაშინვე გაუჩინარდა“ (582); ქაჯი მონა მოუთხრობს ამხანაგებს: „მივემოწმენით, **თათბირნი** არ კიდე გავაკიდენით“ (1234); ტარიელი „ცხენსა შეჯდა, მონათამცა **საუბარნი** რად იყურნა“ (93); ტარიელს **„საყელონი** გარდეხევნეს, თავი სრულად გაეგლიჯა“ (868); ტარიელი უყვება ავთანდილს: „შიგან ვწევ **დიდთა დარბაზთა** ტურფითა საგებელითა“-ო (349).

---

5 უახლეს გამოცემებში (s, t, u, y) ამ ტაეპში **სახედრობა** იკითხება, რაც შეცდომაა. მაინც ამ წაკითხვის დასაბუთება ამ გამოცემათა რედაქტორებს არ წარმოუდგენიათ.

აბჯარი ყველგან მხოლობითის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ (403): „ტაიჭთა მათთა სიმალე, **აბჯართა** ხვარაზმულობა“; (1599): „ერთხელ შემებნეს, დავხოცენ, შევქმენ **აბჯართა** ფეთანი“.

საჯდომი, ჩვეულებრივ, აგრეთვე მხოლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ (338): „მათ **საჯდომთა** ახლოს დამსვეს, პატივს მცემდეს ძისა დარად“.

თუ ამ შემთხვევაში კიდევ როგორღაც შეიძლება დაეჭვება, 481-ე სტროფიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ რეალურად ერთი საჯდომის შესახებაა ლაპარაკი, მაგრამ: „დედოფალი **საჯდომთაგან** ადგა, წინა მომეგება“.

კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს ამგვარივე ვითარება 691-ე სტროფის პირველ ტაეპში: „ფრიდონ **საჯდომნი** დამიდგნა ადგილსა საპატრონოსა“; აგრეთვე 1478-ეში: „ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე: ინდოეთს გნახო მორჩმული, **საჯდომთა** ზედა მჯდომარე“.

ფრიად საყურადღებოა კიდევ ორი მაგალითი.

ერთი მათგანია **სკამნი**.

სკამი ხუთჯერ გვხვდება პოემაში. ოთხ შემთხვევაში იგი მხოლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი და ეს სავსებით შეეფერება რეალურ ვითარებას: როსტევანს „ერთიღა ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის **სკამითა**“ (103); ტარიელი ამბობს: „რა მივე, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე **სკამითა**“ (507); თინათინმა „ყმა მზიარული წინაშე დასვა **სკამითა** მისითა“ (695); „ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვნა, დაჯდა **სკამითა**“ (1062).

მაგრამ როსტევანი ვაზირს რომ გაუწყრა, — „დადრკა, **სკამნი** შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეალეწნა“ (76).

სრულიად უდავოა, რომ ნამდვილად **ერთი სკამი** შემოსტყორცნა როსტევანმა ვაზირს.

მეორე მაგალითია **სელნი**.

თინათინმა რომ ავთანდილი მიიწვია, — „მონამან **სელნი** დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა“ (124).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მრავლის მთქმელია ერთი არსებითი სახელის ფორმები. ესაა **რიდე**. **რიდე** საკმაოდ ხშირად გვხვდება პოემაში.

ასე მაგალითად, ტარიელის ქვაბთან დამალული ავთანდილი ხედავს, რომ „გათენდა, ქალი გამოდგა, მოსილი მითვე ფერითა, შავსა აუდგა ლაგამი, სწმენდდა **რიდისა** წვერითა“ (225);

ავთანდილი რომ მოვიდა დილით როსტევანთან სანადიროდ წასასვლელად, „პიროქრო რიდე ეხვია, შვენოდა ქარქაშოსანი“ (72);

მებაღე მოახსენებს ფატმანს ავთანდილის შესახებ: „ჰშვენის ჯუბა და მოხვევა ძოწეულისა **რიდისა**“-ო (1073);

ფატმანი უყვება ავთანდილს: „ვიმღერდი და ვყმაწვილობდი, ვიცვალებდი **რიდე**-თმასა“-ო (1125);

ფატმანმა უძღვნა ავთანდილს „...მრავალი კაბა, ყაბაჩა, **რიდეები**“ (1255);

„გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოველი“ და „კაცი მოვიდა, აევსო ჯუბაჩითა და **რიდითა**“ (525);

როდესაც ავთანდილი მოუყვა ფრიდონს ტარიელის ამბავს, „ლაშქართა შიგან შეიქმნა ხმა ტირილისა დიდისა, ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან სრევა **რიდისა**“ (1006);

თინათინს „გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი, ებურნეს მოშლით **რიდენი**, ფასისა თქმად საჭირონი“ (123) და თინათინი „დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა **რიდითა**“ (124).

ზემომოყვანილ მაგალითებში **რიდე** ყოველგან მხოლობით რიცხვშია 123-ე სტროფისა და კიდევ ერთი შემთხვევის გარდა, როცა ეს სიტყვა -ებ სუფიქსიან მრავლობითშია წარმოდგენილი: „მრავალი კაბა, ყაბაჩა, **რიდები**“. ამ შემთხვევაში ეს **რიდები** (=რიდეები) რეალური ვითარების ამსახველია: **ფატმანმა უძღვნა ავთანდილს არა ერთი რიდე, არამედ მრავალი** (სინტაქსურ შეხამება-შეუხამებლობას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკანასკნელი მაგალითი: თინათინს „ებურნეს მოშლით **რიდენი**“ და იქვე —„დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა **რიდითა**“. აქ ხომ **ერთსა და იმავე რიდეზეა ლაპარაკი**, მაგრამ ეს სიტყვა ერთ შემთხვევაში -ნ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმითაა ნახმარი, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლობითი რიცხვის ფორმით!

ცალკე უნდა განვიხილოთ **ერთი რიდის** ფორმები.

როდესაც ტარიელმა დაინახა ზატაელები და „ქვეყანა ჩაახა“, „საჭურჭლენი გარდანახნა“. აქ იპოვა მან „საკვირველი ყაბაჩა და **ერთი რიდე**“. ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს:

ვერა შევიგენ. რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად!
კისცა ვუჩვენი, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად;
არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არ ორხაულად;
სიმტკიცე ჰგვანდის ნაქედსა, ვთქვი ცეცხლთა შენართაულად
(461).

„იგი საძღვნოდ მისად დავდევ, ვისი შუქი მანათობდა“-ო — დასძენს ტარიელი. **ეს რიდე პირველად დასახელებისას მხოლოობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.**

მეორედ პოემაში **ეს რიდე** გამოჩნდება მაშინ, როცა გამარჯვებული ტარიელი ბრუნდება ინდოეთში და მას დიდი ზეიმით შეხვდებიან. „**რიდენი** რომე მეშოვნეს ქალაქსა ხატაელთასა, იგი მეხვიენეს, მშვენოდეს, ვახელებ გულსა ხელთასა“ (479) — მოუთხრობს ტარიელი. **რიდე უკვე -ნ სუფიქსიან მრავლობითშია დასმული.**

ნესტანმა ნახა ამ ზეიმზე ტარიელი, წიგნი და სამკლავე გაუგზავნა, შეუთვალა — „ესე სამკლავე შეიბი“-ო და თან სთხოვა: „იგი მე მომცენ **რიდენი**, რომელნი წელან გშვენოდეს“-ო (496). **ეს რიდე ისევ ნ სუფიქსიან მრავლობითშია წარმოდგენილი.**

ტარიელი განაგრძობს:

წიგნი რა ვნახე, მომართვა ესე საბამი მკლავისა,
მკლავსა შეიბი მაშინვე, მოვიხსენ **რიდე** თავისა,
იგი, უცხო და ღარიბი, მტკიცისა რასმე შავისა... (502).

რიდე უკვე მხოლოობითი რიცხვის ფორმაშია.

ტარიელმა **რიდე** გაუგზავნა ნესტანს და საპასუხო წიგნიც მისწერა: „განაღამცა ვიწინაშე, აჰა **რიდე**, რომე მთხოვე“-ო, — მისწერა (505). **რიდე კვლავ მხოლოობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.**

ვითარება შეიცვალა: ხვარაზმშას შვილი მოვიდა ინდოეთს. განრისხებული ნესტანი იბარებს ტარიელს. ტარიელი ასე გადმოგვცემს ნესტანთან შეხვედრას: „იყო არ-ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი, ებურა მოშლით პიროქრო **რიდე**, მე მივეც რომელი“ (521). **რიდე კვლავ მხოლოობით რიცხვშია.**

ვითარება კვლავ იცვლება. ასმათი უყვება ტარიელს ნესტანის გატაცების ამბავს: „პატრონი ჩემი აგრევე იყო, წამოხვე შენ ოდეს, შენეულნივე **რიდენი** ებურნეს, ტურფად ჰშვენოდეს“ (577). **რიდე უკვე მრავლობითი რიცხვის ფორმით მოგვევლინა.**

ფატმანი უყვება ავთანდილს, თუ როგორ ნახა პირველად, რომ ნესტანი მოჰყავდათ ნავით ზანგებს: „მით ნაოდაღმა, მათ რომე მოჰყვანდა კიდობანითა, აჰხადეს, ქალი გადმოსვეს უცხოთა რამე ტანითა, თავსა **რიდითა** შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა...“ (1131). ამ სტროფში **რიდე** მოქმედებით ბრუნვაშია და, ბუნებრივია, **მხოლოობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.** ასევე ანალოგიური ვითარებაა ცოტა ქვემოთ, როცა ფატმანი განაგრძობს ავთანდილი-

სათვის თხრობას: ნესტანსო „არად უნდის საბურავი, არცა წოლა საგებლითა, მიწყივ იყვის რიდითა და მით ერთითა ყაბაჩითა“ (1148).

მაგრამ ფატმანი განაგრძობს თხრობას ნესტანის შესახებ და შემდგომს, 1149-ე სტროფში ვკითხულობთ:

სხვა გიამბო საკვირველი რიდისა და ყაბაჩისა;
ვარ მნახავი ყოვლისავე უცხოსა და ძვირფასისა,
მაგრა მისი არა ვიცი, ქმნილი იყო რაგვარ რისა;
სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე — ნაუედისა.

კვლავ ანალოგიური ვითარებაა.

ფატმანი გზავნის გრძნეულ მონას ქაჯეთში და სწერს ნესტანს: „რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამჟღავნე, მერმე შენსა საყვარელსა ნიშანი რამ გაუგზავნე“-ო (1274). ნესტანი უპასუხებს ფატმანს: „გეთქვა ნიშნისა გაგზავნა, აწ ესე განამჟღავნია, მისეულთავე რიდეთა ნაკვეთი გამიგზავნია“-ო (1291), ხოლო ტარიელს სწერს: „აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა **რიდისა!** გარდმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა“-ო (1309). შემდეგ ნესტანმა „ესე წიგნი, საყვარელსა მისსა თანა მინაწერი, რა დაწერა, გარდაჰკვეთა **მათ რიდეთა** ერთი წვერი“ (1310). **რიდეთა, რიდისა, ისევ რიდეთა!**

და ბოლოს, ნესტანის წიგნი და „**რიდეთა** ნაკვეთი“ წამოიღო ფატმანისგან ავთანდილმა და გადასცა ტარიელს:

„წიგნი და კიდე **რიდისა** იცნა და გაცაშალა მან,
პირსა დაიდვა, დაეცა, ვარდმან, ფერითა მკრთალამან“ (1340).

აქ მოყვანილ ყველა სტროფში **ერთისა და იმავე რიდის**, ე. ი. რეალურად არსებული **ერთისა და იმავე საგნის შესახებაა ლაპარაკი.** ამ საგნის სახელი რვაჯერ მხოლობითი რიცხვის ფორმაშია (ოთხჯერ სახელობით ბრუნვაში, ორჯერ — ნათესაობითში, ორჯერაც — მოქმედებითში), ხოლო ხუთჯერ -ნ — -თ სუფიქსებიან მრავლობითში (სამჯერ — სახელობით ბრუნვაში, ორჯერ — ნათესაობითში).

სრულიად ცხადია, რომ **რიდენი**-სა და **რიდეთა**-ს რეალური შინაარსი სავსებით ისეთივეა, როგორიც ამავე სიტყვის მხოლობითი რიცხვის ფორმისა.

როგორც ჩანს, ამგვარი ფორმები ჯერ კიდევ პოემის გადამწერთა დაეჭვებას იწვევდა. ამიტომაც არაერთ ადგილს ასწორებდნენ კიდევაც. ამის შედეგია ის სიჭრელე, რომელსაც ასეთი ფორმების გადმოცემისას ეხვდებით ძველ ხელნაწერებშიც კი. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი ცნობილი ადგილი 124-ე სტროფიდან —

„მონამან სელნი დაუდგნა...“ სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი ხელნაწერებში: ა) სინტაგმის ორივე წევრი მრავლობითშია (**სელნი დაუდგნა**); ბ) სახელი მრავლობითშია, ზმნა მხოლოობითში, ე. ი. სახელობით ბრუნვაში და -ნ სუფიქსიან მრავლობითში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში აღნიშნული არაა (**სელნი დაუდგა**); გ) სახელი მხოლოობითშია, ზმნა — მრავლობითში (**სელი დაუდგნა**); დ) სახელიცა და ზმნაც — ორივე მხოლოობით რიცხვშია (**სელი დაუდგა**); ამ უკანასკნელის ვარიანტია სკამი დაუდგა. ეს ფორმა შემდგომაც იწვევდა დაეჭვებას, მკვლევართა მხრივაც.

საერთოდ, მსგავს ფორმებს არაერთხელ გამოუწვევიათ მკვლევართა ეჭვი.

ასე მაგალითად, 349-ე სტროფის სტრიქონებში — „შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა, ზედ დამტიროდეს მეფენი ცრემლითა უშრობელითა“ — მეფესთან ერთად დედოფალსაც გულისხმობდნენ მკვლევრები. ასევე რეალურ მრავლობითს (მეფესა და დედოფალს) ვარაუდობდნენ ტაეპებში — „შენსა ნახვასა **მეფენი**, — თქვეს, — მართლად ინატრიდესა“ (430), „ნუ სჭმუნავთ ჩემთვის **მეფენი**, ნუ ხართ მოსილნი ბნელითა“ (807), „მე, **მეფეთა** დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა“ (533). მაგრამ მეფესთან ერთად დედოფლის ვარაუდი გამორიცხულია 945-ე სტროფში, სადაც როსტევანის ნადირობისა და მის მიერ უცხო მოყმის ნახვის შესახებ მოუთხრობს ავთანდილი ფრიდონს: „მათ სპათაგან ვერ-შეპყრობა ცნეს **მეფეთა** მეტად მწყრალთა...“.

ამ ფაქტს მიექცა რუსთველოლოგთა ყურადღება და კვალიფიცირებულ იქნა როგორც ე. წ. დიდებულების მრავლობითი (pluralis majestatis)[6].

კნინობითობის -ა სუფიქსიანი ფორმების ფართოდ გავრცელებას „ვეფხისტყაოსანში“ და დასმას -ნ სუფიქსიან მრავლობითში, აგრეთვე ამავე მრავლობითში აბსტრაქტული სახელების წარმოდგენის საკითხს ეხებოდა ნ. მარი. ჯერ კიდევ თავის ცნობილ გამოკვლევაში «Древне-грузинские одописцы» იგი წერდა «Появление ა вм. о для рифм наблюдаем весьма часто и в Барсовой коже»[7]. და ქვემოთ: «Гораздо важнее для нас знать,

---

[6] ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 8, II. 1952; ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 305—306.

[7] Н. Марр, Древнегрузинские одописцы: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. IV, СПб., 1902, стр. 31.

что под давлением рифм и в Барсовой коже наблюдаются не только искусственные построения речи, но и искусственные формы, и это не менее, чем в одах. Между тем размер и вообще система стихосложения романтической поэмы, сравнительно с одами Тамаре, представляют автору такой простор, что можно было и не ждать в ней насильованных форм... Особенно часто прибегает Руставели в Барсовой коже по требованию рифмы к щедрой постановке ა, напр. ცრასა, დასაგვანანი, მონატანას, ხანას, შაოსანამან, ბნელასა, მრთელასა, ფონანი, ტანასა...“[8].

როგორც ცნობილია, ეს -ა სუფიქსი ნ. მარს მიცემითი ბრუნვის ნიშნის პირვანდელი სახეობის (-ას) შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა. მან ზემოდასახელებული ნაშრომის გარდა სხვა ნაშრომშიც მიაქცია ყურადღება ამ -ა სუფიქსის ხმარებას „ვეფხისტყაოსანში“. ნ. მარი წერდა: «Довольно распространено образование Д'-го (дательного I-го) с первичным видом окончания -ას в поэзии, так у Шоты: დიდსა ხან-ას... долгое время (в рифме) вм. დიდსა ხანსა“[9]. მაგრამ მკვლევარი, როგორც ჩანს, დააეჭვა იმ ფაქტმა, რომ ეს ა სხვა ბრუნვებშიც გვხვდება, და იქვე განაგრძობდა: „.. Но это может быть связано с тем, что у месхского поэта излюблены основы с -ა в качестве ласкательных или вообще народных, независимо от Д'-го (дательного I-го), напр. им. ერთა-ი вм. ერთ-ი одинокий, Д'''(дательный II) დარაჯა-მან стража вм. დარაჯ-მან“[10].

აზრი „ვეფხისტყაოსანში“ ხელოვნურ ფორმათა უხვად გამოყენების შესახებ შემდგომ განავითარა იუსტ. აბულაძემ. მისი აზრით, პოემაში არის **„აუარებელი ხელოვნური ფორმა“**, რომლებიც **„რითმისა და ლექსის საჭიროებით არის გამოწვეული“**. ამგვარ ფორმათა წყარო „ხალხური ენაა“ (sic!): ამ უკანასკნელის თვისებები კი „მდგომარეობს ერთისა და იმავე სიტყვის ნაწილაკის ან პრეფიქსის, ნაცვალსახელის, გულით ნასროლის (შორისდებულის), უარყოფითი კავშირების და სხვათა განმეორებაში“. პოეტი ამითაც

---

[8] Н. Марр, Древнегрузинские одописцы: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. IV, СПб, 1902, стр. 68—69.

[9] Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, стр. 23.

[10] იქვე.

არ კმაყოფილდება: „იგი ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა ფორმით ჰხმარობს... ხან ამოკლებს, ხანაც ავრცელებს... **ხან ჩაურთავს სიტყვის ამა თუ იმ ფორმაში ზედმეტ პრეფიქსებს, ან სუფიქსებს...**“ შემდეგ მკვლევარი ყურადღებას აქცევს „როგორც შემოკლებულს, ისე გავრცელებულს და ზოგჯერ **მეტისმეტად ნაძალადევ, ხელოვნურ ფორმებს, რომლებიც შვენიერია პოეტის ქმნილებაში, ხოლო საჩოთირო და შეუფერებელი სასაუბრო ენისათვის**“. ასეთია, მაგალითად, „თანხმოვანი არსის სახელის გასახვა ისე როგორც ხმოვანი ა-ნ საფუძვლის არსის სახელისაგან“, „რასაც ეტყობა გავლენა მოუხდენია ხალხურ სასაუბრო ენაზედაც, რადგან ხალხი იმერეთში დღესაც ჰხმარობს ამგვარ ფორმებს“-ო[11].

ამგვარი შეხედულებები თითქოს უკვე განვლილ ეტაპს წარმოადგენდა რუსთველოლოგიაში. მაგრამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა ივ. იმნაიშვილის გამოკვლევა „რუსთველის რითმა“[12], რომელშიაც ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ რითმის ანალიზისას ზემოთ განხილულ და მისთ. ფორმებსაც ეხება, ხოლო თეზისი რუსთაველის პოემაში (კერძოდ, რუსთაველის რითმაში) ხელოვნური ფორმების ნაჭარბევად გამოყენების შესახებ განვითარებულია და უკიდურესობამდეა მიყვანილი.

„რუსთველი ყოველმხრივ ცდილობს, რომ თუ სადმე რითმის რომელიმე ცალში აღმოჩნდა ზედმეტი ბგერა, ამოაგდოს იგი და სიტყვა ბგერანაკლულად იხმაროს, ან თუ დააკლდა რომელიმე ბგერა ჩაუმატოს იგი შიგ, სიტყვა ზედმეტი ბგერით იხმაროს, ან, დასასრულ, სიტყვის ერთი ხმოვანი სხვა სარითმო სიტყვებთან შესარითმავად სხვა ხმოვნით შეცვალოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, რუსთველი ცდილობს ზემოთ აღნიშნულ სამ შემთხვევაში ხელოვნური ფორმები გამოიყენოს. აი, სწორედ აქ სჭირდება მას poetica licentia, აქაა, რომ ასე ჰარბად გვხვდება ენაში უხმარებელი, პოეტის მიერ შექმნილი ხელოვნური ფორმე-

---

11 იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, მე-XII-ე საუკუნის ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“, ტფილისი, 1923; პოემის ენის ხალხურობა; „ვეფხისტყაოსანი“, 26-ე გამოცემა იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ის რედაქტორობით, ტფილისი, 1926; პოემის ენის ხალხურობა. ხაზი ჩვენია.

12 ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული პოეტური ენის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 3—123.

ბი. უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ფორმები, რომლებიც კი სურთოდ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, უმთავრესად რითმებზე მოდის. სწორედ რითმებში ხდება ენის ბუნებრივი წესების დარღვევა, ენის კანონებიდან გადახვევა“[13].

ნაშრომის სხვა ადგილას ვკითხულობთ: „რუსთველის რითმას საფუძვლად უძევს კანონი, რომ რითმა უნდა იყოს ზუსტი, რომ სარითმო კლაუზულები უნდა იყოს (და არის კიდეც) აბსოლუტურად **ერთი და იგივე**, რომ კლაუზულებში არ შეიძლება ხმოვანთა და თანხმოვანთა სხვადასხვაობა, მსგავსი ბგერების ურთიერთმონაცვლეობა, ცალკე ბგერების დაკლება ან დამატება...“.

„...რომ შაირის ეს ძირითადი წესი არ დაირღვეს, პოეტი ხარკს უხდის ტრადიციას, პოეტიკის ამ წესს იცავს, მაგრამ ზოგჯერ ენის წესებს არღვევს, ქმნის ხელოვნურ ფორმებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ენაში არ მოიპოვება, ერთი სიტყვით, უხვად სარგებლობს პოეტური ლიცენციის შეღავათებით“[14].

ეს ზოგადი დებულებები ილუსტრირებულია მაგალითებით, რომლებიც, ავტორის აზრით, ამ დებულებებს ამტკიცებენ.

ასე მაგალითად, როდესაც განხილულია სარითმო სიტყვაფორმები: **პირსა — გვირსა — ღირსა — მცირსა**, ამ შემთხვევაში **მცირსა** მიჩნეულია ხელოვნურ ფორმად, რომელიც იმის შედეგადაა მიღებული, რომ „პოეტი რითმას ტოვებს ხელუხლებლად, მაგრამ ხელყოფს სიტყვის ბუნებრივ ქართულ აღნაგობას, იძლევა ხელოვნურ ფორმას“... „აქედან გამოდის, რომ რითმის მთლიანობა ხელშეუხებელია, მისი დარღვევა შეუძლებელია, სიტყვის ბუნებრივი, ქართული აღნაგობა, მისი ფორმა კი შეიძლება ხელვყოთ, შევცვალოთ“[15]. „მაგრამ აღნიშნული სიტყვის რითმის გულისთვის ხელყოფა მარტო ამით არ განისაზღვრება“. ავტორი განიხილავს სხვა სარითმო სიტყვაფორმებს: **პირასა — მხდი რასა — სირასა** და წერს: „ახლა აქ არ გამოდგება ამ სიტყვის ჩვეულებრივი, ბუნებრივი ფორმა მიცემითში (მცირესა). არც ზემოთ აღნიშნული, პოეტის მიერ ხელოვნურად შექმნილი **მცირსა**. ამი-

---

13 ივ. იმნაიშვილი, ქართული პოეტური ენის საკითხები, თბ., 1966. გვ. 92. აქაც და ქვემოთაც ყველგან ხაზი ავტორისაა, ხოლო დაყოფა ჩვენია.

14 იქვე, გვ. 96.

15 იქვე, გვ. 107.

ტომაა, რომ პოეტი მას აძლევს კიდევ ახალ სახეს — მცირასა, რომლის სავარაუდო სახელობითიც არის მცირა. ერთი შეხედვით, მცირა თითქო კნინობითის ფორმაა, მაგრამ არა: კნინობითობა არაფერ შუაშია, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რითმას, ისაა, რომ ასეთ უცნაურ ფორმას ითხოვს და პოეტიც არ აგვიანებს თავის დასტურს"[6].

ყველაფერს ამას მოსდევს დასკვნა: „ამგვარად, მცირე, მცირი, მცირა (მცირესა, მცირსა, მცირასა) — აი სამი სახეობა ერთი და იმავე სიტყვისა, რომელთაგან ერთი (პირველი) სწორია, ბუნებრივი, ორი დანარჩენი კი — არა, ხელოვნურია და მხოლოდ რითმის კაპრიზული მოთხოვნით არის გამოწვეული"[17].

თუმცა ამონაწერები გაგვიგრძელდა, მაგრამ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ კიდევ ერთი აღგილი დასახელებული გამოკვლევიდან, რამდენადაც იგი უშუალოდ ეხება ჩვენს განსახილველ საკითხს. ივ. იმნაიშვილი წერს:

„პოემაში ხშირია თანხმოვანფუძიანი სახელისა (არსებითის, ზედსართავის, ნაცვალსახელის) და მიმღეობების ა ფუძიანებად გადაკეთება, მათთვის ფუძის ბოლოს ა ხმოვნის დართვა. აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი ფორმები, როგორიცაა: ველანი, ქველანი, ფონანი, ფისანი, რეტასა, ლხინასა, ტანასა, ცხენოსანანი, ხორციელანი, ცხელანი, აწინდელანი, სწორანი, შორანი, ტყუბანი, შუქნაფენამან, შენამან, მკრთალამან და ბევრი სხვა.

ზოგის შეხედულებით, ეს და ამის მსგავსი ფორმები კნინობითია, ა ასეთ სიტყვებში კნინობითობის მაწარმოებელია, ჩვენი აზრით, აქ კნინობითს სახელებზე არ შეიძლება ლაპარაკი. ჯერ-ერთი, რა კნინობითია აწინდელანი, სწორანი, შორანი, ლხინასა, რეტასა და სხვა, რომელთა შინაარსი სრულებით ვერ იგუებს კნინობითობას; მეორე: კნინობითობის ა სუფიქსი ჩვეულებრივ არსებითს სახელს ერთვის, აქ კი სადავო ა ყოველგვარ სახელს ემატება, საწყისსა და მიმღეობასაც კი, რაც სრულიად შეუძლებელია ნამდვილ კნინობითს ფორმებში; მესამე: ასეთი ა დართული

---

16 ივ. იმნაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 107—108. სჯოლიოში ავტორს მოცემული აქვს თავისებური გაგება კნინობითობისა: „კნინობითობას, სიმცირეს თვით ლექსიკური მხარე უჩვენებს: მცირე. ამას აღარ უნდა კიდევ მეორედ დამცირება ფორმის საშუალებით"-ო.

17 იქვე, გვ. 108.

ფორმები გვხვდება მხოლოდ რითმებში, მაშასადამე, აქ უნდა ვეძიოთ მისი წარმოშობის მიზეზიც; მეოთხე: სარითმო სიტყვებზე დართული ა არ უნდა მოვწყვიტოთ იმ შემთხვევებს, როცა სწორედ ამგვარ პირობებში მსგავს სიტყვებს ერთვის ე და ო სუფიქსები (გასაგმირეთა, გასაგონოსა), ანდა ხმოვანფუძიანი სახელი თანხმოვანფუძიანად არის წარმოდგენილი (სამარი, მცირსა). ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ა-ს დართვა ასეთ შემთხვევებში მხოლოდ რითმის საჭიროებით არის გამოწვეული"[18].

ამრიგად, ყველა ამგვარი ფორმა ისეთია, როგორიც ენაში არ არსებობდა და შეთხზა პოეტმა. ასეთი ფორმები არაა ენაში არსებული ბუნებრივი ყალიბების მიხედვით შექმნილი, ხელოვნურია, მაშასადამე, არ ეგუება ენის აგებულებას. ა დართული ფორმები კნინობითის ბუნებრივი ფორმები კი არაა, პოეტის მიერ რითმის მოთხოვნილების შესაბამისად გამოყენებული, არამედ ხელოვნურადაა ნაკეთები რითმის საჭიროების გამო.

ნ. მარი -ა სუფიქსით ნაწარმოები კნინობითის მრავლობით რიცხვის ფორმათა სიმრავლეს „ვეფხისტყაოსანში" იმით ხსნიდა, რომ ასეთ ფორმებს რუსთაველი თითქოს ქმნიდა „для рифм" და „под давлением рифм". ნ. მარი ფიქრობდა, რომ პოემაში არის „не только искусственные построения речи, но и искусственные формы" და საყვედურს გამოთქვამდა პოეტის მიმართ: შაირის მეტრი, და საერთოდ ლექსთწყობის სისტემა, მას საშუალებას აძლევდა, თავიდან აეცდინა ნაძალადევი ფორმებიო. და მაინც, ნ. მარი არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ -ა სუფიქსიანი ფორმები ხალხური წარმოშობისა ყოფილიყო რუსთაველის („მესხი პოეტის") პოემაში.

იუსტ. აბულაძის შეხედულებები ამ საკითხზე, სამწუხაროდ, ბუნდოვნადაა გამოთქმული. სათანადო ცნებებიც, რომელთაც მკვლევარი იყენებს, არაა ზუსტი.

რაც შეეხება ივ. იმნაიშვილის ზემომოყვანილ დებულებებს, მათი გაზიარება შეუძლებელია. შეუძლებელია გაზიარება ავტორის მსჯელობისა კნინობითის ფორმათა შესახებ: შეუძლებელია გაზიარება „ხელოვნურ ფორმათა" იმ გაგებისა, რომელიც ავტორს აქვს თავის ნაშრომში წარმოდგენილი, თითქოს ეს ფორმები „ენაში უხმარებელი" იყოს; მრავალ შემთხვევაში შეუძლებელია გაზიარება ცალკეულ ფორმათა კვალიფიკაციისა. მართალია, ჩვენ მხოლოდ

---

[18] ივ. იმნაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 110—111.

ჩვენი საკითხის თვალსაზრისით საინტერესო ნაწილის შესახებ გვაქვს საუბარი, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ის, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით ითქმის, საესებით ვრცელდება ყველა ფორმასა თუ წარმოებაზე, რომლებიც პოეტის ისეთ შენათხზად არის გამოცხადებული, ენაში რომ საფუძველი არ მოეპოვება[19].

უეჭველია ერთი რამ. ასეთი მოვლენები მეტწილად მართლაც სწორედ სარითმო სტიყვა-ფორმებში გვხვდება და მრავალ შემთხვევაში პოეტური თავისუფლების გამოვლინებად უნდა იქნეს მიჩნეული, მაგრამ ეს პოეტური თავისუფლება არასგზით არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც პოეტის თვითნებური ძალდატანება ენობრივ ფაქტებზე.

ზემოთ განხილული ფორმები რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება და ხელოვნურად შეთხზულ ფორმებადაა გამოცხადებული, ნამდვილად ხელოვნური არ არის. ამ ტიპის წარმოება დღემდე დაცულია ქართული ენის კილოებში — ფშაურში, ხევსურულში, მოხეურში... სხვაგანაც. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს სიუხვე მრავლობით რიცხვში წარმოდგენილი კნინობითის ფორმებისა და საერთოდ მრავლობითის ფორმათა თავისებური შინაარსი.

ფშაური[20]

— რამთვენანი გყვანთ, დედავ, ძროხეები? — **ოთხან ფურანია, სამან დეკეულანი, სამან კბუანი.**

---

19 შდრ. მაგალითად, მტკიცება იმისა, თითქოს 267-ე სტროფის მეოთხე ტაეპის სატე („სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები“) მიღებული იყოს ხალტე-საგან იმის შედეგად, რომ რუსთაველმა რითმის გასამართავად ლ ამოაგდო სიტყვის ფუძიდან; ან რომ თითქოს 441-ე სტროფის მეოთხე ტაეპის დაფითა („მას დღესა ჩემნი მებრძოლნი ჩემმანვე ხრმალმან დაფითა“) ასევე რითმის გამართვის მიზნით რუსთაველის მიერ დაფლითა ფორმისაგან ლ-ს ამოგდების შედეგად იყოს მიღებული. პირველ შემთხვევაში საკმარისია გათვალისწინება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ჩვენებისა („ხატები — სარჩილობლები“), ხოლო მეორე შემთხვევაში დაფითა ფორმის გათვალისწინება ხევსურულსა და ფშაურში („შვილო, არ მახკდი. შენ გძინავ, დაჭანცული ხარ ჯაფითა, ი შენი ჯაჭვის კალთები ოკერმა როგორ დაფითა?“ — „მოყმე და ეფუხი“: ა. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931, გვ. 208—209). რომ ადვილად დავრწმუნდეთ ამგვარი მტკიცების მცდარობაში.

20 ფშაური მაგალითები მოგვყავს თებრო გოგოლაურის მიერ ფშაში, ჭეობის სოფლებში (ჭეობა, სონდისეული, მიგრიაულნი, საბუდარა, ბზიკურთა...) ჩაწერილი ტექსტებიდან.

ა ე **სიმინდანი** მჭონდენ მოჯხულნი, არცა რა მაგათ გამაჯვარდა, არა დაისხა.

ერთა ქვია აღარა-ჯგდავის.

ბატარიაი შვინდაი რამ არ არისა ხატგორზედა?

— ჩემო ბებიავ, შენ გამოაცხოდე **პურაი**! — აგრე ბებიაი გენაცლოს, **თხელას პურეებს** მეხვეწება.

გუშინ **გუდიაი** წავიღე, შვინდს ხვარას შავხვდები-მეთქი.

იმ დროთაი გაჯდა ი **ბალღაი**, რო — მე გავყვები გუთანსაო — დედისათვი უთქომ. **ერთა ჯარაი** ჰყოლია, ერთი სხვიჯჰთვი გამოურთმევია.

ერთი **ჭაკაი ცხენაი** რამა-ჯჰყვანდა, **მკვდარაი**, ლურჯი, ი **მკვდარაი ცხენაი** ჩეეყუდა ფიცრის კიდშია და მოჯჰტყდა ფეკი.

გომეწარზე გადმოიარე, **ცხენა** ვისიმ ება, ავაზეზე ი **ცხენაი**-დ' შავჯე.

ყვითელან ტყავანი სცმიან.

ორ-სამან თხილან რანიმ ჩაუყარნა.

იმათ სახთ აქათ ბატარან წყალანია.

მშიერას უძლავ კაცსა, დედავ: აი **ტიფაისაგან** ვიყავ ავადა, ხუთმეტ დღეს გავიძლე.

ი ჩემ **ძმისწულა** ქალაის ამბავი კი რადაამ გამოგადგებაა?

შენ კრამიტიან სახ გიდგა, მე **ჭოხაი** მაქვ მიწური.

რძენი ვდღვიბენ, **ერთა ფურაის** რძენ მითხარ შენა.

ვაიმე, ვენაცვლე ი გიორგის **სულთა**, გიორგი რო სახშია ყოფილიყო, ნიადაგამ წამავიდოდი.

ქალმა ჩაიცვნა თავის **ჯუბისძველანი** და დაჯდა; ი კაი ტანისამოს ორშოშიავ ჩაყარა.

დიდ **პირნი** ჯჰქონდენ, ერთ უბრალო ქოთან იყო, მანათიან ფულ ეწყვა, ზედ მწვანე ბიბკი ჯჰქონდა.

ჩავიცნოდი აი **ფაფანაგნი**, დაბალა ვიყავ, ცოტაი.

დაჯე, გენაცვლე, **სკამანი** დაიდგი!

ი ქალის **სულთა** თოლეს, რომაო, ნუ-ჯტირი, ჩემო დედაოო, ნუ შამაწუხეო!

დონ დაუსხენით პაპასაო, პაპა არ გიჭამთ ფაფასაო.

ლექსო წამოსულიყო მკითხავსთანა, აი ბალღაის **პერანგან** წამეეხვნეს.

წინ-წინ ქედანსა-ჯქონია კოკობის ბოლო. ქედნისია ი **ბოლონი**, კოკობმა სთხოვნა.

ერთან მჯარტყავან გაცვიან, წინ-დ' უკან ჩამოხეული.

ალაპლაპდა რაიმ არყის ალივითა, **ბნელან** კი არიან.
ეგენ კი ხინკალაობდენ, მე ტყეში ვხიენ **ჩოჯანი**.
მოიპარავდი საითა, ძველან **ჩოჯანი** მცვიანო.
სად რა ექნებიან ი **ჭობნი, ჭობნ** მინდანან, საარაყე. **ჭობნი** ჰქონდენ, რა უყვენენ?
ბატარანი ჩემი **მოკრეფილანი** რამ იყო, ერთ **ლიტრანი** იქნებოდენა თუ არა, ის წაიღო.
კლდის ძირ რო **წყარონ** მოდიან, ეგ კახურ ღვინოს მიჯობსა.
ა ე **ციხეთ** ძირს იყვის წისქვილი.
ნოჯაის გაღმე ზდგმიან **სახნი**.
ცეცხნ არ გვინთიანა?
მეორესავ დღესავ **რძენ** შამიდღვიბნაო. აქ არც **რძენ** შაუდღებნიან, არც ფურისად ჯელ გამაუსომ.
დამიმჟავდებიან აი **დოვნიცა**.
მოგვივიდა კაცობაი, სომეხივით გაბერილი, **სალდათურან შინელანი**, დერსიკების შაკერილი.
აკოცა ბიჭმა რუგვენმა, თავს გადიმტვრივნა **ჯმალნიო**.

ვაჭა-ფშაველა

არამც **ცომა** იყოს. — **ცომა** კი არა! მგელი სუ **ცომას** არა სჭამსა, მაგრამ ბიჭობით კი ვერავინ სჯობს („სცენები“).
მაშ, რატომ არას შაგვაჭმევთ, დედილო, **არაყანი**, ვიცი გეგულებიან?! („მოკვეთილი“).
ტიალო დურდურაო, რარიგს **ბოლთ** გამაჰყუდებს, ნისლ გეგონების, **მიწან** იძვრიან... იქნებიან **ტყრუშნი**... ნისლთავით **ბოლნ** გამეეყუდებიანა-დ დადგების გუგუნი, **მიწათ** მაჰზინებს სატიალეი („სცენა მთაში“).
ჰაი, ვენაცვლე იმის **ხულთა**, კაი ლაშარისჯვრის ყმაა! („მოკვეთილი“).
ეს **არაყანი**, ძოღანისავ ამოიტანე შინაითა („სცენები“).
მუქარა დავსთხოვე, **ცეცხლან** ავაგზენ („სცენა მთაში“).
ბერი მაუძღვა ლუხუმი,
ლურჯამ მაიღო **თქერანი**...
კლდეთაც კი ესმისთ, სალს კლდეთა
მათურელთ გულის **ძგერანი**...
ცაბაურ-გაბიდოურთა
ცხენთაც მაიღეს **ტყერანი** („ბახტრიონი“).
ჩემს **ტანადაბალს** ხუმარას,

ბატარას. **შუბიანასა...**
ვაჟკაცის წესი სცოდნიყო,
არა ჰგავს **ჯუბიანასა** („ბახტრიონი“).
ერთა **ქალაი** გავზარდე,
ბის მეტი არც-რა მყოლიჲ („ივანე კოტორაშვილის ამბავი“).
არც ახლა გვჭირსა, რჯულძაღლო,
შამაუჭყივლებს **ქისტასა** („ალუდა ქეთელაური“).
ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი („ალუდა ქეთელაური“).

ხევსურული[21]

ბევრამ გაკეების **ქალამა** სათარეშოდა ქმარია,
ბევრამ გაბანდა **ვაჟამა** სამითხოოდა ჯღანია (67).
ლაშქრობა დაუვიანდა ლალსა გუდანის ჯვარსაო,
ჯირჩლასა ბაბურაულსა, მაგის **მოკლია** ჯმალსაო (13).
ემა ქართულის მათქომი **გლეხაი** ვიყავ მთისაო (26).
მინდიათაი ხთისოი **ქართულას თოფას** ზიდნავსა (260).
ჯიკვსა თოფ დახკრა ბეჯენსა, ჰალას **ჯაჯნ** იქნეს რქისანი....
შაიბნეს ვეფხი, მოყმეი, მაშინ დაიძრნეს **მიწანი** (208).
ციხით **ნარცხან** გადმოვღვარენ, ძირში დამჩეს **თორანიო**,
შენ კი მაინც არ მინდოდი, გინდა შავრჩეთ **ორანიო** (161).

აქ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა, როგორც ვხედავთ, არაფრით განსხვავდება „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ გაანალიზებული მასალისაგან. აქაც, კილოებში, და აქედან ვაჟა-ფშაველას ენაში, ჩვეულებრივია და ძალიან გავრცელებული ჩინობითის ფორმები (კბო— **კბუა**—**კბოა**, ფური — **ფურა**, ქვა — **ქვია**, შვინდი — **შვინდა**, ბატარა — **ბატარია**, გზა — **გზია**, საკომი — **საკომა**, პური — **პურა**, გუდა — **გუდია**, ბალღი — **ბალღაი**, კარი — **კარაი**, ცომი — **ცომა**, ქისტი — **ქისტა**, **ჰაკაი ცხენაი**, **მკვდარაი ცხენაი** და მრავალი სხვა). ამასთან, რა თქმა უნდა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რეალურად რა ზომისაა საგანი, რომლის სახელიც ჩინობითის ფორმითაა წარმოდგენილი: **ფურ**-ფუძისაგან **ფურა** იწარმოება. **დეკეულ**-ფუძისაგან — **დეკეულა** და **კბო** — ფუძისაგან — **კბუა**. მეტიც: საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ

[21] ხევსურული მაგალითები ამოღებულია წიგნიდან: ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931. ფრჩხილებში ჩასმული რიცხვები ამ წიგნის გვერდზე მიუთითებს.

მეტწილად კნინობითის სუფიქსებითაა გაფორმებული სწორედ ის ფუძეები, რომელთაც სიმცირის მნიშვნელობა აქვთ. ასეთებია, მაგალითად, ხევსურულში **ცოტა**, რომლისაგანაც ნაწარმოებია კნინობითის ფორმები **ცოტინა და ცოტინიკა**[22], **თიკან**-ი, რომლისგანაცაა ნაწარმოები **თიკნია**-ი („თიკნიაის თიკანი")[23]; გუდამაყრულში იმავე **ცოტა** ფუძისაგან ნაწარმოებია კნინობითის ფორმა **ცოტაია**[24]; კიდევ უფრო დამახასიათებელ მაგალითებს გვაწვდის რაჭული კილო, სადაც **თიკან**-ფუძისაგან, ერთი მხრით, კნინობითი **თიკნუკა** არის ნაწარმოები, ხოლო, მეორე მხრით, **თიკნუჩა**[25]; **ბოშ**-(=ბავშვი) ფუძისაგან—**ბოშუნა** და **ბოშუკა**; **პატარა**-ფუძისაგან **პატარიკა, პატარიკუნა** და **პატარუკა** და ა. შ.[26]

ეს კნინობითის ფორმები, ჩვეულებრივ -ნ — -თ სუფიქსებთან მრავლობითში დაისმის ფშაურსა და ხევსურულში. მახსდარები აგრეთვე ამავე ფორმითაა ძალიან ხშირად წარმოდგენილი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სრულიად ჩვეულებრივია ისეთი შემთხვევები, როცა არსებითი სახელები იხმარება ამგვარი მრავლობითის ფორმით, კონტექსტის მიხედვით კი არასგზით არ შეიძლება რეალურად მრავლობა ვივარაუდოთ საგნისა, ასეთი ფორმები შინაარსით სრული ბადალია მხოლობითის ფორმებისა. მართლაც, როცა ფშაველი ეუბნება სტუმარს — „დაჯე, **გენაცვლე, სკამნი** დაიდგიო" — აქ ყოველად შეუძლებელია ერთ სკამზე მეტის შესახებ იყოს ლაპარაკი, ისევე როგორც შეუძლებელი იყო რეალური სიმრავლე გვევარაუდა „ვეფხისტყაოსნის" ზემოგანხილულ ფრაზებში („დადგა, **სკამნი** შემოსტყორცნა..." ან „მონამან სელნი დაუდგნა"...).

როგორც ფშაურსა და ხევსურულში, ისე „ვეფხისტყაოსანში" ამგვარ ფორმებს სრული, ყოველმხრივი სინტაქსური ძალა აქვს: ამგვარ სასაზღვრო სახელთან მსაზღვრელი მრავლობით რიცხვში შეთანხმებულია, ამგვარი სუბიექტისა თუ ობიექტის მრავლობითო-

---

22 ა. ჭინჭარაული, ხევსურეთის თავისებურებანი, თბ., 1960. გვ. 82.

23 იქვე, გვ. 236.

24 ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1961, გვ. 575.

25 იქვე, გვ. 684.

26 იქვე, გვ. 689. აქედან ცხადი უნდა იყოს, თუ რატომ არ უნდა ვეძიოთ კნინობითი მცირე-ც გვხვდება და თუ რატომაა ეს უკანასკნელი მისაჩნევი საესებით ბუნებრივ ფორმად.

ბა ზმნაში აღინიშნება. მაშასადამე, არასგზით არ შეიძლება ლაპარაკი ამ შემთხვევებში მრავლობითობის ფუნქციების მოშლაზე.

ეს ფორმები ძალიან ახლოს დგას ე. წ. ემფატიკური მრავლობითის ფორმებთან, ოღონდ ეს მრავლობითი ისეთ სახელებსაც უჩნდება, რომელთაც აქვთ ჩვეულებრივი მრავლობითი რიცხვის ფორმები; მაგრამ ჩვეულებრივი მრავლობითი რიცხვის ფორმებისაგან ასეთი ფორმები იმით განსხვავდება, რომ შინაარსით მხოლოობითის ბადალი ფორმებია. ამასთან, ასეთი ფორმები მხოლოდ პოეზიის ენისათვის არაა დამახასიათებელი, მაშასადამე, ხელოვნური წარმოშობისა კი არ არის, არამედ ხალხური მეტყველებიდან ჩანს შეტანილი პოეზიის ენაში.

რაც შეეხება კნინობითობის ფორმებს, მათს ხალხურ წარმოშობაზე სამართლიანად (თუმცა არათანმიმდევრულად) მიუთითებდა ჯერ კიდევ ნ. მარი. ამგვარ ფორმათა ხალხურობა უდავო ჩანს.

რუსთაველი დიდი პოეტი იყო და სიტყვისადმი მისი დამოკიდებულებაც ამის შესაფერისი იყო, სიტყვისათვის უთამამესი მოპყრობა მანაც იცოდა, ნეოლოგიზმებიც და პოეტური ლიცენციებიც მასაც მოეპოვება და უხვადაც. მაგრამ პოეტური ლიცენცია არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს პოეტი ქმნიდეს, თხზავდეს ენისათვის შეუძლებელ ფორმებს ან ნებისმიერად ეპყრობოდეს არსებულ ფორმებს. რუსთაველი თავისი ენის საშუალებებს, თავისი ენის სიმდიდრეს იყენებს და იყენებს თავისებურად, შემოქმედებითად. აქ იჩენს იგი პოეტურ თავისუფლებას. რუსთაველი ბრწყინვალედ ფლობს როგორც წინა ეპოქების ქართული სალიტერატურო ენის საგანძურს, ისე მისდროინდელი სალიტერატურო ენის ფართო შესაძლებლობებს. რუსთაველის დროინდელი სალიტერატურო ენა უკვე აღარ იყო ძველი სალიტერატურო ქართული, დასაბამი ეძლეოდა ახალ სალიტერატურო ენას, ქართული საერო მწერლობის ენას[27]. ამ ენაში უთუოდ იგრძნობოდა დიალექტთა მონაწილეობის გაძლიერება, ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ერთგვარი მოძალებაც. რაც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში მხოლოდ აქა-იქ თუ იჩენდა თავს, ახლა საერო მწერლობის ენის შემადგენელი ელემენტი გახდა.

ყველაფერი ეს საფუძველს ქმნიდა იმისათვის, რომ სალიტერატურო ენაში მომრავლებულიყო როგორც ლექსიკური, ისე სიტყვაწარმოებითი და მორფოლოგიურ-სინტაქსური ვარიანტები და

[27] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენიკის მოამბე, III, თბილისი, 1938.

გაზრდილიყო ამათი ხვედრითი წონა და მნიშვნელობა. ამის გამო ეს სალიტერატურო ენა აღარ იყო ისე უნიფიცირებული და მკაცრი ნორმების მქონე, როგორიც, ვთქვათ, მისი წინამორბედი სალიტერატურო ენა იყო, ენა საეკლესიო მწერლობის ძეგლებისა. სალიტერატურო ენის ეს თავისებურება ყველაზე რელიეფურად სწორედ პოეზიის ენაში შეიძლებოდა წარმოჩენილიყო და სამასოდ სწორედ ისეთი უმაღლესი რანგის ლექსი იყო ზედგამოჭრილი, როგორიც გენიოსმა პოეტმა შექმნა.

რუსთაველი მისდროინდელი სალიტერატურო ქართულის ამ შესაძლებლობებს იყენებს ბრწყინვალედ, დიდი მხატვრული გემოვნებითა და ტაქტით და სწორედ აქ იჩენს იგი უსაზღვრო პოეტურ თავისუფლებას. ყოველ საჭირო შემთხვევაში იგი სწორედ ისეთ ფორმას მიაგნებს, რომელიც ოპტიმალურია მოცემული გარემოსათვის. რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები მეტწილად რითმებზე მოდის.

სტროფის სარითმო სიტყვა-ფორმებია: **დასაწველად, მკვლელად, სანახველად;** ამათთან შერითმულია **ქველად** (415). სარითმო სიტყვა-ფორმებია: **მკვლელო, სანახველო, სასურველო;** ამათთან შეწყობილია **ქველო** (1442). სარითმო სიტყვა-ფორმებია: **სიძნელითა, გრძელითა, ძელითა;** მათთან შერითმულია **ქველითა,** მოქმედებითი ბრუნვის ფორმა (1037). სარითმო სიტყვა-ფორმებია: **ყელისა, მრთელისა, ხელისა;** მათთან შერითმულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმა **ქველისა** (1466) და ა. შ. მაგრამ, თუ რითმა სხვაგვარია, პოეტი სალიტერატურო ენის სხვა შესაძლებლობას იყენებს. სარითმო სიტყვა-ფორმებია: **ყველანი, შველანი,** ამათთან შერითმულია **ქველანი,** და აგრეთვე **ველანი** (427). **ქველანი** ისეთივე შესაძლებელი ფორმაა, როგორც ამ სიტყვის ნათესაობითი ან მოქმედებითი ბრუნვის ფორმები, რომლებიც წინა სტროფებში იყო გამოყენებული.

კიდევ მეტი. რუსთაველს მოეპოვება არაერთი ზმნის ისეთი ფორმები, რომლებიც რუსთაველის პოემის გარდა ქართულში არსად გვხვდება:

მე ვიცი ჩემსა ხელმქმნელსა **თმად** ყორნის ბოლო **სთმობია** (965).

ვაი ჰმართებს მისსა გაყრილსა, შავი **ხლა** თავსა **ჰხლებია** (998).

ფატმანს უხსნია ჩემი მზე, **სდედებია** და **სდებია** (1429).

სთმობია, ჰხლებია, სდედებია, სდებია თურმეობითი პირველის ფორმებია ნასახელარი ზმნებისა, რომელთათვისაც ამოსავალ

ფუძეებად ივარაუდება თმა, ხლა, დედა, და. სთმობია — თმად ჰქონია, მისი თმა ყორნის ბოლოსავით შავი ყოფილა; ჰხლებია — ხლად მოხვევია; სდედებია — დედად გახდომია, დედობა გაუწევია; სდებია — დად გახდომია, დობა გაუწევია. სხვა დრო-კილოთა ფორმები ამათ არ მოეპოვებათ, ისევე როგორც არც ეს ფორმები ჩანს სადმე სხვაგან. ამ ზმნათა ეს ფორმები რუსთაველის შექმნილი ჩანს და მხოლოდ რუსთაველის პოემის ამ ტაეპებშია გაპარტლებული. მაგრამ ეს ფორმები სავსებით შესაძლებელი და უნაკლო ფორმებია ქართული ზმნის უღვლილების პარადიგმათა თვალსაზრისით. რუსთაველის პოეტური თავისუფლება იმაში გამოიხატა, რომ ზმნათა სავსებით ბუნებრივი ფორმები შექმნა ისეთი სახელური ფუძეებისაგან, რომელთაგან ენაში, ჩვეულებრივ, ზმნა არ იწარმოებოდა.

ენაში არსებულ შესაძლებლობებს პოეტი „ისე იყენებს, როგორც ამას პოეტური სიტყვის საჭიროება მოითხოვს". „პოეტური სიტყვის საჭიროება განსაზღვრავს გრამატიკულ ფორმათა ვარიანტების შერჩევას"[28].

და თუ მაინც ზოგი რამ გამოგონილსა და ხელოვნურად შეთხზულსა ჰგავს, ეს იმიტომ, რომ ამგვარი ფორმები არ იყო ძველ სალიტერატურო ქართულში, ხოლო იმ ენობრივი გარემოს მასალა, რომელმაც რუსთაველის პოემა წარმოშვა, ჩვენამდე შედარებით ძუნწადაა მოღწეული და, რაც მოღწეულია, ისიც არაა საკმარისად შესწავლილი.

პოეტური ლიცენცია „ვეფხისტყაოსნის" ენაში გაუგებარი ფაქტების ახსნის უნივერსალურ საშუალებად იყო ქცეული. ამისი მრავალი ნიმუში უკვე ვნახეთ და კიდევ არაერთის დასახელება შეიძლებოდა. პოეტურ ლიცენციად იყო, მაგალითად, მიჩნეული 1445-ე სტროფის მესამე ტაეპის ტრადიციული წაკითხვა — „უთქვენოდ მყოფსა არ გვინდას ნიშაგნი. ნა-ჩანგ-დაფენი", პოეტურ ლიცენციად იყო მიჩნეული დილ-სიტყვა 608-ე სტროფის მესამე ტაეპში — „ოხრად გავუხდი ყოფასა მათ საღამოსა და დილ-სა" —, სანამ არ გამოირკვა, რომ პირველ შემთხვევაში ვახტანგის

---

28 არ.ნ. ჩიქობავა. ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხის-ტყაოსნის" ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. XV, თბილისი. 1966, გვ. 23, 9.

გამოცემის კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე[29], ხოლო მეორე შემთხვევაში ხელოვნურად მიჩნეული დილ-ი ნამდვილად დილა-სიტყვის კანონზომიერი ვარიანტია[30]. რაც უფრო გაღრმავდება პოემის ტექსტის შესწავლა, მით უფრო შემცირდება ასეთ „ხელოვნურ“ ფორმათა რიცხვი პოემაში.

ზმნის პირის ფორმათა აღრევის შემთხვევები „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში

საუკუნეთა განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერთ თუ რედაქტორებს არაერთ შემთხვევაში აღრევიათ პოემის ტექსტში პირის ფორმები ზმნისა: მესამე პირის ზმნით გამართული ფრაზა პირველი ან მეორე პირის ფორმით გაუმართავთ და, პირუკუ; ერთპირიანი ზმნა ორპირიანით შეცვლილა, სამპირიანი ორპირიანად გაგებულა და ა. შ. ყოველივე ამას თავისი შედეგები მოჰყოლია: სასუბიექტო ჭცევის ფორმები საობიექტოთი ცვლილა და საობიექტოსი — სასუბიექტოთი, არეულა გვარის ფორმები ზმნისა და ზოგიერთი სხვა ხასიათის ცვლილებებიც მომხდარა. ამის ნიმუშები საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი პოემის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში.

პოემის გამოცემებში ასეთი შემთხვევები თუ არ გამრავლებულა, არ შემცირებულა. ხშირად ხელნაწერებში დაცული სრულიად ნათელი წაკითხვები მახინჯდებოდა და სათანადო სტროფები ბუნდოვანი და გაუგებარი ხდებოდა თვითნებურ და დაუსაბუთებელ შესწორებათა შეტანის შედეგად.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკულად შესწავლის თვალსაზრისით ჩვენში ბოლო ხანებში დიდი მუშაობაა ჩატარებული. განსაკუთრებით სერიოზული ტექსტოლოგიური მუშაობა ჩატარდა 1966 წ. იუბილეს მომზადებასა და მოწყობასთან დაკავშირებით. წარმოებული ტექსტოლოგიური მუშაობა ამ ნარკვევში განხილულ

---

29 ივ. გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი (ერთი სტროფის ანალიზის მაგალითზე). „მაცნე“, 1966, № 3, გვ. 209—213. იხ. აგრეთვე აქვე, გვ. 1—64.

30 ქ. ლომთათიძე, დილა სიტყვის დილ- სახეობისათვის „ვეფხისტყაოსანში“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XV, 1966, გვ. 35—38.

საკითხსაც შეეხო. კერძოდ, ბოლოდროინდელ გამოცემებში ხელნაწერთა ჩვენებებზე დამყარებით გასწორდა ზოგიერთი პირის ფორმა ზმნებისა, მაგრამ სამწუხაროდ, გამოცემებში ასეთი გასწორებების დასაბუთება წარმოდგენილი არაა, თანაც ზოგი გასწორება მიუღებელია ან სადავო; გარდა ამისა, არაერთი ამგვარი შემთხვევა გაუსწორებელი დარჩა პოემის ტექსტში[1].

ყოველივე ამას თავისი მიზეზები აქვს. მთავარი მიზეზი ისაა, რომ პოემის ცალკეულ სტროფთა თუ ტაეპთა ან ცალკეულ სიტყვა-ფორმათა შესწავლა და შესაბამისი ფრაზების გამართვა ხდება სხვა ანალოგიური შემთხვევისაგან იზოლირებულად, ხოლო პოემის ტექსტის მთლიანი ანალიზი არ ჩანს, არ ჩანს, რომ ცალკეული საკითხები ერთმანეთთან დაკავშირებულად, ერთ მთლიანობაში განიხილებოდეს. უკეთ, ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება პოემის ტექსტის ისტორია წაკითხვათა ცვალებადობის მიხედვით.

პირის ფორმათა აღრევის შემთხვევებისათვის არაერთ მკვლევარს მოუქცევია ყურადღება და არაერთი შემთხვევა ვიცით საკითხის მართებულად გადაჭრისა. სადავოც არაერთი საკითხი დარჩენილა; თავისებური ვითარებაც ბევრჯერ შექმნილა ძიების პროცესში. აქ გვინდა სამაგალითოდ ერთი დამახასიათებელი შემთხვევა დავასახელოთ.

პოემის 934-ე სტროფში ავთანდილი ეუბნება ტარიელს:
მაგ საუბარსა ესე სჯობს, ისმინე ჩემი თხრობილი:
მჭმნელი საქმისა ძნელისა კაცისმცა იყო ცნობილი;
ვერას ვერა იქმს ნაყოფსა ვარდი უმზეოდ ჭნობილი.
შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი.

ამ სტროფის უკანასკნელი ტაეპის ასეთი, სავსებით მართებული, წაკითხვაა წარმოდგენილი პოემის ხელნაწერთა უმრავლესობაში; მაგრამ რამდენიმე ხელნაწერში (CILZ), სამწუხაროდ, იკითხება: **შენ ვერას ირგებ, მე მარგებ...** ვახტანგ VI-ის გამოცემაშიც ეს წაკითხვაა და ამას მიჰყვა შემდგომ ყველა გამოცემა, მათ შორის ს. კაკაბაძის პირველი გამოცემაც; მაგრამ 1926 წელს ს. კაკაბაძემ ეს ტაეპი, ხელნაწერთა უმრავლესობაზე დაყრდნობით, სწორი წაკითხვით დაბეჭდა: **შენ ვერას ირგებ, მე გარგებ...** ეს წაკითხ-

[1] ერთგვარად უკეთესი მდგომარეობაა საიუბილეო დღეებში სამეცნიერო ჟურნალებსა თუ კრებულებში, აგრეთვე პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში, რომლებშიც ყოველთვისაა მოცემული დასაბუთების ცდები.

ვა გაიმეორა 1937 წ. საიუბილეო გამოცემამ, 1951 წ. გამოცემის რედაქციას თავის ძირითად გამოცემაში კორექტურული შეცდომა გაეპარა და დაიბეჭდა; **„შენ ვერას ირგებ, მე ვირგებ...“**[2] პ. ინგოროყვამ კიდევ საქმის ვითარება ისე წარმოადგინა 1953 წ. გამოცემაში, თითქოს ამ ტაეპის ისტორია 1951 წ. გამოცემით იწყებოდა და **შენ ვერას ირგებ, მე გარგებ...** დაბეჭდა, ხოლო ის ფაქტი, რომ ს. კაკაბაძის მეორე და აგრეთვე 1937 წ. საიუბილეო გამოცემაში ეს ადგილი ასევე იკითხებოდა, არ აღნიშნულა.

ბოლო ხანების ოთხსავე გამოცემაში მართებული წაკითხვა იქნა აღდგენილი და ამ ტაეპის თავგადასავალიც ამით დამთავრდა.

საჭიროდ მიგვაჩნია, სპეციალურად იქნეს განხილული ერთი ტიპობრივი შემთხვევა.

ნესტანდარეჯანის მიერ ქაჯეთის ციხიდან ტარიელისათვის გამოგზავნილ წერილში არის ერთი სტროფი (1306), რომელიც ასეა დაბეჭდილი 1937, 1951 და 1957 წლების გამოცემებში:

მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წყლულსა;
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა!

საკითხი უკანასკნელ, მეოთხე, ტაეპს ეხება. აქ წარმოდგენილი წაკითხვა ამ ტაეპისა მომდინარეობს დ. კარიჭაშვილის მეორე გამოცემიდან (1920 წ.). ამ გამოცემის წაკითხვა გაიზიარა 1937 წ. საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენმა კომისიამ. ყველა სხვა გამოცემაში, ვახტანგ VI-ის გამოცემით დაწყებული, მათ შორის ს. კაკაბაძის და იუსტ. აბულაძის მეორე გამოცემებში და კ. ჭიჭინაძის გამოცემაში, რომლებიც დ. კარიჭაშვილის მეორე გამოცემის შემდეგ დაიბეჭდა, ეს ტაეპი ასე იკითხებოდა: **ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!**[3]

ორივე წაკითხვა ხელნაწერთაგან მომდინარეობს. სამ ხელნაწერში (HKO) **შენთვის დაკარგულსა** იკითხება, ყველა დანარჩენში — **ჩემსა სიყვარულსა.** დ. კარიჭაშვილი და 1937 წლის გამოცემის მომმზადებელი კომისია HKO ხელნაწერთა წაკითხვას ემყარებოდნენ, ყველა დანარჩენი გამოცემა — ვახტანგის გამოცემას, რომელიც ხელნაწერთა უმრავლესობის ტრადიციას იცავს.

---

[2] რედაქციის შენიშვნებში ამის შესახებ, ბუნებრივია, არაფერია ნათქვამი.

[3] ეგევე წაკითხვა აღადგინა მ. წერეთელმა.

პ. ინგოროყვამ ვახტანგისაგან მოქდინარე წაკითხვას დაუჭირა მხარი (**ჩემსა სიყვარულსა**), ამასთან, ზმნის **მიგლოვ** ფორმა **იგლოვ** — ფორმით შეცვალა და მოკლე დასაბუთებას („ჩემსა სიყვარულსა" — არის ვახტანგისეულ დედანში და ყველა ძირითად ხელნაწერებში. „იგლოვ" — კონიექტურა") ახალი დასაბუთებაც დაუმატა: „მთელი სტროფის საერთო ტონსა და განწყობას უფრო შეეფარდება ეს მეორე ტექსტი (რომელიც ამასთან ძირითადი დედნებითაც არის დადასტურებული და ძველ გამოცემებშიაც იყო მიღებული)-ო[4]. დასაბუთების ასეთი წესი არ შეიძლება მეცნიერულ წესად იქნეს მიჩნეული.

სრულიად აშკარაა, რომ წაკითხვა „**ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა**" მეორეულია და იგი გაჩენილია იმის შედეგად და მას შემდეგ, რაც აღარ იყო ნათელი ძველი, პირველი, წაკითხვა — „**ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!**" ეს წარმოადგენს ცდას, ნათელი გაეხადათ ტაეპი, რომლის შინაარსი გაბუნდოვანებული იყო. მეორე, ჩვენი აზრით ახალი, წაკითხვისაგან პირველს ვერასგზით ვერ მივიღებდით.

თუ რას შეეძლო გამოეწვია გაუგებრობა წაკითხვაში — „**ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!**" — კარგად ჩანს პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი გასწორების ანალიზის შედეგად. პ. ინგოროყვამ ტაეპის ორი არსებული დაბოლოებისაგან — „**ჩემსა სიყვარულსა**" და „**შენთვის დაკარგულსა**" — აირჩია პირველი: „**ჩემსა სიყვარულსა**". **სიყვარულსა** მან „გაიგო **მიგლოვ** — ზმნასთან დაკავშირებულ ბრუნვაცვალებად ობიექტად და გამოუვიდა შეუსაბამობა: **მიგლოვ**-ზმნას ბრუნვაცვალებად ობიექტად პირველი პირი შეეფერება, **სიყვარულსა** კი ზმნის მესამე ობიექტურ პირს ეწყობა. რომ ფრაზა გაემართა, პ. ინგოროყვამ კონიექტურა წარმოადგინა: პირველი ობიექტური პირის ფორმა ზმნისა — **მიგლოვ** მესამე ობიექტური პირის ფორმით შეცვლა — **იგლოვ**, ხოლო ამას ობიექტად კარგად შეეხამა **სიყვარულსა**. პ. ინგოროყვას გასწორების თანახმად ტაეპის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: ჩემო, ნუცა მტირი (შენ მე) და ნუცა იგლოვ ჩემს სიყვარულსაო.

დაახლოებით ასეთივე ხასიათის მოსაზრების ნაყოფი ჩანს ჩკო ხელნაწერთა წაკითხვა **შენთვის დაკარგულსა**: **მიგლოვ**-ზმნას ბრუნვაცვალებად ობიექტად **სიყვარულსა** არ შეეფერება, მაშასა-

---

[4] ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1953, გვ. 483.

დამე, **მიგლოვ**-ზმნა უნდა გასწორდეს, იგლოვ-ფორმით უნდა შეიცვალოს — ასეთია პ. ინგოროყვას შესწორების საფუძველი; **მიგლოვ**-ფორმას ბრუნვაცვალებად ობიექტად **სიყვარულსა** არ ეხამება, მაშასადამე, **სიყვარულსა** უნდა გასწორდეს — ასეთია ხელნაწერთა წაკითხვის ავტორთა საფუძველი. და რამდენადაც საგლოველი ტარიელს (რომელსაც ნესტანი მიმართავს ამ სიტყვებით) მხოლოდ ნესტანი ჰყავს, **ჩემსა სიყვარულსა** შეიცვალა მნიშვნელობით ნესტანის შესაფერი და რითმასაც შეწყობილი სიტყვებით **შენთვის დაკარგულსა.**

მაგრამ ხელნაწერთა ეს ვარიანტიც და პ. ინგოროყვას კონიექტურაც ნაყოფია იმისა, რომ მცდარად არის გაგებული სრულიად ნათელი ტექსტი ამ ტაეპისა.

ნესტანი მიმართავს ტარიელს: „ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო“-ო. ეს ნიშნავს შემდეგს: **მტირ** ორპირიანი ზმნაა, რომლის სუბიექტია **შენ** (ტარიელი, მიმართვის პირი), ხოლო ობიექტი **მე** (ნესტანი). ზუსტად ამგვარია ზმნა **მიგლოვ**, რომლის სუბიექტია აგრეთვე შენ (ტარიელი), ხოლო ობიექტი **მე** (ნესტანი). რაც შეეხება გამოთქმას **ჩემსა სიყვარულსა**, იგი არაა სინტაქსურად დაკავშირებული ამ ზმნებთან, ჩართული გამოთქმაა, რომელიც ფიცის, დაფიცების ერთ-ერთ ფორმულას წარმოადგენს.

ქართულ ენაში ფიცის არაერთი ფორმულა მოიპოვება. მათ შორის გამოიყოფა ერთი ჯგუფი. ამ ჯგუფში შემავალი გამოთქმები წარმოადგენს მოთხრობითს ან მიცემითს ბრუნვაში დასმულ სახელებს, რომელთაც მსაზღვრელები ახლავს. ეს გამოთქმები მთლიანი წინადადებების ნაწილებს წარმოადგენს, ნაშთია წინადადებებისა, რომლებსაც პრედიკატული ნაწილები ჩამოშორებია. მოთხრობით ბრუნვაში დასმული სახელის შემცველი გამოთქმა მაშინაა გამოყენებული, როცა პირველი პირი თვითონ იფიცებს, ხოლო, როცა იგი სხვას აფიცებს, მაშინ მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის შემცველი გამოთქმა იხმარება. ფიცის ამგვარი ფორმულები დღესაც დაცულია მთის ზოგიერთ კილოში, კერძოდ ფშაურში[5].

„ვეფხისტყაოსანში“ არაერთი ასეთი გამოთქმა არის გამოყენებული ფიცის გამოსახატავად. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი.

---

[5] ივ. გიგინეიშვილი, „ბახტრიონის“ ენობრივი თავისებურებანი: წიგნში—ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ (თბილისის უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტის კრებული), თბილისი, 1972, გვ. 264; ცალკეული ამგვარი გამოთქმებისათვის იხ. „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“, შედგენილი ა. ჯინჯარაულის მიერ, თბილისი, 1969.

შენსა სჯულსა

ზოგთა ჰკადრეს ზენაარი: „ნუ დაგვხოცო, **შენსა სჯულსა!**“ (1045).

ეს ნიშნავს: ზოგიერთებმა დაფიცება გაუბედეს, დააფიცეს: **შენს სჯულს გაფიცებთ**, ნუ დაგვხოცო!

მისსა ძალსა

მოახსენა: „შემიბრალე, **მისსა ძალსა**, ვინცა გხვეწა!“ (1609).

ნუ დაგვხოცო, **მისსა ძალსა**, ვინცა აქა მოგაწინა!“ (1612).

თქვენსა და ჩემსა ძმობასა

„თქვენ შემინახეთ ნამუსი, **თქვენსა და ჩემსა ძმობასა!**“ (1058).

შენმან მზემან

„**შენმან მზემან**, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი,

შენმან მზემან, ვერვის მიჰხვდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი!“ (1303).

ეს ნიშნავს: **შენს მზეს ვფიცავ**, შენს გარდა სხვას შენი მთვარე არვის მიხვდება, არვის ერგება; **შენს მზეს ვფიცავ**, ვერვის ერგება, სამნი მზენიც რომ მოვიდნენო.

„**შენმან მზემან** თავი ჩემი არვის მართებს უშენოსა!“ (494).

„**შენმან მზემან**, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე“ (1296).

თქვენმან მზემან

„მე **თქვენმან მზემან**, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა!“ (563)

თავმან ჩემმან

„ვერ გადვიხდი, **თავმან ჩემმან**, ძღვენთა შენთა ნაათალსა“ (1167).

„**თავმან ჩემმან**, თავსა მოგკვეთ, არად უნდა ამას ცილი!“ (759).

„აწ, **თავმან ჩემმან**, მას მოვჰკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა!“ (574).

(ამას ამბობს ფარსადანი დავარის მისამართით. შდრ. მომდევნო, 575-ე, სტროფში ამის შესახებ ნათქვამი: „მის მეფისა წესი იყო: **თავი მისი ძვირად ფიცის**, და თუ **ფიცის**, არ გატეხის, მასვე წამსა დაამტკიცის“).

თავმან თქვენმან

„ამას ჰკადრებ, **თავმან თქვენმან**, არა გმართებს მადლი ძღვნისა“ (1169).

თავმან მისმან

„**თავმან მისმან**, მუნვე მომკლავს, ვეჭვ, წამიცა არ წამაროს!“ (743).

სურვილმან და მზემან მისმან

„**სურვილმან და მზემან მისმან**, ძლივ დავფარე მისი შუქი!“ (1143).

თქვენმან კეთილმან

„ვერ გათნევ, **თქვენმან კეთილმან**, აწ ეგრე არ მართალია“ (565).

მისმან თავისა წონამან

„სხვაგან ქნის მისი გონება, **მისმან თავისა წონამან!**“ (89).

279-ე სტროფში სწორედ საანალიზო სტროფში დადასტურებული ფიცილის ფორმულა მეორდება.

ყმამან უთხრა: „თუ მიჩვენებ, ვნახავ, დიდად გავიხარებ, **სიყვარულმან მისმან**, ვისთვის ხელი მინდორს თავსა ვარებ, არას ვუზამ უგემურსა, არაოდეს გავამწარებ!...“

ამ შემთხვევაში ფიცის გამოთქმაში სახელი მოთხრობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი იმის გამო, რომ მთქმელი ფიცულობს, თვითონ იფიცებს, ხოლო საანალიზო სტროფში იგივე სახელი წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ფორმით: „ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, **ჩემსა სიყვარულსა!**“ მთქმელი (აქ: ნესტანი) სხვას (აქ: ტარიელს) აფიცებს: **ჩემს სიყვარულს გაფიცებ,** ნუ მტირი და ნურც მიგლოვო.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ ანალოგიური მაგალითები ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებიდანაც.

„ვფიცავ, ან ძმა ხარ ვარდისა, ან, **ჩემმან სულმან**, და ხარა“ (თეიმ. I, 5).

შესძახა მაჩაბელმან: „**სპარსმა წმიდა გიორგიმა**, თუ გადმოგდებული არ ვყოფილიყავ, შუა გაგკვეთდიო“ (ქ. ც. II, 347).

„თუ წახვალ, რა შემოიქცე, **შენმან მზემან**, ცოცხალსა ვეღარ მპოებ“ (ვისრ., 249).

„მე, **თქუენმან კეთილმან მზემან**, მათი ქორწილი ზრუნვად მიჩნდა და მათი სიმღერა მოთქუმად და ტირილად“ (ვისრ., 18).

„მამისაგან ეს გამიგონია და მე არა ვიცი რა, **თავმან თქვენმან და სახელმან ღმერთისამან!** (რუს., 35).

„აწ სად წამიხვალ ხელისგან ჩემისა, **ზენაარმან ღმთისამან,** მოგკლაო“ (რუს., 343).

„არა, თავმან შენმან და მადლმან საწუთროსა დამბადებელისამან, აქ გრძნება და ტიღისი არ არიო“ (რუს. 109).

„თავმან მეფობისა შენისამან და მზემან ახლისა შარიერისამან, გული მისი დიდსა სევდასა შიგან არის თქვენის მოშორებისათვის“ (რუს. 94).

„ნუ იქ, სულსა მის უსწოროს ხელმწიფისასა!“ (რუს. 70).

„მადლმა დამბადებელისამა და თავმა მეფობისა თქვენისამა, არაოდეს ჩემთა სწორთა და ამხანაგთათვის საწყენი და საცილებელი არა შემიკადრებია რა“ (რუს. 498).

ბევრჯერ აღნიშნულა, რომ აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში ხშირად გვხვდება განმეორებები „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებისა, ტაეპებისა, რითმებისა და რომ ამ ფაქტს შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი პოემის ტექსტის დადგენის საქმეს, რამდენადაც ასეთ შემთხვევებში ხშირად პოემის ხელნაწერებზე უკეთაა დაცული მართებული წაკითხვები. ამ შემთხვევაში, მაგალითად, რომ საანალიზო სტროფის აქ წარმოდგენილი წაკითხვა და მისი ინტერპრეტაცია სწორია, ამას ადასტურებს ერთი ადგილი არჩილის თხზულებიდან: „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“. იქ ვკითხულობთ:

ოდეს ვსჴვრეტდით ურთიერთსა, მამაჩვენსა მხიარულსა,
სად წარგვიხდეს იგი ჟამნი, ვინა ვხედავთ აწ რამ რულსა,
ვითა ორბსა ცათა ქვეშე, ჩვენც აგრევ ქვე მოარულსა!
ნუცა მტირი, ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა![6]

ცხადია, არჩილი პოემის ამ სტროფის ამ ვარიანტს იცნობდა და, რაც მთავარია, საუსებით მართებულად ესმოდა უკანასკნელი ტაეპის შინაარსი. აკი შესაფერადაც გამოიყენა ეს ტაეპი თავისი ლექსის სტროფში!

განხილული შემთხვევა ერთ-ერთი ნიმუშია იმისა, თუ რა მიზეზები იწვევს ზმნის პირის ფორმათა აღრევას.

უკანასკნელ გამოცემათაგან stu-ში გატარებულია წაკითხვა — „...მიგლოვ..., ჩემსა სიყვარულსა!“ პ. ინგოროყვა კი 1970 წლის გამოცემაში ძველ წაკითხვას დაუბრუნდა და „...მიგლოვ... შენთვის დაკარგულსა“ დაბეჭდა.

---

[6] არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1936, გვ. 247.

ზოგი შემთხვევა პირთა ფორმების აღრევისა გაასწორეს მკვლევრებმა და გამომცემლებმა. ასე მაგალითად, 1540-ე და 1541-ე სტროფებში მოთხრობილია არაბეთს მოსული ტარიელისა და ნესტანდარეჯანის შეხვედრა თინათინთან. „სკიპტროსან-გვირგვინოსან“ თინათინს „ჰშვენოდა ცმა პორფირისა“; „მოსრულთა პირსა შეაღგა ელვა მისისა პირისა“. „შევიდა მეფე ინდოთა“, „ტარიელ და ცოლმან მისმან ქალსა მდაბლად უსალამეს“.... ეს უკანასკნელი ფრაზა არის პირველი ტაეპი 1541-ე სტროფისა, ხოლო 1957 წ. გამოცემაში ამ სტროფის მეორე ტაეპში ვკითხულობთ: **„მოეგებნეს,** აკოცეს და საუბარი დააამეს“.

ძველ გამოცემებში, ვახტანგის გამოცემით დაწყებული, **მოეგებეს** იკითხებოდა, რაც საქმის ვითარებას არ ცვლის. ეს ფორმა გვხვდება ერთ-ერთ (Q) ხელნაწერშიც. სხვა ხელნაწერებში ისევ **მოეგებნეს** არის.

კონტექსტის მიხედვით ტარიელსა და ნესტანდარეჯანს **მოეგება თინათინი.** ეს კარგადაა ასახული რამდენიმე ხელნაწერში (ABCEF...), რომლებშიც **მოეგება** იკითხება. ამის მიხედვით გაუგებრობა იფანტება და ტაეპის შინაარსი ნათელი ხდება.

ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში სწორედ ეს უკანასკნელი წაკითხვაა მართებულად არჩეული და ამით მდგომარეობა გამოსწორებულია, მაგრამ tuy გამოცემებში კვლავ **მოეგებნეს** იკითხება.

წარმოვადგენთ კიდევ ერთ ნიმუშს პირთა აღრევისას.

ნესტანდარეჯანი სწერს ქაჯეთის ციხიდან ტარიელს ამ სიტყვებსაც:

რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად;
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად.
შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასახივარად,
ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატკივარად
(1308).

ვახტანგის გამოცემით დაწყებული, ყველა გამოცემაში ამ სტროფის უკანასკნელ ტაეპში მეორე ობიექტური პირის ფორმა ზმნისა **გეყოფი** იკითხება. ეს გამოცემები ემყარებოდა, როგორც ჩანს, ხელნაწერთა ერთი დიდი ჯგუფის (ABCDEFGHMUV) ჩვენებას: ამ ხელნაწერებში ადრეთვე **გეყოფი** იკითხება. ამ წაკითხვის შეუსაბამობა ეჩვს არ იწვევს; ამ წაკითხვის მიხედვით ნესტანი სწერს ტარიელს: მანამ გეყოფი სატირლად და სატკივარად, ვიდრე

ცოცხალი ვარო. გამოდის, რომ, თუ ნესტანი მოკვდებოდა, ტარიელის ტირილსა და ტკივილს ბოლო მოეღებოდა.

ნამდვილად კი ნესტანი ამას სწერს ტარიელს: შენთვის მოვკვდები და ყორნების დასახივარი შევიქნები, ხოლო, ვიდრე ცოცხალი ვარ (ვიდრე არ მოვმკვდარვარ, ვიდრე თავი არ მომიკლავს), სატირლად და სატკივარად **შენ მეყოფი.**

მართლაც ხელნაწერთა ერთ ჯგუფში (ILYZ) სწორედ **მეყოფი** წაკითხვაა დადასტურებული, მეორე ჯგუფში კიდევ (KORT) ამისგან მომდინარე **მეყოფის.** აღნიშნულ ხელნაწერებზე დამყარებით და ალბათ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინების შედეგად ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში ეს ადგილი ასე გასწორდა სავსებით მართებულად: ვირე ცოცხალ ვარ, **მეყოფი** სატირლად და სატკივარად. გაასწორა პ. ინგოროყვამაც, მაგრამ, სამწუხაროდ, პოემის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და აგრეთვე ოფიციალურ საიუბილეო გამოცემაში ისევ ძველი მცდარი წაკითხვა დარჩა: **გეყოფი.**

ბოლოს, ყურადღებას მივაქცევთ პოემის კიდევ ერთ ადგილს.

დავარმა უბრძანა მონებს: ნესტანი, „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჰიპია, წმინდისა წყალი ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია". რაც შემდეგ მოხდა, აღწერილია 582-ე სტროფში. ჩვენი საკითხისათვის საინტერესოა პირველი ტაეპი ამ სტროფისა.

„ზღვათაკე გავლნეს სარკმელი, მაშინვე გაუჩინარდა".

ასეა დაბეჭდილი ეს ტაეპი 1957 წლის გამოცემაში. ასეთივე წაკითხვა გვაქვს ყველა ძველ გამოცემაში, ვახტანგ VI-ის გამოცემით დაწყებული, ოღონდ არაარსებითი ხასიათის ვარიანტებით: **ზღვათაკენ; განვლეს, განვლნეს, გავლეს.**

ხელნაწერები დამაფიქრებელ ვარიანტებს გვაწვდიან: **ზღვითკე, ზღვისაკენ, ზღვითაკე, ზღვითაკენ.** გამოცემების **გავლნეს** არის KOUVZ ხელნაწერებში; FGHJT-ში **გავლეს** იკითხება, CD-ში — **გავლეს,** დანარჩენებში — **გაარნეს.** EX-ში არის **გარნეს,** რომელიც **გაარნეს** წაკითხვისაგან მომდინარეობს. ამავე წაკითხვისაგან მომდინარე ჩანს **გარინეს** წაკითხვა I ხელნაწერისა.

ტაეპი იმ სახით, როგორც დაბეჭდილია 1957 წლის გამოცემაში — „ზღვათაკე გავლნეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდა" — წარმოადგენს ერთგვარსუბიექტებიან წინადადებას, ოღონდ ეს წინადადება არ არის წიგნიერად აგებული: თუ პირველი ზმნა მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი რეალური სუბიექტის თვალსაზრისით, მეორე ზმნაც მრავლობითსავე რიცხვში უნდა იყოს დასმუ-

ლი, აქ კი მხოლოობითშია — **გაუჩინარდა**. რადგანაც **გაუჩინარდა**-ზმნა სარითმო სიტყვას წარმოადგენს და მის ნამდვილობაში აქ დაეჭვება არ შეიძლება, ისღა დაგვრჩენია დავასკვნათ, რომ არც **გავლნეს** და არც **გავლეს** ფორმა ზმნისა აქ შესაფერი არაა. შინაარსიც ისეთია, რომ ამგვარ წინადადებას გამორიცხავს. **გაუჩინარდა**-ზმნა, რა თქმა უნდა, ნესტანდარეჯანს ეხება. ეს კი გვავარაუდებინებს, რომ პირველი შემასმენელი ნესტანსვე უნდა ვარაუდობდეს ან სუბიექტად, ან ობიექტად. როგორც დავრწმუნდით, არ შეიძლება, რომ ნესტანი სუბიექტად ვივარაუდოთ; მაშასადამე, პირველი ზმნა ისეთი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, რომელშიაც ნესტანი ობიექტად იქნება ნავარაუდევი. ასეთი ვარიანტი არის წარმოდგენილი CD ხელნაწერებში — **გაავლნეს**.

გაავლნეს-ფორმაში **სუბიექტია მათ**. ზმნა ორობიექტიანად ივარაუდება (**მას, იგინი**). შინაარსი ნათელი ჩანს: **მათ** (მონა ზანგებმა) **მას** (ნესტანდარეჯანს) **იგინი** (სარკმელნი) **გაავლნეს** და ნესტანი გაუჩინარდა. სწორედ ეს შინაარსი ივარაუდება საანალიზო ტაეპში. ამ „ფორმის“ (გაავლნეს) შემქმნელს ტაეპის შინაარსი კარგად გაუგია, მაგრამ ერთი რამ ვერ გაუთვალისწინებია: ეს ფორმა არაა სწორად ნაწარმოები; **ვალ**-ფუძისაგან ნაწარმოები სათანადო ფორმა უნდა ყოფილიყო არა **გაავლნეს**, არამედ **გაავლი(ვ)ნეს**. ამრიგად, **გაავლნეს**-ვარიანტის საკითხი მოხსნილია.

მაგრამ ხელნაწერებს დაუცავთ სხვა ვარიანტი. ესაა სხვა ფუძის, მაგრამ ამავე მნიშვნელობის მქონე ზმნა, სწორედ ორობიექტიანი **გაარნეს** და მისი დამახინჯებული სახეობანი (**გარნეს, გარინეს**). **გაარნეს** სწორედ იმას ნიშნავს, რასაც **გაავლი(ვ)ნეს**: **გაარნეს** ნიშნავს: **გაარონინეს მათ მას იგინი (ზანგებმა ნესტანს სარკმელნი)**.

ამ ფუძის გამოყენება ზმნის სხვადასხვა ფორმაში „ვეფხისტყაოსანში“ სრულიად ჩვეულებრივია.

არებს: სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მინდორს თავსა **ვარებ** (279).

ოდენ სხვაგან არ წავიდეს, ნუსად **არებს** იმა ტანსა (671).

არო: კაცი გაგზავნა ვაზირისახა, ესე ყველაი მისთვის **არო** მან (771).

არნეს: შერმადინსცა ახარებდეს, ფიცხლად თავნი მისკენ **არნეს** (673).

იტირეს და გაემართნეს, ქვაბისაკე თავნი **არნეს** (916).
თქვეს: „ტარიელ რა იქმნაო?“, მისად ჴერეტად თვალნი **არნეს** (1477).

არენით: აღარ დაჰბრუნდით, მოხვედით, შუქნი თქვენ ჩემთვის **არენით** (1208).
დასცევით ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთვის **არენით** (71).

ვარნეთ: მერმე შევსხდეთ, ვაევემართნეთ, ქაჯეთისკენ თავნი **ვარნეთ** (1351).

იროს: მისკენ მივალ მხიარული, მერმე მანცა ჩემ კერძ **იროს** (883).

ირეს: მისთა სპათა მუხლმოყრილთა თავი მათი ჩემ კერძ **ირეს** (645).

გაარნეს იგივე ფორმაა, რაც **არნეს**, მათ მხოლოდ პრევერბი განასხვავებს, ამდენად ამ ორ ფორმას ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობები არ უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ მათგანს პრევერბი დაერთვის, მეორეს კი — არა, ორივე სრულასპექტიანი ფორმაა, ოღონდ უპრევერბო ერთობიექტიანია, პრევერბიანი — ორობიექტიანი და კაუზატიური მნიშვნელობის მქონეა. ბუნებრივი იყო, ამ შემთხვევაშიაც ერთობიექტიანი ფორმა ყოფილიყო: **ქვაბისაკენ თავნი არნეს** და **ზღვითკე გაარნეს ნესტანი**, მაგრამ ნესტანი ბრუნვაუცვლელ ობიექტადაა წარმოდგენილი, ბრუნვაცვალებად ობიექტად კი გამოყენებულია **სარკმელნი**.

გაარნეს-ზმნას ზღვისაკენ, ზღვითაკე, ზღვითაკენ, ზღვითკე ზმნისართთაგან, რომლებიც სხვადასხვა ხელნაწერშია წარმოდგენილი ვარიანტების სახით, მხოლოდ და მხოლოდ **ზღვითკე** ეხამება. **ზღვითკე** იგივეა, რაც **ზღვით კერძო**.

ამის მიხედვით საანალიზო სტროფი ასე უნდა იკითხებოდეს:

ზღვითკე გაარნეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდა.

ა. შანიძის და ა. ბარამიძის მიერ გამოცემულ ტექსტში სწორედ ასეთი წაკითხვაა. რაც შეეხება ი. აბაშიძისა და გ. წერეთლის რედაქციით გამოსულ ტექსტს, აგრეთვე პოემის საიუბილეო გამოცემას —,ეს გამოცემები ეყრდნობა იმ ხელნაწერებს, რომლებშიც ტაეპის შინაარსი მართებულადაა გადმოცემული, ოღონდ ფორმა ზმნისა არაა შესაფერი: ამ გამოცემებში **ზღვითკე გაავლნეს სარკმელნი** იკითხება.

პ. ინგოროყვამ 1970 წლის გამოცემაში **ზღვისაკენ გავლნეს** დაბეჭდა.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვნახეთ, პირთა აღრევის შემთხვევებს პოემის ტექსტში ყურადღება ექცეოდა და ზოგი ად-

გილი ტექსტისა სათანადოდაც გასწორდა, პოემაში მაინც არაერთი მაგალითი მოიპოვება პირთა ფორმების აღრევის შედეგად ტექსტის შეცვლისა და დამახინჯებისა, აზრისა და შინაარსის გაბუნდოვანებისა. ზოგჯერ „გასწორების“ შედეგადაც კი ხდება ტექსტის გაუარესება. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ასე თუ ისე ტიპიური შემთხვევის ანალიზი.

თინათინი რომ უცხო მოყმის ძებნას ავალებს ავთანდილს, ასე ეუბნება:

ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არვინა **გვყავს** შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არნაჭორად;
წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად (130).

ამ სტროფის მეორე ტაეპში ეჭვს იწვევს ობიექტური პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა ზმნისა **გვყავს**. გ. ქართველიშვილის გამოცემაში დაირღვა ვახტანგის გამოცემის შემდეგ დამყარებული ტრადიცია და პირველი ობიექტური პირის ფორმის ნაცვლად მეორე ობიექტური პირის ფორმა დაიბეჭდა — **გყავს**. შემდგომს გამოცემებში მაინც პირველი ობიექტური პირის ფორმა იბეჭდებოდა — **გვყავს**.

ხელნაწერთა უმრავლესობა **გვყავს** წაკითხვას უჭერს მხარს, მაგრამ მოიპოვება აგრეთვე წაკითხვები: **მყავს** (EX), **მჩანს** (I), **გვიჩანს** (J), **არის** (G), T ხელნაწერში **გყავს** ფორმა გვაქვს.

უნდა იკითხებოდეს: ...**ხორციელი არავინ გყავს შენად სწორად**.

ორივე გამოთქმა — **ხორციელი არავინ გვყავს შენად სწორად** და **ხორციელი არავინ გყავს შენად სწორად** ჰიპერბოლური გაძოთქმებია. ამათგან მეორეს სრულიად გარკვეული უპირატესობა აქვს, ჯერ ერთი, როგორც ჰიპერბოლას და მეორეც, როგორც ზოგად გამოთქმას. უკეთ, რაკი ჰიპერბოლაა, იგი ზოგადი უნდა იყოს. **ხორციელი არავინ გვყავს შენად სწორად** ჰიპერბოლის ბუნების თვალსაზრისით დაბალი ღირსების ჰიპერბოლა იქნებოდა და სრულიად ვერ გამოხატავდა ავთანდილის მაღალ გმირულ თვისებებს. არაბეთში რომ არვინ ჰყავდეთ ავთანდილის სწორი, ეს კიდევ არაფერს ნიშნავს; საქმე ისაა, რომ ავთანდილს არ უნდა ჰყავდეს არავინ სწორი. ნამდვილ ჰიპერბოლას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებდით, თუ თინათინი ავთანდილს ეტყოდა: ისეთი ყმა ხარ, რომ შენი სწორი, ბადალი ხორციელი არავინ გყავსო.

ამ განზოგადებისაკენ მისწრაფება იგრძნობა სწორედ კიდევ ერთ წაკითხვაში, რომელიც ერთ-ერთ ხელნაწერში გვაქვს: იქ **ხორციელი არვინ არის** იკითხება.

ჩვენი აზრით, პირის ფორმები აღრეულია აგრეთვე პოემის 154-ე, 504-ე და 787-ე სტროფებში.

154-ე სტროფში იკითხება:

პირველ, ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად,

ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა **გვმართებს** ყმასა ყმურად...

უნდა იკითხებოდეს:

...ყოფა **მართებს** ყმასა ყმურად.

504-ე სტროფში იკითხება:

სამხრე შენი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა გარე,

რომე **მმართებს** სიხარული, ეგზომიმცა რა ვიხარე!

უნდა იკითხებოდეს:

რომე **მართებს** სიხარული...

787-ე სტროფში იკითხება:

აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ, როსტანს წინა დაწერილსა,

შენ შეგვედრებ, დაგიჭიროს, ვითა **გმართებს** ჩემსა ზრდილსა.

უნდა იკითხებოდეს:

...ვითა **მართებს** ჩემსა ზრდილსა.

154-ე სტროფში **გვმართებს** წაკითხვაა გატარებული ყველა გამოცემაში ერთის გარდა. ამაზე ქვემოთ. **გვმართებს** წაკითხვაა ხელნაწერთა დიდ ნაწილშიც, ოღონდ FJKOTZ ხელნაწერები **მართებს** წაკითხვას წარმოგვიდგენენ. ეგევე წაკითხვაა მ. წერეთლის გამოცემაშიც.

წაკითხვა **ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად** არც სინტაქსურადაა გაძართული და საქმის ნამდვილ ვითარებასაც არ შეესაბამება. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ავთანდილი შერმადინს რომ ამ სიტყვებს ეუბნება, თავის თავსა და შერმადინს კი არ გულისხმობს კონკრეტულად, მაშასადამე, **გვმართებს** ჩვეულებრივი მრავლობითის ფორმა არ არის; **გვმართებს** არც ფამილარული მრავლობითია. ავთანდილის სიტყვები ზოგადი, განუსაზღვრელპირიანი ზმნის შემცველი გამოთქმა შეიძლება იყოს მხოლოდ, ასეთ გამოთქმას კი მხოლოდ მესამე პირის ფორმა შეეფერება (შდრ. ამავე ტაეპის პირველი ნაწილი: „ხამს მეფეთა ერთგულობა...“; ან კიდევ უკანასკნელი ტაეპი ამავე სტროფისა: „ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს შიუხდეს მამაცურად“). ცხადია, რომ FJKOTZ ხელნაწერებს მართებული წაკითხვა აქვთ დაცული.

504-ე სტროფში ვახტანგ VI-ის გამოცემაში **მართებს** იკითხებოდა, **მმართებს** ბროსე-ჩუბინაშვილის გამოცემების შემდეგ დამკვიდრდა. შემდგომ ამ სტროფში **მმართებს** წაკითხვაა გატარებული ყველა გამოცემაში, გარდა იუსტ. აბულაძის პირველი გამოცემისა, რომელიც ვახტანგის გამოცემის წაკითხვას მისდევს და, მაშასადამე, მასში **მართებს** იკითხება.

ხელნაწერთა დიდ ნაწილში **მმართებს** იკითხება, ოღონდ DEIXZ ხელნაწერებს დაუცავთ მართებული **მართებს**-წაკითხვა, ე. ი. მესამე ობიექტური პირის ფორმას წარმოგვიდგენენ, ზოგად ფორმას. **რომე მართებს სიხარული** ნიშნავს: რომ (როგორც) შეეფერება (საჭიროა, ჯერარს) სიხარული. ამ შემთხვევაში **მართებს**-ზმნა ერთპირიანია.

ანალოგიური მდგომარეობაა 787-ე სტროფშიც. წაკითხვა **ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა** არის ყველა გამოცემაში, ხელნაწერთა უმრავლესობაშიც, მაგრამ ხუთიოდე ხელნაწერს მაინც დაუცავს არა კონკრეტული მეორე ობიექტური პირის ფორმა, არამედ ზოგადი მნიშვნელობის მქონე ფორმა მესამე სუბიექტური პირისა **მართებს.** ეს ხელნაწერებია FIKOZ. **რაცა მართებს ჩემსა ზრდილსა** ამას ნიშნავს: **რაც შეეფერება ჩემს გაზრდილს.**

განხილულ სამსავე შემთხვევაში ადვილი ასახსნელია ხელნაწერებში პირველი ან მეორე ობიექტური პირის ფორმათა გაჩენა ზოგადი მნიშვნელობის მქონე მესამე სუბიექტური პირის ნაცვლად: ორ შემთხვევაში სტროფში პირველი პირის ფორმებით მიმდინარეობს თხრობა, ერთ შემთხვევაში კიდევ მეორე პირს მიმართავენ. ამან გამოიწვია სწორედ ფორმათა გაერთფეროვნება: ნაკლებად გასაგები უფრო გასაგები გახდა. თუ ვივარაუდებდით, რომ პირველი და მეორე ობიექტური პირების ფორმებია პირველადი და მათგან მივიღეთ მესამე სუბიექტური პირის ფორმები, — ასეთი გარდაქმნის დამაჯერებელი ახსნა ძნელი გახდებოდა.

გადაწყდა ნესტანდარეჯანის საქმროდ ხვარაზმშას მოყვანა, „გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოელი“. დაბრუნდა მოციქული: „გაჰხარებოდა ხვარაზმშას სიხარულითა დიდითა“; „კვლა გაგზავნნეს სხვანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად“. ტარიელს „გულსა სევდა შეეყარა“ და სევდამ მისწურა „გულსა დაცემად დანისად“, მაგრამ „ასმათის მონა შემოდგა“ და მოართვა ასმათის წიგნი. ასმათი ატყობინებდა: „აღრე მოდი, გიბრძანებსო“.

ტარიელი ასე განაგრძობს ავთანდილისათვის თხრობას:

შევჯე, წავე, ბაღჩას მივე, ვითა სცნობდე ლხინთა ზომით!
ბაღჩა შევვლე, კოშკი დამხვდა, ასმათ ვნახე ძირსა დგომით;
ვნახე, ვსჴვრეტდი ნატირებად, ცრემლი აჩნდა ღაწვთა წთომით,

დამიმძიმდა, არა ვჰკითხე: ჩემი სჴირდა მისლვა ნდომით (518).

ამას მოსდევს 519-ე სტროფი.

იგი ვნახე დაღრეჯილი, ესე მეტად დამიმძიმდა...

518-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ასეა დაბეჭდილი ყველა გამოცემაში. გამოცემები, როგორც ჩანს, ხელნაწერთა უმრავლესობის ჩვენებას ემყარება. ხელნაწერთა უმრავლესობაში **დამიმძიმდა, არა ვჰკითხე** იკითხება. ეს წაკითხვა დამახინჯებულია.

დამძიმება — დამწუხრებას, შეწუხებას, სიმძიმილს ნიშნავს: **დამიმძიმდა**, მაშასადამე, არის **შევწუხდი, მწუხარებამ შემიპყრო:** „და რაჟამს სცნა აღება ციხისა მის და შეჴცევა შაჰ-ისმაილისა, დაუმძიმდა ფრიად“ (ქ. ცხ. II 496); „ესმა რა ხვანთქარსა, დაუმძიმდა ფრიად“ (ქ. ცხ. II 498).

აი, ეს პირველი ობიექტური პირის ფორმა სრულიად შეუფერებელია ამ სტროფისათვის. ტარიელმა ბაღჩა შევლო, ნახა კოშკის ძირას მდგომარე ასმათი; ასმათი ნატირები იყო, ღაწვებზე ჩამონადენი ცრემლი აჩნდა. ტარიელი განაგრძობს: **დამიმძიმდა** (ე. ი. **დავმწუხრდი, მწუხარე შევიქენ, შევწუხდი**), არ ვჰკითხე. ჩემი მისვლა უნდოდაო.

რა კავშირშია ერთმანეთთან **მწუხარე შევიქენ, შევწუხდი** და **არ ვჰკითხე?** (**არა** ამ ფრაზაში არ შეიძლება გაგებულ იქნეს ობიექტად — **არრა**—, იგი ნაწილაკია — **არ**). ეს კავშირი არ ჩანს.

ამასთან, მომდევნო სტროფში ტარიელი ისევ იმეორებს: „იგი ვნახე დალრეჯილი, ესე მეტად **დამიმძიმდა**“-ო.

ამ გაუგებრობას ფანტავს წაკითხვა, რომელიც დაუცავს ორ ხელნაწერს (IZ). ამ ხელნაწერებში 518-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ასე იკითხება: „**რა უმძიმდა, არა ვჰკითხე**: ჩემი სჴირდა მისვლა ნდომით“. აქ, მაშასადამე, პირველი ობიექტური პირის ფორმის — **დამიმძიმდა**-ს ნაცვლად მესამე ობიექტური პირის ფორმაა წარმოდგენილი და ფრაზის შინაარსი სავსებით გამართულია, ამასთან, მომდევნო სტროფის პირველ ტაეპთან დამოკიდებულება ამ ტაეპისა სრულიად ნათელია. ასმათი ნატირები იყო, ღაწვებზე ჩამონადენი ცრემლი აჩნდა. შემდეგ ტარიელი ყველა — რა უმძიმდა (ასმათს) (ე. ი. რატომ იყო დამწუხრებული ასმათი), არ ვჰკითხე, ეტყობოდა,

რომ ჩემი მისვლა უნდოდაო—, და განაგრძობს შემდგომ სტროფში: იგი (ასმათი) რომ დაღრეჯილი (მოწყენილი) ვნახე, ამან მეტად შემაწუხაო.

ეს შემთხვევაც ერთი ნიმუშთაგანია იმისა, თუ როგორ ხდებოდა გადაწერისას პირთა ფორმების აღრევა. თავდაპირველი **რა უმძიმდა**-ს გადაკეთება **დამიმძიმდა**-ფორმად შეიძლება გადაწერის დროს გრაფიკულ ნიადაგზე აიხსნას: მომდევნო სტროფის **დამიმძიმდა**-ფორმას შეეძლო გამოეწვია. ერთხელ დაშვებული შეცდომა შემდგომ ფართოდ გავრცელდა აქედან მომდინარე სხვა ხელნაწერებში და გამოცემებში დამკვიდრდა.

ასმათს ავთანდილი ქვაბში ჰყავს დამალული, თვითონ კი შეაგონებს დაბრუნებულ ტარიელს, რომ, თუ .

„...კაცი მოგგვარო, მოგყვეს თავისა ნებითა,
იგი გეახლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა,
ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო არ სავნებლისა ვნებითა“ (278).

ამ სტროფის მეორე ნაწილს თავისი ისტორია აქვს. ვახტანგ VI-მ დაბეჭდა **„...არ იყო არ სავნებლისა ნებითა“**. ეს წაკითხვა განმეორდა ბროსესა და ჩუბინაშვილის გამოცემებში. იგი ემყარება S 3077 (N ლიტერით აღნიშნული) ხელნაწერის ჩვენებას. შემდგომ ს. კაკაბაძემ თავის პირველ გამოცემაში სხვა ხელნაწერებზე დაყრდნობით დაბეჭდა **„...არ იყო არ სავნებელი ვნებითა“**. შემდგომს გამოცემებში კი გაბატონდა წაკითხვა **„...არ იყო არ სავნებლისა ვნებითა“**, რომელიც ხელნაწერთა კიდევ ერთი სხვა ჯგუფის წაკითხვას ემყარება.

ტაეპის აღნაგობა რომ დარღვეულია და შინაარსი გაბუნდოვანებული, ეს იგრძნობოდა. ამის გამო იყო, რომ სხვადასხვა საშუალებით ცდილობდნენ მისი აზრი ნათელი გაეხადათ. დაწერილობა—**„ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო, არ, სავნებლისა ვნებითა“** — გაბატონებული იყო 1937 წლის საიუბილეო გამოცემისაგან მომდინარე გამოცემებში. ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში ასეთი დაწერილობაა მოცემული: **„ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო არ სავნებლისა ვნებითა“**. ეს დაწერილობა განმეორებულია ი. აბაშიძისა და გ. წერეთლის რედაქციით გამოსულ ტექსტშიც, საიუბილეო გამოცემაშიც და პ. ინგოროყვას 1970 წ. გამოცემაშიც.

რომ ტაეპის აზრი ნათელი არაა, ეს შემჩნეულია მ. წერეთლის გამოცემაშიც და წარმოდგენილია გასწორების ცდა: **„...არ ეყო არ სავნებლისა ვნებითა“**.

ტაეპის აზრი სრულიად ნათელი ჩანს იმ წაკითხვაში, რომელიც Z (თარხანმოურავისეულ ოქსფორდულ) ხელნაწერს დაუცავს. იქ იკითხება: **„ჰფიცე, არ მოჰკლა, არ უყო არ სავნებელი ვნებითა“**. ამ შემთხვევაში აღარსადაა ერთპირიანი იყო-ზმნა, რომელსაც როგორც ზემოთ დავინახეთ, ვერასგზით ვერ შეუწყვეს ტაეპის დანარჩენი სიტყვები, რომ სინტაქსურად ასე თუ ისე ასატანი კონსტრუქცია მიეღოთ და შინაარსიც სტროფის საერთო შინაარსის შესაფერისი ჰქონოდა ტაეპს. მას ცვლის იმავე ფუძისაგან მიღებული სამპირიანი ფორმა უყო (შენ მას იგი); ამის გამოა, რომ ამ ზმნის ბრუნვაცვალებადი ობიექტი **სავნებელი** აგრეთვე შესაფერის ბრუნვაში (სახელობითში) არის დასმული და არა ნათესაობითში (**სავნებლისა**), რომელიც აგრეთვე ვერ შეეგუა სხვა სიტყვებს. ტაეპის შინაარსი გამართული და ნათელი გახდა. ასმათი ეუბნება ტარიელს: თუ ისეთი კაცი შეგხვდეს, რომელიც მეგობრობას გაგიწევს, ფიცი დადე, რომ არ მოკლა და სავნებელი არაფერი უყო, ვნება არ მიაყენოო.

ზოგიერთ ხელნაწერში ამ წაკითხვის გარდამავალი საფეხურებიც არის წარმოდგენილი: **უყო** ფორმა **იყო**-ს ნაცვლად (N), **სავნებელი** იკითხება **სავნებლისა**-ს ნაცვლად (FI), მაგრამ ორივე ეს კითხვასხვაობა ერთად მხოლოდ თარხანმოურავისეულ ხელნაწერშია წარმოდგენილი.

ზოგ ხელნაწერში სხვაგვარი წაკითხვაც გვხვდება (**არ იყო არას მისისა ვნებითა**), მაგრამ ესეც მხოლოდ იმის ცდას წარმოადგენს, რომ როგორმე ტაეპის დანარჩენი სიტყვები **იყო** ზმნისთვის შეეხამებინათ იმგვარად, რომ როგორმე აზრი გამოსულიყო.

პირის ფორმები არეული ჩანს 888-ე სტროფშიც.

არაბეთიდან დაბრუნებულმა ავთანდილმა იპოვა დაბნედილი ტარიელი, რომელსაც „სოფლით გაღმა გაებიჯა“, „მოაცნობილა“ და მათ შორის გაიმართა ცნობილი დიალოგი. ავთანდილი ცდილობს, ტარიელი ქვაბში წაიყვანოს, ტარიელი უარზეა. „ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყვითა ვერა-ვერითა“. მაშინ ავთანდილი ეუბნება ტარიელს:

„...აჰა, რათგან არ მომისმენ არას, არა,
აღარ გაწყენს ენა ჩემი, აქამდისაც ცუდად მცთარა“.

ამ უკანასკნელ ტაეპში ჩანს პირის ფორმები არეული: ეჰვს იწვევს ფრაზა **„აღარ გაწყენს ენა ჩემი“**.

თითქმის ყველა ძველ ხელნაწერში ეს ფრაზა ამ სახითაა დაწერილი. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს B ხელნაწერი

(H 54), ერთ-ერთი მე-17 საუკუნის ცნობილ ხელნაწერთაგან. მასში იკითხება **აღარ გაწყენ**.

ვახტანგ VI-მ დაბეჭდა **არას გაწყენ**. ვახტანგის წაკითხვა განმეორებულია მერმინდელ გამოცემებში (ბროსესი, ჩუბინაშვილისა, ქართველიშვილისა, კარიჭაშვილისა, აბულაძისა, ჭიჭინაძისა, ინგოროყვასი), გარდა ს. კაკაბაძის გამოცემებისა, რომლებშიც იკითხება **აღარ გაწყენს**. ეს წაკითხვა მიიღო 1937 წლის საიუბილეო გამოცემის რედაქციამ, განმეორდა 1951 და 1957 წლების გამოცემებში და განმეორებულია უკანასკნელ (stu) გამოცემებშიაც; პ. ინგოროყვამ 1970 წელს ისევ ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე **არას გაწყენ** დაბეჭდა.

მართებული ჩანს წაკითხვა, რომელიც B (H 54) ხელნაწერშია დაცული: **აღარ გაწყენ**. ტაეპის შინაარსიც ისე უნდა გავიგოთ, როგორც ამას ვარაუდობდა ვახტანგ VI-ის გამოცემისაგან მომდინარე წაკითხვა **არას გაწყენ**, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა სინამდვილესთან. ავთანდილი ტარიელს ამას ეუბნება: რადგან არას მომისმენ, აღარ გაწყენ (მე შენ), ჩემი ენა აქამდისაც უქმად მცდარაო,— და არა ამას: რადგან არას მომისმენ, აღარ გაწყენს ჩემი ენა, იგი (ჩემი ენა) აქამდისაც უქმად მცდარაო,—როგორც ეს გამომდინარეობს იმ წაკითხვიდან, რომელიც უახლეს (stu) გამოცემებშია წარმოდგენილი.

განსხვავება იმ წაკითხვასა, რომელიც B ხელნაწერშია წარმოდგენილი, და ვახტანგისეულ წაკითხვას შორის არსებითი არაა (ვახტანგს აქვს **არას**, B ხელნაწერშია **აღარ**), მიუხედავად ამისა, მაინც **აღარ** წაკითხვას უნდა დავუჭიროთ მხარი.

ამ მოსაზრებებს თვითონ პოემის სხვა ანალოგიური ადგილები უჭერს მხარს, სადაც **წყენ-წყინ** ფუძეზე დამყარებული ფორმები ზმნისა გვხვდება. ასეთი შემთხვევები პოემაში ხშირია.

წყენ-წყინ ფუძეზე დამყარებულ ფორმათაგან პოემაში გვხვდება: სასუბიექტო ქცევის ფორმები ნამყო ძირითადისა („...რადმცა **ვიწყინე** თქმა შენგან საწყინარისა": 66), **ე**-პრეფიქსიანი ვნებითობის ფორმები („მართალსა გითხრობ ამისი კადრება ნუ **გეწყინე**ბის": 661; **„არ ეწყინების** სტუმრობა შენისა მე შემყრელისა": 1489; „მე **მეწყინა**, აღარა ვთქვი, ფიცხლად გარე შემოვბრუნდი":

556; „... ძოღან **გეწყინა** გაშვება უუბარისა“: 411; „რასა ჰლამი, ჩვენი მოსლვა რად **გეწყინა?**“: 1380; „მაშინ თქვენ ჩემი **გეწყინა** ნახვა მიწისა შენისა“: 1505; „ნუთუ ვით რა მოვაგვარო, შენი ნახვა არ **ეწყინა**“: 264; „ფატმან ხათუნს მოსლვა მისი შე-ვით-ვატყევ, არ **ეწყინა**“: 1076 და ასე შემდეგ: **გვეწყინა**: 993; **გეწყინოს**: 65; **ეწყინოს**: 740 და სხვ.).

გვხვდება ამ ფუძისაგან ნაწარმოები მასდარი **წყენა** (815, 1098 და სხვ.); მიმღეობები: **საწყენი** (742), **საწყენელი** (752), **საწყინარი** (758, 66), **საწყინარე** (1330), **საწყინო** (237).

განზრახ ცალკე გამოვყოფთ ნეიტრალურ ფორმებს, რომლებიც სავსებით ანალოგიური არიან ჩვენს საანალიზო ტაეპში დადასტურებული ფორმისა. ესენია:

„...შენ **გაწყენ** ჩემისა არ-სიცოცხლისა სმენასა“ (834).

„...აღარ **გაწყენ**, არცა სიტყვა გამეტადდეს“ (939).

„არ **გაწყენ** გრძელი ამბავი არს ჩემგან მიუმხვდარებით“ (1521).

„**მაწყენ**, დამეხსენ, არა მცალს, არცაღა ვახლავ თმობასა“ (886).

„მზე არ მახლავს, შეგეტყვების, თრთვილო, ასრე მით **მაწყენო**“ (237).

„შენ საყვარელსა რად **აწყენ?** ფუ მაგა მამაცობასა!“ (910).

„...დადეგ, მიჩვენე, ლომსა ვინ **გაწყენს**, რომელი?“ (594).

„მიღრინვიდა და **მაწყენდა** ბრჭალითა სისხლის მღვრელითა“ (911).

„**მაწყინე** და გამარისხე, ვერ დავიღე დიდხან სული“ (814).

„...ღმერთო, რა შეგცოდე ეგზომ დიდი რა **გაწყინე?**“ (865).

„გიჯობს, მითხრა; ამის მეტი მართ აღარა არ **გაწყინო**“ (239).

ამ მაგალითებში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ წართქმითი ფორმების გვერდით ხშირია უკუთქმითი ფორმების გამოყენება და რომ უკუთქმითობა გამოხატულია **არ**, **აღარ** ნაწილაკების საშუალებით. **არ გაწყენ**, **აღარ გაწყენ** თითქოს უკვე მყარ გამოთქმებადაა ქცეული. ასეთია ჩვენს საანალიზო სტროფში წარმოდგენილი შემთხვევაც.

413-ე სტროფში ტარიელისა და ნესტანის პირველი საუბრის ერთი მომენტია გადმოცემული, ნესტანი ეუბნება ტარიელს:

ერთმანეთისა, მას აქათ, რაცა ორთავე ვიცითა,
აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა;
ამას შესჯერდი დიდითა ზენარითა და ფიცითა.

გეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!

ამ სტროფის მესამე ტაეპში ზმნა **შესჯერდი** ყველა ხელნაწერში პირველი პირის ფორმითაა წარმოდგენილი ან მხოლოობით, ან მრავლობით რიცხვში: **შევსჯერდით** FGIT, **შევჯერდით** HKOUV, **შევჯერდი** JYZ, **შევსჯერდი** — დანარჩენებში. გამოცემებშიც ასეა: **შევსჯერდი** იკითხება ვახტანგ VI-ის, ბროსეს, ჩუბინაშვილის, იუსტ. აბულაძის (ორივე), წერეთლის გამოცემებში, **შევჯერდი** — ქართველიშვილისა და კარიჭაშვილის, ხოლო **შევსჯერდით** კაკაბაძის გამოცემებში.

კ. ჭიჭინაძემ თავის გამოცემაში უარყო ეს წაკითხვა: „აქ უეჭველად შეცდომა არის, რადგან ამ შემთხვევაში ლაპარაკი უნდა იყოს არა თვით ნესტანის (რომელიც ამ სიტყვებს ამბობს), არამედ ტარიელის შეჯერებაზე“-ო. ამიტომ კ. ჭიჭინაძემ პირველი სუბიექტური პირის ფორმა მეორე პირის ფორმით შეცვალა და **შესჯერდი** დაბეჭდა.

1953 წელს პ. ინგოროყვამაც შეცვალა პირველი პირის ფორმა მეორით და თავისი გადაწყვეტილება ასე გაამართლა: „გასწორდა თხრობის შინაარსის შესაბამისად“-ო. მიუთითა კი, რომ კონიექტურა კ. ჭიჭინაძეს ეკუთვნოდა.

ბოლოს, 1957 წლის გამოცემის რედაქტორებმა (ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე) აგრეთვე გაიზიარეს ეს გასწორება და ამ გამოცემაში **შესჯერდი** არის დაბეჭდილი, თუმცა იმავე გამოცემაში ა. შანიძის მიერ შედგენილ ლექსიკონში, **შევსჯერდი** ფორმაა დაბეჭდილი ამ სტროფიდან.

შესჯერდი იკითხება ყველა ბოლოდროინდელ გამოცემაში.

ხელნაწერთა ერთხმივი ჩვენება სწორი ჩანს და ტაეპში მართლაც პირველი სუბიექტური პირის ფორმა უნდა გვქონდეს და არა მეორე სუბიექტური პირისა. მართლაც და უცნაური იქნებოდა, ნესტანდარეჯანი, რომლის სიტყვებზე — „შენგან ჩემისა ქმრობისა წინასცა ვიყავ მნდომია“ და „აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა“ ტარიელმა უპასუხა: „აჰა, მკვდარი გამაცოცხლე, ამას იქით აღარ ვბნდები, რაცაღაა სამსახურსა, ვტყუვი, თუცა ვერიდები“-ო, ტარიელს ეუბნებოდეს — „ამას შესჯერდი“-ო ნესტანდარეჯანი ეუბნება: „აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა“ და ამას **შევსჯერდი**, ე. ი. **ეს ვირწმუნე, ეს გადავწყვიტე, ამ გადაწყვეტილებას დავადექიო**. თავისი ნათქვამი ნესტანდარეჯანმა, როგორც ვიცით, „დიდითა ზენარითა და ფიცითა“ დააბოლოვა: „გეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!“

როდესაც ფრიდონმა გაიგო, რომ ქალი, რომელიც ზღვით მიჰყავდათ შავ მონებს და რომელიც მან ვერ დააგდებინა მათ, ტარიელის მიჯნური ყოფილა, დააშოშმინა ტარიელი შემდეგი სიტყვებით:

ესე ქალაქი გზა არის ნავთა, ყოველგნით მავალთა,
შემომკრებელი ამბავთა უცხოთა რათმე მრავალთა;
აქა მოგესმის ამბავი, შენ რომე დაუწვავ ალთა,
ნუთუ ქნას ღმერთმან გარდახდა მაგ შენთა ჭირთა და ვალთა (637).

ფრიდონმა შესთავაზა ტარიელს დახმარება და ურჩია:

ჩვენ გაგეზავნეთ მენავენი, რომელთაცა კვლა უელია,
მოგვინახონ იგი მთვარე, ვისთვის ჭირი არ გვაკლია.
მუნამდისცა მოიჯირვე, გონებამან არ დაგლია.
ყოლა ჭირი არ ეგების, თუმცა ლხინმან არ დასძლია (638).

ამ თათბირის განსახორციელებლად ფრიდონმა

კაცნი იხმნა მასვე წამსა...
უბრძანა, თუ: „ნავებითა წადით, ზღვა ზღვა მოიცურვეთ,
მოგვინახეთ, საყვარელსა მისსა მისთვის მოასურვეთ,
თავთა ჭირნი უათასეთ, რადმც უშვიდეთ ანუ ურვეთ?“ (639).

ამ სტროფებს მოსდევს 640-ე სტროფი, რომელშიაც შემდეგს ვკითხულობთ:

აჩინნა კაცნი, სადაცა სადგურნი ნავთა სჩენოდეს,
უბრძანა: „ძებნეთ ყოველგან, რაცა ვის მისი გსმენოდეს!“

ამ სტროფის მეორე ტაეპში **გსმენოდეს**-ფორმა მეორე ობიექტური პირისა სრულიად შეუფერებელია. იქმნება გაუგებრობა: გამოდის, რომ ფრიდონმა „აჩინნა კაცნი“ და მათ უბრძანა: „ძებნეთ ყოველგან, რაცა ვის (ე. ი. თქვენ) მისი (ე. ი. ნესტანდარეჯანისა) გსმენოდეს“-ო (გაგეგონოსო), გამოდის, რომ ფრიდონის გაგზავნილებს უკვე რაღაც სმენიათ ნესტანდარეჯანის შესახებ, რაღაც იციან ნესტანდარეჯანისა და იმის ნაცვლად, რომ ამათ გამოჰკითხონ ნესტანის ამბავი, მათვე სადღაც გზავნიან ამბის გასაგებად.

მიუხედავად ამისა, ეს **გსმენოდეს**-ფორმა არის დაბეჭდილი ყველა გამოცემაში, მათ შორის ოთხივე ბოლოდროინდელშიც.

გსმენოდეს იკითხება ხელნაწერთა უმრავლესობაშიც, მაგრამ ორი ხელნაწერი (IZ) მაინც გვაწვდის მართებულ წაკითხვას. ამ ხელნაწერებში მეორე სუბიექტური პირის ფორმის ნაცვლად მესამე სუბიექტური პირის ფორმა იკითხება — **სმენოდეს**. თუ ამ ვარიანტს მოვიშველიებთ, ტაეპის შინაარსი ერთბაშად ნათელი ხდება.

ფრიდონმა უბრძანა გაგზავნილებს: ძებნეთ ყოველგან, ვისაც კი რაიმე გაეგონოს („სმენოდეს"), მისი ნესტანდარეჯანისაო.

გამოყენებულია საინტერესო ხერხი: მოსალოდნელია, რომ მთავარ წინადადებას ახლდეს ადგილის აღმნიშვნელი დამოკიდებული წინადადება, რამდენადაც მთავარში უკვე წარმოდგენილია ამ დამოკიდებული წინადადების კორელატი სიტყვა **ყოველგან,** მაგრამ ამგვარი წინადადების ნაცვლად დამატებითი დამოკიდებული წინადადება ჩნდება.

642-ე სტროფში თხრობა სავსებით ლოგიკურად ვითარდება:

...მოვიდეს ყოელგნით ამბისა მცნობელნი,
ცუდნი და ცუდთა ადგილთა თავისა დამაშრობელნი,
ვერა ვერ ეცნა, ვერ იყვნეს ვერას ამბისა მბობელნი.

ეს სტროფი კიდევ უფრო ცხადყოფს, რომ ფრიდონს არ შეეძლო ებრძანებინა თავისი კაცებისათვის — „ძებნეთ ყოველგან, რაცა ვის მისი **გსმენოდეს**"-ო.

438-ე სტროფში ასეთი სტრიქონებია:

მე დილასა მოციქულთა სიტყვა ტკბილი შევუთვალე:
„რამაზს ჰკადრეთ: მოგეგებვი, მოდი, მოვალ მეცა მალე".

მეორე ტაეპში ყველა გამოცემაშია **მოგეგებვი** ან მისი ვარიაცია **მოგეგები** (ვახტანგ VI, ბროსე, ჩუბინაშვილი).

ხელნაწერებში იკითხება იგივე **მოგეგებვი** და **მოგეგები,** აგრეთვე **მოგეგებვით.**

გაბატონებული წაკითხვა შეუფერებელია კონტექსტისათვის. ტარიელი იმ სიტუაციაში ვერ და არ შეიძლებოდა მიჰგეგებოდა რამაზს. თანაც ამ ტაეპში ამ ზმნას მოსდევს **მოდი** და **მოვალ** ფორმები. ეს ნიშნავს იმას, რომ რამაზი უნდა მოვიდეს და მოეგებოს ტარიელს, რომელიც მალე მოვა. მართებული წაკითხვა დაუცავს ერთადერთ ხელნაწერს. ესაა თარხანმოურავისეული (Z), რომელშიაც ვკითხულობთ: **მოგვეგებე.** ტაეპი სავსებით გამართული ხდება: „რამაზს ჰკადრეთ: მოგვეგებე, მოდი, მოვალ მეცა მალე".

ეს ტაეპი წარმოადგენს პასუხს რამაზის მიერ მოციქულის პირით შემოთვლილზე, რაც 428-ე და 429-ე სტროფებშია წარმოდგენილი:

სამ დღე ვიარე, მემთხვია სხვა კაცი მისვე ხანისა.
კვლა ეძღვნა უცხო მრავალი შესამოსელი ტანისა,
ებრძანა: „მწადსო სიახლე შენ ლაღისა და ჯანისა,

რა შეგეყარო, მაშინ სცნა შენ ძღვნობა ამისთანისა“ (428).
კვლაცა ეთქვა: „მართალია ეზომ ჩემი მონახსენი,
მე თვით წინა მოგეგებვი, მესწრაფების ნახვა შენი“ (429).

„მოგეგებვი“ — უთვლის რამაზი ტარიელს: **„მოგვეგებე“** — უპასუხებს ტარიელი.

ასმათმა მოართვა ტარიელს ნესტანდარეჯანის უსტარი, თან ნესტანდარეჯანის მიერ ზეპირად დანაბარებიც მოახსენა. ტარიელი ასე გადმოსცემს ამ ამბავს:

ასმათ მითხრა: „მე მიბრძანა, ესე ვქმნათო , ესე სჯობდეს:
ვინცა გნახოს, ჩემგან მისსა საუბარსა ვერა სცნობდეს,
ჩემად ნახვად მოვიდოდეს, შენ ვითამცა გაშიკობდეს,
და-ცა-მვედრა: ამირბარსა უთხარ, ასრე ნამუსობდეს (383).

ვახტანგ VI-ის გამოცემაში **დამცავედრა** დაიბეჭდა. ეგეთივე ფორმა იყო ბროსეს, ჩუბინაშვილის, ქართველიშვილის გამოცემებში. 1937, 1951, 1957 წლების გამოცემებში და პ. ინგოროყვას 1953 წ. გამოცემაში **დაცამვედრა** იკითხება. ეს წაკითხვა პირველად შემოიტანა ს. კაკაბაძემ თავის პირველ გამოცემაში 1913 წელს, გაიმეორა დ. კარიჭაშვილმა 1920 წელს თავის მეორე გამოცემაში და ს. კაკაბაძემვე მეორე გამოცემაში 1926 წელს, იუსტ. აბულაძემ II გამოცემაში და კ. ჭიჭინაძემ პირველი გამოცემების **დამცავედრა** გაიმეორეს. ეგეთივე წაკითხვა აღადგინა მ. წერეთელმაც.

უახლოეს ოთხივე გამოცემაში (sluy) **დაცამვედრა** იკითხება.

ხელნაწერებში გვაქვს **დაცამვედრა** (FHKO), **დაცავედრა** (IJ), **დამცავედრე** (LZ), **დამცამვედრა** (T) და **დამცავედრა** (დანარჩენებში).

ზემომოყვანილ ფორმათაგან **დამცავედრა** შეუძლებელი ფორმაა. რაც შეეხება **დაცამვედრა**-ს, ის შესაძლებელი და სავსებით კანონზომიერი ფორმაა, ხოლო სხვა საკითხია, რამდენად შეეფერება ეს ფორმა მოცემულ კონტექსტს.

ზემოთ მოყვანილი ამჟამად გაბატონებული წაკითხვის მიხედვით სტროფი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილს პირველი სამი ტაეპი შეადგენს, მეორეს — უკანასკნელი ტაეპი. პირველ ნაწილში **ასმათ მითხრა** ტარიელის სიტყვებია, ხოლო დანარჩენი სიტყვებით ასმათი ნესტანდარეჯანის დანაბარებს გადასცემს ტარიელს. მესამე ტაეპის ბოლოს ასმათი წყვეტს ნესტანდარეჯანის დანაბარების გადაცემას, ჩაურთავს თავის სიტყვას **(დაცამვედრა)** და

შემდგომ კელავ განაგრძობს ნესტანდარეჯანის დანაბარების გადაცემას. ამიტომაც იყო, რომ უკანასკნელ ტაეპში **დაცამვედრა** (ან **დამცავედრა**) სიტყვას დანარჩენთაგან მძიმით ან ტირეთი და მძიმით გამოყოფდნენ გამომცემლები, ხოლო 1957 წლის გამოცემაში უფრო მკვეთრად გაიხაზა, რომ **დაცამვედრა** ასმათს ეკუთვნის და ამ სიტყვის შემდეგ ორწერტილი დაწერეს; stuy გამოცემებშიც ასეთი პუნქტუაციაა გატარებული.

ამის მიხედვით ასმათი ეუბნება ტარიელს: (ნესტანდარეჯანმა) მე მიბრძანაო, რომ „ესე ვქმნათო, ესე სჯობდეს: ვინცა გნახოს, ჩემგან მისსა საუბარსა ვერა სცნობდეს, ჩემად ნახვად მოვიდოდეს, შენ ვითამცა გაშიკობდეს“-ო და მე **დაცამვედრაო**, რომ „ამირბარსა უთხარ, ასრე ნამუსობდეს“-ო.

ეს წაკითხვა არ არის სწორი. სამაგიეროდ, ხელნაწერებში წარმოდგენილია ისეთი ვარიანტი, რომელიც აღგვადგენინებს მოცემული სტროფისათვის შესაფერ წაკითხვას. ესაა LZ ხელნაწერებში დაცული ვარიანტი **დამცავედრე**. **დამცავედრე** ისეთივე დაშახინჯებული ფორმაა, როგორიც იყო **დამცავედრა**. ამ უკანასკნელის შესაბამისი მართებული ფორმაა **დაცამვედრა**; ასევე შეგვიძლია აღვადგინოთ **დამცავედრე**-ს შესაბამისი მართებული ფორმა **დაცამვედრე**. აი, სწორედ ეს უკანასკნელი ფორმა უნდა მივიჩნიოთ მოცემული კონტექსტისათვის შესაფერისად.

თუ საანალიზო სტროფში **დაცამვედრა**-ს ნაცვლად **დაცამვედრე**-ს ჩავსვამთ, მაშინ სტროფი აღარ აღმოჩნდება ორ ნაწილად გაყოფილი, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, იგი გამთლიანდება. ბრძანებითის ფორმა **დაცამვედრე** ასმათის სიტყვა კი აღარ იქნება, არამედ ნესტანდარეჯანის ნათქვამი აღმოჩნდება, რასაც ასმათი გადმოსცემს, და ტაეპი ასეთ სახეს მიიღებს:

„...და-ცა-მვედრე ამირბარსა, უთხარ, ასრე ნამუსობდეს“.

როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, პირველ სამ ტაეპში ასმათი გადასცემს ტარიელს ნესტანდარეჯანის დანაბარებს: აქ მოცემულია, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ტარიელი, რომ საიდუმლო არ გაუმჟღავნდეთ მასა და ნესტანდარეჯანს. მეოთხე ტაეპში დასკვნაა წარმოდგენილი: დამვედრე ამირბარს, უთხარი, რომ ამგვარად იცავდეს საიდუმლოსო.

ტარიელმა გაიმარჯვა ხატაელებზე და დაბრუნდა ინდოეთში, თანაც „ხატაეთისა ხელმწიფე მოჰყვანდა შეპყრობილია“. მას ზე-

იმით შეხვდნენ. „მას ღამით ნადიმად სხდნენ“. დილით მეფემ ბრძანა: „დღეს ხატაელი მიჩვენეთ, ტყვენიცა შემომგვარენით“-ო. ტარიელმა „რამაზ მეფე მას წინაშე შეპყრობილი“ მოიყვანა. რამაზი „ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი საკვანე“ და

მას მეფესა ხატაელსა უმასპინძლა, უალერსა,
ჟამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა.
ცისკრად მიხმეს, მიბრძანებდეს მე სიტყვასა ლმობიერსა:
„შეუნდობო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა?“ (469).

საკითხი ამ უკანასკნელ ტაეპს ეხება.

1937 წ., 1951 წ. და 1957 წ. გამოცემებში, პ. ინგოროყვას მიერ 1953 წ. გამოქვეყნებულ ტექსტში, აგრეთვე ზოგ ძველ გამოცემაში, უახლეს გამოცემათაგან ყველაში (sluy)—ეს ტაეპი კითხვით წინადადებადაა წარმოდგენილი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ფარსადანი ეკითხება ტარიელს: **თუ შეუნდობო შენ ხატაელს**, რომელიც აქამდე [ჩვენი] შენამტერი იყოო. ამის მიხედვით **შეუნდობ-ზმნა** მეორე სუბიექტური პირის ფორმადაა გაგებული.

ზოგ ძველ გამოცემაში (მაგ., ჩუბინაშვილისაში), ხოლო გვიანდელთაგან კ. ჭიჭინაძისაში, ეს ტაეპი თხრობით წინადადებად არის წარმოდგენილი.

ასეთი გაგება მართებულია. ფარსადანი არ შეიძლებოდა შეჰკითხებოდა ტარიელს — შეუნდობ თუ არა რამაზ მეფესაო. იგი კი არ ეკითხება ტარიელს, არამედ ამცნობს მას თავის გადაწყვეტილებას. თავის ნებას, როგორც მეფე: შენდობის უფლება მხოლოდ მას აქვს. **შეუნდობო** ამ ტაეპში **არის სუბიექტური პირველი პირის ფორმა** და წარმოდგენილია ძველი ორთოგრაფიით: საობიექტო ქცევის უ-პრეფიქსის წინ პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ- დაკარგულია.

ორთოგრაფიის საკითხი მოსაგვარებელია პოემის ტექსტში. კერძოდ, ამ შემთხვევაში უახლეს გამოცემებში ახალი ორთოგრაფიაა გატარებული, უ-ს წინ ვ დაცულია. აქედან ჩანს, რომ ტაეპში ეს შეცდომა ორთოგრაფიული ხასიათისა არ არის.

რომ ტაეპის შინაარსის ასეთი გაგება სწორია, ამას მომდევნო სტროფიც ადასტურებს. როცა ტარიელმა მოისმინა ფარსადანის გადაწყვეტილება, ასეთი პასუხი ჰკადრა: „...ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე — გაცუდებულსა“-ო. თუ საანალიზო ტაეპს კითხვით წინადადებად გავიგებდით, მაშინ მოსალოდნელი პასუხი ტარიელისა ასეთი უნ-

და ყოფილიყო: ან: ვერ შევუნდობო, ან: შევუნდობო. ტარიელის პასუხი კი მეფის გადაწყვეტილების მოწონებას წარმოადგენს.

მაგრამ, თუ 770-ე სტროფი ნათელყოფს წინა სტროფის აზრს, ამავე დროს ეს სტროფია წყარო იმ უხეში შეცდომისა, რომელიც საანალიზო სტროფშია დაშვებული გამოცემებში: 470-ე სტროფი, როგორც ჩანს, გაგებულ იქნა პასუხად, ხოლო ტარიელის პასუხს წინა სტროფში კითხვა შეეფერებოდა მეფისა. მაგრამ ის ფაქტი, რომ წინა სტროფში თუნდაც კითხვა ყოფილიყო, მომდევნო სტროფის სიტყვები ამ კითხვის პასუხს არ წარმოადგენს, არ ყოფილა გათვალისწინებული.

მ. წერეთელს შეუმჩნევია ეს უხერხულობა და **შეუნდობო** შეუცვლია **შევუნდოთო** ფორმით. ეს არის ცდა 470-ე სტროფის სიტყვების წინა სტროფში თითქოს დასმული კითხვის პასუხად გამოყენებისა (მეფე ეკითხება ტარიელს: შეუნდობო? ტარიელი უპასუხებს მრაელობითის ფორმით, მოკრძალებით: **შევუნდოთო**).

პირის ფორმათა აღრევა ზოგჯერ მთლიანად სიტყვების შეცვლას იწვევს, ერთი ფუძის ნაცვლად ჩნდება მეორე ფუძე, ბგერითი შედგენილობის მხრივ მისი მსგავსი.

ასეთი ვითარებაა, მაგალითად, 585-ე სტროფში — „მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომივიდა ცხრო და თრთოლა“.

საკითხი ეხება გამოთქმას: **მომივიდა ცხრო და თრთოლა.** ყველა ძველ გამოცემაში **მომივიდა** იკითხება (ვახტანგის გამოცემაშია — **მამივიდა**) ხელნაწერების ერთ ჯგუფში აგრეთვე **მომივიდა** (I) ან **მამივიდა** (DGHKOTUV) გვაქვს E-ში შეცდომაა (**მოვიდა**), J თავისებურ წაკითხვას იძლევა (**მოვიდა ცხრომა**).

ამის მიხედვით ტაეპში ორი წინადადება გამოიყოფა: **მეტმან ზარმან გამაშმაგა** (რეალური სუბიექტია **ზარმან**) და **მომივიდა ცხრო და თრთოლა** (რეალური სუბიექტებია **ცხრო** და **თრთოლა**). უკანასკნელი წინადადება ქართულისათვის ბუნებრივი არაა: **ცხრო მომივიდა** ან **თრთოლა მომივიდა** გამოთქმები არ გვხვდება.

დანარჩენ ხელნაწერებში (ABC...) **მომიკიდა** იკითხება. **ცხრო** არის **კანკალი, ძაგძაგი, ციება. ცხრო მომიკიდა (თრთოლა მომიკიდა)** — **კანკალი მომიკიდა.** ეს გამოთქმები ბუნებრივი გამოთქმები ჩანს. ამდენად, თუ ამ ვარიანტზე შევჩერდებით, გამოვიდოდა, რომ ტაეპი ერთ წინადადებას წარმოადგენს, რომელშიაც რეალური სუბიექტია **ზარმან**, ხოლო პრედიკატებია **გამაშმაგა** და **მომიკიდა.** ამ

უკანასკნელს ორი ობიექტი ახლავს სინონიმური მნიშვნელობისა — **ცხრო** და **თრთოლა**.

ეს წაკითხვა მიიღეს ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ თავიანთ გამოცემაში (s) და შემდეგ გაზიარებულია ყველა დანარჩენ ახალ გამოცემაში (luy).

მაგრამ ნოგვეპოვება, ჩვენი აზრით, უფრო მისაღები ვარიანტი **მომეკიდა**, რომელიც F ხელნაწერშია წარმოდგენილი.

საქმე ის არის, რომ იმ შემთხვევაში, როცა ზემოთ მოყვანილ გაძოთქმებში ზმნა გარდამავალია, მოქმედებითი გვარისა, ჩვეულებრივ უხმოვნო ვარიანტი გვაქვს ქართულში: **მომკიდა ცხრო** და არა **მომიკიდა ცხრო**.

მოგვყავს რამდენიმე მაგალითი ვაჟა-ფშაველას თხზულებებიდან.

„კაცს მაგის მეტად არ იცნობთ, მაგის მეტ არ გაქვთ შნოება? თავის ფიქრიდამ შემკრთალთა ეხლავ **მოგკიდათ** ცხროება? („ბახტრიონი", სტრიქ. 1059-1062: „ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი", თბილისი, 1972).

„გოჩს კანკალი **მოჰკიდა**" („გოჩი": თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, გვ. 39).

„მათრახები რო დატყვრება, ჩხუბად რო გახდება, გული ამიღებს, ტანში ჟრუნტელი დამიდის, კანკალს **მომკიდებს**" („უძმოს ძმა", ტ. VI, გვ. 116).

მომკიდა ცხრო და თრთოლა პოემის საანალიზო ტაეპში არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მისგან **მომივიდა**-ფორმას მაინც ვერ მივიღებდით. ტაეპში უნდა ყოფილიყო **მომკიდა**-ს შესაბამისი ფორმა ვნებითისა **მომეკიდა ცხრო და თრთოლა**, რომელიც აგრეთვე სავსებით ბუნებრივი გამოთქმაა ქართულში.

ცვლილებები ამ თანამიმდევრობით უნდა მომხდარიყო: **მომეკიდა** გადამწერთა ხელში ჯერ **მომიკიდა**-დ უნდა ქცეულიყო წინა წინადადების რეალური სუბიექტის (**ზარმან**) გავლენით, ხოლო აქედან უკვე ადვილი იყო **მომივიდა**-ს მიღება კ და ვ ასოების გრაფიკული მსგავსების გამო.

ცხრო და **თრთოლა** ხშირად იხმარება ერთად: შდრ. გამოთქმა „ვისრამიანიდან": „ტიროდა და ეგრე **თრთოდა**, ვითა **ცხროიანი** (ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 91).

პოემის 353-ე და 354-ე სტროფებში მოთხრობილია, რომ დაბნედილი ტარიელი სამ დღეს დარბაზს იყო „არც ცოცხალი, არცა მკვდარი“. მერმე ცნობა მოუვიდა, ყველაფერს მიხვდა და ღმერთს შესთხოვა: ნუ გამწირავ, გაძლების ძალა მომეცი („მომეც ძალი დათმობისა“), როგორმე ფეხზე დამაყენე („ცოტად ვითმე აღმადგინე“), აქ ყოფნა გამამჟღავნებს, „სახლსა ჩემსა მიმაწვინე“-ო.

საკითხი ეხება ამ უკანასკნელ ფრაზას („სახლსა ჩემსა მიმაწვინე“), კერძოდ, ამ ფრაზის უკანასკნელ სიტყვას — „მიმაწვინე“. ეს სიტყვა ასეა წარმოდგენილი პოემის ყველა გამოცემაში. არც ერთ გამომცემელსა და რედაქტორს არ უცდია ამ დაწერილობის დასაბუთება და არც ამ სიტყვის განმარტებაა წარმოდგენილი პოემის ლექსიკონებში. ვახტანგ VI-ც და თეიმურაზ ბაგრატიონიც დუმან ამ ფრაზის შესახებ, თუმცა პირველი მათგანი ამ სტროფიდან განმარტავს სიტყვა აჯა-ს: „აჯა ხვეწნასა ჰქვიან“-ო. ფრაზის შინაარსი ეჭვს არ იწვევდა, მიმაწვინე-ზმნა რითმასაც ზიანს არ აყენებდა.

თითქმის ყველა ხელნაწერში აგრეთვე მიმაწვინე წაკითხვა არის წარმოდგენილი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთი ხელნაწერი Q 930 (R), მე-17 საუკუნისა, ერევნის მატენადარანიდან გადმოცემული, რომელშიაც იკითხება მიმაწივნე.

მიმაწვინე ბრძანებითის ფორმაა მიაწვენს-ზმნისა. ეს ზმნა ნეიტრალური ქცევის ფორმით და მი პრევერბით შეუფერებელ შინაარსს აძლევს ფრაზას: სახლსა ჩემსა მიმაწვინე! ჯერ ერთი, მიწვენა შესაძლებელია საწოლზე, ბალიშზე... სახლში (სახლსა) მიწვენა არ შეიძლება, სახლში დააწვენენ. ამასთან, მიწვენა არ შეეფერება მნიშვნელობით ტარიელის მაშინდელ მდგომარეობას, არღვევს მთელი ტაეპის აზრობრივ აღნაგობასაც, ამ ტაეპის პირველი და მეორე ნაწილის აზრობრივ დაპირისპირებულობასაც.

ყველაფერს, რასაც არღვევს მიმაწვინე წაკითხვა, ნათელს ხდის R ხელნაწერის წაკითხვა მიმაწივნე. თუ ამ წაკითხვას ჩავსვამდით საანალიზო ფრაზაში, ტაეპი ასე გაიმართებოდა: „აქა ყოფა გამამჟღავნებს, სახლსა ჩემსა მიმაწივნე“. ტარიელი შესთხოვს ღმერთს: გაძლების ძალა მომეცი, ფეხზე დამაყენე (ფეხზე დადგომა შემაძლებინე) აქ ყოფნა გამამჟღავნებს (აქ ყოფნით ჩემი საიდუმლო გამომიჟღავნდება), ჩემს სახლში „მიმაწივე“, მიმაწევინეო (შემაძლებინე, რომ ჩემს სახლში მივაწიო, ჩემს სახლში მივიდეო).

დაპირისპირება — აქ ყოფნა საიდუმლოს გამომჟღავნებს, ჩემს

სახლში მიმაწევინე, ჩემს სახლში მისელა შემაძლებინე — სავსებით ნორმალურია და ყოველგვარი თვალსაზრისით გამართლებული.

მსგავს გაგებას გულისხმობს წაკითხვა **მიმწივნე**, რომელიც დაცული ყოფილა ერთ გვიანდელ (მე-19 ს.) ხელნაწერში (Q′)[7].

ამრიგად, ტაეპი ასე გაიმართა: **„აქა ყოფა გამამყლავნებს, სახლსა ჩემსა მიმაწივნე“**. ეს წაკითხვა, რომელმაც გამართა ტაეპის სტრუქტურა და შინაარსი, სამაგიეროდ არღვევს რითმას. სტროფის სარითმო სიტყვებია: **შეისმინე, აღმადგინე, გავარკინე. მიმაწვინე**-წაკითხვა რიგიანად თავსდებოდა სარითმო ოთხეულში, **მიმაწივნე**-წაკითხვა ამ ოთხეულიდან ამოვარდნილია.

მიმაწივნე-ფორმა, დადასტურებული მე-17 ს. დასახელებულ ხელნაწერში, მართლაც არ შეეფერება „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფს. მაგრამ იგი არ უნდა იყოს თავდაპირველი ფორმა, პოემაში უნდა ყოფილიყო **მიმაწინე**. ასეთი ფორმა შესაძლებელია ყოფილიყო პოემის ძირითად ტექსტში და დადასტურებულია უფრო გვიანდელ ტექსტშიც. „ინდო-ხატაელთა ამბავში“, კერძოდ 1612-ე სტროფში, ასეთი სტრიქონები მოიპოვება.

ყოვლთა მისცეს ზენაარი, მიუყარნეს მუხლნი წინა:
„ნუ დაგვხოცო, მისსა ძალსა, ვინცა აგრე დაგარჩინა!“

დაგარჩინა ამ სტროფში მხოლოდ EFIKNRZ ხელნაწერებში იკითხება; G ხელნაწერში **გაგაჩინა** არის, O-ში—**მოგარჩინა**; დანარჩენ ხელნაწერებში კი იკითხება **მოგაწინა** და მთელი ტაეპი ასეა წარმოდგენილი: „ნუ დაგვხოცო, მისსა ძალსა, ვინცა აქა **მოგაწინა**“, ე. ი. სწორედ ის ფორმაა დადასტურებული, რომელსაც ჩვენ აღვადგენთ საანალიზო 354-ე სტროფისათვის.

ეს ნიშნავს: მისსა ძალსა (ე. ი. მის ძალს გაფიცებ), ვინც აქ მოგაწევინა, ვინც აქ მოსვლის შეძლება მოგცა, ნუ დაგვხოცო.

მიმაწინე-ს მნიშვნელობა ისეთივეა, რაც **მიმაწივნე**-სი, ამასთან, **მიმაწინე**-ფორმა სავსებით შესაფერია სარითმო ოთხეულისათვისაც: **შეისმინე, აღმადგინე, გავარკინე, მიმაწინე**.

ძველ ქართულში ერთმანეთს კარგად უპირისპირდებოდა ამ ზმნის მხოლოობითისა და მრავლობითის ნამყო ძირითადის ფორმები მესამე პირისა: მხოლოობითში — **უნარო**, მრავლობითში — **ნარიანი**.

---

[7] ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი პირველი, ა. ბარამიძის რედაქტორობით გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, თბილისი, 1960.

„და ვითარცა **მოიწია** და შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, და კითხვაჲ ჰრქუა...“[8] „და მყის **მოიწია** ჩუენდა დიაკონი შინაჲთ და გუთხრა ჩუენ ესე ყოველი[9].

„და ვითარ **მიიწინეს** და შევიდეს წინაშე დედოფლისა და მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას...“[10] „და ვითარცა **მოიწინეს** დიდნი იგი მარხვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ ბახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მცირჱ სენაკი და მუნ დაეყუდა“[11].

მავრამ მრავლობითში ერთნარიანი ფორმების გვერდით ამ ზმნის ორნარიანი ფორმებიც გვქონდა: **მიიწინნეს**[12].

საყურადღებოა, ერთი და იმავე ძეგლის ერთ ნუსხაში რომ უვინო ფორმაა, მეორე ნუსხაში მას ვინიანი ფორმა ცვლის. ერთ ნუსხაში არის: „და ვითარცა აღაშენეს ეკლესიაჲ, წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთა მეფისა კოსტანტინესა, თხოვად მღდელთა. ხოლო იგი მწრაფლ **მიიწინეს**“[13]; „მაშინ **მოიწინეს** ყოვლით სოფლით კაცნი ჰურიანი, მეცნიერნი შჯულსა მოსესსა“[14]. მეორე ნუსხაში ეგეთე ტექსტი ამ სახითაა წარმოდგენილი: „და აღაშენეს ეკლესიაჲ და წარავლინა მეფემან მოციქულნი და წიგნი ნინო[ჲ]სი საბერძნეთად, მეფისა კონსტანტინესსა, თხოვად მღდელთა, ხოლო მოციქულნი იგი მსწრაფლ **მიიწივნეს** წინაშე მეფისა“[13]. „მაშინ **მოიწივნეს** ყოვლით ქუეყანით კაცნი მეცნიერნი შჯულსა მოსესსა“[14].

ივ ფაქტს, რომ მრავლობითის ერთნარიანი ფორმების გვერდით მრავლობითის ორნარიანი ფორმები მოიპოვებოდა, ხელი უნდა შეეწყო იმისათვის, რომ ერთნარიანი ფორმები მხოლოობითად გაგებულიყო. მხოლოობითადაა გაგებული **მოგაწინა** 1612-ე სტროფ-

---

8 წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 12.

9 იქვე, გვ. 13.

10 იქვე, გვ. 15.

11 იქვე, გვ. 19.

12 ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბილისი 1971, გვ. 52—53. ივ. იმნაიშვილი იმ ფაქტს, რომ ასეთ ფორმებში ორი ნ არის, ხსნის ზმნის -ევ სუფიქსისეული ვ-ს მრავლობითის -ნ (—-ენ) სუფიქსთან ასიმილაციით (ვნ—ნნ).

13 მოქცევაჲ ქართლისაჲ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის რედაქციით, გვ. 95.

14 იქვე, გვ. 112.

ში, მხოლოობითადაა გაგებული **მიმაწინე** ფორმა საანალიზო ტაეპშიც, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს:

„აქა ყოფა გამამყლავნებს, სახლსა ჩემსა მიმაწინე!“

არაბეთიდან ქვაბს დაბრუნებულმა ავთანდილმა იპოვა ტარიელი, რომელსაც „სოფლით გაღმა გაებიჯა“, მოასულიერა... ამას მოსდევს ცნობილი დიალოგი მათ შორის. ავთანდილი „ეხვეწებოდა, «შეჯეო», აჯას ხვეწნითა არვებდა, იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა...“ ბოლოს „დაიმორჩილა“: ტარიელმა „ცხადად უთხრა: შევჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა. მან მოჰგვარა, წუნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა“. ესაა 892-ე სტროფის პირველი ორი ტაეპი.

საკითხი ეხება გამოთქმას — **„მომიყვანე ცხენი წინა“**, რომელიც ყველა გამოცემაში ასეა წარმოდგენილი და აგრეთვე ასე იკითხება ხელნაწერთა უმრავლესობაში. ეს გამოთქმა **(წინ მომიყვანე)** არაა ბუნებრივი ქართულისათვის. JT ხელნაწერები, რომლებშიც ხშირად ძალიან კარგადაა შემჩნეული დამახინჯებული ადგილები პოემისა, გვაწვდიან წაკითხვას **მიუყენა ცხენი წინა**, რაც ბუნებრივი გამოთქმაა, მაგრამ არ ეგუება კონტექსტს. სამაგიეროდ E ხელნაწერს დაუცავს წაკითხვა, რომელიც სავსებით ეგუება კონტექსტსაც და კარგად ასწორებს მთელ ტაეპს. ეს წაკითხვაა **მომიყენე ცხენი წინა. მომიყენე** შემდეგ ცვლილა მსგავსი **მომიყვანე**-თი. ამ ცვლილებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმასაც, რომ მომდევნო ტაეპი **მან მოჰგვარა**-თი იწყება **(მომიყვანე** — მანც **მოჰგვარა**, ე. ი. **მოუყვანა)**.

ცხენის მოყენება ბუნებრივი გამოთქმაა, მეტიც, მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს, და სხვა ძეგლებშიც გვხვდება. მაგალითად, „შაჰნამეს“ პროზაულ ქართულ ვერსიაში ვკითხულობთ: „რა შეიყარნეს ერთობილნი, რომ აღარავინ აკლდა სპა-ჯარისაგან, **ტაიჭი მიუყენეს** ორთავ ჴელმწიფესა მანუჩარს და ფრიდონს. შესხდეს კბილღრჭენით და, ვეფხი ვით გაშმაგებული, ჭანგგამახული, გაეშართნეს ალაღებულნი, გული ჯავრით გატენილი სისხლის საძებრად“[15].

---

15 შაჰნამეს ქართული ვერსიები, იუსტ. აბულაძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, ტ. II, ტფილისი, 1934, გვ. 421.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პირის ფორმები ერთმანეთს ენაცვლება, ერთი ზმნის ფორმის ადგილს მეორე ზმნის ფორმა იჭერს, ან კიდევ ზმნა იჭერს სხვა არაზმნური ფორმის ადგილს და ყოველივე ამას გრაფიკა უძევს საფუძვლად. გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე აღმოცენებული შეცდომები გადამწერლებისა საერთოდ ცნობილია ბევრი ძეგლის ისტორიაში. „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერლებსაც მოსვლიათ ასეთი შეცდომები, ეს შეცდომები შემდგომ გადადიოდა პოემის გამოცემებში და მკვიდრდებოდა პოემის ტექსტში. აქ სანიმუშოდ განვიხილავთ ორიოდე შემთხვევას.

პოემის 363-ე სტროფი ასეა წარმოდგენილი 1937, 1951 და 1957 წლების, პ. ინგოროყვ:ს 1953 წ. გამოცემებში:

ხელ-გახსნილი, სევდიანი, საწოლს ვიყავ თავის წინა;
ჩემი მონა შემოვიდა, შევხედე, თუ თქვას: რა მინა.
„მონაო ასმათისი“; შემოყვანა ვუთხარ შინა.
ვულსა შინა დავუზრახე: „რა მპოვაო, ანუ ვინ-ა?!“

ასეთივე სახითაა დაბეჭდილი ეს სტროფი ოთხივე უახლეს გამოცემაში (ოდნავ განსხვავებულია მხოლოდ მესამე სტროფი, რომელშიც **„შევხედენ“** იკითხება).

ამ სტროფის მეორე ტაეპი ვახტანგის გამოცემაში ასეა დაბეჭდილი: „ჩემი მონა შემოვიდა შევხედენ თუ თქვა რა ძინა“, მაგრამ 1937 წლის მეორე აღდგენილი გამოცემის რედაქტორმა ა. შანიძემ ეს წაკითხვა კორექტურულ შეცდომად მიიჩნია და ასე გაასწორა: „...თქვას რა მინა“, ე. ი. ისე, როგორც წინა გამოცემებში (ბროსეს, ჩუბინაშვილის, ქართველიშვილის, იუსტ. აბულაძის, დ. კარიჭაშვილის I, კ. ჭიჭინაძისა) იყო გაბატონებული[16]. მხოლოდ ს. კაკაბაძემ დაბეჭდა ორივე გამოცემაში გარკვეულ ხელნაწერთა მიხედვით ისევ **რა ძინა**. დ. კარიჭაშვილმა 1920 წ. გამოცემაში მთლად გადაკეთებული წარმოადგინა ტაეპი: **„ჩემი მონა შემოვიდა... შემომხედა, არ მეძინა“**. უკანასკნელ **რა ძინა** წაკითხვა აღადგინა მ. წერეთელმა.

ხელნაწერებში არევ-დარევაა. მოიპოვება ასეთი წაკითხვები ტაეპის დაბოლოებისა: **რა ძინა** (ABEIY) და **რა წინა** (CGHL); სრულიად გადაკეთებულია ტაეპის მეორე ნახევარი J ხელნაწერში **(რა შევხედე შემეშინა)**, KO-ში **(რა შევხედე შეეშინა)**, T-ში (ვერა **შევხედენ შეეშინა)**.

[16] უკეთ რომ ვთქვათ, ვახტანგ VI-ს წაკითხვა **რა ძინა რა მინა** წაკითხვით შეცვალეს მისმა მომდევნო გამომცემლებმა.

უკანასკნელი ვარიანტები იმის შედეგადაა მიღებული, რომ, ტაეპის მეორე ნახევარი რაკი გაუგებარი იყო, ცდილან, როგორმე გასაგები გაეხადათ. რჩება ორი ვარიანტი: **რა ძინა** და **რა წინა**, რომელთაგან უკანასკნელი პირველისაგან ჩანს მიღებული, წარმოადგენს მისი გააზრიანების ცდას, ისევე როგორც ტაეპის მეორე ნაწილის როგორმე გააზრიანების ცდას წარმოადგენს გამოცემების **რა მინა**[17].

---

17 დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი. ს. ყუბანეიშვილმა გამოსცა H 757 (A) ხელნაწერის პირი. გამომცემელი წერდა: „ხელნაწერის ტექსტში იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავითარი შესწორება არ შეგვიტანია... გ ა ვ ა ს წ ო რ ე თ (დაყოფა ავტორისაა. ივ. გიგ.) მხოლოდ კალმის უნებლიე შეცდომები“-ო („ეეფიზისტყაოსანი“, ჩანართი და დანართი ტექსტებით. ტექსტი დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა. გამომცემლის წინასიტყვაობა, გვ. 11). ამ გამოცემის მიხედვით ჩვენს საანალიზო სტროფში H 757 ხელნაწერში **რა ძინა** იკითხება: გამომცემელმა ხელნაწერის **რა ძინა** უკანასკნელი გამოცემების მიხედვით **რა მინა**-დ გადააკეთა, ხოლო **რა ძინა** სქოლიოში ჩამოიტანა, ე. ი. კალმის ლაფსუსად, გადამწერლის უნებლიე შეცდომად მიიჩნია(!).

სიტყვამ მოიტანა და არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ გამოცემაში „გადამწერლის უნებლიე შეცდომად“ არის მიჩნეული და უმართებულოდ გასწორებული საიუბილეო გამოცემის მიხედვით სავსებით მართებული ფორმები ხელნაწერისა. ასე, მაგალითად: ტაეპში — **„არ ბედითად ჰაიჰაი ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს“** ხელნაწერის ჰაიჰაი გადასწორებულია ჰაი-დ (36); ამ გამოცემაში 373-ე ჩანართი სტროფი სხვა ხელნაწერიდანაა დამატებული. ამ უკანასკნელ ხელნაწერში ფურცელს, რომელზედაც ეს სტროფი წერია, მარჯვენა მხარე მოხეული აქვს და recto-ზე ტაეპების პირველი ნახევრები (ზოგჯერ დასაწყისი სიტყვები) იკითხება მხოლოდ. დასახელებული სტროფი ასე იკითხება:

მელექსეთ აწვრთნის, ნუ ცდილობ...
რა რომ ქართული შეგიმცრდეს, ვეღ...
დაღრმობილ სიტყვას ვერ მის...
შინ დაიწყებს უწყვეტ...

მეორე ტაეპში ზმნის ფორმა **შეგიმცრდეს** „კალმის უნებლიე შეცდომად“ მიუჩნევია გამომცემელს და ახალი ფორმით შეუცვლია ასე: **შეგიმც[ი]რდეს**. ახალი ქართულის ფორმით შეცვლა ძველი ფორმისა თუ ასე თუ ისე გასაგებია ფსიქოლოგიურად, სრულიად გაუგებარია, თუ რატომ დაუშვა გამომცემელმა, რომ რვა მარცვლის შემცველი პირველი ნახევარი ტაეპისა — **რა რომ ქართული შეგიმცრდეს**... ცხრამარცვლიანად აქცია ე-ს ჩამატებით.

ასევე ჩანართ სტროფში (81)

მეფემან ბრძანა: „ჰიფიცაეს, ვირცხვი ამისსა თხრობასა,
გამცინოთ, არად ამოვკრეფ, ვერვინ მიზრახავთ თხობასა“ —

უკანასკნელ სიტყვაში **(თხობახა, რაც თხაობას, თხად ყოფნას ნიშნავს) რ** ჩაუმატებია გამომცემელს (თხ[რ]ობასა) და ტაეტოლოგიური რითმა მიუღია.

ამრიგად, ამჟამადაც რაკი **რა მინა** წაკითხვაა გაბატონებული, ამ ტაეპის შინაარსი თითქოს ასეა გაგებული: ჩემი მონა შემოვიდა. შევხედე, რომ ეთქვა, რა უნდოდაო (რომ თქვას, თუ რა მინდაო). ასეთი წაკითხვაც და წაკითხვის შედეგად მიღებული ფრაზის შინაარსის ამგვარი გაგებაც მეტად ნაძალადევია.

მართებული წაკითხვაა ხელნაწერთა ერთ ჯგუფში დადასტურებული, აგრეთვე ვახტანგ VI-ის გამოცემაში დაბეჭდილი **რა ძინა**. ამ წაკითხვაში ეჭვის შეტანა და მისი შეცვლა ნაძალადევი **რა მინა** წაკითხვით გაუმართლებელია.

რაძინა ასე უნდა იქნეს გაგებული: აქ ჩვენ გვაქვს **ძი** ნაწილაკდართული **რა** კითხვითი ნაცვალსახელი, ოღონდ **ძი** ნაწილაკი **ძინ**-ის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო ბოლოკიდური **ა** (**ძინ-ა**) იგივე ელემენტია, რომელიც პოემაში სხვა ნაწილაკებსა და ზმნისართებსაც დაერთვის (**მუნ-ა**: „მე **მუნა** მყოფი მივეცი შეებასა მეტის-მეტასა“: 484; „ნურადინ-ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ **მუნა** მჯდომელი“: 600; „აქა გაყრილნი მიჯნური **მუნამცა** შევიყარენით“: 882; „**მუნა** განახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი“: 1305; იხ. აგრეთვე სტროფები 1477, 1596, 1625. **მანდ-ა**: „ეგრე

1061-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ასე იკითხება ხელნაწერში:

აწ მივსწურევივარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა.

ხელნაწერში რელატიური ფორმაა ზმნისა (**მივსწურვივარ**) წარმოდგენილი სავსებით კანონზომიერად (**მივსწურვივარ სიკვდილსა**) და მისი გადაკეთება აბსოლუტურ მივსწურვილვარ ფორმად, რომელიც ფორმითაც უმართებულოდაა წარმოდგენილი და არც შინაარსით შეეფერება კონტექსტს, გაუგებრობაა.

კიდევ მეტი გაუგებრობაა დაშვებული 1126-ე სტროფში:

მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზეევ გამლევს, ზოგჯერ ვსხაცდები, ზოგჯერ ვწველდები.

ხელნაწერში წერია სავსებით სწორი ფორმა ზმნისა **ვსხვდები**, მაგრამ გამომცემელს ეს ფორმა უმართებულო **ვსხვლდები**-ფორმით შეუცვლია და ასე გაუსწორებია „გადამწერლის უნებლიე შეცდომა“.

ვწვლდები-ზმნაში **ლ** თავის ადგილზეა: **წვლილ**-ფუძისაგან ზმნის წარმოებისას ამოსავალია **წვლ**. -ილ სუფიქსი საწარმოებელ ფუძეში არ შედის. ასევე **ვსხვდები**-ზმნაში წარმოებისას ამოსავალია **სხვ**, ხოლო -ილ სუფიქსი საწარმოებელ ფუძეში არ შედის. გაუგებრობის წყარო ალბათ, ერთი მხრით **ვწვლდები**-ზმნის ანალოგიაა, ხოლო, მეორე მხრით, ისევ ახალი ქართული წარმოების ასოციაცია: დღევანდელ ქართულში ზმნა **მსხვილ** ფუძისაგან იწარმოება: **ვ-მსხვილ-დ-ებ-ი** (შდრ. ა. შანიძე, ვეფხის ტყაოსნის ენის საკითხები, II, ვეფხისტყაოსნის სამფონია, გვ. 031; აგრეთვე მისივე: „უსაპიროესი განმარტება“: „ვეფხისტყაოსნის საკითხები“, I, გვ. 129).

უთხრა: ამხანაგო, იყავ **მანდა**, მომიცდიდე: 225; „ვარქვი: **მანდა** რად ჰზი შენ, თუ სიყვარული ჩემი გჭირსა?“: 373; იხ. აგრეთვე სტროფები 378, 401, 406, 1246, 1449).

რაც შეეხება იმას, რომ **ძი** ნაწილაკი **ძინ** ნაწილაკის სახითაა წარმოდგენილი, ამგვარი ფაქტების ნიმუშებს უწინარეს ყოვლისა თვით ჩვენი პოემის ხელნაწერები გვაწვდის: 68-ე სტროფის მეოთხე ტაეპი — „მერმე გამოჩნდეს მოედანს, **ვისძი** უთხრობდენ ქებასა“—E ხელნაწერში ასე იკითხება: „მერმე გამოჩნდეს მოედანს **ვინძინ** უთხრობდენ ქებასა“; 762-ე სტროფის მეოთხე ტაეპი — „ჩემნი დღენი მასმცა ადგან, **რაძი** ვითა გაისვენოს“ —DEQUVY ხელნაწერებში ასე იკითხება: „ჩემნი დღენი მასმცა ადგან, **რაძინ** ვითა გაისვენოს“. ასევეა წარმოდგენილი ეს ტაეპი ვახტანგ VI-ის გამოცემაში.

„ვისრამიანშიც“ გვაქვს **რაძინ**-სიტყვა: „შენ, ძიძაო, ჩემთუის დათმობასა გამოარჩევ და მივაზირებ; გჭირსამცა ჩემებრ შენცა ესრე თავუწევარქმნით ხელობა, **რაძინ** უფრო უთმინო იყო!“[18]

მაშასადამე, **ძი**-ს გვერდით სავსებით შესაძლებელია მისი პარალელური სახეობა **ძინ** და აგრეთვე სავსებით კანონზომიერი სახეობაა სიტყვისა **რაძინა**; ა ელემენტის დართვა ალბათ მაინც ლექსის მოთხოვნილებებითაა გამოწვეული.

რამდენად ეგუება **რაძინა**-სიტყვა საანალიზო ტაეპის კონტექსტს მნიშვნელობის თვალსაზრისით?

ვ. თოფურიას გამორკვეული აქვს, რომ თავისი „ფუნქციით **ძი** სხვა არაფერია, თუ არ დამოკიდებული წინადადების კავშირი თუ. ამის შესაბამისად **ვინძი** გადმოითარგმნება, როგორც თუ ვინ, **რაძი** — თუ რა, **ვითარძი** — თუ ვითარ, თუ როგორ, **ნეტარძი** — ნეტარ თუ“[19].

ყველა ეს სიტყვები ძველ ძეგლებში გვხვდება. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

„იხილეთ, **რაძი** იქმნას, და მას ზედა გამოჩნდეს, ვისი სარწმუნოება სთნავს ქრისტესა“ (ქცხ. II, 87).

„ხოლო იყო ერსა ზედა შემოსვლად ჯარი, **რაძი** იქმნას“ (ქცხ. II, 88).

---

18 ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, ტფილისი, 1939, გვ. 138.

19 ვ. თოფურია, ძი ნაწილაკი ქართულში: ენიმკის მოამბე, XIV, გვ. 174-175.

„ვნახოთ და ვიცნათ, **რაძი** კაციაო“ (ქილილა და დამანა, 614).

„ბრწამლთა და ბარდთა ეძებდეს, **ვინძი** რა იაზროდიან“ (იქვე, გვ. 138).

„ერთი კაცი ჩრდილოველი უნაგირისაგან მოჰხადა, შესტყორცა, სადა იდგა ჩრდილოეთისა მეფე და შეჰყივლა: ჰე, მეფეო, გაიკითხე ესე კაცი, თუ **რაძი** ჰაბუკი ვარო“ (რუს. 368).

„მაშინ წარმოემართა და მოიწია არეთა და მზღვართა საქართველოსათა და იმარჯუებდა ჟამსა, თუ **ვითარძი** საბრკე უდგას სპათა ლანგ-თემურისთა“ (ქცხ. II, 456).

„გაიყვანა ცხენი სეფედავლემ და ეგრე იყივლა: ამირან დარეჯანის ძეო, აწ გამოგცადო, თუ **რაძი** ჰაბუკი ხარო“[20].

„გაიყვანა ცხენი შორს ჯიმშერ და ეგრე უყივლა: აწე გამოგცადო, თუ **რაძი** ჰაბუკი ხარო“[21].

აქ წარმოდგენილ მაგალითებში მართლაც ყველგან **რაძი**-ს მნიშვნელობაა **თუ რა, ვინძი**-სა — **თუ ვინ, ვითარძი**-სა — **თუ ვითარ**, ხოლო ზოგ მაგალითში **რაძი**-ს და **ვითარძი**-ს კიდევ **თუ** ნაწილაკი ერთვის, რაც იმის მაჩვენებელია, რომ **ძი** ნაწილაკის მნიშვნელობა ერთგვარად უკვე გაბუნდოვანებულია.

ძი ნაწილაკის ეს მნიშვნელობა კარგად ეგუება საანალიზო ტაეპს, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს: „ჩემი მონა შემოვიდა, შევხედენ, თუ თქვას რაძინა“, რაც ამას ნიშნავს: ჩემი მონა შემოვიდა, შევხედე, თუ რას იტყოდა (შევხედე, თუ რის სათქმელად შემოვიდა).

ძი-ნაწილაკიანი ფორმები პოემისათვის უჩვეულო არ არის:

„რათგან დამთმე, მეცა დაგთმობ, **ვინძი** უფრო დაზიანდეს“ (526).

„მერმე გამოჩნდეს მოედანს, **ვისძი** უთხრობდენ ქებასა“ (68).

„სიცოცხლე ანუ სიკვდილი გარდმიწყდეს **ნეტარძი** ოდეს“ (1088).

„**ნეტარძი** ვინ სისხლი მისი შემახვრიტა ერთი თასი“ (1205).

„ახ, **ნეტარძი** მოახლეთა! ვაგლახ თქვენსა ვერა-მჳერეტსა!“ (1444).

„ჩემნი დღენი მასმცა ადგან, **რაძი** ვითა გაისვენოს“ (762).

საყურადღებოა, რომ უკანასკნელ ტაეპში DEQUVY ხელნაწერებში, აგრეთვე ვახტანგ VI-ის გამოცემაში **რაძინ** იკითხება.

---

[20] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, II, თბილისი, 1949, გვ. 77.

[21] იქვე, გვ. 113.

ასეთივე გარემოებაა 68-ე სტროფის ვარიანტებში. ამ სტროფის ბოლო ტაეპში დადასტურებული **ვისძი** („მერმე გამოჩნდეს მოედანს, **ვისძი** უთხრობდენ ქებასა") B ხელნაწერში იკითხება, როგორც **ვინძინ**, ხოლო EO-ში — როგორც **ვის წინ** (შდრ. საანალიზო **რაძინა**-ს ვარიანტი **რა წინა**).

ამავე ხასიათისაა პოემის 1161-ე სტროფში **კმანან** ფორმის **კმარან** ფორმად ქცევა.

ფატმანმა გაუმხილა უსენს საიდუმლო და აჩვენა უცნობი მზეთუნახავი — ნესტანდარეჯანი. უსენი აღტაცებული დარჩა ქალის სილამაზით. თავისი აღტაცება მან ასე გამოთქვა:

...ბევრათასნი ჰირნი ამან ამიხოცნეს,

ესე ღაწვნი მზისად კმარან, კაცთაგანმცა ვით იკოცნეს!

ვახტანგ VI-ის გამოცემაში **მზისად კმანან** იკითხება. საფიქრებელია, ვახტანგის გამოცემაში **კმანან** კორექტურული შეცდომა იყოს. ამ შემთხვევაში გაძნელდებოდა თქმა, თუ რომელი ასოა შეცდომით დაბეჭდილი ამ წიგნში. საქმე ისაა, რომ ხელნაწერებში შემდეგი წაკითხვები მოიპოვება: **კმარან** (EFGHJKNOTV), **ხმან** (PZ), **ხმანან** და **კმანან** (დანარჩენებში). **ხმან** წაკითხვა **ხმანან**-ის დამახინჯების შედეგია. რჩება **კმარან** და **კმანან**. ვახტანგის **კმანან** შეიძლებოდა კ-ს ნაცვლად კ-ს დაბეჭდვითაც მიგვეღო **კმანან**-ისაგან და რ-ს ნაცვლად ნ-ს დაბეჭდის შედეგადაც **კმარან**-ისაგან.

მაგრამ, ვახტანგის გამოცემის **კმანან**, უფრო მოსალოდნელია, ერთ-ერთ კანონზომიერ საფეხურს წარმოადგენდეს ამ საინტერესო სიტყვის გარდაქმნის გზაზე. აშკარაა, რომ ფრაზა **ესე ღაწვნი მზისად კმარან** (ე. ი. ეს ღაწვები მზისათვის კმარაო) სრული გაუგებრობაა, ხოლო **ესე ღაწვნი მზისად კმანან** ერთადერთ მართებულ წაკითხვას წარმოადგენს (ეს ღაწვები მზისათვისაა შესაფერი, მზეს შეეფერებაო). **კმარან კმანან**-ისაგან შეიძლებოდა მიგვეღო **კმანან**-საფეხურის გავლით. ჯერ გრაფიკულ ნიადაგზე ერთმანეთში აირია ჯ და კ და **კმანან**-ისაგან **კმანან** მივიღეთ, ხოლო შემდგომ ეს უკანასკნელი **კმარან**-ად გადააკეთეს გააზრიანების შედეგად. ჩანს, **კმანან კმარან**-ის მნიშვნელობით შესაძლებელ ფორმად იყო მიჩნეული. იგი პირველად ბროსესა და ჩუბინაშვილის გამოცემებში შეიცვალა **კმარან**-წაკითხვით. უკანასკნელად მ. წერეთელი ისევ დაუბრუნდა ვახტანგ VI-ის გამოცემის წაკითხვას **კმანან**.

ჯმანან (ხმანან) მრავლობითი რიცხვის ფორმაა ჯამს ზმნისა (ჯამს იგი — **ჯმანან** იგინი) და იმგვარადვეა ნაწარმოები, როგორც **ჰ-გვ-ან-ან, ჰ-ყვ-ან-ან, (ჰ-ქვ-ან-ან—) ჰ-ქონ-ან ფორმები.**

ამიტომ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რომ „ვისრამიანის" როგორც 1938 წ. გამოცემაში, ისე 1962 წ. გამოცემაში ერთი ადგილი ასე იკითხება: „შენ მზე ხარ და მე მთუარე და ესე ორნივე ერთად ჯამნან უკუნისამდის („ვისრამიანი", 1938, გვ. 221; 1962, გვ. 218)[22].

აშკარად არეულია პირველი და მესამე ობიექტური პირის ფორმები 927-ე სტროფში, უკეთ უკანასკნელ გამოცემებში (stuy) მოხდა ეს აღრევა. სტროფი ასე იკითხებოდა 1957 წ. გამოცემაში:

აწ შემიხვეწე, ნუ დამწვავ კვლა წვითა უცხელესითა;
მე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა.
ვერ დამშრეტ, შენცა დაიწვი სოფლისა ქმნისა წესითა,
წადი, დაბრუნდი, შეიქეც მუხითვე, შენი მზე სით ა.

საკითხი ეხება მესამე ტაეპში **დამშრეტ-ზმნას.**

ყველა ძველ გამოცემაში **დამშრეტ-ფორმა** იყო წარმოდგენილი ზმნისა. ამათ მოჰყვა 1937, 1951 და 1957 წლების გამოცემები, ეგევე **დამშრეტ** დაბეჭდა პ. ინგოროყვამაც 1953 წელს.

ხელნაწერებში არის **დაშრეტ** და **დამშრეტ.** ეს უკანასკნელი წაკითხულია DEFGHIKORUVZ ხელნაწერებში.

1966 წ. ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ დაბეჭდეს **დამშრეტ;** ამას მოჰყვა ი. აბაშიძისა და გ. წერეთლის რედაქციით გამოსული გამოცემა, შემდეგ კიდევ ამას მიჰყვა საიუბილეო გამოცემა, რომლებშიც **დაშრეტ** დაიბეჭდა, და, ბოლოს, 1970 წელს, პ. ინგოროყვამაც **დაშრეტ-წაკითხვა** გაიმეორა (1953 წ. გამოცემაში მასაც **დამშრეტ-წაკითხვა** ჰქონდა ტრადიციის მიხედვით).

ეს იყო შეცდომა, უკეთ ძველი შეცდომის განმეორება. ასეთსავე შეცდომას უშვებდნენ იმ ხელნაწერთა გადამწერლები, რომელთაც თავის დროზე ამ ტაეპში **დამშრეტ-წაკითხვა დაშრეტ-წაკითხვით** შეცვალეს.

---

22 როდესაც 1951 წლის გამოცემა მზადდებოდა პოემისა. ჩვენ ზოგიერთ სხვა შესწორებასთან ერთად (იხ. „ვეფხისტყაოსანი", 1951 წ. გამოცემა, გვ. 407, სქოლიო) რედაქციას მივაწოდეთ ჩვენი მოსაზრება პოემის ამ ტაეპის შესახებაც. რედაქციამ ჩვენი მოსაზრება არ გაიზიარა. 1953 წ. პ. ინგოროყვამ თავის გამოცემაში ეს ადგილი სრულიად მართებულად გაასწორა და **ხმანან** დაბეჭდა. ამჟამად ყველა უახლეს გამოცემაში (stuy) აგრეთვე **ხმამან** იკითხება.

საქმე ისაა, რომ **დამშრეტ** ორობიექტიანი უხმოვანთავსართო ზმნაა, ბადალი ორობიექტიანი ხმოვანთავსართიანი ზმნისა — **დამიშრეტ**. **დამშრეტ** შენ მე მას (შენ მე ცეცხლს). სტროფის მესამე ტაეპი ბუნებრივი გაგრძელებაა მეორე ტაეპისა, რომელშიც ტარიელი ეუბნება ავთანდილს: მე რომე ცეცხლი მედება, ის ცეცხლი კვესით არაა დაგზებული, მას (ამ ცეცხლს) შენ მე ვერ **დამშრეტ** (ვერ დამიშრეტ) და თვითონაც დაიწვიო. **დაშრეტ**-ფორმა ხელნაწერებში გაჩნდა იმის შედეგად, რომ გარკვეულ დროს უხმოვანთავსართო ფორმა ჩვეულებრივი აღარ იყო, ამიტომ უჩვეულო და გაუგებარი ჩვეულებრივით და ამ დროისთვის გასაგებით შეიცვალა.

„ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის დამახასიათებელია ზმნათა ხმოვანთავსართიან და უხმოვანთავსართო ფორმათა ერთმანეთის გვერდით ხმარება.

შესთვალა: შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია“ (142).

შევუთვალე: მე დილასა მოციქულთა სიტყვა ტკბილი **შევუთვალე** (438).

მივსწერე: მივსწერე: „მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებ ძლიერი“ (387).

მიუწერს: აწ საყვარელსა **მიუწერს** გულამოსკვნილი, მტირალი (1292).

მივუწერე: მივუწერე: „მზეო, შუქი შენი, შენგან მონაფენი...“ (503).

მიუწერა: მიუწერა: „წავიკითხე შენი წიგნი, ჩემი ქება“ (1095).

მიუწერე, შე-ცა-სთვალე: ნუ წამოვა ძებნად ჩემად, **მიუწერე, შე-ცა-სთვალე** (1289).

ამ უკანასკნელ ტაეპში **მიუწერე** ნიშნავს **მისწერე**-ს, **შე-ცა-სთვალე შე-ცა-უთვალე**-ს.

ამ რიგის ფორმაა **დამშრეტ** (=**დამიშრეტ**), რომლის ხმოვანთავსართიანი ვარიანტიც მოიპოვება პოემაში: **დაუშრიტნა:** „მერმე სულად მოაქცია, ცეცხლნი წყლითა **დაუშრიტნა**“ (499)[23].

ასევე აღრეულია პირის ფორმები ზმნისა 294-ე სტროფში. ეს სტროფი 1957 წ. გამოცემაში ასე დაიბეჭდა:

---

[23] ზმნის ამ ფორმათა შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XV, 1966, გვ.14.

მოვიხედენ, მომეწია რა პატრონი შენი, ვნახე,
ხელმწიფობით შემებრალნეს, ამად ხელი არ შევახე,
თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა შევუზრახე.
ჩემი ცხენი უჩინოს ჰგავს, სხვასამცა რას დაეასახე!

მესამე ტაეპში **გამოვექეც** — პირველი სუბიექტური პირის ფორმა დაბეჭდა ვახტანგ VI-მ. მერმე ეს წაკითხვა შეორდებოდა მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძის, კ. ჭიჭინაძის გამოცემებში. შემდგომ 1937 წლის საიუბილეო გამოცემამ და 1951 და 1957 წლების გამოცემებმა დაამკვიდრეს ეს წაკითხვა. ეგეთ წაკითხვაა დაცული არაერთ ხელნაწერში (EFGIUVZ), მაგრამ ხელნაწერებში სხვა წაკითხვებიც მოიპოვება: **გამოვიქეც, წამოვუველ, გამოგექეც, წამოგიველ**. აქედან ჩანს, რომ უკვე ძველადვე დაეპყრობულან იმაში, თუ ვის გამოექცა ტარიელი: მეფეს თუ ავთანდილს. ტარიელი ამ ამბავს ავთანდილს მოუთხრობს: **გამოვექეც** ბუნებრივი ფორმა იქნებოდა, თუ ბრუნვაუცვლელ ობიექტად მეფეს ვივარაუდებდით, ხოლო, თუ ობიექტად ავთანდილი ივარაუდება, მაშინ ბუნებრივია, **გამოგექეც** ფორმა ეხმარა ტარიელს.

როცა ამ ზმნას ვარიანტი გასჩენია, ეს ჰოჰმანი ამ ვარიანტშიც ასახულა: ზოგან **წამოვუველ** იკითხება, ზოგან კიდევ **წამოგიველ**.

რამდენადაც უდავოა, რომ ტარიელი მხოლოდ მეფეს გამოექცა (თუ წამოუვიდა), მეორე პირის ფორმა ზმნისა აქ არაფერ შუაშია. მეორე პირის ფორმა ასე თუ ისე კიდევ შესაძლებელი იქნებოდა, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმა გვქონოდა. მეორე პირის ფორმად გადაკეთება მესამე ობიექტური პირის ფორმისა იმან გამოიწვია ზოგ ხელნაწერში, რომ ტარიელი ავთანდილს ელაპარაკება და რომ, გარდა ამისა, ავთანდილიც როსტევანთან ერთად იყო მაშინ, როდესაც ტარიელი გამოექცა მათ. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა ის, ვინც პირველად **გამოვექეც**-ფორმა **გამოგექეც**-ფორმით შეცვალა.

ამდენად, უდავო ჩანს, რომ სწორია ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე ტრადიცია და ამ ტაეპში **გამოვექეც** უნდა იკითხებოდეს.

გამოცემათა ეს ტრადიცია დაირღვა 1966 წ. ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში. ამ გამოცემაში დაბეჭდილია — „თვალთა წინა **გამოგექეც**“, ხოლო ანგარიში აღარ ეწევა იმ ფაქტს, რომ ტაეპი ასე ბოლოვდება: „**მეტი არა შევუზრახე**“, ე. ი. ზმნა ამ შემთხ-

ვევაში მესამე ობიექტური პირის ფორმითაა წარმოდგენილი, რაც არ შეეფერება ამ ტაეპის აგებულებას.

დანარჩენ უახლეს გამოცემათაგან lu-ში გამოვექეც-ფორმაა დატოვებული; პ. ინგოროყვამ წამოუველ-ვარიანტი დაბეჭდა.

ამ ტაეპში გასასწორებელია მეორე ზმნაც — შევუზრახე. ასეა დაბეჭდილი ეს ზმნა ყველა გამოცემაში, მათ შორის უახლეს გამოცემებშიც (stuy). ერთადერთ გამონაკლისს მ. წერეთლის გამოცემა წარმოადგენს, რომელშიაც შეუზახე იკითხება. შეუზახე-წაკითხვა მოიპოვება აგრეთვე GHIJTUVY ხელნაწერებში, სხვა ხელნაწერებში შევუზრახე წერია.

ა. შანიძის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რომელიც 1957 წ. გამოცემას აქვს დართული, შეტანილია შეზრახვა სწორედ ამ, 294-ე, სტროფზე მითითებით და განმარტებულია ასე: დალაპარაკება. ეს განმარტება შევუზრახე-წაკითხვას ემყარება.

ამავე ლექსიკონში შეტანილია შეზახება პოემის 110-ე და 756-ე სტროფებზე მითითებით და განმარტებულია ასე: „შეძახება“. თუ 756-ე სტროფის მესამე ტაეპში წარმოდგენილ კონტექსტს ეს განმარტება შეეფერება („შეუზახნა: რა სთქვი, შმაგო, მაგას სხვამცა ვინ მითხრობდა?“), 110-ე სტროფის მეორე ტაეპში წარმოდგენილ კონტექსტს იგი არ ეგუება („შესაპყრობლად შევუზახენ, სპანი სრულად დამიხოცნა“). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამ სიტყვის მნიშვნელობა ასეთია: შევუტიე.

ეს სიტყვაა გამოყენებული სწორედ საანალიზო სტროფში. ტაეპი ასე უნდა იკითხებოდეს, როგორც კიდევაც იკითხება არაერთ ხელნაწერში: „თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა შევუზახე“. ეს კი შემდეგს ნიშნავს: თვალის წინ გამოვექეც (მეფეს), მეტი აღარ შევუტიე, მეტი აღარ შევებრძოლეო.

გარდა მოყვანილი შემთხვევებისა ამ ზმნის ფორმები პოემაში სხვაგანაც გვხვდება. ასე მაგალითად, 194-ე სტროფში.

ტარიელის საძებრად მიმავალი ავთანდილი „მიჰხვდა ერთსა ქვეყანასა უგემურსა, მეტად მჭისსა“... „მობრუნება დააპირა, სულთქმა, მერმე ივაგლახა, მას მინდორსა დაემართა, გზა თვალითა გამოსახა, თვესა ერთსა სულიერი კაცი არსად არ ენახა, მხეცნი იყვნეს საშინელნი, მაგრა არა შეუზახა“. შეუზახა ამ სტროფშიც შეუტია-ს, შეებრძოლა-ს მნიშვნელობით არის ნახმარი. ასევე, 95-ე სტროფში ნათქვამია: „მეფე გაწყრა, გაგულისდა, ლაშქარნიცა შეუზახნა“ (ტარიელს); 994-ეში: „მეფემან სპანი შეპყრობად შეუზახნა და წყრებოდა“...

მესამე ობიექტური პირის ფორმა ზმნისა შეცვლილია მეორე პირის ფორმით 259-ე სტროფის მესამე ტაეპში.

იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვნების;
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიხსოვნების;
მოილოდნე, მოვიდეს, რაზომმცა დაგეყოვნების,
დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების[24].

ვახტანგ VI-ის გამოცემისაგან მოკიდებული ყველა გამოცემაში **დაგეყოვნების** იკითხება III ტაეპში. **დაგეყოვნების**-წაკითხვაა უახლეს გამოცემებშიც (stu); პ. ინგოროყვას გამოცემაში (1970) ეს სტროფი სულ არაა შეტანილი.

დაგეყოვნების იკითხება არაერთ ხელნაწერშიც, მაინც რამდენიმე ხელნაწერში **დაეყოვნების**-წაკითხვაა დაცული და ესაა ერთადერთი მართებული წაკითხვა.

მართლაც და ასმათი მხოლოდ ამას ეუბნება ავთანდილს: დაელოდე ტარიელის მოსვლას, რამდენიც უნდა დააგვიანდესო. სტროფში ლაპარაკი არ შეიძლება იყოს იმის შესახებ, რომ ავთანდილს აგვიანდება არაბეთში.

ავთანდილი გაიპარა არაბეთიდან ტარიელის საშველად და მივიდა ქვაბში, მაგრამ ტარიელი აქ არ დაუხვდა, თუმცა, როცა ერთმანეთს დაშორდნენ, დაპირდა კი — აქავ დაგხვდებიო. ავთანდილი საყვედურს ამბობს, ასმათი ტარიელის გასამართლებლად ასე უპასუხებს:

შენ უმართლე ხარ, ემდურვი, შენ გაეყარე ძმობილსა,
მაგრა ვით ითქმის, ვით გახდა, ვითა გიამბობ ცნობილსა!
ენა დაშვრების, გაცვთების, გულსა შეელმის ლმობილსა,
ამას მით ვაზრობ, მინახავს მე უბედურსა შობილსა (849).

ამ სტროფში ზმნის პირის ფორმათა აღრევის თვალსაზრისით იხტერესს იწვევს მეორე ტაეპის **ვითა გიამბობ**. წაკითხვა ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარეობს და გაბატონებული იყო შემდგომ ყველა გამოცემაში. მხოლოდ ს. კაკაბაძემ დაბეჭდა პირველად **ვით გეამბობის ცნობილსა**, ხოლო მეორედ — **ვითა გიამბო ცნობილსა.**

ორივე წაკითხვა ხელნაწერებშიცაა წარმოდგენილი, ოღონდ ორთოგრაფიული სხვაობებით: **გეამბობის** (მისი სახესხვაობაა **გიამბობის**), **გიამბო** (ამისი სახესხვაობებია **გიანბო, გიანმბო...**).

---

[24] ეს სტროფი ჩვენ ზემოთ (გვ. 54—55) განხილული გვაქვს რითმის თვალსაზრისით. აქ მოგვყავს ჩვენ მიერ აღდგენილი წაკითხვის მიხედვით. **დაგეყოვნების**-წაკითხვის შესახებ იხ. იქვე შენიშვნა.

უახლეს გამოცემებში ყველგან **ვითა გიამბო** არის დაბეჭდილი. წარმოდგენილ წაკითხვათაგან უპირატესობა **გეამბობის**-წაკითხვას უნდა მიენიჭოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამავე ტაეპში **ვით**-ზმნისართთან პირველ შემთხვევაში ვნებითის ფორმაა ზმნისა, რომელსაც შესაძლებლობის მნიშვნელობა აქვს (**ვით ითქმის**), სრულებით ბუნებრივია მეორე შემთხვევაშიც ასეთივე კონსტრუქცია ყოფილიყო (**ვით გეამბობის**), რაც ასახულია კიდევაც ხელნაწერებში. ვიღებთ სავსებით ბუნებრივად გამართულ ტაეპს — **„მაგრა ვით ითქმის, ვით გახდა, ვით გეამბობის ცნობილსა!“**

ასეთი კონსტრუქციები, როგორც უფრო ზოგადი, დამახასიათებელია პოემისათვის. ასეთებია, მაგალითად.

ამას იქით ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნევის,
ამად გვედრებ სულსა ჩემსა, წიგნი გკადრებს, **არ გეთნევის,**
არას მარგებს, ეშმაკისა საქმეთაგან **დაეძლევის,**
შემინდევ და შემიევედრე, მკვდარსა რაღა **გარდმეხდევის!**
(805).

ფრიდონ უთხრა: „დასაშლელი ჩემგან არა არ **გეთხრობის**“
(1017) და

ბევრი სხვა.

ზოგჯერ შესაძლებელია ზმნის ფორმა სრულიად გაქრეს და მისი ადგილი ხელოვნურად შეთხზულმა სახელურმა ფორმებმა დაიჭიროს. ამისი ნიმუში წარმოდგენილია 998-ე სტროფში.

ნესტანდარეჯანის საძებრად წასული ავთანდილი გაივლის მულღაზანზარში, ინახულებს ფრიდონს და უამბობს ტარიელის ამბავს. სხვათა შორის, აი, რას ეტყვის მას:

ტარიელსო
ქვაბი წაუხმან დევთათვის, სრულად გამესისხლებია;
მუნ ასმათ ახლავს მარტოსა, სხვა არვინ უახლებია;
მას მუდამ ძველი ცეცხლი სწვავს, არ ახალ, არ ახლებია.
ვაჲ ჰმართებს მისსა გაყრილსა, შავი ხლა თავსა ჰხლებია (998).

მესამე ტაეპი ამ სტროფისა ვახტანგ VI-ის გამოცემაში ასე იყო დაბეჭდილი: **მას მუდამ ძველი ცეცხლი სწვავს, არ ახლად არ ახლებია.** ეს წაკითხვა მცირეოდენი ორთოგრაფიული განსხვავებებით გადავიდა მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, ი. აბულაძის (ორივე), დ. კარიჭაშვილის (ორივე) და კ. ჭიჭინაძის

გამოცემებში. უკანასკნელად ამათ მიეკედლა მ. წერეთლის გამოცემაც. მხოლოდ ს. კაკაბაძის გამოცემებში იკითხებოდა ძველ გამოცემათაგან **არ ახალ არ ახლებია**. ეს წაკითხვა გაიზიარა 1937 წ. საიუბილეო გამოცემის მომმზადებელმა კომისიამ, აქედან გადავიდა 1951 და 1957 წლის გამოცემებში, აგრეთვე პ. ინგოროყვას გამოცემაში (1953 წ.) და ასევეა დაბეჭდილი ტაეპი ყველა უახლეს გამოცემაში (stuy).

ახლა ვნახოთ, რა სურათია ხელნაწერებში. სამ ხელნაწერში (DUV) **არ ახლად** იკითხება (მაშასადამე, ვახტანგის გამოცემის წაკითხვა ამ ტიპის ხელნაწერთაგან მომდინარეობს), დანარჩენთაგან უმრავლესობაში **არ ახალ** იკითხება. JT-შია: **მას ძველი ცეცხლი ნიადაგ სწვავს არა არ ახლებია**.

ტაეპის პირველი ნახევრის წაკითხვაშიაც არის სხვაობა ხელნაწერთა შორის: **მას მუდამ** CDEGHIKOU] **ნიადაგ** FZ] **მას მუდმად** დანარჩენებში, მაგრამ ეს ამჟამად ჩვენი განსახილველი საკითხის ფარგლებს სცილდება.

წაკითხვები **არ ახლად, არ ახლებია** და **არ ახალ, არ ახლებია** გაუგებარია. ფრაზა გამართული არაა და არც აზრია ნათელი. ტექსტს ასწორებს თარხანმოურავისეული ხელნაწერი (Z), რომელშიაც იკითხება **არა ახალი ხლებია**. მსგავსი გამოთქმები პოემაში სხვა სტროფებშიც გვაქვს, მაგალითად, 640-ეში: „აღარა ნახავს სოფელსა, **ცეცხლი სწვავს ახალ-ახლები**“; 1439-ეში: „დასხდეს ორნივე ქალ-ყმანი პირითა ელვამკრთალითა, მათნი მჭვრეტელნი დაიწვნეს **ცეცხლითა მართ ახალითა**“.

ასე გამართულ ტაეპში „ვეფხისტყაოსნისათვის“ ჩვეულებრივი დაპირისპირება გვაქვს: **მას მუდამ ძველი ცეცხლი სწვავს** და **არა ახალი ჰხლებია**[25].

ჰხლებია თურმეობითი პირველის ფორმაა. ამ ფორმის შემოტანის შედეგად მესამე ტაეპის სარითმო სიტყვად, მეოთხე ტაეპის სარითმო სიტყვის **ჰხლებია**-ს საკითხი დაისმის: **შავი ხლა თავსა ჰხლებია**.

---

25 დამახასიათებელია, რომ ვახტანგ VI-ის გამოცემის წაკითხვას არ ახლად არ ახლებია თეიმურაზ ბაგრატიონი სწორედ ასე განმარტავს: „არა ახლად ხლებია... მისნი ჭირნი და მწუხარებანი ახალნი არ არიან და არცა ახლა, ესე იგი ახლოს ჟამში არა ხლებიან. ხლება მოახლებასაცა ნიშნავს, განახლებასაც, ახლოს ჟამში მოსვლას და სხვად და სხვა რიგად განიმარტების“ (განმარტება..., გვ. 182).

ხლა-ს სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „შავი ხელმანდილი არაბული"-ო[26]. ამ განმარტებას იმეორებს თეიმურაზ ბაგრატიონი: „შავი ხლა არაბული ლექსი არის, შავს ჯელმანდილს ეწოდება... ხლა მგლოვიარეთა თავს მოსახვევი შავი ჯელმანდილი არის"-ო[27]. იუსტ. აბულაძემ **ხლა** ჯერ განმარტა, როგორც **შავი ტალღა**(?)[28], შემდეგ, როგორც **შავი მანდილი**[29].

ამავე ტაეპის **ჰხლებია**-ს შესახებ თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „თავსა ხლებია თავს მიახლოებია ანუ შეხებია"[30].

ბოლოს, ა. შანიძეს ასე ესმის ეს გამოთქმა: „**ხლა: შავი ხლა თავსა ჰხლებია**. აზრი ასეთია: შავი ქვა უხლია თავში (პოემაში ზმნა ვნებითი გვარის ფორმით არის მოცემული"-ო)[31].

ამრიგად, თეიმურაზ ბაგრატიონს მეოთხე ტაეპის **ჰხლებია** თითქოს **ახლავს**-ზმნის ფორმად ესმის, ხოლო ა. შანიძე, მართალია, მას უკავშირებს ცნობილ გამოთქმას — **შავი ქვა უხლია თავშიო (თავში შავ ქვას იხლის)**, მაგრამ მაინც ვნებითის ფორმად მიაჩნია იგი. თუ საიდან გაჩნდა **შავი ქვა**, ნათელი არაა.

ამ განმარტებასთან დაკავშირებით არაა ინტერესს მოკლებული, რომ ასე ესმოდა ძველადაც, როგორც ჩანს, ზოგიერთ გადამწერს თუ რედაქტორს ეს ადგილი: H ხელნაწერში ამ ტაეპში **შავი ხლა** კი არ იკითხება, არამედ **შავი ქვა**.

საყურადღებოა, რომ ეს ქვა შ. ნუცუბიძის რუსულ თარგმანშიც ჩანს:

Пламенел он старой страстью, а не новой любовью,
Разлученному с ним черный камень никнет к изголовью.

ჰხლებია ჩვენ მიგვაჩნია **ხლა** არსებით სახელის ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნად. ამ ზმნას, რა თქმა უნდა, არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ყველა დრო-კილოს ფორმა, მხოლოდ ამ ერთი ფორმითაა ნახმარი პოემაში ისევე, როგორც მხოლოდ ერთი ფორმითაა ნახმარი პოემაში, მაგალითად, ზმნები: **სდედებია, სდებია**: ფატმანს უხსნია ჩემი მზე, **სდედებია** და **სდებია** (1429); **სთმობია**:

---

26 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928.

27 თეიმურაზ ბაგრატიონი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის გამოცემა, თბილისი, 1960, გვ. 182.

28 1926 წლის გამოცემის ლექსიკონი.

29 1937 წლის გამოცემის ლექსიკონი.

30 თეიმურაზ ბაგრატიონი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 182.

31 ა. შანიძე, პოემის ლექსიკონი, დართული 1957 წ. გამოცემას.

შე ვიცი, ჩემსა ხელმქმნელსა თმად ყორნის ბოლო **სთმობია** (965).

ამრიგად, სტროფში ტავტოლოგიური რითმის საკითხი არ შეიძლება დადგეს, ჩვეულებრივი მაჯამური რითმა გვაქვს მესამე და მეოთხე ტაეპებში.

მამის სიკვდილის გამო ტარიელი „წელიწდამდის ბნელსა ჯდა“; „უკუნით გამოიყვანეს ხასთა და წინამდგომელთა“; მეფემ და დედოფალმა პატივით მიიღეს და შესთავაზეს „მის ხელისა საურავი“, ე. ი. მამის (სარიდანის) თანამდებობა, ამირბარობა. ტარიელს მამისეულ „წესთა ქცევა“ ზარად უჩნდა, ამიტომ „ურჩ ექმნა“, მაგრამ

„არ მომეშვნეს, დავჰმორჩილდი, თაყვანის-ვეც ამირბარად“ (338).

ამაზე ნათელი და გამჭვირვალე შინაარსის შემცველი სტროფი ძნელად თუ მოიძებნება პოემაში: ტარიელი დაემორჩილა „მეფეთა“ სურვილსა და ბრძანებას და მიიღო ამირბარის თანამდებობა, თაყვანი სცა მეფესა და დედოფალს, ვითარცა ამირბარმა, თანხმობა განაცხადა ამირბარობაზე. სხვაგვარი გაგება ამ სტროფის შინაარსისა შეუძლებელია.

მართლაც ბევრ ხელნაწერში დაცულია წაკითხვა — **თაყვანის-ვეც ამირბარად**, რაც სწორედ ზემოთ მოყვანილ გაგებას გულისხმობს. ეს წაკითხვა დაცულია DGHJKOTUVZ ხელნაწერებში. ყველა გამოცემაში, ვახტანგის გამოცემით დაწყებული, აგრეთვე ეს წაკითხვა იყო წარმოდგენილი.

მაგრამ ჯერ კიდევ ძველად დაეჭვებულან ამ ტაეპის ასე წაკითხვის მართებულობაში. ამის შედეგად არაერთ ხელნაწერში (ABC...) **თაყვანის-ვეც** წაკითხვა ასეა შეცვლილი: **თაყვანის-მცეს**.

ეს ვარიანტია მიჩნეული დედნისეულ წაკითხვად ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოსულ ტექსტში (1966). როგორც ჩანს, აქედან ეს წაკითხვა გადავიდა ი. აბაშიძისა და გ. წერეთლის რედაქციით გამოსულ ტექსტში და აგრეთვე საიუბილეო გამოცემაში. პ. ინგოროყვამ 1970 წ. გამოცემაში **თაყვანის-ვეც** წაკითხვა დატოვა.

თაყვანის-მცეს წაკითხვის მიხედვით იქმნება სრულიად თავისებური სურათი: მეფე — პატრონი, უზენაესი სიუზერენი, და დედოფალი თაყვანს სცემენ თავიანთ ყმას, ვასალს!

1333-ე და 1334-ე სტროფებში მოთხრობილია ავთანდილის დაბრუნება გულაწმაროდან და ტარიელთან შეხვედრა. როცა იგი მიუახლოვდა ტარიელის სამყოფელს, „შამბ-შამბ წაიარა“ და მინდორში დაუწყო ძებნა ძმადნაფიცს, „მართ სახელდებით“ უყიოდა „ხმითა მით სახარულითა“.

ტარიელს ლომი მოეკლა, მით ხრმალსა სისხლი სცხებოდა;
შამბისა პირსა ქვეითი დგა, ცხენი არა ჰხლებოდა;
ყივილი ავთანდილისა ესმოდა, ეოცებოდა;
შეხედნა, იცნა, გაიქცა, მისკენ მირბოდა, ხლდებოდა (1334).

მესამე ტაეპი ამ სტროფისა ასეა დაბეჭდილი ყველა გამოცემაში. მასში ყურადღებას იქცევს სარითმო სიტყვა **ეოცებოდა**. იგი სარითმო სიტყვაა. ხელნაწერთაგან ვანსხვავებულ წაკითხვას გვაწვდიან DV (**ეოცნებოდა**) და FGILYZ (**ეუცხვებოდა**).

ეს უკანასკნელი წაკითხვა მართებული ჩანს, ხოლო ტრადიციული **ეოცებოდა** — უმართებულო. ტარიელი ავთანდილს მოელის და დაპირებისამებრ ქვაბის მიდამოებს არ სცილდება („...წელიწადსა ერთსა მსგეფსსა აქა ქვაბსავ მომნახვიდე მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა: ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდიეფსა“: 936). ამიტომ, როცა ის გაიგონებს ავთანდილის ძახილს (**ყივილს**), ეს ძახილი მას არ შეიძლება **ეოცებოდეს**. ტარიელს **ყივილი ავთანდილისა** ესმოდა, მაგრამ **ეუცხვებოდა** (**ეუცხოებოდა**), უცხო, არანაცნობ ძახილად მიიჩნია, უკეთ, ხმით ვერ იცნო ავთანდილი. რომ ეს ასეა, ჩანს მეოთხე ტაეპიდან: „შეხედნა, **იცნა**, გაიქცა, მისკენ მირბოდა, ხლდებოდა“. როცა დაინახა, მაშინვე იცნა და მისკენ გაეშურა.

ეს **ეუცხვებოდა** სტროფის რითმასაც ეგუება და ალიტერაციასაც იცავს სარითმო სიტყვებში: **სცხებოდა — ეუცხვებოდა**.

ამის მიხედვით სტროფის ბოლო ორი ტაეპი ასე წარმოგვიდგება:

ყივილი ავთანდილისა ესმოდა, **ეუცხვებოდა**,
შეხედნა, იცნა, გაიქცა, მისკენ მირბოდა, ხლდებოდა.

ფრიდონისა და ავთანდილის თათბირს ქაჯეთის ციხის აღების შესახებ ტარიელმა თავისი დაუპირისპირა. იგი წარმოდგენილია 1404-ე სტროფში.

მაგა თათბირსა ესე სჯობს, ექმნათ ჩემი მონახსენები:
გაეიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები,
სამთავე სამგნით მიეჰმართოთ, ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენები,
მოგვეგებვიან, ვემცრობით, ჩვენ ხრმალთა მივსცეთ მძლე ნები.

ამ სტროფის მესამე ტაეპს ყველა გამოცემა ამგვარადვე წარმოგვიდგენს: **ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენები**. ასევე **დავსხლიტოთ** იკითხება ხელნაწერთა უმრავლესობაში, მაგრამ HKO-ში **გავჭუსლოთ** წაკითხვას ვხვდებით, ხოლო V-ში **დავწკიპოთ**, FGIJLTZ ხელნაწერებში — **დავსწკიპოთ**, N-ში კიდევ ამისგან მიღებული **დავსწუიპოთ** წაკითხვაა.

ხელნაწერებში ორი სხვადასხვა ვარიანტის არსებობა, რა თქმა უნდა, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ტრადიციული წაკითხვა მაშინვე ეჭვის ქვეშ დავაყენოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში **დავსხლიტოთ**-წაკითხვა მართლაც ეჭვებს ბადებს.

დასხლეტას სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: **უნდომლად გავარდნაო** — და მიუთითებს **სხლეტა**-სტატიაზე. **სხლეტა** ასეა განმარტებული: „დასხლეტა არს რა ერთი რამ უნებურად გავარდნასავით იქნას, გინა თუთ სასხლეტი დასხლიტოს; ასხლეტა არს რა ნასროლი ადგილს მოხუდეს და იქიდამ გაექანოს და სხვაგან წავიდეს; მოსხლეტა არს ფერჯი თუ რაჲცა რაზედ მოუცორდეს".

ცხადია, არცერთი ეს განმარტება **ცხენებს** არ შეეფერება. მართლაც, **ცხენის დასხლეტა** თუ სადმეა დადასტურებული, ეს გამოთქმა მიღებულია ალბათ ჩვენი პოემის ამ ადგილის გავლენით[32].

წაკითხვა **გავჭუსლოთ** მეტისმეტად ცნობილ სიტყვას წარმოგვიდგენს და ძალიან საეჭვოა, რომ იგი შეცვლილიყო შემდგომ სხვა წაკითხვებით, პირიქით, ამ წაკითხვის შეტანა პოემაში გადამწერლის მიერ მისთვის გაუგებარი ადგილის გასაგებად ქცევის შედეგი ჩანს. იგი მომდინარეობს 1414-ე სტროფიდან, რომელშიაც ასეთი ტაეპი მოიპოვება: „ანაზდად ცხენი **გაჭუსლეს**, მათრახმან შექმნა წრიალი".

რჩება წაკითხვა **დავწკიპოთ**. ეს წაკითხვა საანალიზო სტროფში უფრო ბუნებრივი ჩანს შემდეგი მოსაზრებების გამო.

---

32 შდრ. ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღიდან" ეს ადგილი: „და რა სთქვა ესა, მოხდენით ცხენი მოსხლიტა უცებ ღაზათიანმა, გაფრინდა ცხენი, ვით შეარდენი..."

ეს იგივე ფუძეა, რომელიც გვაქვს წკეპლ-ფუძეშიც[33], რომელშიც ლ ფუძის დეტერმინანტი სუფიქსია. რჩება წკეპ, რომლის ვარიანტია წკებ. სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონში შეტანილი აქვს მასდარი წკება: ჯელით ცემაო. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სულხან-საბას მათრაჯი განმარტებული აქვს ასე: „ცხენის საწკები“ და მითითებული აქვს „ვეფხისტყაოსანზე“.

მაშასადამე, მათრახი ცხენის საწკებია, წკება||წკეპა ცხენთან დაკავშირებით ხმარებული სიტყვაა. 1404-ე სტროფში თუ ნათქვამია „ფიცხლად დავწკიპოთ ცხენები“-ო, ზემოთ უკვე დასახელებულ 1414-ე სტროფში ეს ნათქვამი სისრულეშია მოყვანილი: „ანაზდად ცხენი გაჭუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი“: ცხენები გაჭუსლეს, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, მათრახმან შექმნა წრიალი.

და ასე... შეიძლებოდა კიდევ არაერთი ანალოგიური მაგალითი მოგვეყვანა და გვეცადა. დაგვესაბუთებინა სათანადო ადგილების გასწორების საჭიროება, აუცილებლობაც, მაგრამ ამჯერად შეიძლება ამით დავკმაყოფილდეთ.

დასასრულ, მაინც არ შეიძლება არ გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ მსგავსი მოვლენების ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პოემაში სიუჟეტის გაშლისას ამბავთა განვითარების ხასიათის ზუსტად გაგებას და ერთი ამბიდან მეორე ამბავზე გადასვლის თავისებურებათა გათვალისწინებას. პოემის ხელნაწერებში წარმოდგენილი ბევრი ვარიანტი ძველ გადამწერ-რედაქტორთა მიერ საქმეში შეგნებულად ჩარევის ნაყოფიცაა და ვარიანტულ სხვაობებს მეტწილად მათ მიერ ტექსტის მცდარად გაგება უძევს საფუძვლად. საილუსტრაციოდ მოგვყავს ამისი ერთი ნიმუში.

„წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე“-ო, — უბრძანა ნესტანდარეჯანმა ტარიელს და ტარიელმაც გაგზავნა ხატაეთს კაცი და წიგნი და იხმო რამაზ მეფე ინდოთ მეფის წინაშე თავისი ერთგულების ასაღიარებლად. მოციქულები დაბრუნდნენ; რამაზს „სიტყვანი შემოეთვალნეს ლაღნი და უკადრონია“: ჯაბანნი და ციხეუმაგრონი არც ჩვენ ვართ და თქვენი ხელმწიფე ჩვენზე პატრონი არ არისო. როგორ თუ მანდ მიხმე, „ამის მეტსა ნუმცა ვნახავ კვლაღა წიგნსა შენმიერსა“-ო, — იყო რამაზის კადნიერი პასუხი.

---

33 წკეპლ-ს სულხან-საბა ასე განმარტავს: „წვრილი ჯოხი, მედრეკი“. იხ. აგრეთვე ჯოხ-სტატიაში: „წკეპლი — ჯოხი წურილი და მედრეკი“.

ტარიელმა უბრძანა „წვევა ლაშქართა“; მოკრბა „ვარსკვლავ-თა ურიცხვი“ ინდოთა სპა; ტარიელმა „აღლუმი ნახა“, ამართა დროშა მეფისა და „ლომმან მიმართა ხატაეთს“.

როცა დააგდეს „ზღვარი ინდოთა“ და „პაშტაი ხანი“ (ე. ი. ცოტა ხანი) იარა ლაშქარმა, ტარიელს „რამაზის კაცი ემთხვია“, რომელმაც შემოსძღვნა რამაზისაგან „საჭურჭლე საშინელი“ და „გულისა მოსაფხანი“ მოციქულობა უთხრა: ნუ ამოგვწყვეტ, „ზე-ნაარი გამოგვიღე“ და მაურვებლად მოგახსენებთ (მოგართმევთ) თავს, შვილებსა და საქონელსო. რომ „ჩვენი ქვეყანა არ აწყდეს“, სპას ნუ მოიყვან, „მოგყვნენ ცოტანი ყმანია“ და ციხე-ქალაქს ჩა-გაბარებთო.

ტარიელმა „გვერდსა დაისხნა ვაზირნი“ და თათბირი გამართა. გადაწყდა, რომ ტარიელი წასულიყო სამასი ქველი მოყმით წინ, ხოლო ლაშქარს დაჰვედრა ტარიელმა: „სადა მე მევლოს, ვლენით იგივე ველანი, ახლოს მომდევით, მიშველეთ, გიხმობ, თუ მინდენ შველანი“-ო.

„სამ დღე“ სხვა იარეს ტარიელმა და მისმა რაზმმა. მოციქული მოციქულზე მოსდის ტარიელს რამაზისგან, ძღვენსა სძღვნიან... და, აი, მოციქულთა ერთ ჯგუფს „უკმო-რე-სწყდა ერთი კაცი“, რო-შელმაც ფარულად მოახსენა ტარიელს: რამაზი ღალატს გიპირებს: „ასრე ფიცხლად მით გიხმობენ“, რომ ლაშქარი ჰყავს დამალული, თვით ცოტა სპით მოგეგებვის, მაგრამ „მალვით ჩაიცმენ აბჯარსა, ყოველგნით მოგეხვევიან“ და, „რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან“-ო.

ტარიელი არვის გაენდო სულდგმულსა, ეს ამბავი დამალა, „ვი-თა ჰორია“, მაგრამ თავის ლაშქარში გაგზავნა კაცი და შესთვალა: „ფიცხლა წამოდით, მოგრაგნეთ მთა და გორია“-ო, თვითონ კი გა-ნაგრძო გზა რამაზისაკენ.

„ქედსა რასმე“ გადაადგა, „მინდორს მტვერი“ დაინახა და მხო-ლოდ მაშინ გაუმხილა თავის რაზმს რამაზის ღალატი ტარიელმა: „უბრძანა ჩაცმა აბჯრისა“, რაზმი დააწყო და წავიდა „დიდითა სწრაფითა“ მტრისაკენ.

როცა მიუახლოვდნენ ხატაელთა ლაშქარს, ამათ ტარიელის რაზმს შეატყვეს „ტანსა აბჯარცმულობა“ და კვლავ მოვიდა რამა-ზის მოციქული: „აბჯრითა გხედავთ, შეგვქმნია აწ ამად გულნაკ-ლულობა“-ო. ტარიელმა პასუხად შეუთვალა. რომ იცის მათი გან-

ზრახვა და ამიტომ მას ხატაელთა დასახოცლად „ხელი ხმალსა დაუგია“.

ამის საპასუხოდ ხატაელებმა „დამალული გაამჟღავნეს“ და „შეჭმნეს რაზმი მრავალკეცი“. იწყება ბრძოლა.

აი, აქ რას ამბობს ტარიელი:

შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარჭმელად;
საომრად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;
ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად.
მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად (445).

ახლოს მივე, შემომხედეს, „შმაგიაო ესე“ — თქვესა,
მუ შივჰმართე მკლავმაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ვჰკარ... (446).

მაშასადამე, ტარიელის რაზმი მიუახლოვდა ხატაელებს. ტარიელი შუბს ითხოვს, მუზარადს იღებს ხელთ, საომრად ატეხილი არის მათად (ხატაელების) გამტეხელად. იგი თავის რაზმთან ერთად მიემართება მტრისაკენ[34]; ტარიელი (და მისი რაზმი) ერთ უტევანზე (ერთი უტევანის მანძილზე) წასწვდა (მისწვდა) რამაზის ლაშქარს („ერთსა წავსწვდი უტევანსა“...), წაგრძელდა და წავიდა გრძელად („წავგრძელდი და წავე გრძელად“)[35]. ახლოს რომ მიეიდნენ, ხატაელებმა შემოჰხედეს, თქვეს — „შმაგიაო“, ხოლო ტარიელმა მუნ მიმართა, „სად უფროსი ჯარი დგესა...“

თითქოს ამბები ზუსტი ლოგიკური თანამიმდევრობით ვითარდება და უცნაური არაფერია, თუ ჰიპერბოლური ხასიათის ზოგიერთ მხარეს არ მივაქცევთ ყურადღებას, მაგრამ ამბების ჰიპერბოლურად გადმოცემასაც თავისი ლოგიკა აქვს და იგი თხრობისას დაცულია. სტროფის აგებულება და წინადადებათა თვალსაზრისით მისი აღნაგობა და ამ წინადადებათა თანამიმდევრობა და განლა-

---

[34] ტარიელი ამბავს გადმოსცემს, რა თქმა უნდა, მხოლოობითი რიცხვის ფორმით, პირადად თავისი სახელით, მაშინაც, როცა მართლაც პირადად მას ეხება გადმოსაცემი ამბავი, და მაშინაც, როცა ეს ეხება მას და მის ლაშქარს ერთად. გადმოცემის ასეთი წესი ჩვეულებრივია ასეთ შემთხვევებში.

[35] ეს „წავგრძელდი და წავე გრძელად“ ერთხელ კიდევ ადასტურებს ზემოთ ნათქვამს, რომ აქ საქმე ეხება ტარიელსა და მის რაზმს ერთად. გრძლად წასვლა, წაგრძელება შეიძლება ამ შემთხვევაში მხოლოდ რაზმისა, ტარიელი მხოლოდ თავის შესახებ ვერასგზით ვერ იტყოდა — წავგრძელდიო ან გრძლად წავეო.

გებაც ეჰვს არ იწვევს: პირველ ტაეპში ტარიელის საომრად მომზადების შესახებაა მოთხრობილი. მეორეში ნათქვამია, რომ ხატაელთა („მათად“) გამტეხლად არის ტარიელი; მესამეში — რომ ერთი უტევანის მანძილზე მისწვდა („წასწვდა“), მიუახლოვდა ტარიელი (და მისი რაზმი) ისევ ხატაელებს; ხოლო მეოთხეში — რომ ხატაელებს („მათ“) ურიცხვი რაზმი ეწყოთ და წუნარად და აუშლელად იდგნენ. შემდგომ (446-ე) სტროფში ისევე, ერთი მხრით, ტარიელის (და მისი რაზმის), ხოლო, მეორე მხრით, ხატაელთა ურთიერთმოქმედებაა გადმოცემული.

მაგრამ ასე არ ფიქრობდა ყველა გადამწერი. პოემის ამ მონაკვეთში მოიპოვებოდა ფსიქოლოგიური ხასიათის ზოგიერთი საცთური, რაც ამ სტროფის წაკითხვის გადასინჯვის საბაბად შეიძლებოდა გამომდგარიყო. 432-ე სტროფში ნათქვამია, რომ რამაზის გამოგზავნილ მოციქულებს „ერთი კაცი უკმო-რე-სწყდა“ (ეს ის კაცია, რომელმაც ტარიელს შეატყობინა: „ისი კაცნი გღალატობენ“-ო). ამ ტაეპთან ასოციაციის წყალობით, თუ იმის წყალობით, რომ გადაწერისას გრაფიკულ ნიადაგზე მოხდა სიტყვაფორმათა აღრევა, 445-ე სტროფის მესამე ტაეპში **წავსწვდი**-სიტყვის ნაცვლად რომელიღაც ხელნაწერში **„წავსწყდი“** აღმოჩნდა. ეს **„წავსწყდი“** სხვა ხელნაწერებშიც გავრცელებულა და ჩვენამდე მოღწეულთა შორის რამდენიმეში დასტურდება. დამახასიათებელია, რომ ერთ ძველ ხელნაწერში (L) ამ ცვლილების შემდგომი განვითარებაა წარმოდგენილი: **წავსწყდი** მართებულ წაკითხვად მიუჩნევიათ, მაგრამ ამ სიტყვის შემდგომ **წავგრძელდი** უხერხულ გაგრძელებად უცნიათ და ამ იდეის განვითარების თვალსაზრისით უფრო შესაფერი ვარიანტი მოუნახავთ: **წავსწინარდი.**

ამრიგად, ერთმანეთს დაუპირისპირდა ხელნაწერთა ერთი ჯგუფის წაკითხვა — **ერთსა წავსწვდი უტევანსა** და მეორე ჯგუფისა — **ერთსა წავსწყდი უტევანსა.** მაგრამ ეს დაპირისპირება ძველ გამოცემებში არ ასახულა. ძველ გამოცემებში, ვახტანგის გამოცემიდან დაწყებული, **ერთსა წავსწვდი უტევანსა** იბეჭდებოდა; ეგეგე წაკითხვა გატარდა 1937, 1951, 1957 წლების გამოცემებში, ხოლო **წავსწყდი** ფორმა მაშინღა გახდა საყოველთაოდ ცნობილი, როცა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების მეორე ნაკვეთი გამოაქვეყნა[36]. **წავსწყდი**-წაკითხვას ყურადღება მი-

[36] „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი მეორე, გამოსაცე-

აქცია ა. ჭინჭარაულმა, რომელმაც გამოაქვეყნა სპეციალური წერი-ლი[37] და ამ წაკითხვის დასაბუთება სცადა.

უნდა ითქვას, რომ ა. ჭინჭარაულის მტკიცება სუბიექტური ხასიათისაა. არაა დამაკმაყოფილებლად ახსნილი ის ფაქტი, თუ როგორ გაჩნდა ტექსტში წავსწვდი, თუ იგი მეორეულია. წავსწვდის ნაცვლად წავსწვდის გაჩენა მხოლოდ გრაფიკული აღრევის ნიადაგზეა ახსნილი და არაა გაანალიზებული, თუ რამდენად თავის ადგილზეა სტროფში ეს წავსწყდი სიტყვათა და წინადადებათა განლაგების თვალსაზრისით. გასაკვირველია, რომ სრულიად არაფერია თქმული იმის შესახებ, რომ, თუ მართლა წავსწყდი უნდა იკითხებოდეს, სადაა ის ბრუნვაცვალებადი ობიექტი, რომელიც ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა ახლდეს ზმნას: არც ამ სტროფში და არც წინა და მომდევნო სტროფებში არსადაა დასახელებული ტარიელის რაზმი, რომელსაც ტარიელი თითქოს „წასწყდა“.

მაინც რომ ნათელი იყოს, თუ რა ხასიათისაა ის საბუთიანობა, რომელიც ამ მოსაზრების სამტკიცებლადაა მოხმობილი, მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს ამ წერილიდან.

ა. ჭინჭარაული წერს:

„უტევანი სიგრძის საზომია, 143 ნაბიჯს უდრის. «ერთ უტევანზე მივსწვდი მტერსო», რომ ეთქვა ტარიელს, უაზრობა იქნებოდა. შეიძლება მტერი ერთი უტევანით გაყავდეს დაშორებული, გაიარო ეს მანძილი და მასთან მიხვიდე, მაგარმ ამ აზრის გადმოსაცემად მოყვანილი გამოთქმა ვერ გამოდგება“[38].

რატომ იქნებოდა უაზრობა? რატომ ვერ გამოდგება ამ აზრის გადმოსაცემად ეს გამოთქმა? ამის პასუხი არ ჩანს.

სხვა არგუმენტი:

„უბრალო დაკვირვებითაც აშკარაა, რომ მართებულია წაკითხვა „წავსწყდი“. ტარიელი ამბობს: იერიშისას ჩემს ლაშქარს ერთი უტევანით გავასწარ, გავცილდიო. იგი მართლა პირველი მიიჭრა მტრის რაზმთან (წარმოუდგენელიც არის, რომ რიგითი მეომრები ამ გოლიათს გვერდზე მიჰყოლოდნენ!), ამიტომაც (ცხადია, არა მარტო ამიტომ) გაოცდა მტრის ჯარი...“ „...ერთი უტე-

---

მად მოამზადა ლ. კეკელიძემ ა. ბარამიძის რედაქტორობით. თბილისი, 1961.

37 ა. ჭინჭარაული, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან: „წავსწვდი“ თუ „წავსწყდი“?: „ლიტერატურული საქართველო“, 22.I.1965, № 4.

38 ა. ჭინჭარაული, დასახელებული წერილი.

ვანი სწორედ ის სავარაუდო მანძილია, რომლითაც გმირი ტარიელი უნდა „წასწუდომოდა“ რიგითს მებრძოლებს“...[39]

ასეთია დასაბუთება წავსწვდი-წაკითხვის შეცვლის აუცილებლობისა წავსწუდი-წაკითხვით. დასაბუთების ამ წესმა გვათქმევინა ზემოთ, რომ იგი სუბიექტური ხასიათისაა და ხელნაწერთა ერთი ჯგუფის ჩვენებას ემყარება უკრიტიკოდ. ობიექტური ანალიზი არ ჩანს.

ჩვენ არ ვიცით, იზიარებდნენ თუ არა ამ წერილში წარმოდგენილ დასაბუთებას წავსწუდი-წაკითხვისას რედაქციები 1966 წელს გამოქვეყნებული სამი გამოცემისა, რომელთაც უყოყმანოდ მიიღეს ეს წაკითხვა და დაბეჭდეს „ერთსა წავსწუდი უტევანსა“. ცნობილია, რომ, როგორც ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოსულ ტექსტში, ისე ი. აბაშიძისა და გ. წერეთლის რედაქციით გამოსულ ტექსტშიც და აგრეთვე ოფიციალური საიუბილეო გამოცემის ტექსტში (სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი) ისე შევიდა არსებითი ხასიათის არაერთი ცვლილება, რომ მკითხველი საზოგადოება დღემდე არაა ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო მეცნიერული თვალსაზრისით ეს ცვლილებები.

სიტყვაწარმოების თავისებურებებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა

1. „როსტომის მძლავუბრძესითა“

1956 წელს გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით. სიმფონიას დაერთო ა. შანიძის წინასიტყვაობა და მისივე გამოკვლევა: „ვეფხის-ტყაოსნის ენის საკითხები. II. პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“. იმავე წელს, ცოტათი ადრე, ეს გამოკვლევა გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“[1]. ამ გამოკვლევაში ავტორმა განიხილა პოემის ტექსტის არაერთი სადავო ადგილი და წარმოადგინა ასეთი

[39] ა. ჰ ი ნ ჯ ა რ ა უ ლ ი, დასახელებული წერილი.

[1] „მნათობი“, № 2, 1956.

ადგილების საკუთარი გასწორებანი. სხვათა შორის მან ყურადღება მიაქცია პოემის 192-ე სტროფს, რომელიც როგორც 1937 წლის საიუბილეო, ისე 1951 წლის გამოცემაში ასე იკითხებოდა[2]:

თუცა მხეც-ქმნილი ავთანდილ გულ-ამოსკვნით და კვნესით ა,
ეგრეცა ჰამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა,
ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის' მკლავ-უგრძესითა,
შამბისა პირსა გარდახდა, ცეცხლი დააგზო კვესითა.

ამ სტროფში ა. შანიძე საგანგებოდ შეჩერდა მესამე ტაეპზე და განაცხადა შემდეგი:

„მკლავ-უგრძესი ის არის, ვისაც ან რასაც უგრძესი მკლავი აქვს. რადგანაც „მკლავ-უგრძესითა" შეთანხმებულია ბრუნვაში „ისრითა" სიტყვასთან, გამოდის, რომ ისარს უგრძესი მკლავები ჰქონია. მაგრამ მაშინ რას განსაზღვრავს „როსტომის?" ნადირს? არა! საქმის ვითარება ერთბაშად გაირკვევა, თუ შერყვნილ ფორმას გავასწორებთ და პირვანდელ სახეს აღვადგენთ:

ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავს უგრძესითა.

ეს ნიშნავს: ავთანდილს ჰქონდა ისრები, რომლებიც „მეფეთა წიგნის" გმირის როსტომის მკლავზე უგრძესი იყოვო"[3].

ეს იყო და ეს. ამ სიტყვებმა დასაბამი მისცეს საკმაოდ მწვავე პოლემიკას. ა. შანიძის გამოკვლევას გამოეხმაურა ა. ბარამიძე, რომელმაც ასეთი აზრი გამოთქვა ა. შანიძის მიერ წარმოდგენილი გასწორების შესახებ:

„თუ პატივცემულ ა. შანიძის განმარტებას მივიღებთ, შეიცვლება და გაღარიბდება „ვეფხისტყაოსნის" საუცხოო მხატვრული სახე, როსტომი „შაჰნამეში" გამოყვანილია გმირთა-გმირ და მძლეთა-მძლე ფალავნად. რუსთაველი თავის გმირს ავთანდილს უდარებს ამ როსტომს, მეტიც, რუსთაველი ავთანდილს მხნეობით აყენებს როსტომზე მაღლა, როსტომის (მკლავზე) უძლიერესი („უგრძესი") მკლავი ჰქონდაო, ასეთი მკლავით მომარჯვებული ისრით მოკლა ნადირიო. ა. შანიძის ინტერპრეტაციით კი, ავთანდილს თითქოს ჰქონდა როსტომის მკლავზე უგრძესი ისარი. გრძელი ისრის ტარება თავისთავად არ არის ვაჟკაცობის ნიშანი. ავთანდილის

---

[2] ამნაირადვე დაიბეჭდა ეს სტროფი პოემის ტექსტის 1957 წლის გამოცემაში.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, „ვეფხის-ტყაოსნის" ენის საკითხები. II. პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის: „ვეფხის-ტყაოსნის" სიმფონია, თბილისი, 1956, გვ. 021.

ღირსება ის იყო, რომ მას გამჭრიახ გონებასთან ერთად ჰქონდა მამაცი გული და მაგარი მკლავი. გრძელი ისრები არაფერ შუაშია. შიშველი გრამატიკული ნიშნის მომიზეზებით არ შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აზრობრივად და მხატვრულად გამოკვეთილი სახის შეცვლა ან გადაკეთება“[4].

თავის პასუხში ა. შანიძემ კატეგორიულად უარყო ა. ბარამიძის რეპლიკა და კვლავ დაადასტურა, რომ ტაეპის აზრი ასეთია: „ავთანდილი სანადიროდ ხმარობდა როსტომის მკლავზე უგრძეს ისარსო“[5].

უფრო გვიან კამათში ჩაება კ. ჭიჭინაძეც, მან მხარი დაუჭირა ა. ბარამიძის მოსაზრებებს, მისი სიტყვით, „რუსთაველს ერთი გმირის მკლავი მეორე გმირის მკლავისათვის შეუდარებია, თორემ ავთანდილის ისარს რა ლოგიკური კავშირი აქვს როსტომის მკლავთან? ნუთუ პოეტმა ამ ისრის გასაზომავად სხვა ვერაფერი მონახა? ავთანდილი ჩვეულებრივ ისარს ხმარობდა, ისეთსავე, როგორსაც, მაგალითად, როსტევანი. განა ნადირობის დროს ავთანდილს გრძელ ისრებს აწვდიდნენ, ხოლო როსტევანს კი მოკლეს? თუ ასე იყო, მაშინ რაღა იმედით ეჯიბრებოდა ვაჟკაცობაში როსტევანი ავთანდილს?“[6]

პოლემიკა გაგრძელდა. ისევ გამოქვეყნდა წერილები ა. შანიძისა, კ. ჭიჭინაძისა. რამდენადაც ეს წერილები ახალს აღარაფერს იძლევა საკითხის გასარკვევად, მათ განხილვას აქ აღარ შევუდგებით.

რამდენადაც ასეთი პოლემიკა ტიპობრივი იყო და დღესაც არის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხებზე მსჯელობის დროს, ჩვენ განზრახ არ მოვერიდეთ საკმაოდ მოზრდილი ამონაწერების მოყვანას.

ამრიგად:

ა. შანიძის აზრით, ამ ტაეპში მხოლოდ და მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ „ავთანდილი სანადიროდ ხმარობდა როსტომის მკლავზე უგრძეს ისარს“; არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს, „თითქოს იქ როსტომის მკლავთან ავთანდილის მკლავი იყოს შედარებული“... „ეს იქნებოდა მხოლოდ მაშინ, რომ პოემაში ნათქვამი

---

4 ა. ბარამიძე, „საჭირო განმარტება“: „ლიტერატურული გაზეთი“, 1956, № 36 (7.IX).

5 ა. შანიძე, „უსაჭიროესი განმარტება“: „ლიტერატურული გაზეთი“, 1956. № 38 (21.IX).

6 კ. ჭიჭინაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის, „მნათობი“, 1957, № 5.

ყოფილიყო: „მკლავითა მოკლის ნადირი როსტომის მკლავს უგრძესითა“[7].

ამას უპირისპირდება ალ. ბარამიძის შეხედულება: ამ ტაეპში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ ავთანდილს როსტომის მკლავზე უძლიერესი („უგრძესი“) მკლავი ჰქონდაო. „გრძელი ისრები არაფერ შუაშია“.

კ. ჭიჭინაძე ამავე აზრს იზიარებს, ოღონდ ის კიდევ უფრო მკვეთრად უსვამს ხაზს იმას, რომ ავთანდილის ისარს არავითარი ლოგიკური კავშირი არა აქვს როსტომის მკლავთან („ნუთუ პოეტმა ამ ისრის გასაზომავად სხვა ვერაფერი მონახა?“). მან გააღრმავა ა. ბარამიძის მოსაზრება („გრძელი ისრები არაფერ შუაშია!“): („ავთანდილი ჩვეულებრივ ისარს ხმარობდა, ისეთსავე, როგორსაც, მაგალითად, როსტევანი. განა ნადირობის დროს ავთანდილს გრძელ ისრებს აწვდიდნენ, ხოლო როსტევანს კი მოკლეს?“).

განსახილველი ტაეპი ორი მხრივ იწვევს ინტერესს. ერთი მხრით, იგი კარგ მაგალითს წარმოადგენს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მნიშვნელობა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ენის ფილოლოგიური ანალიზისათვის პოემაში წარმოდგენილი კულტურულ-ისტორიული ხასიათის რეალიების გათვალისწინებას; მეორე მხრით, იგი აგრეთვე კარგ მაგალითს წარმოადგენს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მნიშვნელობა აქვს პოემის ტექსტის გაგების თვალსაზრისით პოემის ენობრივ საშუალებათა, კერძოდ სიტყვაწარმოების საშუალებათა ჯეროვნად გაგებასა და გაანალიზებას.

ძველი ლიტერატურის ძეგლებში არაერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც რომელიმე გმირისა თუ ფალავნის მკლავის სიგრძეა ხაზგასმული მისი გმირობის, უძლეველობის აღნიშვნის მიზნით.

„რუსუდანიანის“ პირველ ზღაპარში ზავ ხელმწიფეს ასე დასტირიან: „სად არი შენი საროს უმაღლე თავი და ასაკი ტანი? სად დაიმალა შენი თეთრი და **გრძელი მკლავი**? სადა დაიფარა შენი გმირი ტანი?“ (რუსუდ. გვ. 146); „...ბეკბრტყელო, **მკერდ-მკლავიანო**, ფალავნურისა ნაქვთითა, თვალადობითა და შემკობილობითა“ (იქვე, გვ. 155).

ნ. ციციშვილის „შვიდ მთიებში“ ასეთი სტროფი მოიპოვება:

ყმას ჰკადრა კვლაცა გამზრდელმან სიტყვანი რამე მცირენი:
„მე შენი მიკვირს სიტურფე, მშვრეტელთა გულ-საგმირენი,
მელნისა ტბათა გარეშე ჰინდოთა რაზმთ სიჯმირენი,

[7] ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. წერილი.

სისრულე, ნაკვთი ტანისა, **მკლავთ სიგრძე, კვლა სიმაგრენი**“ (941).

ასევე, ჩვეულებრივი გამოთქმებია **მკლავის დაგრძელება** და **მკლავის დამოკლება.**

„თურქთ **მკლავი ჩემზედ დაგრძელდა**, კელთ დაგიჭირა რომია, ლუარსაბ იმ საქმით მოკვდა, ბალხეთი წანაკლომია“ (შაჰნ. 5368).

„თუ ესე კლდე დევთა სადგური შეიქნა, ადამის ნათესავთა **ხელი დამოკლდება** სულ ქვეყანაზედა, არამცა და ჩვენს ქვეყანას დარჩეს ვინმე (რუსუდ. 275).

„დევთა ჯელი ყოველგან **გაგრძელდა** და წყენა დაიწყეს“ (შაჰნ., II, გვ. 375).

სრულიად უეჭველია, რომ ყველა ეს გამოთქმა იმავე რიგისაა, რაც „ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო სტროფში გვაქვს: **„როსტომის მკლავუგრძესითა“.**

თუ გამოთქმებს — „გრძელი მკლავი“, „გრძელმკლავიანი“, „მკლავუგრძესი“ მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით შევხედავდით, უნდა გვეღიარებინა, რომ გრძელი მკლავები მაინც და მაინც ვერაფერი ესთეტიკური გრძნობების აღმძვრელია. ცხადია, ასეთი გამოთქმების მნიშვნელობის ახსნა სხვა სფეროში უნდა ვეძიოთ.

რა თქმა უნდა, არც მშვილდი და არც ისრები ერთგვარი, სტანდარტული ზომისა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ძველი მწერლობის ძეგლებში, ჩვეულებრივ, მკლავის ძალა და მშვილდის ძალა ერთმანეთთან დაკავშირებით არის წარმოდგენილი, ეს ერთი მხრით; მეორე მხრით კი ასევე ერთმანეთთან დაკავშირებითაა წარმოდგენილი **ისრის სიგრძე** და **მკლავის სიგრძე.**

მართლაც, „ვისრამიანში“ ვკითხულობთ რამინის შესახებ: „მშუილდსა მისსა ვერვინ მოჰზიდვიდა, შუბითა და ასპარეზითა მისებრ ვერვინ იმღერდის, ესრე რომელ ჰურეტასა მისსა შეექციან“ (ვისრ.9).

მაშასადამე, რამინს ისეთი ძლიერი მშვილდი ჰქონდა, რომ მის მშვილდს სხვა ვერავინ მოზიდავდა. ახლა სხვა მაგალითები ვნახოთ.

„და მეორესა დღესა სხვა გამოვიდა ბუმბერაზი ოვსთაგან, რომელსა ერქუა ბაყათარ. იგი იყო გოლიათი; და რაჲთგან დაეწყო მჯედრობად, ვერვის დაედგნეს მისთჳს ბრძოლასა შინა, და მოესრა

ყოველი მბრძოლი მისი, რამეთუ **იყო სიგრძე მშჯლდისა მისისა თორმეტი მტკაველი და ისარი მისი — ექუსი მტკაველი**"[8].

„ხოლო იყო შაჰ-თამაზ აიდარბეგს და მივიდა ბაგრატ. დიდად პატივ-სცა ყაენმან და დაისუა წინაშე, აქა მოხუცებულნი მიმყოლნი მისნი, და უბრძანა ყაენმან ბაგრატს, რათა მოსწიოს მშჯლდსა, და მიუტანეს მშჯლდი ძლიერი ბაგრატს, ხოლო ბაგრატ არა რამე თავს-იდვა და ეპყრა მცირე რამე ნატეხი წვრილი ჯოხი, და მით ასწია"[9].

„არჩილ იყო უხუცესი. ესე იყო კისკას, შუენიერ, მობურთალი, მოისარი. **ყოველის კაცის ისარზედ ერთი ჯელის დადება ისარი უგრძე ჰქონდა**"[10].

„აწ წითელი ყოშუმი მოვიდა, დალოცეს, ქება შეასხეს, თვითო მშვილდი და ისარი ყველამ მოართვეს და ეგრე მოახსენეს: ნუთუ ხელმწიფესა ეგონოს, აქაურმა კაცმა მშვილდ-ისარი არ იცისო. ჩვენ ამისთანას მშვილდსა ვხმარობთო. დიდად ძალიანი მშვილდი და მსხვილი ისარი იყო ასეთი, რომე, ზავარ არ იყო იქი და **ჩვენს ჯარში ხოსროს მეტმა ვერავინ მოსწივა და ვერც იმათ ისარს მკლავი გააწვდინა**"[11].

„შავსა რკინისა მთასა ემგზავსებოდა, თვალნი ინითა ნაღებსა უგვანდეს, შეიდისა გელაზისა ოდენი ლახტი წელთა ეპყრა, სამნი პირბასრნი ხმალნი წელთა ერტყა, მუზარადი დიდსა გუმბათსა უგვანდა, დიდთა ძელთა უმსხოსი შუბი მხარსა ედვა, **სხვათა ფალავანთა შუბთა უმსხოსი ისარი ქარქაშსა შიგან ეწყო...**"[12]

„ჰკრა მკერდსა არყის ისარი, აშქაფუშ გარდაჰკდებისა,
გარე შეიქცა, მობრუნდა როსტომ მათისა ნებისა;
თურქთა წაიღეს ისარი, სისრულე ეკვირვებისა,
შუბისა ტარსა უფროა, ამას ვინ დაუდგებისა"[13].

---

[8] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა: ქართლის ცხოვრება. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტ. I, გვ. 154.

[9] ქართლის ცხოვრება, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტ. II, გვ. 498.

[10] იქვე, გვ. 435.

[11] რუსუდანიანი ილია ა ბ უ ლ ა ძ ი ს ა და ი ვ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 305.

[12] „ამირანდარეჯანიანის" დამატებანი: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, II, გვ. 117.

[13] „შაჰნამეს" ქართული ვერსიები, II, სტროფი 3589.

„ისპა[თა] გათავებული საქ[მით ყოველთა მე]ტია:
მისი ისარი სიგრძითა ყოველთა და[მაქლ]ეტია“[14].

„...მუნ **შუბის სიგრძე ისარი**, სად მზე დგა, მუნვე ჩავარდა,
მას უკვირდა **ისრის სიგრძე** და მის ყმისა მშვილდოსნობა...“[15]

„ხრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბეერგვარ ბრუნება შუბისა,
საცერის წყობა, მათრახის ბილდირგა რა შეუბისა,
ისარი სხვილი და გრძელი, ხელთ არ დადება უბისა,
ვისცა არა აქვს, უძრახვენ, სხვამან სხვას მიუუბნისა“[16].

„პაპა-ჩემსა ალექსანდრეს დავამსგავსე მშვილდოსანად,
მშვილდისა და ისრის სიგრძე, სისხო ჰქონდა ვითა მანად“...[17]

„მაღალს აკრავდენ ფრთეებსა **გრძელს ისრებს მათთა მკლავთასა**,
ამას იტყოდეს, ესე სჯობს, უკეთ იქს ხორცთა ფეთასა“[18].

„რუსუდანიანში“ არის ერთი ადგილი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ სწორედ ამ საანალიზო სტროფს ჰგავს ძალიან.

„ნადირობაში მშვილ-ისარს ძნელად იხმარებდა, ამისთვის რომე **მისის ისრისა მგზავსი არცა როსტომის ისარი ყოფილა და არცა ვის მისის ბოძლის სიპტყე ბოძალი უნახავ.** რასაცა ჰკრის, ძვალი და ტყავი გაუერთის“ (რუს. 423).

ამრიგად, ყველა მშვილდს ყველა ვერ მოზიდავს, მშვილდი სხვადასხვა ძალისაა. ამიტომაა, რომ მას მიემართება ეპითეტები: **ძლიერი, ფიცხელი** („წავიდა, ვითა მ შ ვ ი ლ დ ძ ლ ი ე რ ი ს ა კ ა ც ი ს ა ი ს ა რ ი“: რუსუდ. 2; „წავიდა ვითა ი ს ა რ ი კ ა ც ი ს ა მ შ ვ ი ლ დ-ფ ი ც ხ ე ლ ი ს ა“: „ვეფხისტყაოსანი“, 1273; „მ შ ვ ი ლ დ ს ა ფ ი ც ხ ე ლ ს ა მ ო გ ვ ც ე მ დ ი თ, ი ს ა რ ს ა მ ო გ ვ ა რ თ მ ი დ ი თ ა“: იქვე, 74). ფიცხელი ამ შემთხვევაში **მაგარს** ნიშნავს (სულხან-საბა ორბელიანი: **ფიცხელი** ძნელმაგარი; **ქედფიცხელი** კისერმაგარი...; **გულფიცხელი** გულქვა). ყველაფერი ეს გულისხმობს, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ძალისა და სიმაგრის მშვილდის არსებობას. მშვილდი სხვადასხვა ზომისაა (სი-

---

[14] „შაჰნამეს“ ქართული ვერსიები, I, სტროფი 9.

[15] ნ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, „შვიდი მთიება“, სტროფები 923—924.

[16] ა რ ჩ ი ლ ი, „საქართველოს ზნეობანი“: თხზულებათა სრული კრებული ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტ. I, გვ. 6. სტროფი 28.

[17] ა რ ჩ ი ლ ი, ტ. II, გვ. 119.

[18] იქვე, გვ. 43.

მაღლისაა). ასევე სხვადასხვა სიგრძისაა ისარიც. ბაყათარ ოვსის მშვილდის სიგრძე თორმეტი მტკაველია, ხოლო ისრისა ექვსი მტკაველი. ერთ-ერთ ფალავანს სხვა ფალავნების შუბზე უმსხოსი ისარი უწყვია ქარქაშში. თურქებმა რომ როსტომის ისარი ნახეს, „შუბისა ტარსა უფროა"-ო — თქვეს. ისრის სიგრძე მკლავთანაა ჩვეულებრივ შედარებული და ყველა ისარს ყველა ვერ გაუწვდენს მკლავს, უკეთ, ყველას იმ სიგრძის ისარი აქვს, რომ საკუთარი მკლავის გაწვდენა შეძლოს.

ერთი და იმავე ზომის მშვილდი და ისრები არასოდეს არ ყოფილა. ყველას თავისი შესაფერი ზომის მშვილდი ჰქონდა მეტ-ნაკლებად და ამის შესაფერი სიგრძის ისრებიც. როდესაც ისრის გასროლაა საჭირო, ისრის კილო მშვილდის საბელს უნდა გადაეცვას და ცალი ხელით (მარცხენა ხელით) იჭერენ, ხოლო მეორე ხელით მშვილდი ისე უნდა მოიზიდოს, რომ იგი ისრის ზროს მისწვდეს. თუ მშვილდი ისრის ზროს არ მისწვდა, ისარს მარჯვედ ვერ გაისვრის მოისარი. მშვილდის მოზიდვა კი შესაძლებელია მანამ, სანამ მკლავი გასწვდება. ამდენად, ისრის სიგრძე სავსებით დამოკიდებულია მსროლელის მკლავის სიგრძეზე, უკეთ: ამიტომაა დამოკიდებული მსროლელის მკლავის სიგრძეზე. ხოლო, რაც უფრო მძლავრია მშვილდი და გრძელი ისარი, მით უფრო მეტი ძალა აქვს ნასროლ ისარსაც და მშვილდიც მით უფრო შორს გაისვრის ისარს. ამიტომ ხმარობდა გრძელ (მაშასადამე, ძლიერ, ძალიან) ისრებს როსტომი, ამიტომ არის, რომ ავთანდილის ისრის სიგრძის დასახასიათებლად რუსთაველმა იგი როსტომის მკლავის სიგრძეს შეუდარა: ავთანდილს გრძელი ისრები აქვს, ისეთი, რომელსაც მისი მკლავი ადვილად გასწვდება, მაშასადამე, მას გრძელი და ძლიერი მკლავები აქვს; მისი მშვილდის ისარი როსტომის მკლავზე უგრძესია, მაშასადამე, როსტომის ისარზე უგრძესი. ავთანდილის მკლავი როსტომის მკლავზე უგრძესია, მაშასადამე, ავთანდილი როსტომზე ძლიერია.

მშვილდ-ისარი ფართოდ გავრცელებული იარაღი იყო მთელ მსოფლიოში. იგი თოფის შემოღების შემდგომაც კი დიდხანს არ გამოსულა ხმარებიდან და მძლავრ კონკურენციას უწევდა ამ უკანასკნელს. მშვილდი კეთდებოდა ხისაგან, ლითონისაგან, რქისაგან... ეს ჩანს ქართული წყაროებიდანაც, რომლებშიც ხის მშვილდის გვერდით რკინისაცაა დასახელებული:

„მანდ **რკინის მშვილდი** და **ბოძალი** ძეო, ის წაიღეო" (რუსუდ., გვ. 166).

„ჯიკვო, გუნებით მძიმეო, კლდიდამ რამ გამაგიყვანა?
ვაქკაცმა პირშიშველამა სათავე წამაგიარა,
მშვილდმა მაგ შენი რქისამა დაგკვეხა, დაგათხრიალა...“ (ხევსურული პოეზია, გვ. 201).

„ცხენი მასთხოვე, გიბოძა, **მშვილდს** რადაც სთხოვდი **რქისასა?**“ (იქვე, გვ. 15).

„არ დაიშალა, გადასწვდა მჯართ ნადებს **მშვილდსა რქისასა**“ (იქვე).

„ბეწვინას მედროშაესა მშვილდს უმზადებენ, ისარსა,
მჯართ მშვილდსა ჩამახკიდებენ ჯიკვში ნარჩევსა რქისასა“ (ბეს. გაბ. წელიწდ. გვ. 122).

მშვილდი 1—3 მეტრის სიგრძისა იყო, შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმისა. განასხვავებენ მარტივ, რთულ ანუ შედგენილ, მაგარ მშვილდებს.

ისარი უმთავრესად ხისაგან მზადდებოდა და თევზის ან ცხოველის ძვლის, ქვის ან ლითონის წვერი ჰქონდა გაკეთებული. აკეთებდნენ ლითონის ისრებსაც. იხმარებოდა სხვადასხვა სიდიდისა და მოდელის ისარი. ისარს, მშვილდის გარდა, ისროდნენ არბალეტით. არბალეტის მსგავსი იარაღი თუ იგივე არბალეტი ჩვენშიაც ყოფილა ცნობილი **სამალის** სახელწოდებით. **სამალი** ჩვენს პოემაში გვხვდება: „გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის საკრავად **სამალი**“ (708).

ამჟამად მშვილდ-ისარი ფართოდაა გავრცელებული ევროპაში, როგორც სპორტული იარაღი. მშვილდოსნობას მისდევენ ჩვენშიც. ახალი მოდელები მზადდება ძველი მოდელების შესწავლის შედეგად. განასხვავებენ სხვადასხვა ფორმის მშვილდებს, რომლებიც სხვადასხვა ძალისა არის. მშვილდის ძალას იმ წინააღმდეგობას ეძახიან, რომელსაც მშვილდი მოზიდვისას უწევს მოისარს. მეტი წინააღმდეგობა რომელ მშვილდსაც აქვს, ის მეტი ძალის მქონეცაა, ამ წინააღმდეგობას ამჟამად ზომავენ კიდეც. მშვილდის უნარს, გაისროლოს ისარი რაც შეიძლება შორ მანძილზე, — მშვილდის სიმძლავრეს უწოდებენ. თითოეული მშვილდი ისეა გაკეთებული, რომ უძლებს გარკვეულ მოზიდვას და ეს რიცხობრივადაცაა გამოხატული და აღნიშნულიც ყოველ მშვილდზე. ისრები კეთდება ხისა და ლითონისაგან (ამჟამად სხვადასხვა ნარევი ნივთიერებებისაგანაც). არჩევენ მოკლე და გრძელ (64-72 სმ.) ისრებს. მათ შესაბამისი სიმსხოც აქვთ (პირველთ 6-7 სმ დიამეტრის მქონე, მეორეებს 7-8 სმ დიამეტრის მქონე). ისარს წვერზე ლითონს ჩამოაცვამენ, ხო-

ლო ბოლოში ფრინველის ფრთას ამაგრებენ, რასაც სტაბილიზატორის დანიშნულება აქვს: იგი გასროლისას წონასწორობასა და სწორ მიმართულებას იცავს[19].

ისარი, როგორც ითქვა, სხვადასხვა სიგრძისაა. ისრის სიგრძეს ასე განსაზღვრავენ: «Вытягиваем вперед руки и соединяем ладони; расстояние от кончиков средних пальцев вытянутых рук до середины груди равно длине стрелы. Длину стрелы можно также определять при помощи рук, вытянутых в стороны»[20].

აქ მოყვანილი ცნობების ანალოგიური მასალა ძველი ქართული მწერლობის და აგრეთვე ქართული ხალხური სიტყვიერების ძეგლებშიც არის დაცული. კერძოდ, მდიდარი მასალაა წარმოდგენილი ისრის ფრთის შესახებ. **„ორბისფრთიანი ისარი“** საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმაა. სხვა მაგალითები:

„მათ შუა მოციქულად ქორაფისა ისრები, არწივისა ფრთოსანი, პირბასრნი, მიდიოდეს და მოდიოდეს“ (ვისრ. 24).

„ორბს ვინმე სტყორცა ისარი, ეცა, ქვე იქმნა მდებარე,
განკვირდა: „ჰაერთ სიმაღლე რა მომწვდა გულსა მვებარე?“
გასინჯა, იცნა **მისივ ფრთა ისარსა ზედა მწებარე,**
თქვა: „ჩემთაგანვე მომედვა ცეცხლი უშრეტი, მგზებარე“[21].
„როსტომის არყის ისართა არ უნდან ქადაგ-მისანნი:
თუ როსტომისა არ იყვა, **თბენ რად ხქონ ფასკუნჯისანი?“**[22]

ისრის ფრთად რომ ორბის ფრთას იყენებდნენ, ამაზე მითითებაა „ვეფხისტყაოსანშიცაა“:

„მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გამოფრინდა:
ყმამან ცხენი შეუტევა, გაამაყდა, არ შეშინდა,
შესტყორცა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა,
გარდახდა და **ფრთენი დასჭრნა,** წყნარად შეჯდა, არ აშინდა“
(980).

მშვიდ-ისარი ამჟამად საქართველოში მთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია შემორჩენილი. ეს ეთნოგრაფიული მასალაც ზემოთ

---

19 Франтишек Гадаш и Иржи Вискочил, Лук и стрела, перевод с чешского А. К. Кошелева, Физкультура и спорт, Москва, 1960.

20 იქვე. გვ. 61—62.

21 ვახტანგ VI. ლექსები და პოემები, ედ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1947, გვ. 19 („საღბუნად გულისა“).

22 ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 398.

მოთხრობილს ადასტურებს: „ისრების სიგრძე სხვადასხვაა (50-დან 75 სანტიმეტრამდე)“[23].

ასე რომ, მკლავის სიგრძის მოხსენიება მშვილდთან და ისართან დაკავშირებით შემთხვევითი არ შეიძლება იყოს, პირიქით, სრულიად ბუნებრივია და ამიტომ ჩვეულებრივიც იყო. „ვეფხისტყაოსნის“ ამ საანალიზო ტაეპშიც სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. საკამათოდ არ უნდა გაბჭდარიყო ის ფაქტი, რომ ამ ტაეპში ავთანდილის ისარია შედარებული როსტომის მკლავთან (**ისრითა... როსტომის მკლავუგრძესითა**), რადგან **ამით სწორედ ისაა ნათქვამი, რომ ავთანდილს როსტომის მკლავზე უგრძესი მკლავი ჰქონდაო; ეს კიდევ, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ავთანდილს როსტომზე უფრო გრძელი ისრები, ძალიანი მშვილდი და ისრები ჰქონდა.** ამდენად, ჩვენ არც ის დებულება მიგვაჩნია სწორად, რომ თითქოს „გრძელი ისრები არაფერ შუაშია“, არც ამ დებულების გაღრმავება და ეკიდურესობამდე მიყვანა კ. ჭიჭინაძის მიერ, და არც ის აზრი ა. შანიძისა, თითქოს ამ ტაეპში როსტომის მკლავთან ავთანდილის მკლავის დაკავშირება საერთოდ არ შეიძლებოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ტაეპში **მკლავუგრძესითა** სინტაქსურად მხოლოდ და მხოლოდ **ისრითა** სიტყვასთანაა დაკავშირებული, ა. შანიძის მიერ მოწოდებული შესწორება **მკლავს უგრძესითა** მიუღებელია, საანალიზო ტაეპს არავითარი გასწორება არ ესაჭიროება. ამჟამად წაკითხვა **მკლავს უგრძესითა** გატარებულია ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოსულ ტექსტში (s), ყველა დანარჩენ უახლეს გამოცემაში (tuy) ძველი **მკლავ-უგრძესითა** იკითხება.

ა. შანიძე „მკლავს უგრძეს“-გამოთქმას ასე აანალიზებს: **უგრძესი** უფროობითი ხარისხის ფორმაა, **მკლავს** კი მასთან დაკავშირებული შესადარებელი სახელია და, ბუნებრივია, იგი მიცემით ბრუნვაში იყოს წარმოდგენილიო.

მართლაც შედარებითი ხარისხის ფორმა ზედსართავი სახელისა მასთან დაკავშირებულ შესადარებელ სახელს შეიძლება მართავდეს ორ ბრუნვაში: ნათესაობითსა და მიცემითში. ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“. შესადარებელი სახელის მიცემით ბრუნვაში მართვის ორი შემთხვევა მოყვანილი აქვს ა. შანიძეს კ. ჭიჭინაძის საპასუხოდ დაბეჭდილ წერილში („რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის

[23] ვ. ე ლ ა შ ვ ი ლ ი, მშვილდოსნობა, თბილისი, 1959.

მხმეჭელსა“: 499 და „რა უარეა პირისპირ საყვარელისა **ჭვრეტასა**“: 489). ამას შეიძლება დავუმატოთ სხვა მაგალითები: „რა უარეა **მამაცსა** სულ-დიდსა, წასლვა-გვიანსა“ (798); „ვინ **მზესაცა** უნათლეა, ასრე ვითა ბროლი ფისსა“ (1431); „პირი მისი უნათლეა **სინათლესა ზესთა-ზესა**“ (685).

ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმათა წარმოება „ვეფხისტყაოსანშიც“ ორგვარია ისე, როგორც ძველ ქართულში: მხოლოდ **უ-——ე** ან **უ-——ო** აფიქსებიანი (**უარე, უამე, უთამამო...**) და ისეთი, როდესაც ამ აფიქსებს ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი დაერთვის: **უ-——ე-ს, უ-——ო-ს** (**უამესი, უმაგრესი, უტკბოსი...**). იყო ცდები, ამ მხრივ პოემის ენაში გარკვეული კანონზომიერება დაედგინათ: როცა ნათესაობითის ფორმანტდაურთველი წარმოება გვაქვს ხარისხისა, მაშინ მისგან მართული სახელი მიცემითშია დასმული, ხოლო, როცა ნათესაობითის ფორმანტდართული — მაშინ ნათესაობითშიო; მაგრამ ეს „წესი“ ყოველთვის არ მართლდება პოემაში და, მით უმეტეს, საერთოდ რუსთაველის ეპოქის ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში. ამდენად, ამის მიხედვით საანალიზო ტაეპის შესახებ რაიმე დასკვნის გაკეთება არაა შესაძლებელი.

საანალიზო სიტყვა **მკლავუგრძესი** კომპოზიტია, მაგრამ იგი არაა მიღებული **მკლავ** და **უგრძეს** ფუძეთა შეერთებით. იგი შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმაა, ხოლო ამოსავლად ამ ფორმის წარმოებისას აღებულია აგრეთვე კომპოზიტის **მკლავგრძელ**-ფუძე.

მკლავგრძელი ეგზოცენტრული კომპოზიტია[24], არა-ტოლად შერწყმული სახელია[25], რომლის მეორე წევრი ზედსართავი სახელია (**გრძელი**). ამ ტიპის კომპოზიტები პოემაში ხშირად გვხვდება. ამათგან ხშირად გვხვდება ისეთებიც, რომელთა მეორე წევრი ზედსართავი სახელია. ასეთებია: **პირმსუქანი, პირხმელი, მკლავმაგარი, თავშიშველი, პირშავი, თმაგრძელი, გულფიცხელი, მშვილდფიცხელი, მკლავფიცხელი, სიტყვაბრძენი, სვესრული, სიტყვამჭევრი, გულტკბილი, გულმხიარული, გულუშიშარი** და მრავალი სხვა. ამ კომპოზიტებს ზედსართაული მნიშვნელობა აქვთ და მათი ფუძეებისაგან შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმები იწარმოება

---

24 ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ეგზოცენტრული კომპოზიტები „ვეფხის-ტყაოსნის“ ენაში: „მაცნე“, № 5, 1966.

25 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, § 193.

ისევე, როგორც ამ ფუძეთაგან შესაძლებელია სხვა მნიშვნელობის მქონე ფუძეთა წარმოება.

წარმოებისას ამოსავლად ჩვეულებრივ გამოყენებულია რთული ფუძე, კომპოზიტის ფუძე **(სულ-გრძელ—უ-სულგრძელ-ე-ს)**, მაგრამ შესაძლებელია და არცთუ იშვიათი, როდესაც წარმოებისას ამოსავლად რთული ფუძე კი არაა გამოყენებული, არამედ კომპოზიტის მეორე, ზედსართაული, ნაწილის ფუძე **(გულ-წყნარ-ი — გულ-უ-წყნარ-ო, ციხე-მაგარ-ი — ციხე-უ-მაგრ-ო)**.

„ვისრამიანში" ვკითხულობთ:

„...ასეთსა ღამესა, ესრე დაუთმობელი, უძილო, გულ-დაწყლულებული, **გულ-უწყნარო**, ესეთისა ყოფნისა და სიცივისაგან დამკვნეს. შენთა უბეთა შიგან გამათბე, მიჩუენე პირი შენი, სულთა მდგმელი ჩემი, მომისუენე შენითა ლმობიერებითა: სულნელი თმა შენი ოქროსაებრ დაყუითლებულსა ყელსა მომახუიე" (ვისრ. 23).

გულუწყნარო-სათვის წარმოებისას ამოსავლად **გულ-წყნარ-ი** კომპოზიტია აღებული, მაგრამ **უ- — -ო** პრეფიქს-სუფიქსი კომპოზიტის მთლიან (რთულ) ფუძეს კი არ დაერთვის (ე. ი. **უ-გულ-წყნარ-ო** კი არ გვაქვს), არამედ ამ ფუძის მხოლოდ ზედსართაულ ნაწილს — **წყნარ**-ფუძეს და გვაქვს **გულ-უ-წყნარ-ო**.

„ვეფხისტყაოსანში" გვაქვს ამნაირი წარმოების მაგალითი მე-400 სტროფში.

ხატაეთს მყოფნი მოვიდეს, მათგან მოსლვისა დრონია,
სიტყვანი შემოეთვალნეს ლაღნი და უკადრონია:
„არცა თუ ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც **ციხეუმაგრონია**,
ვინ არის თქვენი ხელმწიფე? ჩვენზედა რა პატრონია?"

ციხეუმაგრონი მრავლობითი რიცხვის ფორმაა, მხოლობითის ფორმაა **ციხეუმაგრო**. ამოსავალ ფუძეს ამ ნაწარმოები სახელისათვის წარმოადგენს კომპოზიტის ფუძე **ციხემაგარ**. ამ ფუძისაგან ნაწარმოებია უარყოფითი მნიშვნელობის ახალი ფუძე, მაგრამ საწარმოებლად კომპოზიტის მთლიანი ფუძე, რთული ფუძე, ე. ი. **ციხემაგარ** კი არაა გამოყენებული და მას კი არ დაერთვის უქონლობის მნიშვნელობის მიმნიშებელი **უ- — -ო** აფიქსები (ასეთ შემთხვევაში გვექნებოდა **უ-ციხემაგრ-ო**, რაც არაა დადასტურებული), არამედ კომპოზიტის შემადგენელი ზედსართავის ფუძისაგან **(მაგარ)** ნაწარმოებია უარყოფითი, საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე ახალი ფუძე **უ-მაგრ-ო** და ეს ნაწარმოები ფუძე **ციხე**-ფუ-

ძესთან ერთად შედის ახალი ფუძის შემადგენლობაში: **ციხე-უ-მაგრ-ო**, მრავლობით რიცხვში — **ციხე-უ-მაგრ-ო-ნ-ი.**

ზუსტად ამგვარადაა ნაწარმოები **მკლავუგრძესი.** წარმოებისათვის ამოსავალია **მკლავგრძელ**-ფუძე კომპოზიტისა, მაგრამ საწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსი ამ ფუძის მეორე, ზედსართაულ, ნაწილს დაერთვის და არა მთლიან ფუძეს: გვაქვს **მკლავ-უ-გრძ-ე-ს-ი** და არა **უ-მკლავგრძელ-ე-ს-ი** ან **უ-მკლავგრძ-ე-ს-ი.**

„ვეფხისტყაოსანში“ ამ უკანასკნელი წარმოების ტიპის მაგალითიც მოიპოვება. ესაა **უცხენმალეს,** რომელიც 173-ე სტროფშია ნახმარი.

რა ლაშქართა ინადირეს და პატრონი მოითვალეს,
იგი პირ-მზე ვეღარ პოვეს, პირი მათი იფერმკრთალეს,
მათსა დიდსა სიხარულსა სამძიმარი ანაცვალეს,
ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო **უცხენმალეს.**

უცხენმალეს ნაწარმოებია კომპოზიტისაგან **ცხენმალ-ი (ცხენმალე),** რომელიც გავრცელებული კომპოზიტი იყო: „თურქულად ეუბნებოდეს, **ცხენმალედ** იარებიან“ (შაჰნ. 5350); „ნეშდარუშ ჯამასპ ვაზირი ნახა, **ცხენმალედ** მივიდა... სახელოვანს მამას ჰკადრა: **„ცხენმალედ** ვინმე მოვიდა“ (შაჰნ. 5351); „ბეჟან მოვიდა **ცხენმალედ,** იგ გოსტამობით ყიოდა“ (4630). ამ შემთხვევაში წარმოებისას ამოსავლად მხოლოდ ზედსართული ნაწილის ფუძე კი არ არის აღებული, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევებში გვქონდა, არამედ კომპოზიტის მთლიანი ფუძე (რთული ფუძე), ამას დაერთვის პრეფიქს-სუფიქსი და ვიღებთ ფორმას **უ-ცხენ-მალ-ე-ს.** ნიშანდობლივია, რომ ეს ფორმა რუსთაველთან ყველა მკვლევრის მიერ პოეტური თავისუფლების ერთ-ერთ გამოვლენად არის მიჩნეული.

ამრიგად, **მკლავუგრძესითა** ფორმაში **ს** მოსალოდნელი არ ყოფილა და აკი **ს**-ანიანი ფორმა არც არის დადასტურებული არც ერთ ხელნაწერში, ყველა ხელნაწერი ერთგვარ წაკითხვას წარმოგვიდგენს: **მკლავუგრძესითა.** ერთადერთ თარსანმოურავისეულ (Z) ხელნაწერშია მხოლოდ განსხვავებული წაკითხვა: **როსტომ მკლავუმაგრესითა.** აქაც **მკლავუმაგრესი** სავსებით იმგვარადვეა ნაწარმოები, როგორც **მკლავუგრძესი.**

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“
(957).

ეს სტროფი ნაწილია ავთანდილის ცნობილი მიმართვისა მნათობთადმი. აქ ყურადღებას მივაქცევთ მეორე ტაეპს, რომელიც სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვაგვარადაა დაბეჭდილი. ვახტანგის გამოცემაში იგი ასე იკითხება: „აჰა მზეო გიაჯები შენ უძლებთა მძლეთა მძლესა“.

თავი რომ დავანებოთ **გიაჯები** ფორმას, რომელიც **გეაჯები**-საგანაა ძიღებული ეა ჯგუფის **ია**-დ შეცვლის გზით და უთუოდ დიალექტური ფორმაა, ყურადღებას იპყრობს **უძლებთა**, რომელიც მნიშვნელობის მხრივ სრულიად უადგილოა ამ კონტექსტში (**უძლები** — ფეხმძიმე, ორსული). მიუხედავად ამისა, ვახტანგის გამოცემაში იგი კორექტურული შეცდომა არ არის, მომდინარეობს პოეძის ზაზასეული ხელნაწერიდან (D, Q 1082). ეს **უძლებთა** განმეორებულ იქნა მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილის გამოცემებში; დ. კარიჭაშვილმა 1920 წელს **უძლევთა** დაბეჭდა, დანარჩენ გამოცემებში **უმძლესთა** დამკვიდრდა.

უძლებთა D ხელნაწერისაგან მომდინარეობს, **უძლევთა** — EIY ხელნაწერთაგან, F-შია **უმძლევთა**, JU-ში — **უმძლეთა**, V-ში — **უძლეთა**, RZ-ში — **უძლევსა**, GHKO-ში — **უმძლესა**; დანარჩენებში **უმძლესთა** იკითხება.

გაბატონებული წაკითხვა უკანასკნელი გამოცემებისა ხელნაწერთა ამ უკანასკნელი ჯგუფის წაკითხვას იმეორებს უკრიტიკოდ. საკმარისი კი არის, ოდნავ დავუკვირდეთ ამ გამოთქმას, რომ იგი უაზრო აღმოჩნდეს. მართლაც, რას ნიშნავს **შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა?** ამ წაკითხვის მიხედვით, მზე არის **მძლე**, ამასთან, **მძლეთა მძლე**, ხოლო **უმძლესთა** შეიძლება მხოლოდ **მძლეთა**-ფორმას უკავშირდებოდეს და გამოდის, რომ ეს **მძლენი**, რომელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა წარმოდგენილი ტაეპში, **უმძლესთა** მძლენი არიან, ვინღა არიან ეს **უმძლესნი**, ეს არა ჩანს.

ამ ტაეპის განმარტება მოგვცა თეიმურაზ ბაგრატიონმა: „აქ რომ უძლებს იტყვის, არაფც თუ უძლურს იტყვის. უძლები იმაზედაც ითქმის, რომ ასეთი ძლიერება ჰქონდეს, რომ კაცი ვერ გაუძ-

ძლებდეს იმისს ძლიერებას. უძლები, გაუძლებელი — ძლიერებით გარდამეტებული, რომ ვერავინ თვისი სწორი ვერ აღემატებოდეს ძლიერებით. უძლებთა მძლეთა მძლე — უძლიერესთა მძლეველთა მძლეველი არის. სხვარიგათაც განიმარტება ესე: შენ უძლებთა უძლეთა მძლესა — შენ უძლურთაო მძლეთა და ძლიერთა მძლეველობას მისცემო. კვალად ამასაც ნიშნავს: შენ იმათა სძლევო, ვინც რომ უძლებთა, ესე იგი სიყვარულით უძლურ ქმნილთა მძლეველნი არიანო, შენ იმათი მძლეველი ხარო და უძლურთა შემბრალებელიო[26].

განმარტება რამდენიმე ვარიანტად არის მოცემული. ეს იმას მოწმობს რომ კომენტატორი ყოყმანობდა, მთლად ნათლად არ ჰქონდა გააზრიანებული ტაეპის შინაარსი. იგი ახლოს იყო საქმის ვითარებასთან, როცა აცხადებდა: მძლეთა მძლე უძლიერესთა მძლეველთა მძლეველი არისო. თეიმურაზი ვახტანგის გამოცემაში დაბეჭდილ ვარიანტს იცნობდა და სხვაგვარი განმარტება ამ ვარიანტისა არც შეიძლებოდა: **უძლები უძლეველად** უნდა გაეგო ფრაზის შინაარსის მიხედვით, მაგრამ იცოდა, რომ ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომაც მოიბოდიშა: „აქ რომ უძლებს იტყვის, არამც თუ უძლურს იტყვის“-ო.

ამ სტროფის უკანასკნელი სიტყვა **მძლე** ა. შანიძემაც განმარტა: მძლეველიო[27].

მაგრამ განმარტებები საქმეს ვერ უშველის და ვერც უშველა, რადგან თვით ტაეპია გასასწორებელი და გასამართავი. ამის საშუალებას კი ხელნაწერთა წაკითხვები იძლევა.

ამ წაკითხვათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია GHKO ხელნაწერთა წაკითხვა **უმძლესა**. ამის სახელობითი ბრუნვის ფორმაა **უმძლე**. ეს კი **მძლე**-ფუძისაგან **უ-——-ე** აფიქსებით ნაწარმოები ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი ფორმაა შედარებით-აღმატებითი ხარისხისა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდართული ფორმა გვქონოდა და მიცემითში დასმისას ერთი **ს** დაკარგულიყო (**უმძლე-სა—უმძლეს-ხა**).

საანალიზო გამოთქმის პირველ ნაწილში სწორედ ეს ფორმა უნდა გვქონოდა: **უმძლესა** ან **უმძლესსა**. მეორე ნაწილი კი საყოველთაოდ ცნობილი კომპოზიტია **მძლეთამძლე** და, მაშასადამე, ერთი რთული ფუძის მქონე. ეს სიტყვები სინონიმებია: **უმძლე** ან **უმძლესი** და **მძლეთამძლე**.

---

[26] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება... გვ. 169.

[27] ლექსიკონი, დართული პოემის 1957 წ. გამოცემას.

ავთანდილი ასე მიმართავს მზეს: **„აჰა, მზეო, გეაჯები, შენ, უმძლესსა (var. უმძლესა), მძლეთამძლესა“**. ე. ი. აჰა, მზეო, გეევედრები, შენ, რომელიც უმძლესი (ე. ი. ყველაზე მძლე), მძლეთა-მძლე ხარო.

3. „მოგაურთლოგითა“

როსტევან მეფე სოგრატ ვაზირის ცნობილ ლაღობაზე ასე უპასუხებს:

„კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცოხი ზნენია.
ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, — ვარ საწუთროსა თმობითა, —
ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა;
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“ (62,63).

ბურთაობითა იკითხება ვახტანგ VI-ის ტექსტში. აქედან გადავიდა იგი ყველა შემდგომს გამოცემაში. უკანასკნელ, მ. წერეთელმა დაბეჭდა **მებურთობითა.**

ეს ბოლო წაკითხვა ხელნაწერებშიც მოიპოვება: ასე იკითხება FGHJ ხელნაწერებში; **ბურთაობითა** აგრეთვე გვხვდება ხელნაწერებში (ETUV); სხვა ხელნაწერებში კიდევ **ბურთობითა** არის (მარცვლის დაკლება და კავშირის დართვითაა კომპენსირებული: **და ანუ კვლა ბურთობითა**). ერთადერთ R ხელნაწერში იკითხება **მობურთლობითა.**

გამოცემათა ტრადიციული წაკითხვა **ბურთაობითა** და ამავე რიგის **ბურთობითა**, რომელიც რამდენიმე ხელნაწერში გვხვდება, არაა შესაფერი ამ ტაეპისათვის. **ბურთაობითა** საერთოდ არაა „ვეფხისტყაოსნისათვის“ დამახასიათებელი წარმოება. პოემაში **ბურთობა** გვაქვს და ზმნური ფორმებიც ამ რიგისაა. **ბურთაობა** და ამის შესაბამისი ზმნური ფორმები არ გვხვდება.

ბურთობა: ათ დღემდის ისმის ყოველგან ხმა წინწილისა, ებნისა,
მოედანს მღერა, **ბურთობა**, დგრიალი ცხენთა დგენისა (1122).

ბურთობ- და არა **ბურთაობ-**ფუძეა გამოყენებული ზმნურ ფორმებში.

ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა, ვხოცდი ლომსა (328).

აღარ **იბურთეს**, დაშლა ქმნეს თამაშობისა ორისა (437).
მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან,
მერმე **ვიბურთი** მოედანს, მინდორით შემოქცეულმან (333).

მაგრამ საანალიზო ტაეპს არც **ბურთაობა** შეეფერება და არც **ბურთობა. ბურთაობა** თუ **ბურთობა** ბურთის თამაშია, **ბურთაობით** არ შეიძლება ერთი კაცი მეორეს ჰგავდეს ან სჯობდეს, **ბურთაობაში** ან **ბურთობაში** შეიძლება სჯობდეს. ტაეპს შეეფერება სწორედ ის წაკითხვა, რომელიც ხელნაწერშია დაცული — **მობურთლობითა. მობურთლობა მობურთალ**-ფუძისაგან ნაწარმოები სახელია. თუ **მობურთალი** ბურთის მოთამაშეა, **მობურთალობა** „ბურთის მოთამაშეობაა“. **მობურთალ**- სიტყვა პოემაში სხვაგანაც გვხვდება.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრევე მელექსესა... (13).

მოიპოვება აგრეთვე ამგვარი ტიპის წარმოების სიტყვები სხვა მნიშვნელობითაც: **ნაბურთალი** (516, 823), **საბურთალი** (1366).

მაშასადამე, ტაეპის შინაარსი ასეთია: ან მგავდეს **მშვილდოსნად (მშვილდოსნობით), ან მობურთალობით.**

ამ წაკითხვის აღდგენისათვის მნიშვნელოვანია ერთი ჩანართი სტროფი (83). ეს ერთ-ერთი იმ ჩანართ სტროფთაგანია, რომელიც ძირითადი სტროფის გადალექსვას წარმოადგენს. ამიტომ მასში მეორდება ძირითადი სტროფის არამარტო შინაარსი, არამედ ლექსიკაც. ძირითად სტროფს ამ ჩანართი სტროფისათვის საანალიზო სტროფი წარმოადგენს. ეს სტროფი ასე იკითხება:

როსტან დაბერდა, გაუშვებს პურობა-დარბაზებართა,
მაგრამ მისებრი ვის ძალუც სწავლა სოფლისა ზნებართა,
მშვილდოსნად მსგავსი გმირისა, **მობურთლად** მომტაცებართა,
ცოტასა შეჰგავს მშვილდოსნად ლაღი ავთანდილ, მზე ბართა.

ცოტასა შემწევს ავთანდილ — ცოტასა შეჰგავს მშვილდოსნად ლაღი ავთანდილ; ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად ანუ კვლა მობურთლობითა — მშვილდოსნად მსგავსი გმირისა, მობურთლად მომტაცებართა.

რაც შეეხება **მებურთობითა**- ვარიანტს, რომელიც მ. წერეთლის გამოცემაში მიჩნეულია ავტორისეულ ფორმად, იგი **მებურთლობითა**- წაკითხვის გადამახინჯებული სახეობა ჩანს. **მებურთალი**

და აქედან ნაწარმოები **მებურთლობა მობურთალ**ისა და მისგან ნაწარმოები **მობურთლობის** პარალელური ფორმებია და, ამდენად, **მობურთლობითა**-ს ვარიანტად თავისუფლად შეიძლებოდა **მებურთლობითა** გვქონოდა, რომლისაგანაც ლ-ს დაკარგვით **მებურთობითა** მიგვეღო, **მებურთობა მებურთე**-ფორმისაგანაც შეიძლებოდა მიგვეღო; ეს უკანასკნელი წარმოების თვალსაზრისით კანონზომიერი ფორმაა, მაგრამ ამგვარი წარმოება **ბურთ**-ფუძისაგან ქართულში არ ჩანს.

უახლეს გაბოცემებში ასეთი სურათია: ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ სწორი **მობურთლობითა** დაბეჭდეს, პ. ინგოროყვამ — **ანუმცა კვლა ბურთობითა**, სხვებში ისევ **ბურთაობითა** იკითხება.

საანალიზო სტროფში შეიძლება აგრეთვე დაისვას საკითხი უკანასკნელი ტაეპის უკანასკნელი სიტყვისაც — **ნაზარდობითა**, აგრეთვე პირველი ტაეპის გამოთქმისა — **„ერთაი მიზის ასული“**.

ვახტანგ VI-ის ტექსტში და მისგან მომდინარე გამოცემებში (პ. ბროსესი, დ. ჩუბინაშვილისა, გ. ქართველიშვილისა, დ. კარიჭაშვილისა I) **განაზრდობითა** იკითხება, რასაც ორიოდე ხელნაწერიც უჭერს მხარს. იმავე R ხელნაწერში, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, **გაზრდილობითა** იკითხება, დანარჩენებშია **ნაზარდობითა**. ამ ყველაზე გავრცელებული წაკითხვის მართებულობაში ძველადვე დაეჭვებულან და J ხელნაწერს იგი **ნაწვართობა**-დ გადაუსწორებია.

პოემის ენისათვის **გაზრდილიც** ბუნებრივია, **განაზარდიც და ნაზარდიც**. მიუხედავად ამისა, ვახტანგის გამოცემის წაკითხვის შეცვლის საფუძველი, ვფიქრობთ, არ არსებობდა: ტაეპის შინაარსს სრულასპექტიანი ზმნისაგან მომდინარე ფორმა უფრო შეეფერება — **განაზრდობითა (გაზრდილობითა). ნაზარდობითა** იმავე რიგის წაკითხვა ჩანს, როგორისაც არის **ნაწვართობითა**: გამოსავლის ძებნის ცდაა. ამ ტაეპში მის გაჩენაში ალბათ ბრალი მიუძღვის ამავე სტროფის პირველ ტაეპს: „ერთაი მიზის ასული, **ნაზარდი** სათუთობითა“, რომელშიაც უსრულასპექტიანი **ნაზარდი** თავის ადგილასაა ჩასმული.

განაზარდი უცხო ფორმა არაა პოემისათვის: „მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა, უხარის ეგრე სიკეთე მისისა **განაზარდისა**“ (82); „მე მამისა თქვენისაგან ვარ ცოტაი **განაზარდი**“ (433). აქედან: **განაზრდობა**.

რაც შეეხება **მიზის**- ზმნას ამ სტროფის პირველ ტაეპში („ერთაი **მიზის** ასული") — იგი ასე იკითხებოდა პოემის ყველა გამოცემაში, მხოლოდ მ. წერეთელმა შეცვალა იგი უკანასკნელად **მივის** წაკითხვით, რომელიც, როგორც ჩანს, ხელნაწერთა ვარიანტებისაგან აიღო. მართლაც, თუმცა ხელნაწერთა უმრავლესობაში **ერთაი მიზის** იკითხება, მაგრამ ორი ხელნაწერი (JR) გვაწვდის წაკითხვას **მე ერთი მივის**. გასწორებისათვის მყარი საფუძველი არ ჩანს. **ერთაი მიზის ასული** დამახასიათებელი გამოთქმაა პოემის ენისათვის. საკმარისია სანიმუშოდ დავასახელოთ პოემის 565-ე სტროფი, რომელშიაც ყველა ხელნაწერში ერთნაირად იკითხება:

ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ-მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა-შვილი, **გიზის** ერთაი ქალია.

ზის, ჯდა, გიზის — სპეციალური ტერმინებია, სამეფო სახლის წარმომადგენელთა მიმართ გამოყენებული, და იხმარება სწორედ მაშინ, როცა სამეფო ტახტის მფლობელობასა თუ მემკვიდრეობაზეა ლაპარაკი.

ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი:
ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი...
მამაჩემი **ჯდა** მეშვიდე, მეფე მებრძოლთა მზარავი... (511, 512).

უვის- ზმნა აგრეთვე გვხდება პოემაში და ხშირადაც, მაგრამ მას თავისი ადგილი აქვს, ტერმინი არაა.

შენგან კიდე ხორციელი, დაო, **მივის** არასადა (275).
შენგან კიდე არვინ **მივის** ცეცხლთა ჩემთა დამავსებლად (804).
ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ **მივის** შენგან კიდე (811).
ყმა არ მოგეცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია (508).
მათ **უვის** ერთი ასული, მზე ხმელთა მანათობელი (1263).

4. „ვით წასრულიყო და რულად"

კვლა შევა დარბაზს ვაზირი დაღრეჯით, არ მხიარულად;
მეფემან ჰკითხა: „წასრულა მზე დაუდგრომლად, მთვარულად?"

მან მოახსენა ყოველი, ვით წასრულიყო ფარულად:
„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დაროობს დარულად!" (820).

ასე გაიგო როსტევან მეფემ ავთანდილის გაპარვის ამბავი.

იმისათვის, რომ ძირითადი საკითხი, რომელიც ამ სტროფის წაკითხვის დადგენისას უნდა გადაწყდეს, ჯეროვნად წარმოჩნდეს,

საჭიროა ნიადაგის ერთგვარად მოსუფთავება და ამ სტროფში შეძავალი ზოგიერთი სიტყვა-ფორმის ანალიზი.

სტროფი ყველა გამოცემაში თითქმის ერთგვარადაა დაბეჭდილი, თუმცა არის თითო-ოროლა სხვაობაც: **ყოველი**-ს ნაცვლად **ყველაი** იკითხებოდა ძველ გამოცემებში და **წასრულა**-სა და **წასრულიყო**-ს ნაცვლად **წასულა** და **წასულიყო** (უკანასკნელად, მ. წერეთელმა ეს ფორმები პოემისათვის შეუფერებელი **წარსულა** და **წარსულიყო**-თი შეცვალა). როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც ხელნაწერებში არსებული ვითარებაა ასახული: ყველა ეს ფორმა, გარდა უკანასკნელისა, ხელნაწერებში მოიპოვება.

მაგრამ ხელნაწერებში მოიპოვება სხვა წაკითხვასხვაობებიც.

ჯერ ერთი, მეორე ტაეპში ძველი **დაუდგრომლად** მხოლოდ Z-ში იკითხება, სხვაგან ყველგან **დაუდგომლად** არის, ისევე როგორც 1001-ე სტროფშიც. ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში აგრეთვე **დაუდგომლად** იკითხება (**დაუდგრომლად** არის მხოლოდ UD-ში).

ყველა გამოცემაში რომ **დაუდგრომლად** არის, ეს ვახტანგის გაძოცემისაგან მომდინარეობს და ანგარიში არ გასწევია არც ხელნაწერთა ჩვენებებს და არც იმ ფაქტს, რომ არც **დადგრომა** ფორმა ძოიპოვება „ვეფხისტყაოსანში“. ყველგან ახალი ფორმებია. ამის გაძო ორსავე სტროფში (820,1001) **დაუდგომლად** უნდა იკითხებოდეს[28].

მეორე. მესამე ტაეპში **ყოველი** იკითხება FIKOTUVZ ხელნაწერებში, დანარჩენებში **ყველაი** გვაქვს. წაკითხვა ტრადიციულია და უფრო სავარაუდოა ეს იყოს დედნისეული წაკითხვა.

მესამე. მეოთხე ტაეპში **ჩვენთანა** წაკითხვის ნაცვლად JKOT-ში **ჩვენზედა** იკითხება, რაც გაცილებით უკეთ ეგუება კონტექსტს, ვიდრე ტრადიციული **ჩვენთანა**.

ახლა მივადექით ძირითად საკითხს. მესამე ტაეპში იკითხება ფარულად. გამოცემების ტრადიციულ წაკითხვას მხარს უჭერს GHIKOQUZ ხელნაწერები. დანარჩენებში იკითხება: **ვით წასრულიყო და რულად**, ხოლო JT-ს გადაუკეთებია: **როგორ ჭნილიყო და რულად**.

სწორ წაკითხვად უნდა მივიჩნიოთ **ვით წასრულიყო და რულად**, რომელშიაც უკანასკნელი სიტყვა **რულად** არის ზედსართავი

---

28 უახლეს გამოცემებში ასეთი სურათია: პ. ინგოროყვამ ორივე სტროფში **დაუდგრომლად** დაბეჭდა, stu-ში პირველ შემთხვევაში **დაუდგრომლად** არის, მეორე შემთხვევაში— **დაუდგომლად**!

სახელი, ნაწარმოები **-ურ** სუფიქსით **რა** ნაცვალსახელის ფუძისაგან.

როგორც ცნობილია, რუსთაველის ენისათვის დამახასიათებელია თავისებური სიტყვაწარმოება; კერძოდ, **რა** ნაცვალსახელისაგან ნაწარმოები ორგვარი ზედსართავი გვხვდება პოემაში. ორსავე შემთხვევაში მაწარმოებელია **-ურ** სუფიქსი, რომელიც დისიმილაციის წესის თანახმად **-ულ-**ის სახითაა წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში **რა** ნაცვალსახელს ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მოეკვეცება, მეორე შემთხვევაში კი — არა. ასეა მიღებული ფორმები, ერთი მხრით, **რ-ულ-ი**, ხოლო, მეორე მხრით, **რა-ულ-ი**.

რულ-ი: აწ ესე მიკვირს, რა იყო ანუ რა ვნახე და **რული**!

მან დამისოცა ლაშქარი, სისხლი ადინა ღვარული (111).

ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს **რულნი** (461).

ველარ ვისმენ ხმასა შენსა, სასმენელად მე მას **რულსა** (823).

ზარი გახდა, შემოაკრფეს ქალაქისა ერნი სრულად,
იქით-აქათ იჯრებოდეს: „ვუპვრიტოთო ამას **რულად**?“ (1075).

შევე, ვნახე იგი ტურფა მტირალად და ცრემლდასხმულად,
ეჰკადრე: „მზეო, ბედმან შავმან ვით მიმუხთლა, ჰხედავ,
რულად“? (1174).

აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ, იშ, თაეი ვიხსენ მე **რულად**! (1206).

რაულ-ი: ვერა შევიგენ, რა იყო ანუ ნაქმარი **რაულად**!

ვისცა ვუჩვენი, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად (461).

განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას 111-ე და 1174-ე სტროფები, რომლებშიც რუსთაველისათვის დამახასიათებელი თანდათანობით გაძლიერებული განმეორებაა: „ანუ **რა** ვნახე და **რული**“ და „**ვით** მიმუხთლა, ჰხედავ **რულად**“. ეს უკანასკნელი გამოთქმა განმეორებულია საანალიზო ტაეპშიც: „**ვით წ**ასრულიყო და **რულად**“.

საანალიზო ტაეპის შინაარსი, მაშასადამე, მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: **როგორ წასულიყო და რანაირად**, ისევე როგორც 1174-ე ტაეპის — „ვკადრე: მზეო, ბედმან შავმან **ვით** მიმუხთლა, ჰხედავ, **რულად?**“ — ამას ნიშნავს: გავუბედე (ვუთხარი): „**მზეო, ხედავ, შავმა ბედმა როგორ მიმუხთლა და რანაირად?**“

ასეთი წაკითხვის საწინააღმდეგოდ ვერ გამოდგება ის ფაქტი, რომ ასეთი გასწორების შედეგად მესამე და მეოთხე ტაეპების რითმები მაჯამური ხასიათისა აღმოჩნდება, და მოსაზრება, რომ თით-

ქოს მაჯამური რითმები „ვეფხისტყაოსნისათვის“ არ იყო დამახასიათებელი და ამგვარირითმებიანი სტროფების ნაშდევილობა საეჭვო იყოს. ასეთი შეხედულება გავრცელებული შეხედულებაა რუსთველოლოგიაში, მაგრამ იგი არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი ვითარებისაგან. ასეთი რითმები ისეთ სტროფებშიც მოიპოვება, რომელთა ავთენტურობაში დაეჭვება უხერხულიცაა. ასეთია თუნდაც 772-ე სტროფი.

ინადირეს, შემოიქცეს მხიარულნი, მინდორს რულნი,
შეიტანხეს დიდებულნი, თავადნი და სპანი სრულნი;
დაჯდა, დახვდეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი,
ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს რულნი! —,

სადაც მაჯამური რითმების მიუხედავად არც ერთი ტავტოლოგიური რითმა არა გვაქვს: (...ს **რულნი**—რებულნი, ვინც იარა; **სრულნი** — ყოველნი, სრულიად ყველანი, სრულიადნი; **სრულნი** — სრაულ-ნი, სრისებრნი, სასახლისებრნი, როგორც სრას შეეფერება — ისეთნი; ...ს **რულნი** — რაულნი, რანაირნი, როგორნი).

ან სტროფი 136-ე:

რა გიამბო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა?
ვფიცავ, რომე იგი მზეა, არა ჰმართებს მზესა მზობა!
ვინ გაიცდის შუქთა მისთა, ვინმცა ვით ქმნა ნახაზობა!
მე თუ დამწვავს, აჰა, მზა ვარ, არღა უნდა ამას მზობა —,

სადაც მეორე ტაეპის **მზობა მზეობას** ნიშნავს, ხოლო მეოთხე ტაეპისა — **მზაობას**[29].

მაშასადამე, მეორე ტაეპი ამ სტროფისა მხოლოდ ასე უნდა იკითხებოდეს:

მან მოახსენა ყოველი, ვით წასრულიყო და **რულად**.

ასე იკითხება ახლა უახლეს (stu) გამოცემებში. პ. ინგოროყვაც ისევ **ფარულად** დაბეჭდა.

5. „ხე ალვა ედემს ხებული“

როდესაც ნესტანდარეჯანი წამოიზარდაო, — მოუთხრობს ტარიელი ავთანდილს —, „მეფემან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა“, „სრა ედგა, მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა: ვერვინ ვხედევდით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა; ასმათ და ორნი მო-

29 შდრ. აგრეთვე 1193-ე სტროფის ანალიზი (აქვე, გვ. 276—279).

ნანი ჰყვიან, იმღერდის ნარდითა; მუნ იზრდებოდის ტანითა, გაბაონს განაზარდითა“.

მაგრამ, როდესაც გამარჯვებული ტარიელი ხატაეთიდან დაბრუნდა და ინდოეთში ამის გამო საყოველთაო ზეიმი შეიქმნა, ფარსადანმა გადაწყვიტა, თავისი ასული და ტახტის მემკვიდრე სასახლეში მოეყვანა და დიდებულთათვის წარედგინა. ფარსადანი „იდუმალ ცოლსა ეუბნა“:

„აწ მითქვამს საქმე უშენოდ, შენცა ცან ესე მცნებული:
რათგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე სახელდებული,
ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა დღე, ედემს ხლებული,
გვერდსა დაისვი, ორნივე სრას დამხვდით, მოვალ შვებული“
(476).

ამ სტროფში ყურადღებას იქცევს მესამე ტაეპი — „ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა დღე ედემს ხლებული“. ამ სახით ტაეპი სრულიად გაუგებარია. აბა, რას შეიძლება ნიშნავდეს „ედემს ხლებული დღე“?“ მიუხედავად ამისა, ეს ტაეპი ყველა გამოცემაში ამ სახით იბეჭდებოდა 1957 წ. გამოცემის ჩათვლით. მხოლოდ კ. ჭიჭინაძემ დაარღვია ეს ტრადიცია და ტაეპი ამ სახით დაბეჭდა: „ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა ხე ედემს ხებული“. მან ეს გასწორება ასე დაასაბუთა: „სრულიად უაზროა აქ „აჰა დღე, ედემს ხლებული! მთელი ეს სტრიქონი, ალბათ, ასე ჰქონდა, ავტორს: „ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა ხე, ედემს ხებული!“ ამ სიტყვით მეფე თავის ასულს ადარებს ედემის ხეს. ამგვარადვე ედემის ხესთან არის შედარებული ნესტანი ქვემოთ 565 ტაეპში: „არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე-ალვა, ედემს ხებული“[30].

1956 წელს პოემის ამ ადგილს ყურადღება მიაქცია ა. შანიძემ. მან გაუგებრად და უადგილოდ მიიჩნია საანალიზო ტაეპში სარითმო სიტყვა ხლებული და საჭიროდ მიიჩნია მიგნებული ყოფილიყო ის სიტყვა, რომლის ადგილას აქ ხლებული გაჩნდა. მკვლევარის აზრით, „ამისათვის საჭიროა, გავიხსენოთ, რომ შოთა ზოგჯერ არ ერიდება აწარმოოს სახელისაგან ზმნა და ამის შემდეგ — ხელოვნური ფორმა ვნებითი გვარის მიმღეობისა, რომელსაც იმავე სახელს ამოუყენებს ხოლმე განსაზღვრებად“. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია სათანადო ადგილები პოემიდან: „არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა ედემს ხებული“ (522); „რად არა იცი, უწამლო არს ლები ესე ლებული (303) — და დაასკვნის: „ამიტომ

[30] ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გვ. 285.

გვგონია, რომ მოყვანილ შემთხვევაშიც მსგავსად ნაწარმოები ფორმა უნდა გექონდეს: ვინცა-ღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა დღე ედემს დღებული"[31].

ა. შანიძის ამ ნაშრომში არ ჩანს, თუ როგორია ავტორის დამოკიდებულება კ. ჭიჭინაძის ზემომოყვანილ კონიექტურასთან. მსჯელობის მიმდინარეობა, ამასთან, 522-ე სტროფის მეორე ტაეპის მაგალითად მოყვანა თითქოს იმაზე მიუთითებდა, რომ მკვლევარი ცხარს დაუჭერდა კ. ჭიჭინაძის კონიექტურას ან ამ კონიექტურის შესახებ იმსჯელებდა მაინც, მაგრამ ასე არ მოხდა და წამოყენებულ იქნა ახალი კონიექტურა — **აჰა დღე, ედემს დღებული,** — რომელიც სამწუხაროდ, დასაბუთებული არაა.

ამ კონიექტურას არსებითი ხასიათის იგივე ნაკლი აქვს, რაც ტრადიციულ წაკითხვას: იგი ისევე გაუგებარია, როგორც ტრადიციული წაკითხვა. მართლაც, რას შეიძლება ნიშნავდეს გამოთქმა **აჰა დღე ედემს დღებული? დღებული** გაჩნდა მხოლოდ იმის გამო, რომ ეპვი არ შეუტანიათ დღე-წაკითხვის მართებულობაში.

როგორიც უნდა იყოს დასაბუთება კ. ჭიჭინაძის კონიექტურისა, ეს კონიექტურა სავსებით სწორია, შეეფერება საქმის ვითარებას. კ. ჭიჭინაძეს პოემის ხელნაწერები არ შეუსწავლია, მან მხოლოდ ინტუიციით მიაგნო ამ კონიექტურას. ამდენად, მისი არსებითად დასაბუთება არც შეეძლო მოეცა. ამჯერად ასეთი დასაბუთება შესაძლებელია საკმაო საფუძვლიანობით, მით უმეტეს, რომ მას მხარს უჭერს რამდენიმე ხელნაწერის ჩვენებაც.

ბევრ ხელნაწერში ტრადიციული წაკითხვა გვაქვს, მაგრამ ზოგში ეს ადგილი ასე იკითხება: **„აჰა დღე, ედემს ხებული!"** ეს კი საშუალებას იძლევა გაიმართოს ფრაზის ერთი ნაწილი, იძლევა აგრეთვე საფუძველს, ეპვი შევიტანოთ იმაში, თავის ადგილას არის თუ არა ამ ფრაზაში სიტყვა დღე. მეორე მხრივ, თარხან-მოურავისეულ ხელნაწერში (Z) ასეთი წაკითხვა მოიპოვება: **„აჰა ხე ედემს ხლებული"**. ამ შემთხვევაში დღე- სიტყვის ნაცვლად **ხე** გვაქვს და შესაძლებლობა გვეძლევა, წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაწყებულიყო ტაეპის დამახინჯება. ამ ორი სხვადასხვა წაკითხვის შეერთება აღგვადგენინებს მართებულ წაკითხვას: **აჰა ხე ედემს ხებული.**

---

31 ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები. II. პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის, „მნათობი", № 7, 1956; „ვეფხისტყაოსნის- სიმფონია, გვ. 026.

ცვალება ასე უნდა დაწყებულიყო: ჯერ იყო **აჭა ცე ედემს ხე-ბული**. ერთ შემთხვევაში გაუგებარი **ხებული** შეიცვალა უფრო გასაგები **ხლებულით** (ეს საფეხური ცვალებისა შემოუნახავს თარხანმოურავისეულ ხელნაწერს); მეორე შემთხვევაში ამავე მიზეზის გამო **ხე** შეიცვალა დღე-თი. სხვა შემთხვევაში ამ ორი ჯგუფის წაკითხვათა გაერთიანების შედეგად მივიღეთ **აჭა დღე ედემს ხლებული**. ყოველგვარი და ყველა ცვალების წყარო მაინც ისაა, რომ არ იყო გასაგები ავტორის სიტყვათშემოქმედების ნაყოფი **ხებული**.

ხებულის ხლებულად შეცვლა გვხვდება 522-ე სტროფშიც: ამ სტროფის ცნობილ ტაეპში

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული,

არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული —

ხებული დაუმახინჯებლადაა წარმოდგენილი ხელნაწერთა უმრავლესობაში, მაგრამ ოთხ ხელნაწერში (EFIZ) იგი საანალიზო სტროფის **ხებულის** მსგავსად **ხლებულად** ქცეულა. პროცესი ერთგვარია.

ხე ედემს ხებული ნიშნავს ედემს დანერგილ, ედემს აღმოცენებულ, ედემში გაზრდილ ხეს, ედემის ხეს, ალვას.

„ვეფხისტყაოსანში“ **ხე**-სიტყვის, კერძოდ **ხე-ალვის**, გამოყენება ტანის მეტაფორად ან ტანთან შედარებისათვის ჩვეულებრივია, ამის ერთი მაგალითი ზემოთ განხილულ 522-ე სტროფში გვაქვს. სხვა მაგალითებია:

„ვით მიამბე წასვლა მისი, ვინ **ალვისა მორჩი ხე წნა**“ (760).
ავთანდილის შემხედველთა: „**ჰგავსო ალვას, ედემის ხეს**“ (77).
ჭმარი არ მინდა უშენო, მოჰხვდეს **ხისაცა რგულისა** (153).
ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, **ხეო, ედემს დანერგულო!** (309).

ასევე ჩვეულებრივია პოემაში **ხე**- ფუძისაგან ნაწარმოები ზმხები და ამ ზმნათაგან ნაწარმოები მიმღეობები. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი.

გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთნი ხენი ვით **ჰხენ**“ (596).

ეს ნიშნავს შემდეგს: შენ ასეთი ხე (ხეები) როგორ აღმოაცენე, როგორ დანერგე, ხედ როგორ გაზარდე?!

ვინ უწინ ედემს ნაზარდი ალვა [illegible]რგო, მომრწყო, **მასია** (715).
ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს რგოს. მორწყოს, **ახიოს** (711).
კვლაცა მიითხრა: „ვისცა ღმერთი სა[illegible]ოს მორჩისა ტანად
უხებს...“ (633).

პირი მისი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი **იხოს**... (667)
ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი **მეხოს** (532).

„ვეფხისტყაოსნიდან“ ასეთი ფორმები გვიან „შაჰნამეშიც“ გადავიდა: „ოქროსა სელი დაუდგეს, ზედ დაჯდა ედემს **ხებული**“ (510); „კელმწიფეს დიდად მოსწონდა ტანსარო, ედემს **ხებული** (141). მოიპოვება „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით ნახმარი ასეთი ფორმები აღორძინების ხანის სხვა ძეგლებშიც.

ცხადია, საანალიზო ტაეპიც ამავე რიგისაა.

ამრიგად, ეს ტაეპი ისე უნდა იკითხებოდეს, როგორც თავდაპირველად კ. ჭიჭინაძის გამოცემაში იყო წარმოდგენილი. როგორც ვნახეთ, ამჟამად ეს წაკითხვა რამდენიმე ხელნაწერის ჩვენებითაცაა დადასტურებული[32].

6. „სამუხთალი“

სჯობს, დადეგით დაბალულნი თქვენ ადგილსა იდუმალსა;
ისი კაცნი არ იჭირვენ მზისავრსა, ქალაქს შემავალსა,
სავაჭროდა მოვეკაზმვი, საქმესა ვიქმ მე მუხთალსა,
ერთსა ჯორსა გარდავჰკიდებ მუზარადსა, ჯაჭვსა, ხრმალსა
(1399).

პოემის ყველა გამოცემაში მესამე ტაეპში **მე მუხთალსა** იკითხება. ეგევე წაკითხვაა ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში. მაინც ეს წაკითხვა არ არის მართებული. მართებული წაკითხვა დაუცავს JTZ ხელნაწერებს: **სამუხთალსა**.

სა-მუხთალ-ი ოდენ სა-პრეფიქსით ნაწარმოები ფუძეა. ამოსავალი ფუძეა **მუხთალ**. ამგვარი წარმოების პარალელური წარმოება სა-პრეფიქსიანი და **-არ** სუფიქსიანია. ამ უკანასკნელი წარმოების შემთხვევები „ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ ხშირია.

სა-ბოძვ-არ-ი: დია გასცა **საბოძვარი**, ყველა დარბაზს შემოხადა (119).

სა-ბურთ-ალ-ი: ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა **საბურთალისა** (1366).

სა-გუბ-არ-ი: თვალთათ, ვითა **საგუბარი**, ცხელი ცრემლი გარდმოჩქეფდა (405).

---

32 უახლესმა გამოცემებმა (ვაჟა-ფშაველა) წაკითხვა **ხე ედემს ხებული**, პ. ინგოროყვამ 1970 წ. ისევ **ხე ედემს ხლებული** დაბეჭდა.

სა-კვეხ-არ-ი: პირისპირ ომი არ ძალგვიც, არ ჟამი **საკვეხარია** (1393).

სა-მძიმ-არ-ი: მათსა დიდსა სიხარულსა **სამძიმარი** ანაცვალეს (173).

სა-ტურფ-ალ-ი: თქვენ გიჭვრეტდეთ საჭვრეტელსა შეენიერსა, **სატურფალსა** (562).

მეორე პარალელური წარმოება **სა-** პრეფიქსიანი და **ე** სუფიქსიანია ან **სა-** პრეფიქსიანი და **არ-ე** სუფიქსიანი. ასეთი წარმოების ორიოდე მაგალითიც გვხვდება პოემაში თუ მის დანართ-ჩანართებში.

სა-კამათ-ე: ამად შევმართენ საქმენი ჩემნი **საკამათენია** (1610).

სა-წყინ-არ-ე: ტარიელისკენ იარნა მან გზანი **საწყინარენი** (1330).

ამათ გვერდით ოდენ **სა-** პრეფიქსიანი წარმოების მაგალითებიც გვხვდება.

სა-კამათ-ი: ამად შევიქმ სიხარულსა მართ გულისა **საკამათსა** (1632).

სა-მუდარ-ი: თმობა ვსთხოვე შემოქმედსა, ვჰკადრე სიტყვა **სამუდარი** (353).

ამრიგად, ჩვეულებრივ **სა-** პრეფიქსიანი და **-არ** სუფიქსიანი წარმოების გვერდით დადასტურებულია **სა- — -ე (სა- — -არ-ე)** აფიქსებიანი წარმოება, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, ოდენ **სა-** პრეფიქსიანი ფორმები: **სა-წყინ-არ-ი** და **სა-წყინ-არ-ე, სა-კამათ-ი** და **სა-კამათ-ე,** ოდენპრეფიქსიანები — **სა-კამათ-ი, სა-მუდარ-ი**[33].

მუხთალ-ფუძისაგანაც გვხვდება პოემაში ამგვარი წარმოების ფორმები, კერძოდ, **სა-** პრეფიქსიანი და **-ე** სუფიქსიანი **სა-მუხთალ-ე:**

რამაზს ვარქვი: „შემიგია საქმე შენი **სამუხთალე**“ (456).

გამზრდელსა ჩემსა ვით ვჰკადრო მე საქმე **სამუხთალია** (1485).

ამ უკანასკნელ ტაეპში ფორმა **სამუხთალია** ა. შანიძეს **სამუხთალე-ა** ფორმისაგან მიღებულად მიაჩნია **(ია—ეა)**[34]. ასეთი ფონეტიკური ცვლილება სავსებით ბუნებრივია თანამედროვე ქართული ენის ზოგი კილოსათვის (მაგ., ფშაურისათვის) და აქედან შეიძლება პოეზიის ენაშიც მოხვდეს (გვხვდება ვაჟა-ფშაველას ლექსებსა და

---

[33] ასეთივე წარმოებისაა **სა-მუჭარ-ი:** შაჰ მანუჩარს მიუწერა სიტყვა მკუახე, **სამუჭარი** (შაჰნ. 807).

[34] ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია, გვ. 283.

პოემებში), მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის არაა დამახასიათებელი. ამის გამო, სინამდვილესთან ახლოს ვიქნებით, თუ ამოსავლად უკანასკნელ მაგალითში **სამუხთალ**-ფუძეს ვივარაუდებდით.

ეგეც **სამუხთალი** დაუცავს JTZ ხელნაწერებს, ხოლო ყველა დანარჩენ ხელნაწერში იგი გადაკეთებულადაა წარმოდგენილი, რადგანაც ჩვეულებრივ ფორმად ვერ მიუჩნევიათ. ყოველი ასეთი გადაკეთებისას ლექსის ზომისა და რითმის დასაცავად, როგორც სხვაგანაც არაერთხელ აღგვინიშნავს, ფართოდ იყენებენ ნაცვალსახელებს, ზმნისართებს, ნაწილაკებს და საერთოდ ისეთ მეტყველების ნაწილებს, რომელთაც კონკრეტული საგნობრივი მნიშვნელობა არა აქვთ. ამით აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში ხელნაწერებში **მე მუხთალსა** იკითხება.

მაგრამ **მუხთალ**- ფუძეც საკმაოდ ხშირად გვხვდება პოემაში. რატომაა შეუძლებელი, რომ ეს სიტყვა ყოფილიყო თავდაპირველადვე ამ სტროფში? ის ფაქტი, რომ **საქმესა ვიქმ სამუხთალსა** რუსთაველისათვის დამახასიათებელ ალიტერაციას გვაძლევს (**სა — სა**), გადამწყვეტი არაა, მაგრამ მაინც უსათუოდ საყურადღებო არგუმენტია ამგვარი გასწორების სასარგებლოდ. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ **მუხთალი**, რაც **მზაკვარს, მოღალატეს**, ნიშნავს[35], ჩვეულებრივ, ადამიანს მიემართება ან ადამიანთან გათანაბრებულ რასმე. ამიტომაა, რომ პოემაში **მუხთალი** შემდეგ კონტექსტებში გვხვდება:

მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა,
გამწირავი და **მუხთალი**, შენ გამტეხელი ფიცისა“ (523).
კვლაცა მითხრა: „რას გეუბნა მტყუანსა და შენ **მუხთალსა**?“
(524).

აქ **მუხთალი** ტარიელის მიმართაა ხმარებული.

ცრუ და **მუხთალი** სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია (339).
ვჰგმობ **მუხთალსა** საწუთროსა ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა
(948).

ამ შემთხვევაში **მუხთალი** სოფლისა და საწუთროს მსაზღვრელია.

მაგრამ, როცა **საქმე**-სიტყვის განსაზღვრაა საჭირო, მაშინ **მუხთალ** ფუძისაგან ნაწარმოები ახალი ზედსართავია გამოყენებული. ასე იყო ზემოთ მოყვანილ მაგალითებში („რამაზს ვარქვი: შემიგია საქმე შენი **სამუხთალე**“ და „**გამზრდელსა ჩემსა ვით ვჰკად-**

[35] ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსანის ლექსიკონი, დართული 1957 წლის გამოცემას.

რო მე საქმე სამუხთალიაᲐ?“) ე. ი. **მუხთალი საქმე** კი არა, არამედ **სამუხთალი საქმე**, ე. ი. **მუხთლური საქმე**; იხ. იქვე. როგორც **მოღალატე კაცი**, მაგრამ **მოღალატური საქციელი**.

ასევეა საანალიზო ტაეპშიც: **საქმესა ვიქმ მე მუხთალსა** შეუძლებელია, **საქმესა ვიქმ სამუხთალსა** — ბუნებრივი და ჩვეულებრივი.

7. „გააყიფნა“

ეს სიტყვა მოიპოვება 207-ე სტროფში:

ბროლმან, ლალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიფნა,
იგი ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად გაამყიფნა:
არ აგვიხვნა, არცა დაგვხსნა, ყოლა არად ამოგვკრიფნა,
მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა.

ამ სტროფში საეჭვოა და სპეციალურ განხილვას მოითხოვს **გაამყიფნა-წაკითხვა**.

ტარიელის საძებნელად წასულ ავთანდილს შესვდება სამი ძმა, რომელთაც შეტაკება მოუხდათ ტარიელთან. უფროსი ძმა დაწვრილებით უყვება ავთანდილს შებრძოლების ამბავს. რაც ამ სტროფშია მოთხრობილი, ყველაფერი უცხო მოყმეს (ტარიელს) ეხება.

ვარდნი თხელნი მეტაფორაა ბაგეებისა. **თხელი ვარდი** ბაგეებთან დაკავშირებით პოემაში სხვა ადგილასაცაა გამოყენებული: „გარდაუკოცნა პირი და **ბაგეთა ვარდი თხელები**“ (1629). ამ ტაეპში ლაპარაკი ნესტანდარეჯანზეა. **ბროლი ლალსა გარეული** სხვადასხვა შემთხვევაში პირისახის სხვადასხვა ნაწილის მეტაფორა შეიძლება იყოს, მაგრამ ხშირად მთლიანად პიროვნების — ქალის ან ვაჟის — მეტაფორადაა გამოყენებული. ამ შემთხვევაში **ბროლი ლალსა გარეული** ტარიელია. ასევეა სხვა შემთხვევებშიც: **„ბროლი და ლალი** გასრულვარ ქარვისა უყვითლესადრე“ — ამბობს ავთანდილი საკუთარ თავზე (139); **„ბროლი და** ლალი შევიქენ მე ულურჯესი ლილისა“ — ამას უკვე ტარიელი ამბობს თავის შესახებ (399); **„ბროლი და ლალი** გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა“ — ეს სიტყვები უკვე ავთანდილს გაეკუთვნება... გამოთქმა **ბროლ-ბადახში** ქალისა თუ ვაჟის მეტაფორად ხომ ჩვეულებრივ გვხვდება.

ამრიგად, პირველ ტაეპში ნათქვამია: ბროლმან ლალსა გარეულჰან (ე. ი. ტარიელმა) ვარდნი თხელნი (ბაგეები) ანატიფა, ნატიფი გახადაო.

მეორე ტაეპში რეალური სუბიექტი იგივეა, ტარიელია: (ბროლმან ლალსა გარეულმან) იგი ტკბილხი გონებანი ჩვენთვის მეტად **გაამყიფნა**. აი, ეს **გაამყიფნა** წარმოადგენს საცილობელ ფორმას.

ვახტანგ VI-ის გამოცემაში **გაამყიფნა** არის დაბეჭდილი და ეს წაკითხვა გადმოდიოდა შემდგომს გამოცემებში. ტრადიცია დაარღვია იუსტ. აბულაძემ, რომელმაც **გააყიფნა** დაბეჭდა. ბოლო ხანებში მ. წერეთელმა პრეველობის ძველი სახეობა ირჩია (**განამყიფნა**) მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ძველ ხელნაწერში ასეთი ფორმა დადასტურებული არაა, და აგრეთვე შეცვალა წაკითხვა **ჩვენთვის** წაკითხვით **ჩვენი**. ამის მიხედვით გამოვიდა, რომ იგი ტკბილნი გონებანი ტარიელს კი არ ეხება, არამედ სამთ ძმათ. ქვემოთ ვნახეთ, თუ რა შედეგი მოსდევს ასეთ გაგებას.

ვახტანგის გამოცემის წაკითხვა ხელნაწერთაგან მომდინარეობს. ასეთი წაკითხვა მოიპოვება FHIKTUVZ ხელნაწერებში, O-ში **გამყიფნა** არის, რაც აგრეთვე **გაამყიფნასაგანაა** მიღებული.

ამ წაკითხვას უპირისპირდება წაკითხვა **გააყიფნა**, რომელიც არის ABCEGILMY ხელნაწერებში, ამათვე ეკედლება R ხელნაწერი, რომელშიც **განაყიფნა** იკითხება. ამ ტიპის ხელნაწერი წარმოადგენდა საფუძველს იუსტ. აბულაძისათვის, როცა ტრადიციული წაკითხვა შეცვალა.

ამრიგად, გვაქვს ორი ვარიანტი: **გაამყიფნა** და **გააყიფნა**. **გაამყიფნასათვის** ამოსავალია **მყიფე**- ფუძე, **გააყიფნასათვის** ამოსავალი **ყიფ**- ფუძე ჩანს. ორივე ფუძე რეალურად არსებობს ქართულში.

სულხან-საბა ორბელიანს ორივე სიტყვა აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში. „**მყიფე** ადვილგასატეხელი მხლის ძირი, ბოლოკი და მისთანანი-ო — განმარტავს ლექსიკოგრაფი. **ყიფი** მას განმარტებული აქვს, როგორც **ამაყი**, ხოლო **ამაყს** ა'ს განმარტავს: „ქართული არ არის, **ყიფი ჰქვიან**"-ო[36].

ვახტანგ VI საანალიზო სტროფის თარგმანში წერს: „**მყიფე** — ადვილად რომ გატყდებოდეს და ფოლადსავით გარდავარდეს, იმას ჰქვან"-ო[37]. კომენტატორი **გაამყიფნა**-ს განმარტავდა და **მყიფესა**-

---

36 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, 1928.

37 ვეფხის ტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფილისი, 1937, გვ. ტიმ.

გან წარმოებულად მიუჩნევია იგი. უნდა ვივარაუდოთ, რომ გაამ-ყიფნა მისთვის არის მყიფე გახადა.

თეიმურაზ ბაგრატიონისათვის საანალიზო ტაეპის განმარტებისას ამოსავალია აგრეთვე გაამყიფნა-ფორმა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის ყიფი და მყიფი ერთი და იგივე სიტყვაა და ამპარტავანს ნიშნავს. სულხან-საბას მყიფე აქ მას არც აგონდება. თეიმურაზი წერს: „ყიფი ანუ მყიფი — საკუთარი ქართული არის, ამპარტავანსა ეწოდების. გაამყიფნა — მეტად ითაკილა... ყიფი ქართული არს — ამპარტავანი“[38].

დ. კარიჭაშვილსაც გაამყიფნა აქვს დაბეჭდილი და ლექსიკონშიც გამყიფება შეიტანა და მყიფი-საგან ნაწარმოებად მიიჩნია: „მყიფად გახდენა“-ო; მაგრამ მყიფი მისთვის ამპარტავანია, უკადრისი[39].

დ. ჩუბინაშვილი მყიფეს ასე განმარტავს: „нѣжный, ломкій, хрупкій, дряблый. მყიფება — გავამჩატებ, делать дряблым, ვჰმყიფდები — გავჰმჩატდები, делаться дряблым“. მასვე აქვს განმარტებული მყიფი მთა: „უვალი მთა крутая гора, отвесная“, გამყიფება — „მყიფად შევიქმ, დავშლი, დავარღვევ; გავამჩატებ, დავფშხვნი, делать дряблым“; ყიფი — „амбицiозный, гордый“.

მყიფი მთა აქ ალბათ მყაფარ მთაშია აღრეული და არც მყიფე და არც ყიფ-ფუძესთან მოსატანი არაა. ყურადღებას ის ფაქტი იპყრობს, რომ როგორც მყიფე- და გამყიფება-სტატიებში, ისე ყიფი-სტატიაშიც „ვეფხისტყაოსნის“ ერთი და იგივე, სწორედ ჩვენი საანალიზო სტროფია დამოწმებული.

იუსტ აბულაძემ, როგორც აღვნიშნეთ, გააყიფნა დაბეჭდა, 1926 წ. გამოცემის ლექსიკონში მან გაყიფება შეიტანა და ასე განმარტა: „გაამაყება, გაამპარტავნება, გათავხედება, გამკვახება, გაკადნიერება, გასასტიკება“[40].

მაგრამ, როცა 1937 წ. საიუბილეო გამოცემის კომისიამ გაამყიფნა-წაკითხვა მიიღო, ამ გამოცემისათვის შედგენილ ლექსიკონში იუსტ. აბულაძემ უკვე გამყიფება შეიტანა, განმარტება კი ძველი დატოვა (გაამაყება, გაამპარტავნება, გამკვახება, გათავხედება).

---

38 თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, 1960, გვ. 34.

39 დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ლექსიკონი, დართული „ვეფხისტყაოსნის“ 1920 წ. გამოცემას.

40 ამის შესახებ იხ. აქვე ზემოთ.

ს. კაკაბაძე 1926 წ. გამოცემას დართულ ლექსიკონში **გამყიფებას** ასე განმარტავს: „გაჯავრება"-ო. კ. ჭიჭინაძე იუსტ. აბულაძის განმარტებას იმეორებს: „გაამპარტავნება, გაუკადრისება"-ო.

აკ. შანიძე ვახტანგ VI-ის პოზიციაზე დგას ამ საკითხში. იგი **გაამყიფნა**-წაკითხვას უპირს მხარს და ეს ზმნა **მყიფე** სახელის ფუძისაგან ნაწარმოებად მიაჩნია. „ვეფხისტყაოსნის 1957 წ. გამოცემას დართულ ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად მას შეტანილი აქვს **გამყიფება** და **მყიფე**-ზე უთითებს, **მყიფე**-სტატიაში კი შემდეგს ვკითხულობთ: „მყიფე — ადვილად გასატეხი; **გამყიფება: იგი ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად გაამყიფნა** ის ტკბილი ფიქრი ძალიან მოგვიშალა".

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მ. წერეთლის მიერ შემოტანილი კონიექტურის შედეგად გამოთქმა **იგი ტკბილნი გონებანი** ტარიელის შესახებ ნათქვამი კი აღარ აღმოჩნდა, არამედ სამი ძმის შესახებ ნათქვამი გამოვიდა. ამავე შედეგს ვიღებთ ა. შანიძის განმარტების მიხედვით. თუ **გაამყიფნა**-ს **მყიფე**-საგან ნაწარმოებად მივიჩნევდით, ხოლო **მყიფე** ნიშნავს **ადვილად გასატეხს**, მაშინ ტაეპის შინაარსი ასე უნდა გადმოგვეცა: ის ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად მყიფე (ადვილად გასატეხი) გახადა. ვისი ტკბილნი გონებანი? ალბათ ჩვენი (ე. ი. სამთა ძმათა: ამბავს მოუთხრობს უფროსი ძმა), რადგანაც წარმოდგენილია გადატანითი ხასიათის ასეთი განმარტება: ის ტკბილი ფიქრი ძალიან მოგვიშალა. ამის მიხედვით, ცხადია. ტკბილი ფიქრი სამი ძმისაა, ხოლო სამი ძმის ტკბილი ფიქრი იმაში მდგომარეობს, რომ შუათანა ძმას ტარიელის ტაიჭი მოეწონა („ჩემმან შედეგმან ტაიჭი მისი მით აქო ხსენებით"), უმცროსმა კი „მართ ოდენ მორევნა" ითხოვა და უფროსმა ძმებმაც დაუთმეს, „უალნეს ნებით"[41]. მაგრამ რაღას აკეთებს მაშინ სიტყვა **ჩვენთვის**?[42]

მყიფე- ფუძისაგან ნაწარმოები **გაამყიფნა** მნიშვნელობის მხრივ არ შეეფერება კონტექსტს; როგორც დავინახეთ, არც ამისგან გამომდინარე ცვლილებებია შინაარსის შესაბამისი.

მყიფე და მისგან ნაწარმოები **გაამყიფნა** აქ არაფერ შუაშია. ერთადერთი მართებული წაკითხვა შეიძლება იყოს **გააყიფნა**, რომელიც ხელნაწერთა ერთ ჯგუფშია დაცული. იგი ნასახელარი

---

41 ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 316.

42 ამ სიტყვის უადგილობას ყურადღება მიაქცია მ. წერეთელმა და ამიტომაც **ჩვენთვის**-წაკითხვა **ჩვენი**-წაკითხვით შეცვალა.

ზმნაა, **ყიფ-** სახელური ფუძისაგან ნაწარმოები. **გააყიფნა** ნიშნავს: ყიფი, ამაყი გახადა (მრავალი: იგი ტკბილნი გონებანი), გააამაყა, ეს შინაარსი კარგად ეგუება მთელ კონტექსტს[43].

მთელი სტროფი ერთ წინადადებას წარმოადგენს. ამ წინადადებაში რეალური სუბიექტია **ბროლმან** (ლალსა გარეულმან), რომელსაც ახლავს რამდენიმე ზმნა მათთან დაკავშირებული სიტყვებით: 1. ვარდნი თხელნი ანატიფნა; 2. იგი ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად გააყიფნა; 3. არ აგვიხვნა; 4. არცა დაგვსხნა; 5. ყოლა არად ამოგვკრიფნა; 6. მისი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა.

მესამე ტაეპის პირველი ნახევარი — **არ აგვიხვნა, არცა დაგვსხნა** — ა. შანიძეს ასე აქვს განმარტებული: „არ აგვიღო, არც დაგვსვა (=„არც აცივა, არც აცხელა“)[44]. გამოთქმას — **არც აცივა, არც აცხელა** სხვაგვარი მნიშვნელობა აქვს: უცბად, სწრაფად ერთბაშად, დაუფიქრებლად თქვა, ქნა (რამე) — და ამასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს გამოთქმას — **არ აგვისვნა, არცა დაგვსხნა** (=არც აგვიყუანა ჩვენ, არც დაგვსხა ჩვენ). ამ გამოთქმის მნიშვნელობა სინოხიმური ჩანს ამავე ტაეპის მეორე ნახევრის მნიშვნელობისა: **ყოლა არად ამოგვკრიფნა** (=არაფრად ჩაგვთვალა, სრულიად არაფრად ჩაგვაგდო, არაფრად მიგვიჩნია)[45]. აგებულებით ეს გამოთქმა იმავე რიგისაა, როგორისაცაა, ვთქვათ, საყოველთაოდ ცხობილი „არც მომკლა, არც დამარჩინა“.

რაც შეეხება მეოთხე ტაეპში გამოთქმას **მათრახითა შეგვამწიფნა,** — **წიფ-**ფუძის მნიშვნელობა, როგორც ცნობილია, **მიწვდომაა**[46] და ეს სიტყვა აქაც ამ შინაარსობით ჩანს ნახმარი — **მათრახით მოგვწვდა** (მის მკვახედ მოუბართ), ე. ი. მათრახი გადმოგვკრაო.

დამახასიათებელია, რომ შემდგომ ყველაფერი ეს ამავე სიტყვებით მოთხრობილია მომდევნო 208-ე და 209-ე სტროფებში. თუ

---

[43] შდრ. დ. გურამიშვილის: „მეფე წიკნის კითხვას მოყვა, ბერებს აღარ უგდო ყური, წაიკითხა, რაღაც ნახა სიტყვა ყიფურ-ამაყური“: დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955, გვ. 68. შდრ. ავრთვე იქვე ლექსიკონში — **ყიფური.**

[44] „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წ. გამოცემაში ცალთული ლექსიკონი ახმა-სტატია.

[45] იქვე, **ამოკრეფა**-სტატია.

[46] შდრ.: „მეცა მაქვს იმედი, ოტარაანი შინა ჩემსა საწადელსა მივეწიფო და წადილის მკლავი ჩემსა სასურველსა კისერთა მოვხვიო“ („ჩილილა და დამანა“, გვ. 25); „მე თუმცა არ მივსწიფოდი, მის მაღლით ბუდით ჩამოჭრილი კლდეთა დაეცემოდა და ძვლიან-ბორკიან გაიგლეშოდა და ჭარისაგან გასატაცებლად გახდებოდაო“ (იქვე, გვ. 17).

207-ეში **გონებანი გააუიფნა** (ე. ი. ამაყი გახადა) გვაქვს, ერთი მხრით, და **მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა**, მეორე მხრით.

208-ე სტროფში ნათქვამია:

თავსა გარდაჰკრა მათრახი, ენახეთ სისხლისა კი დენით.

ხოლო 209-ე სტროფში:

ვითა მკვდარი უსულო ქნა, ვითა მიწა დაამიწა,
მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოამიწა,
თვალთა წინა წაგვივიდა ლაღი, კუშტი, ამაყი, წა!

ნათქვამის მიხედვით, მთელი სტროფის შინაარსი ასეთია: ლალს გარეულმა ბროლმა (ე. ი. ტარიელმა) თხელნი ვარდნი, ე. ი. ბაგეები (ღაწვები?), გაანატიფა (ნატიფი, მოხდენილი, ნაზი გახადა), ხოლო თავისი ტკბილი (კეთილი) გონება (ხასიათი, აზრი) ჩვენთვის გააამაყა (გააკუშტა), სრულიად არად (არაფრად) მიგვიჩნია, სრულიად არაფრად ჩაგვთვალა, აგვიგდო და იმათ, ვინც მას მკვახედ დავუწყეთ ლაპარაკი, გაეკადნიერდით, მათრახით გადმოგვწვდა (მათრახი გადმოგვკრა).

რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში

„ვეფხისტყაოსანი“ თექვსმეტმარცვლიანი შაირითაა დაწერილი — თექვსმეტმარცვლიანი მაღალი შაირით და თექვსმეტმარცვლიანი დაბალი შაირით.

მაღალი შაირის ნიმუში იქნებოდა:

ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯანდ-უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მღუღრად
ანატირსა (84).

დაბალი შაირის ნიმუშია:

მას ტანსა კაბა ემოსა, გარეთმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,

ხელთა ნაშედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა;
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა (85).

როგორც ცნობილია, სალექსო ზომა გარკვეულად ზღუდავს სხვადასხვა ენობრივ საშუალებათა ფართო და სრულ გამოყენებას. ლექსში შეუძლებელია გამოყენება ყველა იმ ენობრივი საშუალებისა, რომლებიც შეუზღუდველად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი პროზის, კერძოდ მხატვრული პროზის ენაში.

მიუხედავად ამისა „ვეფხისტყაოსნის სალექსო ზომა — თექვსმეტმარცვლიანი მაღალი თუ დაბალი შაირი — მაქსიმალურ საშუალებას იძლევა, რომ მასში თავისუფლად, დაუბრკოლებლად იქნეს წარმოდგენილი სხვადასხვაგვარი ენობრივი ერთეულები — ნაირგვარი ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები, ნაირგვარი ტიპის წინადადებები —: მარტივი გაუვრცობელი და გავრცობილი, სრული და უსრული; ერთგვარწევრებიანი სხვადასხვა ტიპისა; რთული პარატაქსული (შეკავშირებული) და რთული ჰიპოტაქსური (დაქვემდებარებული); ყველა ამათი კომბინაცია; ზოგჯერ პოემაში რთული პერიოდებიც კი გვხვდება.

მხოლოდ ორიოდე მაგალითს დავასახელებთ:

პარატაქსი:

სხვაგან ქნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მონამან.
არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,
არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან (89).

ერთგვარწევრებიანი:

მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო.
მორჩილქმნილთა გავახარო, ურჩი ყოვლი ავატირო,
ძღვენნი გკადრნე ზედაზედა, არ სალამი დავაძვირო (143).

მარტივი — მიმართვებიანი:

...ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო, მეფეთ-მეფეო,
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიფეო,
მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
უმცროსმან ძმამან შორიშორ სალამი დავიყეფო (1318).

ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის პირველი სტროფი პერიოდის ნიმუშია.

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით მონაბერითა,

ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა, —
მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა (1).

ჰიპოტაქსური (რთული დაქვემდებარებული) წინადადებები „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება. ხშირია როგორც უკავშირო, ისე კავშირიანი შეერთებები. კავშირთაგან უფრო გავრცელებულია **თუ (თუმცა, თუმც, თუცა, თუც, თუცავე, თუცათუ, თუცაღა), რომელ-რომე-რომ, რომელი (რომელიც), სად, სადა, სადაც, სადამდისცა, რათგან, რაგინდ, რაზომც, რაც...** განსაკუთრებით ხშირია **რა** კავშირიანი დაქვემდებარება („რა ვეღარ მიჰხედეს ქართულსა...“; „რა გაიზარდა, გაივსო...“; „რა ვარდმან მისი ყვავილი...“; „ამოა, კარგსა მოყმესა რა ომი გაჰმარჯვებოდეს“...).

მაგრამ ყველაფერი ეს არ სცილდება ჩვეულებრივის ფარგლებს და განსაკუთრებულს არაფერს შეიცავს. ეს მასალა თუ აქ მოგვყავს, მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოვადგინოთ ის ფონი, რომელზედაც, კერძოდ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებათა სფეროში, „ვეფხისტყაოსანში“ შესაძლოა შემჩნეული იქნეს გარკვეული თავისებურება, რომელსაც, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი ინტერესი ახლავს, ხოლო, მეორე მხრივ, არსებითი მნიშვნელობა აქვს პოემის ტექსტის ჯეროვნად გაგებისა და, მაშასადამე, დადგენის თვალსაზრისით.

„ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება სტროფები, რომლებიც შინაარსის მიხედვით შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. ამ ნაწილებს შორის შინაარსის მხრივ ისეთივე ურთიერთდამოკიდებულებაა, როგორიც რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაშია მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის: ერთი, შეიძლება ითქვას, მთავარი წინადადების ბადალია, მეორე — დამოკიდებულისა, ე. ი. ერთი ასახსნელი წინადადებაა, მეორე — მისი ამხსნელი.

მთავრის ბადალი წინადადება წარმოადგენს დამოუკიდებელ წინადადებას, რომელიც აღნაგობის მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს ისევე, როგორც მთავარი წინადადება რთული დაქვემდებარებულის ფარგლებში. სხვა ნიშანიც აქვს მას მთავარი წინადადებისა: მასში მოიპოვება ან ნაცვალსახელი, ან ზმნისართი, რომელთაც სწორედ ისეთივე ფუნქცია აქვთ, როგორიც ამგვარსავე სიტყვებს მთავარ წინადადებაში, ე. ი. ეს არის ე. წ. კორელატი სიტყვა მთავარი წინადადებებისა. ერთი სიტყვით, ეს ნაწილი მთავარი წინადადებისაგან არაფრით განსხვავდება. მაგრამ ეს რომ მართალი მთავარი წინადადება იყოს, საჭიროა მას მოსდევდეს ამ

კორელატი სიტყვის შესაბამისი ამხსნელი წინადადება, დამოკიდებული წინადადება, რომელიც, თუ კავშირიანი შეერთება იქნებოდა, შაქვემდებარებელი კავშირით ან საკავშირებელი სიტყვით (მიმართებითი ნაცვალსახელით ან მიმართებითი ზმნისართით) უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მთავართან, ხოლო, თუ უკავშირო შეერთება იქნებოდა, კავშირი უნდა ივარაუდებოდეს.

ახსნა გვაქვს, ოღონდ მაინც თავისებური, მაგრამ ამ „ამხსნელ“ „წინადადებას“ სხვა ნიშნები დამოკიდებული წინადადებისა არ ახოპავება. რაც მთავარია, მასში არაა კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა, ურთიერთობა წინადადებათა შორის ფორმალურად მხოლოდ იმ კორელატი სიტყვით ხორციელდება, რომელიც მთავარის ბადალ წინადადებაში არის და რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი.

უფრო მნიშვნელოვანია მეორე მხარე. ეს „წინადადება“ არსებითად არცაა წინადადება, იგი წინადადების ეკვივალენტად თუ შეიძლება იქნეს მიჩნეული. საქმე ისაა, რომ მასში არ მოიპოვება ზმნა და სიტყვათა მთელი ეს ნაერთი პრედიკაციას მოკლებულია. აქ პირველ რიგში დასახელებულია საგნის სახელი, არსებითი სახელია წარმოდგენილი სახელობითი ბრუნვის ფორმით. აქ სახელს შეიძლება თავისი ამხსნელი სიტყვა ახლდეს და არა ერთი, არამედ რამდენიმე, ამ უკანასკნელთ კიდევ — სხვა ამხსნელები და, ამრიგად, სახელურ სინტაგმათა მთელი ჯაჭვი გვქონდეს.

გარდა ამისა, რამდენადაც ზოგიერთი ამ სახელთაგან ნაზმნარი სახელიც შეიძლება იყოს, ამ უკანასკნელებთან ზმნისართებიც შეიძლება იყოს დაკავშირებული და ზმნისართიანი სინტაგმებიც გვხვდებოდეს. ეს წინადადება ე. წ. ნომინატიურ წინადადებას მოგვაგონებს ამ მხრივ, მაგრამ იმით განსხვავდება მისგან, რომ ახსნის თვალსაზრისით აქ გარკვეული კავშირი არსებობს ზემოთ აღწერილ მთავარის ბადალ წინადადებასთან.

ამგვარი წინადადების დამახასიათებელი მაგალითი გვაქვს პოემის 857-ე სტროფში.

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი,
მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი.
მას ვუორგულე, წამოვე, მართ დავივიწყე ყოველი,
მისი შემცოდე ღმრთისაგან კარგსა აღარას მოველი.

მესამე ტაეპი ამ სტროფისა წარმოადგენს დამოუკიდებელ წინადადებას, რომელიც ახსნას, განმარტებას მოითხოვს. აძის შა-

უწყებელია მასში მას ნაცვალსახელი, რომელიც სავსებით იმგვარიეე ფუნქციის მქონეა, როგორისაც რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაში მთავარი წინადადების კორელატი სიტყვა, ოღონდ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაში ამას უნდა მოსდევდეს ამ კორელატის შესაბამისი დამოკიდებული წინადადება, რომელიც შესაბამისი წესით იქნებოდა დაკავშირებული მთავართან. აქ კი სულ სხვაგვარი დამოკიდებულებაა. დამოკიდებული წინადადების მაგივრობას აზრობრივად ასრულებს სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი **პატრონი**, რომელსაც თავისი მსაზღვრელები და ამ მსაზღვრელებთან დაკავშირებული სიტყვები ახლავს, და ეს ჯგუფი სიტყვებისა შეადგენს მთლიანად სტროფის პირველსა და მეორე ტაეპებს. ჩვეულებრივი რთული დაქვემდებარებული წინადადება რომ გვქონოდა, მაშინ გვექნებოდა: მას ვუორგულე, წამოვე, მართ დავივიწყე ყოველი. ვინ არის ეს მას? პასუხი იქნებოდა გადძოცემული დამოკიდებული წინადადებით: ვინც არის ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი, მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი.

აქ კი ის, რაც დამოკიდებული წინადადების ბადალია, **მხოლოდ დასახელებულია, სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი**, მიმართებითი სიტყვები არსად ჩანს და არც ივარაუდება. მესამე ტაეპად წარმოდგენილ წინადადებასთან კავშირი იქიდან ჩანს, რომ ამ უკანასკნელში არის მას ნაცვალსახელი, ბადალი მთავარი წინადადების კორელატი სიტყვისა.

სრულიად ასეთსავე დამოკიდებულებაშია I და II ტაეპები მეოთხე ტაეპში წარმოდგენილ წინადადებასთანაც: **მისი** შემცოდე ღმრთისაგან კარგსა აღარას მოველი. **მისი** ნაცვალსახელი კორელატი სიტყვის ბადალია. ისმის კითხვა: ვისი შემცოდე? ამხსნელი დამოკიდებული წინადადების მაგიერია ისევ პირველ და მეორე ტაეპებში სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი სახელი.

რა თქმა უნდა, ჩვენ აქ განზრახ გამოვაცალკევეთ მესამე და მეოთხე ტაეპებში წარმოდგენილი სიტყვათა ჯგუფები ერთმანეთისაგან, ეს ორი ტაეპი მთლიანი ერთეულია.

სწორედ ისე, როგორც ჩვეულებრივ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაში, მთავარ წინადადებაში კორელატი სიტყვა შეიძლება გამოტოვებული იყოს, მაგრამ აღდგენა კი შესაძლებელია: ამ შემთხვევაშიც კორელატის ბადალი სიტყვები შეიძლება წარმოდგენილი არ იყოს, მაგრამ ვივარაუდოთ კი. ამის კარგი მაგალითი დასტურდება პოემის 1077-ე სტროფში.

ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი,
ნაკვთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის-მსმელი.
დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი.

აქ მეოთხე ტაეპი წარმოადგენს მთავარის ბადალ წინადადებას, პირველი სამი ტაეპი კი დამოკიდებულის ბადალია და მასში დასახელებულია მხოლოდ **ფატმან ხათუნი**. უკანასკნელ ტაეპში კორელატი სიტყვის ბადალი არაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი წარმოდგენა მაინც შესაძლებელია: დია ედვა **მას**.

ასეთივე შემთხვევა გვაქვს 681-ე სტროფში —
როსტევან — მეფე უკადრი, მორჩმული, შეუპოველი.
შერმადინ მოციქულობა თვით მოახსენა ყოველი.

დაახლოებით ამგვარი, მაგრამ ოდნავ გართულებული კონსტრუქციისა 1018-ე სტროფი:

ამას გკადრებ, არ ეგების მარტოსაგან წასვლა შენი:
თანა ყმათა წამოგატან, იმსახურენ, იახლენი.
აბჯარი და საგებელი, ერთი ჯორი, ერთი ცხენი.
არ წაიტან, გაირჯები ღაწვი-ვარდი ცრემლ-ნადენი.

კორელატის ბადალი სიტყვა, რა თქმა უნდა, სხვა ბრუნვებშიც შეიძლება იქნეს წარმოდგენილი იმისდა მიხედვით, თუ რა ბრუნვაში მოითხოვს მას იმ წინადადების ზმნა, რომელშიაც შედის. 978-ე სტროფში ასეთი სიტყვა სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი.

კაცი ემთხვია; მას ჰკითხა ამბავი მის· ლაშქარისა,
უბრძანა: „ისი ვისია ხმა ზათქისა და ზარისა?“
მან უთხრა: „ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულღაზანზარისა.
იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამბნარისა“.

აქ მეოთხე სტროფია მთავარი წინადადების ბადალი. ბუნებრივია, მასში კორელატის ბადალი სიტყვა არის წარმოდგენილი: **იგი**. მესამე სტროფში კი დასახელებულია, თუ ვინ არის ეს „იგი“: „ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულღაზანზარისა“. **იგი** სახელობით ბრუნვაში დასმული იმიტომაა, ცხადია, რომ **ნადირობს**-ზმნასთანაა დაკავშირებული.

როგორც აღვნიშნეთ, კორელატი სიტყვის ბადლად არამარტო ნაცვალსახელი შეიძლება იყოს, არამედ, სწორედ ისე, როგორც ჩვე-

ულებრივს რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაში, ზმნისართიც, თუ გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შინაარსის ანალოგიური შინაარსი გვაქვს. ამის ნიმუში წარმოდგენილია პოემის 1126-ე სტროფში.

იქ ბაღსა შიგან ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი.
მაღალნი, ყოვლგნით მხედველნი, ზღვას ზედა წაკიდებულნი.
მუნ შევიტანენ ხათუნნი...

განხილული კონსტრუქცია შეიძლება გართულდეს იმ მხრივ, რომ იმ შესიტყვებას, რომელიც ჩვენ დამოკიდებული წინადადების ბადლად მივიჩნიეთ და რომელშიც ხდება საგნის დასახელება, შეიძლება თავის მხრივ ჩვეულებრივი დამოკიდებული წინადადება თუ წინადადებებიც კი ახლდეს, მაშასადამე, თვითონვე გვევლინებოდეს წამყვანი წინადადების ბადლად. ასეთი ნიმუშია წარმოდგენილი 310-ე სტროფში. ოღონდ მდგომარეობა კიდევ უფროა გართულებული ზოგი მეორეული ფაქტით.

ისმენდი, მოეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა;
საუბართა და საქმეთა ვითა ძლივ ვათქმევ ენასა;
იგი, ვინ ხელ-მქმნა, მოველი მისგან აროდეს ლხენასა,
ვისგან შევუცავ სევდათა, სისხლისა ღვართა დენასა.

ეს სტროფი აქ 1957 წლის გამოცემის მიხედვით მოგვყავს. უკანასკნელ გამოცემებში იგი ოდნავი ცვლილებებით დაიბეჭდა. ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ პირველ ტაეპში **მოეც**-ფორმა **მიეც**-ფორმით შეცვალეს. ეს ცვლილება განმეორებულია გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის გამოცემაშიც. მესამე ტაეპში **ხელ-მქმნა**-ფორმა **ხელ-მქმნის**-ფორმით შეცვალეს ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ; მესამე ტაეპში **მისგან** ფორმა **ვისგან** ფორმით შეცვალა მ. წერეთელმა: ბოლოს, მეორე ტაეპში სიტყვა **ვითა**-ს ნაცვლად გარკვეულ ხელნაწერებზე დაყრდნობით **ვისთა** დაბეჭდეს ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ. დასაბუთება არც ერთი შესწორებისა არაა ცნობილი. ჩვენი საკითხისათვის მხოლოდ უკანასკნელ გასწორებას აქვს მნიშვნელობა: **ვითა — ვისთა**! ეს გასწორება ჩვენ მართებულად მიგვაჩნია და ქვემოთ ამ წაკითხვას ვიყენებთ.

ამ სტროფში პირველი ტაეპი სრულებით დამოუკიდებელია დანარჩენი ტაეპებისაგან და მათგან უნდა გამოიყოს: ისმენდი, მოეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა! შესამე ტაეპი — „**იგი, ვინ ხელ-მქმნა, მოველი მისგან აროდეს ლხენასა**“ — ზემოგანხილული კონ-

სტრუქციისა, ოღონდ გართულებულია დამოკიდებული წინადადებით — **„ვინ ხელმჭმნა“**. თუ ამ უკანასკნელს ცალკე გამოვყოფთ, რჩება, ერთი მხრით, მხოლოდ **„იგი“** და, მეორე მხრით, **„მოველი მისგან აროდეს ლხენასა“**. ამ უკანასკნელში **მისგან** კორელატი სიტყვის ბადალი სიტყვაა, ხოლო დასახელება საგნისა, ის, რაც რთული დაქვემდებარებული წინადადების დამოკიდებულ წინადადებას შეესაბამება, წარმოდგენილია ერთადერთი **იგი** ნაცვალსახელით. ეს შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ ამ **იგი**-ს ახლავს დამოკიდებული წინადადებები, რომელთაგან ერთი მესამე სტროფშივეა წარმოდგენილი (**„ვინ ხელმჭმნა“**); მეორე დამოკიდებულ წინადადებას წარმოადგენს მთლიანად მეოთხე ტაეპი (**„ვისგან შევუცავ სევდათა, სისხლისა ღვართა დენასა“**), ხოლო მესამე დამოკიდებულ წინადადებას — მეორე ტაეპი (**„საუბართა და საქმეთა ვისთა ძლივ ვათქმევ ენასა“**)..

ამასთან ერთად, უნდა გადაისვას მეორე და მესამე ტაეპები (როგორც ცნობილია, პოემაში არაერთი შემთხვევაა ტაეპთა არასწორი თანმიმდევრობისა).

ყველაფერი ამის შემდეგ სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

ისმენდი, მოეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა!
იგი, ვინ ხელმჭმნა, **მოველი მისგან აროდეს ლხენასა**,
საუბართა და საქმეთა ვისთა ძლივ ვათქმევ ენასა,
ვისგან შევუცავ სევდათა, სისხლისა ღვართა დენასა.

ეს კი ნიშნავს: მოველი მისგან აროდეს ლხენასა. [ვისგან?] [ვინც არის] **იგი** [ვინ=ვინც] ხელმჭმნა; საუბართა და საქმეთა ვისთა ძლივ ვათქმევ [=ვათქმევინებ] ენასა [და] ვისგან შევუცავ სევდათა, სისხლისა ღვართა დენასა.

ამრიგად, სრულიად ნათელი ხდება აზრი სტროფისა, რომელიც გამოცემებში ბუნდოვნად იყო წარმოდგენილი.

ანალოგიური აგებულებისაა პოემის მე-600 სტროფი, რომლის პირველი ორი ტაეპი 1957 წლის გამოცემაში ასე იკითხება:

მულღაზანზარის ქალაქი, აბლოს მე მაქვსო რომელი,
ნურადინ-ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი.

ეს ტაეპი ზუსტად ზემოგანხილული კონსტრუქციისა. მეორე ტაეპი მთავარი წინადადების ბადალია: ნურადინ-ფრიდონ სახელ-მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი. **მუნა** კორელატი სიტყვის ბადალია. ეს **მუნა** ეხება პირველ სტროფში წარმოდგენილ დასახელე-

ბას — მულღაზანზარის ქალაქი. ამ უკანასკნელს დამოკიდებული წინადადება ახლავს: **ახლოს მე მაქვსო რომელი.**

ხელნაწერებს დაუცავთ სტროფის პირველი სიტყვა ორგვარი ფორმით — ნათესაობითსა და სახელობით ბრუნვებში, ოღონდ სხვადასხვა ორთოგრაფიით: მულღაზანზარის, მულღანზანზარის, მულღაზანზარი, მულღანზარზარის, მულღანზანზარი, მულაღზაზარი... შესაძლებელია როგორც **მულღაზანზარი ქალაქი** ისე **მულღაზანზარის ქალაქი**, ოღონდ ეს უკანასკნელი გამოთქმა ბუნებრივი და ჩვეულებრივი გამოთქმაა ქართულში. პოემის გამომცემელთაც ეს ფორმა აქვთ თავიანთ გამოცემებში. მხოლოდ მ. წერეთელმა გაყო ეს ფორმა ორ ნაწილად და დაბეჭდა **მულღაზარ არის.** უზმნო გამოთქმა იყო და ზმნიანი გახადა. ყველაფერი იმის შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა, ცხადი უნდა იყოს ასეთი ოპერაციის მიზანშეუწონლობა[1].

ამის მიხედვით საანალიზო სტროფის პირველი ორი ტაეპი ასე უხდა იკითხებოდეს:

მულღაზანზარის ქალაქი, ახლა მე მაქვსო რომელი.
ნურადინ-ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი.

განხილული კონსტრუქცია სხვა სტროფებშიც გვხვდება, მაგალითად, 218-ეში. აქ ამგვარ კონსტრუქციას ქმნის მეორე და მეოთხე ტაეპები სტროფისა:

---

[1] ამ ტაეპის ანალიზთან დაკავშირებით ერთი საკითხიც უნდა გახდეს ნათელი. დამოკიდებული წინადადება **ახლოს მე მაქვსო რომელი** ყველა გამოცემაში ასე იკითხება. ხელნაწერთა დიდი უმრავლესობაც გვაწვდის წაკითხვას ახლოს და მის ვარიანტებს (ახლო, ახლოსა), მხოლოდ ორ ხელნაწერშია განსხვავებული წაკითხვა: F ხელნაწერში იკითხება **აწ** ესე, L-ში — **ახლად.**

სრულიად აშკარაა, რომ წაკითხვა ახლოს ტექსტის დამახინჯების შედეგია. მულღაზანზარი ფრიდონის ქალაქია, მისი სამფლობელოა და აბა როგორ შეიძლებოდა ფრიდონს ამ ქალაქზე ეთქვა: ახლოს მაქვსო. F ხელნაწერის **აწ** ესე ამ უხერხულობის გამოსწორების ცდას წარმოადგენს და მეორეული ჩანს. L ხელნაწერის **ახლად** მნიშვნელობით აგრეთვე შეუფერებელია. ორივე ეს წაკითხვა — **ახლოს** (თავისი ვარიანტებით — **ახლო, ახლოსა**) და **ახლად** ერთისა და იმავე ახლა სიტყვის გადამახინჯების შედეგი ჩანს. მხოლოდ ახლა სიტყვა შეიძლებოდა ყოფილიყო შინაარსის მხრივ ამ ტაეპში. მულღაზანზარის ქალაქი ფრიდონს ახლა აქვს, წინათ კი მის მამას და პაპას ჰქონდათ (მოვიგონოთ სათანადო ტაეპი: მამის ძმა და მამაჩემი პაპმან ჩემმან გაყუნა ოდეს...). მხოლოდ ახლა სიტყვის გადაკეთებას შეეძლო მოეცა, ერთი მხრით, **ახლოს** და მისი ვარიანტები, ხოლო, მეორე მხრით, **ახლად.** პირველი მათგანი წარმოდგენილია ხელნაწერთა ერთ ჯგუფში, მეორე — ხელნაწერთა მეორე ჯგუფში.

დღისით და ღამით მაშვრალნი, არ შეჰამადთა მჭამენი.

. . . . . .

მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს, მინდორთა მოსალამენი.
ასეთივე ვითარებაა შესაულის მე-16 სტროფშიც:
მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა.
არ ძალუც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა, —
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.

ამ სტროფში გაუგებრობას ქმნიდა ის ფაქტი, რომ ერთმანეთთან სინტაქსურად შეწყობილი არ ჩანდა პირველი და მესამე ტაეპები: **ვამსგავსე** ზმნა ორობიექტიანია, რომელთაგან ერთი ბრუნვაცვალებადია, ხოლო მეორე ბრუნვაუცვლელი. ერთი ამ ფორმასთან სახელობით ბრუნვაში უნდა იყოს, ხოლო მეორე მიცემითში. ამის გამო იყო ცდა **მშვილდი ბედითი** მიცემითად გადაკეთებულიყო: **მშვილდსა ბედითსა.** მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ზემოთ იყო თქმული, ცხადი გახდება, რომ აქაც ისეთივე კონსტრუქცია გვაქვს, რომ მესამე ტაეპი მთავარის ბადალ წინადადებას წარმოადგენს, რომელშიაც რეალურად არაა წარმოდგენილი კორელატის ბადალი სიტყვა, მაგრამ მისი ვარაუდი შესაძლოა **(მას)**, რომ პირველი ტაეპი იმ შესიტყვებას წარმოადგენს, რომელშიც მხოლოდ დასახელება ხდება. — და ამ სტროფში გაურკვეველი და უცნაური აღარაფერი რჩება.

არსებობს ერთი სხვაგვარი სახეობაც ამ ტიპის წინადადებისა. შესაძლოა დამოკიდებულის ბადალ შესიტყვებაში მხოლოდ საგნის სახელი კი არ იყოს დასახელებული ან და სახელური სინტაგმები კი არ გვქონდეს მხოლოდ, არამედ ამგვარ წინადადებაში მთლიანი აზრი იყოს გადმოცემული ზენური კონსტრუქციის საშუალებით, ჩვეულებრივი წინადადება იყოს. მიუხედავად ამისა, ამგვარი წინადადებაც მთავარის ბადალ წინადადებასთან მაინც ზემოთ აღწერილი საშუალებითაა დაკავშირებული. აქ სპეციფიკურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ასე თითქოს იმიტომ ხდება, რომ ამგვარ ზმნურ კონსტრუქციაშიც დასახელება ხდება მხოლოდ, ოღონდ მეტაფორიზაციის გზით. ამის ბრწყინვალე ნიმუშია წარმოდგენილი 856-ე სტროფში.

ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალისფერსა სცვენ და ჰბურვენ.

მას მოვშორდი, ვერ ვეახელ, ვერ ვისურვენ, ვერ ვასურვენ.

აქ მთავარი წინადადების ბადალია მეორე ტაეპი, რომელშიაც კორელატი ნაცვალსახელიც მოიპოვება (მას). ეს კორელატი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების ბადალ შესიტყვებაში (ამ შემთხვევაში წინადადებაში, პირველ ტაეპში) არსებით სახელს ვარაუდობს. ამ არსებითი სახელითაა აღნიშნული ის, ვინც პირველ სტროფში აღწერილია მეტაფორულად: **ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალისფერსა სცვენ და ჰბურვენ.** ეს თინათინია, **მას** ნაცვალსახელი თინათინს შეესაბამება.

განხილული კონსტრუქციის თავისებურების გაუთვალისწინებლობის გამო პოემის ტექსტის დადგენისას გაუგებრობები ხდებოდა. უკანასკნელად განხილული სტროფიდან რომ დავიწყოთ, ამ კონსტრუქციის ბუნების გაურკვევლობის მიზეზით ამ სტროფმა გაუგებრობები შექმნა. მისი გადაკეთება ჯერ კიდევ ძველად, გადამწერლებს მოუწადინებიათ ორდინარულ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებად. EFIR ხელნაწერებში იკითხება: **სად სადაფნი მარგალიტსა ლალისფერსა სცვენ და ჰბურვენ, მას მოვშორდი...** მიუხედავად ამისა მთლად ჩვეულებრივი წინადადება მაინც ვერ მიუღიათ: **მას** კორელატ სიტყვას დამოკიდებულ წინადადებაში **სად** სავ'შირებელი სიტყვა არ უნდა შეესაბამებოდეს.

არც ლალისფერი მარგალიტი აღმოჩენილა გასაგები და **მარგალიტსა ლალისფერსა** ასე შეუცვლიათ: **მარგალიტსა ლალისფერად** (J).

საბუხაროდ, ზუსტად ასეთივე გზა აირჩია პოემის ზოგმა თანამედროვე მკვლევარ-გამომცემელმაც; კერძოდ, პ. ინგოროყვამ დაბეჭდა: „**სად** სადაფნი მარგალიტსა ლალისფერად სცვენ და ჰბურვენ", სოლო ბ. წერეთელმა — „**სად** სადაფნი მარგალიტსა ლალისფერნი..." ამ შემთხვევაში დიდ ცთუნებას წარმოადგენდა ალბათ ის ფაქტი, რომ პოემაში მოიპოვება ამგვარი კონსტრუქციის შემცველი სტროფიც (889):

სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ გიშრისა სარითა,
მას მოვეშორვე, წამოვე სიჩქარით, არ-სიწყნარითა.

რთული დაქვემდებარებული წინადადების ეს უკანასკნელი სახეობაც არაა ჩვეულებრივი.

განხილული კონსტრუქციის თავისებურებათა გაურკვევლობის გამო პოემის ტექსტის დადგენისას სხვა გაუგებრობებიც მოხდა.

249-ე სტროფის მეორე ტაეპი, რომელიც 1957 წლის გამოცემაში ასე იკითხება:

„ვისთვისმე ცხელი უცილოდ მას ცრემლი ემალმალების“, ვახტანგ VI-ის გამოცემაში ასე იკითხებოდა:

„ვისთვისმე ხელი უცილოდ მას ცრემლი ემალმალების“.

ასევე იკითხებოდა ეს ტაეპი მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, დ. კარიჭაშვილის (პირველ), ს. კაკაბაძის (ორივე) გამოცემებში. სხვა გამოცემებში ისეთივე წაკითხვა იყო, როგორიც 1957 წლისაში — **ვისთვისმე ცხელი**. პ. ინგოროყვამ ამ უკანასკნელი წაკითხვის სისწორეში ეჭვი შეიტანა და ასე გადაასწორა: **ვისთვისმე ხელსა**, თუმცა არც ერთ ხელნაწერში ასეთი წაკითხვა არ მოიპოვება. პ. ინგოროყვამ ამით **ემალმალების** ზმნას შეუხამა ეს არსებითი სახელი მოცემით ბრუნვაში დასმით — **ხელსა**.

ნამდვილად, ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე წაკითხვა **ვისთვისმე ხელი უცილოდ** არის ერთადერთი მართებული წაკითხვა, ხოლო მთელი ტაეპი ზემოგანხილული კონსტრუქციის კიდევ ერთ ნიმუშს გვაწვდის. ტაეპის მეორე ნაწილი **მას ცრემლი ემალმალების** მთავარი წინადადების ბადალია **მას** კორელატი სიტყვით და იგი იწვევს დამოკიდებული წინადადების ბადალი შესიტყვების (ტაეპის წინა ნაწილის) სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას: **ვისთვისმე ხელი უცილოდ**. ასეც გვხვდება კიდევაც ხელნაწერთა უმრავლესობაში.

1966 წლის ორსავე გამოცემაში აღადგინეს ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე წაკითხვა; ტაეპის აღნაგობა განუმარტებელი დარჩა.

ზემოთ უკვე მოყვანილი იყო 978-ე სტროფი პოემისა. ამ სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპები აღწერილი კონსტრუქციის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენდა: **მან უთხრა: ფრიდონ ხელმწიფე, შეფე მულღაზანზარისა, იგი ნადირობს**... ამ ტაეპის შეცვლას ჯერ კიდევ ძველად ცდილან: **მან მოახსენა: მეფეა ფრიდონ მულღაზანზარისა“** — იკითხება E ხელნაწერში, ხოლო FGHIKORTZ ხელნაწერებში ვკითხულობთ: **„მან უთხრა: ფრიდონ ხელმწიფე მეფეა მულღაზანზარისა“**. ორსავე შემთხვევაში გაუგებარი ტექსტის გასაგებით შეცვლის ცდა გვაქვს, უზმნო შენაერთები ზმნური კონსტრუქციითაა შეცვლილი.

ამ ტაეპს ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ 1908 წელს იუსტ. აბულაძემ. მკვლევარი წერდა: ის ფაქტი, რომ ტაეპში შემასმენე-

ლი არ არის, „აიხსნება მით, რომ „მულღაზანზარისა“-ს მაგიერად უხდა ყოფილიყო მულღაზარისა და სიტყვა „მეფე“-ს უნდა მიემატოს „ა-არს“ შემასმენელად. მაშასადამე, ეს ტაეპი, ჩვენის აზრით, უხდა წავიკითხოთ ასე: „მან უთხრა: ფრიდონ ხელმწიფე, მეფეა მულღაზარისა“, რაც აჯობებს, როგორც რითმის, ისე აზრისთვისაც“[2]. ეგეთე წაკითხვაა ს. კაკაბაძის პირველ გამოცემაში; ეგეთე წაკითხვა მოიპოვება, უკანასკნელ, მიხ. წერეთლის გამოცემაშიც.

როგორც ვხედავთ, მე-17 საუკუნის გადაწერნი და თანამედროვე გამომცემელნი ერთსა და იმავე თვალსაზრისზე დგანან.

ამგვარ გასწორებათა უსაფუძვლობა სავსებით ცხადი ხდება ზემოგანხილული კონსტრუქციის თავისებურებათა გათვალისწინების შედეგად.

ცალკე აღსანიშნავია 352-ე სტროფი პოემისა, კერძოდ ამ სტროფის უკანასკნელი ტაეპი.

აქიმნიცა იკვირვებდეს: „ესე სენი რაგვარია?
სამკურნალო არა სჩირს რა, სევდა რამე შემოჰყრია“.
ზოგჯერ შმაგად წამოვიჭრი, სიტყვა მცთარი წამერია.
დედოფალი ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია.

უკანასკნელი ტაეპი ყველა გამოცემაში ასე იკითხებოდა დღემდე. ასეთივე წაკითხვაა არაერთ ხელნაწერშიც, ხოლო ხელნაწერთა ერთ ჯგუფში იკითხება: „დედოფალი ზღვასა შეიქმს, რომე ცრემლი დაუღვრია“. ეს უკანასკნელი წაკითხვა დაბეჭდეს უკანასკნელ გამოცემაში ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ.

ამ ტაეპში ისეთივე კონსტრუქცია გვაქვს, რომელიც ზემოთ აღვწერეთ. ორი სხვადასხვაგვარი წაკითხვა საქმის ვითარებას არ ცვლის.

ამ ტაეპში სამი ერთეული გვაქვს, პირველია: „დედოფალი“; მეორეა: „ზღვასა შეიქმს“; მესამეა: „მას რომ ცრემლი დაუღვრია“. მეორე და მესამე წინადადებებია და ერთ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებას ქმნიან: მთავარია მეორე, დამოკიდებული — მესამე. ამ მესამესთან არის დაკავშირებული პირველი ნაწილი დედოფალი, რომელიც, როგორც ვხედავთ, მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დასმული სახელითაა წარმოდგენილი.

დამოკიდებული წინადადების ბადალი ცალკე სახელობითში

---

2 იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის „ვეფხის-ტყაოსანი“: ძველი საქართველო, ტ. I ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 92.

დასმული სახელი თუ მთელი სახელური შესიტყვებები სხვათაგან წერტილით უნდა გამოიყოს.

განხილული კონსტრუქცია, ბუნებრივია, ლექსის ენისათვის ჩანს უფრო დამახასიათებელი, თუმცა არაა გამორიცხული, რომ მსგავსი რამ პროზის ენაშიც გვხვდებოდეს. მაგალითად, „ვისრამიანში“ ვკითხულობთ: „ჯიმშედ მეფე, რომელ ადამს აქათ მეხუთე ჴელმწიფე ყოფილა, შაჰრო მისი ნატამალი იყო“[3].

ამ შემთხვევაში კონსტრუქცია — **ჯიმშედ მეფე. შაჰრო მისი ნატამალი იყო** — გართულებულია დამოკიდებული წინადადებით: რომელ ადამს აქათ მეხუთე ჴელმწიფე ყოფილა. ეს სწორედ იმგვარი აგებულების ფრაზაა, რომლის ნიმუშები არაერთი აღმოგვაჩნდა „ვეფხისტყაოსანში“.

რაკი ეს კონსტრუქცია ლექსის ენაში გვხვდება უპირატესად, უნდა გვეფიქრა, რომ იგი გარკვეული სტილებრივი მიზნებითაა გამოყენებული. მაგრამ ასეთი ვარაუდი არ გამორიცხავს იმას, რომ ეს კონსტრუქცია რთული დაქვემდებარებული წინადადების განვითარების გარკვეული საფეხურის ამსახველი იყოს და ამგვარი კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსანში“ ხალხური მეტყველებიდან მოძღინარე იყოს. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში დღემდე შეიძლება შეგვხვდეს ანალოგიური კონსტრუქციები. მოვიყვანთ ერთ მაგალითს ფშაურიდან.

„საშუბის გაყოლებაზე ბატარა საშუბია, სასაძოვრე. იმის გადასწვრივ საფუტკრისგორის თავია, სასაძოვრე. დაბალი მეედანი. **საშუბი. ის კი ზოკან-ზოკან კინჭუხიანია, მაღალი“.**

„ბოწახი. ის კი ძალიან კარგი ადგილია, საძოვარი“[4].

აქ არსებითად იმგვარივე კონსტრუქცია გვაქვს, როგორიც „ვეფხისტყაოსნის“ ზემოგანხილულ სტროფებში შეგვხვდა.

დამოკიდებული წინადადების ბადალ უზმნო შენაერთებში ბოლოდ დასახელება გვქონდა საგნისა, იმის აღნიშნა, რომ რაღაც თუ ვიღაც არის ან იყო. ამგვარი კონსტრუქციიდან ერთი ნაბიჯიღაა ისეთ კონსტრუქციამდე, როცა ამგვარ შენაერთში გაჩნდება ზმნა (არის, იყო), ხოლო კონსტრუქცია არსებითად არც კი შეიცვლება. ამისი ნიმუში იქნებოდა:

---

3 „ვისრამიანი“, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 7.

4 თამარ ხელაშვილის მიერ დაწერილი დიალექტოლოგიური მასალიდან.

ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერთ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა,
მას თინათინის შვენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა.

•

სიტყვათა წყობის ზოგიერთი თავისებურება რუსთაველის ლექსში და ამასთან დაკავშირებული სადავო საკითხები „ვეფხისტყაოსნის" ტექსტისა

„ვეფხისტყაოსანს" სიტყვათა წყობის თვალსაზრისით მრავალი თავისებურება ახასიათებს. ამ თავისებურებათა გამოვლენასა და გათვალისწინებას ზოგჯერ არსებითი მნიშვნელობა აქვს პოემის ტექსტის კრიტიკული შესწავლისათვის. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებო მაინც მსაზღვრელი სახელის ადგილის საკითხია რუსთაველის ლექსში. აქ უმთავრესად სწორედ მსაზღვრელი სახელის ადგილთან დაკავშირებული საკითხებია განხილული.

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში მსაზღვრელ-საზღვრულის ორგვარი წყობა გვქონდა: პოსტპოზიციური (მომდევნომსაზღვრელიანი) და პრეპოზიციური (წინამავალმსაზღვრელიანი). მაინც ძველ ქართულში მსაზღვრელი უპირატესად პოსტპოზიციური იყო.

პრეპოზიციური წყობისას მსაზღვრელი მტკიცედაა დაკავშირებული საზღვრულთან და არ შეიძლება მიეკედლოს შესიტყვების სხვა წევრს, კონსტრუქცია დახშულია; პოსტპოზიციური წყობისას ეს მტკიცე კავშირი დარღვეულია: სასაზღვრის მომდევნო მსაზღვრელი ადვილად შეიძლება მიეკედლოს შესიტყვების შემდგომ წევრს — სახელს, კონსტრუქცია ღიაა[1].

ამის გამოა, რომ პოსტპოზიციური წყობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსაზღვრელი სახელის შეთანხმებას სასაზღვრთან ბრუნვასა თუ რიცხვში; ამით გამოირიცხება სხვა სახელთან მისი დაკავშირების შესაძლებლობა, კონსტრუქცია დახშული ხდება.

პრეპოზიციური წყობისას მსაზღვრელის სასაზღვრთან რიცხვსა თუ ბრუნვაში შეთანხმების საჭიროება არ არსებობს. ამიტომაა,

[1] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 047, 049.

რომ პრეპოზიციური მსაზღვრელი იჩენს ბრუნვის ნიშნების ჩამოკვეცის ტენდენციას.

ახალ სალიტერატურო ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა გაბატონდა და მსაზღვრელის ბრუნვის ნიშნების ჩამოკვეცაც გაძლიერდა; მრავლობით რიცხვში შეთანხმებაც მსაზღვრელისა საზღვრულთან მოიშალა და აქა-იქ თუღა შეგვხვდება, როგორც გარკვეული სტილებრივი ხერხი.

„ვეფხისტყაოსანში“ ორივე წყობა მოიპოვება, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ პოემის ენა ამ მხრივ აღარ წარმოგვიდგენს ძველი ქართულის ნორმებს, იგი პრინციპულად ახალ ქართულს ეკედლება.

„ვეფხისტყაოსნის“ ენა უბრწყინვალესი და უთამამესი ლექსის ენაა, ლექსის ენა კი, როგორც ცნობილია, არაერთ თავისებურებას და, ამასთან, გარკვეულ თავისუფლებას იჩენს პროზის ენასთან შედარებით. ლექსის ენა თავისუფლებას იჩენს მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ლექსში არაერთი შემთხვევა შეიმჩნევა მსაზღვრელ-საზღვრულის ჩვეულებრივი წყობის დარღვევისა, მსაზღვრელი სახელის თავისუფლად გადაადგილებისა. ეს შეიძლება ლექსის აღნაგობის მოთხოვნილებით იყოს გამოწვეული ან ლექსში მხატვრული შინაარსის უფრო მკვეთრად გამოვლენის მიზნით იყოს ჩადენილი, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. არსებითი ისაა, რომ ლექსი იძლევა საშუალებას, შესიტყვების შინაარსიც შეუბღალველად დარჩეს და ამავე დროს პოეტურ თავისუფლებასაც ფართო ასპარეზი მიეცეს.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მომდევნო მსაზღვრელი (ნანათესაობითარი მსაზღვრელი) ძველ ქართულში შეთანხმებული იყო საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში, ამასთან, მსაზღვრელს ყველა ბრუნვის ფორმა მოეპოვებოდა. როცა ჲ გაქრა ენაში და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი დიფთონგები მოიშალა, ამ ფაქტმა შედეგად ისიც მოგვცა, რომ ასეთი მსაზღვრელის ბრუნება დეფექტური გახდა: ახალ ქართულში მას აღარ მოეპოვება ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების ფორმები. ქალაქისა ქართლისაჲსა და ქალაქითა ქართლისაჲთა ფორმების ბადალი ახალ ქართულს აღარ გააჩნია. ჲ სახელობით ბრუნვაშიც გაქრა, მაგრამ მსაზღვრელს საზღვრულთან მტკიცედ დამაკავშირებლად ემფატიკური ა ხმოვანი შემორჩა, რომელიც პრეპოზიციური წყობისას მსაზღვრელს აღარ შეიძლება ჰქონდეს, და ამის გამო მსაზღვრელი მომდევნო სახელს ვეღარ და-

უკავშირდება. ემფატიკური ა ხშავს კონსტრუქციას. ესაა ნორმა ახალი ქართული სალიტერატურო ენისა[2].

შემდგომ, ახალ ქართულში, ლექსის ენამ თავისი ფორმები გაიჩინა. ემფატიკური ა ხმოვნის სწორედ ეს თვისება გამოიყენა ლექსის ენამ, ნანათესაობითარი მსაზღვრელის სახელობითის ფორმა გააბატონა ყველა ბრუნვაში და, ამრიგად, ნანათესაობითარი მსაზღვრელის ერთი უნიფიცირებული, უდეფექტო ბრუნება შექმნა სალიტერატურო ენის დეფექტურის საპირისპიროდ. ლექსის ენაში შესაძლებელი გახდა ნანათესაობითარი მსაზღვრელის საზღვრულთან ასეთი შეწყობა: **მოთხრობითში** — „ცისკარმა დილისა“, „მქადაგებელმა ძმობისა“, „ნდომამ მღერისა“ (ვაჟა); „ფერფლმა ნუშისა“, „ელვამ შენი ტანისა“ (გ. ლეონიძე). **მიცემითში** — „ჯართა ქართლისა“ (ნ. ბარათაშვილი); „გამმრავლებელსა მკვდრებისა“, „მტირალს ბედისა“ (ვაჟა); „შორსმჭვრეტელობას ბეცისა“ (აკაკი); „ბილიკებს ჰიჩოს თავისა“ (ა. კალანდაძე). **მოქმედებითში** — „ფრთებით პეპელისა“, „სურნელებით ბურბუშელისა“ (გ. ლეონიძე); „უვავილებით ქანაობისა“ (ა. კალანდაძე). **მიმართვის ფორმაში** — „ბედო შავპირო, უპირო, ამრევო გზა და კვალისა“ (აკაკი); „ნადუღო დედაჩემისა“ (ვაჟა); „ფარხმალო მამა-პაპისა“, „კუნწულავ იაგუნდისა“, „მიწავ ქართლისა“ (გ. ლეონიძე).

ბრუნვაში შეთანხმება საჭირო აღარაა იმისათვის, რომ კონსტრუქცია დაიხშას, ამისათვის ემფატიკური ა ხმოვნის დართვაა საკმარისი. ბრუნვაში შეთანხმებულ, მაგრამ დეფექტურ, ბრუნებას შეუთანხმებელი, მაგრამ უდეფექტო, ცვლის.

მეორე მხრივ, ახალი ქართული ლექსის ენაში ნანათესაობითარი პოსტპოზიციური მსაზღვრელი ემფატიკური ხმოვნის უმისოდაც შეიძლება იხმარებოდეს სწორედ იმავე სახით, როგორც ამნაირივე პრეპოზიციურად დასმული მსაზღვრელი და, რასაც ვერ აიტანდა ენა პროზისა, ის ადვილი ასატანი გახდა ლექსის ენისათვის. გაჩნდა პოსტპოზიციურად დასმული მართული მსაზღვრელი და გავრცელდა მსაზღვრელის საზღვრულთან ასეთი შეწყობა: **სახელობითში** — „ვალი ხრესილის“ (**ბეს. გაბაშვილი**); „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების“ (**ნ. ბარათაშვილი**);

---

2 არნ. ჩიქობავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 037.

„დრო ანგარიშის“, „წმინდა სისხლი წამებულის“ (ილია); „ნიშანი დიდი ქრისტიანობის“ (აკაკი); „ნაძოძი ტყვიის“ (ვაჟა); „მღვრელი ცრემლის მწარის“, „დრო დავითის და თამარის“ (დუტუ მეგრელი); „ჟრჟოლა ჩამოქაფული ჩანჩქერის“ (გ. ლეონიძე); „ტყე ჰიაურის“ (ს. შანშიაშვილი); „სევდა დიდ ტრამალების“ (ტ. ტაბიძე); „წიგნი ცის და დედამიწის“, „მზე შემოდგომის“, „ძაფი ნერვის“, „წვეთი სისხლის“ (გ. ტაბიძე). მოთხრობითში—„მკვლელმა დედამთილის“ (ბეს. გაბაშვილი); „გულმან ირაკლის“ (ნ. ბარათაშვილი); „წესდებამ ჰიაღუეთის“ (ვაჟა); „მეტოქემ მთვარის“ (ლ. ასათიანი). მიცემითში — „ზრუნვასა მეფის“ (ნ. ბარათაშვილი); „იტყვი სიმღერას თავისუფლების“ (ილია); „სახელს პირიმზის“ (გ. ლეონიძე); „ოცნებას მკათათვის“ (გ. ტაბიძე). მიმართვის ფორმაში — „მომცემო შვების“ (ბეს. გაბაშვილი); „მეგობარნო ჩემ უმაწვილ ყრმობის“ (ილია); „ქედო მშობლიურ ლიხის“ (გ. ტაბიძე); „ენავ თამარის“, „ცრემლო სამარის“ (ირ. აბაშიძე).

თუ სიტყვათწყობა საერთოდ ლექსისა განსხვავებულია პროზის სიტყვათწყობისაგან, რაღა უნდა ითქვას რუსთაველის შესახებ, რომელიც ძალიან დიდ თავისუფლებას იჩენს ამ მხრივ, თავისუფლად ეპყრობა სიტყვის ადგილს ფრაზაში. ეს თავისუფალი მოპყრობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სწორედ ნათესაობით ბრუნვაში დასმული (მართული) მსაზღვრელი სახელის ადგილს. ასეთი მსაზღვრელი ხშირად ნებისმიერადაა გადაადგილებული ფრაზაში ლექსის მოთხოვნილების შესაბამისად.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისას სირთულეები იქმნებოდა და ახლაც იქმნება იმის გამოც, რომ ცნობილ ფაქტებს ან სრულიად არ ეწეოდა ანგარიში, ან ანგარიში ეწეოდა არასაკმარისად. კერძოდ, რადგანაც მხედველობაში არ იყო მიღებული რუსთაველის ლექსის სიტყვათწყობის არაერთი თავისებურება, ამიტომ ჯეროვნად ვერ ფასდებოდა ხელნაწერთა მონაცემები, ხელნაწერებში კი სიტყვათწყობასთან დაკავშირებით მრავალი ცვლილება და გაუგებრობაც გვხვდება: გადამწერთ არ ესმოდათ ზოგი ადგილი პოემისა და თავიანთი შეხედულებისამებრ ასწორებდნენ, გაუგებარს თავიანთი თვალსაზრისით გასაგებად ხდიდნენ. ბევრი ამგვა-

რად შესწორებული ადგილი შემდგომ ერთადერთ მართებულ წაკითხვად იქნა მიჩნეული და დამკვიდრდა პოემის ტექსტში. ამიტომაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მრავალი ადგილი არამარტო დადგენას საჭიროებს, არამედ აღდგენას მოითხოვს.

ზემოთ აღნიშნული იყო ნანათესაობითარ მსაზღვრელთან დაკავშირებული ერთი მოვლენა ახალ ქართულ ლექსში. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა XIX საუკუნეში იყოს წარმოშობილი. იგი გაცილებით ადრე ჩანს შექმნილი. ჩამოყალიბებული სახით თუ არა, ჩანასახის სახით იგი „ვეფხისტყაოსნის“ ენაშიც შეინიშნება. განვიხილავთ ორიოდე მაგალითს.

პოემის 1347-ე სტროფის პირველი ტაეპი ასე იკითხება: „დაუწყეს პყრობა ტაიჭთა ფრიდონის უკეთესებსა“. ეს შემდეგს ნიშნავს დაუწყეს პყრობა (ჭერა) ფრიდონის უკეთეს (საუკეთესო) ტაიჭებს. ტაეპში ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი სახელი (ფრიდონის) სასაზღვრის (ტაიჭთა) შემდეგაა დასმული, **უკეთესებსა**- სიტყვის წინ, ამასთან, სასაზღვრთან ბრუნვაში შეთანხმებული არაა, ემფატიკური ა ხმოვანიც კი არ ერთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ კონსტრუქცია ღიაა; ამდენად, იქმნება შესაძლებლობა, რომ ეს მსაზღვრელი **უკეთესებსა** სიტყვას შეეხამოს და ფრაზის აზრი დამახინჯებულად იქნეს გაგებული **(ფრიდონის უკეთესებსა!)**.

ეს მოვლენა იმავე რიგისა ჩანს, რომელიც ზემოთ იყო ნაჩვენები ახალ და უახლეს ქართულ ლექსში. ეს ტაეპი წარმოადგენს რუსთაველის ერთ-ერთ თამამ კონსტრუქციას, რომელშიც სიტყვათა ჩვეულებრივი წყობის დარღვევა იმითაა ანაზღაურებული, რომ აძის შედეგად მიღებული სინტაგმა **(ფრიდონის უკეთესებსა)** ტაეპში შეუძლებელია მნიშვნელობის თვალსაზრისით.

დაახლოებით ამგვარივე სურათია 1466-ე სტროფში, რომლის უკანასკნელი ორი ტაეპი ასე იკითხება:

„კვლა მოაქვს ერთი ტაბაკი, მძლედ საჭირავი ხელისა,
ავთანდილისთვის ლომისა ძღვენი ფრიდონის ქველისა“.

აქაც პოსტპოზიციურად დასმული მართული მსაზღვრელი გვაქვს: სასაზღვრია **ძღვენი**, მსაზღვრელია **ფრიდონის**. კონსტრუქცია სინტაქსური თვალსაზრისით ღიაა, მაგრამ მომდევნო სიტყვასთან ამ მსაზღვრელის დაკავშირების შესაძლებლობა მაინც გამორიცხულია, რამდენადაც ეს მომდევნო სიტყვა **(ქველისა)** თვითონ წარმოადგენს ამ მართული მსაზღვრელის მსაზღვრელს.

ასეთივე სურათია 1325-ე სტროფში: „მონახა, პოვა ავთანდილ ნავი მისისა მხარისა, გამოემართა იგი მზე, პირითა სავსე მთვარისა, მაგრა დაგდება უმძიმდა ფატმანის გულმწუხარისა...“, ოღონდ მსაზღვრელი **(ფატმანის)** ზმნითაა გათიშული საზღვრულისაგან **(დაგდება)**. მსაზღვრელის მომდევნო სიტყვა **(გულმწუხარისა)** ამ შსაზღვრელის მსაზღვრელია.

ამავე სტროფში ყურადღებას იქცევს მეორე ტაეპი — „გამოემართა იგი მზე, პირითა სავსე მთვარისა“. **პირითა მთვარისა** არსებითად იმავე რიგის ფაქტს წარმოადგენს, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი და XIX-XX საუკუნეთა ქართული ლექსებიდან სათანადო მაგალითებიც იყო მოხმობილი: ემფატიკურხმოვნიანი პოსტპოზიციური მსაზღვრელი ბრუნვაში არაა შეთანხმებული სასაზღვრ სიტყვასთან, რომელიც მოქმედებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

ამ რიგის მოვლენებსვე ეკედლება 1328-ე სტროფის მეოთხე ტაეპში დადასტურებული ერთი შემთხვევაც: „სულთქვნა, რა ნახა ყვავილი მან, **უნახავმან ხანისა**“, რომელშიაც სასაზღვრი მოთხრობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

სხვა ტიპის მსაზღვრელთა ადგილიც ძალიან ხშირად თავისუფალია, ე. ი. მსაზღვრელი ხშირად დაშორებულია სასაზღვრს და იქაა დასმული, სადაც ამას ტაეპის ესა თუ ის მონაკვეთი მოითხოვს. მაგალითად, 1025-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ასე იკითხება: „შენ გაქვს წამალი ჩემისა მამრთელებელი წყლულისა“. ეს ნიშნავს: შენ გაქვს წამალი, მამრთელებელი ჩემისა წყლულისა; უკეთ: შენ გაქვს ჩემი წყლულის მამრთელებელი წამალი. მაგრამ **წამალ**-სიტყვის მსაზღვრელი **მამრთელებელი** დაშორებულია თავის სასაზღვრს ისევე, როგორც აგრეთვე დაშორებულია თავის სასაზღვრ სიტყვას **(წყლულისა)** ამ უკანასკნელის მსაზღვრელი **ჩემისა**. ბრუნვაში შეთანხმება დაცულია, მაგრამ დარღვეულია სიტყვათწყობა, სიტყვათა ამგვარ თავისებურ წყობას ძველადვე გამოუწვევია გაუგებრობა და ამის შედეგად თარხანმოურავისეულ ხელნაწერში (Z, ოქსფორდული 27) ეს ტაეპი გადაკეთებული სახითაა წარმოდგენილი: „შენ გაქვს წამალი წყლულისა მამრთელებელი გულისა.“

ანალოგიური ვითარება გვაქვს 649-ე სტროფში: „შერმადინ მახარობელი წავა მისვლისა მათისა“, რაც ამას ნიშნავს: წავა შერმადინ, მახარობელი მოსვლისა მათისა.

მარტივი წინადადების ფარგლებში ზოგჯერ შეიძლება ნების-

მიერი განლაგება იყოს სიტყვებისა. ამის ნიმუში გვაქვს 631-ე სტროფში, სადაც გარემოებითს სიტყვებს შორის რეალური სუბიექტის შაგერი მსაზღვრელია ჩასმული: „ვაგლახ მეო, რა გიამბე ფათერაკად, მცთარმან, შმაგად!“

უფრო დამახასიათებელია 846-ე სტროფის მეოთხე ტაეპის ბედი. იგი 1957 წ. გამოცემაში (აგრეთვე 1937 და 1951 წლების გამოცემებში) ასეა წარმოდგენილი: „მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა!“ ეს წაკითხვა ემყარება პოემის რამდენიმე ხელნაწერის (DGHIJKOTUV) ჩვენებას. ასე იკითხება ეს ტაეპი ვახტანგ VI-ის, მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, ს. კაკაბაძის (ორივე), პ. ინგოროყვას (პირველ), მ. წერეთლის გამოცემებშიც. ერთი ხელნაწერი (E—H 599) გვაწვდის წაკითხვას: „მაგრა ჩემის ბედისაგან ავი რამცა გამიკვირდა“. ეს წაკითხვაა წარმოდგენილი გ. ქართველიშვილის, დ. კარიჭაშვილის (ორივე), იუსტ. აბულაძის (ორივე), კ. ჭიჭინაძის გამოცემებში.

არც ერთი ამ წაკითხვათაგანი სწორი არ არის. სწორი წაკითხვაა დაცული ABCFLMNP ხელნაწერებში. აქ იკითხება: „მაგრა ავი ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა“. **გამიკვირდა** ორპირიანი იხვერსიული ზმნაა ვნებითი გვარისა, რომელთანაც **ავი** მორფოლოგიური სუბიექტი და, მაშასადამე, რეალური ობიექტია და არა **ბედისაგან**-სიტყვის მსაზღვრელი სახელი; ე. ი. **ავი** ნათესაობითი ბრუნვის ფორმა კი არ არის, რომელსაც ვითომდა ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ს ელემენტი მოჰკვეცია, პრამედ სახელობითი ბრუნვის ფორმაა. ამრიგად, მთელი ფრაზის ძნიშვნელობა ასეთია: მაგრამ ბედისაგან ჩემი ავი რა გამიკვირდეს!

დანარჩენ წაკითხვათაგან ამ მართებული წაკითხვისაგან მომდინარე ჩანს ზოგი ხელნაწერის ჩვენება — „მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა“ — შემდეგი გზით: **ავი** გაგებულ იქნა **ბედისაგან**-სიტყვის მსაზღვრელად და ამის გამო დაერთო **ს**, ე. ი. მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის სრული დაბოლოებით იქნა წარმოდგენილი. ასეთსავე გაგებას ემყარებოდნენ, როგორც ჩანს, იმ გამოცემათა რედაქციები თუ რედაქტორები, რომლებშიც ეს წაკითხვაა წარმოდგენილი: რაკი **ავი** მსაზღვრელი სახელია, საერთო ნორმის თანახმად იგი ნათესაობით ბრუნვაში სრული დაბოლოებით უნდა იქნეს წარმოდგენილიო. მართებული წაკითხვა ზოგი ხელნაწერისა — „მაგრა ავი ბედისაგან...“ — მეორეულად, ახალ ფორმად იყო მიჩნეული, რომელიც ბოლოკიდური **ს**-ს მოკვეცის შედეგადაა მიღებული. რაც შეეხება წაკითხვას — „მაგრა ჩემის

ბედისაგან ავი რამცა გამიკვირდა“ —, მასში კარგადაა გადმოცემული ტაეპის შინაარსი, მაგრამ ეს წაკითხვა მართებული წაკითხვის მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენს, მისგანაა მიღებული.

ეს ცვლილებები იმან გამოიწვია, რომ საანალიზო ტაეპში ჩვეულებრივი სიტყვათწყობა არ იყო. ორი სხვადასხვაგვარი გადაკეთება ამ ტაეპისა მისი სიტყვათწყობის „განორმალურების“, შემდგომ თაობათათვის გაუგებარის გასაგებად ქცევის ცდას წარმოადგენს და მხოლოდ პირველისაგან შეიძლება მომდინარეობდეს; პირუკუ ვარაუდი— გასაგების უფრო გაუგებრად შემდგომი გადაკეთება — გამორიცხული ჩანს.

უკანასკნელ გამოცემებში — ა. შანიძისა და ა. ბარამიძისაში, 1966 (s), „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, 1966 (t), 1966 წლის საიუბილეო გამოცემაში (u) და პ. ინგოროყვას მეორე გამოცემაში, 1970 (y) — ყველგან 1957 წლის გამოცემის წაკითხვა მეორდება: **...ავის ბედისაგან ჩემი...**[3]

როცა რომელიმე ტაეპში სიტყვათწყობა ჩვეულებრივი არ არის, როგორც ვნახეთ, ამას ტექსტში არსებითი ხასიათის ცვლილებები შეუძლია მოჰყვეს, ტექსტის გადაკეთება ხდება. კიდევ უფრო რთულდება მდგომარეობა, თუ ამავე დროს ტექსტში რაიმე „ძნელი“ სიტყვა ან გამოთქმაა, ისეთი, რომლის მნიშვნელობა აღარ არის ნათელი.

პოემის 541-ე სტროფში გადმოცემულია ტარიელის პასუხი ნესტან-დარეჯანის თათბირზე ხვარაზმელი სასიძოს დახვედრის შესახებ. ამ სტროფის პირველი ტაეპი ასეა დაბეჭდილი 1937, 1951 და 1957 წლების გამოცემებში: „მე ვჰკადრე: ღმერთმან აშოროს მას ყმასა შენი ქმარობა“. ამგვარადვეა დაბეჭდილი ეს ტაეპი ყველა სხვა გამოცემაში, გარდა მ. ბროსეს და დ. ჩუბინაშვილის გამოცემებისა, რომლებიც ვახტანგ VI-ის გამოცემას მისდევენ; ამ უკანასკნელში კი იკითხება: „მე ვჰკადრე: ღმერთმან აშოროს მის ყმისა შენი ქმარობა“. ვახტანგის წაკითხვა გაიმეორა ს. კაკაბაძემ თავის მეორე გამოცემაში, პირველ გამოცემაში კი პირველი წაკითხვა ჰქონდა, რომელიც გ. ქართველიშვილის გამოცემისაგან დამკვიდრდა. ვახტანგის გამოცემა ხელნაწერთა უმრავლესობის წაკი-

---

[3] ამ გამოცემათათვის ამ შემთხვევაში ვიყენებთ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ლიტერებს. ქვემოთ ეს გამოცემები ყველგან ამ ლიტერებითაა აღნიშნული.

თხვას იმეორებს, მხოლოდ ოთხ ხელნაწერში (CFLE) იკითხება: „...ღმერთმან აშოროს მას ყმასა შენი ქმარობა“.

ამ ტაეპის ერთადერთი მართებული წაკითხვა ისაა, რომელიც ხელნაწერთა უმრავლესობაშია წარმოდგენილი და ვახტანგის გამოცემაში მოიპოვება. ამჟამად გაბატონებული წაკითხვა ამ ტაეპისა კარგ მაგალითს წარმოადგენს იმისას, თუ როგორ იცვლებოდა ხშირად წინა გამოცემების მართებული წაკითხვა შემდგომს გამოცემებში უმართებულოთი.

პირველ ყოვლისა გასათვალისწინებელია მნიშვნელობა გამოთქმისა **„ღმერთმან აშოროს“** და სიტყვათწყობა ტაეპისა.

აშოროს-ზმნა ამ სტროფის გარდა „ვეფხისტყაოსანში“ კიდევ ორ შემთხვევაში გვხვდება, ოღონდ პირველი ობიექტური პირის ფორმით.

563-ე სტროფში ვკითხულობთ:

„მე შევუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილთა ალისა?
მაგრა თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა,
მე, თქვენმან მზემან, **მაშოროს** ნდომა თქვენისა ქალისა“.

1193-ე სტროფში კი ასეთი ტაეპები მოიპოვება:

„არ ვარგვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდეგანია,
მაშოროს ღმერთმან მამაცი, პირად მზე, საროტანია!“

მეორე შემთხვევაში გვაქვს **„ღმერთმან მაშოროს“**, პირველ შემთხვევაში — მხოლოდ **„მაშოროს“**, მაგრამ **„ღმერთმან“** აქაც ივარაუდება. ორივე შემთხვევაში ზმნაში ობიექტი ჩანს (პირველ შემთხვევაში **ტარიელი**, მეორეში — **ნესტანდარეჯანი**) და ობიექტისათვის, ვისაც ღმერთმა უნდა რაღაც აშოროს, ეს აშორება სასურველია, სანატრელია, ეს **„(ღმერთმან) მაშოროს“** ობიექტისათვის კეთილი სურვილის შემცველი ფორმულაა[4]. ასეთივე მნიშვნელობისა აღმოჩნდებოდა ეს გამოთქმა საანალიზო ტაეპშიც, თუ გავიზიარებდით წაკითხვას — „ღმერთმან აშოროს მას ყმასა შენი ქმარობა“, გამოვიდოდა, რომ ნესტანის ქმრობა ხვარაზმშას ვაჟისათვის არაა სანდომი და ტარიელი უსურვებს მას, ასცილებოდეს ეს უსიამოვნება.

რა თქმა უნდა, ამ წაკითხვის მომხრეები ასე არ ფიქრობენ და არც შეიძლება რომ ფიქრობდნენ, მაგრამ სხვაგვარი,საწინააღმდე-

[4] საქმის ვითარებას არ ცვლის, რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ, როცა ტარიელი მეფეს უთელის — „მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა“-ო — იგი ასე განზრახ, გარკვეული მოსაზრებით იქცევა.

გო მნიშვნელობა ამგვარად აგებულ ფრაზას შეუძლებელია ჰქონდეს, ამ ფრაზის შინაარსი მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ.

ასეთივეა ეს ზმნა მეორე და პირველი ობიექტური პირის ფორმით შემდგომს მაგალითებში: „არა არს ნაცვალი შენი, მეფეო, **გაშოროს** მოკვლა თათართაგან"[5]; „თაგვმა უთხრა: **ღმერთმან მაშოროს**, მე ჩემის პაემნის პირისახე უპირობისა მწვირითა შევსვაროო"[6].

მაგრამ ამ ზმნის ობიექტი ზოგჯერ გაუჩინარებულია ან განუსაზღვრელადაა წარმოდგენილი.

„კიდევ სარჩლა ბატონმან მოურავმან... ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: **აშოროს ღმერთმან**, ჩემის გულისათვის არცა რა დაგმარცხებია, არც ჩემი საქმობით წაგხდარხარ..."

„ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: **აშოროს ღმერთმან**, არც ჩემი საქმობითა და არც ჩემი სიტყვითა მომსმინოს კაცის პირითა ამ ხუთსა მსახურსა და აზნაურისშვილსა არცა რა დამართებია და არც მე დამიბეზღებია და არც ჩემი საქმობით ისინი დაჭირულან, როცა არდაშელის შვილმა არ დაიჭიროო და მისი საქმობით იქნაო..."

„ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: **აშოროს ღმერთმან**, რასაც დროსა და ჟამსაო ფარსადანთან ლაშქრისათვის მივსულიყო ან ბატონის მოურავის თავს დასხმა და სიკვდილი გამოეჩინოსო და ან მისად სასიკვდილოდ წამოვსულიყო, თავადამც ღ[ა]თის შემცოდე ვიქნებიო და მერმე სრულად ქართველთაც..."

„ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: **აშოროს ღმერთმან**, ვერც მართლად ბატონი მოურავის ქალის მოცემა შემეტყოსო და არც ბატონს მოურავს ქალს დაუგდებდიო და არც დამეგდოსო და, თუ მართლად შემეტყო, რომ ქალი მოეცა, არც მოურავის უკეთესი სხვა მდომოდა..."

ეს მაგალითები ამოღებულია განჩინებიდან მოურავის გიორგი საააკაძის და ქაიხოსრო ჯავახიშვილის დავის გამო[7]. ყველა ამ შემთხვევაში ობიექტი გაუჩინარებულია და ზმნა განუსაზღვრელპირიანად არის წარმოდგენილი. ბრალდებასა თუ სარჩელზე უარის

---

5 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II: ქამთაა-ღმწერელი, თბილისი, 1959, გვ. 288.

6 ქილილა და დამანა, ა. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1964. გვ. 414.

7 საქართველოს სიძველენი, ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1909, გვ. 51—61.

თქმისას ეს ფრაზა იყო გამოყენებული სამართლის წარმოებისას ძველ საქართველოში და ცნების გამომხატველი სათანადო ტერმინიც კი შემუშავდა: **„აშოროს“** ან **„აშორო“**. ეს ტერმინი ამ ძეგლშიც არის გამოყენებული.

„კიდევ ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: პურიც მის ბარობაზედ ბოგეცო, რომე მისი თავი და მოყვრობა მინდოდაო, მაგრამ ვერც წინათ და ვერც უკანით მართალი პასუხი ვერა შევიტყეთ რაო. და აძისი **აშორო** თქვა“[8].

„ამ ორს **აშოროზედ** ფიცი გაუჩნდა. ეს **ორი აშორო** ერთი იყო; თუ დაიფიცოს, არა ზედა აც, და, თუ ვერ დაიფიცოს, რა რიგათაც გაგვეჩინოს, სისხლი მისცეს“[9].

ეგევე ტერმინი სხვა ძეგლებშიც გვხვდება, მათ შორის მხატვრული ლიტერატურის ძეგლებშიც.

როსტომ მეფის განჩინების წიგნში ვკითხულობთ:

„ამაში პატამა და პაპუნამ ასე უპასუხეს: ტყუილად ამბობო, თორე ყველგან კელი გუაქვსო და სასაფლაოც სასწორიოდა გუქოხებიაო. ამაზე ყაფლან სახლის უხუცესმან **აშოროს** უპასუხა: თქუენ ერთის ეკუდრის მეტი არა გქონებიათო“[10].

არჩილ მეფის მიერ გალექსილ „ვისრამიანში“ ასეთი სტროფები მოიპოვება:

„მოაბად გამიჯნურება ამცნო გარდმოვლით შაროსა:
მან თქვა: „ვინ აუგისათვინ საწუთროს მიაშუროსა,
მიენებების ყმასავით, არ ეტყვის არ **„აშოროსა“**,
მერმე გაჰკიცხავს, ესე მე, მეფევე, შორს მომეშოროსა!“[11]

„თუმც ვიწვი მის‌თვის, მას ღმერთმან სიკეთე ნუ მოაშოროს,
რაზომ დიდს ჭირსა ვაბევარ, რა მათქმევინებს **„აშოროს?“**[12]

ეგევე ტერმინი გვხვდება „ქილილა და დამანაში“:

„ხელმწიფემ ცოლს მოუწოდა და ამა ხრიკითა საქმე გამოჰკითხა და ძალმიცემით თქმა დაუყინა. მან ქალმან ივარძმა და **„აშოროსა“** იტყოდა“[13].

---

8 საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 57.

9 იქვე, გვ. 58.

10 იქვე, გვ. 123.

11 არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, ტფილისი, 1936, გვ. 148.

12 იქვე, გვ. 189.

13 ქილილა და დამანა, გვ. 561.

რომ ეს ტერმინი საყოველთაოდ ხმარებული იყო სამართალში ჯდომისას, ამას მოწმობს „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. იქ ნათქვამია:

„მამულისა თუ რასაც ფერის ვანაჩენი რომ იყოს ჯელმწიფესაგან გასამართლებული თუ სხვის მოსამართლისაგან გაჩენილი, ის მეფე და მოსამართლე რომ გარდაცვალებულიყოს და ბოლოს ის განაჩენი მოიტანონ და არც ის საქმე გარიგებულიყოს და იმ მოლაპარაკეს ის მამული თუ სადაო ისრევ ჯელთ ეჭიროს და **„აშოროს“** ამბობდეს, ეგ განაჩენი ჩვენთან საჩივრით სამართალში არ არის დაწერილიო და ტყუილად გასინჯვით მარტო თქვენ აგიღიათო, — თუ იმავ მეფის დროს მოვიდეს ის ლაპარაკი, მეფემ მოსაძართლეთა და დამწერთა უნდა უწყინოს და გარდააჯდეინოს, შეცდომით განაჩენი რატომ დააბეჭდინეს“[14].

რაკი გავითვალისწინეთ მნიშვნელობა გამოთქმისა **„ღმერთმან აშოროს“**, ძნელი აღარ არის დაფასება საანალიზო სტროფის პირველი ტაეპის სხვადასხვაგვარი წაკითხვებისა. ტრადიციულ, ხელნაწერთაგან და ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე, წაკითხვას — „ღმერთმან აშოროს მის ყმისა თქვენი ქმარობა“ უპირისპირდება ამჟამად გავრცელებული „ღმერთმან აშოროს მას ყმასა თქვენი ქმარობა“. ამ უკანასკნელ შემთხვევაში **ყმასა** გაგებულია, როგორც ბრუნვაუცვლელი, პირის ობიექტი, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სრულიად ამახინჯებს აზრს. სწორია ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე წაკითხვა „ღმერთმან აშოროს მის ყმისა თქვენი ქმარობა“. გამოთქმაში **„ღმერთმან აშოროს“ აშოროს**-ზმნა განუსაზღვრელპირიანადაა წარმოდგენილი და მნიშვნელობა ასეთია: ღმერთმა დაიფაროს, ღმერთმა ნუ ქნას, ხოლო მთელი ტაეპის შინაარსი ასეთია: მე ვჰკადრე (გავუბედე): ღმერთმა ნუ ქნას (ღმერთმა დაიფაროს), რომ ის ყმა შენი ქმარი გახდეს (შენი ქმარი იყოს).

ტაეპის შემდგომ გადაკეთება გამოიწვია იმან, რომ, ჯერ ერთი, გამოთქმაში **„ღმერთმან აშოროს“ აშოროს**-ზმნა ჩვეულებრივ ობიექტებიან ზმნად იქნა გაგებული, და, მეორე, იმან, რომ ტაეპის მეორე ნახევარში სიტყვათწყობა არ იყო ჩვეულებრივი, პროზული ტექსტისათვის დამახასიათებელი. აქ ლექსის სიტყვათწყობაა, ამასთან, არც ჩვეულებრივი: ღმერთმა აშოროს ქმარობა, ქმარობა შენი, ქმარობა მის ყმისა. ტაეპი გაამარტივეს, ნათესაობითი

14 სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი.დ ო ლ ი ძ ე მ, თბილისი, 1963, გვ. 534.

ბრუნვის ფორმა **მის ყმისა** მიცემითით შეიცვალა **(მას ყმასა)** და **ქმარობა**-სიტყვის მაგიერ **აშოროს**- ზმნას დაუკავშირდა, მის ბრუნვაუცვლელ ობიექტად იქნა გაგებული.

განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისას თითოეული ცალკე სტროფის საკითხი განიხილება არა სხვა ანალოგიურ ფორმებთან დაკავშირებულად, არამედ იზოლირებულად, სხვა სტროფებისაგან მოწყვეტილად. ამის გამოა, რომ ერთ სტროფში თუ სწორდება რაიმე, სხვა სტროფებში ანალოგიური მოვლენები ხელუხლებლად რჩება. ზოგჯერ გასწორება მართებულია და სინანულს იწვევს ის გარემოება, რომ ანალოგიური ადგილები არ სწორდება, რომ ტექსტის კრიტიკას სისტემური ხასიათი არა აქვს, შემთხვევითია. მაგრამ, როცა გასწორება მცდარია, მაშინ კმაყოფილების გრძნობა იპყრობს კაცს, რომ ანალოგიური მოვლენა თუ მოვლენები ვერ იქნა შემჩნეული. სწორედ ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც: საანალიზო სტროფში სიტყვათწყობა „გასწორდა“, მაგრამ ხელუხლებლად იქნა დატოვებული იქვე, 523-ე სტროფში, სავსებით ანალოგიური წყობა სიტყვებისა:

„მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა,
მათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა“ .

ეს ნიშნავს: მათ წინდაწინვე დაეპირათ (განეზრახათ), რომ ის ყმა შენი ქმარი გამხდარიყო, ყოფილიყო. აქ არამარტო წყობაა სიტყვებისა იმნაირივე, არამედ სიტყვებიც კი იგივეა განმეორებული: **მის ყმისა შენი ქმარობა და იმა ყმისა შენი ქმრობა.**

უახლეს გამოცემათაგან stu-ში სწორი წაკითხვა დაიბეჭდა: მე ვჰკადრე: „ღმერთმან აშოროს მის ყმისა შენი ქმარობა“; y ამავე წაკითხვას იმეორებს, მაგრამ სრულიად გაუგებარი პუნქტუაციით: მე ვჰკადრე: „ღმერთმან აშოროს! — მის ყმისა შენი ქმარობა?!“ (ასეა!).

ანალოგიური ვითარება გვაქვს ზოგ სხვა სტროფშიც.

პოემის 420-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ასე იკითხება: „სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ შესასხდომლად მზობასა“. განსხვავებული წაკითხვა მხოლოდ ს. კაკაბაძის გამოცემაში მოიპოვება: „სრულად სპათასა ვერ გითხრობ არ შესხდომასა მზობასა“, რაც ზოგი ხელნაწერისაგან მომდინარეობს. მაგარმ ამ შემთხვევაში ტაეპის შინაარსი ნათელი არაა. თუ გავითვალისწინებთ სიტყვათწყობის იმ თავისებურ შემთხვევებს, რომლებიც ზემოთ

იყო აღწერილი, დავრწმუნდებით, რომ არც ტრადიციული წაკითხვაა სწორი და ერთადერთი მართებული წაკითხვა დაუცავს H 54 ხელნაწერს, სადაც იკითხება: „სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ შესხდომისა მზობასა“. ეს ნიშნავს: ვერ გითხრობ შესხდომის არ მზობას (მზაობას, მზად ყოფნას) სრულთა სპათასა, ე. ი. სრული სპა, მთელი სპა შესხდომისათვის (ამხედრებისათვის) მზად იყოო.

უახლოეს გამოცემათაგან tuy ძველ წაკითხვას იმეორებენ; მხოლოდ s-შია წარმოდგენილი მართებული წაკითხვა: **არ შესხდომისა მზობასა.**

ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვათწყობისა კიდევ ისაა, რომ, როდესაც ზმნასთან დაკავშირებული ერთგვარი წევრებია ჩამოთვლილი და ამ ერთგვარ წევრებს საერთო მსაზღვრელი ახლავს, ეს მსაზღვრელი პირველ, ზმნასთან უახლოეს წევრთან შეიძლება არ იყოს, შეიძლება სულ უკანასკნელს ახლდეს:

„თავმოხდილსა დაუშვენდა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი“
(1310).

ამ ტაეპში **თმათა** მსაზღვრელია არა მარტო **ფერი**-სა, არამედ **სისხო**- და **სიგრძე**- სიტყვებისაც, მაგრამ ეს ტაეპის დასასრულამდე არ ჩანს. გადამწერთ ამისთვისაც მიუქცევიათ ყურადღება, უხერხულად მიუჩნევიათ ასეთი დალაგება სიტყვებისა და უცდიათ, მსაზღვრელი წინ გადმოესვათ. მართლაც, ზოგ ხელნაწერში „სისხო, სიგრძე, თმათა ფერი“-ს ნაცვლად იკითხება: „სისხო თმათა, სიგრძე, ფერი“.

615-ე სტროფის პირველი ტაეპი — „კვლა სხვასა მივე, მოვჰკიდე ხელი ნავისა ბაგესა“[15] — გაუგებრად მიუჩნევია ზოგიერთი ხელნაწერის გადამწერს და ასე გადაუსწორებია: „კვლა მიველ, სხვასა მოვჰკიდე ხელი ნავისა ბაგესა“ (HN), მაშინ, როდესაც ამ ტაეპში სწორედ დამახასიათებელი წყობაა სიტყვებისა: კვლა, სხვასა, მივე, მოვჰკიდე ხელი ნავისა ბაგესა (კვლა მივე, სხვასა ნავისა ბაგესა მოვჰკიდე ხელი).

სწორედ იმის გამო, რომ თავისებური სიტყვათწყობის მიზეზით შინაარსი დაბნელებულია, უნდა იყოს მომხდარი ცვლილებები

---

15 ასეა დაბეჭდილი უკანასკნელ გამოცემებშიც (sluy); პუნქტუაცია გასასწორებელია (იხ. აქვე, ქვემოთ).

1030-ე სტროფის მესამე ტაეპის დაწერილობაში ჯერ ხელნაწერებში, შემდგომ კი გამოცემებშიც. 1937, 1951 და 1957 წლების (აგრეთვე პ. ინგოროყვას პირველ) გამოცემებში სტროფი ასე იკითხება:

„უსამ იყო ქარავნისა უხუცესი, კაცი ბრძენი.
მოახსენა ხოტბა სრული, დალოცა და უქნა ზნენი.
ჰკადრეს: „ხმელთა სინათლეო, შენ ამოხვე ჩვენი მლხენი,
ჩამოხე და მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი“.

ვახტანგ VI-ის გამოცემაში უკანასკნელი ორი ტაეპი ასეა წარმოდგენილი:

„ჰკადრეს: „მზეო, სიცოცხლე და შენ ამოჯე ჩვენი მლხენი,
ჩამოჯე და მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი“.

ამ უკანასკნელ წაკითხვას ზოგიერთი ორთოგრაფიული სხვაობით იმეორებს გამოცემები მ. ბროსესი, დ. ჩუბინაშვილისა, გ. ქართველიშვილისა, დ. კარიჭაშვილისა, ს. კაკაბაძისა, იუსტ. აბულაძისა, მ. წერეთლისა (ბროსეს, ქართველიშვილის, აგრეთვე დ. კარიჭა'შვილისა და იუსტ. აბულაძის პირველ გამოცემებში იკითხება **შენა მოხვე**, ხოლო პ. ინგოროყვას (1953) და მ. წერეთლის გამოცემებში — **შენ ამოხველ**; ბრძანებითის ფორმა **ჩამოჰხე** აქვთ იუსტ. აბულაძეს (I გამ). და პ. ინგოროყვას...).

ცხადია, **ამოხვე**-წაკითხვა 1937 წლის კომისიის ტექსტისაგან მომდინარეობს, კომისიის ტექსტი კიდევ ზოგიერთი ხელნაწერის წაკითხვას ემყარება. ხელნაწერთა უმრავლესობაში ის წაკითხვაა დაცული, რომელიც ვახტანგ VI-ის გამოცემაშია, ოღონდ რამდენიმე ხელნაწერში ამ წაკითხვის თავისებური რევიზიის შედეგია წარმოდგენილი.

საქმე ისაა, რომ სრულიად ნათელი ტექსტი — „ჰკადრეს[16],

16 **ჰკადრეს** მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი ყველა ხელნაწერში. მხოლოდ ერთ, XIX საუკუნის დასაწყისში გადაწერილ, ხელნაწერში იკითხება **ჰკადრა**. ასეც უნდა იყოს, ე. ი. მხოლოობითი რიცხვის ფორმა უნდა გვქონდეს, რამდენადაც რეალური სუბიექტი არის **უსამ**: **უსამ** იყო, **უსამ** მოახსენა და უქნა ზნენი, **უსამ** ჰკადრა. მაგრამ, რადგანაც მესამე და მეოთხე ტაეპებში უსამის ნათქვამია გადმოცემული, ხოლო უსამი ვაჟართა სახელით ლაპარაკობს, ბუნებრივია, ასეთი ფორმები ჰქონდეს ნახმარი: შენ ამოჰკე ჩვენი მლხენი; მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი. ეს ფაქტი გახდა ალბათ იმისი მიზეზი, რომ მხოლოობითი რიცხვის ფორმა (**ჰკადრა**) მრავლობითის ფორმით (**ჰკადრეს**) შეცვლილა ჯერ კიდევ ადრე, პოემის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შექმნამდე. ასეთი ცვლილებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმასაც, რომ მომდევნო ტაეპში ეგეთივე სიტყვა ისევ მრავლობითშია.

მზეო, სიცოცხლე და შენ ამოჰკე ჩვენი მლხენი", რომელიც რუსთაველისათვის დამახასიათებელი თავისებური სიტყვათწყობით გამორჩევა, სწორედ ამ თავისებური სიტყვათწყობის გამო გამხდარა რევიზიის საგანი. ტაეპის შინაარსი ასეთია: უსამი ავთანდილს მზეობით მიმართავს: მზეო, შენ ამოჰკე (აღმოხდი, ამოხვედი) ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი მლხენი (მლხენელი), ჩამოკე [ჩამოხედ ცხენიდან] და მოგახსენებთ ჩვენს ამბავსა და საქმესაო.

იმის გამო, რომ მსაზღვრელი კუთვნილებითი ნაცვალსახელი **ჩვენი** დაშორებულია ერთ-ერთ სასაზღვრს — **სიცოცხლეს** —, ეს სიტყვა უადგილოდ მიუჩნევიათ, ამოუღიათ **მზეო-** მიმართვაც და ორივე ერთად შეუცვლიათ გამოთქმით **ხმელთა სინათლეო**, რაც **ამოჰკე**-ზმნასაც ეგუებოდა, **ამოჰკე** კიდევ ახალი **ამოხვე-ამოხველ-**ით შეიცვალა. ამ ცვლილებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმასაც, რომ მესამე ტაეპში **ჩამოკე** მოიპოვება.

დაახლოებით ასევე მოიქცა 1937 წლის კომისია, ოღონდ **ამოხველ ამოხვე**-თი შეცვალა, პ. ინგოროყვამ კი **ამოხველ**-ფორმა ამჯობინა. stuy-ში მეტ-ნაკლები სიზუსტით აღდგენილია ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე წაკითხვა.

ამ სტროფის უკანასკნელ ტაეპშიც თავისებური განლაგება გვაქვს სიტყვებისა: მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი (=მოგახსენებთ ჩვენს ამბავსა და საქმეს). ამისი ანალოგიური იქნებოდა, მესამე ტაეპში რომ ასეთი განლაგება გვქონოდა (რაც სავსებით შესაძლებელი იყო): შენ ამოკე სიცოცხლე და ჩვენი მლხენი (=ჩვენი სიცოცხლე და მლხენი). .

ჩვეულებრივ, ერთგვარწევრებიან წინადადებაში ერთგვარი ზმნები გარკვეული თანამიმდევრობითაა დალაგებული. მაგალითად, ახგარიში ეწევა იმას, თუ რომელი ზმნით გამოხატული მოქმედება როშელს შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს. შეიძლება თანამიმდევრობის პრინციპი სხვაც იყოს. ყოველ შემთხვევაში ამ თანამიმდევრობას ზმნის მნიშვნელობა განსაზღვრავს. „ვეფხისტყაოსანში" ამ პრინციპებს შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. მაგალითად, როცა ავთანდილი ტოვებს ტარიელს და არაბეთში ბრუნდება, ეს პოემაში ასეა გადმოცემული (სტროფი 669-ე): „რა გათენდა, წამოვიდა, აკოცა და გაეყარა". აქ მეორე (მთავარ) წინადადებაში გარკვეული თანამიმდევრობით დალაგებული სამი ზმნა გვაქვს. ამგვარი წყობა სიტყვებისა ხშირად ტექსტის გადასინჯვის საბაბი გამხდარა: თუ წამოვიდა, მერმე როგორღა აკოცა და გაეყარაო?! ასეთი მსჯელობა არამარტო ჩვენი დროისათვისაა დამახასიათებელი. როგორც

ჩანს, მე-17 საუკუნეშიც ასე მსჯელობდნენ. ცნობილი JT ხელნაწერების გადამწერთ ასეთი ეჭვი დაჰბადებიათ და წამოვიდა გაეგართა-თი შეუცვლიათ, თუმცა, როგორც ვხედავთ, ამას არსებითი გაუმჯობესება არ გამოუწვევია.

რთულ შეკავშირებულ წინადადებაშიც შემადგენელი წინადადებები, ჩვეულებრივ, ერთმანეთთან გარკვეულ საფუძველზეა დაკავშირებული. „ვეფხისტყაოსნის“ სტროფში წინადადებათა ჩვეულებრივი თანამიმდევრობა შეიძლება დარღვეული იყოს. მაგალითისათვის ავიღოთ 222-ე სტროფი:

„ინადირეს, შემოიქცეს მხიარულნი, მინდორს რულნი,
შეიტანნეს დიდებულნი, თავადნი და სპანი სრულნი,
დაჯდა, დახვდეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი,
ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს სრულნი“.

ლაპარაკია როსტევანისა და ავთანდილის შესახებ. პირველი ორი ტაეპი ერთგვარშემასმენლებიან წინადადებას წარმოადგენს: იხადირეს, შემოიქცეს, შეიტანნეს. ზმნა-შემასმენელთა თანამიმდევრობა ჩვეულებრივია: ჯერ შეეძლოთ ენადირათ, მერმე შემოქცეულიყვნენ (მობრუნებულიყვნენ) და მერმე შეეტანათ (თან შეეყვახათ) დიდებულები... ინტერესს იწვევს მესამე ტაეპი: დაჯდა როსტევანი; დახვდეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი როსტევანს. ჩვეულებრივი წყობისას მეორე წინადადება უნდა ყოფილიყო პირველ ადგილზე და პირუკუ, პირველი წინადადება მეორე ადგილზე. მაგრამ არის სხვაგვარად და პოემის ენის თვალსაზრისით აქ არავითარი დაბრკოლება არ არსებობს.

ამ მხრივ საქმე იქამდე მიდის, რომ ზოგჯერ პირველ წინადადებაში რეალური ობიექტი არაა დასახელებული იმის გამო, რომ იგი მეორე წინადადებაში როგორღაც მაინც დასახელებულია. 677-ე სტროფის მესამე ტაეპი ასე იკითხება: „ავთანდილს ცრემლი უყოფდა, უბნობდა თვალ-დაფახული“. ეს ის ადგილია, სადაც ავთანდილი შერმადინს ტარიელის პოვნის ამბავს მოუთხრობს. **ავთანდილს ცრემლი უყოფდა**, რა თქმა უნდა **თვალებს, თვალს**, მაგრამ პირველ წინადადებაში **თვალი** დასახელებული არაა, იგი მეორე წინადადების წევრის **(თვალ-დაფახული)** შემადგენელი ნაწილია, ხოლო ამ რთულფუძიან სიტყვას არც **უყოფდა**-ზმნასთან აქვს რაიმე კავშირი და არც რეალურ ობიექტთან.

იმ მიზეზით, რომ ასეთი კონსტრუქცია გადამწერლებს ვერ გაუგიათ, ზოგჯერ ტექსტი საგრძნობლად შეუცვლიათ, ხოლო ამგვარი ფაქტების გაუთვალისწინებლობის გამო ეს შეცვლილი ტექს-

ტი გამოცემებში მოხვედრილა შენდგომ. მაგალითად, 690-ე სტროფის პირველი ტაეპი ასე იკითხება 1937, 1951, 1957 წლების გამოცემებში და პ. ინგოროყვას (1953) გამოცემაში:

„ქვაბნი წაუხმან დევთათვის, სახლად აქვს დევთა სახლები".

თუ ზოგ ორთოგრაფიულ სხვაობას არ მივაქცევთ ყურადღებას, ეგეგე წაკითხვაა დ. კარიჭაშვილის (მეორე), ს. კაკაბაძისა და კ. ჭიჭინაძის გამოცემებშიც. სხვა ძველ გამოცემებში ვახტანგ VI-ის გამოცემის მიერ ნაანდერძევი წაკითხვაა: „ქვაბნი ომითა წაუხჴან, სახლად აქვს დევთა სახლები". ეს წაკითხვაა ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაშიც. პირველი წაკითხვა არის FIKOT ხელნაწერებში (გადასმით — **დევთათვის წაუხჴან** — IZ-ში). იგი მეორეული ჩანს, მიღებული პირველი წაკითხვისაგან. პირველი წაკითხვით ტაეპი ტიპობრივია რუსთაველისათვის. პირველ ნახევარში ნათქვამია, რომ ქვაბი **ომითაა წახმული**, წართმეული; თუ ვის წაართვა, ეს ტაეპის მეორე ნახევარშია ნათქვამი ირიბად: სახლად აქვს **დევთა** სახლები. ტაეპში ნათქვამია, რომ ქვაბი **წართმეულია, ომითაა წართმეული, დევებისათვისაა წართმეული**, ამჟამად ტარიელს **სახლად დევების სახლი აქვს**. გადამწერი თუ რედაქტორი ვერ მიმხვდარა, თუ რატომ არაა ტაეპის პირველ ნახევარში თქმული, რომ დევებს წაართვა სახლი, და შეუცვლია წაკითხვა **ომითა წაუხმან** წაკითხვით **წაუხმან დევთათვის**.

მეტად საყურადღებოა ერთი გარემოებაც. ზოგჯერ სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტი წინადადებაში დასახელებული არაა, ზმნაში კი მისი მრავლობითობაა აღნიშნული. ამის საფუძველს ის წარმოადგენს, რომ ის სიტყვა, რომელიც წინადადებაში ობიექტად ივარაუდებოდა, მოცდენო წინადადებაშია წარმოდგენილი **-ნ** სუფიქსიანი მრავლობითის სახელობითი ბრუნვის ფორმით, ოღონდ ამ წინადადებაში იგი რეალური სუბიექტია და არა ობიექტი:

„სჯობს, წავიდე, არ გაეტეხნე, კაცსა ფიცნი გამოსცდიან" (914).

არ გაეტეხნე რა? **ფიცნი**. ამ წინადადებაში **ფიცნი** არაა, მაგრამ ბის აღდგენას ვახერხებთ მომდევნო წინადადების მიხედვით. ამ წინადადებაში კი **ფიცნი** რეალური სუბიექტია: **გამოსცდიან ფიცნი**. ამრიგად, ეს სიტყვა პირველ წინადადებასთან არამარტო აზრობრივადაა დაკავშირებული, არამედ სინტაქსურადაც: ზმნა რიცხვშია მასთან შეთანხმებული.

რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაშიც გვხვდება ამგვარი ფაქტები.

„თქვენ უბრძანეთ ჩემ მაგიერ უსენს, ქმარსა ფატმანისსა. გამოგზავნოს, ეამების ნახვა მისი ხსნილსა მისსა“ (1431).

ვინ გამოგზავნოს? რა თქმა უნდა, **ფატმანი**. მაგრამ **ფატმანი** აქ დამოკიდებულ წინადადებაში არსად ჩანს. იგი ჩანს მხოლოდ მთავარ წინადადებაში და ისიც **ქმარ**-სიტყვის მსაზღვრელად და, აგრეთვე, მომდევნო წინადადებაში აზრობრივად (ისიც შეფარვით): „ეამების ნახვა მისი ხსნილსა მისსა“.

საერთოდ, რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაში სიტყვათა წყობა საკმაოდ თავისუფალია. 410-ე სტროფში გვაქვს ასეთი ტაეპი: „უბრძანა, თუ: მოახსენე, ასმათ, დაჯდეს, ამირბარსა!“ აქ ასახსნელი წინადადების ზმნას (**მოახსენე**) ბრუნვაუცვლელი ობიექტი ახლავს (**ამირბარსა**). ასახსნელი წინადადება გაკვეთილია ორად, ზმნა და ობიექტი დაშორებულია ერთმანეთს და მათ შორის ჩასმულია სხვა დამოკიდებული წინადადების შემასმენელი (**დაჯდეს**).

ასევე თავისუფალი განლაგება გვაქვს სიტყვებისა, მაგალითად, 294-ე სტროფში:

„მოვიხედე, მომეწია, რა, პატრონი შენი, ვნახე,
ხელმწიფობით შემებრალნეს, ამად ხელი არ შევახე,
თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა შევუზრახე...“

პირველი ტაეპი პროზად რომ გადმოგვეცა, ასე იქნებოდა: მოვიხედე, რა ვნახე, (რომ) მომეწია პატრონი შენი, ხელმწიფობის მიზეზით შემებრალა და ამიტომ ხელი არ შევახე[17].

მსგავსი შემთხვევები ზოგჯერ ტექსტის გასწორების, შეცვლის საბაბი ხდება, თუმცა ამ შეცვლას ხშირად აკლია მტკიცე საბუთიანობა.

პოემის 339-ე სტროფის პირველი ტაეპები 1937 წ. და მისგან მომდინარე (1951 წ.,1957 წ., პ. ინგოროყვას) გამოცემებში, ხოლო

---

17 ამ სტროფის მესამე ტაეპში **შეუზრახე** იკითხება ხელნაწერებში, ხოლო **შეუზრახე** ან მოდერნიზებული **შევუზრახე** გამოცემებში. მხოლოდ მ. წერეთელმა დაბეჭდა თავის გამოცემაში **შევუზახე**. გასწორება მართებულია და ამდენად სრულიად აუცილებელი, თუ, რა თქმა უნდა, **შევუზახე** გაგებულია არა **შეძახებად** (ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხის ტყაოსნის ლექსიკონი, დართული 1957 წლის გამოცემას), არამედ **შეტევებად** (შდრ. სტროფი 110-ე; „მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლნი მოიხოცნა, შესაპყრობლად **შევუზახენ**, სპანი სრულად დამიხოცნა“).

ძველ გამოცემათაგან ს. კაკაბაძის I გამოცემაში (1913 წ.) ასე იკითხება[18]:

„აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუცა დიადი წელია;
გიამბო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია!“

ეგეთე წაკითხვა მოიპოვება თითქმის ყველა ხელნაწერში. ძველ ხელნაწერთაგან მხოლოდ S 4988-სა და H 2610-ში, აგრეთვე H 1839-ში იკითხება „აღარ ვიცი დამავიწყდა თუცა ხანი დიდ წელია“, და ახალ R^1-ში „აღარა მახსოვს, დამვიწყდა“... „აღარ ვიცი, დამავიწყდეს“... იკითხება ვახტანგის, ბროსეს, ჩუბინაშვილის გამოცემებში, იუსტ. აბულაძის ორივე გამოცემაში.

ჯერ კ. ჭიჭინაძემ შეიტანა ეჭვი ამჟამად გაბატონებული წაკითხვის სისწორეში. თავის გამოცემაში იგი წერდა ამ სტროფის შესახებ:

„გასწორება ეხება პირველი სტრიქონის მეორე ნახევარს, რომელიც ასე იკითხებოდა აქამდე ყველას მიერ, ვისაც კი ეს ტაეპი შეტანილი ჰქონდა პოემის ტექსტში: „აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუცა დიადი წელია“[19]. სრულიად გაუგებარია: თუ „დიადი წელია“ მას აქეთ, მაშინ დავიწყება ბუნებრივია და რა შუაშია „თუცა?“ რუსთაველის დედანში ეს ადგილი, ალბათ, ასე იკითხებოდა: „აღარა ვიცი, — დამვიწყდეს, თუც არ დიადი წელია“. ამით ტარიელს უნდა სთქვას, რომ, მართალია, ძალიან ბევრ წლებს არ გაუვლია მას შემდეგ („დიად წლებზე“ ტარიელის ცხოვრებაში არც შეიძლება საერთოდ ლაპარაკი, რადგან ის მეტად ახალგაზრდა არის), მაგრამ მაინც დამავიწყდა ამდენს უბედურობაშიო (მხედველობაში აქვს, ალბათ, თავგადასავლის დეტალები)“[20].

კ. ჭიჭინაძის ეს გასწორება არ გაუზიარებია არც 1937 წლის საიუბილეო გამოცემის კომისიას, არც 1951 წ. გამოცემის რედაქციას, არც პ. ინგოროყვას (1953 წ.).

1956 წელს ა. შანიძემ გაიმეორა კ. ჭიჭინაძის მიერ წარმოდგენილი გასწორება. იგი წერდა:

„აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუცა დიადი წელია. აქ „თუცა“-ს

---

18 ეს სტროფი ყველა ძველ გამოცემაში, მაგალითად, ს. კაკაბაძის II (1926) გამოცემაში, შეტანილი არაა.

19 უნდა ვიფიქროთ, რომ კ. ჭიჭინაძე ამ წაკითხვას იცნობდა ს. კაკაბაძის 1913 წლის გამოცემიდან, რამდენადაც სხვა გამოცემებში ან ამგვარი წაკითხვა არ მოიპოვება, ან ეს სტროფი სულ არაა შეტანილი.

20 ვეფხისტყაოსანი, კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, გვ. 284.

იმ შემთხვევაში გავამართლებდით, თუ ვივარაუდებდით, რომ მის შემდეგ იგულისხმება „რა გასაკვირვალია“: აღარა ვიცი, დამავიწყდა, თუმცა რა გასაკვირველია, მას შემდეგ დიდი ხანია გასულიო. მაგრამ აქ არავითარი ასეთი რამ არ იგულისხმება. შესწორება უნდა თუცა-ს; გვექნება:

აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუც არ დიადი წელია,

ე. ი. დამავიწყდა, თუმცა დიდი ხანი არ არის გასულიო. მართალია, ხანი საკმაოდ იყო გასული და შეიძლებოდა ზოგი რამ დაჰვიწყებოდა ტარიელს, მაგრამ მან გასულ ხან „არ დიადი“ უწოდა. დავიწყება დიდი ხნის გავლის გამო ხდება, ხსოვნა კი მოკლე დროშია შესაძლებელი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია შემდეგი ტაეპი:

იტყვის: მახსოვს ეგე საქმე, თუცა არის ადრინდელი (292,2)“[21]

რა შეიძლება ითქვას წარმოდგენილი შესწორების შესახებ? რა თქმა უნდა, არ შეიძლება ტრადიციული წაკითხვის საწინააღმდეგო ღირებულ არგუმენტად იქნეს მიჩნეული მსჯელობა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ლაპარაკი „დიად წლებზე“ ტარიელის ცხოვრებაში, და სხვა ანალოგიური მტკიცებანი. შესწორების ავტორები არ ცდილან ყოველი თვალსაზრისით გაენალიზებინათ ტრადიციული წაკითხვა, მათ მხოლოდ უარყვეს იგი. ამავე დროს მათ წარმოადგიხეს წაკითხვა, რომელიც არაა დადასტურებული არც ერთ ხელნაწერში. ისიც უნდა ითქვას, რომ შეკვეცილი ფორმა თუც პოემის ძირითად ტექსტში სხვაგან არ მოიპოვება[22], ხოლო გამოთქმა „თუც არ დიადი წელია“ ხელოვნურია.

მაგრამ რითაა დაკავშირებული ყველაფერი ეს სიტყვათწყობის საკითხთან „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებში?

საქმე ისაა, რომ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ზემოთ გარკვა პოემაში სიტყვათწყობის შესახებ, მაშინ ამ საანალიზო სტროფის ტრადიციული წაკითხვა სავსებით ნათელი და კანონზომიერი აღმოჩნდება და ტექსტის რევიზიის უსაფუძვლობა ცხადი გახდება. სტროფი ასე უნდა გაიმართოს: „აღარა ვიცი, დამვიწყდეს

---

21 ა. შანიძე, „ვეფხის-ტყაოსნის“ ენის საკითხები, II. პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის: ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია; თბილისი, 1956, გვ. 023. ეს შესწორება არ შესულა 1957 წლის გამოცემაში, რომლის ერთ-ერთი რედაქტორი ა. შანიძეა.

ეს შესწორება არ შესულა არც უახლეს გამოცემებში (tu), მათ შორის არც ა. შანიძისა და ა. ბარამიძისაში (s). ყველგან ძველი წაკითხვაა დატოვებული, მაგრამ პუნქტუაციის საკითხი ყველგან მოუგვარებელია. პ. ინგოროყვას 1970 წლის გამოცემაში ეს სტროფი არ შეუტანია.

22 არის მხოლოდ 1595-ე სტროფში, ინდო-ხატაელთა ამბავში.

თუცა დიადი წელია, გიამბო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია!“ ეს კი ნიშნავს: აღარ ვიცი, თუმცა დიადი წელია (დიდი ხანია) დამავიწყდა, (მაგრამ მაინც) გიამბობ ჩემს ამბავს, როგორ ძნელიც უნდა იყოს ეს.

ასე გვესმის ჩვენ ამ ტაეპის აზრი[23]. ტარიელის ნათქვამი, რა თქმა უნდა, ჰიპერბოლური ხასიათისაა.

სიტყვათწყობის საკითხთან სხვა საკითხიცაა დაკავშირებული. ესაა საკითხი იმის შესახებ, სავალდებულოა თუ არა ბევრ შემთხვევაში ტაეპის დაყოფა წინადადებებად ცეზურის ადგილას ხდებოდეს, ან მართლა ხშირია თუ არა შემთხვევები, როცა ტაეპის წინადადებებად დაყოფა ცეზურის ადგილს არ ემთხვევა.

ამის პასუხს მოგვცემს რამდენიმე ნიმუშის განხილვა.

981-ე სტროფის პირველი ტაეპი რამდენიმე გამოცემაში (1937 წ., 1951 წ., 1957 წ., 1953 წ. ინგ., კაკ. I, კაკ. II) ასე იკითხება: „იგი რა ნახეს მესროლთა, სროლასა მოეშლებოდეს“. ყველა სხვა გამოცემაში, ვახტანგ VI-ის გამოცემიდან მოკიდებული, იყო: „იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს“[24]. ეს ასახავს ხელნაწერებში არსებულ ვითარებას. ხელნაწერთა ერთ ჯგუფში (EFIJKOTY) **მესროლთა** იკითხება, სხვებში — **მესროლნი**. ძველ გამომცემელთაგან პირველი რიგის ხელნაწერებს მიჰყვა ს. კაკაბაძე, შემდგომ კი ეს წაკითხვა დააკანონა 1937 წლის გამოცემამ[25]. სრულიად ცხადია, რომ ხელნაწერთა ეს წაკითხვა **მეორეულია**, პირველის გადასინჯვის შედეგადაა მიღებული. პირუკუ, **მესროლნი**-წაკითხვისაგან **მესროლთა**-წაკითხვის მიღება გაუგებარი და გაუმართლებელი ჩანს. წაკითხვა — **„იგი რა ნახეს მესროლთა, სროლასა მოეშლებოდეს“** მიღებულია იმ არასწორი შეხედულების შედეგად, რომლის მიხედვით თითქოს ცეზურა წინადადებათა გაჰყოფიცაა. სწორია ძველი, ვახტანგის გამოცემისაგან (და ხელნაწერთაგან) მომდინარე წაკითხვა — **„იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს“**.

---

23 ცალკე საკითხია, თუ რომელი ფორმაა მართებული — **დამვიწყდეს** თუ **დამვიწყდა**. იგი დაკავშირებულია საერთოდ მრავლობითი რიცხვის ფორმების გამოყენებასთან პოემაში.

24 მხედველობაში არ ვიღებთ სასვენ ნიშნებს, თორემ დ. ჩუბინაშვილის გამოცემაში იკითხება: „იგი რა ნახეს მესროლნი, სროლასა მოეშლებოდეს“, ხოლო ს. კაკაბაძის პირველ გამოცემაში — „იგი რა ნახეს, მესროლთა სროლასა მოეშლებოდეს“.

25 მ. წერეთლის გამოცემაში აღდგენილია ძველი წაკითხვა — **მესროლნი**. ეგევე წაკითხვა აღდგენილია ამჟამად აგრეთვე stuy გამოცემებში.

542-ე სტროფის მესამე ტაეპი ყველა გამოცემაში (მათ შორის 1937 და 1951 წლების გამოცემებშიც) ასე იკითხებოდა: „რა მოვიდეს, სიძე მოკალ, მისთა სპათა აუწყვედლად“ (1957 წლის გამოცემაში რედაქციამ მძიმე გადასვა (მეორე მძიმეს რომ თავი დავანებოთ) და (ტაეპი ასე წარმოადგინა: „რა მოვიდეს სიძე, მოკალ, მისთა სპათა აუწყვედლად“. ეს კი შეცდომაა. ამ ტაეპში ორი სრულიად გამოკვეთილი ინტონაციური ერთეული გვაქვს. ერთია **რა მოვიდეს**, მეორე — **სიძე მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად.** სხვანაირად რომ ვთქვათ, **სიძე** ტაეპში რეალურად წარმოდგენილი რეალური სუბიექტი კი არ არის პირველი (დამოკიდებული) წინადადებისა და ნავარუდევი რეალური სუბიექტი მეორე (ძთავარი) წინადადებისა, არამედ ნავარაუდევი რეალური სუბ ექტია პირველ წინადადებაში და რეალურად წარმოდგენილი რეალური ობიექტი მეორეში. მძიმის გადასმით ეს ბუნებრივი ინტონაციური ერთეულები დაირღვა და არაბუნებრივი მივიღეთ: **რა მოვიდეს სიძე და მოკალ მისთა ყმათა აუწყვედლად**[26].

1957 წ. გამოცემაში 154-ე სტროფის მეოთხე სტრიქონი ასეა დაბეჭდილი: „ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს ჭირს, მიუხდეს მამაცურად“. ამ შემთხვევაში ტაეპში გვაქვს სიტყვა **ჭირს**, რომელიც ერთხაირად შეიძლება შეეწყოს როგორც წინა ნახევრის **შეუდრკეს**-ს ძნას, ისე მეორე ნახევრის **მიუხდეს**- ზმნას[27]. მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ეს სიტყვა მეორე ნახევარში, მეორე ინტონაციურ ერთეულში შედის და არა პირველში. მაშასადამე, ინტონაციური ერთეულების გამყოფი პაუზა ამ ტაეპში მთავარ ცეზურას ემთხვევა. ამიტომ ეს ტაეპი ასე უნდა იყოს წარმოდგენილი: „ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად“[28].

---

26 რა თქმა უნდა, ასეთი გადასმის შემდეგ შეიძლება ისევ ბუნებრივი ინტონაციური ერთეულები მივიღოთ, როგორც, მაგალითად, ზემოგანხილული 981-ე სტროფის შემთხვევაში გვაქვს: გადასმისა და ფორმის შეცვლის შედეგად მიღებული ინტონაციური ერთეულები აგრეთვე ბუნებრივია (**იგი რა ნახეს მებრძოლთა და სროლახა მოეშლებოდეს**), თუმცა გადაუსმელის უპირატესობა აშკარაა.

ახალ გამოცემებში (siuy) ეს ტაეპი ისევ ასეა დაბეჭდილი: **რა მოვიდეს სიძე, მოკალ...**

27 მდგომარეობა არ შეიცვლებოდა, რომ სხვა ხელნაწერთა წაკითხვა აგვეჩია: **ჭირსა დახვდეს.**

28 ოთხიე ბოლოდროინდელ გამოცემაში (siuy) სწორედ ასეა დაბეჭდილი. ეს ფაქტი მშვენიერი მაგალითია იმისა, რომ ერთგვარი მოვლენებისადმი ერთგვარი დამოკიდებულება არა გვაქვს: ეს მაგალითი არაფრით არ განირჩევა წინასაგან, გაგებულია კი სხვაგვარად.

1937 წლის გამოცემაში 1075-ე სტროფის მეოთხე ტაეპი სასვენი ნიშნების თვალსაზრისით დაბეჭდილი იყო სწორად: „მათთა ცოლთა მოიძულვნეს, ქმარნი დარჩეს გაბასრულად“. სრულიად აშკარაა, რომ **ქმარნი** მეორე ინტონაციურ ერთეულში შედის, მეორე წინადადების რეალური სუბიექტია, წინადადებაში რეალურად წარმოდგენილი. პირველ წინადადებაში ეს სიტყვა ნავარაუდევი რეალური ობიექტია. ამგვარ დასკვნას ხელს ვერ შეუშლიდა, პირველი წინადადების ზმნაში **ქმარნი**-სიტყვის, როგორც სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის, მრავლობითობა მართლაც რომ გამოხატული იყოს **-ნ** სუფიქსით (როგორც ეს გამოცემაშია წარმოდგეხილი: **მოიძულვნეს**). მაგრამ ამ ტაეპში არც ერთ ხელნაწერში არ გვხვდება **მოიძულვნეს** ფორმა, ყველგანაა: **მოიძულვეს** ან **მოიძულეს**, თუმცა **ქმარნი** ყველგან მრავლობითის ფორმითაა წარმოდგეხილი. ეს იმას მოწმობს, რომ მრავლობითობის აღნიშვნა ზმნაში ასეთ კონსტრუქციებში სავალდებულო არაა და **-ნ** სუფიქსიანი ფორმა **მოიძულვნეს** გამომცემელთა მიერ შეტანილი ცვლილებაა პოემის ტექსტში.

მიუხედავად ამისა 1951 წლისა და 1957 წლის გამოცემებში „ძეცდომა“ გასწორდა და ტაეპი დაიბეჭდა ასე: „მათთა ცოლთა მოიძულვნეს ქმარნი, დარჩეს გაბასრულად“. 1951 წლის გამოცემის პუხჭტუაცია გაიმეორა პ. ინგოროყვამ 1953 წელს[29].

თუ ამას, რაც აქაა დაბეჭდილი, მართებული ინტონაციით წავიკითხავდით, ჩვენ მივიღებდით ერთგვარშემასმენლებიანი წინადადების ტიპიურ ინტონაციას და ამის შედეგად შეიცვლებოდა აზრიც: **გაბასრულნი** ქმრები კი აღარ აღმოჩნდებოდნენ, არამედ ცოლები: ცოლებმა ქმრები მოიძულეს და გაბასრულნი დარჩნენო.

308-ე სტროფში ასეთივე სურათია მესამე ტაეპში, რომელიც ასეთი პუნქტუაციითაა დაბეჭდილი ზემოაღნიშნულ გამოცემაში: „ვერ გაახვნა სასაუბროდ მან ბაგენი, გაამყარნა“. ასეთი დაყოფა არაა ბუნებრივი. **მან ბაგენი გაამყარნა**- ზმნასთან არის რეალურად წარმოდგენილი, **გაახვნა**- ზმნასთან კი ნავარაუდევია[30].

---

[29] ასევეა ეს ტაეპი დაბეჭდილი უახლეს გამოცემებში: ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისაში (t), 1966 წლის საიუბილეო გამოცემაში (u), პ. ინგოროყვას 1970 წლის გამოცემაში (y); მხოლოდ ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ აღადგინეს თავიანთ გამოცემაში 1937 წლის გამოცემის მართებული პუნქტუაცია.

[30] ეს ტაეპი ასევეა დაბეჭდილი tuy-ში: ვერ გაახვნა სასაუბროდ მან ბაგენი, გაამყარნა. ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში დაბეჭდილია: ვერ გაახვნა სასაუბროდ, მან ბაგენი გაამყარნა.

იმ პრინციპის თანახმად, რომელიც ამ გამოცემებშია გატარებული, მოსალოდნელი იყო, რომ 1248-ე სტროფის მესამე ტაეპი დაბეჭდილი იქნებოდა არა ასეთი პუნქტუაციით — „ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ“, არამედ ასე: ვითა ხმელსა გაირბენენ წყალსა, წმიდად დააშრობენ“. დაბეჭდილია სწორად: ორი ინტონაციური ერთეულის გამაცალკევებელი პაუზა მთავარ ცეზურას ემთხვევა ამ ტაეპში. პირველი ნაწილია **„ვითა ხმელსა გაირბენენ“**, მეორე — **„წყალსა წმიდად დააშრობენ“**. როგორც ვხედავთ, ერთგვარი მოვლენებისადმი ერთგვარი დამოკიდებულება არ ყოფილა[31].

თუ როგორი შედეგი შეიძლება მოჰყვეს წინადადებაში სიტყვათა განლაგების ნებისმიერად შეცვლას, ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს 296-ე სტროფის ისტორია. მოგვყავს ეს სტროფი იმ სახით, რომელიც მან 1951 წლისა და 1957 წლის გამოცემებში მიიღო[32].

„აწ ვაშად მოხვე, მიამა ნახვა შენისა პირისა!
ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა:
გარჯილხარ, მაგრა არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა:
ძნელია პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა“.

საქმე ეხება მესამე ტაეპს, რომელშიც სიტყვები ასეა განლაგებული: **გარჯილხარ**, მაგრა არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა. ძველ გამოცემებში, ვახტანგ VI-ის გამოცემიდან მოკიდებული 1937 წლამდე, იკითხებოდა[33]: **„მაგრა გარჯილხარ**, არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა“. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ს. კაკაბაძის გამოცემა 1913 წლისა, რომელშიც ისეთივე განლაგებაა სიტყვებისა, როგორიც 1937 წლის კომისიამ მიიღო: **„გარჯილხარ, მაგრა...“**[34]

---

31 tuy გამოცემებში აქაც არასწორი დაყოფაა: ვითა ხმელსა გაირბენენ წყალსა..., s-ში ამ შემთხვევაშიც სწორი პუნქტუაციაა: ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა...

32 უკეთ, ეს სახე მიიღო სტროფმა უკვე 1937 წლის გამოცემაში, ოღონდ სასვენი ნიშნების მხრივ იყო განსხვავებული. აქ წარმოდგენილი სახით სასვენი ნიშნები 1951 წლის გამოცემაში დაისხა პირველად.

33 ორთოგრაფიულ სხვაობებს მხედველობაში არ ვიღებთ.

34 ღამახასიათებელია, რომ ს. კაკაბაძის პირველ გამოცემაში, რომელშიც არსებითად გარკვეული ხელნაწერის თუ ხელნაწერთა ერთი ჯგუფის ჩვენებები იყო გამოქვეყნებული, ასეთი წაკითხვა იყო; მაგრამ მის მეორე გამოცემაში, რომელსაც კრიტიკული გამოცემის პრეტენზია გაცილებით უფრო აქვს, წაკითხვა შეიცვალა.

პ. ინგოროყვამ 1953 წელს აღადგინა ძველი ხელნაწერების და ვახტანგის გამოცემის წაკითხვა — „მაგრა გარჯილხარ...“ და ასე დაასაბუთა: ასეა ვახტანგის გამოცემაში და ხელნაწერებშიო. ეგევე წაკითხვაა აღდგენილი მ. წერეთლის გამოცემაშიც.

გავეცნოთ ხელნაწერებში წარმოდგენილ სურათს[35]. ამათ უმრავლესობაში იკითხება: „მაგრა გარჯილხარ, არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა“. წაკითხვას — „გარჯილხარ, მაგრა არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა“ გვაწვდის ხელნაწერები FIKLOUVZ; GT ხელნაწერებში გვაქვს: „ვიცი გარჯილხარ, არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა“, ხოლო JR-ში — „ვიცი გარჯილხარ, არა ხარ გარდაუხადი ჭირისა“; **გარდაუხადი** გვხვდება V-შიც.

როგორც ვხედავთ, გამოცემებში ხელნაწერებში წარმოდგენილი სურათია ასახული. რომელი წაკითხვაა სწორი? ეს საკითხი მარტივი არაა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ეს არაა მხოლოდ სიტყვათა უბრალოდ გადასმის საკითხი. გადასმა ხდება კავშირისა და ტაეპისა და მთელი სტროფის აზრი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ სად იქნება დასმული ეს კავშირი.

ვახტანგის გამოცემა ხელნაწერთა ერთ გარკვეულ ჯგუფს ემყარებოდა, შემდგომი გამოცემები კი ვახტანგის გამოცემას ემყარებოდნენ. ვახტანგის გამოცემას დაშორდა ხელნაწერთა სხვა ჯგუფის წაკითხვაზე დაყრდნობის შედეგად ს. კაკაბაძე 1913 წელს. 1937 წლის კომისია, როგორც ჩანს, კრიტიკულად მოეპყრო არსებულ წაკითხვებს, ჩვენი აზრით, მართებულად გაიგო სტროფის შინაარსი და მიიღო წაკითხვა, რომელიც საქმის ვითარებას შეესაბამებოდა. ამის შემდეგ აღდგენა ისევ ძველი, ვახტანგის გამოცემისაგან მომდინარე, წაკითხვისა, რაც ჯერ პ. ინგოროყვამ სცადა და შემდგომ მ. წერეთელმა, ისიც ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, გამართლებული არაა.

მართლაც, სტროფი შემდეგი შინაარსისაა:

ავთანდილი და ტარიელი გაეცნენ ერთმანეთს; საანალიზო სტროფის პირველ ნახევარში გადმოცემულია ტარიელის დამოკიდებულება ავთანდილის ქვაბში მისვლისადმი მიმართვით:

„აწ ვაშად მოხვე, მიამა ნახვა შენისა პირისა,

ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა...“

ახლა, თუ მივიღებდით წაკითხვას — „**მაგრა გარჯილხარ...**“, მაშინ გამოვიდოდა, რომ მესამე ტაეპი შინაარსობრივად უპირისპირდება

---

35 ორთოგრაფიულ და ზოგ სხვა რიგის სხვაობებს არ ვითვალისწინებთ.

პირველ ორს, ასეთი დაპირისპირება კი შინაარსის მხრივ აქ შეუძლებელია იყოს; რაც შეეხება მეოთხე ტაეპს, იგი მესამე ტაეპის განმარტებას წარმოადგენს.

წაკითხვა — **„გარჯილხარ, მაგრა...“** ყველაფერს ნათელს ხდის: პირველი ორი ტაეპი დამოუკიდებელია მომდევნო ორისაგან; დაპირისპირება გვაქვს მესამე ტაეპში, როცა ერთგვარშემასმენლებიანი წინადადებაა (გარჯილხარ, მაგრა არა ხარ გადაუხდელი ჭირისა), ხოლო მეოთხე ტაეპში მესამე ტაეპის აზრია გაშლილი და განმარტებული: ნათქვამია, თუ რატომ არის ავთანდილი „გარდაუხდელი ჭირისა“.

„გარჯილხარ, მაგრა არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა“ ამას ნიშნავს: გარჯილხარ, მაგრამ (გამოვლილი) ჭირის, გაჭირვების სანაცვლო გარდაგეხადა; რაც ჭირი (გაჭირვება) გამოიარე, იმის სანაცვლო მოგეზღო; ჭირის (გაჭირვების) სამაგიერო პოვე, მე მიპოვნე, ზეცისაგან განაწირი კაცის პოვნა (ე. ი. ამ შემთხვევაში ტარიელის პოვნა) ძნელიაო.

წაკითხვა — **„მაგრა გარჯილხარ...“** — ემყარება გარდაუხდელი- სიტყვის მნიშვნელობის ჩვეულებრივს, მაგრამ ამ სტროფისათვის შეუფერებელ გაგებას: **არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა** ესმით ასე: ჭირი გარდაგხდა, ჭირგადაუხდელი არა ხარო.

ყველა ახალ გამოცემაში (sIu) **მაგრა** ან **მაგრამ გარჯილხარ...** იკითხება. დასაბუთება, როგორც ვიცით, არც ერთ ამ გამოცემაში არაა საერთოდ წარმოდგენილი, არც ისაა ცნობილი მკითხველისათვის, თუ როგორ ესმით რედაქტორებს საერთოდ ამა თუ იმ სტროფის და კერძოდ ამ სტროფის შინაარსი.

ბოლოს, სიტყვათწყობის საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული გაგება 162-ე სტროფის ერთი ადგილისა. ამ სტროფმა უკანასკნელ ხანებში რუსთველოლოგთა ყურადღება მიიპყრო.

თინათინი იბარებს ავთანდილს და გამოუტყდება, რომ გონება უცხო მოყმისა, რომელიც როსტევანმა და ავთანდილმა ნახეს, არ ასვენებს და რომ იგი ავთანდილს ენუკვის მის მონახვას. იმასაც ეტყვის, რომ შეუტყვია შორით მიჯნურობა ავთანდილისა ძისდამი. ამის გამო თინათინის სამსახური ავთანდილს ორმაგად ძართებს: პირველ, ყმაა, ხორციელი არაერთ ჰყავს მისად სწორად და, მერმე, მიჯნურია თინათინისა. თინათინი ავალებს ავთანდილს, ძებნოს იგი მოყმე სამს წელიწადს. თუ ვერ პოვებს, მაშინ დაიჯერებს, რომ „იყო თურმე უჩინარი“. თავის მხრივ აძლევს ავთანდილს საშინელ ფიცს:

„ფიცით გითხრობ, შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, უფსკრულს ვიყო დასანთქმარი,

შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“.

ავთანდილი ემზადება უცხო მოყმის საძებრად წასასვლელად. გაძგზავრების წინ იგი გაუმხელს ხვაშიადს შერმადინს და მას ტოვებს თავის ნაცვლად. შერმადინი სთხოვს, თან წაიყვანოს: „სჯობს, ორხივე გავიპარნეთ, წამოგყვები, წამიტანე“-ო — ეუბრება პატრონს. ავთანდილის პასუხი გადმოცემულია 162-ე სტროფში.

„ყმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად:
რა მიჯნური ველად რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად.
მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად.
კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“.

ესაა 1957 წლის და 1951 წლის გამოცემათა ტექსტი. 1937 წლის გამოცემაში, აგრეთვე პ. ინგოროყვას გამოცემაში, ეგევე ტექსტია წარმოდგენილი, ოღონდ სასვენი ნიშნების მხრივაა ოდნავი განსხვავებები. ჩვენთვის ამჯერად ამ სტროფის მესამე ტაეპია საინტერესო. ეს ტაეპი კი ძველ გამოცემებში განსხვავებულადაა წარმოდგენილი.

ვახტანგის გამოცემაში იკითხება: „მარგალიტი არვის მიხვდეს **უსასყიდლო** უაჭრელად“[36]. ამას მისდევს გამოცემები ბროსესი, ჩუბინაშვილისა და ქართველიშვილისა, რომლებშიც იკითხება — „მარგალიტი არვის მიჰხვდეს **უსასყიდლო** უვაჭრელად“. ყველა დანარჩენ ძველ გამოცემაში მცირე ორთოგრაფიული სხვაობებით იკითხება ისე, როგორც 1957 წლის გამოცემაში (მცირეოდენი ვარიანტული სხვაობაა ს. კაკაბაძის მეორე გამოცემაში: „მარგალიტი აღარ მომხუდეს...“).

გამოცემებში წარმოდგენილი სურათი არაფრით განსხვავდება იმისაგან, რაც პოემის ხელნაწერებში გვაქვს. წაკითხვა **უსასყიდლო** წარმოდგენილია CGHJTUZ ხელნაწერებში, **უსასყიდლოდ** — დანარჩენებში, რომლებშიც კი ეს სტროფი დაცულია.

ხელნაწერთა ერთ ჯგუფში წარმოდგენილია წაკითხვა — „მარგალიტი აღარ მომხვდეს“. ეს ფაქტი აისახა სწორედ ს. კაკაბაძის

[36] უვაჭრელად ერთი შეხედვით ბეჭდვის შეცდომა ჩანს, მაგრამ სავსებით შესაძლებელი ფორმაა და ერთ ძველ ხელნაწერშიაც გვხვდება (თარხანმოურავისეულში).

შეორე გამოცემაში. ეს წაკითხვა მისაღები არაა, რამდენადაც არღვევს სტროფში წარმოდგენილ ხერხს აზრის გადმოცემისას: სტროფში განზოგადებულად, მესამე პირის ფორმითაა ლაპარაკი იმაზე, რომ ველად გაჭრილი მიჯნური მარტო უნდა „რბოდეს ველად“, რომ ცრუ და მოღალატე კაცი ღირსია ლახვრით დაჭრისა და შუა ტაეპში პირველი პირის ფორმათა შემოტანა არაფრით არაა გამართლებული. მაგრამ ეს საკითხი ამჯერად არ წარმოადგენს ჩვენი განხილვის საგანს. ჩვენ ვიღებთ წაკითხვას — **„არვის მიჰხვდეს“**, ხოლო განსახილველი საკითხის თვალსაზრისით მთავარია ის ფაქტი, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ორი წაკითხვა: „მარგალიტი არვის მიჰხვდეს **უსასყიდლოდ**, უვაჭრელად“ და „მარგალიტი არვის მიჰხვდეს **უსასყიდლო** უვაჭრელად“.

თუ მივიღებდით პირველ წაკითხვას, რომელიც გაბატონებული იყო გამოცემებში (დარღვეული იყო ტრადიცია ვახტანგის გამოცემისა, რომელსაც მიჰყვებოდნენ მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და გ. ქართველიშვილის გამოცემები) და რომელიც დაამკვიდრა 1966 წლის სამივე გამოცემამ (ა. შანიძისა და ა. ბარამიძისამ, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისამ და 1966 წლის საიუბილეომ) და პ. ინგოროყვას მეორე გამოცემამ (1970 წლისა), ტაეპის შინაარსი მხოლოდ ასე შეიძლებოდა გაგვეგო: მარგალიტი არვის ერგება, არვის შეხვდება, მარგალიტს ვერვინ მოიპოვებს სასყიდლის მიუცემლად, უფასოდ, ისე, თუ არ ივაჭრა.

საკითხი დგება: შეიძლებოდა ეს ეპასუხა ავთანდილს შერმადინისათვის? თუ გავითვალისწინებთ, რა ვითარებაში და რა მიზნითაა ნათქვამი ეს სიტყვები, პასუხი ამ კითხვაზე შეიძლება მხოლოდ უარყოფითი იყოს.

შერმადინი შესთავაზებს ავთანდილს: „ვიცი, რომე არ დასდგები, მაგას გიშლი ამად არა“, მაგრამ „სჯობს ორნივე გავიპარნეთ, წაძოგყვები, წამიტანე“-ო. ამას შესთხოვს იმიტომ, რომ ერთგულ ყმას არ უნდა ავთანდილი მარტო ეძებდეს უცხო მოყმეს, მარტო იტანდეს ყოველგვარ გასაჭირს, ტანჯვა-წვალებას, განსაცდელს, რაც ველად გაჭრას მოსდევს თან[37]. ამის პასუხია ავთანდილის სიტყვები, წარმოდგენილი საანალიზო სტროფში. ავთანდილის პასუხი სიტყვასიტყვით შეიძლება ასე გადმოიცეს:

---

37 პოემაში მოთხრობილი ამბის შემდგომი განვითარებიდან ცნობილია, თუ რა დიდი განსაცდელი გამოიარა ტარიელის ძებნისას ავთანდილმა, რა აუტანელი გასაჭირი ნახა მან: „იგი ჭირი არ უნახავს არ რაჭინს და არცა ვისსა!“

ყმამ [ავთანდილმა] უთხრა [შერმადინს]: მომისმინე, მართალს გეუბნები, არა ტყუილს, სიცრუეს; თუ მიჯნური ველად იყოს გაჭრილი, ველად რბოდეს, მარტო უნდა იყოს გაჭრილი, მარტო უნდა რბოდეს; მარგალიტი არვის ერგება, არვის შეხვდება, მარგალიტს ვერავინ იშოვის სასყიდლის მიუცემლად, სასყიდლის გაუღებლად, უფასოდ, ისე, თუ არ ივაჭრა; ცრუ და მოღალატე კაცი ჯერ არს ლახვრით დაიჭრას, ცრუსა და მოღალატე კაცს ლახვრით დაჭრა ეკუთვნის.

ასე შეიძლება გადმოიცეს სტროფის მესამე ტაეპი, რა თქმა უნდა, გაბატონებული წაკითხვის თანახმად („უსასყიდლოდ, უვაჭრელად").

თინათინმა თავის მიჯნურად აღიარა ავთანდილი, მათ ერთმანეთს შეჰფიცეს, „გაადვილდა, აქანამდის გარდეხადა რაცა ჰპირი". თიხათინმა დაავალა თავის მიჯნურს უცხო მოყმის მოძებნა. საანალიზო სტროფის მესამე ტაეპში რაცაა ნათქვამი, ეს მხოლოდ თინათინს შეიძლება ეხებოდეს. მარგალიტის შესახებ რასაც ამბობს ავთანდილი, ამ მარგალიტში იგი მხოლოდ თინათინს შეიძლება გულისხმობდეს, ეს მარგალიტი მხოლოდ თინათინია[38].

შეიძლებოდა ავთანდილს თინათინი ეგულისხმებინა იმ მარგალიტში, რომლის მოსაპოვებლად საჭიროა სასყიდლის გაღება (პირდაპირი მნიშვნელობით), ფასის მიცემა, რომლის შესაძენად საჭიროა ვაჭრობა? პასუხი მხოლოდ უარყოფითი შეიძლება იყოს. უარყოფითი პასუხი კი ნიშნავს ხელის აღებას ამგვარ წაკითხვაზე, რადგანაც სხვაგვარად გაგება და განმარტება ამგვარი წაკითხვისა შეუძლებელია.

ამას ყველაფერს ემატება სხვა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტიც: სტროფის მესამე ტაეპს თუ ამგვარად გავიგებდით, მაშინ შეუძლებელი გახდებოდა, ლოგიკური კავშირი გვეპოვა მასა და წინა ტაეპს შორის. წინა ტაეპში ხომ ისაა ნათქვამი: თუ მიჯნური ველად იყოს გაჭრილი, მარტო უნდა იყოს გაჭრილიო, ე. ი. მიჯნურმა ველად გაჭრის მთელი სიმწვავე, გაჭირვება, განსაცდელი მარტომ უნდა გამოსცადოსო. ახლა რა კავშირში შეიძლება აღმოჩნდეს ამასთან მესამე ტაეპის ასეთი შინაარსი — მარგალიტს ვერავინ იშოვნის ისე, თუ სასყიდელი, ფასი არ მისცა, არ ივაჭრაო.

ყველაფერი ეს გვიკარნახებს ხელნაწერთა მეორე ჯგუფში წარმოდგენილ წაკითხვას მივმართოთ: **მარგალიტი არვის მიჰხვდეს**

[38] ამ მხრივ საგულისხმოა ზოგი ხელნაწერის წაკითხვა: „მარგალიტი აღარ მომხვდეს..."

უსასყიდლო უვაჭრელად. დღევანდელი ქართულით ეს შემდეგს ნიშნავს: უსასყიდლო მარგალიტი უვაჭრელად არვის ერგება, უსასყიდლო მარგალიტს უვაჭრელად ვერავინ მოიპოვებს: ე. ი. **უსასყიდლო** მსაზღვრელი სახელია **მარგალიტისა**, მაგრამ, ჯერ ერთი, პოსტპოზიციურადაა დასმული და, მეორე, გათიშულია მისგან.

ასეთი გაგება გვავალებს უწინარეს ყოვლისა გავარკვიოთ მნიშვნელობა გამოთქმისა — **უსასყიდლო მარგალიტი** და ზმნისართისა — **უვაჭრელად**.

უსასყიდლო სასყიდელ- მიმღეობის ფუძისაგან **უ- — ო** თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები სახელია. როგორც **სასყიდელ-ი**, ისე **უსასყიდლო** ქართულში ძველთაგანვე გვხვდება: ორივე სიტყვა ჯერ კიდევ ოთხთავის ტექსტში მოიპოვება ჩვეულებრივი მნიშვნელობით. **სასყიდელი** არის **საფასური, ფასი; უსასყიდლო — უფასო; უსასყიდლოდ — უფასოდ, საფასურის უმისოდ.**

მაგრამ **უსასყიდლო**-ს ისევე, როგორც **უფასო**-ს ქართულში ძველთაგანვე მეორე, გადატანითი, მნიშვნელობაც ჰქონდა: იგი აღნიშნავდა **ძალიან ძვირფასს, ფასდაუდებელს, ფასის თქმაშეუძლებელს**. ეს მნიშვნელობა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც არის აღნიშნული: **უსასყიდლოს** სულხან-საბა განმარტავს, როგორც **ფასის თქმაშეუძლებელს**[39], ხოლო **უფასოს — როგორც ფასდაუდებელს**, ე. ი. მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობები აქვს ბოლომდე.

ერთიცა და მეორეც, **უფასოც და უსასყიდლოც**, ქართულში მსაზღვრელ სახელად არის გამოყენებული გარკვეული შეზღუდული წრის სიტყვებისათვის, როგორიცაა: **მარგალიტი, თვალი, გუარი (გოარი, გვარი), სპეკალი** და ზოგი სხვა. ვიღებთ შესაბამის გამოთქმებს, რომელთაგან განსაკუთრებით ხშირად გვხვდება გამოთქმა **უსასყიდლო მარგალიტი**.

ასე, მაგალითად: გამოთქმა **უსასყიდლო მარგალიტი** გვხვდება გიორგი მთაწმინდელის ანდერძში, რომელიც ერთეის ფსალმუნის ტექსტს:

---

39 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928. საჭიროა აღინიშნოს, რომ სულხან-საბას **უფასო**-ს ზმნისართული ფორმაც აქვს წარმოდგენილი — **უფასოდ** და პირდაპირი მნიშვნელობით განმარტებული: **ფასმიუცემლად**. ზმნისართულ ფორმას გადატანითი მნიშვნელობა არა აქვს. **უსასყიდლო**-ს ზმნისართული ფორმა (**უსასყიდლოდ**) ლექსიკონში შეტანილი არაა.

„და ვინ ამა ჩ¯ნთა დავითთა დასწერდეს და ესე ჩემი დაწერილი არა დაწეროს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი! უკუეთუ მე გლახაკმან ესოდენი ჰირი ვნახე და ესე **უსახყიდლოჲ მარგალიტი** არა დავიცონე აღწერად განმანათლებელად მკითხველთა და მსმენელთა, მას ორთა სიტყუათა დაწერად რად ზარ-აც“[40].

დამახასიათებელია, რომ მთელი გამოთქმა **უსახყიდლოჲ მარგალიტი** ამ კონტექსტში გადატანითაა ნახმარი და მიემართება დავითს, ფსალმუნს.

ეგევე გამოთქმა გვხვდება ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“... იქ ვკითხულობთ: „აძისსა შემდგომად შევიდეს ქალაქად და თჳთეულმან იწყო ძღუეხთა მოღებად: ოქროსა და სამკაულისა, და ჰურჭელთა მისთა, თუალთა პატიოსანთა და **მარგალიტთა უსახყიდლოთა**, ჯაჭუთა, მუზარადთა, ჯრმალთა ამათ გამოცდილთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა, ოქროქსოვილთა და შესამოსელთა მრავალსასყიდლოანთა...“[41]

ამ ნაწყვეტში გარდა იმისა, რომ არის გამოთქმა **„მარგალიტთა უსახყიდლოთა“**, გვხვდება სხვა რიგის გამოთქმაც: **„შესამოსელთა მრავალსასყიდლოანთა“**. ერთ-ერთ ხელნაწერში ყოფილა ამავე ნაწყვეტში ასეთი გამოთქმაც: **„მანიაკთა ოქროსათა უსახყიდლოთა“**[42]. საყურადღებოა, რომ **უსახყიდლო** ორსავე შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი, ხოლო **მრავალსასყიდლოანი** პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

„უსახყიდლო მარგალიტი“ გვხვდება ჟამთააღმწერლის თხზულებაშიც.

„[ბასილი მონაზონი] ძლიერად ამხილებდა და წინააღუდგებოდა მეფესა უწესოსა მისთჳს ქორწინებისა, და ასწავებდა სიწმიდესა და მოაკსენებდა ტაძარ-ღმრთისა ყოფასა ჩუენსა, და სხეულთა განუხრწნელობისათა, ხოლო ტაძრისა ღმრთისა განუხრწნელისა სიძვათა შინა სასუფეველისა ღმრთისა დამკჳდრებასა და უპოვართა მათ **უსახყიდლო მარგალიტთა** მოპოებასა, ლოცვასა, მარხვასა, გლახაკთ მოწყალებასა, და ლმობიერებასა და უხუებასა,

---

40 ფსალმუნის ძველი რედაქციები, გამოსცა მზექალა შანიძემ, თბილისი, 1960, გვ. 027.

41 ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, გვ. 128.

42 იქვე, ვარიანტებში.

მდინარეთა თანა მწკრიანთა და უყიანთა ლიამპალთა არა თანაშერთვად ყოფასა“[43].

ამ შემთხვევაშიც გამოთქმა **უსასყიდლო მარგალიტი** მთლიანად გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი.

თეიმურაზ I-ის „იოსებ-ზილიხანიანში“ ასეთი ადგილია: ძმების მიერ ჭაში ჩაგდებულ იოსებს იპოვნიან ვაჭრები —

„გარ მოაკრფეს დიდვაჭარნი, მისი ნახვა მათ უღირდათ,
მას უჭვრიტეს გაკვირვებით, შუქი მისი გულსა სჭვირდათ,
უსასყიდლო მარგალიტი მოინდომეს გასასყიდათ.
მისრ-ეგვიპტეს წაიყვანეს მათთვის მორჩმად, გასამდიდრათ“[44].

ამ შემთხვევაშიაც მთელი გამოთქმა გადატანითაა ნახმარი, **იოსებ მშვენიერს** მიემართება.

იმავე თეიმურაზ I-ს „ლეილ-მეჯნუნიანში“, ლეილის შესახებ, კიდევ აქვს ნახმარი ეს გამოთქმა:

თქვენც გასმიათ, აქ გამოვა უკეთესი მარგალიტი.
ვეღარ ვპოვეთ, სადაფისა პირნი ვნახეთ დანაკლიტი,
მანდ პოვნილა **უსასყიდლო** — „განცვიფრდესო შენამჭვრიტი“.

ეგეთვე გამოთქმა გვხვდება სხვა თხზულებებშიც.

„შეიქმნა ქალაქშიგან ზახილი ზავისა გამარჯვებისა და მოკრფა სულ ლაშკარი დიდისა სიხარულითა. აყრიდენ თვალსა უფასოსა და **მარგალიტსა უსასყიდლოსა**“[45].

„კვლავ უძღვნა დედოფალმა ურიცხვი საჩონელი და თითო ვერცხლის ხე, რომე ზურმუხტი ფურცლად ესხა და ხილად — თვალნი პატიოსანნი და **მარგალიტნი უსასყიდლონი**“[46].

„ადგეს მეფეთა ცოლნი, მიულოცეს ყაისს და ცოლსა და გარდმოაყარეს მრავალი თვალი და **მარგალიტი უსასყიდლო**“[47].

---

43 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 282. ტექსტის გამომცემელს ს. ყაუხჩიშვილს **უსასყიდლო** შეტანილი აქვს გამოცემას დართულ ლექსიკონში და შესაფერად განმარტებულიც („რასაც ფასი არა აქვს“, „რასაც ვერავითარი ფასით ვერ იყიდი“) პირველ კონტექსტზე მითითებით. შესადარებლად მოყვანილია სულხან-საბას განმარტება სასყიდლისა — ფახი; როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სულხან-საბას **უსასყიდლოც** აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი და სათანადოდაც განმარტებული.

44 თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1934. გვ. 65.

45 რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957. გვ. 61.

46 იქვე, გვ. 117.

47 იქვე, გვ. 363.

„რა მიეედით ქალაქად, გახდა ზათქი და ზეიმი და ანგარიში არ იყო ლართა დაყრისა. რაც მაშინ თვალი ღარიბი და **მარგალიტი უსახყიდლო** გარდმოყარეს, ერთის ქვეყნის დიდებად, ღმერთო, კმარიყო“[48].

„უსახყიდლო მარგალიტი“ გვხვდება რამდენჯერმე დ. გურამიშვილის „დავითიანში“[49]. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს, სადაც ეს გამოთქმა გადატანითაა ნახმარი და მიემართება ღვთისმშობელს.

ჩემ საყვარლის მომყვანელო ძედ, მარიამ ქალო,
სახით ოქროს სინათლეო, ლამპარ-განუმქრალო,
ზმირინ-გუნდრუკთ საკმეველო, საყნოსელად ალო,
ქალწულთ გვირგვინთ სამკაულო, თავ-ჯიღოანთ ალო,
უსახყიდლო მარგალიტო, ძვირფასისა თვალო...[50]

მაგრამ ამგვარივე ეპითეტად **უსახყიდლო**-ს გამოყენების არე გაცილებით ფართოა, რაც ფრიად საგულისხმოა. **უსახყიდლო** გამოყენებულია მარგალიტის გარდა სხვა ძვირფასი თვლების ან, საერთოდ, ზოგადი სახელების — თვალის, **სპეკალის** ეპითეტადაც.

„მერმე მიეიდა არმოკლა ხვასრო ხაზართა მეფისა ასულსა თახა, მოეხვია, დაჰკოცნა და თავს **უსახყიდლო გვარი** გადააყარა და მიულოცა“[51].

„...ლაპარაკნი მათნი თვალ-მარგალიტთა და **უსახყიდლოთა სპეკალთა** მსგავსი სანახავი იყო“[52].

„ოდეს მიენდო შაჰ-აბაზს კახეთის დედოფალია,
ვით მარგალიტი უსახო და **უსახყიდლო თვალია**...“[53].

„მოეგებნეს მოქალაქენი ყოველნი და აყრიდეს თავსა **თვალსა უსახყიდლოსა** და ჯავაირსა და დრაკანსა და მოულოცევდეს და ქებას შეასხემდეს“[54].

---

48 რუსუდანიანი, გვ. 561; **უსახყიდლო** „რუსუდანიანში“ სხვა შემთხვევებშიაც გვხვდება (იხ. ლექსიკონი).

49 იხ. ლექსიკონი „დავითიანისა“ 1955 წლის გამოცემაში.

50 დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, თბილისი, 1955, გვ. 115.

51 ამირანდარეჯანიანის დამატებანი: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. უ ყ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, II, თბილისი, 1949, გვ. 132.

52 ქილილა და დამანა: ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. II, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1962. გვ. 115.

53 თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, გვ. 127.

54 რუსუდანიანი, გვ. 352.

ჩვენ განზრახ არ მოვერიდეთ ვრცელი ამონაწერების მოყვანას, რათა გვეჩვენებინა, თუ როგორ იყო გავრცელებული **უსასყიდლო მარგალიტი** და მისი რიგის გამოთქმები ქართულ მწერლობაში უძველესი დროიდანვე. ეს გამოთქმა თვით XIX საუკუნეშიც კი ჩვეულებრივი იყო ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილ მწიგნობართა ლექსიკისათვის[55]. განსაკუთრებით საყურადღებოა ის შემთხვევები, როცა გამოთქმა **უსასყიდლო მარგალიტი** გადატანითაა გამოყენებული და **ფსალმუნს, იოსებ მშვენიერს, ღვთისმშობელს...** მიემართება, ასევე, როცა **მარგალიტი უსახო ქეთევან დედოფალს** მიემართება. ყველა შემთხვევაში ეს ეპითეტი გამოხატავს დიდი სიყვარულის, პატივისცემისა და მოწიწების გრძნობას მისამართი საგნისა თუ პიროვნებისადმი. სრულიად ასეთივე სურათია „ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო სტროფში, სადაც ეპითეტი **უსასყიდლო მარგალიტი თინათინს** ეკუთვნის.

მაგრამ ახლა მეორე საკითხი დგება: თუ საანალიზო ტაეპი ასე უნდა იკითხებოდეს **„მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლო უვაჭრელად“**, ხოლო ამ ტაეპში **უვაჭრელად** ამას ნიშნავს: **ვაჭრობის გარეშე, ისე, თუ არ ივაჭრა,** — მაშინ ამ სიტყვასთან შეუძლებელია შეწყობილი ყოფილიყო **უსასყიდლო მარგალიტი.**

უვაჭრელად-სიტყვას პოემის ამ სტროფში ყურადღება მიაქცია ილია აბულაძემ. მან გაარკვია, რომ **განვაჭრა, განფრდა** სიტყვათა სინონიმია ქართულში **განწირვაც** და რომ საანალიზო სტროფში **უვაჭრელად** ამას ნიშნავს: **თავის განუწირველად.** ამ დასკვნამდე იგი მივიდა მცხეთური და ოშკური ბიბლიების ერთი ადგილის (ესთერ, 7,4) შედარების შედეგად. მცხეთის ბიბლიაში ეს ადგილი ასე იკითხება: **„განვიფრდენით** მე და ერი ჩემი წარწყმედულად“, ხოლო ოშკისაში ასე: **„განვიწირენით** მე და ნათესავი ჩემი საიცხელად“.

მანვე ყურადღება მიაქცია აგრეთვე აბო ტფილელის წამების ერთ ადგილს: „ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყჳედ რომელიმე რეცა სიტყჳთა ლიქნისაჲთა: „შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჰაბუკესა შენსა **განჰვაჭრი** ქრისტიანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა განეშორები,

---

55 გვხვდება, მაგალითად, ნიკო დადიანის თხზულებაში „ქართველთა ცხოვრება“.

რაჲთა არა შეიმთხჳო ძკრი თავსა შენსა და შეგუაწუხნე ჩუენ ყოველნი“[56].

ამის მიხედვით ილია აბულაძემ დაადგინა **განვაჭრა**-სიტყვის შემდეგი მნიშვნელობები: გამეტება, გაცემა, **განწირვა**. მაშასადამე, **განვაჭრა** და **განწირვა** სინონიმებია, ხოლო ამ კონტექსტში **განვაჭრას** შეესაბამება **გატანჯვაც, გაწვალებაც, გაწამებაც**[57].

ნარკვევში — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დაგენის ზოგიერთი საკითხი“ — ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ასეთივე გადატანითი მნიშვნელობა აქვს ქართულში **განვაჭრა**-სიტყვის სინონიმურ **განფრდა**-სიტყვას და **განფრდილი** ნიშნავს აგრეთვე **განწირულს, გატანჯულს, განაწვალებს**, ხოლო შესაბამისად **გააფრდილებს**-ზმნის მნიშვნელობებია აგრეთვე: **განწირავს, გატანჯავს, გააწვალებს**[58].

ეს ანალოგია ადასტურებს ილია აბულაძის მიერ დადგენილ მნიშვნელობას **უვაჭრელად**-სიტყვისას საანალიზო სტროფში: აქ **უვაჭრელად** ნიშნავს: **თავგანწირვის გარეშე, გაუწვალებლად, ტანჯვა-წვალების უნახველად. უვაჭრელად**-სიტყვის ამგვარ მნიშვნელობას კი გამოთქმის — **უსასყიდლო მარგალიტის** — გადატანითი მნიშვნელობა სავსებით ეგუება და მთლიანად საანალიზო ტაეპში ესაა ნათქვამი: უსასყიდლო მარგალიტი (უფასო, ფასდაუდებელი, ფასის თქმაშეუძლებელი მარგალიტი) არვის შეხვდება, არვის ერგება თავგანწირვის, წვალების გარეშე, ტანჯვის უნახველად, უტანჯველად ფასდაუდებელ მარგალიტს ვერავინ მოიპოვებს.

გამოთქმა **უსასყიდლო მარგალიტი** ამ შემთხვევაში შოთა რუსთაველმა ავთანდილს ათქმევინა თინათინის მიმართ ისევე, როგორც უფრო ადრე გიორგი მთაწმინდელმა იხმარა ეს გამოთქმა ფსალმუნის შესახებ, როგორც ეს ნახმარია შემდგომ აგრეთვე ქამთა აღმწერლის თხზულებაში და როგორც ეს ნახმარი აქვს კიდევ უფრო შემდეგ თეიმურაზ პირველს იოსებ მშვენიერის, ხოლო დავით გურამიშვილს ღვთისმშობლის მიმართ. არ არის გამორიცხული ამ მხრივ ყოველ შემთხვევაში თეიმურაზ პირველზე და დავით გურამიშვილზე რუსთაველის ერთგვარი გავლენაც.

---

56 მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I. ილია აბულაძის რედაქციით. თბილისი, 1964, გვ. 66.

57 ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ივ. გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი“, „მაცნე“, 1966, № 3, გვ. 227.

58 დასახელებული ნაშრომი, გვ. 224—229.

ასეთი შინაარსი ამ ტაეპისა ზუსტად შეესაბამება მთელი სტროფის შინაარსს. ავთანდილი ამას ეუბნება შერმადინს: მიჯნური ველად მარტო უნდა იყოს გაჭრილი, მარტო უნდა განიცდიდეს ჭირს, რაც ველად გაჭრას მოსდევს; თუ თავი არ გავწირე, ჭირი არ ვნახე, ტანჯვა-წვალება არ განვიცადე, ისე **უსასყიდლო მარგალიტის** — თინათინის მოპოვების ღირსი ვერ გავხდებიო.

ჩვენი აზრი საანალიზო ტაეპის წაკითხვის შესახებ სათანადო დასაბუთებითურთ მოხსენდა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენ კომისიას, რომელიც 1959—1962 წლებში არსებობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან შემდეგი შემადგენლობით: ა. შანიძე (თავმჯდომარე) კ. კეკელიძე, გ. წერეთელი, ა. ბარამიძე, ილ. აბულაძე, მ. ებრალიძე (მდივანი), ივ. გიგინეიშვილი; კომისიის წევრთა უმრავლესობამ ჩვენი წინადადება არ გაიზიარა.

იმ ხანებში (1961 წლის ბოლოს და 1962 წლის დასაწყისში) კომისიამ გადაწყვიტა მის მიერ განხილულ სტროფთაგან შეერჩია ერთ-ერთი, დაემუშავებინა კომისიის თითოეულ წევრს თავისი მოსაზრებულებისამებრ, შემდეგ ეს ნამუშევრები გაეერთიანებინათ და კომისიის სახელით სანიმუშოდ გამოექვეყნებინათ. არჩევანი სწორედ 162-ე სტროფზე შეჩერდა.

ამასობაში, 1962 წლის „მნათობის“ მე-2 ნომერში გამოქვეყნდა გ. წერეთლის წერილი — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“. წერილში წარმოდგენილია 162-ე სტროფის ანალიზი: დადგენილი ტექსტის მიხედვით ნაჩვენებია ხელნაწერთა ვარიანტები, დართული აქვს შენიშვნები, კომენტარები და ლექსიკონი. წერილში გამოყენებულია ზემოდასახელებული კომისიის მასალაც.

ამ წერილში გ. წერეთელი საანალიზო ტაეპის შესახებ შემდეგს წერს:

„ივ. გიგინეიშვილის აზრით ტექსტი წაკითხული უნდა იქნეს ამგვარად: *მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლო უვაჭრელად*, რაც ნიშნავს: უსასყიდლო მარგალიტი არვის შეხვდეს უვაჭრელად. უ ს ა ს ყ ი დ ლ ო, როგორც ივ. გიგინეიშვილი მიუთითებს, ძალიან გავრცელებულია ძველ ქართულში და ძირითად მნიშვნელობასთან ერთად აღნიშნავს ძვირფასს, ფასი რომ არ დაედება ისეთს (იხ. ლექსიკონი). მაგრამ ტექსტში რომ „უსასყიდლო მარგალიტზე“ იყოს ლაპარაკი, მაშინ თანმიმდევრობა სხვა იქნებოდა: *მარგალიტი უსასყიდლო არვის მიჰხვდეს უვაჭრელად*, რაც არც ერთ ხელნა-

წერში არ დასტურდება. ამიტომ კომისიამ უპირატესობა მისცა სიტყვის დაწერილობას ვითარებით ბრუნვაში, რომელსაც საუკეთესო სელნაწერთა უმრავლესობა იძლევა".

იქვე ნათქვამია: „ილ. აბულაძის აზრით „უვაჭრელად" უნდა ნიშნავდეს „თავგანწირვის გარეშე", ვინაიდან შესატყვისი სომხური სიტყვის (*վաճառել*) ერთ-ერთი მნიშვნელობა არის „თავგანწირვა". „განწირვის" სინონიმად ჩანს „განვაჭრა" აბო ტფილელის ვარტვილობის ტექსტში: „შეილო, ნუ განსწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჰაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტეანედ" (კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალ. ქართ. ლიტ., 1935, გვ. 70).

კომისია არ იზიარებს ამ მოსაზრებას, ვინაიდან „ვაჭრობა" რაძდენჯერმე გვხვდება „ვეფხისტყაოსნის" ტექსტში, მაგრამ არც ერთხელ არაა ნახმარი „თავგანწირვის" მნიშვნელობით. თანაც მარგალიტის შეძენისათვის აუცილებელი არაა თავგანწირვა"[59].

იქვე შესადარებლად და ამ აზრის დასადასტურებლად მოყვანილია თარგმანები შ. ნუცუბიძისა — „Обрести возможно жемчуг лишь за плату и за торг" — და მ. უორდროპისა — „a pearl falls to the lot of none without buying and bargaining".

ჯ. წერეთლის კომენტარი საანალიზო ტაეპისა ასეთია: „მარგალიტი არავის ეწყნდება, მარგალიტს ვერავინ შეიძენს უსასყიდლოდ, უფასოდ, იუქთად: იმისათვის, რომ იგი შეიძინოს კაცმა, საჭიროა გაასარჯოს (ივაჭროს) და საფასური, სასყიდელი გაიღოს... ვაჭრობა აღმოსავლეთში მეტად მძიმე და რთულ საქმედ ითვლებოდა".

რა გვეთქმის ყოველივე ამის შესახებ?

ის ფაქტი, რომ შ. ნუცუბიძისა და მ. უორდროპის თარგმანები მხარს უჭერს წაკითხვას **„მარგალიტი არავის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად"**, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ წაკითხვის სასარგებლოდ: შ. ნუცუბიძესაც და მ. უორდროპსაც ეს ტაეპი თარგმნილი აქვთ სწორედ ამგვარი წაკითხვის შესაბამისად.

რაც შეეხება გ. წერეთლის წერილში წარმოდგენილ კომენტარს ამ ტაეპისას, იგი არ შეეფერება სტროფის შინაარსს. სტროფის მეორე ტაეპში ნათქვამია: „რა მიჯნური ველად რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად"; მეოთხეში — „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად". მესამე ტაეპის — „მარგალიტს ვე-

[59] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის", „მნათობი", 1962, № 2, გვ. 131.

რავინ შეიძენს უსასყიდლოდ, უფასოდ, მუქთად" — ამას არ ეგუება. თანაც გაუგებარია, რას ნიშნავს **უფასოდ, უსასყიდლოდ, მუქთად შეძენა.** შეძენა შეიძლება მხოლოდ ფასის, სასყიდლის გაღებით (ამის შესახებ იხ. ზემოთ).

რაც შეეხება ვაჭრობას, იგი აღმოსავლეთში შეიძლება მართლაც მეტად მძიმე და რთულ საქმედ ითვლებოდა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში" გადმოცემული დამოკიდებულება ვაჭრებისადმი და პოემის ავტორის შეხედულება მათზე გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მას ავთანდილისათვის თინათინის შესახებ ვაჭრობასთან დაკავშირებული სიტყვები ეთქმევინებინა[60].

ჩვენს მიერ მოწოდებული წაკითხვის საწინააღმდეგოდ გ. წერეთლის წერილში წარმოდგენილია სამი საბუთი:

1. **ვაჭრობა** რამდენჯერმე გვხვდება „ვეფხისტყაოსნის" ტექსტში, მაგრამ არც ერთხელ არაა ნახმარი **„თავგანწირვის"** მნიშვნელობით;

2. ტექსტში რომ **„უსასყიდლო მარგალიტზე"** იყოს ლაპარაკი, მაშინ სიტყვათა თანამიმდევრობა სხვა იქნებოდა — **მარგალიტი უსასყიდლო** არვის მიხვდეს უვაჭრელად, რაც არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება.

3. მარგალიტის შეძენისათვის აუცილებელი არაა თავგანწირვა.

არც ერთი ამათგანი საქმის ფაქტობრივ ვითარებას არ შეესაბამება.

ის ფაქტი, რომ **ვაჭრობა** რამდენჯერმე გვხვდება პოემის ტექსტში, მაგრამ არც ერთხელ არაა ნახმარი **თავგანწირვისა** თუ **გატანჯვის** მნიშვნელობით, არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ **უვაჭრელად** საანალიზო სტროფში არ შეიძლებოდეს **თავგანწირვის** მნიშვნელობით იყოს ნახმარი. პოემაში არაერთი შემთხვევა გვაქვს, როცა რომელიმე სიტყვა ერთი გარკვეული მნიშვნელობით მხოლოდ ერთხელაა გამოყენებული.

ის ფაქტი, რომ რომელიმე წაკითხვას ხელნაწერთა უმრავლესობა უჭერს მხარს, არასგზით არ შეიძლება ამ წაკითხვის სისწორის დამამტკიცებელ საბუთად გამოდგეს. გვაქვს აგრეთვე არაერთი შემთხვევა, როცა ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა, ზოგჯერ თითქმის ყველა ხელნაწერიც კი, ერთნაირ, მაგრამ უმართებულო

---

60 ვგულისხმობთ, მაგალითად, ასეთ ადგილებს: „თქვენ ეაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი" (1040); „აწ ნაბეთ მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწრუელი, მსწრომელი" (1165)...

წაკითხვას გვაწვდის, ხოლო ორიოდე (ზოგჯერ ერთადერთ) ხელნაწერს ერთადერთი მართებული წაკითხვა აქვს დაცული. ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა არც ერთ ხელნაწერს არა აქვს დაცული მართებული წაკითხვა.

მართლაც, 507-ე სტროფში — „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა“ — ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში **ხასითა**-ს ნაცვლად **სახითა** იკითხება (და ასე იკითხებოდა კიდევაც დიდი ხნის განმავლობაში გამოცემებშიც). **სასითა** უაზრობაა, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერთა უმრავლესობა მას აძლევს ხმას. 1328-ე სტროფის **შეჯდომა სარატანისა** ამ ფორმით არც ერთ ხელნაწერს არა აქვს დაცული, ხოლო მისი ფონეტიკური ვარიანტი **სარათანისა** ორიოდე ხელნაწერს შემოუნახავს. **სარატანისა** წაკითხვა აშის მიუხედავად ეჭვს არ იწვევს. 1261-ე სტროფში უნდა იკითხებოდეს: „ჩემნი მომკვლელნი წამწამნი შავნი გიშრისა **ჩხნდენია**“ და არა **ხენია**, როგორც ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში და ყველა გამოცემაშია წარმოდგენილი, **ჩხნდენია** კი ორიოდე ხელნაწერშია დაცული. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება[61].

საქმის ფაქტობრივ ვითარებას არც ეს მოსაზრება შეესაბამება: ტექსტში რომ „უსასყიდლო მარგალიტზე“ იყოს ლაპარაკი, მაშინ სიტყვათა თანამიმდევრობა სხვა იქნებოდაო („მარგალიტი უსასყიდლო“). ეს დებულება გულისხმობს, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ შესაძლებელი იყოს მხოლოდ პოსტპოზიციურად დასმული და საზღვრულის უშუალოდ მომდევნო მსაზღვრელი. ჩვენ ზემოთ არაერთი მაგალითი განვიხილეთ ისეთი, როცა მსაზღვრელი აშგვარი სახით გადაადგილებულია. საანალიზო ტაეპი (ჩვენი წაკითხვით) მსაზღვრულის გადასმის ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოგვიდგენს.

დასასრულ, აგრეთვე არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ ვითარებას აზრი, თითქოს მარგალიტის მოპოვებისათვის აუცილებელი არაა თავგანწირვა.

ცნობილია, რომ მარგალიტის მოპოვება ყოველთვის უდიდეს რისკთან, თავგანწირვასთან და უდიერ ფიზიკურ შრომასთან იყო დაკავშირებული. მარგალიტის მოპოვება ხდებოდა უძველესი დროიდანვე უმეტესწილად სპარსეთის ყურეში და ინდოეთში (ცეილონის მახლობლად). მყვინთავები სხდებოდნენ ნავებში. თითოეულ

---

61 შდრ. ა. შანიძე, დღევანდელი ვითარება ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 134—135.

ნავში ათამდე მყვინთავი თავსდებოდა; ისინი წყვილ-წყვილად მუშაობდნენ. როცა ერთი აგროვებდა ნიჟარებს, მეორეს ამოჰყავდა იგი და ამოჰქონდა მოპოვებული ნიჟარები. შემდეგ ერთმანეთს ეხაცვლებოდნენ. ზღვის ფსკერზე ჩადიოდნენ თოკზე მიბმული დიდი ქვის დახმარებით. ხამანწკების ჰერა წარმოებდა 40-მდე ფუტის სიღრმეზე. ყვინთავდნენ შიშველები: ჰქონდათ მხოლოდ სარტყელი წელზე და პარკი ნიჟარების მოსაგროვებლად. წყალში ყოფნა შეეძლოთ 45-60 სეკუნდის განმავლობაში. მყვინთავების ჯანმრთელობაზე ეს მძიმე შრომა გამანადგურებლად მოქმედებდა. ეს სამუშაო ისე მტანჯველი იყო, რომ მყვინთავებს ხშირად სისხლი სდიოდათ პირიდან, ცხვირიდან და ყურებიდან. დროთა განმავლობაში მათი სხეული წყლულებით იფარებოდა, მხედველობა უსუსტდებოდათ, თვალები უსისხლიანდებოდათ. წყლიდან ამოსვლისას ხშირად უგონოდ ძირს ეცემოდნენ. ბევრი მათგანი დამბლავდებოდა. ეს ადამიანები სიბერეს ვერასოდეს აღწევდნენ. გარდა ამისა მყვინთავებს დიდი საფრთხე მოელოდათ ზვიგენებისაგან, რომლებიც გაბუდმებით დაძრწიან ამ სიღრმეზე. ხოლო სპარსეთის ყურეში, ბაჰრეინის კუნძულების მახლობლად, აგრეთვე ხერხთევზათაგან[62].

ამის გამო იყო, რომ მარგალიტის მომპოვებელთა შრომა დიდი ტანჯვა-წვალებისა და თავგანწირვის და ამასთან ერთად ვაჟკაცობისა და გამბედაობის სინონიმი გახდა და ეს თემა ძალიან გა-

---

62 იხ. Н. М. Книпович, Жемчуг: Энциклопедический словарь, издание Ф. А. Брокгауза и И. А. Ефрона, т. XI-а, С.-Петербург, 1894; Grand dictionnaire universel par Pierre Larousse, t. douzième, Paris; Larousse universel, II, 1923.

ბაჰრეინის კუნძულები ის ბარანია. რომლის შესახებ „აბულმესიანში“ ვკითხულობთ: „ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალება, მუშკს სურნელება შენიან მიეცა: ყანდაჰარს შაჰარ, მაღრიბსა ზარქან. ბარანს მარგალიტ-სადაფი ეცა“ (58); TP, IV, С.-Петербург, 1902. ბარანს ნ. მარი ასე განმარტავს: ქალაქია ინდოეთშიო. ბარაინი ცნობილი ყოფილა ჩვენში XVIII საუკუნეშიც. კერძოდ, მას იხსენიებს ბესიკი თავის ლექსებში: „ლალს მოეცა ბარაინის დარანი, სადაფს ვარქვი: შენ ტიელად ეარე“ („ხმა სირინოზსა“): „ბარაინს მანგნი მოეცნეს“ („ასპინძისათვის“): ბესიკი, თხზულებანი აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1962. გამოცემას დართულ ლექსიკონში ვ. თოფურია ზუსტად მიუთითებს: „ბარაინი — ბაჰრაინი, ბაჰრეინი (კუნძული სპარსეთის ყურეში), ცნობილია მარგალიტის მოპოვებით“. „აბდულმესიანის“ ბარანი და ბესიკის ლექსებში დადასტურებული ბარაინი რომ ერთი და იგივეა, აღნიშნული აქვს ივ. ლოლაშვილს („ძველი ქართველი მეხოტბენი“, წიგნი მეორე, აბდულმესიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა. კომენტარიები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1961, გვ. 219).

ვრცელდა მსოფლიო ლიტერატურაში. ამაზე წერდნენ ჯეკ ლონდონი („პარლეის მარგალიტი"), ოსკარ უაილდი („ახალგაზრდა მეფე")...

ძველ საქართველოში, როგორც ჩანს, მარგალიტის მოპოვების წესებსაც რიგიანად იცნობდნენ და ამასთან დაკავშირებულ სიძნელეებზედაც ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა, ამასთან მარგალიტის მხატვრულ სახედ გამოყენებაც იცოდნენ. ამას გვიდასტურებს ზემოთ „აბდულმესიანში" და ბესიკის ლექსებში დადასტურებული **ბარანი//ბარაინი,** ამისი არაერთი სხვა მაგალითიც მოიპოვება ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში.

ეფრემ ასურის ერთ თხზულებაში ასეთი ადგილი მოიპოვება:

„ეგრე თავისუფალ ყავ იგი, ვითარცა მეყურწუმემან, რომელი შთაჴდის სიღრმესა მას წყალთასა და ეძიებს მარგალიტსა და, ოდეს პოვის, მუნთქუესვე აღმოჴდის იგი სიღრმისა მისგან წყალთაჲსა, რამეთუ ყოველნი ჯორცნი მისნი შიშუველ არიედ წყალთა მათთჳს, წყალნი იგი ადგილობანს დგანედ, ხოლო იგი დიდითა სიმდიდრითა გამოჴდის ქმელად"[63].

ხოლო იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაში ასეთი ადგილი მოიპოვება:

„არა თუ ადვილად საურავსა რასმე ვეძიებთ, არამედ სიღრმეთაგან ზღვასათა პატიოსანთა მარგალიტთა, შრომით მოსაგებელნი ა, გუნებავს ცხადად გამოჩინებაჲ"[64].

უფრო გვიან „რუსუდანიანში" ვკითხულობთ:

„მარგალიტი უსასყიდლო და თვალი პატიოსანი მით იქნების, რომე ძვირად საშოვნელია და ძნელად საპოვნი. ვინც მარგალიტის მძებნელია, მრავალ ჭირსა ნახავს ხმელზედაცა და ზღვაშიაც, მაგრამ მარგალიტი სადაფთა შუა თავს იმალავს და ადგილისაგან არ შეიძვრის, სანამდი კარგი და მისი ხელოვნად გამომღები და მისის ფასის ღირსად შემტყობი არ მოვა. რაგინდ დიდთა ხელმწიფეთა უღონიოდ მარგალიტი უნდოდეს, სადაფთაგან თავს ვერ გამოიღებს[65].

---

63 ეფრემ ასური, „სინანულისათჳს": ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბილისი, 1963, გვ. 15. ი. იმნაიშვილის გამოცემა.

64 ცხოვრებაჲ იოვანე ზედაზნელისაჲ: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი, 1955, გვ. 4.

65 რუსუდანიანი, გვ. 556.

სიტყვათწყობასთან დაკავშირებით ამ ნარკვევში მსაზღვრელი სახელის ადგილთან დაკავშირებული მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევაა წარმოდგენილი. სიტყვათწყობას სხვა რიგის საკითხებიც უკავშირდება, რომელთა გათვალისწინება აგრეთვე აუცილებელია „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის დადგენისას. ეს საკითხები სხვაგანაა განხილული.

შენიშვნები

1. **„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი (ერთი სტროფის ანალიზის საფუძველზე).** გვ. 7—58.

ნარკვევი წაკითხული იყო მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის საჯარო სხდომაზე 1965 წლის 9 მარტს (იხ. საჯარო სხდომის მუშაობის გეგმა).

ნარკვევის ის ნაწილი, რომელიც ეხება პოემის 713-ე და 1054-ე სტროფების მეორე ტაეპების სარითმო სიტყვების აღდგენის საკითხს (**გააფლიდებს — გააფრდილებს, ცვილობა—ფრდილობა**), წარმოადგენს ერთ თავს იმ მოხსენებისას, რომელიც წაკითხული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა 1(IV) სამეცნიერო კონფერენციაზე 1963 წლის 27 აპრილს (იხ. კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

ნარკვევის ის ნაწილები, რომლებიც ეხება პოემის 1445-ე სტროფის მესამე ტაეპის სარითმო სიტყვის აღდგენას (**ნიშატნი საჩანგდაფენი**) და 1383-ე სტროფის II და III ტაეპების გადასმის საკითხს, წაკითხული იყო მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიაზე 1957 წლის 11 ივნისს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

ნარკვევი გამოქვეყნდა ჟურნ. „მაცნეს“ 1966 წლის მე-3 ნომერში (გვ. 198 — 236).

აქ იბეჭდება უცვლელად, ოღონდ ამოღებულია ადგილი ერთი სტროფის გადასმის შესახებ პოემაში. ამ ადგილას „მაცნეში“ გამოქვეყნებულ ტექსტში ტექნიკური ხასიათის უზუსტობა გაიპარა, რაზედაც სამართლიანად მიუთითა ს. ცაიშვილმა („ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, გვ. 141, თბილისი 1970). ამის შედეგად ამ ადგილის ზედმეტობა თავისთავად ცხადი გახდა.

დამატებულია ცნობები 1966 წელსა და შემდგომ გამოსული გამოცემების წაკითხვათა შესახებ. ასეთი მასალა კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული.

2. **„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის საკითხები.** გვ. 59—123.

ა) **წვერგამო** (გვ. 59—72).

მოხსენდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომას 1961 წლის 30 დეკემბერს.

გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებულში — **„შოთა რუსთაველს“** (თბილისი, 1966, გვ. 342 — 352).

ბ) **უაუგო** (გვ. 73—87).

წაკითხული იყო მოხსენებად საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა I (IV) სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე 1963 წლის 27 აპრილს (იხ. კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებულში **„შოთა რუსთაველს“** (გვ. 352 — 363).

ბ) **ხეზი** (გვ. 87—98):

დ) **„ვუალნეთ“** (გვ. 98—113);

ე) **ჩხნდე** (გვ. 113—123).

სამივე ნარკვევი წაკითხული იყო ერთ მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტში რუსთველოლოგიური სემინარის სხდომაზე 1962 წლის 27 აპრილს (იხ. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“ № 17 (796), 16.V. 1969 წ.).

დაიბეჭდა 1973 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XVIII ტომში, რომელიც მიეძღვნა აკად. არნ. ჩიქობავას დაბადების სამოცდათხუთმეტი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავს (გვ. 211 — 241).

3. **ზოგი სამოხელეო ტერმინისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (პოემის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით).** გვ. 123—141.

პირველი ნარკვევი წინამდგომელ-ტერმინის შესახებ წაკითხული იყო მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესიაზე 1958 წლის 31 მაისს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

ორივე ნარკვევი ერთად გამოქვეყნდა 1966 წელს ჟურნ. „მაცნეს“ მე-5 ნომერში (გვ. 25—38).

4. **„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის წაკითხვისათვის ქართულში ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებებთან დაკავშირებით.** გვ. 141 — 173.

წაკითხული იყო მოხსენებად 1961 წლის 17 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

დაიბეჭდა 1966 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების" XV ტომში, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს (გვ. 39—62).

5. **„ვეფხისტყაოსნის" ერთი სტროფის წაკითხვისა და გაგების**ათვის. გვ. 173—203.

წაკითხული იყო მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტში რუსთველოლოგიური სემინარის სხდომაზე 1967 წლის 28 დეკემბერს (იხ. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი" № 3 (744), 19. 1.1968 წ.).

დაიბეჭდა 1971 წელს ჟურნ. „მაცნეს" (ენისა და ლიტერატურის სერია) მე-3 ნომერში (გვ. 35—58). აქ იბეჭდება ზოგიერთი ცვლილებით.

6. **მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურებების შესახებ „ვეფხისტყაოსნის" ენაში.** გვ. 203—233.

წაკითხული იყო მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესიაზე 1967 წლის 27 ივნისს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

დაიბეჭდა 1972 წელს ჟურნ. „მაცნეს" (ენისა და ლიტერატურის სერია) მე-3 ნომერში (გვ. 99 — 120).

7. **ზმნის პირის ფორმათა აღრევის შემთხვევები „ვეფხისტყაოსნის" ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში.** გვ. 233—287.

წაკითხული იყო მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტში რუსთველოლოგიური სემინარის სხდომაზე 1967 წლის 27 აპრილს (იხ. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი" № 16 (718), 7.V.1967 წ.)*.

ნარკვევის ის ნაწილი, რომელიც ეხება 849-ე სტროფს, წაკითხული იყო მოხსენებად ადრე, 1956 წლის 29 დეკემბერს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე; მეორე ნაწილი 363-ე

* იხ. აგრეთვე: დენის დ ე ბ უ ა ძ ე, ლევან მ ე ნ ა ბ დ ე, რუსთველოლოგიური სემინარი: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, B 8—9, 1974, გვ. 441—442.

სტროფის შესახებ მოხსენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIV საძეცნიერო სესიას 1957 წლის 11 ივნისს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), ხოლო კიდევ ერთი ნაწილი, რომელიც ეხება პოემის 640-ე, 998, 1306-ე სტროფებს, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესიას 1958 წლის 31 მაისს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

ნარკვევი პირველად ქვეყნდება.

8. სიტყვაწარმოების თავისებურებებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა. გვ. 287—321.

ამ ნარკვევის პირველი ნაწილი პოემის 192-ე სტროფის მესამე ტაეპის შესახებ (**„როსტომის მკლავუგრძესითა“**) წაკითხული იყო მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესიაზე 1958 წლის 31 მაისს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), მაგრამ არ გამოქვეყნებულა. ა. შანიძემ საჭიროდ ცნო ამ მოხსენების შესახებ დაებეჭდა წერილი („კვლა და კვლაცი“: „მნათობი“, 1959, № 1), რომელშიც, როგორც მკითხველს ამჟამად შეუძლია დარწმუნდეს, ზუსტად არ ყოფილა გადმოცემული ჩვენი მოხსენების დებულებები, თუმცა მათი მკაცრი კრიტიკა კი იყო წარმოდგენილი. ამის გამო მე საჭიროდ მივიჩნიე, რომ გაუგებრობის გაფანტვის მიზნით ეს მოხსენება ისევ წამეკითხა, ამჟამად უკვე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე 1961 წელს. საკითხი თითქოს ამით ამოიწურა, მაგრამ „კვლა და კვლაცი“ ავტორმა კვლავ გამოაქვეყნა 1966 წელს (ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, I, გვ. 144—146).

ჩვენი ნარკვევი ამჟამად იბეჭდება უცვლელად.

1969 წელს გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 6,7.11). გამოქვეყნდა ა. რუგოშელის წერილი „მკლავ უგრძესითა კი არა, კვლა უგრძესითა“. წერილის ავტორს ტრადიციული წაკითხვა აგრეთვე წარყვნილად მიაჩნია და ცვლის მას კონიექტურით — **როსტომის კვლა უგრძესითა.**

ნარკვევის ერთი ნაწილი 820-ე სტროფის მესამე ტაეპის სარითმო სიტყვის შესახებ (**„ვით წასრულიყო და რულად“**) მოხსენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების იხსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომას 1956 წლის 29 დეკემბერს, ხოლო მეორე ნაწილი 476-ე სტროფის მესამე ტაეპის სარითმო სიტყვის შესახებ (**„ხე, ედემს ხებული“**) — ენათმეცნიე-

რების ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესიას 1958 წლის 31 მაისს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

საკითხი 71-ე სტროფის ერთი ადგილის წაკითხვის შესახებ მოხსენდა 1961 წელს პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომას (შდრ. ც. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „ვეფხისტყაოსნის“ გურგენასეული ხელნაწერი“: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, თბილისი 1964, გვ. 313).

9. **რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსანში“.** გვ. 321—335.

წაკითხული იყო მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესიაზე 1969 წლის 17 ივნისს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები). დაიბეჭდა 1974 წელს ჟურნ. „მაცნეს“ მე-4 ნომერში.

10. **სიტყვათა წყობის ზოგიერთი თავისებურება რუსთაველის ლექსში და ამასთან დაკავშირებული საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა.** გვ. 335—377.

წაკითხული იყო მოხსენებად 1966 წლის 6 ივლისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXII სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

გამოქვეყნდა საიუბილეო კრებულში, რომელიც მიეძღვნა აკად. ა. ბარამიძის დაბადების სამოცდაათი და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავს (თბილისი, 1974, გვ. 71 — 102).

ნარკვევის ორი ნაწილი, რომელთაგან ერთში 846-ე სტროფის წაკითხვის საკითხია განხილული, ხოლო მეორეში 541-ე სტროფისა, წარმოადგენს ერთ მონაკვეთს მოხსენებისას, რომელიც წაკითხული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიაზე 1957 წლის 11 ივხისს (იხ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

შემოკლებანი

C=ადიშის ოთხთავი, D=ჯრუჭის ოთხთავი, E=პარხლის ოთხთავი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945.

(მ=მათე, მრ=მარკოზ, ლ=ლუკა, ი=იოვანე).

არჩილიანი=არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, ტფილისი, 1936; ტ. II, თბილისი, 1937.

ბერი ეგნატაშ., ახ. ქ. ც.=ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. იხ. ქართლის ცხოვრება.

გალექსილი ამირანდარეჯანიანი=ს. თანიაშვილი, გალექსილი ამირანდარეჯანიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1941.

გიორგი ბრწყინვალის სამართალი=გიორგი ბრწყინვალის სამართალი, ი. დოლიძის გამოცემა, თბილისი, 1957.

დავ. აღმაშ. ისტორ.=დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. იხ. ქართლის ცხოვრება.

ევროპაში მოგზაურობა=სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში ს. იორდანიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1940.

ვისრამიანი=ვისრამიანი ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით. ლექსიკონი იუსტ. აბულაძისა, ტფილისი, 1938.

თეიმურაზ I=თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1934.

თეიმურაზ II=თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი 1939.

ისტორიანი და აზმანი=ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. იხ. ქართლის ცხოვრება.

ლ. მრ.=ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. იხ. ქართლის ცხოვრება.

მეხოტბენი = Древнегрузинские одописцы, ნ. მარის გამოცემა, პეტერბურგი, 1902 (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV).

პეტრიწი=იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937; ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940.

რუსუდანიანი=რუსუდანიანი ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

ქართლის ცხოვრება=ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955; ტ. II, თბილისი, 1959.

ქილილა და დამანა=ქილილა და დამანა ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949.

ქრონიკები=თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. I, ტფილისი, 1892; ტ. II, ტფილისი, 1897.

შაჰნამე=შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტ. I, იუსტ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1916; ტ. II, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1934.

ვახტ.=ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1912 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფილისი, 1937.

ბრ.=ვეფხისტყაოსანი, მ. ბროსეს გამოცემა, პეტერბურგი, 1841.

ჩუბ.=ვეფხისტყაოსანი, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა („ქართული ქრისტომატია“, ტ. II), პეტერბურგი, 1860.

ქართ.=ვეფხისტყაოსანი, გ. ქართველიშვილის გამოცემა, თბილისი, 1888.

კარ. I=ვეფხისტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის გამოცემა, თბილისი, 1913.

კარ. II=ვეფხისტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის გამოცემა, თბილისი, 1920.

კაკ. I=ვეფხისტყაოსანი სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1913.

კაკ. II=ვეფხისტყაოსანი სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, თბილისი, 1927.

აბ. I=ვეფხისტყაოსანი იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1914.

აბ. II=ვეფხისტყაოსანი იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1926.

ჰიჰ.=ვეფხისტყაოსანი კონსტ. ჰიჰინაძის რედაქტორობით, თბილისი, 1934.

ინგ.=ვეფხისტყაოსანი პ. ინგოროყვას რედაქტორობით. თბილისი, 1953.

ვეფხისტყაოსანი 1937=ვეფხისტყაოსანი, 1937 წ. საიუბილეო გამოცემა კომისიისა.

ვეფხისტყაოსანი 1951=ვეფხისტყაოსანი, 1951 წ. გამოცემა ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით.

ვეფხისტყაოსანი 1957=ვეფხისტყაოსანი, 1957 წ. გამოცემა ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით.

A=საქართვ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა.

H=საქართვ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი ყოფ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა.

S=საქართვ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.

Q=საქართვ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი ფონდი.

K=ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი.

W=ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი.

P=პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი.

s — „ვეფხისტყაოსანი“ ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1966.

t — „ვეფხისტყაოსანი“. ტექსტი მოამზადეს გამოსაცემად გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ. რედაქტორები. გ. წერეთელი, ი. აბაშიძე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966.

u— „ვეფხისტყაოსანი“. სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერე-

თ ე ლ ი. გამომცემლობა „საბჭოთა.საქართველო“, თბილისი, 1966.
y — „ვეფხისტყაოსანი“. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს რედაქციით, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1970.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ლიტერები

A — H 757
B — H 54
C — H 2074
D — Q 1082
E — H 599
F — S 2829
G — S 4988
H — H 2610
I — Q 261
J — H 461
K — S 4499
L — A 363
M — Q 779
N — S 3077
O — K 205
P — S 1418
Q — K 215
R — Q 930
S — H 3249
T — W 17
U — S 5006
V — H 3061
X — P 10
Y — H 740
Z — W 27

ИССЛЕДОВАНИЯ ПО ВОПРОСАМ ЯЗЫКА И КРИТИКИ ТЕКСТА ПОЭМЫ ШОТА РУСТАВЕЛИ «ВЕПХИСТКАОСАНИ»

«Вепхисткаосани» — величайший памятник грузинской литературы XII—XIII веков. Поэма была написана в то время, когда в истории грузинского литературного языка начались большие сдвиги. Изменения, происходившие тогда в экономической и политической жизни Грузии, привели к перемещению культурных центров страны. Было положено начало постепенной переработке древнегрузинского литературного языка на основе диалектов равнинной части Восточной Грузии. «Новогрузинский язык сложился в результате переработки древнегрузинского на основе живой речи Картли и Кахети»...[1] «Новогрузинский литературный язык питает живая речь равнинных областей Восточной Грузии». «Основы новогрузинского литературного языка закладываются в Тбилиси: освобождение его от турок-сельджуков Давидом Строителем в 1122 году и перенесение политического и культурного центра из Кутаиси в Тбилиси (со всеми вытекающими отсюда последствиями) было важнейшим общественно-политическим событием, обусловившим формирование новогрузинского литературного языка»[2]. С другой стороны, быстрое и мощное развитие светской литературы немало способствовало определенному перелому, свершившемуся в древнегрузинском литературном языке, и образованию новогрузинского литературного языка.

Новогрузинский литературный язык является естественным продолжением древнегрузинского литературного языка. От древнегрузинского он унаследовал богатую лексику и грамматический строй. Переработка их на базе живой речи населения Картли и Кахети происходила постепенно. В литературном языке получили распространение такие формы, которые в древнегрузинском встречались лишь изредка. Эти

---

[1] А. С. Чикобава, Илья Чавчавадзе о языке, Тбилиси, 1938.

[2] А. С. Чикобава, Общая характеристика грузинского языка; Толковый словарь грузинского языка, т. I.

формы в живой речи, в устном разговорном литературном языке существовали и прежде, но древнегрузинский литературный язык ставил преграды на их пути. «Живая грузинская речь культурных кругов общества XII столетия, по-видимому, и была тем источником, отражение которого в литературном языке свидетельствует о зачатках новогрузинского литературного языка»[3].

Утверждение новогрузинского литературного языка шло путем постепенного и медленного изменения элементов старой структуры. Этот процесс, как известно, длился несколько веков. Определенная ступень данного процесса нашло отражение в «Вепхисткаосани».

В процессе становления и развития новогрузинского литературного языка монолитность языка поколебалась: литературный язык уже не имел строго установленных норм. Таков язык грузинской литературы периода возрождения и, в частности, литературных памятников XVII века. В этом языке обильно представлены формы диалектного происхождения, вместе с тем, по определенным причинам, сила унификации в нем ослаблена. Литературный язык распространяется неодинаково по разным уголкам страны, и подчиняющая его сила ослабляется.

Но даже при таких условиях постепенное утверждение литературного языка все же продолжалось, и совершенно особая роль в этом отношении принадлежит «Вепхисткаосани». Гениальная поэма Руставели стала достоянием всего народа. «Вепхисткаосани» заучивали наизусть, ее афористические строки проникали в народ как пословицы, язык поэмы стал образцом для подражения и, таким образом, сделался могучим и существенным фактором распространения литературного языка, его становления и утверждения по всей Грузии, среди всего грузинского народа.

Следует особо подчеркнуть очень большое влияние «Вепхисткаосани» на памятники грузинской литературы периода возрождения — как на оригинальные, так и переводные — с точки зрения лексики, фразеологии, форм отдельных слов, рифмы и др. Этот факт может оказать важную услугу делу установления текста поэмы. Во многих случаях у писателей периода возрождения повторяются целые стихи, а также катрены рифм из «Вепхисткаосани»; при этом отдельные

---

3 А. С. Чикобава. О сочетании древнегрузинских и новогрузинских элементов в морфологической и синтаксической структуре языка поэмы Руставели «Вепхисткаосани», «Иберийско-кавказское языкознание», XV, Тбилиси, 1966.

формы и разночтения текста у них представлены более полно и неискаженно, чем в рукописях поэмы. Кроме того, разные авторы вольно или невольно дают нередко свое, гораздо более точное и правильное толкование этих форм, оборотов и лексических единиц поэмы, и это вполне естественно.

Поэма разделила судьбу всех других памятников грузинской литературы классического периода. Она была написана в конце XII или начале XIII века, однако до нас не дошел не только подлинник поэмы, но даже ни один список, близкий к дате ее написания. Древнейшая из сохранившихся рукописей «Вепхисткаосани» относится к первой половине XVII века, а древнейший из датированных списков восходит к 1646 году. (Не дошли до наших дней также переписанные раньше XVII столетия списки «Амирандареджаниани», «Висрамиани», сочинений одописцев...). Все сохранившиеся рукописи «Вепхисткаосани» представляют собой т. н. пространную редакцию текста поэмы, т. е. содержат вставные строфы, продолжения и приложения, в большей или меньшей степени во всех рукописях поврежден текст пролога поэмы и т. д. Имена одних подражателей и продолжателей Руставели известны, других — нет, но этот факт не имеет существенного значения с текстологической точки зрения. Важнее то обстоятельство, что, если распознать вставные и добавочные строфы и выделить их из текста поэмы в большинстве случаев очень легко, так как настолько несовершены их достоинства с художественной точки зрения, с точки зрения лексики, и настолько неуместно и нелогично выглядят они на фоне общего текста поэмы, — то нередко выделение вставных и добавочных строф затруднительно, поскольку эти стихи обладают довольно высокой художественной ценностью, и их легко принять за подлинные строфы поэмы; из числа продолжений «Вепхисткаосани» это относится в первую очередь к сказанию об индо-хатайцах, с которым тесно связан и вопрос о финале поэмы.

Эта пространная редакция с приложениями и вставками, по-видимому, сложилась намного раньше XVII столетия. Многие вопросы, связанные с этой редакцией, покрыты мраком неизвестности.

Таков, например, вопрос о том, где кончалась поэма, таков и спорный вопрос о прологе и о последних пяти строфах поэмы. Ко всему этому добавляется то обстоятельство, что и в тексте, представленном в рукописях, имеется много искажений и неясных мест. Есть расхождения даже между такими рукописями, которые относятся к одной редакции. Встречаются искажения лексического характера, поскольку

переписчики не понимали значения некоторых древних слов: искажены формы слов, изменены синтаксические конструкции. Положение исследователя при критике текста поэмы, правда, облегчает то обстоятельство, что «Вепхисткаосани» написана шестнадцатисложным стихом — т. н. высоким (მაღალი maγali) и низким (დაბალი dabali) шапри, строфами-четырехстишиями с одной — обычно точной — рифмой в строфе, а все это во многих случаях упрощает исправление и восстановление искаженных мест; но наряду с этим следует также сказать, что ни один памятник грузинской литературы не подвергался изменениям и переделкам столь настойчиво и интенсивно, как «Вепхисткаосани». У гениального автора поэмы оказалось множество бездарных подражателей и интерполяторов.

Рукописи «Вепхисткаосани» подразделяются на две группы. К первой из них относятся рукописи, переписанные до 1712 года, до первого издания поэмы. К ним примыкают и те рукописи, которые, хотя переписаны и после 1712 года, восходят к древним рукописям, а не к изданию Вахтанга VI. Вторую группу рукописей составляют более поздние списки с издания Вахтанга VI. И разумеется, ценность этих последних весьма невелика.

Следует особо отметить, что мы, кажется, не располагаем ни одной рукописью, которая была бы точной копией первой редакции или же восходила бы к такой рукописи. Даже те списки поэмы, которые относятся к одной редакции, имеют как будто некий общий источник, до нас не дошедший.

Очевидно, что значение древних рукописей для изучения «Вепхисткаосани» и критического установления текста поэмы велико. Путем сравнения и сличения между собой разночтений рукописей во многих случаях становится возможным угадать правильное чтение. Само собой разумеется, нельзя придавать решающего значения тому, что какое-либо чтение может встречаться в подавляющем большинстве рукописей: оно может все же оказаться неверным чтением, тогда как совершенно правильное чтение может сохраниться лишь в одной рукописи. Наблюдается немало случаев того, как большинство рукописей, порой чуть ли не все, повторяют одинаковое, но неверное чтение, и лишь единичные рукописи, иногда даже одна-единственная, — сохраняют правильное чтение. Есть и такие случаи, когда правильное чтение не сохранилось ни в одной рукописи.

Больше всего осложняет положение то, что все эти рукописи переписаны спустя четыре столетия после создания

поэмы, и орфографические нормы подлинника в них соблюдены неточно, переписчики придерживаются орфографических норм своего времени. Нарушаются в рукописях также морфологические и синтаксические нормы языка XII века. В последнем случае еще возможно путем анализа дошедшего до нас текста «Вепхисткаосани» восстановить, хотя бы приблизительно, авторские написания. В этом отношении особое значение имеет морфологический анализ рифмуемых слов, с одной стороны, и синтаксический анализ синтагм, в составе которых эти рифмуемые слова входят, — с другой стороны. Нельзя то же самое сказать об орфографических нормах. В данном случае нам пришлось бы обратиться к памятникам эпохи Руставели, их изучению, и путем взаимного сопоставления восстанавливать орфографические нормы этой эпохи. Однако и в этом случае мы сталкиваемся с препятствиями: ведь и другие памятники этой эпохи дошли до нас отнюдь не в виде рукописей, относящихся к XII—XIII векам, эти памятники тоже представлены поздними списками, датируемыми XVII столетием, а их орфография в принципе та же самая, что и в рукописях «Вепхисткаосани», переписанных в XVII веке. Зато изучение морфолого-синтаксических норм языка этих памятников оказывает неоценимую услугу при исследовании морфолого-синтаксических норм и лексики «Вепхисткаосани».

Все это обязывает нас с должной осторожностью относиться к показаниям рукописей и делать соответствующие выводы лишь на основании строгого языкового и смыслового анализа спорных мест, с учетом вопросов поэтики, культурно-исторических реалий и многих других.

Что же касается изданий текста поэмы, то здесь следует отметить следующее.

«Вепхисткаосани» — первый памятник грузинской светской литературы, изданный типографским способом. Поэма напечатана Вахтангом VI в 1712 году в Тбилиси, в основанной им самим типографии. Вахтанг VI снабдил издание своими комментариями, т. н. «толкованием». «Вепхисткаосани» была одной из первых книг, напечатанных в этой типографии.

Издание Вахтанга VI существенно отличается по объему (составу) текста от «Вепхисткаосани», дошедшего до нас в рукописях. (А рукописи, которыми располагал Вахтанг, как видно, были более или менее того же характера, что и дошедшие до наших дней). Если в рукописях представлен текст т. н. пространной редакции поэмы с продолжениями, приложениями и вставками, то в издании Вахтанга VI мы

имеем краткую редакцию текста, без продолжений, приложений и вставок. К тому же, в этом издании по-своему разрешен вопрос о финале поэмы.

В 1937 году акад. А. Шанидзе восстановил издание Вахтанга VI 1712 года, снабдил его исследованием и научным аппаратом, а кроме того, исправил корректурные ошибки первого издания. Благодаря этому, издание Вахтанга VI, от которого до наших дней дошло всего лишь несколько экземпляров, теперь стало достоянием широких кругов общества. В результате осуществления этого издания окончательно прояснился один из основных вопросов руставелологии — что же собой представляет издание Вахтанга VI? А. Шанидзе доказал, что первое издание «Вепхисткаосани» — это искусственно сокращенный текст поэмы, а не точное воспроизведение какой-либо древней рукописи. Впоследствии этому вопросу посвятил специальные работы С. Цаншвили, который новыми фактами подтвердил то положение, что издание «Вепхисткаосани» 1712 года является плодом редакторской работы Вахтанга VI.

В восстановленном издании А. Шанидзе, правда, исправлены многие корректурные ошибки, вкравшиеся в издание 1712 года, но несмотря на это в изданиях поэмы последнего времени все же встречается немало неясностей, источником которых являются именно корректурные ошибки издания Вахтанга VI.

Вообще же издание 1712 года было большим событием в истории изучения гениальной поэмы Руставели. Велико его значение для изучения текста «Вепхисткаосани» и в настоящее время, но, с другой стороны, нельзя не отметить, что в XIX веке и особенно до 40-х годов нынешнего столетия господствовало некритическое отношение к этому изданию, что нанесло немалый ущерб делу изучения текста поэмы: чтения Вахтанга, а подчас и вкравшиеся в его издание корректурные ошибки, прямо без изменений переносились в последующие издания; порой даже предпринимались попытки обоснования подобных чтений и, таким образом, ошибочные формы и чтения укоренялись.

Издание Вахтанга VI в редакционном отношении противостояло рукописям поэмы: в рукописях была представлена пространная (с добавлениями и вставками) редакция, тогда как издание Вахтанга заложило основы краткой редакции. К краткой редакции относятся текст, изданный в 1841 году в Петербурге под редакцией М. Броссе, З. Палавандишвили и Д. Чубинашвили, а также издание 1860 года, подготовленное Д. Чубинашвили и вошедшее в изданную этим же

ученым «Грузинскую хрестоматию»; краткая редакция представлена в издании Г. Картвелишвили, осуществленном в 1888 году, — текст этого издания, как известно, был подготовлен комиссией, в составе которой были видные писатели и общественные деятели того времени, среди них — Р. Эристави, И. Чавчавадзе, А. Церетели, Я. Гогебашвили, И. Меунаргия, И. Мачабели и другие. Окончательная редакция текста принадлежала И. Мачабели.

Краткая редакция, кроме того, представлена в обоих изданиях (1903 и 1920 годов) Д. Каричашвили, в обоих изданиях (1914 и 1927 годов) Ю. Абуладзе... С. Какабадзе в 1913 году опубликовал текст пространной редакции по определенным рукописям пространного типа, а в издании 1927 года вновь вернулся к краткой редакции. По существу, к пространной редакции принадлежит издание К. Чичинадзе 1934 года, хотя в нем представлены не все продолжения.

Это те издания, которые ставили перед собой научные цели. Так, к изданию Д. Каричашвили приложен довольно подробный словарь. Большим словарем снабжено и издание Ю. Абуладзе. Издания Ю. Абуладзе привлекают внимание также тем, что, хотя они и восходят к изданию Вахтанга VI, но учитывают и чтения рукописей, а по некоторым из них приводятся и варианты.

В 1937 году отмечалось 750-летие со времени написания «Вепхисткаосани». Из числа юбилейных мероприятий весьма значительным был факт выхода в свет нового издания поэмы. Он был подготовлен специальной комиссией, в которую входили все известные руставелологи этого времени (комиссию возглавляли два председателя: К. Кекелидзе и А. Шанидзе; членами комиссии были: А. Барамидзе, Вук. Беридзе, П. Ингороква, С. Иорданишвили, С. Какабадзе, К. Чичинадзе). Предварительно были выписаны вариантные разночтения из нескольких древних рукописей, и на основе этого комиссия установила определенный текст поэмы; однако был напечатан несколько измененный и переработанный текст[4] а варианты, выписанные из рукописей, к великому сожалению, опубликованы не были.

Это издание в течение долгого времени считалось официальным текстом поэмы. Позднее текст ее дважды пересматривался специальной редакционной коллегией (в составе А. Барамидзе, К. Кекелидзе, А. Шанидзе), в результате чего появились в свет издания 1951 и 1957 годов. К изданиям

[4] А. Г. Шанидзе, Нынешнее положение в деле установления текста «Вепхисткаосани» (в книге: Вопросы «Вепхисткаосани», Тбилиси, 1966).

1937 и 1951 годов приложен словарь, составленный Ю. Абуладзе, а к изданию 1957 года — словарь А. Шанидзе. Вариантов, однако, не содержат и эти издания.

Членом комиссии, подготовившей издание 1937 года, являлся и П. Ингороква, но в работе комиссии он не принимал участия[5]. А в 1953 году П. Ингороква сам издал текст поэмы. К этому времени уже было опубликовано пересмотренное издание поэмы 1951 года, и П. Ингороква полностью опирается на это издание, внося, впрочем, в него целый ряд собственных поправок. Большая часть этих поправок была известна по прежним изданиям, главное же состоит в том, что П. Ингороква даже не попытался обосновать свои поправки, ограничившись лишь указанием на то, что то или иное чтение содержится в рукописях, и даже не отметив, в какой именно рукописи имеется данный вариант. Поправки П. Ингороква носили субъективный характер и ничем не обосновывались.

В 1958 году при отделении общественных наук Академии наук Грузии была создана комиссия по установлению научно-критического текста «Вепхисткаосани» под председательством А. Шанидзе. Членами комиссии были: Ил. Абуладзе, А. Барамидзе, К. Кекелидзе, Г. Церетели, И. Гигинейшвили и М. Эбралидзе (секретарь). Для этой комиссии Институт истории грузинской литературы имени Ш. Руставели АН Грузии опубликовал «Варианты рукописей «Вепхисткаосани» в четырех книгах, под редакцией А. Барамидзе, и «Варианты основных изданий «Вепхисткаосани» под его же редакцией. После этого комиссия имела возможность приступить к работе с конца 1959 года. За время своего существования комиссией пересмотрено и установлено 323 строфы поэмы (включая и вставные строфы).

В 1962 году было признано целесообразным подготовить научно-критическое издание текста «Вепхисткаосани» с вариантами, комментариями и подробным словарем, в семи томах, по проекту Г. Церетели, изложенному им в 1962 году (журн. «Мнатоби», № 2). Вместе с тем было признано необходимым подготовить новую, переработанную редакцию последнего издания поэмы (1957 года), которое предусматривалось снабдить словарем, вариантами, комментариями. Подготовка этого издания была возложена на А. Шанидзе, К. Кекелидзе и А. Барамидзе[6].

---

5 Там же.

6 После кончины К. Кекелидзе подготовка этого издания была поручена А. Г. Шанидзе и А. Г. Барамидзе.

Руководство обширным академическим изданием было возложено на комиссию под председательством И. Абашидзе, а для подготовки издания выделена главная редакция, в состав которой вошли: Г. Церетели (главный редактор), И. Абашидзе, А. Барамидзе, Ил. Абуладзе, А. Шанидзе, И. Гигинейшвили и С. Цаишвили (ученый секретарь).

Тем временем началась подготовка к проведению юбилейных торжеств по случаю 800-летию со дня рождения Шота Руставели. Обширная программа, согласно которой вышеназванная главная редакция должна была подготовить академическое издание поэмы с соответствующим научным аппаратом, на время была отложена в сторону. Зато при комиссии по подготовке академического издания «Вепхисткаосани» была выделена группа в составе Г. Церетели, С. Цаишвили и Г. Картозия, которая за короткий срок подготовила новое издание поэмы. Это издание вышло в свет в предюбилейные дни под редакцией Г. Церетели и И. Абашидзе. В сущности, текст этого издания повторяет (с небольшими изменениями) юбилейное художественное издание «Вепхисткаосани» того же 1966 года, в редакционную коллегию которого входили И. Абашидзе, А. Барамидзе, П. Ингороква, А. Шанидзе и Г. Церетели. В 1966 году издательство Академии наук Грузинской ССР выпустило и вышеупомянутое издание поэмы под редакцией А. Шанидзе и А. Барамидзе.

В 1970 году вышло второе издание поэмы под редакцией П. Ингороква. Это издание во многом отличается от издания 1953 года как по строфическому составу, так и в смысле чтений.

Во все эти издания внесены существенные изменения по сравнению с изданием 1957 года как с точки зрения строфического состава, так и чтения разных мест текста. Текст, вышедший из печати под редакцией А. Шанидзе и А. Барамидзе, оснащен вариантами основных рукописей, тогда как во всех остальных изданиях содержится только печатный текст поэмы, научного же аппарата они не имеют. Обоснование внесенных в текст изменений, — а их достаточное количество, — отсутствует во всех этих изданиях. И помимо всего прочего, в них повторяются поправки текста поэмы, внесенных в предъюбилейный период различными авторами. В этих изданиях повторяется ряд чтений издания А. Шанидзе и А. Барамидзе, хотя, конечно, между этими изданиями есть много различий.

Из сказанного видно, что в связи с юбилеем 1966 года исследовательская работа по вопросам «Вепхисткаосани» и, в частности, по изучению текста поэмы заметно усилилась и

оживилась. И результаты оказались ощутимыми. Широким научным кругам так или иначе стало известно немало фактов, о которых до тех пор не знали даже специалисты-текстологи. Достаточно отметить хотя бы то, что опубликован ряд монографий по вопросам «Вепхисткаосани» и, в частности, по текстологии. Но вместе с тем стало вполне очевидно, что дело установления текста «Вепхисткаосани» не может считаться завершенным, что установление текста поэмы по-прежнему остается для руставелологии вопросом первостепенной важности, решение которого не терпит отлагательства. И действительно в настоящее время в центре внимания вновь оказался вопрос об академическом издании «Вепхисткаосани».

Таким образом, вопросы установления текста «Вепхисткаосани» остаются первейшей и основной проблемой руставелологии, поскольку лишь текст поэмы, установленный по современным требованиям науки, может послужить прочным фундаментом для обобщений с разных аспектов и для научного изучения поэмы с различных точек зрения. Вот почему продолжают работу комиссия и главная редакция по установлению академического текста «Вепхисткаосани» при Президиуме Академии наук Грузинской ССР.

В такой обстановке создание отдельных исследований о тексте поэмы дело необходимое, по существу способствующее решению главной задачи — установлению критического текста поэмы. Эту цель и преследует настоящая работа.

Исследования по отдельным вопросам, рассматриваемым в работе, в последние годы были прочитаны в виде докладов, а затем публиковались в различных научных журналах и сборниках. В книге представлена лишь часть результатов, полученных на основе изучения текста «Вепхисткаосани». Остальные разделы будут появляться в свет постепенно.

Во всех главах настоящей работы по вопросам установления критического текста поэмы проводится единая и определенная точка зрения, которая сформулирована преимущественно в первой главе этого труда, на основании анализа одной строфы поэмы. Данная глава служит введением настоящей книги.

Автора интересовали прежде всего вопросы языка «Вепхисткаосани», но он убедился в том, что до тех пор, пока дело установления критического текста поэмы не будет урегулировано, — перед исследователем, стремящимся дать полную и исчерпывающую характеристику произведения с точки зрения языка, встает множество препятствий. С другой стороны, для научного установления текста поэмы совершен-

но необходимо принимать во внимание все нюансы языка «Вепхисткаосани». Автор, пытаясь сочетать между собой достижение двух этих целей, нашел выход в том, чтобы с учетом культурно-исторических реалий, наряду с филологическим анализом текста поэмы, выдвинуть на передний план языковедческие вопросы, и в качестве первой цели поставил перед собой точное толкование текста непосредственно отдельных строф во взаимосвязи с другими строфами. При этом языковой анализ в какой-то мере является вспомогательным средством установления текста. Выполнение такой работы облегчит изучение языка «Вепхисткаосани» с собственно языковедческой точки зрения и выяснение его места и значения в истории развития грузинского литературного языка, вообще, и в развитии языка грузинской художественной литературы — в частности.

Книга подразделяется на восемь глав. Они таковы: «Некоторые вопросы установления текста «Вепхисткаосани» (на примере анализа одной строфы)», «Вопросы лексики «Вепхисткаосани», «О некоторых административно-должностных терминах в «Вепхисткаосани», «К чтению некоторых мест «Вепхисткаосани» в связи с особенностями образования форм сравнительно-превосходной степени имен прилагательных в грузинском языке», «Случаи смешения личных форм глагола в дошедшем до нас тексте «Вепхисткаосани», «О некоторых особенностях форм множественного числа в языке «Вепхисткаосани», «Об одной разновидности сложного предложения в языке «Вепхисткаосани», «Некоторые особенности порядка слов в стихе Руставели и связанные с ними спорные вопросы текста «Вепхисткаосани», «Некоторые вопросы текста «Вепхисткаосани», связанные с особенностями словообразования в языке поэмы», «К чтению и толкованию одной строфы «Вепхисткаосани».

Книга снабжена приложениями: примечаниями, в которых содержатся необходимые сведения о разных разделах труда; данными о рукописях и основных изданиях «Вепхисткаосани», а также литерах, используемых в настоящей работе для их обозначения; указателями (собственных имен; анализируемых строф поэмы; рассмотренных в книге словоформ).

საძიებლები

I. პირთა საძიებელი

აბაშელი ალექსანდრე 60
აბაშიძე ირაკლი 7, 53, 99, 173, 183, 206, 249, 271, 279, 287, 327, 385
აბულაძე ილია 21, 46, 47, 64, 67, 81, 115, 117, 128, 129, 263, 292, 367, 369, 370, 371, 372, 376, 384
აბულაძე იუსტინე 11, 12, 24, 25, 45, 59, 60. 73, 75, 76, 77, 81, 83, 84. 99, 100, 101, 108, 109, 110, 125, 132, 139, 163, 164, 165, 166, 167, 169, 177, 178, 183, 185, 188, 191, 193, 194, 195, 209. 220, 224, 235, 251, 253, 256, 264, 265, 276, 278, 317, 319, 332, 333. 341, 349. 354, 383. 384, 385
ალავიძე მიხეილ 192
ანდრონიკაშვილი მზია 46
არჩილ მეფე 46, 68, 118, 240

ბაგრატიონი თეიმურაზ 10, 15, 16, 17, 24, 29, 37, 39, 45, 59, 83, 89, 99, 100, 132, 165, 166, 191, 277, 278, 301, 302, 318
ბარამიძე ალექსანდრე 7, 9, 12, 21, 22, 23, 26, 34, 35, 38, 53, 58, 62, 68, 75, 76, 81, 90, 99, 101, 105, 108, 112, 116, 117, 119, 132, 136, 138, 140, 158, 173, 178, 187, 190, 206, 209, 210, 219, 240, 242, 244, 249, 253, 260, 262, 264, 268, 271, 273, 279, 286, 287, 288, 289, 290, 293, 296, 297, 305, 327, 333, 334, 342, 344, 345, 355, 358, 363, 367, 368, 371, 375, 382, 383, 384, 385
ბაჩანა 69, 90, 91, 161, იხ რაზიკაშვილი ნიკო
ბერიძე ვუკოლ 90
ბერძენიშვილი ნიკო 68, 81, 119, 139, 240, 290, 293, 345, 383
ბროსე მარი 37, 73, 99, 125, 163, 164, 165, 166, 177, 178, 183, 185, 191, 209, 249, 251, 253, 256, 265, 273, 276, 301, 305, 332, 341, 342, 349, 354, 363, 384

გაბური ბესარიონ 160, 161, 295
Гадаш Франтишек 296
Георгий Мерчул 75
გვახარია ალექსანდრე 77
გიგინეიშვილი ივანე 67, 81, 102, 190, 197, 203, 229, 233, 237, 292, 367, 370, 371, 384
გიგინეიშვილი მოსე 90
გიორგი მერჩული 128
გოგოლაური თებრო 225
გუგუშვილი მერი 117, 195
გურამიშვილი დავით 103, 104, 320, 368
გურიელი ტელემაკ 90

დავით რექტორი 29, 51, 96
დოლიძე ისიდორე 346, 383

ებრალიძე მამია 371
ეგნატაშვილი ბერი 190
ელაშვილი ვასილ 297
ევლახოვი ი. 95
ენუქაშვილი სამსონ 66
ეფრემ ასური 376
ეფრემ მცირე 65, 66

ვაჟა-ფშაველა 31, 41, 60, 61, 69, 70, 104, 108, 197, 260
ვახტანგ VI 9, 10, 23, 24, 27, 29, 45, 51, 59, 73, 74, 82, 83, 98, 99, 100, 125, 126, 164, 165, 166, 170, 177, 178, 179, 183, 185, 191, 194, 202, 203, 209, 235, 241, 245, 247, 249, 253, 256, 265, 267, 268, 269, 270, 273, 275, 277, 296, 301, 305, 317, 319, 332, 346, 349, 354, 356, 359, 360, 362
ვახუშტი ბაგრატიონი 139
Вискочил Иржи 296
Вучетич Н. 93

ზაბოლოცკი ნ. 57, 58
ზურაბიშვილი თამარ 150, 160

თანიაშვილი ს. 383
თაყაიშვილი ექვთიმე 44, 76, 129, 135, 140, 141, 191, 333, 344, 345
თეიმურაზ I 81, 367
თეიმურაზ II 67, 68, 81
თოდუა მაგალი 77
თოფურია ვარლამ 122, 197, 229, 268, 375

იმედაშვილი გაიოზ 10, 14, 15, 37, 83, 89, 101, 165, 278, 318
იმნაიშვილი ივანე 189, 221, 222, 223, 224, 263, 376
ინანიშვილი რევაზ 120
ინგოროყვა პავლე 7, 22, 24, 26, 28, 32, 33, 34, 35, 38, 45, 53, 55, 56, 57, 73, 74, 75, 76, 81, 90, 99, 100, 108, 114, 116, 124, 132, 136, 138, 140, 141, 163, 164, 173, 177, 178, 183, 185, 190, 206, 208, 235, 236, 237, 240, 241, 249, 251, 253, 256, 260, 264, 265, 271, 274, 275, 277, 279, 287, 305, 313, 331, 332, 334, 341, 344, 349, 352, 353, 356, 358, 360, 363, 383, 384, 385, 386
იოვანე ზედაზნელი 376
იორდანიშვილი სოლომონ 9

კაკაბაძე სარგის 9, 11, 12, 24, 45, 59, 73, 77, 99, 100, 101, 106, 125, 141, 163, 164, 177, 178, 183, 185, 192, 194, 195, 206, 235, 249, 251, 253, 256, 277, 319, 332, 333, 341, 342, 349, 352, 354, 356, 359, 362, 384, 385
კარბელაშვილი ციალა 382
კარიჭაშვილი დავით 9, 10, 11, 12, 24, 45, 56, 59, 73, 75, 99, 100, 125, 132, 163, 164, 165, 166, 169, 177, 178, 183, 185, 191, 194, 195, 209, 235, 251, 253, 256, 265, 273, 276, 305, 318, 332, 341, 349, 352, 384
კარტოზია გურამ 99, 385
კეკელიძე კორნელი 9, 12, 22, 26, 39, 40, 54, 75, 76, 81, 108, 118, 120, 132, 136, 138, 190, 219, 253, 260, 264, 268, 286, 334, 371, 383, 384, 385
კეკელიძე ლიანა 68
Книпович Н. М. 375
კოტეტიშვილი ლადო 87, 106
Кошелев А. К. 296
კოშორიძე ალ. 121
კოშორიძე გ. 121
კოშორიძე ელენე 120

ლარაძე პეტრე 45, 51
ლაღიძე პ. 121
ლეონიძე გიორგი 159
ლეჟავა ლია 72
ლომთათიძე ქეთევან 233
ლომოური თამარ 139
ლოლაშვილი ივანე 134, 375

მარი ნიკო 75, 128, 194, 195, 219, 220, 224, 230, 375, 384
მამუჩიშვილი კ. 121
მაჭავარიანი გივი 160
მენთეშაშვილი სტეფანე 122
მეტრეველი ელენე 49, 62, 72, 368

ნათაძე ნოდარ 112, 113
ნაჩხატაშვილი ს. 121
ნუცუბიძე შალვა 57, 168, 201, 372, 384

ორბელიანი სულხან-საბა 11, 12, 16, 38, 43, 46, 59, 62, 65, 68, 72, 75, 84, 88, 89 93, 102, 109, 110, 111, 115, 117, 119, 137, 157, 171, 191, 196, 225, 281, 317, 365, 368
ოჩიაური ალექსი 197

ჟორდანია თედო 48, 384

რაზიკაშვილი ნიკო (ბაჩანა) 69, 90, 91, 161
რაზიკაშვილი ნინო 91
რობაქიძე ალექსი 92, 93, 94, 95
როსტომაშვილი ივანე 17, 18
რუგოშელი არჩილ 381

ხაბინინი მ. 48
სარაჯიშვილი ალექსანდრე 12, 13, 14, 44

უმიკაშვილი პეტრე 105
უორდროპი მარჯორი 15, 201, 372

ქავთარაძე ივანე 22, 109, 197, 229
ქართველიშვილი გიორგი 45, 73, 99, 100, 125, 163, 164, 165, 166, 177, 178, 183, 185, 209, 245, 251, 253, 256, 273, 276, 305, 332, 341, 342, 349, 363, 384
ქარუმიძე ვ. 121
ქარუმიძე მ. 121
ქარუმიძე ფ. 121
ქურციკიძე ციალა 120

ღლონტი შალვა 19

ყაუხჩიშვილი სიმონ 102, 129, 137, 155, 189, 292, 344, 366, 367, 384
ყიფშიძე იოსებ 12, 38, 43, 65, 110, 278, 317, 365

ყუბანეიშვილი სოლომონ 65, 69. 103, 107. 109. 129, 161, 262, 266, 269, 292. 368

შადური ვანო 197, 198
შანიძე აკაკი 7, 9, 10, 12, 18, 21, 22, 23, 25, 27, 28, 29, 30, 37, 38, 39, 40, 43, 53, 58, 59, 60, 65, 70, 73, 76, 77, 81, 82, 99, 101, 105, 108, 110, 112, 115, 116, 117, 124, 126, 127, 132, 158, 160, 161, 172, 173, 176, 178, 183, 187, 188, 191, 192, 195, 197, 202, 205, 209, 210, 219, 225, 228, 242, 244, 249, 253, 260, 264, 265, 267, 271, 273, 274, 278, 279, 287, 288, 289, 290, 297, 298, 302, 305, 310, 311, 314, 315, 317, 319, 320, 327, 333, 342, 353, 354, 355, 358, 363, 365, 371, 374, 381. 383, 384, 385
შანიძე მზექალა 366

ჩიქობავა არნოლდ 60, 103, 122, 207, 230, 232, 272, 298, 335, 379
ჩიქოვანი მიხეილ 41
ჩუბინაშვილი დავით 9, 16, 17, 18, 37, 38, 45, 59, 60, 73, 75, 83, 84, 89, 99, 105, 109. 117, 125, 157, 159, 163, 164. 166, 177, 178, 183, 185, 191, 249, 251, 253, 256, 258, 265, 273, 276, 301, 305, 318, 332, 341, 342, 349, 354, 356, 363, 384
ჩუბინაშვილი ნიკო 16, 39, 59, 83, 84, 89, 109, 117

ციციშვილი ნოდარ 39, 40, 290, 293
ცაიშვილი სარგის 99, 378, 385

ძოწენიძე ლალი 195
ძოწენიძე ქეთევან 111, 160

წერეთელი გიორგი 7, 53, 99, 173, 183, 206, 249, 279, 287, 327, 372, 385
წერეთელი მიხეილ 73, 88, 96, 99, 126, 163, 164, 165, 178, 235, 246, 249, 253, 256, 265, 270, 274, 277, 304,

306, 317, 319, 327, 331, 333, 341, 349, 360, 371
წიკლაური ვ. 72

ჭაბაშვილი მიხეილ 65
ჭავჭავაძე ილია 15, 31, 60, 104, 145, 281
ჭინჭარაული ალექსი 41, 91, 102, 160, 196, 197, 198, 229, 237, 286, 287, 296
ჭიჭინაძე კონსტანტინე 11, 12, 24, 45, 51, 52, 53, 54, 59, 73, 99, 100, 125, 127, 128, 163, 164, 177, 178, 183, 185, 235, 251, 253, 256, 258, 265, 273, 276, 289, 290, 310, 311, 313, 319, 341, 352, 354, 385

ხაბაზიშვილი დ. 121
ხელაშვილი თამარ 197, 334
ხუნდაძე სილოვან 77

ჯავახიშვილი ივანე 48, 92, 130, 133, 138, 158, 189
ჯავახიშვილი მიხეილ 31
ჯაკობია გიორგი 67, 68, 81, 367, 383
ჯანაშვილი მოსე 13, 14
ჯაჯანიძე პოლიკარპე 111

II. განხილულ სტროფთა საძიებელი

1 322
4 214
10 32
13 304
15 87
16 330
22 50
28 29
29 180
30 181
40 61, 335
61 213
62 303
65 252
66 251, 252
68 268, 269, 270
70 186
71 244
72 216
77 312
81 (ჩანართი) 266
82 305
88 (ჩანართი) 304
84 321
85 322
87 168, 172
80 239, 322
91 26
98 214
95 274
108 215
106 27
107 213
110 274, 353
111 308
118 74
110 313
128 180, 214, 216
124 215, 216, 218
124 215, 216, 218
130 245
136 309, 316
141 313
142 272
148 322
147 210
148 26
149 179
158 185, 312
154 246, 357
158 96
100 181
102 32, 46, 74, 361, 371
108 181, 183
168 22
109 22

178 300, 314
175 179
170 181
185 212
187 212
189 214
191 78
192 288
198 214
194 274
197 61
200 33
206 98
207 316, 321
208 321
211 55
214 88, 90, 94, 95, 96
218 210, 330
222 351
225 215, 268
287 252
289 252
240 200
249 332
250 186
255 175
256 175
257 175, 185, 192, 199, 202, 203
250 53, 55, 275
261 132
264 252
267 225
275 306
277 59
278 249
270 239, 243
281 179
200 182
202 355
204 272, 273, 274, 353
206 359
308 160, 310
300 28, 31, 312
310 327
328 303
333 304
334 26
335 131
336 131
337 123, 134
338 123, 215, 279
330, 74, 315, 353
340 214, 219
352 333
358 31, 261, 314
354 261, 262
350 200
358 29, 137, 141
308 265
307 179
371 78
378 (ჩანართი) 266
378 268
378 268
388 256
387 272
390 212, 214
301 141
308 38
309 316
400 180, 299
401 268
408 215
405 313
406 268
410 353
411 252
412 152
418 74, 252
415 231
417 181
420 347
424 74
427 212, 213, 231
428 211, 255
429 255
480 219

488 74, 305
484 74
485 211
487 304
488 211, 272
440 74
441 225
445 284, 285
440 284
447 95
452 200
456 26, 314
458 205, 206
461 216, 308
402 26, 186
408 74
400 258
474 95
470 310
477 95
470 217
480 212
481 215
484 152, 267
487 211
480 298
404 181, 238
406 217
409 272, 298
501 200
502 217
503 214, 272
504 246, 247
505 181, 217
507 215, 374
508 208, 306
510 313
511 306
512 306
515 216
510 304
517 248
518 248
510 248
521 217
522 310, 311, 312
520 162, 163, 164, 165, 166, 169, 170, 173, 315, 347
524 163, 315
526 29, 74, 269
582 181, 183, 313
588 219
585 32
587 74
541 342
551 181
550 252
558 26, 136
500 200
502 314
508 238, 343
505 239
574 238
575 238
577 217
582 214, 242
590 212
504 252
506 74, 312
507 214
508 193
000 267, 328
008 180
008 232
015 348
026 212
029 181, 184
001 340
008 312
007 254
008 254
009 254
040 277
042 255
044 18
045 244
046 182
047 214
049 340

661 29, 31
662 181, 183
660 32
601 256
667 32, 313
669 350
670 181
671 243
678 243
674 200
677 182, 351
680 44
681 26, 326
682 152
684 26
685 152, 298
690 352
691 215
695 215
698 32
703 44, 182
706 96, 162, 163, 165, 167, 169, 170, 171, 173, 184
708 8, 9, 14, 41, 42
711 22, 312
718 43, 53, 378
715 312
721 95
725 26
740 252
742 252
748 239
740 182, 183
749 52
752 252
754 44
755 213
750 274
758 206, 252
759 238
700 207, 215, 312
701 71
702 268, 269
768 182
770 213
771 243
772 309
775 182
776 74
777 32
781 183
782 44
784 32
785 26, 78
787 246
789 74
700 74
797 74
708 73, 152, 298
709 152
804 306
805 276
807 219
810 159
811 306
812 210
814 252
815 252
810 180
818 211
819 44
820 306, 307
821 61
828 304, 308
824 204
825 61
828 61
684 252
845 74
846 182, 341
840 152, 275
852 74
853 152
826 331
857 324
801 206
865 252
608 214
676 32, 194, 200
877 179

678 199
870 179, 180
882 267
888 211, 244
886 252
888 250
889 331
898 179
900 152
910 252
911 252
914 352
915 50
916 213, 244
919 180
920 181
927 271
928 32
954 234
980 280
989 252
940 181
944 212
945 219
948 315
950 50
957 301
965 231, 279
978 326, 332
980 296
981 356, 357
988 213
988 44
990 33, 34
998 252
994 274
998 231, 276, 309
1001 307
1006 44. 74, 216
1008 181, 186
1017 276
1018 326
1019 211
1024 213
1025 74, 200
1030 208, 349
1088 209
1040 373
1045 238
1054 50, 53, 378
1058 238
1061 267
1062 215
1069 159
1078 216
1075 308, 358
1076 252
1077 325
1081 74
1088 269
1090 87
1093 78
1095 272
1096 181
1098 252
1101 32, 61
1102 61
1108 29, 31
1110 200
1122 303
1125 216
1126 267, 327
1181 217
1188 211
1148 239
1145 29, 31
1148 218
1149 218
1150 44
1161 159, 270
1165 373
1167 238
1180 238
1174 308
1198 343
1201 159
1205 269
1206 308
1208 244
1210 29, 31

1218 74
1288 78, 186
1284 214
1288 211
1248 212
1245 180
1246 180, 268
1248 359
1249 212
1258 182
1255 216
1261 113, 374
1268 306
1268 212
1278 293
1274 218
1284 272
1291 218
1292 272
1294 181
1295 181
1298 238
1299 22
1302 181
1308 181, 183, 238
1305 181, 267
1306 235
1307 187, 188
1308 241
1309 218
1310 218, 348
1311 187
1318 322
1325 340
1327 187
1328 340, 374
1330 210, 314
1338 280
1384 280
1340 218
1344 74
1351 244
1368 187
1366 304, 313
1380 252
1381 187
1388 56
1387 212
1398 314
1305 151, 200
1390 313
1404 280, 282
1411 213
1412 74, 204
1414 22, 281, 282
1420 22
1420 231, 278
1481 152, 298, 353
1488 200
1480 277
1442 231
1444 269
1445 23, 24, 181, 202, 232, 378
1440 204
1447 61
1449 268
1455 213
1460 200, 231, 239
1470 186
1477 244, 267
1478 215
1479 213
1485 314
1493 214
1405 210
1505 252
1512 181
1521 252
1587 213
1540 241
1541 241
1544 71
1548 44
1549 214
1500 213
1530 159
1595 29
1506 267
1590 215
1604 180

1000 238
1010 314
1012 238, 262
1014 54
1010 74
1021 213
1025 267
1028 29
1020 316
1032 314
1030 213
1001 210
1007 214
1045 22 (დანართი)
1040 89 (დანართი)

III. სიტყვაფორმათა (და გამოთქმათა) საძიებელი

აალმასა 207
აალმასნა 307
აალნებს 109
აახეწნა 207
აბყრობა 178
აბჯართა 215
აბჯარი 215
აგულჩვილებს 44, 45
აეენთი 126
აეტირდი 126
აზნაური 130
ათასნი 211
ალა 101
ალალ-ფუძე 103, 105, 110, 111
ალალი 103, 104
ალალია 103
ალალი იყოსი 103, 110
ალალი კაცი 103
ალალი ლუკმა 103
ალალი მიყავ 110
ალალი სიტყვა 103
ალალი ძმა 103
ალალ მისი 105
ალან-ფუძე 109, 112
ალანი 112
ალანმართალი 112
ალანხვთიური 112
ალება 101
ალერდი 197, 198
ალვა 114, 312
ალლ- 105, 110, 111
ალლად 104
ალლადა 105
ალლაჰი 113
ალნ- 108, 110
ალნად 108, 110
ალნად ქნას 106, 108
ალნათ 111, 112
ალნება 109, 112
ამალი 30, 40, 41
ამ ალსა 38, 39
ამალსა 38,39
ამარა 42
ამბრის მარცვალი 62
ამირახორი 141
ამირსპასალარი 141
ამისდილობა 51, 54
ამის ზრდილობა 54
ამოხვე 350
ამოხველ 350
ამოპკე 350
ამპყრობად 186
ანაბარა 42
ანაბარად 42
ანაბარას 42
აპყრობა 178, 186
აპყრობა ხელისა 186
არ 96
არა არ ახლებია 277
არა ახალი ჰხლებია 277
არამი 103, 104
არას გაწყენ 251
არასოდეს დაატკბილებს 44
არაყანი 227
არ ახალ 277
არ ახალ არ ახლებია 276, 277
არ ახლად 277
არ ახლად არ ახლებია 277
არ გაშვებული 95
არ გაწყენ 252

არ-დათოვნა 55
არებს 243
არენით 244
არვის მიჰხვდეს (მარგალიტი) 363, 364
არ იყო 249
არ მეძინა 265
არნეს 244
არო 243
არ უყო 249
არ უხშირონი 180
არყის ისარი 296
არ შესხდომისა მზობასა 348
არწივისა ფრთოსანი ისარი 296
ასთა 211
ასნი კლიტენი 211
ატირებს 44, 45
ატირებს და აგულჩვილებს 44
აუგ-ფუძე 75
აუგად 79
აუგი 75, 77, 78, 81, 84, 85, 86, 87
აუგია 79
აუგიანი 73, 75, 76, 77, 78, 79, 81, 82, 83, 84, 85, 86
აუგიანობა 75, 81
აუგიანობასა 80
აუგიანს, აუგიანსა 73, 79
აუგითა 79
აუგისა 79
აუგისაგან 79
აუგნი 78
აუგსა 78, 80
აუგს დავსდებ 75
აღარ გაწყენ 251, 252
აღარ გაწყენს 251
აღარ მომხვდეს (მარგალიტი) 364
აღგუპყრეს კელი 189
აღმადგინე 262
აღპყრობა (ხელისა) 186
აშორო 343
აშოროს 343, 345, 346, 347
აშოროს ღმერთმან 344
აჩხნდეეგბული 121
აძეწნა 207
აწამწამე 115
აწამწამეს 115
აწ გაშეებული 96
აწინდელანი 212, 223
ახალაშლილი (წვერ-ულვაში) 62
ახალი 71
ახალულვაშაშლილი 67
ახალ წვერგამო 62
ახალწვერგამომავალი 67
ახალწვერიანი 69, 71
ახალწვერშამამავალი 70
ახალწვერშემომავალი 70
ახიოს 312
ახლა 329
ახლად 71, 329
ახლად წვერდაწამებული 70
ახლავს 278
ახლოს 329
აჰა 29, 30
აჰი 29, 30
აჰი აჰი 29, 30
აჰი ჰა 30

ბაელი 93
ბავლის გაგდება 93
ბაღღაი 226, 228
ბარანი||ბარაინი 375, 376
ბატარანი 227
ბატარან წყალანი 226
ბატარია 228
ბატარიაი შვინდაი 226
ბაწარი 88
ბედის ანაბარა 42
ბევრამ ვაჟამა 228
ბევრამ ქალამა 228
ბერი კაცნი 67
ბეწვსათი 62
ბნელანი 227
ბოლნი 227
ბოლონი 225
ბოშუკა 229

ბოშუნა 229
ბროლ-ბალახში 316
ბროლი და ლალი 316
ბროლი ლალსა გარეული 316
ბროლმან 320
ბურთ- 305
ბურთაობა 303, 304
ბურთაობითა 303, 305
ბურთობა 303, 304
ბურთობითა 303

გააელი[ვ]ნეს 243
გააელნეს 243
გაამსივნებს 50
გაამყიფნა 316, 317, 318, 319
გაარნეს 242, 243, 244
გააფლიდებს 43, 44, 45, 53, 378
გააფლიდონ 44
გააფრდილებს 45, 46, 50, 53, 378
გააყიფნა 316, 317, 318, 319, 321
გააშმაგებს 50
გააწამებს 50
გააწვალებს 50
გაბასრულად 358
გაგვამციენებს 50
გაგვიხასდენ 132
გაგზავნეს 208
გაგზავნნეს 208
გაემართა 351
გავაზი 91
გავარკინე 262
გავიჭრა 32
გავიჭრა (მინდორად) 33
გავლეს 242, 243
გავლნეს 242, 243
გავქუსლოთ 281
გავჭრილვარ (ველად) 32
გავხასდი 132
გაზრდილი 305
გაზრდილობითა 305
გაიარა 210
გაიარნა 210
გაის 71
გამაგრებულნი 52, 53
გამაშმაგა 259
გამიმრთელდა 200
გამო 71
გამოგექეც 273
გამოვემართეთ 210
უამოვემართენ 210
გამოვექეც 273, 274
გამოვიქეც 273
გამოიფრდიდეთ 46
გამოიყვანეს 126
გამომიყვანეს 126
გამომიყუანა 126
გამყიფება 318, 319
განაზარდი 305
განაზარდისა 305
განაზრდობა 305
განაზრდობითა 305
განაყიფნა 317
განეკრა 47, 48, 50, 370
განვიფრდენით 47, 369
განვიწირენით 47, 369
განიწირავ 47
განმფრდელი 46
განსყიდა 46, 50
განფრდა 46, 47, 50, 370
განფრდილთა 48
განფრდილი 46, 47, 48, 49, 50
განფრდილი გონებაჲ 49
განფრდილისა 48
განფრდილი სული 49
განფრდილობა 46
განწირავს 50
განწირვა 47
განწირული 49
განწირულობა 53
განჰვაჭრი 47, 369
გარგებ 234, 235
გარდაუხადი 360, 361
გარდაუხდელი 361
გარდმეხდევის 276
გარჯილხარ მაგრა 359, 360, 361
გასაჭრელად 32
გატანჯავს 50
გატანჯვა 47
გატანჯული 49

გაუტანჯველად 47
გაუუმეცარდა 172, 173
გაუუმეცარება 172
გაუუსუსურდეს 173
გაუჩინარდა 243
გაფლიდება 44
გაქუსლეს 281, 282
გაყიდული 48
გაყიფება 318
გაყრანი 213
გაშმაგებული 50
გაშოროს 344
გაწამება 47
გაწამებული 49
გაწვალება 47
გაწვალებული 49
გაწყენ 250, 252
გაწყენს 250, 252
გაწყინე 252
გაწყინო 252
გაჭრილსა 20, 32
გეამბობის 275, 276
გეაუგებოდესთ 80
გეაჯები 301
გეთნევის (არ გეთნევის) 276
გეთხრობის 276
გეყოფი 241, 242
გეთნევის (არ გეთნევის) 276
გეცრუო 74
გეწყინა 252
გეწყინების 251
გეწყინოს 252
გვარალი 198
გვარლი 176, 191, 192, 193, 194, 195, 198, 199, 201
გვარლითა 78, 190, 191
გვეწყინა 252
გვთხოვა 99, 100
გვივის 306
გვითხრა 99, 100
გვმართებს 246
გვყავს 245
გზია 228
გიამბო 275, 276
გამბობ 275
გიამბობის 275
გიანბო 275
გიანმბო 275
გიაჯები 301
გიზის 306
გიღალატებს 74
გიშერი 115
გიშრისა დანა 116
გიშრისა ნავი 116
გიშრისა სარები (სარი) 115, 116
გიშრისა სატები 115
გიშრისა საყენი 115
გიშრისა ტალა 116
გიშრისა ტევრი (ტევრები) 116
გიშრისა ღარი 116
გიშრისა ჩხნდენი 123
გიშრისა წნელი 116
გიშრისა ჭერი 116
გიშრისა ხენია 116
გიშრის დანა 122
გიშრის შუბები 115, 122
გლეხაი 228
გმართებს 246, 247
გმობანი 212
გორალი 191, 192
გორლა 191
ვორლი 176, 191, 192, 193, 194
გორგლითა 178
გორლითა 178, 190, 191
გრძელითა 231
გრძელი მკლავი 290, 291
გრძელმკლავიანი 291
გსმენოდეს 254
გუარი (გოარი, გვარი) 365
გუბები 204
გუდია 228
გუდიაი 227
გულმხიარული 298
გულტკბილი 298
გულუშიშარი 298
გულუწყნარო 299
გულფიცხელი 293, 298

გულწყნარი 299
გურალით 178
გღალატობენ 74
გყავს 245
გჸირსა 222

და 232
დაამლვა 40
დაამლული 40, 41
დააცთუნა 207
დააცთუნნა 207
დაგარჩინა 262
დაგდება ფატმანის 340
დაგეყოვნების 54, 55, 275
დადგრომა 307
დაეგლიჯა... წვერი 61
დაეყოვნების 55, 275
დაეძლევის 276
დავაგვანე 206
დავაგვანენ 206
დავსხლიტოთ 281
დავწკიპოთ 281
დაიამლა 41
დაიყოვნე 55
დაიხსოვნე 55
დახსოვნების (დაიჯსოვნების) 54, 55
დაიჯერების 54
დამეცემის 184
დამეიწყუდა 356
დამეიწყუდეს 356
დამიმძიმდა 248, 249
დამიშრეტ 272
დამშრეტ 271, 272
და-მცა-ვედრა, 256, 257
და-მცა-ვედრე 256, 257
დამწვავს ამალი 42
დანა 115
დარაჯა 141
დარები 204
და რულად 307, 309
დასაგვანინ 212
დასაწველად 231
დასხლეტა 281
დაუდგომლად 307
დაუდგრომლად 307
დაუკრობელთა 125
დაუშრეტელთა 125, 126
დაუშრიტნა 272
დაუშრობელთა 125, 126
დაუშრომელთა 126
დაუშრტობელთა 125, 126
დაუშრტომელთა 126
დაფე 25, 27
დაფენი 25
დაფი 25, 27
დაფითა 225
დაფლითა 225
დაღრეჯანი 213
დაღუპულნი 53
დაშრეტ 271
და-ცა-გელია 208
და-ცა-მვედრა 256, 257
და-ცა-მვედრე 257
დაცოცხლებულნი 52, 53
დახელისაებული 91
დახოცილნი 53
დაჰშრეტ 271
დებანი 213
დედა 232
დეკეულა 228
დესი 155
დიადობანი 214
დიდებანი 213
დიდთა დარბაზთა 214
დილა 233
დილი 232, 233
დოვნი 227
დონი 226
დღე 311, 312
დღებული (დღე) 311
დღენი 210
დღენი და ღამენი 210
დღესითგან 9, 18, 21, 36, 37
დღისაღა 36
დღისითღა 9, 13, 18, 21, 36, 37
დღისიღა 36

ეაუგა 75
ეაუგებოდა 80

-ებრ 42
ედემს 312
ედემს ხებული 381
ეკლის ჩხნდე 120
ემალმალების 332
ეოცებოდა 280
ეოცნებოდა 280
ერთან მკარტყავანი 226
ერთა ფურაი 226
ერთა ქალაი 228
ერთა ქვია 226
ერთა ყარაი 226
-ეულ 42
ეუცხვებოდა 280
ეყო 249
ეწყინა 252
ეწყინების 256
ეწყინოს 252
ეჯიბი 141

ჯა 9, 20, 21, 22
ვაზირი 141
ვაი 9, 20, 22, 23, 28, 30, 31
ვაითუ 21
ვაიმე 21
ვაჲ 9, 20, 21, 22, 31
ვარდი 62
ვარდნი თხელნი 316
ვარებ 243
ვარნეთ 244
ვბურთობდი 303
ველად გაჭრა 32
ველად რბოდეს 32
ველანი 212, 231
ველთა რბენა 32
ვერცხლისფრდილი 46
ვეცრუვე 74
ვეცრუვები||ვეცრუები 74
ვიბურთი 304
ვითარძი 268, 269
ვინცა იცისა 170
ვინძი 268, 269
ვინძინ 268, 270
ვისთა 327
ვისთვისმე ხელი 332
ვისძი 268, 269, 270
ვისწინ 270
ვიშიშვი 21
ვიწყინე 251
ვმსხვილდები 267
ვპოვენე 55
ვრბოდე ველად 32
ვსხვდები 267
ვსხვლდები 267
ვუალეთ 98, 99, 103
ვუალლეთ 102, 103, 105, 112
ვუალნეთ 103, 105, 112, 379
ვუვალეთ 100, 103
ქქმნა 184
ვძმობ 82
ვწვლდები 267
ჳკგმობ 82

ზარდახნის მწიგნობარი 140, 141
ზედამდგომელი 135
ზენაარმან ღმრთისამან 239
ზვინი 194
ზვინისა 195
ზის 306
ზღვათაკე 242
ზღვათაკენ 242
ზღვითკე 244
ზღვისაკენ 242, 244

თავისა 191, 193, 195, 199
თავმან თქვენმან 238
თავმან თქვენმან და სახელმან ღმერთისამან 239
თავმან მეფობისა თქვენისამა 240
თავმან მეფობისა შენისამან 240
თავმან მისმან 239
თავმან შენმან 240
თავმან მისმან 239
თავმან შენმან 240
თავმან ჩემან 238
თავშიშველი 298
თათბირნი 214
„თათრულაი“ 94

თაყვანის-ვეც 279
თაყვანის-მცეს 279
თვალდაფახული 351
თვალი 365, 368
თვალსა უსასყიდლოსა 368
თიეა 194, 196, 197, 198
თიეანი 196, 197
თივასა 179, 193, 203
თივისა 179, 191, 203
თივის ალერდი 198
თიკნიაი 229
თიკნუკა 229
თიკნუჩა 229
თმა 202
თმაგრძელი 298
თმენანი 212
თნებანი 213
თოვნა 55
თუ 323
თუმც 323
თუც 323, 355
თუცა 323, 355
თუცაცე 323
თუცათუ 323
თუც არ 355
თუცაღა 323
თქერანი 227
თქვენად 186
თქვენმან კეთილმან 239
თქვენმან მზემან 238
თქვენსა და ჩემსა ძმობასა 238
თქმანი 213
თქუენმან კეთილმან მზემან 239
თხელას პურეებს 227
თხობასა 266

იარა 210
იარების მინდორს 32
იარეს 210
იარნა 210
იარნეს 210
იბურთეს 304
იგლეჯს (წვერს) 61
იგლოვ 236, 237
ითოვნებას 54, 55
იკრეს 22
იმტკივნებს 50
ინაბარა 42
ინაბარად 42
ინაბარას 42
იპოვების 54
იპოვნების 54, 55
ირგებ 234
ირეს 244
იროს 244
ისარი 16
ისრის სიგრძე 291
იცნობების (არ იცნობების) 54
იხოს 313

კავი 199
კარაი 228
კარები 204
კმანან (მზისად კმანან) 270
კმარან (მზისად კმარან) 270

ლარო 89
ლბილი სახვეველი 193
ლები 310
ლებული 310
ლიტრანი (ერთ ლიტრანი) 227
ლხინასა 223

მააზატე 109
მაალნე (ჩემი ერთი კოვზი სისხლი) 107
მაალნე 108, 109, 110
მაგრა გარჯილხარ 359, 360, 361
მადლმა დამბადებელისამა 240
მადლმა საწუთროსა დამბადებელისამან 240
მათრაჯი 282
მალვა 9, 20, 21, 36
მამრთელებელი 200
მამრთელებელი წყლულისა 340
მანდა 267, 268
მარგალიტთა უსასყიდლოთა 366
მარგალიტი 365
მარგალიტი უსასყიდლო 368, 371, 372, 376
მარგალიტნი უსასყიდლონი 367

მარგალიტი უსახო 369
მართ 96, 170
მართ გაშვებული 96
მართებს 246, 247
მართლა დროს კაცნი 67
მაშოროს 343
მაწყენ 252
მაწყენდა 252
მაწყინე 252
მახია 312
მდენანი 212
მეაუგებას 80
მებურთალი 304
მებურთე 305
მებურთლობა 305
მებურთლობითა 304, 305
მებურთობა 305
მებურთობითა 303, 304, 305
მეელი 28
მეზვრე 140
მეკარე 138
მეკრე 138, 140, 141
მელი 27, 28
მეოტანი 212
მესვრის 35
მესრვის 19, 20
მესრის 20
მესროლთა 356
მესროლნი 356
მესურის 20
მეფეთა 219
მეფენი 219
მეყოფი 242
მეყოფის 242
მეცრუა 74
მეწყინა 251
მეხოს 313
მეხრე 140
მზე 40
მზემან ახლისა შარიერისამან 240
მზისა სამალი 40
მზობა 309
მთავრები 130
მთელი 200, 201
მიალნე 108, 111
მიალნებია (შენი სისხლი...) 107, 108, 110
მიალნეო (ერთი პეშვი სისხლი მისი) 108
მიაუგებთ 81
მიაწვენს 261
მიგლოე 236, 237
მიეც 327
მიეის 306
მიესწერე 272
მიესწურვილვარ 267
მიესწურვივარ (სიკვდილსა) 267
მიეუწერე 272
მიზის 306
მიის 72
მიისაც 71
მიისობას 71
მიიწივნეს 263
მიიწინეს 263
მიიწინნეს 263
მიმაწივნე 261, 262
მიმაწივნე 261, 262
მიმაწინე 262, 264
მიმინო 91
მიმწივნე 262
მინდორად 21, 32, 33
მინდორად გაკრა 32
მინდორი 32
მინდორით 33
მინდორთა რებად 32
მინდორს არ გაიჭრას 32
მინდორს არონინებს 32
მინდორს გავიჭრები 32
მინდორს ვარებ 32
მინდორს ვარო 32
მინდორს სტირ 32
მისად 186
მისმან თავისა წონამან 239
მისსა ძალისა 238
მიუყენა 264
მიუყენეს ტაიჭი 264
მიუწერა 272
მიუწერე 272
მიუწერს 272
მიუხდეს (ჭირს) 357

მიღალატეს 74
მიწანი 227, 228
მიწვენა 261
მკედი 88
მკერდმკლავიანო 290
მკედარაი 226
მკვდარაი ცხენაი 226, 228
მკვლელად 231
მკვლელო 231
მკლავგრძელი 298
მკლავთ სიგრძე 291
მკლავის დაგრძელება 291
მკლავის დამოკლება 291
მკლავის სიგრძე 291
მკლავმაგარი 298
მკლავს უგრძესითა 297
მკლავუგრძელი 288, 291, 298, 300
მკლავუგრძესითა 287, 297, 300
მკლავუმაგრესი, მკლავუმაგრესითა 300
მკლავფიცხელი 298
მმართებს 246, 247
მობურთალი 304, 305
მობურთალობა 304
მობურთალობით 304
მობურთალსა 304
მობურთლობა 304, 305
მობურთლობითა 303, 305
მოგაწინა 262, 263
მოგეგებვი 255, 256
მოგეგებვით 255
მოგვეგებე 255, 256
მოგკიდათ (ცხროება) 260
მოეგება 241
მოეგებნეს 241
მოელი 28
მოეც 327
მოვიყვანე 206
მოვიყვანენ 206
მოის 71
მოისაც 71
მოისობას 72
მოიძულეს 358
მოიძულვეს 358
მოიძულენეს 358
მოიწია 263
მოიწივნეს 263
მოიწინეს 263
მოკლია კმალი 228
მოლარე 141
მომეკიდა (ცხრო და თრთოლა) 260
მომეკიდა (ცხრო და თრთოლა) 259, 260
მომიყენე 264
მომიყვანე 264
მომკიდა (ცხრო და თრთოლა) 260
მომკიდებს (კანკალს) 260
მომცეს 206
მომცნეს 206
მოსხლიტა 281
მოფარდული 46
მოფარდულობა 46
მოფრდა 46
მოღალტე 74
მოყვარისა 23
მოყვრისა 23
მოჰგვარა 264
მოჰკიდა (კანკალი) 260
მრთელა 200
მრთელი 199, 200, 201
მრთელი თავი 199, 201
მრთელისა 231
მრთელობა 200
მსახურნი 130
მსგავსი 87
მსივან- 50
მტკივან- 50
მტერ 237
მულღაზანზარის ქალაქი||მულღაზანზარი ქალაქი 329
მუნა 267
მუნამცა 267
მუხთალი 74, 313, 315, 316
მუხთალსა 315
მყაფარი მთა 318
მყიფე 317, 318, 319
მყიფი 318
მყიფი მთა 318
მშვილდი ბედითი 330
მშვილდფიცხელი 293, 298
მშვილდძლიერი 293

მშიერა 226
მცივან- 50
მცირა 222, 223, 229
მცირე 223, 229
მცირესა 222
მცირი 223
მცირსა 222
მძლე 301, 302
მძლეთამძლე 301, 302
მძლეთამძლესა 301
მწიგნობარი 140
მხდი რასა 222
მხეცშერეულნი 67

ნა 25, 27
ნაბურთალი 304
ნადიმობანი 212
ნაზარდი 305
ნაზარდობითა 305
ნარიყი 121
ნარცხანი 228
ნასამალი 10, 11, 12
ნაჩანგ დაფენი 24
ნა-ჩანგ-დაფენი 232
ნაწვართობა 305
ნაწვართობითა 305
ნახევარ დღე 211
ნახევართივა 197
ნეტარძი 268, 269
ნიშაგი 24, 25, 27
ნიშაგნი 232
ნიშაგნი ნაჩაგ დაფენი 24
ნიშაგნი ნა-ჩანგ-დაფენი 24
ნიშათი 24
ნიშანნი საჩანგდაფენი 25
ნიშატი 24, 25, 26, 27
ნიშატნი 26
ნიშატნი საჩანგ დაფენი 24
ნიშატნი საჩანგდაფენი 25, 26, 27, 378
ნიშთანი საჩანგდაფენი 25
ნიშტი (ნიშტნი) საჩანგე დაფენი 25

ოალეთ 101
ოთხან ფურანი 225
ოთხნი მონანი 211
ორანი 228
ორანიღა 212
ორბისფრთიანი ისარი 296
ორნი შავნი მონანი 211
ორ-სამან თხილანი 226
ორხალი 196, 198
ოც დღე 210

პატარიკა 229
პატარიკუნა 229
პატარუკა 229
პატიჟი 14
პაშტაი 22
პერანგანი 226
პირასა 222
პირბასარი ისარი 296
პირები 204
პირითა მთვარისა 340
პირისწყალი 84
პირმსუქანი 298
პირნი 226
პირსა 222
პირუტყუთსახე 48
პირშავი 298
პირხმელი 298
პოვნა 55
პურა 228
პურაი 227

რა 323
რაგინდ 323
რად 28
რად მელი 27, 28
რაზომც 323
რათგან 323
რა მინა 265, 266, 267
რასა 35
რაულად 308
რაული 308
რა უმძიმდა 248, 249
რაც 323
რაძი 268, 269
რაძინ 268, 269
რაძინა 268, 270
რა ძინა 265, 266, 267

რა წინა 265, 266, 270
რეტასა 223
რიდე 216, 217
რიდეთა 218
რიდე-თმასა 216
რიდენი 216, 217, 218
რიდითა 216, 217, 218
რიდისა 215, 216, 218
რისხვანი 213
რომ 323
რომე 323
რომელ 323
რომელიც 323
რომელი 323
როსტომ მკლავუგრძესითა 381
როხი 118
რუბები 204
რულად 306, 308, 381
რული 308
რულნი 308
რულსა 308
რძენი 227

საარაკე 26
საარმაღნო 26
სააუგო 26, 75, 77, 78, 80, 81
სააუგოდ 80
სააუგოსა 80
სააჯო 26
საბელი 88, 89, 191
საბოძვარი 313
საბურთალი 366
საბურთალისა 313
საგანი 10
საგნად ისრისა 35
საგნად ისრისად 20
საგუბარი 313
სად 323
სადა 33, 323
სადა ალი 21, 37, 42
სადამდისცა 323
სადაფო 26
სადაც 323
სადმე 13, 14, 34
საკვნებელი 249, 250
საკნებლისა 249, 250
სათხსფერი 62
საკამათენია 314
საკამათი 314
საკვეხარი 314
საკლავად 20, 21, 35
საკომა 228
საკრავად 21, 35
საკურტაკე 26
სალმობანი 213
სალტე 225
სამ 11, 13, 14, 37
სამათას-სამათასები 212
სამ ალი 13, 14, 21, 42
სამალი 10, 11, 12, 14, 16, 17, 18, 39, 40, 41, 42, 43, 48, 295
სამწალე 17, 37
სამან დეკეულანი 225
სამან ჯბუანი 225
სამართალნი 214
სამ დღე 211
სამუდარი 314
სამუმი 15, 17, 18
სამუქარი 314
სამუხთალე 26, 314, 315
სამუხთალი 313, 315, 316
სამუხთალია 314
სამუხთალსა 315
სამძიმარი 314
სანახელად 231
სანახელო 231
საომარე 26
სარი 115
სარკმელნი 214
სასყიდელი 365
სატე 225
სატურფალი 314
საუბარნი 214
საფარდული 46
საქნიერზე მოსვლა 93
საქნიერი 93
საღალატო 74
საყე 115
საყელონი 214

საშროშნე 62
საშროშნისა ბიბინი 62
საშუალო 88
საჩანგდაფე 26
საჩანგ დაფენი 24
საჩანგდაფენი 26
საწვირთო 196
საწვეები 282
საწოლი 138
საწოლის მეკრე 136, 137, 138, 140, 141
საწოლის მწიგნობარი 140, 141
საწყენელი 252
საწყენი 252
საწყინარე 330
საწყინარენი 314
საწყინარი 252, 314
საწყინო 252
სახამლალი 93
სახე 116
სახედნობა-სიფიცხენი 214
სახედრობა 214
სახენია 116
სახვეველი 192, 193
სახითა 374
საჯარე 196
საჯდომთა 315
საჯდომთაგან 215
საჯდომნი 215
სდებია 231, 232, 278
სდედებია 231, 232, 278
სებრო, სებრო 42
სელნი 215, 229
სელნი დაუდგა 219
სელნი დაუდგნა 219
სვესრული 298
სვრასა 35
სთმობია 231, 232, 278, 279
სიალნე 108, 110
სიამაყენია 214
სიარულნი 214
სიაუგე 81
სიაუგენი 80
სიმინდანი 226
სინაბარა 42
სინაბარას 42
სინაზეთასა 214
სინაზენი 214
სინატიფე-სინაზენი 214
სინატიფე-სიტურფენი 214
სირასა 222
სირცხვილეული 86
სირცხვილი 86
სირცხვილიანი 86
სიტყვაბრძენი 298
სიტყვამჴევრი 298
სიყვარულმან მისმან 239
სიჩაუქე-სიალფენი 214
სიცრუე||სიცრუეე 74
სიძნელითა 231
სიხარული სადაფო 26
სიხარულნი 214
სკამანი 229
სკამითა 215
სკამნი 215, 229
სმენოდეს 254
სოული 42
სოულობა 42
სპარსმა წმიდა გიორგიმა 239
სპასჰეტი 141
სპეკალი 368
სრასა 34, 35
სრბანი 213
სრვასა 34, 35
სრულნი 309
სულგრძელ- 299
სულთა 226
სურვილი 40
სურვილმან და მზემან მისმან 239
სულსა მის უსწოროს ხელმწიფისასა 240
სცხებოდა 280
სწორანი 212, 223
სხენია 114, 116
სხვა 185, 186
სხვად 176, 185
სხლეტა 281

ტანდაბალი 227
ტაძრეულნი 130
ტევრი 115

ტიფაი 226
ტკბილნი გონებანი 317
ტყერანი 227
ტყრუშნი 227
ტყუბანი 212
ტყუბები 204

უადგილე 143
უადგილესი 142, 143
უადრე 161
უაზე 159
უალალებთ 100
უალეთ 99, 100, 103
უალლეთ 100, 103, 111
უალნეთ 100, 103, 105, 111
უამე 146, 147, 150, 152, 159, 298
უამესი 298
უამპარტავნე 159
უარე 146, 152, 159, 298
უასაკო 179
უაუგო 73, 75, 76, 77, 80, 81, 82, 83, 84, 85, 87
უაუგობა 75, 80
უაუგოსა 74, 80
უაღმატებულესი 154
უაჭრელად 362
უახოვნე 151
უბერე 147
უბნელე 150
უბოროტო 180
უბრძნე 147
უგანნაწილებულესი 153
უგანშორებულესი 154
უგარეშემცველესი 153
უგენრიელე (—უგემრიელე) 160
უგმირე 146
უგრძე 147, 148
უგრძესი 159
უგუარიანესი 154
უდაბლე 147
უდამტკესი 154
უდარე 144
უდასაბამიერესი 153
უდიდე 149, 151, 152, 159
უდიდმსი 142
უდიდო 150
უეკლოდ 179
უერთებრივესი 153
უვალეთ 100
უვალნეთ 100
უვაჭრელად 47, 364, 365, 369, 373
უვის 306
უვიცისა 163
უზესთბრძნესი 154
უზრქელე 159
უთამამო 152, 298
უთეთრე 148
უთვალეთ 100
უთკსიერესი 153
უთქვენო 181
უთქვენოდ 181, 182
უთხოა (—უთხე-ა)
უიიცი 165
უიიცისა 165, 171
უიცი 163, 167
უიცისა 163, 164, 166, 170
უკანის 126
უკაპარჭო 179
უკეთე 151, 160, 161
უკეთესი 158, 159
უკეთია 161
უკეთ-უკეთე 161
უკეკლუცე 145
უკისკასე 150
უკუანაცსკნელი 156
უკუნით 126
უკუნის 126
ულალეთ 100
ულალეს 100
ულვაშამწვანებული 60, 61
ულვაშაყვავებული 60
ულვაშაშლილი 59, 60, 61, 68, 70
ულვაშშეგინგლული 60, 61
ულო 192
უმაგარდა 168
უმაგრე 148, 150
უმაგრესი 298
უმაგრო 180, 299
უმალე 146, 147, 150, 159

უმართლე 147, 149, 150, 151, 152, 158, 159
უმართლეა 159
უმარტივე 194
უმაღლე 145, 147, 148, 151, 160
უმეტესი 142, 143
უმეცარ- 172, 173
უმეცარი 157
უმზესად 145, 155
უმისო 180, 183
უმისოდ 182
უმისოსა 182
უმკვეთე 149
უმკუეთე 146
უმოკლე 148
უმოლხინე 143
უმოლხინესი 143
უმოქმედიერესი 154
უმპყრობელესი 153
უმრავალჯერესი 154
უმრავლე 144, 146, 149, 150, 157
უმრუმე 144
უმსგავსო 87
უმსწრაფლე 144
უმტკიცე 147
უმყვირტესი 157
უმშვენიარე 161, 162
უმცირე 146, 147
უმცირესი||უმცირესი 142
უმცრო 99, 145, 150
უმცროსა 99, 110, 102
უმცროსთა 99, 100, 102
უმცროსმა 100
უმცროსსა 99, 100, 102
უმძვინვარე 159
უმძლე 302
უმძლეთა 301
უმძლესა 301, 302
უმძლესთა 301
უმძლესი 302
უმძლესსა 302
უმწარე 148
უმწვერვალე 157
უმწუხარე 148
უმჭედლესი 155
უმხნე 145, 150
უმჯობე 143, 149, 150, 151
უმჯობესი 143
უმჯობო 159
უნათლე 148, 149, 150, 152
უნამეტნაე 151
უნამუსო 83
უნახავმან ხანისა 340
უნდან 211
უნდო 157
უპირადესი 142
უპირველო 144
უპირველობა 159
უპირმშოესი 154
ურიცხვი 157
ურიცხვად 87
ურიცხვი 86
უსაბრალოე 146
უსაეროესი 154
უსაზღვრო 156
უსასყიდლო 362, 363, 365, 366
უსასყიდლო გვარი 368
უსასყიდლოდ 362, 363, 364, 365
უსასყიდლოთა სპეკალთა 368
უსასყიდლო მარგალიტი 365, 366, 367, 368, 369, 370, 371
უსასყიდლოჲ მარგალიტი 366
უსასწრაფოესი 154
უსაღმრთოე 144
უსაღმრთოესი 154
უსაყვარლე 150
უსაყოველთაო 145
უსაყოველთაოესი 153
უსაწადლე 151
უსაწყლე 147
უსახეე 159
უსახური 156
უსირცხვილო 86, 87
უსირცხვილობა 86
უსრულე 148
უსუბუქე 146
უსულო 179
უსუსური 173
უსქე 149

უსხო 148, 151, 159
უტკბილესი 142
უტკბო 148, 149, 150
უტკბოსი 298
უტურფე 148, 149, 150
უტურფესი 159
უუარესი 156
უუბუცესი 156
უუვიცე 170
უუვიცისა 164, 170, 171
უუიცე 170, 171
უუიცი 165, 167, 169
უუიცისა 164, 165, 166, 170, 171, 172
უუკეთესი 156
უუკუანაბასკნელესი 156
უუმართლე 156
უუმეტესი 156
უუმეცარე 173
უუმეცრე 157
უუმიზეზესი 155
უუმკეთე 156
უუმოსწრაფესი 156
უუმწარესი 156
უუნდოესი 157
უუპატიოსნესი 155
უურიცხვე 157
უუსაზღვრესი 156
უუსახურესი 156
უუსრულესი 156
უუსუსურე 173
უუტურფესი 156
უუქმოდ 145
უუცხადოესი 156
უუძლურესი 156
უუწესოესი 157
უფასოდ 365
უფიცხე 148, 149, 150
უფიცხლე 149
უფრო 143, 144, 145, 146, 148, 150, 151, 159
უფროდ 144
უფროდსი 142, 144
უქვიტკიროსა 179
უქი 168
უქნა 209
უქო 209
უღმრთოესი 154
უღონოა 186
უღრუბლო 179
უყო 250
უყოფდა (თვალებს) 351
უშავე 151, 160
უშემდგომესი 153
უშენო 180, 183, 185
უშენოდ 179, 182, 185, 186
უშენომან 181, 183, 184
უშენოსა 181, 183, 184
უშვენიერე 150
უშინაგანესი 154
უშმაგო 180
უშმაგომან 180
უშორე 159
უშორესი 142
უჩემო 180, 183
უჩემოდ 181, 182
უჩემოსა 181, 184
უჩქარე 151
უცნაური 171
უცრემლო 179
უცრუე 148
უცრუო 74
უცხადე 144
უცხენმალეს 155, 300
უძლებთა 301
უძლეეთა 301
უძლები 301
უძლევსა 301
უძლიერესი 142
უძლური 156
უძნელე 146, 149, 150, 158, 159
უძნელესი 158
უძკრწსი 143
უქამლო 180
უწარჩინებულესი 158
უწესო 157
უწვერო 60, 69, 71
უწვერული 60, 61, 64, 68, 69, 71
უწვერულობა 66
უწინარე 147

უწინარესი 142
უხებს 312
უხერხე 151
უხნე 160
უხორცონი 180
უხუცე 150
უხშირო 180
უჯერესი 142

ფარდ- 46
ფარდული 46
ფარები 204
ფარვა 9, 20, 21, 36
ფარულად 307, 309
ფასკუნჯის თბიანი ისარი 296
ფაფანაგნი 226
ფისანი 212
ფიცნი 352
ფიცხელი მშვილდი 293
ფლიდ- 50
ფლიდად 44
ფლიდი 43, 44
ფლიდისა 44
ფლიდობა 44, 51, 52, 53
ფლიდობით 44
ფლიდობის 44
ფონანი 212
ფრდა 46
ფრდილ- 50
ფრდილი 46
ფრდილობა 53
ფურა 228

ჭართულას თოფას 228
ჭაფი 89
ჭეგანი 214
ჭედფიცხელი 293
ჭველად 231
ჭველანი 212, 231
ჭველითა 231
ჭველისა 231
ჭველო 231
ჭვია 228
ჭისტა 228

ქისტასა 228
ქმარობა 347
ქობნი 227
ქორაფისა ისრები 296
ქორი 91
ქორის ხიზა 92
ქოხაი 226

ღალატი 74
ღალატიანი 74, 75, 82, 83, 87
ღალატიანსა 74
ღარი 115
ღარძლა 91
ღაწვთა არენი 62
ღვთის ანაბარას 42
ღერანი 213
ღირსა 222
ღმერთმან აშოროს 343, 346
ღმერთმან მაშოროს 343, 344

ყარყუმნი უსაპირონი 214
ყელისა 231
ყველაი 22, 307
ყველაკაი 22
ყველანი 231
ყვითელან ტყავანი 226
ყიფი 317, 318, 320
ყიფურ-ამაყური 320
ყიფური 320
ყოველი 307
ყოვნა 55
ყრილობა 51

შაგი 115
შაგი გიშრის ჩხნდე 122
შაგი მანდილი 278
შაგი ტალღა 278
შაგი ქვა 278
შაგი ხლა 278
შაგნი წამწამნი 115
შეალეწნა 207
შეალნება 109, 110, 111
შებმანი 213
შეგვამწიფნა 320, 321
შეგიალნა 106, 108

შეგიმცრდეს 226
შედეგი 102
შედეგმან 99, 100, 102
შეეშინა 265
შეევანანე 206
შეევანანენ 206
შეევარდენი 91
შეესჯერდი 253
შეესჯერდით 253
შეეუზახე 274, 353
შეეუზახენ 274, 353
შეეუზრახე 273, 274, 353
შეეუთვალე 272
შეეჯერდი 253
შეეჯერდით 253
შეზახება 274
შეზრახვა 274
შეის 71
შეისმინე 262
შემაგონანი 212
შემდგომმან 100, 102
შემდეგმან 99, 100, 102
შემეშინა 265
შემოთვლილობა 51
შემისტყორცნა 207, 307
შენად 186
შენა მოხვე 349
შენ ამოხველ 349
შენთვის დაკარგულსა 235, 236, 237
შენმან მზემან 238, 239
შენსა სჯულსა 238
შესამოსელთა მრავალსასყიდლოანთა 366
შესთვალა 272
შესჯერდი 253
შეუზახა 274
შეუზახე 274
შეუზახნა 274
შეუზრახე 353
შეუნდობო (S_1 O_3 O_3) 258, 259
შე-ცა-სთვალე 272
შეჯდომა სარატანისა 374
შეელანი 213, 231
შვინდა 228
შმაგი 50
შორანი 212, 223
შროშნის ველი 62
შუა კაცი 69
შუამდგომელი 135
შუბები 204
შუბების ჩხნდე 120
შუბი 115
შუბიანაი 228
შუბის ჩხნდე 119

ჩამოჰხე 349
ჩამოჰჯე 350
ჩანგ-დაფი 26
ჩანგი 25, 27
ჩემად 177, 186
ჩემგან 176
ჩემდა 176, 186
ჩემმან სულმან 239
ჩემსა სიყვარულსა 235, 236, 237, 239, 240
ჩვენებით 100, 102
ჩვენზედა 307
ჩვენთანა 307
ჩვენ ნებით 100, 102
ჩნდე, ჩნდ@ 120
ჩოჯანი 227
ჩხნდარი 117
ჩხნდე 113, 117, 118, 119, 120, 121, 122, 379
ჩხნდენია 374
ჩხნდე შუბისა 118
ჩხნდო 122

ცეცხლანი 227
ცეცხნი 227
ცვილი 52
ცვილობა 51, 52, 53, 378
ცვლილობა 51, 52, 53
ცილობა 51
ციხე 299
ციხემაგარი 299
ციხეუმაგრო 180, 299, 300

ციხეუმაგრონია 299, 300
ცნობანი 212, 213
ცომა 227, 228
ცოტიაი 229
ცოტინა 229
ცოტინიკა 229
ცრუ 74, 82, 83, 87
ცრუობს 74
ცრუსა 74
ცუდას 228
ცხელანი 212
ცხენაი 226
ცხენის მოყენება 264
ცხენმალე 300
ცხენმალი 300
ცხრო და თრთოლა 260

ძაფი 88
ძგერანი 227
ძელითა 231
ძი 267, 268, 269
ძინ 267, 268
ძინა 257
ძლიერი მშვილდი 293
ძმისწულა ქალაი 226
ძღვენი ფრიდონის 339

წაგრძელება 284
წავატანე 206
წავატანენ 206
წავგრძელდი 284
წავსწედი 285, 286, 287
წავსწინარდი 285
წავსწყდი 285, 286, 287
წამოგიველ 273
წამოვუველ 273
წამოუველ 274
წამწამნი 115
წასრულა 307
წასულიყო 307
წაუხმან 352
წვანი 213
წვერ- 71
წვერგამო 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 71, 72, 379
წვერგამომავალი 67, 71
წვერგაუთავებელი 67, 71
წვერდაწამებული 70
წვერთა მოიზიდნა 61
წვერთა ტაცისა 61
წვერი 59, 70
წვეროსანი 61
წვერსა გლეჯით 61
წვერუხეველი 70
წვერშამამავალი 70
წვერშამომავალი 69
წვერშემომდინარი 69
წვლილ- 267
წინა 126, 127, 131
წინამბრძოლი 137
წინამდგომელთა 124, 125, 126, 127, 131
წინამდგომელი 128, 130, 132, 133, 134, 135, 141
წინამდგომი 128, 129, 130
წინამწოლი 136, 137, 140, 141
წინაშე მდგომარე 134
წინაშემდგომელები 131
წინაშემდგომელი 128, 129, 130, 133, 134, 135
წინაშემდგომელნი 129
წიფ- 320
წკებ- 282
წკება 282
წკეპა 282
წკეპლ- 282
წკეპლი 282
წნელის ალერდი 197
წუერგამო 65
წუერგამონი ჰაბუკნი 64
წუერგამოობა 65, 66
წუერგამოობისაჲ 66
წყალობანი 213
წყარონი 227
წყენა 227

ჰაბუკად წვერგამოდ 64
ჰაბუკთა წუერგამოთა 64
ჰაბუკი 64

ჰაბუკი წუერგამოჭ 64
ჰაკაი ცხენაი 226, 228
ჰამა-სმანი 213
ჰაშნაგირი 141
ჰირები 204
ჰირსა დახვდეს 357

ხავსი მოჰკროდა 63
ხალი 198
ხამან 270
ხამლი 93
ხანანი 212
ხარძლა 91
ხასები 131
ხასებისა 132
ხასთა 124, 131
ხასთა მათ 126
ხასთაგან 132
ხასი 131, 133, 134, 135
ხასითა 131, 374
ხასისა 131, 132
ხასნი 127, 131
ხასობს 132
ხე 114, 115, 116, 310, 311
ხე ალვა 114, 115, 312
ხებული 309, 310, 311, 312, 313
ხეების ჩხნდე 120
ხე ედემს ხებული 312
ხეზი 87, 88, 89, 90, 91, 92, 94, 95, 379
ხელაპყრობით 187
ხელაღპყრობილი 188
ხელაღუპყრობელად 188
ხელაღუპყრობელი 187
ხელგანპყრობით 187
ხელგანპყრობილი 187
ხელისა 231
ხელის აპყრობა 190
ხელის აღპყრობა 176
ხელმჭმნა 327
ხელმჭმნის 327
ხენ 312
ხენია 114, 374
ხე წნა 207

ხიზა 90, 91, 92, 93, 94
ხიზაშეხსნილი 93
ხლა 231, 232, 278
ხლებანი 213
ხლებული 310, 312, 313
ხმანან 270, 271
ხორციელანი 212
ხოშორი 88
ხსოვნა 55
ხცე 67

ჯამნან 271
ჯამს 165, 271
ჯაუა 228
ჯელთა ამპყრობელი 190
ჯელი აღგპყრა 189
ჯელი აღუპყარ 189
ჯელის ამპყრობელი 189, 190
ჯელის აპყრობა 187, 189
ჯელსა აღუპყრობდინ 189
ჯმანან (მზისად ჯმანან) 270, 271
ჯოლნაბო 196
ჯშირ წუერითა 65

ჯაჯნი 228
ჯდა 306
ჯერეთ წვერგაუთავებელი 67
ჯერთ უწვერული 68
ჯინშველაშეყრილი 62
ჯრასა 35
ჯუბიანაი 228
ჯუბისძველანი 226

ჰაი 28, 29, 30
ჰაი ვაი 30
„ჰაის“ ზმიდეს 29
„ჰაის“ ზმიდი 29, 32
ჰაი ჰაი 29, 30, 31
ჰაი ჰაი ზმიდეს 30, 266
ჰაი ჰაი ზმიდი 30
ჰაჲ ჰაჲ 31, 32
ჰაჲ-ჰაჲს ზმიდეს 32

ჰაჲ-ჰაჲს ზმიდი 32
ჰგვანან 271
ჰი ჰი 30
ჰკადრეს 349
ჰკრა 207
ჰკრეს 22
ჰკრნა 207
ჰყვანან 271
ჰხლებია 231, 232, 278, (არა ახალი) 277, (შავი ხლა) 277

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 5

„ვეფხიტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი (ერთი სტროფის ანალიზის მაგალითზე 7

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის საკითხები 59

წვერგამო 59

უაუგო 73

ხეზი 87

ვუალნეთ 98

ჩხნდე 113

ზოგი სამოხელეო ტერმინისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (პოემის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით) 123

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის წაკითხვისათვის ქართულში ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებებთან დაკავშირებით 141

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის წაკითხვისა და გაგებისათვის . . . 173

მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურებების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში 203

ზმნის პირის ფორმათა აღრევის შემთხვევები „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში 233

სიტყვაწარმოების თავისებურებებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა 287

რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში 321

სიტყვათა წყობის ზოგიერთი თავისებურება რუსთაველის ლექსში და ამასთან დაკავშირებული საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა . . 335

შენიშვნები 378

შემოკლებათა სია 383

Исследования по вопросам языка и критики текста поэмы Шота Руставели «Вепхисткаосани» 387

საძიებლები 398

I. პირთა საძიებელი 398

II. განხილულ სტროფთა საძიებელი 401

III. სიტყვაფორმათა (და გამოთქმათა) საძიებელი 407

Гигинейшвили Иван Моисеевич

Исследования по вопросам языка и критики текста поэмы Шота Руставели «Вепхисткаосани»

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

რედაქტორი ქ. ლომთათიძე

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ბ. თოფურია

გადაეცა წარმოებას 7.II.75; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.V.75;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 26,9;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 23,4;

უე 00391; ტირაჟი 2200; შეკვეთა № 436

ფასი 2 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ.,19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19